963
1997

საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკის
ეროვნული ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცენტრი

Sophus

II 1997

ზოგს იბყრობს შიში
სათავესთან მიახლოების,
ხოლო სიმდიდრე ზღვაში იღებს სწორედ სათავეს...
მაგრამ ზღვა გვართმევს და მოგვაგებს
მეხსიერებას
და სიყვარულიც აგვიხელს თვალებს,
ხოლო რაც რჩება, აფუძნებენ იმას პოეტნი.

„ხსოვნა“,
ჰიოლდერლინი

963
1997
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეა

სალიტერატურო,
რელიგიურ-ფილოსოფიური
და საზოგადოებრივი ჟურნალი

308

№2

(დეკემბერ-იანვარი)

კავკასიური სახლი
თბილისი
1997

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აფრა“ საერთაშორისო ფილოსოფიური ჟურნალია

„აფრას“ სურს

ქართველი ერის ეროვნული ნიჭის, თავისებურების, მოლიერეულ-ფილოსოფიური და ეროვნული ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოში და მიანიშნოს ახალგაზრდა ავტორები ძველი და ახალი მსოფლიოს, დასავლეთის და აღმოსავლეთის სულიერი საერთაშორისოდან;

იყოს ხიდი სიძველესა და თანამედროვეობას, დასავლეთსა და აღმოსავლეთ ერებს;

მოახდინოს ეროვნულ მხატვრული და მოლიერეულ-ფილოსოფიური თავისებურების, ასევე ყოველივე ახლის სტიმულირება;

ხელი შეუწყოს თანამედროვე სინამდვილის მხატვრულ-ფილოსოფიურ და ჟურნალისტურ ეტაპზე;

შეუწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ჰუმანიზაციას და ადამიანის სიახლოვეს ეროვნულ ღირებულებებთან.

ეროვნულ-ეროვნული და თანამშრომლობის იქით ვამოვთვალეთ ჟურნალ „აფრას“ redaქციის წევრები:

ნაირა გულაშვილი (მეფეტეტი)
ლია ჯაფარიძე
გიორგი მანველაშვილი
დავით ოგრიანი
გიზო ყანბახიძე (ფილოსოფიის მეფეტეტი)
გურამ ლეონიძე

ეროვნული:
გივი მარგველაშვილი (ბერლინი)
ვახტანგ ჩერნი (ბონი)
ნადარი შარვაძე (თბილისი)

redaქციის მისამართი: თბილისი, ვალაკტიონის ქ. №20.
„ქართული სახლი“. ტელ. 99_6022. 93_2346

შინაარსი

ლიტერატურა

გივი მარგველაშვილი — 70

5 მილოცვა

ნაირა გელაშვილი

7 თარიღები და ფაქტები და ზოგი რამ ისიც, რაც მათ შორის, მიღმა და მაღლაა
(ანუ შტრიხები გივი და ტიტე მარგველაშვილების ბიოგრაფიებისთვის)

გივი მარგველაშვილი

20 მე წიგნის ვმირი ვარ (ლექსები)

38 მუცალი (რომანი) I თავი – თემი და თომინო

69 ბიბლიოგრაფია

ბადრი შარვაძე

52 ფილოსოფოსი და ადამიანები
(გ. მარგველაშვილის ფილოსოფიურ თხზულებათა გამოცემასთან დაკავშირებით)

56 კვლავ მილოცვა

მარგერიტ იურსენარი

58 აღმოსავლური ნოველები:

58 როგორ გადარჩა უან-ფო

65 მარკოს ღიმილი

69 მარკო კრალიევიჩის აღსასრული

71 სიქსტე

კარელ ჩაპეკი

72 ჩვეულებრივი მკვლელობა

ზაზა თვარაძე

75 ლექსები

ლაშა ბულაძე

83 თერთმეტი წლის

რელიგია

ედუარდ შიურე

92 იესო (ქრისტეს მისია)

113 **დედა ტერეზას „უბრალო გზა“**

ჰამლეტ ზუკაკიშვილი

117 პაველ ფლორენსკი — გზა რელიგიისკენ

ვაშინგტონ ირვინგი

124 ცხოვრება მუჰამადისა (გაგრძელება)

რომენ როლანი

148 რამაკრიშნას ცხოვრება (გაგრძელება)

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფია

იოჰან გოტლიბ ფიხტე

166 ადამიანის ღირსების შესახებ

მარტინ ბუბერი

169 პლატონი და ესაია

საუკუნეთა მიჯნა

კახა კაციტაძე

175 მარტინ ჰაიდეგერი თანამედროვეობის არსის შესახებ

რენე გენონი

179 თანამედროვე სამყაროს კრიზისი

გრიგორი პომერანცი

191 XXI საუკუნის არჩევანი

პოსტმოდერნის შემდეგ

ზაზა შათირიშვილი

198 ზედაპირის ტოპოლოგია

საზოგადოება

მიმართვა

209 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოსადმი

განდევნილნი და უარყოფილნი

206 ანუ მაჰმადიან მესხთა დაუსრულებელი ტრაგედია

220 „კავკასიური სახლი“ – სტრუქტურა, დანიშნულება, საქმიანობა

227 **უდიდესსა და უმცირეს ბოროტებას შორის**

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

საქართველო

228 ფესტივალზე ფესტივალის შემდეგ

უცხოეთი

230 ამერიკული პოეზიისა და პროზის ვეები

233 მარტინ ვალსერი 70 წლისაა

234 ჰანს მაიერი – სახელმწიფოს მოქალაქე და მწერალი

235 სიახლენი ესპანურ ლიტერატურაში

236 ჯორჯ ლიგეტი – მუსიკის ვარსკვლავი მარკესი

236 ვინ არის მილან კუნდერა?

238 **ბიოგრაფიული ცნობარი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გივი მარგველაშვილი 70

ძვირფასო ბატონო გივი!

თქვენი მონუმენტური ლიტერატურული და ფილოსოფიური შემოქმედება — იშვიათ მოვლენათა რიგს რომ განეკუთვნება თვით ევროპის სულიერ ისტორიაში, თქვენი სტოიკური ცხოვრება, შემოქმედებითი და ადამიანური უკომპრომისობა, ფუნდამენტური და მრავალმხრივი განათლება — დიად ნიჭუშად იბრწყინებს შემოქმედების გზაზე შემდგარი ყველა მაძიებელი ადამიანისთვის.

თქვენ ხომ ცხოვრობდით მხოლოდ სულით და სულისთვის, მაშინ როდესაც ირგვლივ სიბნელე და უიმედობა სუფევდა; თავაუღებლივ წერდით, როდესაც არავინ და არაფერი გაძლევდათ იმედს, რომ თქვენი ნაწერები როდესმე დღის სინათლეს იხილავდა. თქვენ ჩუმად ქმნიდით და არავისგან ითხოვდით ტაშსა და გამხნევებას.

და თქვენ სძლიეთ ბედისწერას — მისი ძალმომრეობა თავისუფლებად გარდაქმენით, მისი ბოროტებანი — სიკეთედ: დიდ შემოქმედად და დიდ ადამიანობად. და თქვენ გაიცინეთ ბედისწერაზე — ბავშვისა და ბრძენის ანუ დიდი ხელოვანის სიცილით.

თქვენ მუდამ ვითარდებით, ღრმავდებით, საკუთარ ხართ შემოქმედებითი გეგმებით, იუმორით, ბავშვური თამაშით, დიდებულია!

იდღეგრძელეთ. წერეთ. ეიყვარდეთ. იცინეთ.

ჩვენ კი ვისურვებთ, საქართველო მხოლოდ თქვენდამი ადამიანური სიყვარულის ადგილად კი არ დარჩეს, არამედ თქვენი შემოქმედების სახლადაც იქცეს. ვეცდებით, წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში.

გილოცავთ!

ჟურნალ „აფრას“ რედაქციის წევრები

ძვირფასო გივი,

შენი მეგობარი ქართველი ფილოსოფოსები გულითადად გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს. ჩვენ 40 წელზე მეტი შენს გვერდით გავატარეთ. ჩვენში ყოველთვის ღრმა პატივისცემას და გაოცებას იწვევდა შენი დიდი შრომისუნარიანობა, საქმისადმი არნახული ერთგულება. რომლის მიზანი იყო შენი დიდი ნიჭის მაქსიმალური რეალიზაცია. შენ თავისუფლად შრომობდი მაშინ, როცა არცერთ ჩვენგანს იმედიც არ ჰქონდა, რომ მდგომარეობა შეიცვლებოდა. ისე შეიცვლებოდა რომ, შენი სანახევროდ არალეგალური შრომის შედეგი, რომელსაც, შენივე სიტყვებით, მხოლოდ საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლები და რამოდენიმე თანამოაზრე თუ კითხულობდა, საჯარო გახდებოდა და როგორც ქართული ისე გერმანული ინტელიგენციის დიდ მოწონებას დაიმსახურებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, კაპიტანი ვაკუში ჩვენს შორის ყველაზე ოპტიმისტი იყო, სხვაზე შორს ხედავდა და მომავალი სწამდა.

შეიძლება ითქვას, რომ შენ სასწაული მოახდინე ამ რწმენის წყალობით. საქართველოში მოღვაწე ფილოსოფოსთა და ლიტერატორთა შორის შენ იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენ, ვის ნაწარმოებებსაც რეჟიმის წინაშე კომპრომისის არავითარი კვალი არ ამჩნევია. შენს მიერ ე. ჰუსერლის, მ. ჰაიდეგერის, ნ. ჰარტმანის და სხვათა ღრმა ანალიზი, სანიმუშო დარჩება ჩვენი მკითხველისთვის. იგივე ითქმის შენს შესანიშნავ ფილოსოფიურ პოეზიაზე.

ჩვენ შენი მომავალი, ახალი წარმატებებისა გვჯერა. გისურვებთ ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას და დიდი ხნის შემოქმედებით ცხოვრებას.

გურამ თევზაძე
თამაზ ბუაჩიძე
ჯანსულ კორძაია
ოთარ ჯიოევი
ჟორეს ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა გელაშვილი

თარიღები და ფაქტები და ზოგი რამ ისიც, რაც მათ შორის, მიღმა და მაღლაა

(ანუ შტრიხები გივი და ტიტე მარგველაშვილების ბიოგრაფიისათვის)

გივი მარგველაშვილი დაიბადა 1927 წლის 14 დეკემბერს ბერლინში, ქართველი ემიგრანტების ოჯახში.

მამა – **ტიტე მარგველაშვილი** დაიბადა 1891 წლის 2 აპრილს ქ. ქუთაისში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ჯერ სახლში, შემდეგ, მოსამზადებელ სასწავლებელში. 1899-1908 წლებში სწავლობდა ქუთაისის რეალურ სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში. 1909 წელს ჩაირიცხა ლაიფციგის უნივერსიტეტში, სადაც ისწავლა 8 სემესტრი. აქ იგი ისმენდა **ბელოხის, გარდტჰაუზენის, ლამპრეხტის, შტუდნიცკას, ვილკენსის, შტაინდორფის, შტიუდას** ლექციებს. 1913 წელს ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში წარადგინა დისერტაცია: **„კოლხები, იბერები და ალბანები პირველი ქრისტიანული საუკუნის დამდეგს სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით“**. დისერტაციის დაცვის შემდეგ ტ. მარგველაშვილი ბრუნდება საქართველოში და აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი მეუღლესთან და 7 წლის ქალიშვილთან ერთად მიემგზავრება ბერლინში. ხდება ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი (უპრეცედენტო შემთხვევა ქართველთა სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროში). კითხულობს ლექციებს ფილოსოფიასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში, ეწევა ინტენსიურ მეცნიერულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას; ზრუნავს საქართველოსა და კავკასიის შესახებ სწორი მეცნიერულ-ისტორიული და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის, განსაკუთრებით 1933 წლიდან, როდესაც გერმანულ პრესაში ანტიკავკასიური პროპაგანდა იწყება.

კავკასიელი ხალხებს, ისევე როგორც ებრაელებს, მიაკუთვნებდნენ წინა-აზიურ რასას და მიაწერდნენ ყოველნაირ მანკიერებებს „1933-40 წლებში დოქტორ მარგველაშვილს ყველა გამოძცემლობაში, რომელთაც კი რაიმე დაებეჭდათ „წინა-აზიური“ რასის შესახებ, გამოექვეყნებინა სტატიები — მოცემული რასის ყოველნაირი არსებობის უარყოფით. მას მიეთითებინა, რომ არსებობს ქართულ-კავკასიური დამოუკიდებელი რასა, და აღეწერა ამ რასის კულტურული, ისტორიული და სახელმწიფოებრივი მიღწევები მსოფლიო ისტორიისა და კაცობრიობის წინაშე. ამავე პერიოდში მას გამოუცია შრომა და ეს შრომა ეხებოდა კავკასიის პირველყოფილ კულტურას, გამოეყენებინა რა ავტორს ძველი არქეოლოგიური მონაცემები და შუასაუკუნეების მოგზაურთა — ბლუმენბახისა და ელბინოს აღწერები.“ (საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, №2).

მაგრამ ამ ამბების დაწყებამდე, 1931 წელს ტიტე მარგველაშვილის მეუღლე მარიამ ხეჩინაშვილი, კონფესიით კათოლიკე, რომელიც ემიგრანტთა მძიმე ცხოვრებას, უცხოეთში ყოფნასა და უსამშობლობას ველარ უძლებს, თავს იკლავს (ბინაში მარტო დარჩენილი, გაზის ონკანს ხსნის). დაობლებული 4 წლის გივის გაზრდას გერმანელი ძიძები იწყებენ. მამა სულ გარეთაა. ბავშვს ქართულს ვერავინ ასწავლის.

1941 წელს ტიტე მარგველაშვილი სათავეში ჩაუდგა ბერლინის

ქართველთა სათვისტომოს, რომლის სტრუქტურასა და მმართველობაშ ეროვნული ბიბლიოთეკა
შეიტანა დემოკრატიული წესები. 1941-42 წლებში იგი თანამშრომლობდა
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ამ უკანასკნელის მიწვევით.
იგი აქ იყო ქართული პროპაგანდის განყოფილების შეფი.
თავმჯდომარეობდა ქართველი ტყვეების დახმარების ბერლინულ კომიტეტს.
1944 წელს სათვისტომოსთან შექმნა „ეროვნული საბჭო". ტიტე
მარგველაშვილი, რამდენადაც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა
ნაციონალსოციალისტებს.

„დოქტორი მარგველაშვილი ბერლინში ცნობილი იყო როგორც ოპოზიციონერი: 1) მან ხელი შეუშალა 1933 წელს ნაციონალსოციალისტური ჯგუფის წარმოქმნას ბერლინში; 2) გააძევა ფაშისტები ქართული სათვისტომოდან; 3) ახორციელებდა ღია იდეურ ბრძოლას რასისტული თეორიისა და ნაციონალსოციალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ცნობილი იყო, რომ 1921-38 წლებში მისი ოჯახის ექიმებს წარმოადგენდნენ ებრაელები — ფაინფელდი და ვოლდინი, თავადაც ერთ დროს მსახურობდა ებრაულ ფირმა „ფრაბრაში", შვილს 1934-35 წლებში ატარებდა ებრაელთა საბავშვო ბაღში, აგრეთვე მდივანიც ებრაელი ჰყავდა... ტიტე მარგველაშვილი ქართულ სათვისტომოში ყოველთვის დემოკრატიული კურსის გატარებას ცდილობდა. თავისი მეცნიერული ნაშრომები კი, გერმანიის გარდა, გამოუქვეყნებია ინგლისისა და ჩეხეთ-სლოვაკიის ბეჭდვით ორგანოებში. იგი საკუთარ თავს მიაკუთვნებდა ოპოზიციის ერთ-ერთ იდეურ სახეობას — იდეურ-პოლიტიკურ შეჯიბრს". ტიტე მარგველაშვილის აზრით: „იდეურ-პოლიტიკური შეჯიბრი: როდესაც წამოყენებულია ერთი იდეა, და მისი დაცვა მიმდინარეობს წმინდა იდეოლოგიურად — თუნდაც მთავრობის წინააღმდეგ. ეს შეჯიბრება წარმოადგენს აზრთა სუფთა, მშვიდობიან ჭიდილს" (დოსიედან, „სრულიად არასაიდუმლოდ", 1997, №2).

გივი მარგველაშვილი სახალხო სკოლის შემდეგ სწავლობდა ფიხტეს, მოლტკეს, ერნსტ მორიტც-არნდტისა და ბისმარკის გიმნაზიებში. (გიმნაზიების ხშირი ცვლა ომით წარმოქმნილი არასტაბილურობით იყო გამოწვეული). იგი ეკუთვნოდა გერმანელი ახალგაზრდების იმ წრეს, რომელიც უკიდურესად კრიტიკულად იყო განწყობილი ჰიტლერის დიქტატურის, ნაციონალსოციალისტური იდეოლოგიისა და დიდი სიმპათიით ამერიკის, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის ბურჯის მიმართ, რასაც გამოხატავდნენ ამერიკული მუსიკის, ლიტერატურის და ა.შ. სიყვარულით.

(ჩემი დღიურიდან. ბერლინი 1996 წ. თებერვალი. "ვივი: ერთი ჩემი კლასელი ქრისტიან დ ორვილი უნდა გავაცნო. ტელეფონმში მნახა და ისე მომძებნა. ფიგურაა — ბალზაკის რომანებიდან ვადმოსული პუგენოტი. მოვიდა, მნახა, მას მერე მნახულობს. ტიპია მაგარი. ასე მითხრა: "შენაო გმირი ხარო. თურმე, მე აღარ მახსოვს, ჰიტლერის სურათი ჩამომახსნია პოლონეთში რომ ვიყავით ევაკუირებული. 16 წლის ვიყავი. ვადამოდია და მის მაგივრად შპიცვეგის სურათი დამიკიდია. ვინ არის ეს საწყალი შპიცვეგი, მაგრამ მაინც პოეტია, ხი იცი, რომანტიკოსი. ხოდა, იქვე სადღაც ყოფილა იმის სურათი მიგდებული, ამიღია და ის დამიკიდია, ჰიტლერის სურათი კიდევ სხვაგან მიმოგდია. შეიქმნა თურმე დიდი სკანდალი. კინაღამ გამაგდეს იქიდან. მაგრამ მე მყავდა მფარველი, გერმანული ენის მასწავლებელი კამსი, ერთადერთი ნორმალური კაცი. ხოდა ქრისტიანი მეუბნება, იმან იბრძოლა შენი გულისთვის, როგორ არ გახსოვსო. ესაო პუბერიტეტიაო*, პოლიტიკური ამბოხი რა შუაშიაო! — ჩაუტენია თავში ყველასათვის. მე კიდე ჯაზურ ფირფიტებს დავათრევდი. ბენი გუდმანი და ვიღაცეები, მხეცები. ალბომში მეწყო და ეს ალბომი პატარა ჩემოდანში შედო. ჩემოდანი კიდე საწოლის ქვეშ. გამოვიღებდი, ვეფერებოდი იმ ბენი გუდმანს. მერე პატეფონი ვიშოვე და როცა მასწავლებლები მიეთრეოდნენ, ვუკრავდით". მე: "მე და ჩემი ამხანაგებიც მასე ვიყავით საბჭოთა სკოლაში, ხომ ვიყვეოდი,". "მახსოვსო, – ვივიმ, – შენი "ელვის პრესლი, შავი ყავა და ეკლესიაო").

* პუბერიტეტ – (გერ.) ბიოლოგიური სიმწიფის ასაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიტლერის დამარცხება, ომის დამთავრება გივი მარგველაშვილსა და მის თანატოლებს მომავლის იმედით ავსებს; მით უფრო, რომ მარგველაშვილები ბერლინის ზონებად დაყოფის შემდეგ ბრიტანეთ-ამერიკის პროტექტორატის ქვეშ მოქცეულ დასავლეთ ზონაში ცხოვრობდნენ, გიუნტცელშტრასეზე. მაგრამ, ბედისწერამ სხვა რამ ინება:

1945 წლის ბოლოს მათ მოულოდნელად ესტუმრა ტიტე მარგველაშვილის გიმნაზიის მეგობარი ფილოსოფოსი **შალვა ნუცუბიძე** ფორმიან სამხედრო პირთან ერთად. მან დაარწმუნა ტიტე მარგველაშვილი, რომ იგი ბერლინში (აღმოსავლეთ ზონაში) გამოგზავნილი იყო სამეცნიერო მივლინებით, კერძოდ – აღმოსავლური რენესანსის პრობლემაზე სამუშაოდ და დახმარება (წყაროების მიწოდება) სთხოვა. ტიტე მარგველაშვილი, როგორც ჩანს, თავიდან მაინც არ ენდო მეგობრის სიტყვებს, რომ აღმოსავლეთ ზონაში საშიში არაფერი იყო, – გივის ხელით უგზავნიდა ხოლმე ისტორიულ წყაროებს, და დიდი ხალისითაც, რადგან იგი აღაფრთოვანა აღმოსავლური რენესანსის იდეამ, რაკი თავადაც იმისთვის იღვწოდა, რომ გერმანიისა და მთელი ევროპისათვის დაემტკიცებინა კავკასია-საქართველოს მაღალი კულტურა და დიდი წვლილი მსოფლიოს სულიერ ისტორიაში. მაგრამ ხანი რომ გავიდა, მისი სიფრთხილე მოდუნდა, 1946 წლის თებერვლის ერთ დღეს იგი გაჰყვა მასთან სახლში მისულ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილ უცნობ ქართველს, რომელმაც აღმოსავლეთ ზონაში მცხოვრები მეგობრის მიწვევა გადასცა. ეტყობა ამ დროისათვის, უკვე იმდენად გაიზარდა მისი ნდობა, (ალბათ მოწვევაც იმდენად დამაიმედებელი იყო) რომ თავისი ვაჟიც თან გაიყოლა. ისინი ჩასხდნენ შავ ლიმუზინში, რომელიც სახლთან ელოდებოდათ, და რომელშიც კიდევ ოთხი ქართველი აღმოჩნდა. მათ ლაბადების ქვემოთ ფორმები მოუჩანდათ. იმის მიხედვით, თუ რა სწრაფად მოსწყდა მანქანა ადგილს, გივიმ საბედისწერო საფრთხე იგრძნო, მაგრამ უკვე გვიან იყო... ყველაფერი დამთავრდა. ვიდრე მამა-შვილი ხმის ამოღებას მოასწრებდა, მანქანა აღმოსავლეთ ბერლინის კომენდატურის წინ გაჩერდა. (ეს ეპიზოდი დაწვრილებითაა აღწერილი გ. მარგველაშვილის რომანში **„კაპიტანი ვაკუში“**, სადაც „აღმოსავლური რენესანსი“ მხატვრული პაროდირებით განზოგადდება და საერთოდ, აღმოსავლეთ სექტორის: სოციალიზმის, „კოლხოზების“, საბჭოების და ა.შ. – გამარჯვების, მათ მიერ ომის მოგებისა და მთელს ევროპაში გავრცელების მწარე-ირონიულ შინაარსს იძენს).

მამა-შვილი ბუნკერში ჩაამწყვდიეს, სადაც მათ ერთი დღე-ღამე გაატარეს ერთად. მამამ საათი შეიხსნა და უკანასკნელ საჩუქრად შვილს გადასცა. თან გულუბრყვილოდ დაარიგა, რომ როცა აქედან გაუშვებდნენ, ამერიკის საელჩოსთვის მიემართა: განწირულად მხოლოდ საკუთარი თავი ჩათვალა. ტიტე მარგველაშვილი ცნობილ ქართველ ემიგრანტებთან: კორნელი ხოშტარიასა და ვალერიან ტოგონიძესთან ერთად (რომლებიც საბჭოთა სპეცსამსახურების ქართველმა აგენტებმა ასევე დაატყვევეს ბერლინში) ჯერ გადაიყვანეს მოსკოვში, ხოლო იქიდან 1946 წლის 15 ივლისს ჩამოაფრინეს თბილისში და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის შიდა საპატიმროში მოათავსეს.

ტიტე მარგველაშვილი 8 თვის განმავლობაში ყოველდღე გაჰყავდათ დაკითხვაზე. ბრალდებად უყენებდნენ ანტისაბჭოთა მოღვაწეობას. ამავე დროს სთავაზობდნენ მონანიებასა და მათ სამსახურში ჩადგომას; კერძოდ, საბჭოთა იდეოლოგიის შესაბამისი ლექციების ნაკითხვას. მაგალითად ზოგ ცნობილ მეცნიერს უსახელებდნენ. ეს და სხვა დეტალები ტიტე მარგველაშვილის პატიმრობის შესახებ, გვიან, (1970 წელს) მოგვაწოდა ბ-მა ი. ნასიძემ, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა საკანში: „ყოველ დღე საკნის კედლებს წმენდდა და მეც მაიძულებდა მეწმინდა, ვარჯიშობდა და მეც მაიძულებდა მევარჯიშა. უნდა ვიმოძრაოთ, წესრიგი და დისციპლინა შევინარჩუნოთ, რათა არ მოვეშვათ და არ მოვდუნდეთო. ატყუებდნენ, თუ დაგვიჯერებ, შენ შვილს გივის გაჩვენებთ, ისიც თბილისშიაო. ტიტეს უთხოვია: მაჩვენეთ შვილიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა და ბებია

ტიტე მარგველაშვილი
და მარიამ ხვინანაშვილი

პატარა ვივი

დედა და შვილი

და – ძმა

6 წლისა ბერლინში

უკვე საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახი

ანა და გივი

საკუთარი ტექსტების კითხვისას

შეგობრები: გ. მარგველაშვილი
და მ. მამარდაშვილი

გ. მარგველაშვილი და ო. ითელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი კი ამ დროს ზაქსენჰაუზენის ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკში ღაფავდა სულს, სადაც აღმოსავლეთ ბერლინის კომენდატურის ბუნკერში ექვსკვირიანი პატიმრობის შემდეგ გადააგზავნეს...

ემიგრაციის სამი ლიდერის მოულოდნელი გაქრობით თავზარდაცემული ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილი გერმანიიდან ამერიკაში გაიქცა. მათ გაჰყვა გივის და ლიზიც, რომელიც დღემდე ბუენოს აირესში ცხოვრობს.

ხოლო ტიტე მარგველაშვილის საბრალდებო დასკვნა იუწყებოდა: „ბრალი ედება: ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, წლების განმავლობაში აითვსებდა საკუთარ ანტისაბჭოთა სტატიებს ბეჭდვით ორგანოებში, გამოდიოდა ანტისაბჭოთა მოხსენებებით და კავშირი ჰქონდა ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა ჯგუფებთან. წარმოადგენდა ერთ-ერთ ორგანიზატორს „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციისა" და იყო მისი პირველი თავმჯდომარე, მეორე იმპერიალისტური ომის პერიოდში მუშაობდა გერმანიის საქმეთა სამინისტროში, ი.არგმნიდა ანტისაბჭოთა შინაარსის პროკლამაციებსა და სტატიებს, აგრეთვე სამჯერ გამოვიდა რადიოში ანტისაბჭოთა მოხსენებით".

„1946 წ. 9 სექტემბერი. 11 სთ. და 30 წუთი. დახურული სხდომის მეორე დღე, თავმჯდომარე ი.ს. ოდიშვილი.

ბრალდებული – ტიტე თევდორეს-ძე მარგველაშვილი.

ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა: სასამართლომ განაჩენი გამოიტანოს თავისი შეხედულებისამებრ....

13 საათი და 40 წუთი – სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: „ბრალდებული მარგველაშვილი ტიტე თევდორეს ძე – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58- 4, 58- 10 მუხლის II ნაწილის და 58- 11 მუხლით, და როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას საკასაციო წესით არ ექვემდებარება".

ტიტე მარგველაშვილი დახვრიტეს 1946 წლის 17 ოქტომბერს". („სრულიად არასაიდუმლოდ", იქვე).

(„ამ პერიოდში ბერიამ მოახერხა გერმანიიდან გამოეტყუა სამი ქართველი — კორნელი ხოშტარია, ტიტე მარგველაშვილი და ტოგონიძე (სახელი არ მახსოვს) ბერლინში საგანგებოდ მივლენილი ერთი ჩვენი პროფესორის დახმარებით.

ეს სწავლული შემოხვევით შემოგვხვდა რუსთაველის ქუჩის ახლოს, როცა მე ცომაიასა და გეგელიას ვესაუბრებოდი.

ვ. ცომაია ფოთელი იყო. ფოთელი ყოფილა კ. ხოშტარიაც და ისინი ახლო მეგობრობდნენ თურმე. გამწარებულმა ფსიქოლოგმა ჰკითხა პროფესორს: რატომ ჩამოიყვანე ისინი ბერიას დავალებით, ხომ იცოდი, რომ აქ მათ დახვრეტავდნენ.

გაისმა პროფესორის პასუხი:

— Ну что-ж, своя рубашка ближе к телу!

ორივენი, ცომაია და გეგელია სილის გასარტყმელად გაიწივნენ მისკენ, მაგრამ პროფესორმა მოკურცხლა: ქუჩის მეორე მხარეს მიაშურა, ყვითელ პლაშს მიაფრიალებდა!.

ამჟამად თბილისში მისი სახელობის პლატოები და ქუჩებია, იწერება მასზე ქება-ქებათანი, ცალკე მონოგრაფიები

დიტო უზნაძე კი, მაღალი ეთიკის მეცნიერი, მას ბინაშიც კი არ ღებულობდა." აკაკი გაწერილია, უპასუხოდ დატოვებული შეკითხვები, გაზეთი კაბადონი, 27 მაისი, 1990 წელი).

1990 წელს ტიტე მარგველაშვილისა და კორნელი ხოშტარიას რეაბილიტაციაზე საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკი ამჯერად საბჭოთა ძალების ხელში „ყვაოდა“: აქ ჩაემწყვდიათ არისტოკრატები, დეზერტირები, ემიგრანტები, ყველა ეროვნებისა და ასაკის ადამიანები. ბერიას სპეცსამსახურის ქსელში იყო გახვეული ლამის მთელი ევროპა, რასაც განაპირობებდა მის თანამემამულეთა სიჭარბე ამ ქსელის სხვადასხვა „საპასუხისმგებლო“ პოსტებზე, მათ შორის ზაქსენჰაუზენშიც. აქ გივი ცუდი კვებისგან დასნეულდა, ფეხებში წყალი ჩაუდგა. ერთ ქართველ ფუნქციონერს ალბათ შეეცოდა და ლამის ორწლიანი პატიმრობის შემდეგ იგი მოსკოვის გავლით თბილისში ჩააფრინეს.

თანმხლებმა НКВД–ს თანამშრომელმა სულიერად და ფიზიკურად ტრამვირებული 20 წლის ბიჭი უცნობი მამიდის თამარ მარგველაშვილის კარს მიაყენა. ქ–ნ თამარს თავადაც კარგად ახსოვდა რეპრესიების სუსხი (მეუღლესთან ერთად ერთწლიანი პატიმრობა ჰქონდა უკან მოტოვებული) და ახლა უშიშროების ორგანოს გამოცხადება ახალი უბედურების ნიშნად მიიჩნია. მან ითხოვა ოფიციალურად მიემართათ მისთვის და დაედასტურებინათ, რომ უცნობი გერმანელი ახალგაზრდა, რომელმაც არც ქართული იცოდა და არც რუსული, ნამდვილად მისი ძმიშვილი იყო. პირველი ღამე უცხო სამშობლოში გივიმ იმავე ფუნქციონერის ოჯახში გაათია. შემდეგ კი მამიდის ოჯახში დამკვიდრდა, სადაც ზრუნვა და სიყვარული არ მოჰკლებია. მამიდაშვილი **ნიკოლოზ (კუკური) ლანდია,** შემდეგში ცნობილი მეცნიერი, მის უფროს მეგობრად და ერთგულ მფარველად იქცა. მფარველობა კი ნამდვილად სჭირდებოდა „ხალხის მტრისა“ და „სამშობლოს მოღალატის“ შვილს, რომელსაც დღენიადაგ უთვალთვალებდა უშიშროების სამსახური, ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ამყოფებდა, მის „დამუშავებას“ ცდილობდა და ათას დაბრკოლებას უქმნიდა. გივის პროტესტის გრძნობის გამო არცერთ ოფიციალურ სტრუქტურასთან გაკარება, ამ ქვეყნისაგან არაფრის მიღება არ უნდოდა. არ უნდოდა არც უნივერსიტეტში სწავლა, რისთვისაც იბრძოდა ნიკოლოზ ლანდია, რომელსაც, ერთის მხრივ, გივი უნდა დაეყოლიებინა სწავლაზე, მეორეს მხრივ, უშიშროების სამსახურის მიერ აღმართული ბარიკადები გადაელახა. ნაცნობ-მეგობრების, გივი მარგველაშვილის ტრაგედიით გულშეძრულ თანამგრძნობელთა დახმარებით მან ეს საქმე წარმატებით დააგვირგვინა. გივიმ დაამთავრა ინგლისური განყოფილება და სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში ენათმეცნიერების ხაზით გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. ძირითადი ევროპული და კლასიკური ენები მან უკვე გერმანიაში იცოდა. შემდეგში კიდევ სხვა ძველ და ახალ ენებსაც (იტალიურს, ესპანურს, სანსკრიტს, ებრაულს და სხვა) დაეუფლა.

სამეცნიერო ნაშრომების ენად იქცა რუსული. მისი სადისერტაციო ნაშრომი ენათმეცნიერებაში, სრულიად ორიგინალური გამოკვლევა, მრავალი გასაგები, პირველ რიგში კი, ცხადია, იდეოლოგიური მიზეზით ოფიციალურად უგულვებელყოფილ იქნა; **„ორი სიუჟეტური ველი — გერმანული და რუსული თხრობის პოზიციური ანალიზი ზმნისა და არტიკლის დროით–სივრცობრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით“ (1959 წელი).**

სტალინის სიკვდილის შემდეგ გაჩენილი შედარებითი თავისუფლება გივი მარგველაშვილს შესაძლებლობას აძლევს მუშაობა დაიწყოს უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ინგლისური და გერმანული ენების ლექტორად, სადაც მან 15 წელი (1954-70) იმსახურა.

მაგრამ შანამდე კვლავ უნდა ვახსენოთ ქართველი მეგობრებისა და თანამგრძნობლების, პირველ რიგში, ისევ **ნიკოლოზ ლანდიას** ამაგი, რისი წყალობითაც გივი მარგველაშვილი გადაურჩა 50-იან წლებში ახალ რეპრესიულ ტალღას: კერძოდ, საქართველოდან უცხოელთა და ყოფილ ემიგრანტთა გასახლებას. (დეტალი: საქართველოში **შალვა ნუცუბიძეს** იგი არცერთხელ არ მოუკითხავს). 50-იან წლებში გივი მარგველაშვილი იწყებს წერას. მაგრამ მხოლოდ 1961 წლიდან, როდესაც იგი საკუთარ ერთოთახიან ბინაში გადადის (რაშიც სხვებთან ერთად დაეხმარა ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანისტი **მიხეილ კვესელავა**), იწყება სერიოზული მუშაობა დიდ პროზაზე, კერძოდ, ავტობიოგრაფიულ რომანზე "კაპიტანი ვაკუში".

„მე უბრალოდ მინდოდა ჩემი გამოცდილება არ დაკარგულიყო – ჩემში ხომ ორი სამყარო შეხვდა ერთმანეთს. ასეთი რამ ჩემს გარემოცვაში იშვიათად შემხვედრია. და მალე აღარ შემეძლო დღე ისე გამეშვა, რომ ერთი აბზაცი მაინც არ დამეწერა. თუკი ამას ვერ ვახერხებდი, იმ დღეს დაკარგულად ვთვლიდი. ამით ცხოვრების აზრი ვიპოვე და რადგანაც გერმანულად ვწერდი, შემეძლო ჩემივე თავისთვის დამემტკიცებინა, რომ განვლილი ცხოვრება სიზმარი არ იყო. რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო წიგნის გმირების ამბავი – მე მთლიანად შემიპყრო იდეამ, რომ წიგნი ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდ. და, რომ ამის მხატვრულ-ფილოსოფიური გამოხატვა იყო საჭირო. მე ვიგრძენი, რომ აქ ყამირთან მქონდა საქმე, თუმცა არა „ტერრა ინკოგნიტა"-სთან. შემდეგ კი შევუდექი პრობლემის პედანტურად დამუშავებას, რაც მხატვრულად განხორციელებული ხშირად გიჟმაჟობად აღიქმება,- თავისი მიზანდასახულობის მიხედვით კი ალბათ ფანტასტიკურ რეალიზმს უნდა გაეკუთვნოს. ამ ინსტრუმენტით მოვხაზე ჩემი თემა. ამან კი ბოლოს მიმიყვანა იმასთან, რომ ჩემს ავტობიოგრაფიას რამდენიმე წიგნში ერთდროულად ვამუშავებდი და არსებითად ვცოცხლობდი წერის მდგომარეობაში". (გივი მარგველაშვილი. ინტერვიუდან. 14.01.1992).

1969 წელს გივი მარგველაშვილს უფლება მისცეს გერმანიაში თარჯიმნად გაჰყოლოდა ქართული კულტურის მოღვაწეთა ჯგუფს. ეს იყო ოცწლიანი განშორების შემდეგ პირველი შეხვედრა დაკარგულ სამშობლოსთან, თუმცა მხოლოდ მის სოციალისტურ სექტორთან. 1970 იგი კვლავ მიდის გერმანიაში, ამჯერად რუსთაველის სახელობის თეატრთან ერთად. იგი სინქრონულად თარგმნის "სამანიშვილის დედინაცვალს" და თარგმნის იმდენად არტისტულად, რომ გერმანული პუბლიკა, უხილავ მთარგმნელს, (იგი სპეციალურ კაბინაში იჯდა), "№1 მსახიობს" უწოდებს.

1970 წელს ჩვენ ერთმანეთი გავიცანით და ვიქორწინეთ, მე შეძლებისდაგვარად შევუდექი მისი შემოქმედების შესწავლას, მისი ენათმეცნიერული და ფილოსოფიური წერილების, ასევე მცირე მხატვრული ფორმების ქართულად თარგმნას.

1970 წელს გამოქვეყნდა გ. მარგველაშვილის პირველი ფილოსოფიური ნაშრომი **„ენის როლი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში"** (მაცნე, 1.46), რის საფუძველზეც ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნიკო ჭავჭავაძემ, შემდეგში მისმა მეგობარმა, ინსტიტუტში სამუშაოდ მიიწვია. სადაც მან 1970–90 წლებში წლიური შრომების სახით წარადგინა ოცი ფუნდამენტური ფილოსოფიური გამოკვლევა.

1972 წელს გივის გაუკეთეს თირკმლის ოპერაცია. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ოპერაცია საჭირო არ იყო, ამასთან, ცუდი თერაპიის შედეგად მას დაემართა ქრონიკული პიელონეფრიტი, რამაც მის ჯანმრთელობას სამუდამო დაღი დაასვა.

1975 წელს შეგვეძინა ქალიშვილი ანა. 1983 წელს ჩვენ გადავწყვიტეთ დავშორებულიყავით, ამას ჩვენს ადამიანურ და შემოქმედებით ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია.

რადგანაც თბილისში იმთავითვე იყო ცნობილი, რომ გივი მარგველაშვილი გერმანულ ენაზე რომანებს წერდა,- მუდამ თან გვდევდა შიში: სუკ-ს შეეძლო ხელნაწერები წაერთმია და გაენადგურებინა. ყოველი შემთხვევისათვის, მისი ხელნაწერების ნაწილი რამდენიმე ოჯახში, ნაწილი ჩემს ბინაში გვქონდა გადამალული. (1988 წელს სუკ-ის ორი ახალგაზრდა თანამშრომელი მართლაც გამოცხადდა მის ბინაში და თავაზიანად მოსთხოვა რომანების გადაცემა. გივიმ მხოლოდ „კაპიტანი ვაკუშის" პირველი, მანქანაზე გადაბეჭდილი ტომი მისცა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ამის გარდა სხვა არც არაფერი არსებობდა. მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ უკვე „გარდაქმნის" გარიჟრაჟი იდგა, ორიოდ თვეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერი ავტორს თავაზიანადვე დაუბრუნდა უკან და ამ ამბავს გაგრძელება აღარ მოჰყოლია. მკითხველს დანატრებული გივი მარგველაშვილი კი, რომელსაც, ალბათ, რაღაც ილუზიები ჰქონდა, სუკის ინტელექტუალური შემეცნების უნარზე, პირველი, თითქმის დამადამბლავებელი თავზარის განვლის შემდეგ, იმედიანად გამენდო: **"მე მგონი, მაგათ ჩემი ტექსტები მოეწონათ!")**.

1972 წელს გივი მარგველაშვილს ბინაზე ეწვია საქართველოში სტუმრად მყოფი ცნობილი გერმანელი მწერალი, ჰაინრიხ ბიოლი. მასზე შთაბეჭდილება მოახდინა რომანმა "კაპიტანი ვაკუში", მაგრამ რადგანაც ბიოლის ვიზიტი სუკის უმკაცრესი (და აშკარა) მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა, მან ვერ გაბედა ხელნაწერის თან წაღება.

1983 წელს გივი გაიცნო გერმანელმა მომღერალმა, აღმოსავლეთ გერმანიის ოპოზიციური შემოქმედებითი წრეების წარმომადგენელმა **ეკეჰარტ მაასმა**. ამის შემდეგ იგი ყოველწლიურად ნახულობდა მწერალს და ეცნობოდა მის ხელნაწერებს. "პერესტროიკის" პერიოდში მან გივი მიიწვია ბერლინში, დაუთმო თავის ბინაში ერთი ოთახი და დაეხმარა პირველი წიგნის გამოქვეყნებაში. საერთოდ, იკისრა ერთგვარი მდივნისა და მენეჯერის როლი.

1990 წელს ბერლინის კედლის აღების შემდეგ გივი მარგველაშვილმა პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ მაშინვე მოინახულა თავისი ბავშვობის სახლი დასავლეთ ბერლინში გიუნტცელშტრასეზე, საიდანაც მამასთან ერთად გაიტაცეს ნახევარი საუკუნის წინ, და სადაც ახლა უკვე, ბუნებრივია, სხვები ცხოვრობდნენ.

1991 წელს გივი მარგველაშვილი მიიწვიეს ქ. საარბრიუკენში "ქალაქის მწერლის" სტატუსით (შტადტშრაიბერ – გერმანიაში დამკვიდრებული ტრადიციით ქალაქი ინვევს რომელიმე მწერალს გარკვეული ვადით, უზრუნველყოფს სტიპენდიითა და საცხოვრებლით, იმ პირობით, რომ მან შექმნას რაიმე ნაწარმოები ამ ქალაქის თემაზე). მას იწვევენ საერთაშორისო ლიტერატურულ კონფერენციებსა და კონგრესებზე.

1991 წელს იწყება მისი რომანების გამოცემა გერმანიაში. პირველი ლიტერატურული პლაკატი ასე წარმოადგენს მწერალს: **"გივი მარგველაშვილი — ლიტერატურული აღმოჩენა — საქართველოდან!"**

გივი მარგველაშვილის შემოქმედება მაშინვე იპყრობს გერმანიის ლიტერატურული ელიტის ყურადღებას და მაღალ შეფასებას იმსახურებს. იგი ხდება ჰაინრიხ ბიოლის ფონდისა და DAAD-ის სტიპენდიანტი.

1992 წელს მას კვლავ გაუკეთეს თირკმლის ურთულესი ოპერაცია, ამჯერად, ბერლინში. მე და ჩვენი ქალიშვილი ჩავდივართ და ორი თვის განმავლობაში ვუვლით მას ჯერ კლინიკაში, შემდეგ სახლში.

1994 წელს გივი მარგველაშვილს მიანიჭეს გერმანიის მოქალაქეობა.

(საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ბატონ თედო ნინიძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო მინისტრო!

მოგახსენებთ, რომ, მე, გივი ტიტეს ძე მარგველაშვილი, დავიბადე 1927 წლის 14 დეკემბერს ქ. ბერლინში, სადაც ვცხოვრობდი და ვსწავლობდი 1946 წლამდე. 1946 წელს საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებმა მამაჩემი–ტიტე მარგველაშვილი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე, – და მე, დაგვაპატიმრეს. 1947 წლიდან ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ქ. თბილისში.

1990 წლიდან მომეცა საშუალება მეტ–ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდულობით მეცხოვრა გერმანიაში. რადგანაც მე გერმანულენოვანი მწერალი ვარ და ჩემი დიდი მოცულობის მხატვრული და ფილოსოფიური შემოქმედების გამოქვეყნება მხოლოდ გერმანიაშია შესაძლებელი, – ამდენად, ჩემთვის აუცილებელია ამ ქვეყანაში ყოფნა. ამას ემატება ისიც, რომ ჩემი შერყეული ჯანმრთელობის გამო აქ ვიმყოფები მუდმივი სამედიცინო კონტროლის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ლიტერატურული წრეების შეამდგომლობითა და სპეციფიური მდგომარეობის გათვალისწინებით გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა მომანიჭოს ამ ქვეყნის მოქალაქეობა. მაგრამ გერმანიის კანონმდებლობა კრძალავს ერთდროულად ორი სახელმწიფოს ქვეშევრდომობას, რის გამოც იძულებული ვარ მოგმართოთ თხოვნით — გამათავისუფლოთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისაგან (რაც თავისთავად არ შეესაბამება ჩემს შინაგან მოთხოვნილებას, რადგან ორივე ქვეყანას ჩემს სამშობლოდ ვთვლი).

პატივისცემით და წინასწარი მადლობით გივი მარგველაშვილი. 10.მაისი. 1994 წ.

1994 წელს ბუენოს-აირესიდან ბერლინში ჩადის ლიზი მარგველაშვილი. 48 წლიანი განშორების შემდეგ და-ძმამ პირველად ნახა ერთმანეთი.

გივი მარგველაშვილს ენიშნება გერმანიის პრეზიდენტის საპატიო სტიპენდია. იგი პენ-კლუბის წევრია. 1994 წლით იწვევენ **ქ. რაინსბერგში** "ქალაქის მწერლად". აქ ის იწყებს ახალ რომანს ("კანტაქტი"). 1995 წელს მას მიენიჭა **"ბრანდენბურგის საპატიო ლიტერატურული პრემია": "მთელი მისი შემოქმედებისათვის". 1997წ. — ბერლინის ლიტერატურისა და ხელოვნების პრემია".** 1995-96 წლებში იგი მიიწვია ფედერაციული გერმანიის პრეზიდენტმა ჰერცოგმა Bellevua-ს სასახლეში. მას გამუდმებით იწვევენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და ა.შ. თავისი ნაშრომებისა თუ ლექციების წასაკითხად.

უკვე ასაკოვანი მწერალი სევდით აკვირდება საქართველოს სახესა და ბედ-ილბალს ევროპის სარკეში, საქართველოს ბედს, რომელსაც შეეწირა მისი მშობლების სიცოცხლე და მისი ახალგაზრდობა, და წერს:

„თითქმის ისეთივე პრობლემებია, როგორიც ჩემი „ვაკუშის" პირველ ტომში, ჩემს პირველ რომანში, რომელიც საქართველოში დავიწყე და რომელშიც 1917–1921 წლების ქართული ემიგრაციის გერმანიაში ცხოვრებას ავღწერდი. დღეს საქართველო ისევ უცნობია ევროპაში, როგორც მაშინ იყო, აქ ისევ არის ქართული ემიგრაცია, ახალი ემიგრაცია, რომელიც სულ უფრო იზრდება, რადგან საქართველოში ნორმალურად ცხოვრება ისევ შეუძლებელია. და ის ძველი ემიგრანტები, რომლებმაც ბავშვებმა დატოვეს საქართველო, ან აქ დაიბადნენ და რომლებიც უკვე დაბერდნენ და კვდებიან, მაშასადამე ოფივე „კოლხიდური ვარტბიურგერობა". („კაპიტან ვაკუშის" ცნებათა სისტემაში „ვარტბურგი" – სიტყვა-სიტყვით „მოლოდინის ციხე-სიმაგრე" – ნიშნავს ადამიანის, ოჯახის ან ხალხის მიერ აგებულ სულიერ თუ ფიზიკურ თავშესაფარს, – სადაც ის ცხოვრობს, ემალება ან უპირისპირდება სახელმწიფოს, სისტემას, ცხოვრებას. „კოლხიდური ვარტბიურგერობა" – ქართული თავშესაფრის მოქალაქენი). ახალი ქართული ემიგრაცია და მის ფონზე დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა არის თემა რომანისა „კანტაქტი", რომელიც როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, გივი მარგველაშვილმა გერმანიაში დაიწყო და უკვე დაამთავრა.

P.S.

1997 წელს ექვსწლიანი განშორების შემდეგ უკვე „თავისუფალ და დემოკრატიულ" საქართველოში ჩამოსულ გივი მარგველაშვილს ძნელად თუ რაიმე მიაყენებდა ისეთ ტრამვას და გაუცოცხლებდა მისი ოჯახის თავს დატეხილ ტრაგედიას, როგორც ეს მოახერხა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჩვენს მიერ სშირად ციტირებულმა გაზეთმა: „სრულიად არასაიდუმლოდ". აქ გამოქვეყნებულ სტატიაში („მედლის ორი მხარე") გამოყენებულია საიდუმლო დოსიეები და შესაშური სკრუპულოზურობი თარის გადმოცემული ქართული ემიგრაციის სამი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის: **ვალერიან ტოგონიძის, კორნელი ხოშტარიასა** და **ტიტე მარგველაშვილის** ყოველი ნაბიჯი გერმანიაში (რაც ჩვენი საჯაშუშო ქსელისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმართა დაკითხვის ჩეკისტურ ვირტუოზულობაზე მიანიშნებს), ასევე თბილისში გამართული სასამართლო პროცესის ფინალური მონაკვეთი – მათთვის სასჯელის უმაღლესი ზომის – დახვრეტის შეფარდება. განსაცვიფრებელია სტატიის ავტორთა (ი.ხომერიკი, ნ.გველესიანი) აზრობრივი და ზნეობრივი უპოზიციობა, უფრო სწორად, სრული დეზორიენტირებულობა, გამოვლენილი და ამავე დროს კომპენსირებული თუნდაც განაჩენის, სიტყვა-სიტყვით გადმოცემული, შემზარავი ეფექტით, რაც ერთგვარი, გაუცნობიერებელი სადიზმის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, რაკი არავითარი პრობლემური დატვირთვა არ გააჩნია:

ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკულად იყოს შეფასებული უშიშროების სამსახურების აღვირახსნილი ძალმომრეობა, ან გაანალიზებული ამ სისასტიკის მექანიზმი, ან გამოხატული სინანულის, თანალმობის, ან აღშფოთების შემცველი რაიმე ემოცია; საერთოდ, ამ მასალის საფუძველზე დასმული იყოს რაიმე აქტუალური, ზოგადი პრობლემა – ახალგაზრდა ავტორები, და შესაბამისად, თავად გაზეთი, თუნდაც უკვე სათაურით **„მედლის ორი მხარე"** ფაქტობრივად ამ ძალმომრეობის გამართლებას ემსახურებიან. სტატიას ახლავს „მხატვრობა" – უზარმაზარი სვასტიკის გულში მოთავსებული ცარიელი, უაზრო სახე – ამით ავტორები, ისევე როგორც საქართველოს სპეცსამსახურების მოხელეები, ფაშისტურ ხელისუფლებასთან კავშირში ადანაშაულებენ რეალურად საქართველოსთვის თავდადებულ სამ ადამიანს: მათ მართლაც ჰქონდათ კავშირი მაშინდელი გერმანიის ოფიციალურ ხელისუფლებასთან, მაგრამ ამ კავშირის იმპულსი სწორედ საქართველოზე ზრუნვა იყო. თავი დავანებოთ იმასაც, რომ ემიგრანტები, გერმანიის უუფლებო ხიზნები – უარს ვერ იტყოდნენ გერმანიის მთავრობის შეთავაზებაზე, ეთანამშრომლათ მასთან, მით უფრო, რომ ეს არგუმენტირებული იყო იმით, რომ ასე სჯობდა საქართველოსთვის, ქართული ემიგრაციისათვის. და ქართული ემიგრაციის ლიდერთა მიერ ქართული ტყვეების გამოხსნა და მათგან დივიზიის ჩამოყალიბება – ეს ნიშნავდა, რომ ისინი ეხმარებოდნენ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ქართველებს, ცდილობდნენ ფიზიკურად გადაერჩინათ ისინი, კვებავდნენ და უვლიდნენ, და გარდა ამისა, **ამით თადარიგს იჭერდნენ, რომ საქართველოს, მისი ოკუპაციის შემთხვევაში, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მისდგომოდა.** და აბა, ვის შეეძლო მაშინ მთელი მსოფლიოში დაბეჯითებით ეთქვა, რომ ჰიტლერის მიერ საქართველოს ოკუპაცია გამორიცხული იყო?

თავისთავად, ნაციონალსოციალისტები და ფაშიზმი რომ მიუღებელი და საძულველი იყო ტიტე მარგველაშვილისათვის, ამაზე თვითონ სტატია მოგვითხრობს: კერძოდ, თუ როგორ დაუნდობლად და გაბედულად ებრძოდა ტიტე მარგველაშვილი (ასეთი გაბედულება კი სიცოცხლის რისკს ნიშნავდა) ნაციონალსოციალიზმის (ანტისემიტიზმისა და ანტიდემოკრატიულობის) ყოველგვარ გამოვლენას გერმანიაში, – მაგრამ ეს თავად სტატიის ავტორებს არაფერს ეუბნება, თითქოს არც ჰქონდეთ წაკითხული საკუთარი წერილი, მაინც სვასტიკით ასურათებენ ტექსტს! მათგან ეს არის ტიტე მარგველაშვილის მოღვაწეობის საბოლოო „შეფასება". ავტორებმა დღემდე არ იციან, რომ ანტისაბჭოთა მოღვაწეობა (რის საფუძველზეც დახვრიტეს ათასობით ღირსეული ქართველი) ანტიქართულ მოღვაწეობას არ ნიშნავს. პირიქით, – ანტისაბჭოთა მოვალეობა ეს იყო ემიგრანტთა მოვალეობა, რადგანაც ისინი უცხოეთში, ასე თუ ისე, სამშვიდობოს იმყოფებოდნენ, ხოლო მათი სამშობლო და ახლობლები განწირულნი იყვნენ უსასტიკესი ძალის მარწუხებში. მათი ზნეობრივი ვალი იყო ყოველნაირად, მთელი მსოფლიოს გასაგონად ემხილებინათ, თუ რა ძალამ ჩაიგდო ხელში და გაანადგურა მათი სამშობლო. და თუ ისინი ნაციონალსოციალიზმის წნეხის ქვეშ მოხვდნენ, ეს მათი უბედურება იყო, რომლის გამოყენებასაც საქართველოსთვის სასიკეთოდ ცდილობდნენ. **ეს იყო ორ ცეცხლს (ფაშიზმსა და საბჭოთა სოციალიზმს) შორის მოხვედრილი ადამიანების სასოწარკვეთილი მცდელობა, თვით ამ ქაოსში და ძალმომრეობაშიც რაღაც სასარგებლო გაეკეთებინათ სამშობლოსთვის.** როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ისინი თადარიგს იჭერდნენ იმ შემთხვევისათვის, თუკი ჰიტლერი საქართველოს დაიპყრობდა. ამასვე ემსახურებოდა (სტატიაში აღწერილი) ტიტე მარგველაშვილის თავდაუზოგავი შრომა, რითაც იგი წინ აღუდგა გერმანიაში გაჩაღებულ ანტიკავკასიურ, (და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე ანტიქართულ) კამპანიას – რაც „მტრისა-ტოლ" შემქმნელ, მაშასადამე, შესაძლო მსხვერპლის წინასწარ დამნაშავედ გამოცხადებას ისახავდა მიზნად. ავტორები და მათი გაზეთი ალბათ ვერ ხვდებიან, რომ ამ შემზარავ დრამაში დამნაშავენი არიან სწორედ ის ქართველები, რომლებმაც ეს სამი ადამიანი, საქართველოს ღირსეული, უღბლო, უსამშობლოდ დარჩენილი შვილი ბანდიტურად მოიტაცეს ბერლინში, აქ ყოველგვარი ელემენტარული კანონის გაქელვით ბუნკერში ჩაყარეს, აწამეს და კონსპირაციული სასამართლო-ფარსის შემდეგ დახვრიტეს. განა დამოუკიდებელი საქართველოს გამყიდველების, ოკუპანტების შთამომავალთ უფლება ჰქონდათ ვინმეს დანაშაულზე ელაპარაკათ და გაესამართლებინათ – მით უფრო სამშობლოს ღალატში დაედანაშაულებინათ ისეთი პიროვნება როგორიც ტიტე მარგველაშვილი იყო, რომლის წესიერება, განათლება და პატრიოტიზმი სუკის და არა მხოლოდ სუკის ყველა თაობას გადასწვდებოდა სულიერ საზრდოდ. ანდა საერთოდ რა საშიშროებას წარმოადგენდა ტიტე მარგველაშვილი საბჭოეთისათვის გერმანიის დამარცხების შემდეგ? თუნდაც მხოლოდ ეს სტატია („მედლის ორი მხარე"), არის ორდინალური ნიმუში სუკის მემკვიდრე სუსის იმ მოჩვენებითი გულახდილობისა, იძულებით ხარკად რომ ეხდება მის თავს დატეხილ დემოკრატიას. ხარკის გადახდა კი, რა თქმა უნდა, ძალიან უხალისოდ და უნიჭოდ ხორციელდება. როგორც გითხარით, სტატიაში გამოყენებულია დოსიეები (რაც სტატიის და საერთოდ გაზეთის ძირითად და მომგებიან „კოზირს" წარმოადგენს), **მაგრამ თუკი ბოლშევიკების მიერ რეპრესირებულ, განადგურებულ ადამიანებზე წერა განიზრახე, ის არ უნდა იყოს მთავარი, რომ მსხვერპლთა სიებისა და დაწვრილებითი დოსიეების გვერდით, ბოლოს და ბოლოს, ჯალათთა დოსიეებიც გახსნა,** განა ამისთვის არ უნდა იბრძოდეს ყველა ნორმალური გაზეთი და საზოგადოება. აქ ისიც კია ნათქვამი, ტიტე მარგველაშვილს ბერლინის რომელ საბავშვო ბაღში დაჰყავდა თავისი შვილი – გივი, სამაგიეროდ სამარისებური დუმილითაა გვერდი ავლილი იმ ფაქტისათვის, თუ რა უყვეს გივის, მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს მამასთან ერთად. თუ მამის დადანაშაულება ფორმალურად მაინც შეიძლებოდა, რა დანაშაული მიუძღვოდა ბერლინში დაბადებულ ბიჭს, ბუნკერში და მოგვიანებით საკონცენტრაციო ბანაკში რომ უკრეს თავი და სასიკვდილოდ გაწირეს, ხოლო შემდეგ, უკვე საქართველოში, სიცოცხლე გაუმწარეს მუდმივი დევნით! მაგრამ ამ ფაქტის გახსენება შეუძლებელს გახდიდა სათაურსა და პოზიციას: **„მედლის ორ მხარეს"**.

ცხადია, ასევე ბოლომდეა გასაიდუმლოებული დაპატიმრების ვითარებაც: როგორ, რა ხერხებით დააპატიმრეს ეს სამი ადამიანი ბერლინში, ვინ ჩაიფიქრა და ვინ აღასრულა ეს საქმე, ვინ იყო გამოყენებული ამ საქმის წარმატებით განხორციელების მიზნით? განა ეს არ უნდა იყოს მთავარი გაზეთისთვის, რომელიც თავის თავს უწოდებს – „სრულიად არასაიდუმლოდ". – **და თუ იცი, რომ მთავარ საიდუმლოს შენი უწყება მის დღეში არ გაამხელს, მაშინ, ცოტა სხვა სახელს მაინც ვერ დაირქმევ (ვთქვათ, ნახევრად საიდუმლოდ")?** აბა, ისე რა აზრი და მიზანი ჰპონდა ხსენებულ „უურნალისტურ მოკვლევას"? რას ემსახურება იგი? რომ სამი ადამიანის დაპატიმრების, გასამართლებისა და დახვრეტის დოკუმენტურად გაცოცხლებული ფაქტებით განმეორებით გაეგვირათ გული დახვრეტილთა შვილებისა და შვილიშვილებისათვის, როგორც ეს მოახერხეს ტიტე მარგველაშვილის შვილისა და შვილიშვილის შემთხვევაში? აქ არსებითი ალბათ ის არის, რომ რაც ჯერ კიდევ 10-15 წლის წინათ აქსიომა იყო საბჭოთა იმპერიის ყველა ნორმალურად მხედი ადამიანისათვის, დღეს, „დემოკრატიული" საქართველოს „დემოკრატიული" გაზეთისათვის უკვე გაუგებარია: კერძოდ ის, რომ ტ. მარგველაშვილი ღირსეული პიროვნება იყო, მისი საბჭოთა მომტაცებელნი და მსაჯულნი კი – მკვლელები და ჯალათები.

შესაბამისად, ავტორთა მთელი გულმოწყალება იმით ვლინდება, რომ სთხოვენ მკითხველს, „მეტისმეტად მკაცრად ნუ განსჯიან..." არა მკვლელებს, არამედ მსხვერპლთ!!! ასეთი „დიდსულოვანი" უესტით ემშვიდობებიან ავტორნი მათ მიერ სისხლიანი ისტორიიდან გამოხმობილ სამ ტანჯულს — **ვინ არიან ყველანი ისინი, მოღალატეები თუ პატრიოტები? ალბათ არც ერთნი და არც მეორენი... უბრალო, ჩვეულებრივი ცოდვილნი უფრო არიან"**. აი, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმსახურა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა, საქართველოს ერთგულმა შვილმა, რომ ჩვენი პატრიოტობის ბურჯმა სუკ-მა და მისმა გაზეთმა – პატრიოტის კვალიფიკაციაც კი არ აღირსეს! (თან შეუსაბამობა: თუ მოღალატეები არ იყვნენ, მაშინ მათი დამსჯელები არიან დამნაშავენი და სტატიაც ამაზე უნდა დაწერილიყო!).

ერთი სიტყვით, ძნელია თავი დაადგა ღირებულებების, კრიტერიუმების, ნორმების ამ ქაოსს... ეს არის დიფუზიური ქართულ-საბჭოთა მენტალიტეტი, რომელსაც არა აქვს უნარი და სურვილი გაარჩიოს, რა არის კარგი და რა არის ცუდი, რა შეიძლება და რა არ შეიძლება, რა არის დანაშაული, რა შეცდომა და რა იძულებითი ნაბიჯი. სულაც არ გამოვრიცხავთ, რომ ჟურნალისტებს კეთილი იმპულსი ამოძრავებდათ. სურდათ საზოგადოებისთვის გაეხსენებინათ სამი რეპრესირებული მოღვაწე, მაგრამ ზნეობრივმა ქაოსმა მათში და მათ გარეთ – აზრობრივ-ზნეობრივი აბსურდი მოგვცა, რაც ვერც განხილულ სტატიას, ვერც თვით გაზეთს, ცხადია, ორიგინალურობას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ანიჭებს ჩვენი მასმედიის ზღვაში.

მაგრამ, რაც ნამდვილად ორიგინალური და უპრეცედენტოა, არის, ის რომ სუკის გაზეთის კოლეგიაში ცნობილი ქართველი მწერლები მოღვაწეობდენ და მათი თაოსნობით სულ ახლახან ერთგულების ფიცით განმტკიცებული, ისეთი ჯგუფური სიყვარული გადმოიფრქვა ამ და სხვა გაზეთების ფურცლებზე უშიშროების სამინისტროსა და მისი შეფის მიმართ, რაც ნამდვილად არც ერთ ქვეყანას არ ღირსებია!

ჩვენი კულტურის ნომენკლატურული ელიტა: მწერლები, პოეტები,მსახიობები და სხვა დაუპირისპირდნენ დემოკრატიული პრინციპების დამცველ ჟურნალისტს, რომელმაც ფაქტებით ამხილა უშიშროების მინისტრის ანტისამართლებრივი ქმედებანი! მერე რა რომ, ეს მხილება მართალი აღმოჩნდა და მალე მინისტრი დაითხოვეს! ნომენკლატურულ ელიტას სულაც არ უგრძვნია თავი უხერხულად! აი, ასეთ ვითარებაში, დამწყებ ჟურნალისტებს რომ ამდენი რამ ეშლებოდეთ და ირგვლივ ზნეობრივი ქაოსი სუფევდეს, – რაღა გასაკვირია! ან რაღა გასაკვირია, **სუს**-ი ისევ რომ რჩება მისტიურად გაუმჭვირვალე სტრუქტურად, რომლის სათავეშიც წარამარა სხვადასხვა რანგის დამნაშავენი ექცევიან და რომელიც აღძრავს საფუძვლიან შიშს, რომ მისი სული „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“..

ხოლო სტატიის ავტორებს შევახსენებ ზემოთ უკვე აღნიშნულ ფაქტს, რაც, ცხადია, არცერთ დოსიეში არ იქნება დაფიქსირებული: ტიტე მარგველაშვილს სთავაზობდნენ მოენანიებინა და საბჭოთა იდეოლოგიის შესაბამისი ლექციები წაეკითხა უნივერსიტეტში. მან უარი განაცხადა: სიკვდილი არჩია ბოლშევიკური საქმის კეთებას, საქართველოს დამლუპველთა სამსახურში ჩადგომას და ახალგაზრდობის მოტყუებას მარქსიზ-ლენინიზმით შეზავებული ფილოსოფიითა და თუ ისტორიით, რასაც უმტკივნეულოდ ეწეოდნენ მეცნიერ-პედაგოგთა მთელი თაობები, მათ შორის ისიც, ვინც მის დალუპვას ნებით თუ უნებლიედ შეუწყო ხელი.

ხოლო ასეთი საქციელი, ზნეობის ელემენტარული გაგებით, გმირობის ტოლფასია.

* * *

„საშინელი, საზიზღარი წერილი!“ – წამოიძახა გაფითრებულმა მწერალმა და ფილოსოფოსმა გივი მარგველაშვილმა, როცა ხსენებული სტატია წაიკითხა...

რას ვიზამთ, საქართველო ჯერ კიდევ შორს არის განახლებისაგან, რადგან **განახლება მწარე სიმართლით იწყება,** ხოლო ჩვენი უახლოესი წარსული – უშუალო მიზეზი ჩვენი აწმყოსი, – ისევ გასაიდუმლოებულია – ნახევარსიმართლეებითაა კარგად შენილბული. ამით კი განკურნება გადავადდა....

ევროპაში ქართული ემიგრაცია იზრდება, როგორც უკვე მოგახსენეთ, გივი მარგველაშვილის ცენტრალური ავტობიოგრაფიული თემა ისევ დაბრუნდა მის რომანებში: **ემიგრაცია უაწმყოო ქვეყნიდან.**

თუმცა უნდა ვაღიაროთ, წინსვლა მაინც არის: ნაკლებ დასაჯერებელი ჩანს, რომ მწერალი მეორედაც მოიტაცონ გერმანიიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მარგველაშვილი — მე წიგნის გმირი ვარ

ძველი, დავიწყებული გზა

ჰაი, ძვირფასო მკითხველო, – აი, მცირეოდენი ოქრო, გუნდრუკი და მური. აიღე და შეუერთდი იმ ქარავანს! ესენი აღმოსავლელი ბრძენები არიან. ისინი მიდიან... ჰო, მართლა, სად მიდიან? შეგიძლია მიპასუხო? არა? ო-ო-ო... ეი. დაგვიწყებია. დიდხანს, ძალზე დიდხანს მიედინებოდა შენი უაზრო კითხვა-ცხოვრება უბადრუკ წიგნთა საუფლოში.

მაგრამ, მოიცა! ეგებ გაიხსენო!? აი, აქ ერთი სახედარია. შეაჯეჭი და გაჰყევი ბრძენებს. მათ ნამდვილად მიიყვანს ვარსკვლავი იქ, სადაც მიდიან. გზის დაკარგვა გამორიცხულია. მაგრამ, მითხარი, ისევ არ იცი, სად მიდიან? ვერ გაიხსენე? ვერა? ოო, ძალიან ცუდი. ძალიან. რადგან ხომ უნდა იცოდე წესით, საით და ვისკენ გაუწევიათ.

ოჰ, ღმერთო ჩემო! ახლა კიდევ შენი ვირი გაჯიუტდა! დადგა და აღარ მიდის. მაგრამ ხომ ხედავ, აქედან ხომ ხედავ სამ მეფეს, იმ დიდ ვარსკვლავს რომ მიჰყვებიან? მოდი, გავიხსენოთ: მაშასადამე, სად მიდიან? დაძაბე, დაძაბე მეხსიერება, გამოიხმე ძველი ცოდნა მისი სიღრმიდან. ეს გზა ხომ ერთხელ შენც გაიარე, თუმცა, მრავალი, მრავალი წლის წინ! და, იცი! ისევ გაივლი, თუ მოინდომებ. სხვებიც გაივლიან, თუკი მართლა მოისურვებენ.

მაშ, ასე: გულით მოიწადინე! ჩადი, ჩაიძირე შენს წარსულში, ფიქრით ჩაღრმავდი... იჩქარე! რადგან ჯერ ისევ მოსჩანს ვარსკვლავი და მინდობილად მიმავალი ბრძენი მეფენი, ჯერ კიდევ შეგიძლია დაეწიო მათ და შეუერთდე.

წიგნის გმირების დროული გადასახლება

ადგილი: მათეს სახარება, ბეთლემი,
დრო: ყრმათა გაჟლეტის წინა დღე

კაცი გამალებით მიაქანებს აჭრიალებულ ოთხთვალას ქალაქის ჭიშკრისკენ. ოთხთვალაზე მოსასხამში გახვეული, ერთიანად შებურული ქალი ზის. ესენი სახარების პერსონაჟები: იოსები და მარიამი არიან. მარიამს შიშნეულად ჩაუკრავს მკერდში მთვლემარე მაცხოვარი, ცხოვრებისეულ-წიგნისეული პირმშო თავისი. ისინი ეგვიპტეში გარბიან.

იმავდროულად იმავ ადგილიდან მათრახების შხუილსა და აღელვებულ შეძახილებში საწინააღმდეგო მიმართულებით მიისწრაფის კაცებით, ქალებითა და (ორ წლამდე) ყრმებით ავსებულ საზიდართა გრძელი რიგი. მათ მიუძღვებიან წიგნის სამყაროს მმართველობის მიერ წარგზავნილი წინამძღოლები. ესენი რეალური ადამიანები და გამოცდილი მეგზურნი არიან, რომელთაც კარგად იციან წიგნის სამყაროს სხვადასხვა მხარეუბნების შემაერთებელი გზა-ბილიკები. მათ მშობლიური კუთხიდან აყრილი მშობლები და ყრმანი ლუკას სახარებაში გადაჰყავთ, რადგან აქ არ ხდება ყრმათა გაჟლეტა და უასაკო ლტოლვილებს წიგნის სამყაროს ამ მხარის ისტორია ხიფათს არ უქადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე საათის წინ

რადგან წინასწარ იხილა მ ა ნ მეცხრე საათი,
როს შეჰღალადა ნაწამებმა:
მამავ, რისთვის მიმატოვეო. –
ითხოვა მაშინ არიდება სასუმელისა.

ბაღში ღრმა, ლურჯი ღამე ესვენა
და მოწაფეებს ჩასძინებოდათ.
და დიდხანს, დიდხანს არავინ სჩანდა.
ო, ნუთუ ზეცამ მშვიდობიანად
გადაუწყვიტა ბედი მახვეწარს?

მაგრამ უეცრად იარაღის ჟღარუნი ისმა,
იმძლავრა ხმებმა, მახვილთა ბრწყინვამ
და მიხვდა ი გ ი :
შეუნდო მამამ.

შთაბეჭდილებათა ბეჭედი

აღელვებას მოუცავს მოგონების საუფლოს ბინადარნი. ყველა დაზაფრულია. თითქოს მოგონების სამყაროს მეხი დასცემოდეს. ჩემს მოტორიან ნავს მათკენ მივმართავ, ვუახლოვდები და ვეკითხები: „რა მოხდა?"

– წუთის წინ ცნობიერების ნაკადის პოლიცია იყო აქ, – მიამბობენ დაზაფრული ხმით – და... და... და...

– და ის დააპატიმრეს, – ტირის ერთი მოგონების ქალი. – ახლა როგორღა ვიცოცხლოთ **ქრისტეს** გარეშე? როგორ?

– კი მაგრამ რისთვის დააპატიმრეს? – ვკითხე განცვიფრებულმა. – ასეთი კარგი ადამიანი! განა ის საუკეთესო და სანიმუშო არ იყო ცნობიერების ნაკადის ბინადართა შორის?

– იცით რა, – მეუბნება ერთი მოგონების კაცი, – მას საბუთები არ ჰქონდა, პასპორტი, პირადობის მოწმობა და იმ არამზადებისათვის ეს საკმაო მიზეზი იყო...

– ოჰ! მათ კარგა ხანია ის მიზანში ჰყავდათ ამოღებული! – მრისხანედ ერევა საუბარში ლამაზი, მტირალი მოგონების ქალი, – გაიხსენეთ, როგორ სდევნიდნენ, როგორ წამდაუწუმ იძახებდნენ პოლიციის განყოფილებაში, როგორ აწამებდნენ და ბოლოს როგორ მიუსაჯეს შინა პატიმრობა ერთი კვირის წინ! რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ის ჩვენს შორის უსაბუთოდ იმყოფებოდა...

– რა უაზრობაა! – იძახის ვილაც, – მოსთხოვო **ქრისტეს** შთაბეჭდილების ბეჭედდასმული საბუთები, პირადობის მოწმობა და შეეკითხო, როდის მოხვდი ჩვენს აღქმაშიო? ეძებო ჩვენს ცნობიერებაში მისი პირველად შემოსვლის ანაბეჭდები, ცნობიერების ნაკადის ვერცერთ ქვეყანაში ვერავინ იტყვის, როდის და როგორ ჩნდება იგი აღქმაში.

– თავად რაღა თქვა? – ვკითხულობ სუნთქვაშეკრული – განა არ აუხსნა თავისი უსაბუთობა?

– რა თქმა უნდა! – ერთხმად მპასუხობენ მოგონების ქვეყნის ბინადარნი, – მე ხომ თქვენი იდეალი ვარო, – წყნარად უპასუხა, – მე ხომ ტექსტიდან და ლოცვიდან ვარ ქმნილი და არა მოგონების მასალისგანო. მე ხომ წარმოშობით რეალური აღქმიდან არა ვარ, მე ხომ აღქმიდან არ აღმოვცენდები ადამიანთა ცნობიერების ნაკად-წყაროებშიო.

– და მერე? – ისევ ვკითხულობ აღელვებული, – რა მოხდა მერე?

– მაშინ დაპატიმრებული და დავიწყებული იქნებიო! – ასე უპასუხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ გარეწრებმა სიცილ-სიცილით... – ვისაც არ გააჩნია პირადობის მოწმობა, სადაც შთაბეჭდილების ბეჭედია დასმული, რომელიც გვიჩვენებს, როდის და როგორ აღიქვეს პირველად, ასეთ პირს უფლება არა აქვს ცნობიერების ნაკადში ყოფნისაო. და წინო! – დასძახეს. ისე სწრაფად მოაშორეს აქაურობას. ჩვენი დალოცვაც კი ვერ მოასწრო.

– მოითმინეთ! ისევ დაბრუნდება! – წამოვიძახე ნუგეშად.

– როდის? როდის? – ერთხმად აღმოხდათ მოგონების ქვეყნის ბინადართ.

– როდესაც ცნობიერების ნაკადს უკეთესი მმართველობა გამოუჩნდება! აი მაშინ! მოიცადეთ, ესეც იქნება! – მივაძახე და მოვშორდი ნაპირს.

არ ვიცი, გაიგონეს თუ არა ჩემი სიტყვები. მე მგონი – ვერა. ცნობიერების ნაკადი იმ წუთში და იმ ადგილას განსაკუთრებით ამღვლვარდა და ჩემი ნავი დიდ მანძილზე მოსწყვიტა ნაპირს.

იხსენი შენი ცოცხალი მკვდრები!

გათხარე შენი ხსოვნის წიაღი.
შემდეგ: იპოვე ასე დიდი ხნის
დამარხული და დავიწყებული
ადამიანი!
მიეხმარე: ჩაასუნთქე, ამოასუნთქე,
და მოგონების ნაზი მიდამოს
ჰაერი ისევ აუვსებს ფილტვებს.
და აი, ისევ ამეტყველდება (როგორც ოდესღაც)
და აი, წელში გაიმართება
და გაივლის (როგორც ოდესღაც)
და გაიღვიძებს და მოგიყვება,
რაც სათქმელი აქვს,
გაგაცინებს და დაგაღონებს.

და მხოლოდ მყარი დაპირებით მოშორდი ისევ:
რომ მოგონების გზა-ბილიკი, რომელიც მისკენ
გაგიყვანია, არ წაიშლება,
რომ ამ ბილიკით ისევ ხშირად მოინახულებ,
რომ შენი ფიქრის თვითმფრინავის მრგვალი სარკმლიდან
ზოგჯერ იმასაც დაანახვებ შენს აწმყო ყოფას.
მოკლედ: რომ იმას დაიმგზავრებ შენს ცხოვრებაში,
ვიდრე იცხოვრებ.

ეჰ, რამდენი წევს
ხსოვნის მძიმე სასაფლაოზე
და ელის, ელის მკვდრეთით აღდგომას.
ნულარ აყოვნებ, აიღე ბარი,
და თხარე, თხარე – ფხიზლად, სათუთად –
დამარხული სიცოცხლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერების ნაკადი და დენა

ნაკადი ჩემი ცნობიერების
უცხო ნაპირებს შორის მიილტვის,
რკინის ამწეებს
მიმართულება
შეუცვლიათ კალაპოტისთვის,
და, ღმერთო ჩემო,
ისიც არ ვიცი,
თუ საით მიდის.
უცხო მგზავრები
თუ ურიცხვი სატვირთო გემი,
მას ალმა-დალმა
რომ დაუყვება,
სხვა თავებიდან წარმოიშვება.
და კაპიტანიც
კი არ არის ჩემი ნაცნობი...
რაღა მეკუთვნის ამ ნაკადიდან?
მარტოდენ – დენა.
მაგრამ ამასწინ
დაახვავეს რკინა-ბეტონი
და ალმართეს მაღალი ზღუდე
და დააგუბეს:
ელსადგური უნდა ააგონ, –
თურმე მე უნდა გამანათოს იმ ელსადგურმა.

* * *

მეხსიერება –
ჩვენი უმთავრეს-უპირველესი
სახელმძღვანელო;
წიგნი – საკითხავი,
წიგნი – სასიცოცხლო
სურათებიანი.
მეტყველება –
უკვე წერაა,
თხრობა კი –
კითხვა ხმამაღალი:
მხოლოდ წიგნს შეუძლია
წიგნის გამოგონება
მხოლოდ წიგნს შეუძლია
წიგნით ცხოვრება.
მაგრამ:
მეხსიერების წიგნს დავიწყება სჭირს,
ქაღალდის წიგნი კი არაფერს ივიწყებს.
ჩვენი ეპოქის მთავარი პრობლემა:
გამოვიგონოთ
მეხსიერების წიგნის ქაღალდი
რათა აღვბეჭდოთ ყველა ძველი და
სასიკეთო ჭეშმარიტება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ-შემოდგომა

ეს პოეტური შემოდგომის სურათია. ფრთხილად დავიარები მის სივრცეში.

ეს არის ვითომ-შემოდგომის სანახი. სინამდვილეში იგი არ არსებობს. მნიშვნელობის არე(-მარე) გაუვალია. წყალგაუმტარ, სქელ ჩექმებში გამონყობილი ტყიან ფერდობზე ავდივარ. მაგრამ აქ არაფერია სველი და, სხვათა შორის, სულაც არ ცივა. ჯიბიდან ამომაქვს შემოდგომის ლექსი და კიდევ ერთხელ ვამოწმებ (ის ხომ მოკლეა – სულ სამი სტროფი). არა! აქ არაფერი წერია წვიმის, ნესტისა და ჭანჭრობის შესახებ. არც სიცივეა ნახსენები. „ეი. შემეძლო მშვიდად ჩამეცვა მსუბუქი სპორტული ფეხსაცმელი და შარვალი. ეს ხომ ნაზი, რადგან პოეტური შემოდგომაა! ვითომ-შემოდგომა“ - ვფიქრობ ნასიამოვნები. წინ, ჰაერში პეპლები ფარფატებენ. მჭახე ყვითელი ქმნილებანი პოეტურ ქარში. ისევ სასწრაფოდ ვიხედები ლექსში. სწორეა: პეპლები აქ ტექსტს მიჰყვებიან. მაგრამ მათ ვერ დაიჭერ. დიახ, ამ პოეტური შემოდგომის სურათში კონკრეტულად ვერაფერს შეეხები. შეგიძლია მხოლოდ უმზირო და იხეტიალო. მაშასადამე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ოპტიკური შემოდგომაა, ეს ვითომ-შემოდგომა. და, არც აღარაფერია სანახავი. სამი სტროფი აღარაფერს აღარ გთავაზობს თეთრი არყის ხეების გარდა, არავითარ სხვა შთაბეჭდილებას, არავითარ სხვა არსებას, რაღაც ხოჭოს ან ბუზანკალსაც კი არა.

თითოეული სტროფი 4 სტრიქონის სიგრძეზეა გაჭიმული. თუ მათ შიდა (შემოდგომის) სივრცეს ვიანგარიშებთ, გამოვა ოთხი კვადრატული პოეტური კილომეტრი – ეი. საკმაოდ ხალვათი და წარმტაცი ოპტიკური ვითომ-სივრცე სახეტიალოდ. მიუხედავად იმისა, რომ აქ პოეტურ-თემატიურად ბევრს ვერაფერს შეხვდები, შემოდგომის ეს სურათი ჩემი (პოეტურ სამყაროში) ხეტიალისა და ექსკურსიების საბოლოო სადგურად გადაიქცა.

„კი მაგრამ, მაინც რითი გიზიდავს ეგ სურათი, რომ ველარ ეშვები?“ – განცვიფრება ვერ დამალა ერთხელ ერთმა მეგობარმა, ისევ ვითომ-შემოდგომაში რომ ჩავრგე თავი (დაინახა, რომ ლექსების ტომი ისევ იქ გადავშალე, სადაც შემოდგომაა). – ეგებ იქ აზრის საიდუმლო წყარო აღმოაჩინე ანდა რაღაც უცხო ცნობიერების ნაკადი?“ „დიახ – ჩავიბურდღუნე მე უაზროდ – მაგრამ ეს ჩემი კერძო აღმოჩენაა და არავის ეხება“.

მაინც რას ვაკეთებ ვითომ-შემოდგომაში? მე მივშტერებივარ პანანინა ჭია-მაიას, ჩემს მიერ საგანგებოდ გამოგონებულს. ის – როგორც კი გაჩნდება – მაშინვე აფრინდება ჩემი ხელისგულიდან და ვითომ-პეპლების ქვემოთ დაიწყებს ფარფატს – შემოდგომის ლექსის სანახში. ამ შავადდანინწკლულ ციცქნა, წითელ წვეთს იმდენ ხანს შეუძლია მხოლოდ სიცოცხლე, რამდენსაც მე ვფიქრობ მასზე – (მას ხომ ჩემი ფიქრი აჩენს და აცოცხლებს) ამ შემოდგომაში. ამ ვითომ-შემოდგომაში ის სიცოცხლის წმინდა ნივთიერებაა, პატარა, წითელი კონტრაპუნქტი, რომელიც მე იქ – რატომ, არ ვიცი – უსაზღვრო სიხარულს მანიჭებს.

წინ ველარ ვბრუნდები

ამჯერად შორს, მეტისმეტად შორს წავედი ჩემში. წინ დაბრუნება ჩემს რეალურ „ახლა“-ში ჩემი ასაკის კაცისთვის ალბათ ერთობ ძნელი იქნება. შეუძლებელიც კი. ყველანი ნამდვილად უკვე ღელავენ ჩემს გარეთ. ჩემი რეალური ცხოვრების ამ მეორე ბოლოში; კარგა ხანი გავიდა, ალბათ, რაც მას მოვშორდი. ალბათ, ისინი ჩამძახიან, ჩამომძახიან, ყურს მიგდებენ, სიცოცხლის რაღაც ნიშანს ელიან. ისინი როგორც ჭაში, ისე მეძებენ, ჭაში, რომელიც თვითონვე ვარ: „არა, როგორც ჭაში არა“ – ვფიქრობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის – ჭას შეიძლება ქვემოთ ჩაჰყვე. მე კი ვერავინ შემომყვება ჩემ მოგონებების გაუვალ მხარეში".

და აი, ჩემი ცხოვრების გზაზე ჩემი ყოფიერების გასაოცრად ადრეულ ხანაში ამოვყავი თავი. წინ ყვავილებიანი მდელო გადამეშალა. თუმცა ესენი მოგონების ყვავილებია, მაგრამ საუცხოო სურნელს აფრქვევენ (მოგონების სურნელს). მიწა თბილია და ფაფუკი და, კაცმა რომ თქვას, წამოდგომა აღარც მინდა. „მოგონებათა ქვეყნის გაზაფხულის მზე – ვფიქრობ ბედნიერი – რა თბილია, არადა ეს ხომ მოგონების (ჩემი მოგონების) მზეა".

ცნობისმოყვარედ ვავლებ თვალს არემარეს. იქაურობა აღარ მეცნობა. რადგანაც ასე ღრმად არასოდეს შევსულვარ მოგონებათა სამყაროში. ნეტავი რამდენი წლისა ვიყავი აქ? ან როგორ გამოვიყურებოდი დროის ამ კუნჭულში? ვინ ბინადრობდნენ ამ მიდამოში? რა ადამიანები? ჩემი ცხოვრება-წარმოდგენის რომელი მთავარი თუ არამთავარი პერსონაჟები? ზურგით ვეყრდნობი მოგონების ხეს და ყოველ მხარეს ვიმზირები.

ალბათ, ცოტაც და, აქ ჩემსავე თავს (თოთოს ან ყმაწვილს) გადავაწყდები, ან სადაცაა ჩემი დადგმა-ცხოვრების ვინმე პერსონაჟი გამოჩნდება. აი, მაშინ კი გაირკვევა ყველაფერი. მანამდე კი ლოდინის მეტი რა დამრჩენია.

აქ შემიძლია დავისვენო და მხოლოდ დავტკბე მოგონებული ცხოვრების სუფთა (ადრეული) ჰაერით.

ასე ვზივარ გზაზე, თავს მოგონების ჩიტები დამჭიკჭიკებენ. ბალახში მოგონების ჭია-ღუა დაფუთფუთებს. და მოგონების პეპლები ინაბებიან მოგონების ყვავილებზე. მხოლოდ ერთხელ და ისიც წამიერად მიჩნდება სურვილი, წამოვდგე და გზას გავუდგე, მაგრამ არა მსურს. ვხედავ: ფეხზე ველარ წამოვდგები და ფიქრიც კი ზედმეტია ამ გრძელი ცხოვრების ოღრო-ჩოღრო გზის უკან გავლაზე – წინ, გარე სამყაროში დასაბრუნებლად.

მოგონებათა ყურე

ჩემი მოგონების ძველ, წყნარ ყურეში ამას წინათ უჩვეულო, ძველებურ-აფრებიანი ხომალდი შემოცურდა. ძალზე შორიდან მოდიოდა. მთელი ერთი ადამიანური ცხოვრება გზაში იყო. და აი, მითხრეს: ეს უკანასკნელი ხომალდია, წარსულიდან აღარაფერი გეწვევა, შენი მოგონებები ამოიწურა, შეეგუე ამას, მზად იყავიო.

ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. კი მაგრამ უწარსულოდ წინ როგორ წავიდე, მოგონების გარეშე როგორ განვაგრძო საკუთარი თავის კითხვა ანუ ცხოვრება? რადგან განა ფიქრი იგივე წიგნის კითხვა არ არის, და თან უმთავრეს-უპირველესი? როგორც ჩანს, სიკვდილი უკვე მომიახლოვდა, და თუ ხანით ჩამობურულ ცნობიერებაში ვერცერთი მოგონება ველარ შემოაღწევს, გინდაც არ მოვკვდე, ჩემი წარსულის ყველა ბინადარი მაინც მკვდრად ჩამთვლის.

ნუთუ დამთავრდა ჩემი კითხვა-ცხოვრების წიგნი?

მაგრამ ეს რა არის? ისევ გამოჩნდნენ ხომალდები ჩემს წყნარ ყურეში. ერთმანეთის მიყოლებით შემოლივლივდნენ, მძიმედ დატვირთულნი... სხვისი მოგონებებით. და ეს უცნაური იმპორტი დღემდე გრძელდება. ამის უკან – როგორც შევიტყვე – მოგონებათა სამყაროს საიდუმლო მმართველობა დგას, რომელიც თავის მთავარ ამოცანად თვლის, შემწეობა აღმოუჩინოს იმათ, ვისაც მოგონების ხნიერ ყურეში საკითხავი მარაგი ამოეწურათ და ყოველი კუთხიდან გამოხმობილი სხვათა წარსული – იქ შეგზავნოს. (თურმე შედარებით ახალგაზრდები, მოგონებათა ჭარბ მარაგს რომ ფლობენ, სიამოვნებით უთმობენ მათ ამ ძვირფას მასალას).

და ახლა ვცხოვრობ, სხვათა წარსულის მოგონებებით გართული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ხანდაზმულობისა, არცთუ ურიგოდ ვგრძნობ ფაფუ სხვათაშორის, სხვისი მოგონებები უფრო ამაღელვებელიც კი მეჩვენება. ასე განსაჯეთ, ერთადერთი ჭეშმარიტი საკითხავ-სასიცოცხლო მასალაც კი მგონია.

„ოდესლაც"-ასა და „ახლა"-ს შორის

ჩემი მოგონების ქვეყნის მთავარ მაგისტრალზე ვდგავართ. დაკვირვებით შევცქერი ჩემს ორ ძვირფას ადამიან-მოგონებას. საწყალ დედაჩემსა და მამაჩემს (ორივე დიდიხანია მკვდარია).

„რა დაგემართა? – შეწუხებული მეკითხება დედა და შუბლზე მისვამს ხელს, – ნუთუ შენი „ახლა" მართლა ასე საშინელია, როგორც შენ ამბობ? ვერ დავიჯერებ".

„ცხოვრება ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის, – მირჩევს მამაჩემი, – შენც ხომ იცი, რომ ქვეყანას ვერ გაასწორებ".

„ნეტავ ეს საუბარი შემაწყვეტინა და სხვა არაფერი მინდა – ვფიქრობ ჩემთვის შეშინებული, – თორემ ესენი სხვა რამესაც შემამჩნევენ და მერე..."

სასწრაფოდ შევძვერი ჩემს ფანტაზია-მერსედესში, ხმაში ფოლადი ჩავიღვარე და „აბა, მომავალ შეხვედრამდე-მეთქი", – შევძახე მხნედ.

„გეხვეწები, მალე დაბრუნდი, – მომაძახა ორივემ, – თუ დიდი ხნით მიგვატოვებ, შენი დარდით აქ მეორედ დავიხოცებით".

დაბნეული შევცქერი ბენზინის მზომს. „ნეტავ რამდენი ფანტაზია მაქვს კიდევ ბაკში? ოო, ერთი ბეწოლა დარჩენილა. მეყოფა, საერთოდ რომ მოვშორდე აქაურობას?"

„მადლობა ღმერთს", – გავიფიქრე, როცა გაზის (ფანტაზიის) პედალს ფეხი დავაჭირე, – ყუთი დაიძრა. დამშვიდობების ნიშნად ფრთხილად გავულიმე ჩემს საყვარელ ადამიან-მოგონებებს მანქანის სარკეში. სარკის მკრთალად მბზინავ ოთხკუთხედში ისინი სულ უფრო პატარავდებოდნენ, ვიდრე ორ ციცქნა წერტილად არ გადაიქცნენ და სულ არ გაქრნენ ხსოვნის მაგისტრალზე.

წინ მივქრი და თან გაფაციცებით მივშტერებივარ (რამდენადაც გლუვი, სწორი გზა იძლევა საშუალებას) ფანტაზიის მზომს. მთავრდება! ჩემს „ახლა"-ში ნამდვილად ველარ დავბრუნდები. და მართლაც მანქანა სულ უფრო ანელებს სვლას. კიდევ უფრო. ჩერდება.

„ახლა"-ში – ვფიქრობ გადმოსვლისას – ახლა შენ მოკვდი. „ახლა-ში", ბოლოს და ბოლოს, საბოლოოდ მოგელო ბოლო. ბედი არ გინდა? მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აქ სად მოვხვდი? თვალს ვავლებ იქაურობას და ვასკვნი: ეს ჩემი მოგონების ქვეყნის ყველაზე გვიანდელი მიდამოა, „ახლა"-სთან ყველაზე ახლოს მდებარე და, მაშასადამე, ყოვლად უგერგილო და ულაზათო გარემო. სიცოცხლის სტერეოტიპული სანახი, რომლის თავზედაც უსაშველო და უთავბოლო მოვალეობათა უზარმაზარი ზეცა ჩამოეუფრულა. რა თქმა უნდა! თუკი აქ რაიმე კარგი ხარობდა და გულს ახარებდა, მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო!

არაქათგამოცლილი ვეცემი მეხსიერების გზის პირას მანძილის აღმნიშვნელ ლოდზე. „მადლობა ღმერთს, მოგონების ბინადარნი აქ არ არიან, – ვამბობ გულში, ახლა ისინი ყველაზე ნაკლებად მჭირდება". შემდეგ თავს ხელებში ვრგავ და დაზაფრული ვულრმავდები ჩემს გასაჭირს. ახლა როგორლა მოვაჩვენო ჩემს მშობლებს, რომ ვცოცხლობ, „ახლა" მაქვს და ჩემს "ახლა"-ში კარგად ვარ? ფეხით ხომ იმათამდე ვერ მივაღწევ (სიცოცხლის დრო-მანძილი იქამდე შორია). და თუ იქ აღარ გამოვჩნდები, ხომ მიხვდებიან, რომ აღარ ვარსებობ. ან არადა სხვებისგან შეიტყობენ ამ ამბავს, რადგან მოგონებათა ქვეყნის პატრონის სიკვდილი ელვის სისწრაფით ვრცელდება მოგონების ქვეყნის ბინადართა შორის. ამას წინ

ვერ აღუდგები. და მერე? რა ხდება მერე? რა და ეს ნიშნავს მოგონების სამყაროს დამხობას, ამ სამყაროს ბინადართა ერთიან სიკვდილს და მეხსიერების გზა-ბილიკების განადგურებას.

– „ფუი ეშმაკს", – გადავაფურთხე გაცოფებულმა. ეს ვერაფერი შვილი პერსპექტივა რომ წარმოვიდგინე და თან დავფიქრდი, აქ რა წყევლა იქნებოდა შესაფერისი – რომ უეცრად (ყურებს არ დავუჯერე) ისევ ათუხთუხდა ჩემი ფანტაზია-მერსედესის ძრავა, თუმცა სუსტად, მაგრამ ღმერთო ჩემო, – ათუხთუხდა! ერთი ნახტომით ვისკუპე მანქანაში და მაშინვე ციფერბლატისკენ გავაპარე თვალი. სიხარულისგან ავცახცახდი. თან ვერ ვიჯერებ, ისარი ზემოთ მიიწევს, ღმერთო დიდებულო! სულ ზემოთ და ზემოთ! ო, მაშასადამე, ბაკი ისევ სავსეა სიცოცხლის ესენციით – წარმოსახვით: „ეი. ისევ შემიძლია წინ გავიჭრა, – ვფიქრობ ბედნიერი, – თურმე წელანდელი ელდა დროებითი იყო და დასასრულს არ ნიშნავდა. ო, დასასრული ალბათ ჯერ შორს არის! რადგანაც ბაკი ისევ აივსო და მე შემიძლია ფანტაზიის ყველა ცხენის ძალით იქით გავქროლდე, საითაც მინდა".

„მაგრამ ჯერ ჩემსავე თავთან უნდა დავბრუნდე, – გავიფიქრე როდესაც მანქანა წინ გაიჭრა, – და შემდეგ, ცხადია, უკან წავიდე. ჩემს მოხუც მშობლებთან, რათა ისინი არ დაეჭვდნენ თავიანთ არსებობაში. და ჩემს „ახლასაც" ახლა უფრო ყურადღებით დავაკვირდები. ეგებ არც ისე საშინელია, როგორიც მოსჩანს".

ვფიზლობდი, რათა არ გამღვიძებოდა

სიზმრების ბინადართათვის ჩვენი გამოღვიძება სიკვდილს უდრის. ეს არის მათი სიზმარეული გულის გასკდომა.

ამიტომ ასე ჩქარობენ მუდამ, რათა მოასწრონ სიზმარ-სიუჟეტის დამთავრება და კვლავ უხილავნი გახდნენ ჩვენთვის, ვიდრე გავიღვიძებდეთ.

ამიტომ ლამობენ ჩვენგან უკუმიქცევას: ამიტომ არიან მზად ურთიერთშენაცვლებისთვის; ამიტომ ცდილობენ, არასოდეს აღმოჩნდნენ უკანასკნელი მოქმედი პირნი ჩვენს სიზმარში.

ამიტომ არის მათი მოქმედება ესოდენ სწრაფი; ამიტომ მისხლტის მათი ქმედების აზრი, უპირატესად, ამოუხსნელ მდინარებაში.

სიზმართა ახსნის ერთი კანონი: სიზმრის სამყაროს ადამიანი ისე უნდა წარმოვიდგინოთ (შევძლოთ წარმოდგენა), როგორც ის იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ შეაკრთობდა ჩვენი გამოღვიძების შიში, ანუ თუ დასიზმრებულს არ შეეშინდებოდა დამსიზმრებლისა.

სიზმრის სამყაროს ადამიანთა უშიშროებისათვის საჭიროა მარადიული მესიზმრე. მაგრამ ეს დღეს ჯერჯერობით უტოპიაა, უტოპია, რომლისაც სიზმართა ქვეყნის არც ერთ ბინადარს აღარ სჯერა.

სიზმრის სამყაროსა და რეალური სამყაროს ადამიანთა მიმოსვლა – რა მაღალი აზრისაც არ უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი თავიანთ სიზმრებზე, სიზმრის სამყაროს რა აღტკინებულ მოგზაურებადაც არ უნდა გვევლინებოდნენ – დღესდღეობით, სამწუხაროდ, ერთობ ზედაპირულია.

ერთხელ ჩემს სიზმარში მცველები ჩავაყენე. მათ თვალი უნდა ედევნებინათ და ჩემი გამოღვიძების მოახლოება შეეტყობინებინათ სიზმრის ბინადართათვის, რომ ისინი დროზე გასულიყვნენ ჩემგან. ნიშნად დათქმული გვქონდა დასტვენა (სიზმარში).

მაგრამ მე მაშინ, სამწუხაროდ, მხოლოდ ის მცველები დამესიზმრა, რომელთაგან, სხვათა შორის, ერთ-ერთი მეც ვიყავი. და რადგან ჩვენ ჩემგან სიზმრის ბინადრებისკენ ვიმზირებოდით (რომლებიც უნდა გაგვეფრთხილებინა), ველარ შევნიშნეთ ჩემი უეცარი გამოღვიძება. და ჩვენ ყველანი დავიღუპეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველის ცხოველმყოფელი ჩრდილი

ჩვენ მებაღეები ვართ და ლექსის სამყაროს ბუნებაში ვმუშაკობთ.

აქ ცნობილ პოეტთა ძვირფასმა ვარდებმა, ასევე სუმბულებმა, იებმა თუ იასამნებმა და ლირიკული ჯიშის სხვა ყვავილებმა ჭკნობა დაიწყეს. მთელი ეს ყვავილნარი ტექსტის ანუ საკითხავი მასალისაა. მაშასადამე, მას სჭირდება წაკითხვა, რათა იცოცხლოს.

მკითხველთა ინტერესის კატასტროფული შენელება სათუთი პოეზიისადმი ლექსის სამყაროს გარკვეულ უბნებში ამ ყვავილნარს ჭკნობასა და სიკვდილს უქადის.

სადაც კი რომელიმე პანია ყვავილი ულონოდ ჩაქინდრავს თავს, ჩვენ მას ვკითხულობთ და ის ისევ აღიმართვის და ხალისდება.

სადაც რომელიმე პოეტურ მცენარეს ფოთოლცვენა ეწყება, ვკითხულობთ და იმის ძარღვებში კვლავაც ვამოძრავებთ სასიცოცხლო წვენს.

როდესაც რომელიმე მათგანი მთლად იცრიცება, წაკითხვით ისევ ვუბრუნებთ მას ფერსა და ბზინვას.

და რათა მცენარეებმა პოეტურ ველ-მინდორ-ბაღებ-პარკებში ჩვენი ჩავლის შემდეგაც აღარ დაიწყონ ჭკნობა, იქ ლექსების ცაზე ჩვენ ვკიდებთ ხელოვნურ (მკითხველთა) თავებს: ეს გახლავთ გაბერილი ბუშტები (მკითხველი ბუშტები). ისინი მაცოცხლებელ ჩრდილს აფენენ მკითხველმოწყურებულ ფლორას.

ყოველი ლირიკული მცენარე მაშინვე იჯერებს, რომ მას კითხულობენ: წელში სწორდება და სამუდამოდ აყვავებული რჩება თავისი ლექსის მიდამოში.

(რეალური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც მცენარეები მზის სხივებით ხარობენ, ლექსის სამყაროს ყვავილებს მკითხველის ჩრდილი აცოცხლებს).

ეს დიდებული ჩანაფიქრია და ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენ ლექსის ბაღს ვუნარჩუნებთ ამ გზით სიცოცხლეს.

* * *

მაშინ შენ მხოლოდ წამიერად შემავლე მზერა
და შენი ხელიც შემთხვევით და გრილად შემეხო.
შენ უცხოსავით ჩამიარე, მაგრამ მე ვიცი:
გაივლის დრო და დამიბრუნდები,
მოვა ჟამი და შენ გახდები ჩემი მკითხველი.
და თუკი უკვე დაგავიწყდა, სად ვიდე მაშინ,
წიგნებით სავსე თაროების გრძელ ხეივნებში
მოგიწევს ჩემსკენ გზის გამოგნება...
და მაშინ ღმერთმა უნდა გიშველოს
და მოგიყვანოს ჩემამდე, რადგან
აურაცხელი სათაური, სათაურები
ავსებენ სივრცეს ჩემს და შენს შორის!
ო. შეგეწიოს ყოვლის შემძლე, რომ ჩემსკენ გზაზე
რომელიმესთან არ შეჩერდე და მან არ გშთანთქას,
არ დაგავიწყოს, ვინც ნამდვილად უნდა გეკითხა:
რადგან: ო, ღმერთო, ვეებაა ბიბლიოთეკა,
ო, როგორ მინდა თვალხვეული
წამოხვიდე ჩემს მოსაძებნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზი ქალი სარკესთან

აი, ამ პატარა ლექსის ოთახში
ნაზად მღიმარი, ლამაზი ქალი
მრგვალი სარკის წინ გარინდებულა –
და ვით ტყის წმინდა, უშფოთველ ტბორში
ჩასცქერს იქ იგი საკუთარ იერს.
გამომცდელ მზერით
ნება-ნება იძარცვავს სამოსს
და ნაწილ-ნაწილ
და დაუდევრად
სარკის ვერცხლისფერ ნაკადში ისვრის.
შემდეგ კი ნელა წინ გადიხრება –
მჭვირვალ ხატისკენ,
რათა შუბლი გაიგრილოს და...
შიშით ქვავდება... სულგანაბული,
სუნთქვაშეკრული მკითხველის თვალწინ,
რომელიც მას ჩაძირულივით
შესცქერის ძველი სარკის ფსკერიდან.

მე წიგნის გმირი ვარ

მე წიგნის გმირი ვარ.
ჩემს წიგნში – მე მას ჩემს ბიოგრაფიულ რუკასაც ვუწოდებ –
ზუსტად მიწერია ჩემი ბედისწერა.
მატარებელივით მივიწევ იქ წინ.
ჩემი ცხოვრების ხაზი ამ წიგნის
ყველა თავში უცვლელი რჩება.
დღე, როდესაც მავანი მკითხველი
ამ მარშრუტს აირჩევს – ჩემი დაბადების დღეა.

მოტყუებული მკითხველი

ერთ ლირიკულ მე-ს უსაშველოდ მობეზრდა თავისი ყოფა. „რა უბედურებაა – მოსთქვამდა სასოწარკვეთილი – ასე მუდამ ერთსა და იმავე სტრიქონებზე ვიყო აღმართული, ერთსა და იმავე სტროფში! რა ლირიკული წყევლა მაწევს, ასე უძრავად რომ ვდგავარ მონუმენტივით! აღარ შემიძლია! რამენაირად თავს უნდა ვუშველო. „ჰეი, მკითხველო!" – და ყოველ მკითხველს, რომელიც კი მისი სიტყვების სახლში ესტუმრებოდა, ამას შესთხოვდა გაუთავებლად: „მოდი, ერთი წუთით გავცვალოთ ადგილები! შენ ჩემს ტექსტში შემოდი, მე შენს სიცოცხლეში გადმოვალ"-ო.

რაღა თქმა უნდა, ვერავინ დაიყაბულა. ერთადერთი გულჩვილი ბრიყვი, ვინც ანკესზე წამოეგო, ცხადია, მე აღმოვჩნდი. ხალხო! ახლა ამ დაწყევლილ სტრიქონებში ჩაჭედილი, ერთი საცოდავი რეალური მკითხველი ვარ ჩემი მკითხველური ცნობიერების ამარა, თანდათან რომ მებინდება, რადგან ის ლირიკული მე აქ აღარ მობრძანდება. ახლა ის ჩემი ცხოვრებით ცხოვრობს როგორც რეალური ეგო. გაგონილა და თქმულა ამგვარი სითავხედე! მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინათ ჩამომხედა და ჩამომძახა: „მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა შენს რეალურ სიცოცხლეს ყავლი გაუვაო. მაშინ გადმოდი შენს ცხოვრებაში და შენს ძველ ტყავში დალიე სული, ამის ნებას ნამდვილად მოგცემო". ახლა ხომ გეჯერათ, რომ ეს ლირიკული ვაუბატონი პირნავარდნილი არამზადაა!

ახლა რა ვქნა? ავდგე და ეს სტრიქონები ჩემი რეალური სიკვდილისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივატოვო? არ დავტოვებ, ლირიკულ ყმაწვილს კარგი შეტაკება მოუწევს ჩემთან და, მე მგონი, თავს არ დავაჯაბნინებ. მე ხომ აქ დრო არ მეხება, არ ვბერდები და მარად ახალგაზრდა ვარ. ხოლო, ის „ლირიკული" ჩემს ჯანგატეხილ, ძაბუნ სხეულშია ჩაჭედილი. აი, ხომ ხედავთ: ეს გახლავთ ჩემი უპირატესობა! ასე დაისჯება ის მზაკვარი ჩემი მოტყუებისთვის.

მაგრამ მერე? მერე რაღა დამემართება აქ ჩარჩენილს, აქ მიტოვებულს? ეს კითხვა სულ უფრო მეტად მცემს თავზარს. ეგებ მკითხველთა გაერთიანებულმა ძალებმა ამ ტექსტიდან რამენაირად ამომიყვან-ამომიფიქრონ და ჩემს რეალურ ყოფიერებაში დროზე დამაბრუნონ, რათა ცოტა ცხოვრება კიდევ მოვასწრო? მე ვთხოვ ყველა მკითხველს, ეს სტრიქონები სხვა მკითხველებსაც წააკითხონ და ჩემი გადარჩენისათვის რაიმე იღონონ. წინასწარ გიხდით ყველას მადლობას, თუკი გაირჯებით საკითხავ-სასიცოცხლო ხაფანგიდან ჩემს გამოსახსნელად.

სამწუხაროდ, ხელს ვერ მოვაწერ, რადგანაც ჩემი ცნობიერების ამ ლირიკულ ფერისცვალებაში ყველა რეალია, პირველ რიგში კი ჩემი სახელი, გვარი და მისამართი სულ დამავიწყდა.

ესთეტიკური დაუნდობლობის შესახებ

ეს ლირიკული მე დგას გათოშილი თავის ციცქნა, სულ ორიოდ სტროფიანი ლექსის გზაზე და მკითხველებს ემუდარება შემიყვარეთო. მაგრამ ისინი აინუნშიც არ აგდებენ მახვეწარს; აჩქარებით ჩაუვლიან ხოლმე გვერდს. დიახ, ზოგი მათგანი (რეალურ ცხოვრებაში ისინი ფრიად დაფასებული და წესიერი ადამიანები გახლავან) ამ წაუკითხავ ლირიკულ მეს უპატივცემულო მზერას შეავლებს ხოლმე და შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც კი არ იშურებს. სხვანი გესლიან სიცილს აყრიან, როცა ეს საწყალი ლირიკული არსება ქუდს იხდის და თავის თხოვნას ამოთქვამს.

„შეგიყვარო? თან წაგიკითხო კიდეც? ერთი ამას დამიხედეთ! კიდევ რა გნებავს?"

„კი მაგრამ, მაშინ ხომ მოვკვდები!" – ქვითინებს ლირიკული მე.

„მერე მოკვდი! – გესლიანად ამბობენ გულქვა გამვლელნი, – ყველასთვის ასე აჯობებს!"

საშინელებაა არა! მაგრამ ვის შეუძლია ამ ამბავში ჩარევა! ესთეტიკა არ არის ეთიკა.

ონტოტექსტუალური საყვედური

მე ხომ ვარ ქმნილი შენი ნეკნიდან, გაფორმებული შენი ტექსტიდან; მოვედინები შენი საკითხავ-სასიცოცხლო მასალისგან. მთელს ქვეყანაზე არ არსებობს მეორე წიგნი, რომელიც შენთვის იქნებოდა ჩემზე უფრო ახლობელი და საყვარელი. გამაგებინე: რატომ არ მკითხულობ, რატომ არ გიყვარვარ?

აბსოლუტური ლექსი

იგი მაშინ გაჩნდებოდა, მკითხველთა სული ისე რომ დაეპყრო, როგორც ქარვას უპყრია მწერი, და სამარადჟამოდ ასე დაეტოვებინა. მკითხველთა სიცოცხლე მთლიანად ამ რამდენიმე სტრიქონის ფართობზე რომ დავანებულიყო და ეკითხა და ეკითხა. ეს რამდენიმე სტრიქონი ყველა მკითხველის სიცოცხლედ რომ ქცეულიყო და ამ ტოტალური პოეტური ინტეგრაციის გზით ყველა საკითხავი მასალა სამუდამოდ უმკითხველოდ დარჩენილიყო. და რაღა თქმა უნდა ეს ტოტალური სიცოცხლე-კითხვისეული ტყვეობა სასიხარულო და სახალისო უნდა ყოფილიყო ტყვეთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი მიდის დასაძინებლად

აი, ამ ლექსში საყვარელო ჩემო მკითხველო,
შენც უნდა ადგე და გაისარჯო.
გეთაყვა, სცადე და შეაგდე მზე ნასამხრეევის –
მზე დუნე, მძიმე, უთვალავი კოღო-ბუზის თუ ბუზანკალის
წუილ-ბზუილ-ზუზუნასხმული –
მთელი შენი წარმოსახვის ძალმოსილებით ტყიან ბექობზე.

შემდეგ მწუხრი წარმოიდგინე: როგორ მოიწევს შენაბინდარი
და გრილ ნიავ-ქარს იმარაოებს.
შემდეგ მუქლურჯი ღამე ნელა დაუშვი ფარდად
ველ-მინდვრების და განაბული სოფლების თავზე,
სოფლის პატარა სასტუმროში (ერთი ოთახი გეკუთვნის სადაც)
ფიქრით ჩააქრე ყველა ნათურა,
ბოლოს მთელ წიგნსაც უბრძანე ძილი
და შენი თავიც დააწვინე (და წაიკითხე) დასაძინებლად.

სასიკვდილო სპექტრი

წიგნის გმირებს საშუალოდ ძალზე მცირე რეალური დრო აქვთ მკითხველის ცნობიერების სპექტრში. აქ, ყველაზე განათებულ ადგილას, ეს კი უშუალო კითხვის წუთებს ემთხვევა, ისინი ყველაზე ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობენ, თუმცა თემატიურად არც მაშინ სცილდებიან თავიანთ ბედისწერას. ასე, მაგალითად, როცა ისინი ტრაგედიის მონაწილენი არიან და ეს მათ სიკვდილს ითხოვს, ცხადია, ეს ვერაფერი სიამოვნებაა. მაგრამ ამაზე უარესი, მათი აზრით, არის აღსასრული სპექტრის დასასრულს: როცა ისინი – როგორც სრულიად ძალგამოცლილი იდეური მასალა – უნდა განქარდნენ სიუჟეტური სამყაროს ტოტალურ წყვდიადში, ისე რომ სასოწარკვეთილი კივილი (სამწუხაროდ, თვით ასეთ წუთებშიც კი მეტისმეტად ჩუმი) უმცირეს ექოსაც კი ვერ იწვევს მკითხველის ცნობიერების სპექტრში.

„ო, ისეთ ცნობიერებაში რომ გვაცხოვრა, რომელსაც მარადიული საკითხავი დრო აქვს! – მხურვალედ ინატრა ერთხელ ერთმა წიგნის გმირმა ჩემს გასაგონად – არავითარი სპექტრი, მხოლოდ ცენტრი! აი, ეს სულ სხვა რამ იქნებოდა! მითხარი, გეთაყვა, ასეთი არავინ არსებობს თქვენთან?"

„როგორ არა, – ყოვლისმცოდნეა ასეთი... – მივუგე ყოყმანით, მაგრამ ის, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ რეალური სამყაროთი და რეალური პირებითაა დაკავებული".

ჯობდა, ეს არ მეთქვა, რადგან მას შემდეგ მოდიან და მოდიან წიგნის გმირები, რომლებთან ერთადაც ვცხოვრობ (რომლებიც მიყვარს და ვკითხულობ) და მეკითხებიან: **როგორ გავხდეთ უფალი ღმერთის საკითხავი მასალა?**

* * *

ო, შე საბრალო სამყაროს ტექსტო!
უფალი ღმერთი ასე გკითხულობს,
ეშმაკი ისე.
შენ ხარ საკითხავ-სასიცოცხლო მასალა
მათი კონტრასტული შტუდიებისა.
უმათოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ იარსებებ.
შენ გაარსებებს
შენი ორი
ერთმანეთის მოპირისპირე
მკითხველის
კითხვა.
ზოგჯერ –
ეს იყო შენი ისტორიის
განსაკუთრებით ღვთაებრივი ან სატანური
პერიოდები –
ნატრობდა შენი გადაქანცული
ტექსტის სამყაროს ნატანჯი გული,
რომ გყოლოდა მარტოოდენ ერთი მკითხველი!
და რა წვალებით ცდილობდი ხოლმე, დასხლტომოდი
ხან ერთ, ხან მეორე
ერთმანეთის საპირისპირო
მკითხველის წყვილ თვალს.
მაგრამ დღეს იცი, რომ ეს არის
შეუძლებელი.
შენ ისევ ისე გკითხულობენ
საბედისწეროდ
ორმხრივ – ორგვარად.

მკითხველის მოწამეობრივი გზა

ო, რა მტანჯველად ჩაესობოდა ლექსის სამყაროს
ყვავილების ნაზი ეკლები
მკითხველს სხეულში!

ო, რა მტანჯველად გააშრობდა ლექსის სამყაროს
მცხუნვარება
ხორხს მკითხველისას!
რა სახიფათო იქნებოდა მკითხველისათვის
ლექსის სამყაროს უდაბნოები,
იგი რომ მართლა განიცდიდეს, რასაც კითხულობს!

მაშინ ხომ იგი შეიგრძნობდა ანგელოზთა სიახლოვესაც
(ლექსის სივრცეში უხილავად რომ ფარფატებენ)
და თავად უფლის
სიტყვას – საკითხავ
სასიცოცხლო მასალისაგან..

კეთილი რჩევა მოწამეობის მოწადინე მკითხველებისთვის:

აიღეთ ლექსის ერთი ვარდი
მშვენიერი და ეკლიანი,
მოიქციეთ მკითხველის თბილ ხელისგულებში,
მოუჭირეთ ხელები ნელა,
ვიდრე ეკლები ღრმად ჩააღწევს მკითხველის ხორცში,
ვიდრე ტკივილი არ გაფატრავს თქვენს მკითხველ გრძნობებს,

ვიდრე თბილი და ნამდვილი სისხლი
არ გადმოსჩქეფს ხელისგულიდან...
იმავდროულად ან წამის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემინიერი არსებების
დაიწყებთ კითხვას.

მკითხველის ალპინიზმი

სტრიქონები – დიდი-დიდი
ხუთსიტყვიანი.
დანარჩენი –
თოვლისფერი სითეთრეა
წიგნის ფურცლისა.
მაშასადამე:
მთაც აქ არის,
ზღვაცა და ბარიც.
წერტილ-მძიმენი
მხარში გიდგანან,
გასვენებენ, მიგიძღვებიან:
და, აი, იწყებ უჩუმარ ასვლას –
ავტორის სულთან დაწყვილებული –
ლექსის მწვერვალზე.
გზა ციცაბოა, ზეაღმავლი,
და ვაი იმას,
წაიბორძიკებს ვინც უცაბედად!
არსებითი სახელებით გამაგრებულა
ეს ქვიანეთი.
და ყოველი შთაბეჭდილება –
ანაბეჭდი შენი ტერფისა –
უფსკრულების თავზე გაჩერებს.
ტექსტი ბასრია და ალესილი,
რომელსაც კითხვით ჩაჰყვები ქვემოთ.
შეჭრილ-შემოჭრილ
მაღალ და ვიწრო
სვეტზე სიტყვათა
ჩაცოცდები
როგორც ჩინეთში.

ყველაზე უფრო გამაოგნები
განცდა კი მუდამ დასასრულია:
ეგ შენი დგომა: ლექსის კლდის წვერზე
და ერთდროულად იმავ კლდის ძირში.
სადაც სიმაღლეს განიცდი ძირად,
ძირს კი მწვერვალად.

ჰამლეტად ყოფნა თუ არყოფნა

1. სული **„ჰამლეტში“** (იცით, პირველი მოქმედების
მეხუთე სცენა),
აი, ის სული – თავადაც ვერ ვაცნობიერებ! –
ჩემი საწყალი მამის სულად გამომეცხადა!
სწორედ ჰამლეტმა
(სახელგანთქმულმა პერსონაჟმა დიადი წიგნის)
შეშფოთებულმა მიხმო გუშინწინ
თავისი ძველი ტრაგედიის ძველ სიუჟეტში.
ცნობისწადილით გავეშურე, რა მოხდა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამლეტი დამხვდა ტერასაზე, იქ, სასახლის წინ
(გახსოვთ უთუოდ ელსინორის კუშტი მიდამო)
ვერა ფრავდა ის აღელვებას (ჩვენ დიდი ხნის
მეგობრები ვართ)
„რა არის იცი! – წამოიწყო და მიმანიშნა
იქაურობის სილრმეში მდგარ აჩრდილისაკენ –
იგი ამბობს, რომ მამაა შენი, გაესაუბრე!"
მივიხედე და თვალთ დამიბნელდა. ეჭვი არ იყო!
იქ იდგა ჩემი მოხუცი მამა! მხრებჩამოყრილი
და მოტეხილი, მაგრამ ნამდვილად – მამაჩემი!
მაშინვე მისკენ გავექანე და, ღმერთო ჩემო!
გავიარე იმის სხეულში.
– „ო, ნუ მეხლები ასე ძალიან,
მითხრა და ხმაც წამსვე ვიცანი –
სული ვარ მხოლოდ და ამიტომ ვერ ჩაგიხუტებ".
– „ჩემო საბრალო, მოხუცო მამავ!" – წამოვიყვირე,
თქვი, რა დაგმართეს, კაცო, მითხარი,
მართალია, რომ შენც „სბ"*-ში დალიე სული?"
დასტურის ნიშნად თავი დახარა. მე კი (სლუკუნით)
„და... მაშ... ახლა... თავს როგორღა გრძნობ?"
მან (გაიცინა): „ეჰ! არა მიშავს, თუმცა კარგი იქნებოდა, რომ
ამ თეატრში ხშირად გხედავდე,
მაგრამ ვაი, რომ არ გამოვა, ვერც წარმოიდგენ,
თუ აქ რამდენი მამის სული დგას უგრძეს რიგში
(ჩემსავით სწორედ „სბ"-ს მსხვერპლნი, იქ დალუპულნი)
რათა ამაღამ თავისიანთ გამოეცხადონ –
ჰამლეტის წიგნში.
ვიდრე მეორედ მომიწევს რიგი, შენი სიცოცხლე
გაილევა. ამიტომ, მოდი, ამ ხანმოკლე პაემანისთვის
მადლიერებას ნუ დავინანებთ. უკვე დამთავრდა!
აბა, მშვიდობით, ჩემო კარგო, მომიგონებდე".

2. გაქვავებული, რეტდასხმული ვიდექ, თეატრის
ზეცა თითქოსდა თავს დამემხო. სასახლეც გვერდზე
გადახრილი მეჩვენებოდა და ყველა მცველის
(დედნის ჭეშმარიტ პერსონაჟთა) ბასრი შუბები
თითქოს მიწაში ესობოდნენ ნაპერწკლის ფრქვევით.
„გონს მოდი", – ყურში ჩამეღვარა ხმა ჰამლეტისა,
მან თავისი ცხვირსახოცი გამომიწოდა
და შემეკითხა: „ჰა, რას ფიქრობ? რას აპირებ?
შურს არ იძიებ?"
„რა... რაო? – ენა დამება და ფერი გამიქრა:
შური ვიძიო? მამაჩემისთვის?" მან კი (სრულიად
უშფოთველად): "აბა, არაო?" „ან ეგებ ფიქრობ,
საფუძველი არ არსებობს შურისძიების?
ჩემს სიუჟეტში ჩნდებიან მხოლოდ
სულები მოკლულ მამებისა, ვის გამოც მუდამ
საჭიროა შურისძიება!"
და... „ჰმ, ჰმ", – ჩაახველა, დამაკვირდა რა, – „სასურველია".
„ყური დამიგდე, – ვუხსნი ნერვულსიცილამტყდარი:
დღეს ველარ შეძლებ ჩვენს სამყაროში
მამისათვის შურისძიებას".
„მაშინ წიგნის სამყაროში იძიე შური, ლექსი იქნება

* სბ – საკონცენტრაციო ბანაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ტრაგედია! – წამსვე სიტყვა შემაწყვეტინა, –
მე მომბაძე და ნაწარმოებში აწარმოე შურისძიება!"
და აი, გუშინწინდელს აქეთ საგონებელში
ვარ ჩავარდნილი:
ვიყო ჰამლეტი თუ არ ვიყო,
რა გზას დავადგე?

სარკმელი სურათში

1. ჩუმად შევდივართ ცნობილ ნახატში. ეს პიკასოა. ამას გვაუწყებს იქაურობის აბსტრაქტული უბრალოება. მხოლოდ ყველაზე აუცილებელ დეტალებს ვხედავთ, სატრფიალო ჩახუტებას რაც დასჭირდება. აქ დგას საწოლი, იქვე სკამი, სადაც სამოსი შეუძლიათ დააწყონ მერე (რაღა თქმა უნდა: მოხვევნის შემდგომ). ოდნავ ხელმარჯვნივ ნახატი კაცის პალტო ჰკიდია. სხვა არაფერი. აქ, ამ მანსარდის დანარჩენ სივრცეს სასიყვარულო მოხვევნა ავსებს: ნახატ მამაკაცს ნახატი ქალი ჩაუკრავს გულში. კაცი, მამალივით რომ აფოფრილა, ნაზ ქალს ისრუტავს ძლიერ ამბორში. თითქოს ბრჭყალებში მოუქცევია ნახატი ქალის თბილი სხეული. თეთრი, უმკლავებო (და ასე ძვირფასი შიგთავსის შემცველი) პერანგი გაბერილა და აფრასავით ლივლივებს მამაკაცის ულურჯეს პიჯაკზე და კაცის ფეხები ღია ჭიშკარივით დგანან მეწამული მოსასხამის ირგვლივ, ქალს რომ წამოუსხამს. რა ჩახუტებაა! და 1900 წლიდან გრძელდება! (ცხოვრებისა და ნახატის) 80 წელი! ასეთ ვნებიან მოხვევნაში გაატარო ამდენი ხანი?! და თან ერთმანეთს ვერ მოსცილდებიან, სულს ვერ მოითქვამენ, ვერც დაისვენებენ. სულ ასე იქნებიან ჩახუტებულები, როგორც მიუსაჯა მათმა შემოქმედმა.

2. ამიტომ არც კი შერხეულან, როცა შევედით, ეს იყო მხოლოდ, რომ მამაკაცს კვნესა აღმოხდა. ქალის მკლავებიც თითქოს ათრთოლდა. გამარჯობათ, – ვესალმებით თავაზიანად, – ჩვენ ნახატი სამყაროს სამმართველოს მუშაკები ვართ. ახლავე გაგათავისუფლებთ მაგ მოხვევნისაგან. ნიშანს ვაძლევ ჩემს კოლეგას და ისიც წამში ხურავს „მოხვევნის" ნახატ ფანჯარას.

და აი, შვების ოხვრა გაისმის, წარმოუდგენელი სიხარულის გამომხატველი, და ისინი ერთმანეთს სცილდებიან. არეულ მზერას ავლებენ ოთახს და საწოლზე ეშვებიან ღონემიხდილნი. თურმე რა ლამაზი სახეები ჰქონიათ, მათი ჩახუტების გამო რომ ვერ ვხედავდით.

– აი, ცოტა დანაყრდეთ იქნებ, – ვეუბნები და ჩემი კოლეგაც, სხარტი ვატო შამპანურითა და ბუტერბროტებით დამძიმებულ ლანგარს დგამს სკამზე.

– ახლა ძალებს მოიკრებთ და თუ გსურთ, ისევ წარმოადგენთ თქვენს ჩახუტებას. ხელს არ შეგიშლით, მაგრამ გახსოვდეთ, ხვალ მოვა კაცი ნახატი სამყაროს სამმართველოდან და ამ სარკმელს ისევ გააღებს, მაშინ ისევ უნდა დაუბრუნდეთ თქვენს წინანდელ მდგომარეობას.

– არა! არა! ჩვენ აღარ გვინდა ჩახუტება! – ყვირის მამაკაცი თავზარდაცემული, – გთხოვთ სამუდამოდ ჩარაზოთ ნახატის ფანჯარა!

– სამწუხაროდ, ვერ მოხერხდება, – ვპასუხობთ ორივენი, – რადგან თქვენი სასიყვარულო ჩახუტება მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ჩახუტებაა: პიკასოს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, რა ტკბილია შურისგება, მას აღასრულებს
მოთმინება ტიტანთა მოდგმის!
ისე აღანთო იგი ცნობამ სასიხარულომ,
ლამის თვითონაც წეროდ იქცა, ფრთები გაშალა,
რათა გასცლოდა მთას თავისი ტანჯვა-წამების.
ო, ნეტარება! ო, უსაზღვრო ბედნიერება!
ო, ოლიმპოში ჩაკვდა, ჩანაცრდა
ტირანული თემა და წერა.

აწ ეს ციცაბო მთა, ამდენ ხანს მისი მტანჯველი,
მისი სამარის მაღალ ძეგლად გადიქცეოდა.
მას უკვე სურდა შეჰფარვოდა მთის უკუნ წიაღს,
რათა ყვავ-ყორნებს
ხელში ადვილად არ ჩაეგდოთ მისი სხეული.
რადგანაც თავის ჟამს და სამყაროს
(თუნდ უსაზიზღრესს)
ვერვინ გასცდება და ვერ დამარხავს.
და ჟამთან ერთად დაიმარხება
მისი პირმშო და ქმნილი ყოველი.
მართალნი იყვნენ წეროები, როცა ეს ამცნეს.

ჰოდა, ის იყო, იმ ლოდის ქვეშ სურდა დაწოლა,
რომ უეცრად გარს შემოერტყნენ:
ერთი კენტავრი და ორი ფავნი.
(ცხენ-კაცის ტანის ცხოველურ ბოლოს
უკვე ხრწნა ეწყო),
– სიზიფევ! – ასე შეჰლაღადეს ცრემლით, მუდარით, –
უნდა განაგრძო ჯაფა შენი, შენი წამება!
რადგანაც მაშინ ჩვენ ცოცხლები დავრჩებით ყველა,
რადგანაც მაშინ ჩვენი სამყარო
წიგნის სამყაროდ მაინც იცოცხლებს
და ჩვენ ყველანი
წიგნის სამყაროს არსებებად გადავიქცევით
და სიკვდილი ვეღარ დაგვზაფრავს.
პითიამ გვამცნო ეს ამბავი, იმან გვაუწყა!

– რაო? – იკითხა ხმით ანათრთოლით, –
მე ჩემის ნებით ვათრიო კვლავ წყეული ლოდი?
ჩემივე ნებით? არასოდეს! არასდიდებით!
– მაშინ შენ მოკლავ ყველას, ყველაფერს, –
შესძახეს ერთხმად, –
და ოდისევსსაც, შენს ფარულ ძეს ბოლოს მოუღებ,
და ტელემაქეს, შენს შვილიშვილს მიუგდებ სიკვდილს,
თუ დაახანებ, ხვალე უკვე გვიან იქნება –
დაეფინებათ მათ ჰადესის შავი ჩრდილები.

მას შემდეგ იგი მიაგორებს ლოდს შეუწყვეტლივ
და რადგან ამას ნებით სჩადის თავისუფალით,
სხივოსნობს, ბრწყინავს ლეგენდარული
წიგნის სამყარო
მარადიული ფერთა ელვარით
და ზევსიც ისევ გრგვინავს ძალუმად
მაღლა, ღრუბლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ც ა ლ ი

(რომანი)

თავი I
თემი და თომინო

ეე წიგნის გმირი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტოოდენ წიგნში მაქვს ბინა, მხოლოდ ორ ყდას შორის ვარსებობ ნამდვილად და ტელეფონის ნომრის მაგივრად გვერდის ნომერი გამაჩნია. დროდადრო - წელიწადში ასე, ორჯერ, სამჯერ - რომელიმე რეალური პირი ჩამოხრის ხოლმე ჩემსკენ თავს. ჩვენსკენ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, რადგან მე ხომ მარტო არა ვარ ჩემს წიგნში. ჩვენ ვქმნით მრავალრიცხოვან და შორს გატოტვილ თემატურ ნათესაობას. აქვე მინდა განმარტების სახით ჩავურთო, რომ წიგნის გმირთა ოჯახებს, რეალური სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც ადამიანებს პირველ რიგში სისხლისმიერი ნათესაობა აერთიანებთ, საფუძვლად ყოველთვის ერთი თემა აქვთ. მე ჩემი ცხოვრების წარმოდგენაც კი არ შემიძლია ჩემს წიგნში მცხოვრები სხვა გმირების გარეშე, და ვერც ისინი იქნებიან უჩემოდ. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ნათესაობა - ჩვეულებრივი გაგებით, არ გვაკავშირებს - ასე განსაჯეთ, მე სულ სხვა წარმოშობისა ვარ ვიდრე ისინი - ჩვენ ხომ ყველაზე მჭიდროდა ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული, და ასევე ხდება თურმე სხვა წიგნებშიც. რასაკვირველია, სისხლი და თემა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვას. ხომ საკმაოდ ბევრი და უმეტესად სქელტანიანი ისტორიები არსებობს, რომელთაც ერთი ოჯახის გვარი აწერიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ სისხლი თვით თავის უშორეს განშტოებებშიც კი თემას წარმოადგენს. ჩემს წიგნში ცოტა სხვაგვარადაა საქმე: მას სისხლიანი თემა აქვს: მე დასაწყისშივე მკლავენ.

ამ უაღრესად მოკლე დროის განმავლობაში, სიცოცხლედ რომ მაქვს მომადლებული, ერთი თავისუფალი წუთიც კი არ გამაჩნია. მთელ დროსა და ყურადღებას ერთ სხვა გმირს ვუთმობ, რომელიც თავს მესხმის და მეც იძულებული ვარ, ფარით და მახვილით დავიცვა თავი, ისე რომ, სიცოცხლის ბოლო წუთამდე დამიზნებისა და სროლის მეტს ვერაფერს ვაკეთებ. ამის გამო ეს ორთაბრძოლა იმთავითვე განსაკუთრებით საბედისწეროდ აღვიქვი, რადგან ის საშუალებას არ მაძლევს, წიგნის გმირების უსაყვარლეს საქმიანობას მივცე თავი: მშვიდად დავაკვირდე რეალურ პირს, კითხვით რომ მოგვდევს და შევისწავლო ჩვენს მიერ მასზე მოხდენილი შთაბეჭდილება. რადგან სწორედ ამ შთაბეჭდილებას (რომელსაც მკითხველზე ვახდენთ) აქვს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა. მე ვიტყოდი: სულაც სასიცოცხლო მნიშვნელობა: რადგან, თუ საკმარისად ძლიერია, ის ჩვენ გვანიჭებს რეალობის განცდას. და მაშინ რეალური ადამიანები გვგონია თავი. გვგონია, თითქოს ქაღალდის ნაცვლად ნამდვილ მიწაზე ვიდგეთ ლურჯი ზეცის ქვეშ და, - რაც ყველა პერსონაჟის სანუკვარ სურვილს წარმოადგენს, - სრული რეალური მნიშვნელობა ან რაიმე ფაქტობრივი ღირებულება მაინც გაგვაჩნდეს. მაშინ ყველა განსაცდელი და უბედურება, რაც წიგნის მიხედვით გვიწერია, არც ისეთ საშინელებად გვეჩვენება და ჩვენი თემატური სიკვდილითაც გაცილებით ადვილად ვკვდებით. ამდენად, უდიდესი განცდა მაშინ გვეუფლება, თავს რეალურ პირთა (მკითხველთა) თვალებში რომ ვხედავთ და ჩვენსკენ მომართული მათი წყალობით შევიცნობთ, რომ ჩვენ ვართ.

ჩემი დიდი უიღბლობა კი სწორედ ის გახლავთ, რომ ამ უბედური ორთაბრძოლის გადამკიდე (რაც წიგნში მაკისრია), ერთი წუთი დრო არა მაქვს, მკითხველს რაიმე ყურადღება მივაქციო. მათ რომ პირდაპირ სახეში მივაშტერდე, არ შემიძლია, არ შეგვიძლია, რადგან მსგავსი რამ წიგნის გმირებს არსად არაფერი ევალებათ, ეს არცერთ ტექსტში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა. მხოლოდ როდესაც წიგნში ჩვენი როლი გვაძლევს საშუალებას, მკითხველს რაც შეიძლება სწრაფად და მალულად შევავლოთ თვალი, – მაშინ ვახდენთ ხოლმე ამგვარ დაკვირვებებს. ჩვენს შორის ზოგიერთ ილბლიანს თვით წიგნის მიხედვით უწერია ისეთი ვითარება, პირისპირ რომ რჩება მკითხველთან. როცა, მაგალითად, მათ წიგნით ევალებათ, რაც შეიძლება კარგად და დაწვრილებით გააცნონ თავი რეალურ პირებს ანდა საკუთარ თავთან გააბან საუბარი, რაც ისევ რეალურ პირთა გასაგონად ხდება და ა.შ. თავისთავად ცხადია, არც ამ – მკითხველთან მარტო და პირისპირ დარჩენილ წიგნის გმირებს აქვთ იმის უფლება აგრძნობინონ, რომ ისინი მკითხველებს ხედავენ. პირიქით, თითოეული რეალური შემოხედვა გარეგნულად შეუმჩნეველი უნდა დარჩეს, და ისე უნდა იჭერდნენ თავს, თითქოს არც თავად აკვირდებიან და არც მათ აკვირდება ვინმე.

სხვათა შორის, ჩემი წიგნის ერთ ადგილას მეც ვრჩები მარტო რეალურ პირთან. მაგრამ, რადგანაც ეს ჩემი ბოლო წუთია, – მე ტყვიით განგმირული ძირს ვეცემი – დიდად არაფერს მარგია. თვალები მემსხვრევა, წიგნის და რეალური სამყარო თვალთაგან მიქრება, სრულიად ბნელდება და მე ამ დროს თემატურად მკვდარი ვარ. ერთადერთი, რაც თან მიმყვება იმ ქვეყნად, უაღრესად მქრალი სურათია მკითხველის დიდი, – რეალური მზითა თუ ხელოვნური ჭაღის სინათლით განათებული – რეალური თავისა, უზარმაზარ მთვარესავით რომ მოძრაობს ჩვენი გადაშლილი წიგნის ზემოთ. როგორ აღიქმება ჩემი სიკვდილი სინამდვილეში, არ ვიცი, არ შემიძლია ვიცოდე ჩემი პირადი გამოცდილებიდან. ამ პუნქტში მთლიანად ვეყრდნობი იმას, რასაც მიამბობენ ჩემი თემატური კოლეგები, რომლებიც ჩემზე დიდხანს ცოცხლობენ და ჩვენი წიგნის მანძილზე ხშირად ეძლევათ საშუალება, ყურადღებით შეისწავლონ თითოეული მკითხველი. ისინი კი ნიადაგ მამშვიდებენენ და მარწმუნებენ, რომ ჩემი სიკვდილი ყველა მკითხველის აღტაცებას იწვევს და მათ მიერ გმირულ სიკვდილად აღიქმება. მაგრამ არ შემიძლია მხოლოდ ამას დავჯერდე. ჩემი მკითხველისაგან მე თანაგრძნობაც მესაჭიროება. თუკი მათ რაიმედ ვუღირვარ, უნდა განიცდიდნენ და დასტიროდნენ ჩემს დაკარგვას. დიდ და გაუქარვებელ გლოვას მათგან არ ვითხოვ, არ შემიძლია მოვითხოვო, რადგან წიგნის გმირებიდან ეს იმათ უპირატესობას წარმოადგენს, ვინც უფრო დიდხანს ცოცხლობენ თემაში, მეტი შესაძლებლობა აქვთ, უკეთ გააცნონ თავი მკითხველთ, შეიჩვიონ ისინი და, ჩემგან განსხვავებით, დასაწყისშივე არ ქრებიან შეუცნობელნი. მართლაცდა უსასრულოდ ბევრს მიშველიდა რამდენიმე გულწრფელი ცრემლი, რომელთაც რეალური თავი ჩამომაღვრიდა, უმცირესი ნიშანიც კი დანანებისა, ვთქვათ, მოკლე ოხვრა, რომელიც სიტყვიერად "ოჰ"-ზე მეტად არ გამოიხატება. მაგრამ საკმაოდ ხმამაღალი კი უნდა იყოს, რომ ჩემს უკვე აწეწილ და გაბნეულ გრძნობებში აღიბეჭდოს. ამის ნაცვლად კი ჩემს სიკვდილს მუდამ ის პერსონაჟი დასტირის, რომელმაც სიცოცხლეს გამომასალმა. მისი თემატური სინანულის ცრემლები და სიტყვები არავითარ რეალურ ნუგეშს არ მანიჭებს. და მარტო იმის გამო არა, რომ ცრემლები უკვე ძალზე გვიანია. თუ კაცი ყველა ფაქტს შეაჯამებს, იმის უარყოფა შეუძლებელი ხდება, რომ მკითხველისათვის მე აბსოლუტურად სულერთი ვარ. ჩემს როლში მათ ნებისმიერი სხვა გმირიც გამოადგებათ, იმ პირობით, რომ წინასწარდადგენილი წყვილი გასროლის შემდეგ ისიც ჩემსავით მკერდგახვრეტილი ძირს დაენარცხება. სხვადასხვა მწყემსებმა შორეული, ჩემს წიგნში მხოლოდ გაკვრით ნახსენები სოფლებიდან რამდენჯერმე შემცვალეს ჩემი მეტოქის თოფის ლულის და (რაც ჩემთვის განსაკუთრებით მთავარია) იმავე მკითხველთა თავების წინ, რომელთაც განმეორებული შეხვედრების შედეგად, ასე თუ ისე, ბუნდოვანი კონტურებით მაინც ვიცნობდი. ჩემი არყოფნა სრულიად შეუმჩნეველი დარჩა. ეს გადაამწყვეტი საბუთი ჩემი რეალური ზედმეტობისა დღემდე არაფერს შეურყევია.

სრულიად აშკარაა, რომ მკითხველებისათვის ჩემი მეტოქე ჩემზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩვენი ორთაბრძოლისას მხოლოდ ან ძირითადად მას მისჩერებიან, რომ წიგნის ყველა იმ მცირერიცხოვან ადგილას, სადაც ისინი მე უნდა მიყურებდნენ ან მისმენდნენ, ამას მხოლოდ ცალი თვალით თუ ყურით აკეთებენ. ყველაფერი ჩემი თემატური - მის უპირატესობას ემსახურება. მისი რეალური სიცოცხლე უამრავ მკითხველთა თავებსა თუ გულებში ჩემი სიცოცხლითაა გადახდილი.

ცხადია, იმდენად ობიექტური კი ვარ, რომ ამის გამო მასზე არ ვჯავრობდე, ის ნამდვილად არაფერ შუაშია, ამგვარ და ყველა სხვა ასეთ შემთხვევაში (ასეთი შემთხვევა კი, მოგეხსენებათ, არც თუ ისე იშვიათია) მხოლოდ ეს ეთქმის კაცს: "ასეთია ცხოვრება", ან უფრო ზუსტად და როგორც წიგნის გმირებს სჩვევიათ -"ასეთია წიგნი" ანუ: "ასე გვიწერია". რადგან ისევე, როგორც რეალურ პირთა უმრავლესობა თავის ცხოვრებასთან, ჩვენც ვერაფერს ვაწყობთ ჩვენს წიგნთან. დიახ, პატიოსნება იმის უფლებას არ მაძლევს, პირადად ჩემს მეტოქეს რაიმეს ვერჩოდე. მას შემდეგ რაც მკლავს, მე ანუ ჩემს ცხედარს ის ხომ ძირითადად კარგად ექცევა! ასე მაგალითად, ის არ მჭრის მარჯვენას და – შეიძლება მეტის მოთხოვნა!? – სიკვდილამდე უბედურია ჩემი სიკვდილის გამო.

ჩვენ ახლა დავმეგობრდით კიდეც და როცა წიგნი დახურულია ეი. როცა არცერთ რეალურ თავს აღარ ვყავართ გადაშლილი და შებოჭილი წარმოსახვისათვის, - ერთად მივდივართ ხოლმე ჯიხვებზე სანადიროდ ჩვენი წიგნის თემატური რაიონის მიუვალ მთებში. ხუმრობაც ძალიან გვიყვარს. მაგალითად, როცა ჯიხვები არ არიან, ერთმანეთს მონაცვლეობით ვიღებთ ნიშანში. რა თქმა უნდა, ჩახმახს ბოლომდე არასოდეს ვწევთ, რადგან ვალდებულნი ვართ, მარად მზად ვიყოთ ჩვენი წიგნისთვის: ის – სიცოცხლისთვის, მე – სიკვდილისთვის!

მას შემდეგ, რაც ჩვენმა წიგნმა უცბად სულ უფრო ნაკლები მკითხველის მიზიდვა იწყო (ეს ჩემის აზრით, საუკუნის დამდეგს უნდა მომხდარიყო, რადგან 1900 წლამდე ყოველდღიურად ოცი სხვადასხვა რეალური თავი მოჩანდა ხოლმე ჩვენს ცაზე), უფრო გავახშირეთ მოგზაურობა. წინათ, როდესაც ჩვენი წიგნი ყოველ წუთს შეიძლებოდა გადაშლილიყო და ახალი რეალური თავები გამოჩენილიყვნენ, იმასაც ვერ ვბედავდით, ჩვენს მჭიდროდ დასახლებულ თემატურ ადგილს (წიგნში ჩვენ გვიკავია დაახლოებით ასი კვადრატული კილომეტრი ლექსი) 1 კილომეტრით მაინც გავცილებოდით. ახლა კი უშორესი მარშრუტებითაც შეგვიძლია მოგზაურობა და შიში არ გვიპყრობს, რომ ამასობაში რომელიმე რეალური თავი თავს წამოგვადგება. რადგანაც მუდამ ვაწარმოებთ აღრიცხვას, თუ როდის იშლება ჩვენი წიგნი, შეგვიძლია საქმე ისე მოვაწყოთ, რომ დროზე დავბრუნდეთ ჩვენს თემში და ყველა რეალურ წარმოსახვას გამოვეცხადოთ. ზოგჯერ ისეთ თემატურ ადგილებს ანუ ლექსებსაც გადაშლიან ხოლმე, რომლებიც ჩვენგან ძალზე შორს მდებარეობენ. თუ რეალური თავები ჩვენსკენ ფურცვლით ანუ კითხვით გვიახლოვდებიან, იქაური თხის მწყემსები მე და ჩემს მეტოქეს ყოველთვის ხალისით გვატყობინებენ. მათი სალამურების გაბმული, ყოველი მხრიდან გასაგონი სტვენა გვაუწყებს, რომ თემა გვიხმობს, რომ ჩვენთვის დგება ჟამი სიცოცხლისა და სიკვდილისა. სალამურებს არასდროს უხდებათ განმეორება: ჩვენ იმ წუთსავე მივეშურებით. ორთავენი ხელში ვიღებთ ჩვენ-ჩვენ იარაღს და სირბილით ანდა, თუ შორსა ვართ, სწრაფი მერნებით მივქრივართ უკან და ჩვენი პოემის არეში ვბრუნდებით. ჩვენს გადაშლილ ანდა, როგორც ჩვენთან ამბობენ, თემატურ მდგომარეობაში სრულ ფერისცვალებას განვიცდით: უერთგულესი და ერთმანეთს მინდობილი მონადირეები მძვინვარე მტრები ვხდებით, ლაღი ნადირობა კი კაცზე ნადირობად გადაიქცევა, რომლის დროსაც ამჯერად ჩემი მტერი და დუშმანი უკანასკნელი სიტყვებით მლანძღავს და ბოლოს გულში ნასროლი ტყვიით სიცოცხლეს მასალმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა, რომელსაც ჩვენთან, წიგნში თემი ეწოდება, ჩვენთვის წმინდათაწმინდაა. ვერავინ ვერასდროს გაბედავს, რომ არ გამოცხადდეს, როდესაც რეალური თავი გვიხმობს წარმოსახვისთვის, ანდა რომ გადაშლილ (თემატურ) მდგომარეობაში რაიმე არათემატური ჩაიდინოს და ა. შ.

მე მგონი, კიდეც რომ მოგვენდომებინა, თემიდან გაღწევას მაინც ვერ შევძლებდით. საქმე ის გახლავთ, რომ თხის მწყემსთა უმეტესობა, – ყოველ შემთხვევაში ისინი, რომელთაც არასდროს უხდებათ რეალურ თავთა წინაშე უშუალოდ გამოსვლა, იმის გამო, რომ აბსოლუტურად უმნიშვნელო პირებს წარმოადგენენ, – ჩვენს სადარაჯოდ უნდა იყოს წიგნში ჩასმული. ამის დასაბუთება არ შემიძლია, არ შეგვიძლია, რადგან ეს იქნებოდა განხეთქილება თემთან, რაც არცერთ ჩვენთაგანს არ შეიძლება თავში მოუვიდეს სერიოზულად. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ეს არ მომხდარა. ეჭვისთვის უტყუარი საფუძველი არსებობს: მაგალითად, ეს გარემოება: ეს ადამიანები, თავს თხის მწყემსებად რომ ასაღებენ, ჩვეულებრივ ძალზე იშვიათად არიან თავიანთ თხებთან, რომლებიც, შეიძლება, საერთოდ არ არსებობენ, და უმეტესად ჩვენთან, წიგნის გმირებთან იმყოფებიან. შეიძლება ჩვენს შუაგულში არ ტრიალებენ, რადგან, როგორც აბსოლუტურად უმნიშვნელო პირები, ჩვენს თემს უშუალოდ არ ეკუთვნიან, მაგრამ (და განა ამით ამ ყმაწვილებზე ჩემი შეხედულება უფრო არ მტკიცდება?) – ყოველთვის სადღაც განზე იყრიან თავს. მაგალითად, ტყის პირას, როცა ჩვენ გაშლილ მინდორზე ვართ დაბანაკებულნი, ანდა ცარიელ გომურებში, როცა რომელიმე სოფელში ვჩერდებით. ძალზე საეჭვოა ისიც, რომ მათ ჩვენი წრიდან არცერთთან არა აქვთ რაიმე უმცირესი კავშირი მაინც. თვით სისხლით ნათესაობაც კი არ გაბმულა ამ საგრძნობი დროის განმავლობაში, რაც ჩვენი წიგნი არსებობს (ჩვენ ხომ მალე ჩვენი არსებობის ასი წლისთავს ვიზეიმებთ). იმ ფაქტს, რომ მათ ჩვენთან დასახლება არ სურთ და მუდამ მანძილს ინარჩუნებენ, მათი რიგები პერიოდულად რომ საიდანღაც ივსება და იცვლება (ყოველ შემთხვევაში, ახალი სახეები მუდამ უფრო მეტია მათთან, ვიდრე ძველი), ლოგიკურად შემდეგ დასკვნასთან მივყავართ: აქ საქმე უნდა გვქონდეს განსაკუთრებული სახის, ჩვენს საერთო თემაზე საიდუმლოდ მომაგრებულ მოთვალთვალე ჯგუფთან.

ეს ეჭვი დიდი ხანია მტკიცდება იმ გარემოებით, რომ ისინი შემაცბუნებლად გარკვეულნი არიან ყველაფერში, რაც ჩვენს თემს ეხება. როგორც არაერთგზის დავრწმუნდით, მათ ის სიტყვა-სიტყვით და ჩვენზე გაცილებით უკეთ იციან. ასე მაგალითად, ამასწინათ იმ ადგილას, სადაც ჩვენი წიგნი სულ უფრო იშვიათად იშლება, ყველანი ოდნავ ამოვვარდით კალაპოტიდან ეი. ჩვენი თემიდან: მართალია, ის მთლიანად არ დაგვიწყებია, უფლება არა გვაქვს, დავივიწყოთ, მაგრამ უმრავლესობას (იმის გამო, რომ იშვიათად გვშლიან და რეალური თავები იშვიათად გვიხმობენ წარმოსახვისთვის) ტექსტი გადაავიწყდა. რა უნდა გავაკეთოთ, ყოველთვის ვიცით, რადგან შედარებით ადვილი დასამახსოვრებელია, მაგრამ რა უნდა ვთქვათ, ეი. მთელი თემატური სიტყვათწყობა მეხსიერებიდან სრულიად გვივარდება იმის გამო, რომ როგორც მოგახსენეთ, ჩვენი წიგნი სულ უფრო და უფრო ხანგრძლივი დროით იხურება ხოლმე. ასე ვდგავართ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ცალი ფეხით წიგნში და მეორით სადღაც სულ სხვაგან. და ვინ იცის, რა მოხდებოდა, ხსენებული თხის მწყემსები აქ რომ არ იყვნენ. ჩვენი წიგნის ანუ ჩვენი ლექსის უბნის გადაშლამდე ისინი ყოველთვის გვაწვდიან რეპლიკას, რომელიც სრულიად ცოცხლად და ზუსტად აღგვიდგენს მეხსიერებაში ჩვენს სათქმელს. ზოგიერთი ჩვენგანისათვის, ვინც თემის არდადეგებს ანუ ჩვენი წიგნის დახურულ მდგომარეობას იმისთვის იყენებს, რომ ცოტაოდენი წერა-კითხვა მაინც ისწავლოს, მათ თემატური ფურცლები აქვთ მზად, საიდანაც თითოეული – წიგნის გადაშლამდე და (რადგანაც ეს მცირე ზომის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის შეუმჩნეველი ფურცლებია) თვით გადაშლილ მდგომარეობასაც მოხერხებულად იხსენებს ყველაზე მთავარსა და აუცილებელს. ეს ფურცლები – თავიდან ისინი რეპლიკაწაწერილ ტყავის ნაგლეჯებს წარმოადგენდნენ, რადგან ქაღალდი გვიან გაჩნდა – თანდათან უფრო ვრცელტექსტიანი ხდებოდა და ახლა, ძალიან ხშირად ისინი უკვე ყველაფერს მოიცავენ, რაც კი წიგნის გმირებს თემში გასაკეთებელი და სათქმელი გვაქვს. როცა უკეთესს ვერაფერს ვიგონებთ, სიამოვნებით ვაწყობთ ამ ფურცლებს ერთმანეთის გვერდით და ამ გზით ვიღებთ ჩვენი საერთო თემის ამსახველ ნაწერს, ცხადია, უამრავი გამოტოვებული ადგილით, რაც იმ რამდენიმე პერსონაჟს უნდა დაბრალდეს, ჯერ ისევ გაუნათლებელნი ეი. წერა-კითხვის უცოდინარნი რომ არიან და ამის გამო არც არავითარ ფურცლებს არ იღებენ თხის მწყემსებისაგან. მაგრამ რადგანაც ამ გმირთა სათქმელი ჩვენთვის კარგა ხანია ცნობილია, მასაც იქვე მივანერთ ხოლმე. სხვა, გარშემო მდებარე ლექსის უბნებშიც ასევე იქცევიან ანუ ერთობიან განათლებული პერსონაჟები. თემატური ფურცელი საერთოდ ძალზე პოპულარული გახდა. მათ ხის ნაფოტებზე ვაწებებთ და თავს ვიქცევთ მათი შეერთებით, რის დროსაც გამარჯვებულად ის ითვლება, ვინც მახვილგონივრული სვლით თავის რომელიმე ფრაზის (თუნდაც მთელს თემაში უმცირესის) მთლიანი ტექსტის შედგენას ახერხებს. ამ საინტერესო თამაშს – დომინოს მიხედვით, რომელსაც ის წააგავს, და ჩვენი თემის გათვალისწინებით, რომელსაც ის უკავშირდება, – თომინოს ვუწოდებთ.

ეს იდეა, ჩემის აზრით, თხის მწყემსებისგან უნდა მოდიოდეს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული თამაში მთლიანად მათ მიზანს ემსახურება. მათი მიზანი კი ის გახლავთ, რომ წიგნის გმირებში კეთილ მოგონებად რჩებოდეს თემი, როცა წიგნი ხანგრძლივი დროით იხურება.

ჩემი მოკლე როლის წყალობით, რომელიც მხოლოდ მეტოქის მისამართით წარმოთქმული ორიოდე სალანძღავი სიტყვის უფლებას მაძლევს, თომინოში ვერაფერი პარტნიორი ვარ. ხშირად საათობით უნდა ვიცადო, ვიდრე ის ნაფოტი ამოვიდოდეს, რომელზედაც ჩემი თემაა. ამით ის პარტიაც იგვიანებს, რომელშიც ვმონაწილეობ და რადგან თომინოში ის იმარჯვებს, ვინც ადრე ამთავრებს, ყოველთვის გარდაუვალი მიზეზი ვარ ჩემიანების დამარცხებისა. ამის შედეგი კი ის არის, რომ თომინოშიც ისევე უხალისოდ მხვდებიან, როგორც თემში: გამოვჩნდები თუ არა, მაშინვე იღუშებიან და რაკი ფულზე ან თხებზე ვთამაშობთ, აგრესიულნიც კი ხდებიან ჩემს მიმართ. როდესაც, როგორც აქ ამბობენ, ჩემი ჩასვლაა, შემიძლია მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე გაუნათლებელი (წერა-კითხვის უცოდინარი) პერსონაჟის სახელითა და როლში ვითამაშო, პერსონაჟისა, რომლის უპირატესობასაც ის წარმოადგენს, რომ ჩემზე ხშირად გამოდის თემსა და თომინოში. აქვე შემიძლია კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ჩემს მეტოქეს თუ თემში ვერა, თომინოში მაინც აშკარად ვჯობნი, რადგან როდესაც მხოლოდ ჩვენ ორნი ჩვენი კუთვნილი, მაშასადამე, ლანძღვა-გინებით აჭრელებული ნაფოტებით, ვთამაშობთ, მე ყოველთვის პირველი ვამთავრებ, იმის გამო, რომ თემში ბოლო სიტყვა მას ეკუთვნის (მე ხომ ადრე ვკვდები) და ამდენად, თომინოშიც უფრო მეტი ნაფოტები აქვს. პირველ ხანებში ჩემს მეტოქეს, რომელიც თემის მიხედვით გამარჯვებასაა შეჩვეული, არც უნდოდა დაეჯერებინა, რომ ზედიზედ აგებდა ხელს. იმას ეგონა, რაღაცას ვეშმაკობდი და ისე მწყევლიდა და მასწორებდა მიწასთან, როგორც თემში სჩადის ამას. მე, ბუნებრივია, ვალში არ ვრჩებოდი და ხშირად თომინოშიც ისევ იმ ტლანქი თემატური სიტყვებით ვამკობდით ერთმანეთს. ერთხელ გაშმაგებულმა ხანჯალზეც კი იკრა ხელი, მეც ჩემს თოფს ვეცი და თხის მწყემსები რომ არ ჩარეულიყვნენ, ისევე ვეკვეთებოდით ერთმანეთს ასაკუნწად, როგორც თემში ჩავდივართ ამას. ამის მსგავსი აღარაფერი მეორდება მას შემდეგ, რაც დიდად დავმეგობრდით. თემს გარეთ ყოველგვარი თემა და შუღლი წყალს გავატანეთ და ახლა თომინოს სხვების წინააღმდეგ ვთამაშობთ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წიგნი არაერთხელ გადაშლილა იმ დროს, როდესაც ჩვენ თომინოში დანთქმულები, სხვადასხვა კომბინაციებს ვახორციელებდით და ნაფოტებს მაგიდაზე სულ ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. ასეთ შემთხვევაში თხის მწყემსები იძულებულნი იყვნენ გამაფრთხილებელი მხარზე კაკუნით ანდა – თუ ეს საქმეს არ შველოდა – ლაზათიანი მუჯლუგუნით გამოვერკვიეთ. ხოლო ზოგიერთ გადარეულს, რომელთაც, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, თამაშის გაგრძელება სურდათ, სულაც კინწისკვრით აგდებდნენ ზეზე და თემისაკენ მიუთითებდნენ. ზოგჯერ, როდესაც განსაკუთრებით გაცხარებით ვთამაშობდით, ისინი ხელით ურევდნენ მაგიდაზე გაშლილ ნაფოტებს და აქეთ-იქით ფანტავდნენ ხოლმე. ყველა ასეთი და ამგვარი მოწოდება, ჩვეულებრივ, მე ნაკლებად მეხება, რადგან, როგორც მოქმედი პირი, ძალზე მცირე ხანს ვიმყოფები თემში – ჩემთვის სასიკვდილო ორთაბრძოლა დაახლოებით ათ წუთს გრძელდება – და მეტწილად თავისუფალი ვარ, იმ დროს, როდესაც სხვებს რეალური თავები კითხულობენ და წარმოიდგენენ.

როდესაც თხის მწყემსები მთელ შემადგენლობას ასე გარეკავენ ხოლმე თემისკენ, მე შემიძლია მშვიდად ვიჯდე და მყუდროობაში ჩიბუხის წევა განვაგრძო. ჩემთვის ეს უმშვენიერესი წუთებია, რადგან მთელი თომინო ამ დროს მე მრჩება. მერე მთელ ნაფოტებს ხელახლა ვაწყობ და თავს ვიმტკრევ სხვადასხვა პოზიციებზე, პირველ რიგში კი იმაზე ფიქრით, რა ოინის საშუალებით მოვახერხო, რომ ჩემი ლექსის უბნის ყველა წევრი, რომლებიც თემში ძირითადად ჩემზე ლაპარაკობენ, თომინოში მაინც გავაჩუმო. ამგვარი ფიქრებისაკენ იმან მიბიძგა, რომ თომინოს ურიცხვი პარტიებიდან ჩემთვის სრულიად ცხადი გახდა ჩემი პიროვნების გადამწყვეტი მნიშვნელობა მთელი თემისათვის. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ნაფოტების უმრავლესობა ტექსტის მიხედვით, უშუალოდ (დასახელებით) თუ არა უშუალოდ მე მეხება, რომ მოთამაშეთა ყველა მნიშვნელოვანი ჩასვლა ჩემთან არის დაკავშირებული და ამდენად, ჩემს გარეშე ვერავითარი თომინო და შესაბამისად, ვერც ვერავითარი თემი ვერ იარსებებდა. მე, როგორც ჩვენი პოემის უმნიშვნელოვანესი გმირი, ვარ თემა თემში და რაც მთავარია, მთავარი ნაფოტი – თომინოში. საკუთარი ღირსების შეგნება სიამაყეს მმატებს და იმის მიზეზიც გახლავთ, რომ ახლა წინანდელზე უფრო თამამად და თავდაჯერებით დავიარები ჩვენი ლექსის უბანში. ჩვენი პოემა, რადგანაც მხოლოდ ჩემს პიროვნებას ეძღვნება ეი. მხოლოდ მისგან (ჩემგან) იძენს თავის აზრსა და არსებობას, სხვას არავის ეკუთვნის თუ არა მე. ის ფაქტი, რომ მას ჩემი სახელის ნაცვლად – რაც გაცილებით უფრო თემატური იქნებოდა – ჩემი მეტოქის სახელი ჰქვია, ალმაშფოთებელ უსამართლობად მიმაჩნია, რის მოთმენასაც არცერთ შემთხვევაში აღარ ვაპირებ და რისი შემოწმება-შესწორების იმედიც (შეიძლება თხის მწყემსების დახმარებითაც) ახლო მომავალში ნამდვილად მაქვს. ჩემი პიროვნებისათვის თემში, დიახაც, კუთვნილი ღირებულებისა და მნიშვნელობის მოპოვება პირველ ხანებში მაინც ძალზე გამიჭირდება, განსაკუთრებით იმ გულის გამტეხი გამოცდილების შემდეგ, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით შევიძინე: ჩემს უდიდეს თემატურ ღირებულებას ჩვენი პოემის ყველა მთავარი გმირი, რომლებიც ჩემს მეტოქეს ჩემზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ერთხმად და ენერგიულად უარყოფს. უდიდეს დაბრკოლებას თემში ჩემი ნაადრევი სიკვდილი წარმოადგენს და ჩემი მოწინააღმდეგენიც (ამ საკითხში მთელი თემი მეწინააღმდეგება) ასე მიგებენ ნიშნს: რადგანაც შენ, ჩემო ძვირფასო, როგორც მოქმედ პირს, პირადი და პიროვნული არაფერი გაქვს სათქმელი, იმიტომაც ჰქრები ასე ადრე ჩვენი თემიდანო. როგორ უნდა გააგებინოს კაცმა ამ ვირის – უკეთ, თხისთავებს, რომ თემში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ უპიროვნოა. გარედან, სხვა თემებისა არ იყოს, ჩვენიც პიროვნული ჩანს და ეს თხისთავებიც ამაზე შორს აღარ მიდიან. მაგრამ, კიდეც რომ მომნიჭებოდა უფრო ხანგრძლივი თემატური სიცოცხლე, ამაზე მეტს ხომ მაინც ვერაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაღწევდი ჩვენს პოემაში. მთელი ეს ამბავი იმ მრავალი, დღემდე გადაულახავი განსხვავების ბრალია, რაც ჩემსა და ჩემი თემის სხვა წევრებს შორის არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ მე რჯულის, ენისა და სარწმუნოების მიხედვით სრულიად განსხვავებულ მთიელთა შტოს ვეკუთვნი, რომელიც თავის თხებს სულაც არ აძოვებს იმ არემარეში, სადაც თემატურად ვბინადრობ. ცხადია, აქ არასდროს მოუვა ვინმეს აზრად, ჩემსავით უცხოს რაიმე მნიშვნელობა მიანიჭოს. მრავალ მოქმედ პირს დღემდე ვერ მოუნელებია, რომ მათ თემს (თემას) ვეკუთვნი და, თუმცა ამის აშკარად გამოხატვას ვეღარ ბედავენ, გულში საშინლად უხარიათ თემიდან ჩემი ნაადრევი გასვლა და გაქრობა.

გერმანულიდან თარგმნა **ნაირა გელაშვილმა**.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მარგველაშვილის შემოქმედების შესახებ

„მე არ მინდოდა დამეწერა რაღაც უსაშველოდ პირქუში წიგნი. მაშინაც იყო ახალგაზრდობა, რომელსაც სიხარული სურდა და ხშირად პოულობდა კიდეც მიზეზს, გახარებული ყოფილიყო.

ყველა პოლიტიკურ აურზაურში სულ მცირე ერთი თაობა მაინც არსებობს, რომელიც ფხიზლდება და საკუთარ თავთან მიდის. ამ შემთხვევაში ამ თაობას უსასრულო უპირატესობა აქვს, უფრო ზუსტად იცოდეს, სად არის სიმართლე. მე ამას ჩემს თაობაზე ვიტყოდი". **გივი მარგველაშვილი („კაპიტანი ვაკუშის"** შესახებ).

„მისი მონუმენტური შემოქმედება თბილისში შეიქმნა... ეს არის ქმნილება აღბეჭდილი გამაგონები სილაღით, ირონიულ-თამაშისეული და მაინც უაღრესად ზუსტი. შემთხვევითი როდია, რომ მისი პოეტიკის ბირთვს წარმოადგენს მცდელობა „დააბრუნოს ადამიანი მის თავდაპირველ ძირეულ მდგომარეობაში – სამყაროს ღიაობის წიაღში."

გამომცემლობის რედაქცია, (**„არნასროლი ხელთათმანი"**) 1992წ.

უსაზღვრო შინაგანი თავიუფლებით აღვსილი (პრაქტიკულად: დიქტატურათა მსხვერპლი) მწერალი უმხედრდება ტირანიის, ძალმომრეობის ყოველგვარ ფორმას, თუნდაც უხილავს, თუნდაც მხატვრულს. და ასეთია თვით ხელოვნება, კერძოდ: ყოველი სიუჟეტი პერსონაჟებისათვის, რომლებიც სამუდამოდ არიან ჩაკეტილი ერთ ფატალურ ამბავში, საუკუნეების მანძილზე უნდა იცხოვრონ, მისჯილ სახლში და იმდენჯერ მოიკლან თავი, გაგიჟდნენ და ულალატონ – რამდენჯერაც მათ წაიკითხავს მკითხველის თვალი.

პერსონაჟი განცდილია ცოცხალ არსებად, რომელიც იტანჯება ერთხელ და სამუდამოდ დაწერილი, უთვალავჯერ განმეორებადი სიუჟეტით, ისტორიით.

ეს განცდა იმდენად ძლიერია, რომ გივი მარგველაშვილისთვის ყოვლად თავზარდამცემია ჩვევა: წიგნში ფანქრის ჩატოვება და ისე დახურვა. რადგან მისთვის, აი, ამ ორ ყდას შორის ცოცხალი არსებები სუნთქავენ, ცოცხალი მოსახლეობა ბინადრობს.

გივი მარგველაშვილი იმსახურებს პერსონაჟების მესიის სახელს, მას ხომ მხატვრული თამაშის ძალით თავისუფლება მიაქვს მისჯილ სიუჟეტებში გამომწყვდეულ, უხილავი არსებებისთვის".

ნაირა გელაშვილი,
„პერსონაჟების მესია". 1990 წ.

"სისასტიკეებმა, მწერალ გივი მარგველაშვილს მთელი ცხოვრება რომ ატყდებოდა თავს, გააფართოვა მისი გული და გააღრმავა მისი სიცილი...

სრულდება მისი ოცნება, დაბეჭდილი ეხილა თავისი ტექსტები. სწრაფად, ერთმანეთის მიყოლებით გამოიცა მისი წიგნები... "წიგნის ავბედითი თავი" (1991); "მუცალი" (1991); "კაპიტანი ვაკუში" (Iტ.-1991; IIტ.-1992); "არნასროლი ხელთათმანი" (1992); "ცხოვრება ონტოტექსტში" (1992); პრესის რეზონანსი გრანდიოზულია: ქება-დიდების რეცენზიები ყველა დიდ გაზეთში.

„ცხოვრება როგორც აბსურდული თამაში"
11.11.1991, Märkische Allgemeihte

"მუცალი" ეწოდება ჯერ კიდევ უცნობი ქართველის გივი მარგველაშვილის რომანს. მუცალი ამ ზღაპრულ-მითოლოგიური და ფუტურისტულად შემოსილი ფილოსოფიური რომან-პარაბოლას მთავარი გმირია. წიგნის გმირის ულმობელი ბედისწერის უკან ჩამალულია ავტორისა და აგრეთვე საქართველოს დრამატული ბედისწერა".

Echo Main 11.11.1991წ

"ამ რომანის შექმნამდე ავტორს, ალბათ, აწვალებდა კითხვა: როგორ შეიძლება კიდევ ერთხელ ვიამბო ფუნქციონერთა კლასის საბჭოთა დიქტატურის შესახებ ისე, რომ კიდევ ერთი რეალისტური ნაწარმოები აღარ შევმატო ამგვარი ლიტერატურის ზღვას. გამოსავალი მოძებნილ იქნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფანტასტიკური პარაბოლის გამოგონებით, სადაც ისტორიული ვითარებაც ისევეა არეკლილი, როგორც თავად ესთეტიკური მონაპოვარი, უამრავი მიგნება და დიდი პოეტური მომნუსხველობა რომ ახასიათებს...

იმ სრული ქაოსის დიდებული პანორამის მონახაზში, რომელიც არსებობს რეალობასა და დათრგუნულ პირთა თავებში გაშლილ წარმოსახვას შორის, ძევს რომანის მთავარი განაჩენი: მცდელობა, ხელში ჩაიგდო სინამდვილე მისი სრული რეგლამენტაციის გზით, თავად სინამდვილეს ძარცვავს ყოველნაირი ექსისტენციისაგან".

ალფრედ პაულ შმიდტი
"მკითხველთა თავები, გამოცანები და წიგნის გმირები"
17.01.1992, **Der Standard**

"თამაშისეულმა, მაგრამ ექსისტენციალურმა ცნობისმოყვარეობამ, სურვილმა, გაეგო, თუ რას აკეთებენ რომანის პერსონაჟები იმ დროს, როცა მათ არავინ კითხულობს, როცა ისინი გრძნობენ, რომ მათ აღარავინ ადევნებს თვალს, – მიიყვანა ავტორი, ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი უზარმაზარ რომან-ექსპერიმენტთან, რომელსაც ჰქვია „მუცალი – ქართული რომანი"...

ავტორი ჩამალულია არა მხოლოდ თავის პერსონაჟ მუცალში. მარგველაშვილი ყველა თვალსაზრისით თავადვეა წიგნის გმირი, იძულებით ქცეული წიგნის გმირად: მისი სამყარო, სადაც მას შეუძლია თავისი აზრების გაშლა, მისი ტექსტებია; ტექსტი იქცა მისთვის სამყაროდ: ონტოტექსტოლოგიას იგი თავის მოწოდებად აცხადებს.

ტრანსცენდენტალურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით მარგველაშვილის სურვილია ცნობიერების იმ კოდის განსაზღვრა, რისგანაც კონსტრუირებულია სამყაროს აღქმა. სრულიად განსაცვიფრებელი კი ამ ავტობიოგრაფიულ ალეგორიაში არის მისი არატრადიციული, იუმორით აღსავსე, თამაშისეული ხასიათი. მხოლოდ იმედმა შეიძლება წარმოშვას ეს ნირშეუცვლელობა. "ხელის მოკვეთის" ანუ გალავნების, ძალმომრეობისა და ცენზურის ტრადიციის საპირისპიროდ მარგველაშვილი მთელ იმედს აზრის ძალაზე ამყარებს: მხოლოდ აზრს შეუძლია "ხელის ჩამორთმევის" სულისკვეთებათა გავრცელება. "აზრები თავისუფალია და აზრებს თავისუფლება მოაქვთ" – ეს არის წიგნის კვინტესენცია და მარგველაშვილის სიცოცხლის ელექსირი...

გამომცემლობას უნდა მიეთითოს, საქმეს მხოლოდ არგებდა იმის აღნიშვნა, რომ ეს რომანი 60-იან წლებშია დაწერილი".

შტეფან ბრუნსი
"წიგნის გმირი თავს იცავს"
7.11.1991, **Frankfurter Rundschau**

"რომანი მაღალი რანგის პარაბოლას წარმოადგენს... ავტორმა დაწერა "თამაშის რომანი" ხელოვნების სხვადასხვა დარგების საყოველთაო ტენდენციის შესაბამისად, კერძოდ, შესაბამისად ლტოლვისა ცნობიერი თამაშისაკენ, თამაშისაკენ სპეციფიური ესთეტიკური საშუალებებით. თუ მაგალითად, ვუდი ალენსი ფილმში The Purple Rose of Ciro (აქ, როგორც ცნობილია, ეკრანის ერთ-ერთი გმირი გაოგნებულ კინოპუბლიკაში ჩადის და ამ ექსკურსიის შემდეგ ისევ ეკრანს უბრუნდება) საქმე გვაქვს ფიქციასთან, "მუცალის" შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება პოლიფიქციაზე. მწერალი ახდენს რა მკითხველის აღქმის ტესტირებას ტკივილის საზღვრამდე, – მწარე ირონიით, რაფინირებულად, ვირტუოზულად თამაშობს უხვი კავშირებით კონსტელაციისა: "ტექსტი–მკითხველი, რეალური სამყარო–ავტორი".

როგორ მიიღებენ ამ ღია დასასრულიან რომანს (მუცალი ოცნებობს განახორციელოს მოგზაურობა რომანის "წიგნის სამყაროდან" – "მკითხველის რეალურ თავში")? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლიტერატურათ-მცოდნეები ნამდვილად ფეხზე ადგომითა და აპლოდისმენტებით შეეგებებიან გივი მარგველაშვილის ამ ჩანაფიქრს (სადაც გზადაგზა მხატვრულად ესხმება ხორცი თვისებების, ტექსტის შემადგენელი ნაწილებისა და სტრუქტურის პრობლემებს, მაშასადამე) – ლიტერატურათმცოდნეობის ესთეტიზაციას.

მიხეილ ფრენტჰოლცი,
„მწარე ირონიული თამაში"
14.01.1992, **Deister und Wesdrzeitung**

"ეს არის ფილოსოფიური წიგნი მუნყოფიერების შესახებ, მისი პრობლემა და იმედით აღსავსე ჰიმნი ლიტერატურისადმი. მხოლოდ უნდა ვაღიაროთ, ეს ადვილი არც ისე ადვილია. ავტორის სიტყვის მატარებელნი მუცალი და ალუ არიან... და ეს სიტყვა ზღაპრულ-მითიურ ამბად იშლება 463 გვერდზე. ავტორი ტკბება შესანიშნავად დაუფლებული თამაშით და მრავალი მკითხველიც დატკბება. ზოგს კი უსასრულოდ განმეორებადი სიტყვებით თამაში შეიძლება დამქანცველად მოეჩვენოს...".

როზემარია თიემტი
"ერთი ფორიაქა პერსონაჟის იმედები"
13.12.1991, Sächsiche Yeitung

ვუდი ალენის სატირაში „კუგელმასის ეპიზოდი" ^ მავანი ბატონი კუგელმასი ახერხებს მაგიის საშუალებით რომან „მადამ ბოვარის" ფურცლებზე ამ პერსონაჟთან სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყოს. ქართველი გივი მარგველაშვილის რომანი „მუცალი" გვევლინება ალენის სასიამოვნო ლიტერატურული ხუმრობის, ალექსანდრე ზინოვიევის „მთვლემარე სიმაღლეებისა" და კანტის კრიტიკული ტექსტების ვირტუოზულ შერწყმად. მარგველაშვილთან რეალობად იქცევა ის, რასაც მუდამ წინათგრძნობდნენ და რისიც ეშინოდათ მკითხველებსა და რეცენზენტებს: ზოგი პერსონაჟი ორ ყდას შორის საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს და მხოლოდ ერთ რამეს ნატრულობს: რამენაირად გაიჭრას გარეთ! წიგნის გმირი კი აღარ იყოს, არამედ რეალურ ადამიანად იქცეს! და როგორ ხდება ეს ამბავი, ამაზე მოგვითხრობს მუცალი – მთავარი გმირი ამავე სახელწოდების მაღალპოეტური შედევრისა, სადაც ეს წარმტაცი ძირითადი იდეა ბოლომდე თანმიმდევრულად მუშავდება. ზღაპარს ეხება საქმე? არა, ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ზღაპარია. კერძოდ, ჩვენს წინაა უკიდურესად დაშიფრული ავტობიოგრაფია: ჰომო სოვიეტიკუსის ყოფიერებისა და შემეცნების მოძღვრება, სტალინისტური ჩაგვრის სისტემის უმოწყალო ვივისექცია და ამასთან ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ორად გაყოფილი მსოფლიოს სატირული ასახვა: ერთ მხარეს დემოკრატიული დასავლეთით თავისი **Highlight** და **High-tech-Accessoires**-იანად და მეორე მხარეს ღარიბი, ტოტალურად მართული და ტექნიკურად ჩამორჩენილი აღმოსავლეთით. ეს არის ძახილი დასავლეთისადმი, გაჭირვებაში არ მიატოვოს აღმოსავლეთი. და არა ნაკლებ, ეს არის რელიგიური წიგნი: მიწიერი ტანჯვა-ვაების საუფლოში ხსნამოწყურებულ, ხსნის მაძიებელ ადამიანთა შესახებ... "რეალური თავის" (მკითხველის თავის–ნ.გ.) თანამოქმედების გარეშე, მკითხველისა, რომელიც ხევსურეთის დამონებული ხალხისაკენ მიმართავს თავის ყურადღებას, – გმირების მცდელობა, გააღწიონ ფატალური ტექსტიდან, – მარცხით დამთავრდებოდა". წიგნის გმირების მონატრებული ლოცვა მათი მკითხველი "რეალური თავისაკენ", რომელიც უკვე თავისი არსებობით ეხმარება მათ, – ცხადია, შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც ძიება ღმერთისა, რომლის ვეება თავიც ტექსტს ზემოთ რეალურ ცაზე კი გამოკვეთილა, მაგრამ შეუცნობელი და მიუწვდომელი რჩება. იმ ქვეყნის ენას, სადაც გ. მარგველაშვილი დაიბადა, იგი ისე ფლობს, როგორც დედა-ენას. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს ენობრივი ხელოვნების ისეთი დიდი ქმნილება, როგორიც "მუცალია". მკითხველი, რომელიც შეწყვეტს ძნელად საკითხავი ტექსტის კითხვას - ასცდება ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლით ტკბობას".

კლაუს პეტერ ვალტერი
"რეალურ თავთა ასტრონავტიკა"
12.11.1991, Frankfurter Allegemeine Zeitung

"ვაკუშთან ერთად წარმიქმნება ახალი ენა, რომელიც არ უნდა იქნეს გაგებული ახალგაზრდობის გასაიდუმლებულ ენად, არამედ, იგი წარმოადგენს სამყაროს გაშიფვრის პროცესს, მარგველაშვილის ყოველი რომანის პირველივე გვერდზე თავიდან რომ იწყება. გერმანული წიგნის მაღაზიებში სამართლიანად ლაპარაკობენ "მუცალზე" როგორც საიდუმლო მინიშნებათა წიგნზე. მარგველაშვილის ყოველი წიგნით იწყება განსაკუთრებული ენის გაკვეთილი. წიგნის საკუთარი ენა მართავს ყოველდღიურობისაგან გამამანძილებელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამამანძინებელი აზროვნების წესს. უბრწყინვალესი რომანი "მუცალი" ასეთი ტიპის კითხვას ატრიალებს: "რას აკეთებს ჰანს კასტორი, როდესაც არ ვკითხულობთ "ჯადოსნურ მთას"? მარგველაშვილი ჰქმნის სათავგადასავლო წიგნის სამყაროს, რომელიც მთლიანად იპყრობს მკითხველს როგორც რეალურ პირს. ცა და ჯოჯოხეთი, სამოთხე და შეჩვენება – ყველაფერი გამოცდილებადი ხდება, რადგანაც ხდება წარმოსახვადი ფიქციის ცნობიერებაში.

წიგნის სამყარო მკითხველს კვლავ გარე სამყაროში გადაისვრის: ლიტერატურის გარეთ არსებული საკონცენტრაციო ბანაკის ჯურღმულებში, საზოგადოებრივი სისტემების განსაწმენდელში, დამოუკიდებელ კოსმოსად რომ იქცევა. ზაქსენჰაუზენში განცდილ კოსმოსს კოლხოზი ჰქვია...

მარგველაშვილი უწყინარი იძულების ქვეშ აქცევს მკითხველს: სწორედ ასე სძლევს იგი განსხვავებას სინამდვილესა და ფიქციას შორის, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა საკონცენტრაციო ბანაკის ორმაგი სამყაროს ასახვა. ამ ორმაგობას ნაციონალ-სოციალისტური და რუსულ-საბჭოთა ფორმების შერწყმა განაპირობებს. მარგვველაშვილი არც თეორიულ ტექსტს თხზავს და არც რეპორტაჟს ბანაკიდან, იგი თავისი საკუთარი ენის საშუალებით ქმნის სამყაროს **sui generis**, ამ ენით იგი ახერხებს უცხოტექსტობრივი სამყაროების დამამხობელ ძალმომრეობას გამოგლიჯოს ინდივიდიზაციის შესაძლებლობა. საკუთარი, კერძო ენა გაზიარებადს ხდის წინააღმდეგობის იმ იმპულსს, რითაც კერძო ადამიანი უმხედრდება ევროპული XX საუკუნის ძალადობათა განსაზოგადოებრიობებს.

დეტლევ კლაუსენი
"(მ)წყობ(რ)იდან გამოსვლა"
20.11.1992, **Neues Deutchland**

ბიბლიოგრაფია

გამოქვეყნებული ნაწარმოებები:

1. Muzal – Ein georgischer Roman

მუცალი – ქართული რომანი, 1991, ინზელფერლაგი, მაინის ფრანკფურტი, 467 გვ.

2. Das böse Kapitel

წიგნის ავბედითი თავი (ეძღვნება ნ. გელაშვილს. I წიგნი რომანების ციკლისა „დიდი კორექტურა"), გამომცემლობა რიუტენ უნდ ლოენინგ, 1991, ბერლინი, 472 გვ.

3. Kapitän Wakusch (in Deuxiland)

კაპიტანი ვაკუში (დოიქსილანდში), რომანი, 1 ტომი, 1991, ზიუდფერლაგი, კონსტანცი, 388 გვ.

4. Kapitän Wakusch (Sachsenhäuschen).

კაპიტანი ვაკუში (ზაქსენჰოისხენი), 2 ტომი, 1992, ზიუდფერლაგი, კონსტანცი, 526 გვ.

5. Der ungeworfene Handschuh

არნასროლი ხელთათმანი, ლექსები და ლექსები პროზად. 1992, რიუტენ უნდ ლოენინგ, ბერლინი, 195 გვ.

6. Zuschauerräume

მაყურებელთა დარბაზები, პიესა, 1992, ავტორთა კოლეგია, ბერლინი, 70 გვ.

7. Leben im Ontotext

ცხოვრება ონტოტექსტში – პოეზია, პოეტიკა, ფილოსოფია, 1993, ფედერხენფერლაგი, ნოიბრანდერბურგი, 224 გვ.

8. Gedichtwelten – Realwelten

ლექსის სამყაროები – რეალური სამყაროები. 1994, ფუსნოტე 28, ბამბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. Ein Stadtschreiber hinter Schloß und Riegel
ქალაქის მწერალი გალავანს მიღმა. 1996, რაინსბერგერ ბოგენ, რაინსბერგი, 16 გვ.

გერმანულ ჟურნალებსა და ანთოლოგიებში გამოქვეყნებულ მცირე ფორმის მხატვრულ ნაწარმოებებს არ ვასახელებთ.

საქართველოში გამოქვეყნებული ნაწარმოებები:

„მაყურებელთა დარბაზები" – ისტორიული პიესა, 1985, "საბჭოთა ხელოვნება", ლექსები – „ლიტერატურული საქართველო„ 1987,12.06; 1988, 15.04. ჟურნალი „ცისკარი" – 1989, გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა. (მასვე ეკუთვნის პირველი წერილი გ. მარგველაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ **„პერსონაჟების მესია"**, 1990, ჟურნალში „ლიტერატურა და ხელოვნება". შესულია წერილების კრებულში „ტრაგიკული გრადაცია").

ენათმეცნიერული ნაშრომები

„სიუჟეტურ ველზე არასიუჟეტური დროის გამოხატვის სხვადასხვა ხერხების შესახებ", „უცხოური ენები სკოლაში", 1975, 3.

„სიუჟეტურ პირთა დროითი მოცულობანი და სიუჟეტურ ველზე მათი გაერთიანების პრინციპი" – „უცხოური ენები სკოლაში", 1973. 3

პოეტიკა და ფილოსოფია

1. Die Homerische Sujtwelt in Goethes "Faust"
ჰომეროსისეული სიუჟეტური სამყარო გოეთეს ^ფაუსტში".
2. Der Sujetweltbegriff und seine Voraussetzungen bei Goethe.
სიუჟეტური სამყაროს ცნება და მისი წანამძღვრები გოეთესთან.
3. Von der Bedeutung der allgemeinen Sujezeit für den Entwurf der Anfangsabschnitte des Sujetfeldes in deutschen Märchen.
ყოგადი სიუჟეტური დროის მნიშვნელობა სიუჟეტური ველის საწყისი მონაკვეთის ესკიზისთვის გერმანულ ზღაპრებში.
4. Über die ontotextologische Matrize in literarischen Textstrukturen.
ონტოტექსტუალური მატრიცის შესახებ ლიტერატურული ტექსტის სტრუქტურებში.

ნაშრომები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე:

1. Die Verunsicherung als Ontotextologisches Problem
უხიფათობის დაკარგვა როგორც ონტოტექსტუალური პრობლემა. კრებულში: „Das verunsicherte Europa" („უხიფათობადაკარგული ევროპა"). გამოცემული ჰილმარ ჰოფმანისა და დიეტერ კრაგერის მიერ, ანტონ ჰაინის გამომცემლობა, მაინს ფრანკფურტი, 1992.
2. Der Bildweltrahmenfrieden und Bildweltrahmenkrieg კრებულში „ცხოვრება Mმშვიდობით?" გამოცემული ლევ კოპელევის მიერ, ბუნდფერლაგი, კიოლნი, 1994
3. Der Kontinent Europa als geo-poetischer Topos
კონტინენტი ევროპა როგორც გეო-პოეტური ტოპოსი.
კრებულში „Suchbild - Europa – künstlerische Konzepte der Moderne" (ძებნილი ხატი – ევროპა – მოდერნის მხატვრული კონცეპტები). გამოცემული ი. ვერტჰაიმერის მიერ, როდოპი, IFAVL,12,1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებები, რომლებიც მზად არის გამოსაცემად:

რომანები:

1. Kapitän Wakusch, Bd 3. Spuraufnahme eines kosmologisch Verschollenen,
კაპიტანი ვაკუში, III ტ, კოსმოლოგიურად უგზო-უკვლოდ დაკარგულის ნაკვალევის სურათი 300გვ.
2. Die Enzyklopedie
ენციკლოპედია, I ტომი, 500 გვ.
3. Keinmarokko (Land und Freund).
არამაროკო (ქვეყანა და მეგობარი), „წიგნისა და რეალური ქვეყნის ომის ისტორია", 400გვ.
4. Fausts Faust, (Der Faustgeist in der Buch-und Realweltgeschichte, des geisterweltanschaulichen Traktates erster Teil)
ფაუსტის მუშტი. (ფაუსტის სული წიგნის და რეალურ სამყაროს ისტორიაში, მსოფლმხედველობრივი ტრაქტატის პირველი ნაწილი) 650 გვ.
5. Die große Korrektur. Die Rettung des Täufers.
დიდი კორექტურა. ნათლისმცემლის ხსნა. 500 გვ.
6. Muzal
მუცალი. ტომი 2. „ახალშატილი ანუ ცნობიერების ნაკადის ნაპირებთან„" 400 გვ.
7. Der Kantakt
კანტაქტი. 800 გვ.

პიესები

1. Die Zeuge im Spiegel
მოწმენი სარკეში
2. Gedankenstrichmädchen und -männer.
ტირე-გოგონები და კაცები
3. Das reale Theaterstück
რეალური წარმოდგენა

ფილოსოფიური თხზულებანი:

1. Der – Die – Das Fremde in Dem – Der – Dem Anderen als Basis der Verständlichkeit
უცხო სხვაში როგორც გასაგებობის საფუძველი.
2. Stichworte zu einer ontotextologischen Exposition der Menschheitsgeschichte.
კაცობრიობის ისტორიის ონტოტექსტუალური ექსპოზიციის თეზისები.
3. Der Ontotext Europa und seine Falsifikation in der Geschichte.
ონტოტექსტი ევროპა და მისი გაყალბება ისტორიაში
4. Zur Ontotextualität des Husserlischen Begriffes der transzendetalen Deklinierbarkeit des reinen Ich.
წმინდა მეს ტრანსცენდენტალური ბრუნვადობის ჰუსერლისეული ცნების ონტოტექსტუალობისათვის.
5. Ontotextualität als ein maßgebender Faktor in der Geschichte der Phänomenologie
ონტოტექსტუალობა როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი ფენომენოლოგიის ისტორიაში.
6. Die phänomenologische Entwicklung des kantischen Begriffes der Selbstaffektion (Thesen)
თვითაფექციის კანტისეული ცნების ფენომენოლოგიური განვითარება. (თეზისები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის თეორია:

1. Die Zeit als ein Struckturprinzip im Schakespearischen Drama
   დრო როგორც შექსპირის დრამის სტრუქტურული პრინციპი
2. Die weltzeitliche Dimension der <Morgenlandfahrt> in ihrer Bedeutung für die Struktur dieser Erzählung.
   სამყაროს დრო როგორც „მოხილვა დილის ქვეყნისა"-ს განზომილება და მისი მნიშვნელობა მოთხრობის სტრუქტურისათვის.

ნაწარმოებები, რომლებზედაც მწერალი ახლა მუშაობს:

1. Kapitän Wakusch
   კაპიტანი ვაკუში, IV,V ტომი
2. Wakusch und die Wende
   ვაკუში და გარდატეხა (ბოლო ტომი)
3. Die Tücken der Muse
   მუზის ცბიერებანი
4. Philosophie der Ohn-Macht.
   უძალობის (უძალაუფლებობის) ფილოსოფია. (აქ მუშავდება ჰაიდეგერის ძირეული თეზა ex nihilo omne ens qua ens).

ბადრი შარვაძე

ფილოსოფოსი და ადამიანები

(**გივი მარგველაშვილის** ფილოსოფიურ თხზულებათა გამოცემის პროექტთან დაკავშირებით)

თუმცა ისეთი სერიოზული, აკადემიური წამოწყებისთვის, როგორიც ბატონ **გივი მარგველაშვილის** ფილოსოფიურ თხზულებათა მეცნიერული გამოცემაა, შეუფერებელი ჩანს ყველანაირი ემოციური „ამოვარდნა", შეუძლებელია არ აღელდე, როცა ხედავ, თუ რამდენი რამ ამხედრებულა ჩვენში გონების, გონივრულობისა და სამართლიანობის წინააღმდეგ, და თან თუ სამარადჟამოდ არა, ყოველ შემთხვევაში, იმდენი ხნით მაინც, რომ კიდევ მრავალ თაობას მოუწევს ამ შეჩვეული ტვირთის ზიდვა.

მაინც რას ვგულისხმობთ? რამ აგვაღელვა?

მართალია, გ. მარგველაშვილის ფილოსოფიური თხზულებები, რომლებიც იქმნებოდა 1970-91 წლებში მისი ფილოსოფიის ინსტიტუტში მოღვაწეობის ჟამს, – გამოცემის შემდეგ შეემატება ყველას, ვისაც მისი ათვისების უნარი და სურვილი აღმოაჩნდება, ეს ვერ აქარწყლებს იმ სავალალო ფაქტს, რომ ყველას, ვინც ცოცხალ ფილოსოფიურ აზრს ეძებდა თავის გარემოცვაში, აუნაზღაურებლად დააკლდა თავის დროზე უშუალო კავშირი ამ მოაზროვნის სამყაროსთან. მაშინ, როდესაც საქართველოს ყველა კუთხიდან დედაქალაქში მოზიდული აზროვნების მომავალი საჭეთმპყრობელნი ერთი მაგარყდიანი იდეოლოგიური შედევრის გაზუთხვით წარმატებით წყვეტდნენ ყოფისა და ყოფიერების პრობლემებს, – შეუჩერებელი შემოქმედებითი აქტივობით გამორჩეული გ. მარგველაშვილი სრულიად მოწყვეტილი იყო შესაძლებლობას, ცოცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტი ჰქონოდა ახალგაზრდობასთან და საზოგადოებასთან, იმ უბრალო მიზეზით, რომ მისთვის საქართველოში არც ლექციების წაკითხვა შეუთავაზებიათ და არც იმაზე უზრუნიათ, წიგნად გამოეცათ მისი ფუნდამენტური ფილოსოფიური ნაღვაწის მესამედი მაინც. (გამოიცა მხოლოდ 3 წიგნი). არა გვგონია, აქ მას ნაკლები მსმენელი ჰყოლოდა, ვიდრე გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ქალაქებში გამოუჩნდა, რომელთაც, ვეჭვობთ, ჩვენზე მეტად სჭირდებოდეთ ღრმა და ორიგინალურ აზროვნებასთან შეხვედრით საკუთარი სამყაროს გაფართოება. რა თქმა უნდა, არც ის არის განსაცვიფრებელი, მისი წლიური შრომები ძირითადად აუთვისებელი რომ რჩებოდა თავად ფილოსოფიის ინსტიტუტშიც, რისი აშკარა დასტურიცაა ამ შრომებზე მიშტამპული სავალდებულო რეცენზიები, რომლებიც უმეტესად გ. მარგველაშვილის ახლო მეგობრებს ეკუთვნის და მკრთალ კვალსაც არ გვიჩენს ტექსტის რამენაირი გაგებისა. თავად **მერაბ მამარდაშვილის** ერთწინადადებიანი მიკრო-რეცენზია ამის სამწუხარო გამოვლენაა: **მე არა მაქვს არანაირი შენიშვნა ამ ბრწყინვალე შრომის მიმართ, გარდა სტილისტურისა, რომელიც ავტორს მასთან საუბარში ვუთხარი“**. გენიოსის ბრწყინვალებისთვის შესაძლოა მართლაც საკმარისი იყოს სხვისი ბრწყინვალების არეკვლა, ჩვენ კი იმ მძიმე პერსპექტივის გაცნობიერებით უნდა შევუდგეთ საქმეს, რომ ტექსტების მომზადება-გამოცემის თანადროულად მოგვიწევს ახლაღა დავიწყოთ ამ დიდი ფილოსოფიური მემკვიდრეობის გაგება-განმარტებისა და სისტემაში მოყვანისათვის აუცილებელი შავი შრომა, რაკი, როგორც დავინახეთ, იგი ჩანასახობრივადაც არ განხორციელებულა იმ ოცი წლის განმავლობაში, გივი მარგველაშვილის მისამართით უწყვეტად გადმოღვრილი ზეპირსიტყვიერი ქება-დიდებით რომ იყო დახუნძლული.

ცხადია, დიდ შინაგან ძალისხმევას არ მოითხოვდა იმ ადამიანის სიყვარული, ვინც ჩუმად იდგა ჩრდილში და არავის არაფერში ეჯიბრებოდა: არც დისერტაციისთვის იბრძოდა, არც წიგნების გამოცემისთვის, არც თანამდებობისთვის და არც უნივერსიტეტში ლექციებისთვის, თუნდაც იმიტომ რომ უმძიმესი შემოქმედებითი მუშაობა ცხოვრებაში პრაქტიკული თვითდამკვიდრებისთვის საჭირო დროსა და ენერგიას აღარ უტოვებდა.

გარემოზე ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ სწორედ ამგვარი გარემო თრგუნავს შემოქმედ პიროვნებას და თუ მთლიანად ვერ ახშობს შემოქმედებას, სრულ წარმატებას აღწევს მისი ნაყოფის შენახვა-მოვლისა და საზოგადოების მიერ მისი დროულად ათვისების საქმის ჩაშლაში. ნათქვამს მხოლოდ შეავსებს იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ გივი მარგველაშვილის ფილოსოფიური წიგნების მეოთხედი ფილოსოფიის ინსტიტუტის არქივში არ აღმოჩნდა; ჯერ-ჯერობით მათი მოძიება ვერ ხერხდება.

* * *

შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის ინტენსივობით, ინტერესების მრავალმხრივობითა და ინტელექტუალური დონით გივი მარგველაშვილს საქართველოს ფილოსოფიურ სინამდვილეში ბადალი არ ჰყავს. მაგრამ აქ ხარკი უნდა გადავუხადოთ შემწყნარებლობასაც და ვაღიაროთ ობიექტურ წანამძღვართა მნიშვნელობა, კერძოდ კი ის, რომ, ფარცხანაყანევში და ბერლინში დაბადებული ადამიანები იმთავითვე არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულნი: ერთი შეიძლება იძულებით შეაგდო ფილოსოფიის საუფლოში, მეორე კი შემოაგდო საქართველოში, მაგრამ შედეგები ერთმანეთს მაინც არ დაემთხვევა. და აქ არც ბედისწერამ დააყოვნა ორაზროვნად გაღიმება: შალვა ნუცუბიძეს (რომლის ფილოსოფიური ჭაპანი, საუკუნის მიჯნის გადასახედიდან თუ გადავხედავთ, არსებითად, საკუთარ სოციალურ პრობლემათა დადებითად გადაჭრას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოემსახურა), ფილოსოფიის წინაშე უდიდეს დამსახურებად ჩაითვლება ის, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყო გივი მარგველაშვილის საქართველოში ("ეტაპით") ჩამოყვანას და ამით, ამჯერად ნამდვილად უნებლიეთ – საქართველოს სივრცეში იმ ფილოსოფიური შემოქმედების დაბადებას, რომლის შედეგებთან ბ-ნ შალვას ნაღვაწის შედარება ააშკარავებს ცივილიზაციამდელი ყინულოვანი ხანიდან წინამითოსურ ხანაში გადასვლის ხშირად გადაულახავ სიძნელეებს.

მაგრამ, იმ გარემოში, სადაც ძნელი დასადგენია, რას შეიძლება ეწოდოს ფილოსოფია ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, კრიტერიუმად ვერ ჩაითვლება ვერც ზნეობრივ-ადამიანური გამიჯვნა ამ გარემოდან და ვერც ფილოსოფიური სამყაროს საუკეთესო წარმომადგენელთა უკან მოტოვება. აქ რაღაც თავისთავად ჭეშმარიტს უნდა მივმართოთ. ბატონ გივის შემთხვევაში ამ თავისთავად ნამდვილის შემადგენელი ნაწილებია: დიდი განათლება, განუხრელი კეთილსინდისიერი შრომა და შემოქმედებითი უკომპრომისობა. შედეგად გვაქვს: ენათმეცნიერული ცოდნის საფუძველზე ენის როლის კვლევა თანამედროვე ფილოსოფიაში საკუთარი ინტოტექსტუალური ფილოსოფიის შექმნამდე (რაც ჯამში შეადგენს ოცზე მეტ ფუნდამენტურ ფილოსოფიურ გამოკვლევას, რომელთა გამოცემაც წინაა) და მხატვრული ლიტერატურა: უკვე გამოცემული რიგი სქელტანიანი რომანებისა, რომლებიც (სხვა, ჯერ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებთან ერთად) უკვე გერმანული კულტურის კუთვნილებას და შესწავლა-ათვისების საგანს წარმოადგენს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ფილოსოფიური ნაღვაწის რამდენადმე თანაზომადი აღქმა, და ამდენად, ღირსეულად შეფასება, ჯერჯერობით აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს და მომავლის საქმეა, რომელთან მიახლოების გზაზე მცირე, მაგრამ აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს გივი მარგველაშვილის ამ დროისთვის მოძიებული ფილოსოფიური შრომების გამოცემა.

გივი მარგველაშვილის გამოქვეყნებული ფილოსოფიური თხზულებების (რომლებიც შექმნილია რუსულ ენაზე) პირველ სამუშაო გეგმას აქვს შემდეგი სახე (შრომებთან მითითებული გვერდების რაოდენობა გულისხმობს მანქანაზე ნაბეჭდ გვერდებს. აქ, არ არის გათვალისწინებული შესავალი წერილებისთვის და კრიტიკული აპარატისთვის განკუთვნილი გვერდები).

1. სიუჟეტური დრო და ექსისტენციის დრო, 1976 წ. 76 გვ.
(1*. Сюжетное время и время экзистенции. Тб., 1976г. 76 стр.)
2. კულტურული სამყაროს პრობლემა მ. ჰაიდეგერის ექსისტენციალურ ონტოლოგიაში, 1976 წ. 100 გვ.
3. მ. ჰაიდეგერის ესთეტიკის ფენომენოლოგიური საფუძვლები, 1976 წ. 105 გვ.
4. ექსისტენციალურსა და კატეგორიალურს შორის განსხვავების აქსიოლოგიური მნიშვნელობა მ. ჰაიდეგერის ონტოლოგიურ მოძღვრებაში, 1977 წ. 110 გვ.
(4*. Аксиологическое значение различия между экзистенциальным и категориальным в хайдегеровском онтологическом учении, Тб., 1979 г. 168 стр.)
5. ჰ. მარკუზეს სოციოლოგიური თეორია და დიალექტიკის მრავალგანზომილებიანობის პრობლემა, 1978 წ. 137 გვ.
6. ფინალობის ცნება მ. ჰაიდეგერის ექსისტენციალურ და ნ. ჰარტმანის შრიულ ონტოლოგიებში, 1979 წ. 267 გვ.
(6* ფინალობის პრობლემა ნიკოლაი ჰარტმანის და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიებში, მეცნ." თბ. 1983 წ. 274 გვ.)
7.–10. მატერიალური აპრიორის ცნების ექსისტენციალური ვალენტობა მ.შელერის ფენომენოლოგიურ პერსონალიზმში.
ნაწ.2. სომატოლოგიის ცნება ე. ჰუსერლის მოძღვრებაში და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძემდებლური მნიშვნელობა ფენომენოლოგიის, როგორც არასაკუთრივად არსებულ ყოფიერზე ფილოსოფიის განვითარებისთვის, 1982 წ. 206-442 გვ.

ნაწ.3. ექსისტენციალურ-გრძნობადის ონტოდიალექტიკურობა, 1983 წ. 443-691 გვ.

ნაწ.4. მ. შელერის გრძნობათა თეორიის ონტოდიალექტიკურობა და მისი მნიშვნელობა ფენომენოლოგიური ფილოსოფიის გადაზრდისთვის ექსისტენციალურ ფილოსოფიაში, 1984 წ. 692-852

ნაწ.5. ფენომენოლოგიის სტრუქტურულოგიური ჭეშმარიტების ასახვა მისი ფრანგი კრიტიკოსების შრომებში, 1985 წ. 853-1023 გვ.

11.-13. საფუძვლის პრობლემა ფენომენოლოგიურ მიმდინარეობაში.

ნაწ.1. ლოგიკის ფუძის ცნების კრიტიკული ანალიზი ე. ჰუსერლის მსჯელობის გენეალოგიაში, 1986 წ. 1-232 გვ.

ნაწ.2. გ. შელერის პერსონალიზმი როგორც კოდისა და ცნობიერების ონტოტექსტუალური დაფუძნებადობის ფილოსოფიაში ფენომენოლოგიის განვითარების საშუალო ეტაპი, 1987 წ. 233-382

ნაწ.3. ექსისტენციალური ონტოლოგიის ტემპორალობის კრიტიკა როგორც ონტოტექსტუალური ფილოსოფიის ცდა, 1988 წ. 383-494

14. ცნობიერების ფენომენოლოგიური კოდები (ონტოტექსტუალური ფილოსოფიის ცდა), 1989 წ. 97 გვ.

15. შრომა პლატონზე (დაუმთავრებელი), 1991 წ.

შენიშვნები:

1. მისაკვლევია რიგი წლების შრომები (1971-1975; 1980; 1981; 1990).

2. ძიებისა და შეგროვების სტადიაზეა ფილოსოფიურ პერიოდიკაში და კრებულებში დაბეჭდილი შრომები.

3. გასათვალისწინებელია, რომ შრომები არ მომზადებულა გამოსაცემად ავტორის მიერ.

4. უკვე გამოცემული შრომები 1, 4, 6 გამოსაცემად მომზადდება მთელი გამოცემისთვის შემუშავებული პრინციპების საფუძველზე.

5. შრომები გამოსაცემად მზადდება ავტორის სამუშაო რუსულ ენაზე.

6. პირველად გამოსაცემად მზადდება №14 (ავტორის სურვილის გათვალისწინებით). დანარჩენ შრომათა გამოცემის როგი დადგინდება მოგვიანებით.

7. გივი მარგველაშვილის ფილოსოფიურ თხზულებათა გამოცემის მომზადებაში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ყველა მსურველმა მის სხვადასხვა სტადიაზე, კორექტურიდან მოკიდებული გამოსაცემ შრომასთან საკუთარი ფილოსოფიური თეორიის დაპირისპირების ჩათვლით, რაც შეიძლება აისახოს როგორც შესავალ კრიტიკულ წერილში, ასევე სპეციალურ დანართში ან ცალკე წიგნში. (სამუშაოში ჩართვის მსურველებს გთხოვთ მიმართოთ კავკასიურ სახლს, გალაკტიონის ქ.20.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ მილოცვა

კაპიტან ვაკუშ,
გავშალოთ აფრა
„კოლხოზი“ **wie es**
uns scheint – გაქრა!
„კოლხიდის“ მამა-
(დედა)სახლისებს
თუმც „სიმუსობა“
აქვთ მუდამ აზრად,
„ონტოტექსტებიც“ გვაქვს
იმნაირი
მოგვდგამს **Wirwarr**-ი
ნაირ-ნაირი,
მაგრამ, არსებობს
გემი, კაპიტან,
ყველა „გოგლი-მოგლს“
ქიმით გაიტანს!
გხედავთ მაგ გემით
(მი)მოდრეიფეს
Immer heiter,
Gott hilft weiter!
Unvergängliches
ხელში გაქვთ **sicher,** –
ზოგი „თხის მწყემსიც“
სიამით გიმზერთ,
შვიდჯერ ათი წლის
რომ ხდებით ახლა
გილოცავთ
ჩვენი
Wartburg-ი
„აფრა“!

აფრიანები

მილოცვა-ლექსის ლექსიკონი:

თავდაპირველად სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან გ. მარგველაშვილის მხატვრულ ცნებათა სისტემას:

1. კაპიტანი ვაკუში ამ სახელით ფიგურირებს ავტორი მრავალტომიან ავტობიოგრაფიულ რომანში „კაპიტანი ვაკუში“.
2. კოლხოზი საბჭოთა კავშირი, რუსეთი („კაპიტანი ვაკუში“).
3. კოლხიდა საქართველო („კაპიტანი ვაკუში“, იქვე; „კოლხოზ -კოლხის“ თავად მიხვდებით).
4. მამასახლისი, დედასახლისი მმართველი (სახლის, ოჯახის, დაწესებულების, ხალხის, სახელმწიფოსი. მაგ: მამა ან დედა, თავმჯდომარე, დირექტორი, გენერალი და ბოლოს: გენერალ-სიმუსი. ესეც „კაპიტან ვაკუშში“).
5. სიმუსობა სიტყვიდან სიმუსი. ჩვენი ნაწარმოებია. მივანიშნებთ იმაზე, რომ საქართველოში ყველას პირველობა სურს მმართველობაში. ვისაც ეს განმარტება არ სჭირდება, ბოდიშს ვუხდით.
6. ონტოტექსტი ტექსტები, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის, საზოგადოების ცნობიერებას და განსაზღვრავენ მის ცხოვრებას.
7. გოგლი-მოგლი პოლიტიკური, სოციალური, ეპოქალური ორომტრიალი, ქაოსი, არეულ-დარეულობა (მდაბიურად: აჯაფსანდალი).
8. ჭარტბურგ სიტყვა-სიტყვით „მოლოდინის კოშკი“ ადამიანის, ხალხის სულიერი და ფიზიკური თავშესაფარი, სამალავი („კაპიტანი ვაკუში“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. თხის მწყემსი უშიშროების სტრუქტურების სუკის, სუსის და ა.შ. მუშაკები: აგენტები, მზვერავები და ა.შ. („მუცალი").

უბრალოდ, გერმანული სიტყვები:

1. წიე ეს უნს სცპეინტ როგორც გვეჩვენება, გვგონია.
2. **Wirwarr** – ორომტრიალი, ქაოსი.
3. Immer heiter, Gott hilft weiter – გერმანული ფრთიანი თქმა: (იყავი) სულ ლაღად, ღმერთი კვლავაც შეგეწევა.
4. ნვერგ ნგლიცპეს წარუვალი, უკვდავი.
5. სიცპერ ნამდვილად, მყარად.

სხვადასხვა სიტყვები:

1. აფრა გემის, ნავის ნაწილი და აგრეთვე ჟურნალი „აფრა". ლექსში ორივე აზრით იხმარება, ბოლოში კი მესამე აზრიც გამოეონავს, კერძოდ, რომ „აფრა" ჩვენთვის (და შეიძლება სხვებისთვისაც) არის არა მხოლოდ დამხმარე (სიმბოლურ) ცურვაში, არამედ ვარტბურგიც ეი. თავშესაფარიც.

2. გავშალოთ აფრა ეი. გადავშალოთ ჟურნალი აფრა და ავშალოთ აფრა, ანუ გავწიოთ წინ...

მხატვარი **მერაბ გუჯაბიძე**

მარგერიტ იურსენარი

(1903-1987)

მარგერიტ იურსენარი პირველი ფრანგი მწერალი ქალია, რომელსაც 1981 წელს საფრანგეთის აკადემიამ, თავისი ოთხსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ქალებისთვის დახურული კარი გაულო და „უკვდავთა" ერთი სავარძელი დაუთმო.

აკადემიაში მიღების საზეიმო ცერემონიალის დროს ამ უძველესი შენობის, ყოფილი სამლოცველოს დიად თაღებში პირველად გაისმა აკადემიისთვის ჯერ არსმენილი და განსაკუთრებით საოცარი მიმართვა: **„ქალბატონო"**... დღეს თქვენ აქ იმიტომ კი არ ხართ, რომ ქალი ბრძანდებით, არამედ იმიტომ, რომ დიდი მწერალი ხართ... ნეტავ ენება ღმერთს, რომ ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში არჩეულ ყველა მამაკაცს ჰქონოდა ქალის ის დიდი ნიჭი, თქვენ რომ გაქვთ..." (აკადემიკოსი ჟან დ'ორმესონი).

მარგერიტ იურსენარი უაღრესად ერუდირებული მწერალია; ფართოა მისი ინტერესების დიაპაზონი, ნაწარმოებების მოქმედების სივრცე და დრო. მის შემოქმედებაში ვხვდებით ანტიკური საბერძნეთისა და რომის გაცოცხლებულ ისტორიებსა და პიროვნებებს, ალქიმიკოსების ეპოქას და პირველ მსოფლიო ომს, ესეებს პინდარესა და თომას მანზე, სელმა ლაგერლოფსა და ვირჯინია ვულფზე; მოთხრობებს დიურერსა და ელ-გრეკოზე; ძველი და ახალი ბერძნული პოეზიის, შავკანიანებისა და „სპირიჩუელსის", ვ. ვულფის თარგმანებსა და ბევრ სხვას.

მარგერიტ იურსენარი უძველესი ცივილიზაციების ისტორიის საოცარ ცოდნას ბუნებით მომადლებული პოეტურობით აღრმავებს: ფაქტები, წარმოდგენა, ოცნება, ინტუიცია მჭიდრო კავშირშია მის მაღალ ინტელექტთან და დიდ სინათლესთან.

მწერალი ისტორიულ ფაქტებსა და წარმოსახვით სამყაროს აერთიანებს და თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს მათ. მას კონკრეტული ფაქტები კი არ აინტერესებს, არამედ ის, რაც ყველა ეპოქას და ყოველ ადამიანს ახასიათებს; ის, რაც იქცევა „სუბსტანციად, ღირებულებად, არქეტიპად, მითად". ისტორია, წარმოდგენითი სამყარო და კლასიკური სტილი ქმნის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ძლიერს, დახვეწილს, ამაღლებულს, ადამიანურსა და შთამბეჭდავს...

მარგერიტ იურსენარი უკვე ხანშიშესული იყო, როცა 1951 წელს რომანით „ადრიანეს მოგონებანი" საყოველთაო აღიარება მოიპოვა. შემდგომ კი „სამყაროს ლაბირინთის" სამმა ტომმა („ჩრდილოეთის არქივები", „ძვირფასი მოგონებები" და „რა? მარადისობა") დიდი პოპულარობა მოუტანა.

სამი ნოველა, რომელიც ჟურნალში იბეჭდება, ამოღებულია მწერლის კრებულიდან **„აღმოსავლური ნოველები"**, რომელიც პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა.

მთარგმნელი

როგორ გადარჩა უან-ფო

ბოხუცი მხატვარი უან-ფო და მისი შეგირდი ლინი არხეინად მიუყვებოდნენ ჰანის სამეფოს გზებს.

ნელა მიიწევდნენ წინ, რადგან უან-ფო ღამღამობით ჩერდებოდა დ ; ვარსკვლავების ჭვრეტით ტკბებოდა, დღისით კი ჭრიჭინებს აკვირდებოდა. ტვირთი მსუბუქი ჰქონდათ, რადგან უან-ფოს საგანთა ხატება ერჩივნა თვით საგნებს და ამქვეყნად არავითარი ნივთი იმდენად ღირებულად არ მიაჩნდა, რომ შეეძინა. ყიდულობდა მხოლოდ ფუნჯებს, ლაქით სავსე ქოთნებს, ტუშს, აბრეშუმის თოფებსა და ბრინჯის ქაღალდებს. ღარიბები იყვნენ, რადგან უან-ფოს ფული ეჯავრებოდა და თავის ტილოებს ფეტვის ფაფის ულუფაზე ცვლიდა. მისი შეგირდი ლინი ესკიზებით სავსე ჩანთის სიმძიმით წელში მოხრილიყო, მაგრამ ისეთი მოწიწებით მოდრეკილიყო, თითქოს მხრებით ცის თაღს შეჰყუდებიაო. ლინის აზრით, ჩანთაში იყო დათოვლილი მთები, გაზაფხულის მდინარეები და ზაფხულის სავსე მთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინი გზებზე სახეტიალოდ არ იყო გაჩენილი, თანაც იმ ბერიკაცის გვერდით, რომელიც რიურაუსაც ფლობდა და მწუხრსაც ისაკუთრებდა. ლინის მამა ზარაფი იყო, დედა კი ერთადერთი ასული ნეფრიტის ქვებით მოვაჭრისა, რომელმაც მთელი ქონება ქალიშვილს კი დაუტოვა, მაგრამ წყევლა-კრულვაც თან მიატანა, ვაუად რატომ არ დაიბადეო. ლინი ისეთ ოჯახში გაიზარდა, რომლის სიმდიდრე კარს უხშობდა ყოველგვარ ხიფათსა და განსაცდელს. ფუფუნებამ და გარიყულმა ყოფამ მორცხვი და მფრთხალი გახადა. ეშინოდა მწერების, ჭექა-ქუხილისა და მიცვალებულების. თხუთმეტი წლისა რომ შეიქნა, მამამ ლამაზი ცოლი შეურჩია. შვილის გაბედნიერებამ მშობელს სიმშვიდე მოჰგვარა: იმ ასაკს მივაღწიე, როცა მთელი ღამე ძილისთვის არსებობსო. ლინის მეუღლე ლერწამივით ქალი იყო, ნერწყვივით თბილი, ცრემლივით მარილიანი და რძესავით თეთრი. მშობლები იმდენად მოკრძალებულნი იყვნენ, რომ ქორწილის შემდეგ მიიცვალნენ და ვაჟი მარტო დარჩა ჭიაფერით მოხატულ სახლში, მუდამ მომღიმარ ყმაწვილ ქალთან და ყოველ გაზაფხულზე ვარდისფერი ყვავილებით შემოსილ ქლიავის ხესთან ერთად. ლინს უყვარდა ეს უმანკო ქალი, უყვარდა, როგორც უყვართ ხოლმე სარკე, რომელიც არასოდეს გამქრქალდება, როგორც უყვართ ხოლმე განუშორებელი ავგაროზი, მუდამ რომ დაგიფარავს. ადათისამებრ, ლინი ჩაის სახლებში დადიოდა და მუშაითებსა და მოცეკვავე ქალებს მფარველობდა.

ერთ ღამესაც დუქანში მაგიდასთან უან-ფოს გვერდით აღმოჩნდა. მოხუცი შეზარხოშებულიყო, რათა სიმთვრალე თავად გამოეცადა და უკეთ დაეხატა ლოთი. თავი გვერდზე გადაეხარა, თითქოს ცდილობდა თვალდათვალ გაეზომა მანძილი თავის ხელსა და ფინჯანს შორის. ბრინჯის არაყმა ენა გაუხსნა ამ სიტყვაძვირ ოსტატს. იმ საღამოს ისე საუბრობდა, თითქოს სიჩუმე კედელი ყოფილიყო, სიტყვები კი კედლის მოსახატავი ფერები. მისი წყალობით ლინმა შეიგრძნო ცხელი სასმელების ანაორთქლით შენისლულ ლოთთა სილამაზე, ცეცხლის ენებით ალაგ-ალაგ დაბრაწული ხორცის რუხი ელფერი, სუფრაზე ხმელი ფოთლებივით მიმოფანტული ღვინის ლაქების საოცარი სივარდისფრე. ქარმა ფანჯარა შემოამტვრია. კოკისპირული წვიმა შემოიჭრა ოთახში. უან-ფო დაიხარა და ლინს ელვის გამონაკრთომის სილამაზე აგრძნობინა. ლინი მოიხიბლა და ქარიშხლის შიში გაუქრა.

რაკი უან-ფოს არც ფული ჰქონდა და არც თავშესაფარი, ლინმა მოხუცი მხატვრის მაგივრადაც გადაიხადა და კრძალვით შესთავაზა ღამის გასათევი. ერთად წამოვიდნენ, ლინს ფარანი ეჭირა. მისი სინათლე აქა-იქ ცეცხლივით ირეკლებოდა გუბეებში. იმ ღამეს ლინმა გაოცებულმა შეიტყო, რომ მისი სახლის კედლები, წითელი რომ ეგონა, გადამწიფებული ფორთოხლისფერი ყოფილა თურმე. ეზოში უან-ფომ დაინახა ლამაზი ბუჩქი, რომელიც აქამდე არავის შეენიშნა და შეადარა ყმაწვილ ქალს, გასაშრობად თმა რომ გაუშლია. მოხიბლულმა მოხუცმა დერეფანში თვალი გაადევნა ჭიანჭველას, რომელიც ცოცვით მიუყვებოდა კედლის ბზარს, და ლინს ამ პაწაწა მწერების შიში გაუქრა. როცა ლინი მიხვდა, რომ უან-ფომ ახალი სული აჩუქა და ახლებური ჭვრეტის უნარი შესძინა, მოხუცი დიდი პატივით მოასვენა იმ ოთახში, სადაც მისი დედ-მამა გარდაიცვალა.

კარგა ხანია უან-ფო ოცნებობდა დაეხატა გარდასულ დროთა მეფის ასული, ტირიფის ქვეშ ბარბითს რომ უკრავს. მაგრამ არც ერთი ქალი არ იყო იმდენად არამიწიერი, რომ ხატად გამოდგომოდა, ლინი კი ივარგებდა, რადგან ქალი არ იყო. შემდეგ უან-ფოს მოუნდა დაეხატა დიდ კედართან მდგარი მშვილდმოზიდული უფლისწული. მაგრამ არც ერთი ჭაბუკი არ აღმოჩნდა იმდენად არამიწიერი, რომ ხატად გამოდგომოდა. მაშინ ლინმა ოსტატს საკუთარი ცოლი დაუსვა ქლიავის ხის ქვეშ. უან-ფომ ყმაწვილი ქალი ფერიასავით შემოსა და ჩამავალი მზის სხივებით შეფერილი ღრუბლების ფონზე დახატა. ქალი ატირდა, რადგან ეს სიკვდილის მომასწავებელი იყო. მას აქეთ, რაც ლინს თავის ცოლზე მეტად მოხუცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახატული ყმაწვილი ქალი მოსწონდა, ქალის სახემ ჭკნობა იწყო, როგორც ემართება ხოლმე მთის ყვავილს ხორშაკი ქარისა და ზაფხულის წვიმების დროს. ერთ დილას იგი ქლიავის ტოტზე ნახეს ჩამოკიდებული. რიდის ბოლოები, რომლითაც თავი ჩამოეხრჩო, მის მშვენიერ გრძელ თმებთან ერთად ჰაერში ფრიალებდა. სინატიფით და სათნოებით ის იმ ქალწულს ჰგავდა, ძველი დროის პოეტები ქებას რომ შეჰკადრებდნენ ხოლმე. უან-ფომ იგი უკანასკნელად დახატა, რადგან მოეწონა ის მომწვანო ფერი, მიცვალებულის სახეს რომ გადაჰკრავს ხოლმე. შეგირდი ისე გულდაგულ უზავებდა ფერებს, რომ ცრემლის ღვრა ავიწყდებოდა.

ლინმა ჯერ მონები გაჰყიდა, შემდეგ ძვირფასი ქვები და აუზის თევზები, რათა ოსტატისათვის დასავლეთიდან შემოტანილი მუქწითელი საღებავებით სავსე ქოთნები შეეძინა. მათ მიატოვეს დაცარიელებული სახლი და ლინმა თავის წარსულს კარი მიუხურა. უან-ფოც მოიქანცა ამ ქალაქში, სადაც ადამიანთა სახეები სიმახინჯისა და სილამაზის ვეღარავითარ ახალ საიდუმლოებას ვეღარ უმხელდნენ. ასე რომ ოსტატმა და შეგირდმა ერთად განაგრძეს ხეტიალი ჰანის სამეფოს გზებზე.

მათი სახელი შორს გავარდა და წინ ხვდებოდათ სოფლის მისადგომებთან თუ ციხე-სიმაგრეების ზღურბლთან. წმინდა ადგილთა შეჭირვებულ მომლოცველთაც, მწუხრის ჟამს ტაძრის კარიბჭეებს რომ აფარებენ თავს, სმენოდათ მათი სახელი. ხმა დაირხა, უან-ფოს ძალა შესწევს, თვალებზე ფუნჯის უკანასკნელი მოსმით თავის ნახატებს სული შთაბეროსო. გლეხები ეხვეწებოდნენ – მოდარაჯე ძაღლი დაგვიხატეო. ბატონები კი მეომართა დახატვას სთხოვდნენ. მღვდლები უან-ფოს მოწიწებით ეპყრობოდნენ, როგორც ბრძენს, ხალხს კი ეშინოდა მისი: ჯადოქარიაო. უან-ფოს მოსწონდა აზრთა ეს სხვადასხვაობა, რადგან შეეძლო ირგვლივ მადლიერების, შიშისა თუ თაყვანისცემის ნაირ-ნაირი გამომეტყველება შეეცნო.

ლინი საჭმელს თხოულობდა, ღამით ფხიზლობდა, ოსტატს ძილი არავინ დაუფრთხოსო. მისი გარინდების ჟამს დროს იხელთებდა და ფეხებს უზელდა. გათენებისას, როცა მოხუცს ჯერ კიდევ ეძინა, ლინი დაეძებდა მშვენიერ ხედებს, რომელთაც ლერწმის ჭალა ეფარებოდა. საღამოობით, როცა გაღიზიანებული ოსტატი ფუნჯებს მიწაზე ყრიდა, ლინი მათ სათითაოდ აგროვებდა. როცა უან-ფო ნაღვლიანად საუბრობდა თავის ხანდაზმულობაზე, მომღიმარე ლინი ტანმაგარ ბებერ მუხას დაანახებდა; როცა უანი ქილიკობდა, ლინს თავი ისე ეჭირა, თითქოს უსმენდა.

ერთ დღეს, მზის ჩასვლისას, იმპერატორის ქალაქის შემოგარენს მიუახლოვდნენ და ლინმა უან-ფოსთვის ღამის გასათევი ფუნდუკი გამოძებნა. უან-ფო ძველმანებში გაეხვია, ლინი კი გასათბობად გვერდზე მიუწვა. გაზაფხული ის-ის იყო დგებოდა და სოხანე ჯერ კიდევ მზრალი იყო. გათენებისას ფუნდუკის დერეფანებში მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა, სასტუმროს პატრონის შეშინებული ჩურჩული, როყიო ხმა და უხეში ბრძანებები ჩაესმათ: ლინი აცახცახდა, გაახსენდა, წინა საღამოს ოსტატის დასაპურებლად ბრინჯის კვერი რომ მოიპარა. ეჭვი არ იყო, მის შესაპყრობად მოსულიყვნენ. ერთი კი გაიფიქრა, ვინღა დაეხმარება უან-ფოს მდინარეზე გადასვლაშიო.

ფარნიანი ჯარისკაცები შემოვიდნენ. ჭრელ ქაღალდებში მჭვირავი ფარნის სინათლე წითლად და ცისფრად უელვარებდათ სპილენძის ჩაჩქნებს. მშვილდის ლარები მხრებზე ერხეოდათ. ყველაზე ულმობელი ჯარისკაცი დროდადრო რატომღაც იღრინებოდა. უხეშად სტაცეს ხელი უან-ფოს, რომელმაც იმის შემჩნევა მაინც მოასწრო, რომ მათი სახელოს ფერი მოსასხამის ფერს არ ეხამებოდა.

ლინმა ხელი წააშველა და უან-ფო ჯარისკაცებს გაჰყვა ოღრო-ჩოღრო გზებზე. შემხვდურები დასცინოდნენ ამ ორ დამნაშევეს, რომლებიც, როგორც ჩანს, თავის მოსაკვეთად მიჰყავდათ. უან-ფოს ყოველ შეკითხვაზე ჯარისკაცები უხეშად იმანჭებოდნენ. მოხუცს გაკრული ხელები სტკიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოწარკვეთილი ლინ შეგირდი ღიმილით შეჰყურებდა ოსტატს; ლინის ეს ღიმილი ტირილის უნაზესი გამოხატულება იყო.

ისინი მიუახლოვდნენ იმპერატორის სასახლეს, რომლის იასამნისფერი კედლები შუადღისას ისე აღმართულიყო, როგორც მწუხრის ბინდი. ჯარისკაცებმა უან-ფო დიდხანს ატარეს ოთხკუთხა და მრგვალ დარბაზებში. დარბაზთა ფორმები სიმბოლურად გამოხატავდნენ წელიწადის დროებს, ქვეყნის მხარეებს, მამრსა და მდედრს, სიცოცხლის ხანგრძლივობას, ძალაუფლების სიამეთ. ბჭეები ღერძის გაშემო ტრიალებდნენ, თანაც მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდნენ; ბგერების მონაცვლეობა ისეთი იყო, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სასახლის გავლისას მთელ მუსიკალურ გამას მოისმენდით. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ ძლევამოსილებისა და ზეადამიანური დახვეწილობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ისიც იგრძნობოდა, რომ აქ წარმოთქმული უმცირესი ბრძანებაც კი წინაპართა სიბრძნესავით სასტიკი და შეუვალი იყო. ბოლოს ჰაერი მთლად განიწმინდა. სიჩუმე ისეთი უძირო იყო, სიკვდილმისჯილიც კი ვერ გაბედავდა ხმის ამოღებას. საჭურისმა ფარდა გადასწია. ჯარისკაცები ქალებივით აცახცახდნენ და პატარა ჯგუფი შევიდა დარბაზში, სადაც ზეციური ძე დაბრძანებულიყო.

დარბაზს კედლები არ ჰქონდა და ჭერი ცისფერი ქვის სქელ სვეტებს ეყრდნობოდა. მარმარილოს სვეტებს იქით გაეშენებინათ წალკოტი, რომლის თითოეული ყვავილი იშვიათი ჯიშისა იყო და ოკეანის გადაღმიდან ჩამოეტანათ. მაგრამ არც ერთი არ აფრქვევდა სურნელს იმის შიშით, რომ ფიქრებში წასული ზეციური დრაკონისათვის ხელი არ შეეშალათ. ამ სიჩუმეში იყო ჩაძირული მისი ფიქრები. გალავნის შიგნით ერთი ფრინველიც არ დაფრინავდა, ფუტკრებიც კი განედევნათ. უშველებელი კედელი მიჯნავდა წალკოტს გარე სამყაროსაგან, რათა ბრძოლის ველზე მიმოფანტულ გვამებსა და ძაღლის მძორზე ჩამონაქროლი ქარიც კი არ შეხებოდა იმპერატორის სახელოს.

ზეციური მეუფე ნეფრიტის ტახტზე იჯდა. ხელები მოხუცივით დანაოჭებოდა, თუმცა ოცი წლისა ძლივს იქნებოდა. მისი სამოსის მწვანე ფერი გაზაფხულს გამოხატავდა. ცისფერი კი ზამთარს მოგაგონებდათ. სახე მშვენიერი ჰქონდა, მაგრამ არაფრისმეტყველი, იმ სარკესავით, ძალიან მაღლა რომ ჰკიდია და მხოლოდ ვარსკვლავებსა და უმოწყალო ცას ირეკლავს. მარჯვნივ უზენაეს სიამეთა გამრიგე ედგა, მარცხნივ კი წამებათა მართლმსაჯული. სვეტებთან ჩარიგებულ ხელქვეითთ ყურები დაეცქვიტათ, რათა მის ბაგეთაგან დაცდენილი უმცირესი ბგერაც კი გაეგოთ. ისიც შეჩვეოდა ხმადაბლა ლაპარაკს.

– ზეციურო მეუფევ, – მოახსენა მიწაზე გართხმულმა უან-ფომ. – მე მოხუცი ვარ, ღატაკი და სუსტი. შენ ზაფხულს ჰგავხარ, მე კი ზამთარს. შენ ათი ათასი სიცოცხლე გაქვს, მე კი მხოლოდ ერთი და ისიც იწურება. რა დაგიშავე? ხელები გამიკრეს; ამ ხელებს კი არასოდეს მიუყენებიათ შენთვის ზიანი.

– შენ მეკითხები, რა დაგიშავეო, ბებერო უან-ფო? – ბრძანა იმპერატორმა. ისეთი მელოდიური ხმა ჰქონდა, გულს აუჩუყებდა კაცს. მან ასწია მარჯვენა ხელი, რომელსაც ნეფრიტის კრიალა ზედაპირიდან არეკლილმა არილმა წყალმცენარეთა მომწვანო-მოლურჯო ელფერი გადაჰკრა.

მისი თხელი და გრძელი თითებით მოხიბლული უან-ფო ცდილობდა გაეხსენებინა, ოდესმე თუ დაეხატა იმპერატორის ან მისი წინაპრების ისეთი პორტრეტი, რომლის გამოც სიკვდილს იმსახურებდა. მაგრამ ეს ძალიან სათუო იყო: აქამდე იშვიათად თუ ყოფილა იმპერატორის კარზე. სასახლის დარბაზებს მას ერჩივნა გლეხთა ქოხმახები, სანაპიროზე ჩარიგებული ფუნდუკები, სადაც მტვირთავების გაუთავებელი აყალმაყალი იდგა.

– შენ მეკითხები, რა დაგიშავეო, ბებერო უან-ფო? – განაგრძო იმპერატორმა და სმენად ქცეული მოხუცისაკენ ნატიფი კისერი დახარა, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი, გეტყვი, მაგრამ რადგან შხამი მხოლოდ ჩვენივე ცნრა ღრუთი შემოიჭრება ხოლმე ჩვენში, თვალი რომ აგიხილო შენს შეცდომებზე, ჩემი მეხსიერების ტალანები უნდა შემოგატარო და მთელი ჩემი ცხოვრება მოგითხრო. მამაჩემმა შენი ტილოების კოლექციას სასახლის შეუღწეველ დარბაზში მოუყარა თავი. ფიქრობდა, რომ უმეცართ არ უნდა ემზირათ სურათებზე გამოხატული პერსონაჟებისთვის, რომლებიც ვერ აირიდებდნენ, ვერ აიცილებდნენ მათ მზერას. ასე, სრულ სიმარტოვეში გავიზარდე ამ დარბაზებში, ბებერო უან-ფო. ჩემს უმანკოებას ადამიანთა ჭუჭყი რომ არ შეხებოდა, მომაცილეს ჩემს მომავალ ქვეშევრდომთა მშფოთვარე ბრბოს. არავის ჰქონდა ნება ჩემი კარის ზღურბლთან გაევლო, რათა კაცისა თუ ქალის ჩრდილს ჩემამდე არ მოეღწია. რამდენიმე ბებერი მსახური მომიჩინეს, მაგრამ მათაც იშვიათად ვხედავდი. დრო წრიულად მოძრაობდა. შენი ტილოების ფერები განთიადისას ცოცხლდებოდნენ და მწუხრის ჟამს მკრთალდებოდნენ. როცა უძილობა მომეძალებოდა, შენს ტილოებს ვუმზერდი და ათიოდე წლის მანძილზე, მთელი ღამეები მათ ვუყურებდი. დღისით ფეხმორთხმული ვიჯექი ხალიჩაზე, რომლის ნახატი ზეპირად ვიცოდი. ხელისგულებით ვეყრდნობოდი ყვითელი აბრეშუმით შემოსილ მუხლებს და ვოცნებობდი იმ სიხარულზე, რომელსაც მომავალი მიქადდა. წარმოვიდგენდი სამყაროს, რომლის შუაგულში ჰანის ქვეყანა იყო. ის მიაგავდა ხელისგულივით ერთფეროვან და ჩაღრმავებულ ველს, დასერილს ხუთმდინარეთის საბედისწერო ხაზებით. გარშემო ზღვა ერტყა, ურჩხულების სამფლობელო; უფრო შორს კი აღმართულიყვნენ მაღალი მთები, რომლებსაც ცის თაღი ეჭირათ. ყოველივე ეს შენი ტილოების წყალობით აისახა ჩემს წარმოდგენაში. შენ დამაჯერე, რომ ზღვა წყლის ფართო სუფრას ჰგავდა, შენს ნახატებზე გადაშლილს. წყალი ისეთი ცისფერი ჩანდა, შიგ ჩაგდებული ქვა საფირონად უნდა ქცეულიყო; მეგონა, რომ ქალები ყვავილებივით იშლებოდნენ და იხურებოდნენ. ეს არსებანი ქარიან დღეში ნარნარად მიმოდიოდნენ შენი წალკოტის ხეივნებში, ხოლო ტანადი ჭაბუკი მეომრები, ციხე-სიმაგრეების მცველნი, თავად ისრებს ჰგვანდნენ, ერთი გასროლით გულის განგმირვა რომ შეუძლიათ. თექვსმეტი წლისა ვიყავი, როცა ჩემს წინ გადაიხსნა ის ბჭე, ამა სოფლისაგან რომ მთიშავდა: სასახლის ბანზე ავედი და ღრუბლებს ავხედე. მაგრამ ისინი სილამაზით მწუხრის შენეულ ღრუბლებს ვერ შეედრებოდნენ. ვბრძანე, მოეტანათ ჩემი ტახტრევანი, ჯაყჯაყით შემოვიარე ტალახიანი და ქვაღორღიანი გზები, რომელთა წარმოდგენაც არ შემეძლო: მიმოვიხილე იმპერიის პროვინციებიც, მაგრამ ვერსად ვიხილე ციცინათელების დარი ქალებით სავსე შენი წალკოტები, იმ ქალებით, რომელთა სხეულები ბაღნარებს მიაგვანან შენს ტილოებზე. რიყის ქვამ ოკეანე შემაძულა. შენი ტილოების პროწეულმა გაახუნა წამებულთა სისხლის სიწითლე. სოფლებში მწერების ფუთფუთი მიშლიდა ბრინჯის ნათესის სილამაზის ხილვას. ცოცხალი ქალების ფერ-ხორცი ისევე შემძულდა, როგორც ყასბის კავზე ჩამოკიდებული ხორცი; ჩემი ჯარისკაცების როხროხი გულს მირევდა. შენ მომატყუე, უან-ფო, ცბიერო ბებერო; სამყარო ყოფილა გიჟი მხატვრის მიერ სიცარიელეში მიმობნეული ლაქების ნარევი, რომელსაც ჩვენი ცრემლი ნიადაგ რეცხავს. ჰანის სამეფო ულამაზესი მხარე არ ყოფილა და არც მე ვარ იმპერატორი. ერთადერთი სამეფო, რომლის ხელმწიფება ღირს, ის სამეფოა, რომელშიც შენ შეაღწიე, ბებერო უან-ფო, შეაღწიე ათასი მონასმითა და ათი ათასი ფერით. მხოლოდ შენ განაგებ უშფოთველად მარადთოვლიან მთებს და მარადუჭკნობ ნარგიზოვან ველებს. ამიტომ დიდხანს ვფიქრობდი, უან-ფო, რა წამება მომესაჯა შენთვის, დიახ, შენთვის, რადგან შენმა ჯადოქრულმა გრძნებამ შემაძულა ყოველივე, რასაც ვფლობ და აღმიძრა სურვილი, მქონოდა ის, რის ფლობასაც ვერასოდეს შევძლებ; და იმისათვის, რომ გამოგკეტო ისეთ საკანში, საიდანაც ვერასოდეს გამოაღწევ, გადავწყვიტე, თვალები ამოგშანთო, რადგან შენი თვალები ის ორი ჯადოსნური კარია, საკუთარ სამყაროში რომ მიგიძღვებიან; შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელები კი ათად განშტოებული ის ორი გზაა, შენი სამეფოს გულამდე, რომ მიჰყავხარ. ამიტომ გადავწყვიტე, ხელებიც მოგკვეთო. ახლა გამიგე, ბებერო უან-ფო?

ეს განაჩენი რომ მოისმინა, შეგირდმა ლინმა სარტყელიდან დაკბილული დანა იძრო და იმპერატორისაკენ წაიწია. ორმა მცველმა ხელი სტაცა. ზეციურმა ძემ გაიღიმა და ოხვრით დაუმატა:

– კიდევ იმიტომ მძულხარ, უან-ფო, რომ ასე შეაყვარე სხვებს თავი. მოჰკალით ეს ძაღლი.

ლინი წინ გახტა, რომ მის სისხლს მასწავლებლის სამოსი არ დაეწინწკლა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მახვილი აღმართა და ლინის თავი მოცელილი ყვავილივით მოსცილდა ტანს. მსახურებმა გაიტანეს უთავო გვამი, ხოლო სასოწარკვეთილი უან-ფო მოხიბლული უმზერდა მუქწითელს, შეგირდის სისხლისაგან ლაქად რომ დაღვრილიყო მწვანე ქვაფენილზე.

იმპერატორმა თვალით ანიშნა ორ საჭურისს, რომ უან-ფოსთვის თვალები მოეწმინდათ.

– მისმინე, უან-ფო! – თქვა იმპერატორმა, – შეიშრე ცრემლი, ახლა ტირილის დრო არ არის. შენს თვალებს ნათელი უნდა შერჩეს და თვალის ჩინი ცრემლით არ უნდა დაგებინდოს. იცოდე, მხოლოდ შურისგებისათვის არ მსურს შენი სიკვდილი, მხოლოდ სისასტიკის გამო არ მინდა ვუყურო შენს ტანჯვას. სხვა მიზანი მაქვს, ბებერო. შენი სურათების კოლექციაში მაქვს ერთი საოცარი ტილო, რომელზეც მთები, მდინარეების შესართავი და ზღვაა დახატული. ყოველივე საოცრად დაპატარავებულია, მაგრამ მთლიანობაში ნამდვილზე უფრო ნამდვილია. ეს ტილო დაუმთავრებელია, უან-ფო, და შენი მომავალი შედევრი ჯერ ესკიზია. ეტყობა, როცა ხევში განმარტოებული ხატავდი, ცაში მოსრიალე ჩიტი შეამჩნიე, ან ბავშვი დაინახე, ამ ჩიტს რომ მისდევდა. ჩიტის ნისკარტმა თუ ბავშვის ლოყებმა გადაგავიწყეს ტალღების ცისფერი ქუთუთოები. დაუმთავრებელი დატოვე ზღვის მოსასხამის ფოჩები და კლდეზე მოდებული წყალმცენარეების თმებიც. მე მინდა, უან-ფო, რომ სანამ ნათელი გიდგას თვალში, ეს ტილო დაამთავრო. მასში ხომ ჩაიქსოვება შენი გრძელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი საიდუმლოებანი. ეჭვი არ არის, რომ ხელები, რომელთაც სადაცაა წარგკვეთენ, არ აგიკანკალდება აბრეშუმის ტილოზე და ტანჯვა-ვაების განცდა უსასრულობით აღავსებს შენს ქმნილებას. შენი თვალები კი, რომლებიც სადაცაა უნდა დაგეკვსოს, იხილავენ ადამიანური აღქმის ზღვარზე არსებულ კავშირებს. ასეთია ჩემი სურვილი, ბებერო უან-ფო, და მე ძალმიძს, შეგასრულებინო ჩემი ნება. თუ უარს მეტყვი, ვიდრე თვალებს დაგივსებდე, დავაწვევინებ შენს ყველა ტილოს და შენ დაემსგავსები მამას, რომელსაც ვაუებს უულეტენ და შთამომავლობის იმედს უსპობენ. გირჩევ დაფიქრდე: ამ ბოლო ბრძანებას ჩემს სიკეთეს უმადლოდე: ვიცი, რომ ტილო შენთვის ერთადერთი სატრფოა, რომლის ალერსითაც დამთვრალხარ. სიცოცხლის ბოლო წუთებში უქმად რომ არ იყო, გთავაზობ ფუნჯებს, ფერებსა და მელანს. ეს ხომ იგივეა, სიკვდილით დასჯის წინ ქალს რომ უწყალობებენ ხოლმე მამაკაცს.

იმპერატორმა ნეკით ანიშნა და ორმა საჭურისმა მოწიწებით შემოიტანა დაუმთავრებელი ტილო, რომელზეც უან-ფოს ზღვა და ცა დაეხატა. მხატვარმა ცრემლი მოიწმინდა და გაიღიმა, რადგან ამ პატარა ესკიზმა სიჭაბუკე გაახსენა. ტილოზე იგრძნობოდა ჭაბუკური სიწრფელე, რომელიც ახლა უან-ფოს ველარ ექნებოდა, მაგრამ მას უდავოდ რაღაც აკლდა. ეტყობა, იმხანად უან-ფო ისე დაკვირვებით არ უჭვრეტდა მთებს, ზღვაში განბანილ კბოდეებს; ეტყობა, სიჭაბუკეში ისე ღრმად არ გრძნობდა მწუხრის სევდას. მონამ ფუნჯები გაუწოდა. მან ერთი აირჩია და დაუმთავრებელ ზღვაზე ფართოდ მოავლო ცისფერი. ფერხთით ჩაცუცქული საჭურისი ფერებს უზავებდა. ამ სამუშაოს ისე ცუდად ართმევდა თავს, რომ უან-ფომ სინანულით გაიხსენა თავისი შეგირდი ლინი.

უან-ფომ ვარდისფერი დაადო ღრუბლის ქულას, რომელიც მთას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰფენოდა. შემდეგ ზღვის ზედაპირს რამდენიმე ნაოჭი დაუმატა, რომლებმაც უფრო ცხადად წარმოაჩინეს მისი სიმშვიდე და სიწმინდე. ნეფრიტის ქვაფენილი უცნაურად ნესტიანდებოდა, მაგრამ ხატვით გართული უან-ფო ვერც კი ამჩნევდა, რომ ფეხები წყალში ჰქონდა. მხატვრის ფუნჯმა პატარა, მსუბუქი ნავი მოალონიერა და მას ტილოს მთელი წინა პლანი ეჭირა. უეცრად შორიახლო ნიჩბების რითმული ხმაური გაისმა; ფრთების ცემასავით ჩქარი და ლაღი ხმა მოახლოვდა. ნელ-ნელა მოიცვა მთელი დარბაზი და შეწყდა. მენავის ნიჩბებზე წყლის წვეთები თრთოდნენ. უან-ფოს თვალებისათვის გავარვარებული შანთი კარგა ხანია ჯალათის ნაკვერჩხლებზე განელებულიყო. ყელამდე წყალში მდგომი, წესისამებრ გაშეშებული ჯარისკაცები თითის წვერებზე იწეოდნენ. წყალმა იმპერატორის გულამდე მიაღწია. ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, მომწყდარი ცრემლის ხმას გაიგონებდა კაცი.

დიახ, ეს ლინი იყო. ძველი, საყოველდღეო კაბა ეცვა. მარჯვენა სახელო ამოგლეჯილი ჰქონდა, ამოკემსვა ვერ მოასწრო დილით, ჯარისკაცების მოსვლამდე. ყელზე კი უცნაური წითელი შარფი ეხვია.

უან-ფომ ჩუმად მიმართა, ისე, რომ ხატვა არ შეუწყვეტია:

– მკვდარი მეგონე.

– როგორ შემეძლო მოვმკვდარიყავი, – როცა თქვენ ცოცხალი მეგულებოდით, – უპასუხა ლინმა მოწიწებით.

ლინი ოსტატს დაეხმარა და ნავში ჩასვა. ნეფრიტის ჭერი წყალში ისე ირეკლებოდა, თითქოს ლინის ნავი გამოქვაბულში მიცურავსო. ჯარისკაცების ნაწნავები გველებივით დასრიალებდნენ წყლის ზედაპირზე, ხოლო იმპერატორის გაფითრებული სახე ლოტოსივით ირწეოდა წყალზე.

– შეხედე, ჩემო შეგირდო, – სევდიანად წარმოთქვა უან-ფომ, – ეს საცოდავები ხომ დაიღუპებიან, თუ უკვე არ დაღუპულან. არ მეგონა, იმდენი წყალი თუ იქნებოდა ზღვაში, რომ იმპერატორი დაეხრჩო. რა ვქნათ?

– არ იდარდო, ოსტატო, – ჩაიჩურჩულა ლინმა, მალე მთლად გაშრებიან და აღარც კი მოაგონდებათ, ოდესმე სახელო თუ დასველებიათ. მხოლოდ იმპერატორს ოდნავ შერჩება გულზე ზღვის სიმწარე. ეს ხალხი ფერწერის სიღრმეებში ჩასაძირად, თავის დასაკარგავად არ არის გაჩენილი.

შემდეგ კი დასძინა:

– ზღვა მშვენიერია, ზურგქარია; ჩიტები ბუდეებს იკეთებენ. წავიდეთ, ჩემო მოძღვარო, ტალღების მიღმა მხარეში.

– წავიდეთ, – თქვა მოხუცმა მხატვარმა.

უან-ფომ საჭეს ჩაავლო ხელი, ლინი კი ნიჩბებზე დაიხარა. ნიჩბების რიტმული დგაფუნი კვლავ გახმიანდა დარბაზში. ახლა იგი გულის ძგერასავით ძლიერი და თანაბარი იყო. წყლის დონე შეუმჩნევლად კლებულობდა ციცაბო კლდეების გარშემო, რომლებიც ნელ-ნელა ისევ სვეტებად იქცეოდნენ. მალე აქა-იქ, ნეფრიტის ფილების ღრმულებში, რამდენიმე გუბე გამოკრთა. კარისკაცთა კაბები შემშრალიყო, მხოლოდ იმპერატორის მოსასხამის ფოჩს შერჩენოდა ტალღის ქაფი.

უან-ფოს დამთავრებული სურათი იქვე იყო მიყუდებული. სურათის მთელი წინა პლანი ნავს ეჭირა. ის ნელ-ნელა შორდებოდა ნაპირს და წვრილ ზოლად ტოვებდა კვალს, რომელიც მაშინვე უჩინარდებოდა უძრავ ზღვაზე. ნავში მჯდომი ორი მამაკაცის სახე აღარ ჩანდა. მოჩანდა მხოლოდ ლინის წითელი შარფი და უან-ფოს გრძელი წვერი, რომელსაც ქარი აფრიალებდა.

ნიჩბების ჩქამი ძლივსღა ისმოდა. შემდეგ კი სულ მიწყდა. იმპერატორი წინ გადახრილიყო, თვალი ხელით მოეჩრდილა და გაჰყურებდა უან-ფოს ნავს, რომელიც სულ უფრო და უფრო შორდებოდა იქაურობას და ოდნავ შესამჩნევ ლაქადღა მოჩანდა გაცრეცილი მწუხრის ბინდში. ოქროსფერი ორთქლი აიბოლქვა და გაიშალა ზღვაზე. ნავმა შემოუარა კლდეს, რომელიც ზღვაში გასასვლელს ფარავდა; ციცაბო კლდის ჩრდილი დაეცა ნავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკაცრიელი ზედაპირიდან მისი კვალი გაქრა. მხატვარი უან-ფო და მისი შეგირდი ლინი სამუდამოდ გაუჩინარდნენ მოცისფრო ნეფრიტის ზღვაში, რომელიც უან-ფომ ეს-ესაა შექმნა.

მარკოს ღიმილი

ზემი მედუზასავით ტივტივებდა უძრავი წყლის ზედაპირზე. თვითმფრინავი მწერივით გამაბეზრებლად ბზუოდა მთებს შუა მომწყვდეულ ვიწრო სივრცეში. ნაშუადღევი იყო. მზე უკვე გადაიწვერა მონტენეგროს ალპების ხრიოკი ქედის უკან. აქა-იქ თითო-ოროლა ხე მოჩანდა. ლურჯად გაშლილი მოლივლივე ზღვა დილას აქეთ თანდათან ჩამუქდა ბალკანეთის ნაპირების უცნაურად განლაგებულ უსწორმასწორო ფიორდებში. ერთმანეთზე მიჯრილ ქოხმახებს, თვალწინ გადაშლილ ცინცხალ გარემოს, სლავური ელფერი დაჰკრავდა. ფერთა ყრუ სიმძაფრე და მოწმენდილი ცის სიდიადე კი აღმოსავლეთსა და ისლამს მოგაგონებდათ. მგზავრების უმრავლესობა ნაპირზე გადმოვიდა. ისინი თეთრებში გამოწყობილ მებაჟეებს და სამპირა სატევრებით აღჭურვილ, მთავარანგელოზებივით მშვენიერ ჯარისკაცებს ესაურებოდნენ. ბერძენი არქეოლოგი, ეგვიპტელი ფაშა და ფრანგი ინჟინერი გემბანზე დარჩნენ. ინჟინერი ლუდს სვამდა, ფაშა ვისკის, არქეოლოგი კი ლიმონათს შეექცეოდა.

– ეს მხარე მაღელვებს და მიზიდავს, – თქვა ინჟინერმა. – ბალკანეთიდან ურალამდე გადაჭიმული ეს უზარმაზარი სლავური მიწა, ვგონებ, მხოლოდ კოტორის და რაგუზის ნავმისადგომებით გადის ხმელთაშუა ზღვაში. მისთვის უცხოა ევროპის რუკის ნაირგვარი მოხაზულობა, ჯიუტად შეუქცევია ზურგი ზღვისათვის, რომელიც მხოლოდ კასპიის დაკბილული ღრმულით, ფინეთისა და პონტოს-ექსინოსის ყურით და დალმატიის სანაპიროებით შეჭრილა მასში. და ამ უშველებელ კონტინენტზე ერთა ურიცხვი სხვადასხვაობა ისევე არ არღვევს ამ იდუმალ მთლიანობას, როგორც ტალღების მრავალფეროვნება ზღვის დიდებულ მონოტონურობას. მაგრამ ამჯერად ისტორიასა და გეოგრაფიაზე კი არა, კოტორზე მინდა საუბარი. კოტორი მაინტერესებს, კოტორის პირი, როგორც თვით მკვიდრნი უწოდებენ, ჰოდა, სწორედ ეს კოტორი მაინტერესებს, ამ იტალიური გემიდან რომ ვხედავთ: პირქუში, გორაკებში ჩამალული, სეტინამდე დაკლაკნილი ბილიკი რომ გასდევს. ნაკლებად პირქუში კოტორიც მიზიდავს - სლავური რაინდული ლეგენდებისა და სიმღერების მხარე. მუსულმანური ალბანეთისაგან გადაბირებული, მოღალატე კოტორიც მხიბლავს. თქვენ კარგად უწყით, ფაშა, რომ სერბების ეპიკური პოეზია სამართლიანი ვერ იქნება ალბანელთა მიმართ. თქვენ კი, ლუკიადის, ისევე კარგად რომ იცნობთ წარსულს, როგორც ფერმერი – საკუთარი კარმიდამოს ყოველ კუნჭულს, მითხარით ერთი, თუ გსმენიათ რაიმე მარკო კრალიევიჩზე.

– მე არქეოლოგი გახლავართ, – უპასუხა ბერძენმა და ჭიქა მაგიდაზე დადო, – ჩემი ცოდნა ქვის კოდვის იქით არ მიდის. თქვენი სერბი გმირები კი პირდაპირ ცოცხალ ხორცს ჩეხავდნენ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ მარკომ მეც დამაინტერესა და მის კვალს ლეგენდის წარმოშობის ადგილიდან საკმაოდ შორს მივაგენი - ნაღდ ბერძნულ მიწაზე, სადაც თავის დროზე ღვთისმოსავმა სერბებმა ბევრი ლამაზი მონასტერი აღმართეს.

– ათონის მთაზე, – გააწყვეტინა ინჟინერმა, – სადღაც სწორედ ამ მთაზე მარკო კრალიევიჩის გიგანტური ძვლები განისვენებენ. შუა საუკუნეების მერე იქ არაფერი შეცვლილა. მაგრამ გრძელწვერა ექვსიათასი ბერი დღესაც ლოცულობს თავიანთი ღვთისმოსავი მფარველების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაპიზონდის პრინცების სულების გადასარჩენად, არადა მათი გვარეულობა საუკუნეებია რაც გადაშენდა. რა სასიამოვნოა, რომ დავიწყება არც ისე სწრაფად ხდება და არც ისე ყოვლისმომცველი ყოფილა, როგორც ფიქრობენ ხოლმე. და რა კარგია ისიც, რომ დედამიწაზე კიდევ მოიძებნება ადგილი, სადაც ჯვაროსნების ხანის დინასტია დღემდე ცოცხლობს ზოგიერთი მოხუცი მღვდლის ლოცვებში. თუ არ ვცდები, მარკო ოტომანთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ბოსნიაში თუ კროატის მხარეში, მაგრამ მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა წმინდა მიწაზე, სინას მთაზე, გასთხროდა სამარე. მართალია, აღმოსავლეთის ზღვების რიფები და თურქთა ჩასაფრებული გალერები სახიფათო იყო, მაგრამ მაინც მოახერხეს ნავით მისი ცხედრის გადასვენება. მშვენიერი ამბავია; არ ვიცი, რატომ მახსენებს იგი არტურის უკანასკნელ გადასვლას ზღვაზე.

გმირები დასავლეთშიც არიან, მაგრამ ზნეობის ჯავშნით თითქოს ისე არიან შებოჭილნი, როგორც შუა საუკუნეების რაინდები – ჯაჭვის პერანგით. ეს ველური სერბი კი ნაღდი გმირია, სულით-ხორცამდე გმირი. მარკო რომ ესხმოდათ თავს, თურქებს ეჩვენებოდათ, მთიდან მუხა გვეცემაო. აკი გითხარით, იმ ხანებში მონტენეგრო ისლამს ეკუთვნოდა-მეთქი. სერბთა მცირერიცხოვან რაზმებს წინადაცვეთილ ებრაელებთან ხელჩართულ ბრძოლებში უჭირდათ ჩერნოგორას, იმ შავი მთის წართმევა, საიდანაც ამ მხარის სახელწოდება მოდის. მარკო კრალიევიჩი საიდუმლო ურთიერთობებს ამყარებდა ურჯულოთა ქვეყანაში სახელდახელოდ მოქცეულ ქრისტიანებთან, უკმაყოფილო მოხელეებთან და ფაშებთან, რომელთაც შერისხვა თუ სიკვდილი ემუქრებოდათ. მარკოს სხვა გზა არ ჰქონდა, იგი პირდაპირ უნდა შეხვედროდა თანამზრახველებს. გოლიათური აღნაგობის გამო, ვერ ახერხებდა მტერთან შეპარვას ბრმა მუსიკოსად, მათხოვრად ან ქალად გადაცმული. არადა, მარკო ისე ლამაზი იყო, გადაცმული შეიძლება ქალადაც მიგეღოთ. მაგრამ წაგრძელებულ ჩრდილს შეეძლო მისი გაცემა. უკაცრიელ ნაპირთანაც ვერ იფიქრებდა ნავის მიყენებას: კლდეებში ჩასაფრებული უამრავი გუშაგი ფხიზლად და დაუღალავად უდარაჯებდა მარტო მარკოს, თუმცა კი იგი არა და არ ჩანდა. თუ ნავს თვალს ადვილად მოჰკრავდნენ, კარგი მოცურავე ისე გაუჩინარდებოდა, რომ თევზების გარდა კაციშვილი ვერ მიაგნებდა მის კვალს წყლის დინებებში. მარკოს ტალღების მონუსხვა შეეძლო. თავისი ითაკელი მეზობელი ულისესავით მშვენივრად ცურავდა. მარკო ქალებსაც ხიბლავდა. ზღვის ზვირთებს ხშირად გაჰყავდათ კოტორისაკენ, ხის სახლისაკენ, რომელიც ტალღებისაგან ირწეოდა. სკუტარის ფაშას ქვრივი მარკოზე ფიქრით ღამეებს ათენებდა, დილდილობით კი მის მოლოდინში სული ელეოდა. ქვრივი ჭაბუკს ზეთით უზელდა ზღვის ტალღებში შემცივნებულ სხეულს. მსახურებისაგან ფარულად თავის ლოგინში ჩაათბუნებდა ხოლმე. მსტოვრებსა და თანამზრახველებთან ღამეულ შეხვედრებს უადვილებდა. გათენებისას სამზარეულოს მიაშურებდა და საყვარელ კერძებს უმზადებდა. მარკო მიეჩვია მის ჩამოცვენილ ძუძუებს, სქელ ფეხებს, გადაბმულ, ხშირ წარბებს. შეეგუა ხანშიშესული ქალის ეჭვიან და ხარბ სიყვარულს. ერთი რამ აცოფებდა მხოლოდ: როცა მარკო მუხლმოყრილი პირჯვარს იწერდა, ქალი იფურთხებოდა ხოლმე. ერთ ღამეს ქვრივი, ჩვეულებისამებრ, სამზარეულოში ჩავიდა და მარკოსათვის საჭმლის მომზადებას შეუდგა. მარკო მეორე დილას ცურვით აპირებდა დაბრუნებას რაგუზში. ქვრივს ცრემლები აღრჩობდა და ისე გემრიელად ვერ მოამზადა კერძი, როგორც სხვა დროს ამზადებდა. ბატკნის ხორცი ცოტა მიეწვა. მარკო ნასვამი იყო. მოთმინების ფიალა ავსებოდა. ქონიანი ხელებით თმებში სწვდა ქვრივს და დაიღრიალა:

– ეშმაკის კერძო, ბებერი თხის ხორცი გინდა, მაჭამო?

– თხა მშვენიერი იყო, – უპასუხა ქვრივმა, – თანაც არვეში ყველაზე ჯელი.

– შენი ჯადოიანი ხორცივით იყო გამომშრალი და შენსავით ყარდა, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა მთვრალმა ჭაბუკმა – ნეტა, მასავით ჩაიწვებოდე!

და მარკომ კერძიანი თეფში მოისროლა გაღებული ფანჯრიდან, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა.

ქვრივს ხმა არ ამოუღია. გაქონილი იატაკი მორეცხა, ტირილით დასიებული სახეც მოიბანა. ისევე ალერსიანად და ვნებიანად მიესიყვარულა, როგორც წინა საღამოს, გათენებისას კი, როცა, ჩრდილოეთის ქარმა ყურის ტალღები ააფორიაქა, დაუყკავა და ურჩია, მგზავრობა გადადეო. მარკო დასთანხმდა და პაპანაქება სიცხეში დარაბებიან ფანჯარასთან წამოწვა დასასვენებლად. როცა გაიღვიძა, ერთი ზანტად გაიზმორა და უცებ ფანჯარაში მოელვარე ხმლები დაინახა: თურქი ჯარისკაცები ალყას არტყამდნენ სახლს და ყველა გასასვლელს კეტავდნენ. მარკო გაექანა აივნისკენ, რომელიც ზღვას გადაჰყურებდა. აქაფებული ტალღები გამაყრუებელი ზათქით ასკდებოდნენ კლდეებს. მარკომ პერანგი შემოიხია და თავით გადაეშვა ამ ქარიშხალში. ასეთ ამინდში ნავითაც კი ვერ გაბედავდა კაცი ზღვაში გასვლას. მარკო მთებს გადაევლო და ტალღებში გაუჩინარდა. ქვრივი წარუძღვა ჯარისკაცებს და ისინი სახლში შეცვივდნენ, მაგრამ ჭაბუკი გოლიათი ვერსად ნახეს. იგი გამქრალიყო. ბოლოს, პერანგის ნაფლეთების და დამტვრეული რიკულების წყალობით, როგორც იქნა, სწორ კვალს დაადგნენ. შეშინებულნი და იმედგაცრუებულნი ღრიალით მიაწყდნენ პლაჟს. თან უკან იხევდნენ, რადგან ტალღები უფრო და უფრო მეტი გაშმაგებით ეხეთქებოდნენ ნაპირს. ქარის ზუზუნი მარკოს სიცილად ეჩვენებოდათ. აქაფებული ტალღები რომ მოზღვავდებოდა, ეგონათ, მარკო სახეში გვაფურთხებსო. ორ საათს ცურავდა მარკო, მაგრამ ერთი მტკაველითაც კი ვერ წაიწია წინ. ჯარისკაცები თავში უმიზნებდნენ, მაგრამ ქარი შუბებს მიმართულებას უცვლიდა. მარკოს ხან ტალღა შთანთქამდა, ხან კი ზედ მოექცეოდა. ბოლოს ქვრივმა რომელიღაც ალბანელის ქამარს თავისი მოსასხამი მაგრად გამოანასკვა და ერთმა მარჯვე მებადურმა აბრეშუმის ამ ლასოთი მარკოს დატყვევება მოახერხა. თითქმის გაგუდული ნაპირზე გამოათრიეს. მშობლიურ მთებში ნადირობისას მარკოს შემჩნეული ჰქონდა, როგორ მოიმკვდარუნებდა ხოლმე თავს ნადირი, მონადირეს იქვე რომ არ გაეთავებინა. ინსტინქტმა უკარნახა, ამ ეშმაკობას მივმართავო. გაფითრებული ჭაბუკი თურქებმა ნაპირზე გამოათრიეს, სამი დღის მკვდარს ჰგავდა: ცივი იყო და გაშეშებული. ქაფით შესვრილი თმები საფეთქლებს მიკვროდა. მის უძრავ თვალებში ცისა და შეღამების ფერები აღარ ირეკლებოდა. მარილიანი ტუჩები ჩაცვენილ ყბებზე შეჰყინოდა. ხელები ჩამოშვებოდა, განიერი მკერდი კი მის გულისცემას ფარავდა. სოფლის თავკაცები მარკოსაკენ დაიხარნენ, გრძელი წვერებით სახეს შეეხნენ. მერე ყველამ თავი ასწია და ერთხმად წამოიძახა:

– ალაჰ, დამპალ თხუნელასავით არ გასძრობია სული? ჩაძაღლებულა და ეს არის! ზღვაში ვისროლოთ, ჩვენი მიწა მისი სხეულით რომ არ წაიბილწოს.

ამ სიტყვებზე ქვრივს ჯერ ტირილი აუვარდა, მერე კი სიცილი დაიწყო:

– ქარიშხალი არ კმარა მარკოს დასახრჩობად და ყულფიც ვერ გაგუდავს. მკვდარი ხომ არ გგონიათ? ზღვაში თუ გადააგდებთ, ტალღებს ისევე მონუსხავს, როგორც მე, საცოდავი ქალი, მომნუსხა. ტალღები სამშობლოსაკენ გაიყვანენ. ჩაქუჩი მოიტა და ლურსმნები: მისი ღმერთივით ჯვარს აცვით ეგ ძაღლი. მოვა და დაეხმარება თუ რა? გამიგონეთ და ნახავთ, მუხლები ტკივილისაგან თუ არ მოეკეცება და წყეული პირი ყვირილით არ აიკლებს აქაურობას.

ჯალათებმა ნავების შემკეთებლის დაზგიდან ჩაქუჩს და ლურსმნებს დაავლეს ხელი. სერბ ჭაბუკს ხელები გაუხვრიტეს და ფეხებშიც აქა-იქ ლურსმნები გაუყარეს. მაგრამ წამებულის სხეული არ შეტოკებულა. მისი უმეტყველო სახე არ შეთრთოლებულა. სისხლიც კი წვეთ-წვეთად და იშვიათად სდიოდა ჭრილობიდან, რადგან მარკო ისევე მბრძანებლობდა თავის ძარღვებს, როგორც თავის გულს. მაშინ უხუცესმა თავკაცმა შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისროლა ჩაქუჩი და სანყალობლად წამოიყვირა:

– ალაპმა შეგვინდოს მიცვალებულის ჯვარცმა. მოდით, გვამს კისერზე დიდი ქვა გამოვაბათ. დაე, სამუდამოდ დამარხოს ზღვის სიღრმემ ჩვენი შეცოდება და უკან აღარ ამოგვიტივტივოს იგი.

– ათასზე მეტი ლურსმანი და ასზე მეტი ჩაქუჩია საჭირო მარკო კრალიევიჩის ჯვარცმისათვის, – თქვა ბოროტმა ქვრივმა. გულზე ნაკვერჩხლები დააყარეთ და ნახავთ, ჭიანჭველასავით თუ არ დაიგრიხოს ტკივილისაგან.

ჯალათებმა მგმანავის ქურიდან ნაკვერჩხალი აიღეს და ზღვის წყლისაგან გათოშილი ჭაბუკის მკერდს წრიულად დააყარეს. ნაკვერჩხალი გაღვივდა, შემდეგ ჩაიფერფლა და გამხმარი წითელი ვარდივით ჩამუქდა. ცეცხლმა მარკოს მკერდზე დიდი ჩანახშირებული რკალი დატოვა, იმ წრის მსგავსი, ცეკვისას ჯადოქრები რომ შემოავლებენ ხოლმე ბალახზე. ჭაბუკს ერთხელაც არ დაუკვნესია და ერთი წამწამიც არ შერხევია.

– ალაჰ, – თქვეს ჯალათებმა, – კიდევ ერთხელ შევცოდეთ. მკვდრების წამების უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს. მარკოს ძმისწულები და ბიძაშვილის შვილები ამ შეურაცხყოფისათვის პასუხს გვაგებინებენ. მოდით, გვამი დიდი ქვებით სავსე ტომარაში ჩავაგდოთ და მაშინ ზღვაც ვერ მიხვდება, ვინ გადავუგდეთ ჩასანთქმელად.

– თქვე საცოდავებო, – თქვა ქვრივმა, – ეგ ხელით ჯვალოსაც გაარღვევს და ქვებსაც შორს მოისვრის. ახლა კი მოაყვანინეთ სოფლის გოგოები და უბრძანეთ, ქვიშაზე, მის გარშემო ცეკვა გააჩაღონ. აი, მაშინ კი ნახავთ, რას უზამს მას სიყვარული.

უხმეს ყმაწვილ ქალებს. მათ სასწრაფოდ გადაიცვეს სადღესასწაულო სამოსი. დოლები და ფლეიტებიც თან წამოიყოლეს. ერთმანეთს ხელები ჩაკიდეს და გვამს წრედ შემოერტყნენ. მათ შორის ულამაზესმა წითელ ხილაბანდს დაავლო ხელი და ცეკვა დაიწყო. იგი შავგრემანი იყო. მაღალი, თეთრი ყელი ჰქონდა და სხვა ქალიშვილებზე ტანწერწეტა ჩანდა. მისი მიხვრა-მოხვრა შველის ნავარდსა და მიმინოს ლივლივს მიაგავდა. შიშველი ფეხებით ოდნავ ეხებოდა უძრავად გაშოტილ ჭაბუკს. მარკოს გული შეუტოკდა. მერე ისე მძაფრად და აჩქარებულად დაუწყო გულმა ძგერა, შეეშინდა, გარშემო მყოფთ არ გაეგონათ. და უცებ, თითქოს საკოცნელად ემზადებიანო, მის ბაგეებზე ტკივილნარევი ბედნიერების ღიმილი დაიხატა. მოახლოებული ბინდის წყალობით ჯალათებმა და ქვრივმა ვერ შეამჩნიეს სიცოცხლის ეს ნიშანწყალი. აიშე ცისფერ თვალებს არ აცილებდა მარკოს სახეს, საოცრად ლამაზი ეჩვენებოდა ჭაბუკი. უცებ, მისი ღიმილის დასაფარავად ქალიშვილმა წითელ ხილაბანდს ხელი უშვა და ამაყად წარმოთქვა:

– არ შემფერის მკვდარი ქრისტიანის წინ ცეკვა და მისი სახის ყურება. ტუჩებზე ხილაბანდი წავაფარე, რადგან მისი ერთი შეხედვაც კი ზიზღსა მგვრის.

აიშემ ცეკვა განაგრძო. სურდა, ჯალათების ყურადღება მოედუნებინა და ლოცვის დაწყებამდე შეექცია ისინი. მაშინ ნაპირიდან ყველა წავიდოდა. როგორც იქნა, მინარეთის მაღალი კოშკიდან გაისმა ხმა, რომელიც ღმერთის სადიდებლად უხმობდა. მამაკაცებმა, უბრალო, პატარა მეჩეთს მიაშურეს. დაღლილი ქალიშვილებიც ქოშების ბაკუნით მწკრივად გაემართნენ ქალაქისაკენ. აიშეც ქალაქის გზას გაუყვა, მაგრამ წასვლისას რამდენჯერმე უკან მოიხედა. გვამის სადარაჯოდ მხოლოდ გაკერპებული ქვრივილა დარჩა. უცებ მარკომ წამოიწია. მარჯვენა ხელით მარცხენიდან ლურსმანი ამოიგლიჯა, მწითური თმებით ქვრივი მოიზიდა და ლურსმანი გაურჭო ყელში. შემდეგ მარცხენა ხელით ამოიღო მარჯვენაში ჩარჩენილი ლურსმანი და ქვრივს შუბლში ჩაასო. ფეხებიდან მოიგლიჯა ქვის ორი სოლი და ქვრივს თვალები დასთხარა. და როცა ჯალათები მობრუნდნენ, შიშველი ჭაბუკის ნაცვლად ნაპირზე ხნიერი ქალის დაკრუნჩხული გვამი დახვდათ. ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ ნავები ამაოდ გავიდნენ მარკოს საძებნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ტალღებში გაუჩინარდა. თავისთავად იგულისხმება, რომ მაკრომ ეს ქვეყანა დაიპყრო და ის ლამაზი ქალიშვილიც მოიტაცა, ღიმილი რომ მოსწყვიტა მის ბაგეებს.

– მართალი გითხრათ, არც მარკოს დიდება მიჩუყებს გულს და არც მათი ბედნიერება. მე მაოცებს ტანჯვისა და ნეტარების ეს საოცარი შეხამება – ღიმილი წამებულის ბაგეებზე, რომლისთვისაც სიყვარულის დათმენა უტკბილესი წამება აღმოჩნდა. შეხედეთ, საღამოვდება. ძნელი წარმოსადგენი არ არის კოტორის პლაჟზე, ნაკვერჩხლების შუქზე შეჯგუფებული ჯალათები, მოცეკვავე ქალიშვილი და ჭაბუკი, რომელიც მის სილამაზეს ვერ უმკლავდება.

– უცნაური ამბავია, – თქვა არქეოლოგმა, – თქვენი ვერსია თანამედროვე უნდა იყოს. ვფიქრობ, სხვა უფრო ადრინდელიც უნდა არსებობდეს. აუცილებლად გავიკითხავ.

– რა საჭიროა, – თქვა ინჟინერმა, – რაც მოგიყევით, იმ სოფლის გლეხებმა მიამბეს, სადაც ამ ზამთარს გვირაბს ვთხრიდით აღმოსავლეთის ექსპრესისათვის. კარგის გარდა რა მეთქმის თქვენს ბერძენ გმირებზე, ლუკიადის! სევდა რომ შემოაწვებოდათ, კარვებიდან არ გამოდიოდნენ ხოლმე. მეგობარი დაეღუპებოდათ და ხმამაღლა მოთქვამდნენ. დაპყრობილი ქალაქების გარშემო მტერთა გვამებს ფეხებით ათრევდნენ, მაგრამ მერწმუნეთ, ლუკიადის, ილიადას ნამდვილად აკლია ღიმილი, აქილევსის ღიმილი.

მარკო კრალიევიჩის აღსასრული

ოაუვარდოვან ცაზე სულთაბრძოლის ლოცვის ზარების ხმა გაისმოდა. ურჯულოთა მოსაზღვრე ქვეყანაში ეს ზარები ისე ძლიერად და მჭახედ რეკდნენ, თითქოს ხმამაღლა უნდოდათ ყველასათვის ემცნოთ, მნათეებიც და მიცვალებულიც, მიწისათვის რომ უნდა მიებარებინათ, ქრისტიანები არიანო. ქვემოთ კი, თეთრი ქალაქის ვიწრო ეზოებში, ჩრდილში ჩაცუცქულ მამაკაცებს რეკვის ხმასთან ერთად, ყვირილი, შეძახილები, ბატკნების პეტელი და ვირების ყროყინი ჩაესმოდათ; დროდადრო ამ ხმაურს ერეოდა ჩიტების ჭიკჭიკი ან ახალ გარდაცვლილთა სულისათვის მლოცველი ქალების დუდუნი, ხან კი ვილაც შეშლილის ხითხითი, ამ სახალხო გლოვას არაფრად რომ აგდებდა. მკალავთა უბანში, ჩაქუჩების დარტყმის ხმა ყველაფერს აყრუებდა. მოხუცმა სტევანმა, რომელიც მსუბუქი, პატარ-პატარა დარტყმებით სათუთად ხვეწდა სურის ყელს, დაინახა, როგორ გადაიწია კარზე ჩამოკიდებული ფარდა. ჩამავალი მზის სიმხურვალე ოთახში შემოიჭრა. სტევანის მეგობარი ანდრე შემოვიდა და შინაურივით, ხალიჩის კიდესთან ფეხმორთხმით დაჯდა.

– იცი, მარკო რომ მოკვდა? იმ დროს მე იქ ვიყავი, – თქვა მან.

– მუშტრებმა მითხრეს მოკვდაო, – უპასუხა მოხუცმა ისე, რომ ჩაქუჩი ხელიდან არ გაუშვია. ვატყობ, ერთი სული გაქვს მიამბო, მიდი, მოყევი, სანამ ვმუშაობ.

– მარკოს ვეება სამზარეულოში ჩემი მეგობარი მუშაობს. დღესასწაულებზე მეძახის ხოლმე, სუფრის გაწყობაში ვეხმარები. იქ ყოველთვის კარგ ლუკმას იშოვის კაცი.

– დღეს რაღა დღესასწაულია, – თქვა მოხუცმა და თანაც სპილენძის დოქის ტუჩს მოუთათუნა ხელი.

– არა, დღეს დღესასწაული არაა, მაგრამ მარკოსთან ყოველთვის გემრიელი საჭმელებია, სამუშაო დღესაც და მარხვაშიც. სუფრასთან მუდამ ხალხმრავლობაა. მაგიდას, წესისამებრ, ბებერი ხეიბრები უსხედან ხოლმე და კოსოვოში გადახდილ ბრძოლებზე გაუთავებლივ ტრაბახობენ. მათი რიცხვი წლიდან წლამდე კი არა, თვიდან თვემდე კლებულობს. დღეს კი მარკოს მსხვილი ვაჭრებიც დაეპატიჟებინა, წარჩინებულნიც, ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავკაცნიც; მოეწვია ის მთიელებიც, რომლებიც თურქებთან ახლოს ცხოვრობენ, რომ კლდეებს შორის მოჩუხჩუხე ხევების ერთი ნაპირიდან მეორეზე ისრის მიწვდენა შეუძლიათ; ზაფხულობით კი, წყალი რომ იკლებს, მის ნაცვლად სისხლი მოედინება ხოლმე. ყოველ წელს თურქების რემისა და ნახირის გადმოსარეკად ისინი დიდ ლაშქრობას აწყობენ; დღევანდელი წვეულებაც სწორედ ახალი ლაშქრობის გამო გაიმართა. სუფრაზე შემოჰ ქონდათ და შემოჰქონდათ შეკმაზული კერძებით სავსე ლანგრები. მსუყე საჭმელი იმდენად ქონიანია, რომ ჭამისას ხელიდან გისხლტება. საერთოდ, მარკო ათი კაცის ოდენას ჭამს და სვამს; უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე სვამს. ხანდახან კი საჭმლის გამო წაკიდებულ ორ მოჩხუბარს აშველებს.

როცა ჩვენ, მსახურებმა, ყველას დავაბანინეთ და გავაწმენდინეთ ხელები, მარკო ხალხით გაჭედილ ეზოში გავიდა. მოგეხსენებათ, ნარჩენები ყველას ერგება ხოლმე, ნამუსრევს კი ძაღლებს უყრიან. ზოგს დიდი ქოთანი მოაქვს, ზოგს პატარა, ზოგს ჯამი, ზოგს კალათაც კი. მარკო ყველას იცნობდა. სახეებისა და გვარების საოცარი მეხსიერება ჰქონდა და ყოველ სახეს ზუსტად მოარგებდა ხოლმე სახელს. ყავარჯნებზე დაყრდნობილ ერთ კაცს კონსტანტინე ბეგთან ბრძოლას ახსენებდა; კითარის დამკვრელ ბრმა მგოსანს იმ ბალადის პირველ სტროფს წაუმღერებდა, რომელიც დამკვრელს სიჭაბუკეში მარკოს პატივსაცემად შეეთხზა. ვინმე უშნო დედაბერს ნიკაპზე წაავლებდა ხელს და მათი სიყვარულის იმ ძველ კაი დროს ახსენებდა. ხანდახან ცხვრის ნახევარს დაავლებდა ხელს და ვინმეს ეტყოდა „ჭამეო". დღესაც ყველაფერი ძველებურად იყო.

უცებ მარკო მიუახლოვდა ერთ ჩია ბერიკაცს, რომელიც სკამზე იჯდა და ფეხებს აქანავებდა.

– ჯამი რა უყავი? შენი სახელი რატომღაც აღარ მახსოვს.

– ზოგი ასე მეძახის, ზოგიც ისე, – თქვა ბერიკაცმა, – ამას რა მნიშვნელობა აქვს.

– სახეზეც ვერა გცნობ, – თქვა მარკომ, – იქნებ იმიტომ, რომ სხვებს ჰგავხარ. ხომ იცი, უცნობები არ მიყვარს, არც ის მათხოვრები, რომლებიც არ მათხოვრობენ. ვინ იცის, იქნებ თურქების ჯაშუში ხარ?

– ზოგნი მეუბნებიან, ერთთავად რაღაცას ზვერავო, – თქვა ბერიკაცმა, – მაგრამ ეშლებათ. უბრალოდ, ადამიანებს საშუალებას ვაძლევ, რაც უნდათ ის აკეთონ.

– მეც იმას ვაკეთებ, რაც მინდა, – დაიღრიალა მარკომ, – არა და არ მაგონდები, დაიკარგე აქედან.

მარკომ ფეხი წაკრა ბერიკაცს, თითქოს სკამიდან გადმოგდება დაუპირა, მაგრამ გეგონებოდათ, ბერიკაცი გაქვავდაო, თუმცა სხვაზე უფრო მაგარი არ ჩანდა. გაცვეთილ ფეხსაცმელებიან ფეხებს ისევე აქანავებდა, თითქოს არც შეხებიაო.

მაშინ მარკომ მხარში წაავლო ხელი, რომ წამოეყენებინა. იგივე განმეორდა. ბერიკაცი მხოლოდ თავს აკანტურებდა.

– ადექი, დავარტყათ, როგორც კაცებს შეჰფერის, – დაიყვირა წამოჭარხლებულმა მარკომ.

ჩია ბერიკაცი წამოდგა. ის მართლაც პატარა ტანისა იყო. მარკოს მხრებამდე არც კი წვდებოდა. მარკომ სახელოები დაიკაპიწა და ეძგერა. მაგრამ დარტყმები კაცს თითქოს არ ხვდებოდა; მარკოს კი მუშტები მთლად დაუსისხლიანდა.

– ეი, თქვენ, – შესძახა მარკომ გარშემორტყმულთ, – გამეცალეთ აქედან, არავინ ჩაერიოს, მე გავუმკლავდები.

მაგრამ მარკო უკვე ქოშინებდა. იგი უცებ შეტორტმანდა და ძირს დაენარცხა. გეფიცები, ბერიკაცი არც კი განძრეულა.

– ცუდად დაეცი, მარკო, – თქვა ბებერმა, – ველარ წამოდგები; მგონი თავადაც იცოდი, სანამ ჩხუბს წამოიწყებდი.

– მე კი უკვე თურქების წინააღმდეგ კარგი ლაშქრობა მოვამზადე. საქმე უკვე გაჩარხული იყო, – ოხვრით წარმოთქვა მიწაზე გაშხლართულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცმა. – მაგრამ რაკი ასეა, დაე, ასე იყოს.

– თურქების წინააღმდეგ, თუ პირიქით, – ჰკითხა ბერიკაცმა. – შენ ორმ ხან ერთის მხარეს იყავი, ხან მეორის.

– ქალს, რომელსაც ვეარშიყებოდი, მაგის თქმისათვის მარჯვენა მოვაჭერი, – თქვა მომაკვდავმა – ტყვეებსაც ყელი გამოვჭერი, თუმც შეწყალება მქონდა აღთქმული. მაგრამ მხოლოდ ცუდი ხომ არ მიკეთებია. რამდენი რამ დავურიგე მღვდლებსა და ღარიბებს.

– ანგარიშის ჩაბარებას ნუ დაიწყებ, – თქვა ბერიკაცმა. – რაში გჭირდება მაგ ამბების გახსენება. ადრე თუ გვიან მოსახდენი ხდება და ეგ საუბარი ვერაფერს გარგებს. მოდი ერთი, ჩემს ქურთუკს თავქვე დაგიდებ, მიწაზე რომ არ გედოს თავი.

ბერიკაცმა მართლაც ქურთუკი თავქვე დაუდო, როგორც თქვა.

იმდენად გაოგნებული ვიყავით, რომ არც გვიფიქრია მისი შეპყრობა. თანაც რომ დაუკვირდე, არც არაფერი ჩაუდენია ისეთი. იგი ფართოდ გაღებული კარისაკენ გაემართა. მხრებში ცოტა მოხრილი, მართლა მათხოვარს ჰგავდა, მათხოვარს, რომელიც არაფერს თხოულობს. კარის ზღურბლთან ორი ძაღლი იყო მიბმული. ბერიკაცმა დიდ, შავ, ძალიან ავ ქოფაკს თავზე ხელი გადაუსვა. დიდ შავ ძაღლს ერთიც არ შეუღრენია. როცა მივხვდით, რომ მარკო მოკვდა, მიმავალ ბერიკაცს გავხედეთ. კარს იქით, ხომ გახსოვს, გზა ორ ბორცვს შორის მიიმართება, ჯერ აღმართია, მერე დაღმართი, მერე კი ისევ აღმართი. ბერიკაცი უკვე ძალიან შორს იყო. მტვერში მიმავალი მოჩანდა, ფეხებს თითქოს ძლივს მიათრევდა, განიერ შარვალს და პერანგს ქარი უფრიალებდა. მოხუცის კვალობაზე ჩქარა მიდიოდა. მოწმენდილი ცის ფონზე მოხუცის თავიღა მოჩანდა: მას გარეული ბატების გუნდი ეხვია.

ფრანგულიდან თარგმნა **მზია ბაძრაძემ**.
წიგნიდან Marguerite Yourcenar. Nouvelles Orientales. Gallimard, 1963

ს ი ქ ს ტ ე

გერარდო პერინი

ოსტატმა მითხრა: ხედავ, გზაჯვარედინზე წამომართულ სვეტს? სახალხო კარიბჭე დაახლოებით ორი მილით ჩამოვიტოვეთ. ქალაქიც თვალს მიეფარა. მიმავალნი, მოგონებებით დახუნძლულნი, ამ ადგილას უკვე ივიწყებენ რომს. ადამიანთა მეხსიერება იმ დაღალულ მოგზაურებს ჰგავს, რომლებიც სულის ყოველი მოთქმისას უსარგებლო ტვირთს თვიდან იშორებენ და შიშველი, ცარიელი ხელებით მიემართებიან ღამის გასათევად. დიდი გამოღვიძების დღეს ისინი წარსდგებიან ვითარცა ბავშვები, რომელთა გონებამაც წაშალა გუშინ.

საზღვარს მოვატანეთ, გერარდო.

ქუჩათა მტვერი ათოვს სოფლის კანტიკუნტ ხეებს – ღვთის ნაფეხურებს. აქვე კვიპაროსი ხარობს. მის ფესვებს პირი დაუფჩენიათ და თვადაც სულს ღაფავენ. შორიახლო კი სამიკიტნო მეგულება, სადაც ჭიქა ღვინოს არ დაგამადლიან. ალბათ მდიდარი, ნათვალთვალევი ქალები მიდიან იქ, რათა საყვარლებს დანებდნენ, ხოლო ღარიბ მუშათა ოჯახები, კვირაობით საგანგებოდ სადილობენ.

ასე მგონია, გერარდო, რადგან ცხოვრება მეორდება.

განშორების საათია, მე კი დაყოვნება არ ძალმიძს, სამუშაო მიხმობს. მოვხუცდი, ერთი წუთიც არ მეთმობა. მოვხუცდი, გერარდო. ზოგჯერ,

როცა გსურს მეტის სინაზით მომეპყრო, მამად მიხმობ ხოლმე. ფუმცა უშვილო ვარ. არასოდეს გადავყრივარ ქალს, რომლის სილამაზეც დაჩრდილავდა ჩემს ქვის ქანდაკებებს, ხოლო მისი უსასრულო დუმილი და უმოქმედობა, მსგავსი აუცილებელი საგნისა, არსებობის გასამართლებლად მოძრაობას რომ არ საჭიროებს, დამატყვევებდა დროის გარეშე, რადგანაც თვად მასში განსხეულებულა დრო. არ მეგულება ქალი, თვს რომ დაგანებებთ, უმზიროთ ღიმილისა და უხერხული სიწითლის გარეშე, მიმხვდარა რა, რომ სილამაზე მეტად მნიშვნელოვანი რამ არის. ქვის ქალები უმანკოებით, ერთგულებით გამოირჩევიან და ერთი ნაკლი აქვთ – სიბერწე. არ არსებობს თუნდაც პაატრა ნაპრალი, საიდანაც სიამოვნების განცდას, სიკვდილს ან ბავშვის ჩანასახს შეიყვანდნენ მათ სხეულებში. ამიტომაც არიან ისინი ნაკლებ მიწიერნი.

ზოგჯერ ქვის ქანდაკებები იმსხვრევიან, მაგრამ მათი სილამაზე ისევე სრულად განიბნევა მარმარილოს ყოველ ნატეხში, ვითარცა ღმერთი სამყაროში. თუმცა ვერანაირი უცხო სხეული ვერ მიაღწევს მათ გულებამდე, რათა მზესავით ააჩახჩახოს ისინი. არასრულყოფილი არსებანი ჯანყდებიან და ერწყმიან ერთმანეთს, სისავსედ რომ გადაიქცნენ, მაგრამ აბსოლუტურად ლამაზი საგნები ისევე მარტოსულნი არიან, ვითარცა მოკვდავის დარდი და ვარამი. გერარდო, მე უშვილო ვარ. კარგად ვიცი, მამაკაცთა უმრავლესობას ნამდვილი ძე კი არა ჰყავს, არამედ ტიტო, კაიო, პიეტრო. ეს სხვა სიხარულია. უფალს ჩემთვის რომ ვაჟი ებოძებინა, არ ემგვანებოდა ხატებას, რომელიც მის დაბადებამდე დამატკბობდა, ასევე ჩემს ქანდაკებებსაც ცოტა რამ აქვთ საერთო ოცნებებში შექმნილებთან.

რას იზამ, ღმერთმა უფლება დაიტოვა, ყოფილიყო კეთილსინდისიერი შემოქმედი. გერარდო, შენ რომ ძედ მომვლენოდი, უფრო მეტად არ მეყვარებოდი, უბრალოდ, რატომ მიყვარხარ, ამ კითხვის დასმა აღრ დამჭირდებოდა.

მთელი ცხოვრება თან მსდევდნენ უპასუხო კითხვები, მარმარილოს ისე გულდასმით ვამუშავებდი, თითქოს ჭეშმარიტებისთვის ქვათა გულის სიღრმეში მიეგნოთ, კედლების მოსახატად ისეთ ფერებს ვამზიურებდი, თითქოს აკორდებმა უშველებელი სიჩუმე შეაზანზარესო. რადგანაც ყველაფერი დუმდება, სულიც კი, – ან იქნებ, ჩვენ ვიყრუებთ ყურს.

მიდიხარ. ჩემი ასაკი მაიძულებს, განშორებას, თუნდაც სამუდამო იყოს იგი, მნიშვნელობა არ მივანიჭო. მეტისმეტად კარგად ვიცი, რომ ადამიანები, რომლებიც გვიყვარს და რომლებსაც ყველაზე მატად ვუყვარვართ, განუწყვეტლივ, ყოველ წამს გვტოვებენ და ამგვარადვე განეყრებიან ისინი საკუთარ თავსაც. გზაჯვარედინთნ ჩამუხლულს, ისევ აქა ხარ გგონია, მაგრამ მომავლისკენ მიმართულმა შენმა არსებამ ზურგი აქცია წარსულს და შენი არყოფნა უკვე დაიწყო. რასაკვირველია, მესმის, რომ ყველაფერი ილუზიაა და მომავალი არ არის. ადამიანებმა, რომლებმაც დრო გამოიგონეს, შემდეგ მარადიულობა გვაჩუქეს, ვითარცა დაპირისპირებულობა, მაგრამ დროის უარყოფა ისევე ამაოა, როგორც თავად დრო. არ არსებობს არც წარსული, არც მომავალი, არამედ აწმყოთა თანმიმდევრული სვლა, გზა, უსასრულო ნგრევისა და შენების სტიქიაში, რომელზედაც ყველანი წინ მივიწევთ.

შენს ფეხებს მოუსვენრობა შეჰპარვიათ, გერარდო, თითქოს გზას პირს უსინჯავენო. ტანთ გაცვია ჩვენი ეპოქის სამოსელი, ზიზღისმომგვრელად ან უცხოდ რომ მოეჩვენებათ ერთი საუკუნის შემდეგ, რადგანაც სხვა არა არის სამოსელი, თუ არა სხეულის კარიკატურა. ჩემი თვალები შიშველს გხედავენ. სამოსელს მიღმა სხეულის სიკაშკაშეს ისევე ვჭვრეტ ხოლმე, ვითარცა წმინდანნი – სულებს. ჯოჯოხეთური წამებაა მახინჯი სულების ცქერა, მშვენიერი სულებისა – სხვაგვარი წამება.

გერარდო, ლამაზი ხარ იმ მყიფე სილამაზით, რომელსაც დრო და წუთისოფელი ყოველი მხრიდან უტევენ და ბოლოს წაგართმევენ კიდეც, მაგრამ ახლა ის შენია და შენივე – დარჩება ეკლესიის თაღზე, რომელზეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ხატება გამოვსახე. ერთ ცისმარე დღეს სარკეში საკუთრი გონჯრ ორეულის აღიარება თუ დაგაფრთხობს, გახსოვდეს, ყოველთვის იარსებებს სადღაც უძრავი ანარეკლი, რომელიც გემგვანება. ამგვარად უკვდავყოფ შენს სულსაც.

აღარ გიყვარვარ, ჩემს სიტყვებს ყური მიაპყარ, რადგან მიტოვებულთ ლმობიერად ექცევიან. დამიმეგობრე და ახლა თვად მხსნი ბორკილებს. მაგრამ არ გძრახავ, მოკვდავის სიყვარული მეტად მოულოდნელი და დაუმსახურებელი საჩუქარია; და განუწყვეტლივ უნდა გვანცვიფრებდეს, რომ უფრო ადრე არ წაგვგლიჯეს ხელიდან იგი. მე არ ვწუხვარ მათზე, ვისაც ჯერ არ იცნობ, არამედ მათზე, ვისკენაც გეზი აგიღია და, შესაძლოა გელიან: ადამიანი, ისინი რომ აღმოაჩენენ,განსხვავებული იქნება გერარდოსგან, რომელსაც მჯეროდა – ვიცნობდი; და მგონია – მიყვარს. შეუძლებელია ვინმეს ვფლობდეთ (ცოდვილთაც კი არ მიუწვდებათ ხელი) და ხელოვნება გვევლინება რა ერთადერთ ჭეშმარიტ საკუთრებად, გულისხმობს არა არსების ფლობას, არამედ მის ხელახლა შექმნას. გერარდო, არ მოგატყუონ ჩემმა ცრემლებმა: საყვარელ ადამიანებს წასვლის უფლება უნდა მივცეთ მანამ, სანამ ძალგვიძს დავიტიროთ ისინი.

რომ რჩებოდე, შესაძლოა შენს ყოფნას დაეჩრდილა მისივე ხატება, რომლის დახსომებასაც ვისურვებდი, ვითარცა შენი სამოსელია შენი სხეულის საბურველი, შენც სხვა არა ხარ ჩემთვის თუ არა საბურველი იმ ხატებისა, რომელიც შენგან გამოვათავისუფლე და იცოცხლებს. ახლა უფრო ლამაზი ხარ, ვიდრე სინამდვილეში. მარადიულად მხოლოდ მიტოვებულ მეგობრებს ვფლობთ.

ფრანგულიდან თარგმნა **ხათუნა ზარელუამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარელ ჩაპეკი

ჩვეულებრივი მკვლელობა

ხშირად მიფიქრია, – თქვა ბატონმა ჰანაკმა, – რატომ მივიჩნევთ უსამართლობას ყველაზე დიდ ბოროტებად ბოროტებათა შორის, რაც კი ადამიანს შეიძლება შეხვდეს. აი, მაგალითად, თუ შევიტყობთ, რომ ერთი ადამიანი უდანაშაულოდ ზის ციხეში, ეს უფრო შეგვაშფოთებს და შეგვძრავს, ვიდრე ის, რომ ათასობით ადამიანი სიღატაკესა და ტანჯვა-წამებაში ცხოვრობს. მე ისეთ უბედურებათა მომსწრე ვარ, იმასთან შედარებით ციხე სამოთხეა; და მაინც ყველაზე დიდი უბედურებაც კი არ აღაშფოთებს ჩვენს სულს ისე, როგორც უსამართლობა. მე ვიტყოდი, რომ ჩვენ ერთგვარი იურიდიული ინსტინქტი გვაქვს; რომ დანაშაული და უდანაშაულობა, სამართალი და სამართლიანობა ისეთივე პირველადი, საშინელი და ღრმა გრძნობებია, როგორც სიყვარული და შიმშილი.

ავიღოთ, თუნდაც, ეს შემთხვევა: მე, ისევე როგორც ნებისმიერი თქვენგანი, ოთხი წელი ვიყავი ომში. არაფერს ვიტყვი იმაზე, რაც იქ გვინახავს, მაგრამ იმაში კი დამეთანხმებით, რომ ჩვენი ძმა იქ რაღაც-რაღაცეებს შეეჩვია – მაგალითად, გვამებს. ასობით ახალგაზრდა კაცის გვამი მინახავს, ბევრჯერ სასტიკად დამახინჯებულიც, შეგიძლიათ მერწმუნოთ; და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემთვის მათი ნახვა უკვე იმდენად სულერთი იყო, თითქოს ძველი ჩვრები ყოფილიყვნენ, ოღონდაც არ ეყროლათ. საკუთარ თავს კი ვეუბნებოდი, ამ სასაკლაოდან ცოცხალმა თუ გავაღწიე, ცხოვრებაში რაღა ამაღელვებს-მეთქი.

ომის დამთავრებიდან ასე ექვსი თვის შემდეგ, სახლში ვიყავი, სლატინში; ერთ დილით ვიღაც მიკაკუნებს ფანჯარაზე და მეძახის, ბატონო ჰანაკ, მოდით, ნახეთ, ქალბატონი ტურკოვა მოკლესო! ქალბატონ ტურკოვას საკანცელარიო ნივთებისა და ძაფების პატარა მაღაზია ჰქონდა; ათასში ერთხელ თუ შეიხედავდა ვინმე ერთი გორგალი ძაფის ან საშობაო ბარათის საყიდლად. მაღაზია შემინული კარებით იყო გამოყოფილი სამზარეულოსგან, სადაც ქალბატონ ტურკოვას ეძინა ხოლმე; კარებზე ფარდები ეკიდა. როდესაც მაღაზიაში ზარი დაიწკარუნებდა, იგი იმ ფარდებიდან გამოხედავდა მოსულს, ხელებს წინსაფარზე შეიწმენდდა და მაღაზიაში გამოვიდოდა. „რა გნებავთ?“ – უნდობლად ჰკითხავდა მყიდველს; ამ უკანასკნელს დაუპატიჟებელი სტუმრის განცდა ეუფლებოდა და ერთი სული ჰქონდა, იქაურობას გასცლოდა. ეს იმას ჰგავდა, ქვას რომ ასწევ, მის ქვეშ კი, ნოტიო ორმოში, ეული და შეშინებული ხოჭო წრიალებს; ჰოდა, იმ ქვას ისევ ადგილზე დააბრუნებ, ოღონდ ის საზიზღარი ხოჭო დამშვიდდეს.

როდესაც ეს ამბავი გავიგე, სანახავად გავეშურე, ვფიქრობ, სუფთა ცნობისმოყვარეობის გამო. ქალბატონ ტურკოვას პატარა მაღაზიის წინ ისე ირეოდა ხალხი, როგორც ფუტკარი სკასთან, მაგრამ პოლიციელმა შიგნით შემიშვა; როგორც განათლებულ კაცს, პატივს მცემდა. ზარმა ჩვეულებისამებრ დაიწკარუნა, მაგრამ სიჩუმეში ამ მკაფიო და წკრიალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმის გაგონებაზე ტანში გამცრა. უცებ გავიფიქრე, რომ ეს ხმა ამ ვითარებას არ ესადაგებოდა. სამზარეულოს ზღურბლზე ქალბატონი ტურკოვა იწვა პირქვე; სისხლის თითქმის შავ გუბეში ჰქონდა თავი ჩარგული; სიშავემდე გასისხლიანებული თმა კეფაზე შესწებებოდა; და იმ წამს ვიგრძენი ის, რაც ომში არასოდეს მიგრძვნია: მკვდარი ადამიანის ნახვით გამოწვეული საშინელება.

საოცარია, ომი თითქმის დამავიწყდა. კაცობრიობაც თანდათან ივიწყებს მას, და, ალბათ, ერთხელაც იქნება, კვლავ ახალი ომის აუცილებლობა დადგება; მაგრამ იმ მოკლულ დედაბერს, რომელიც არავის არაფერში არგოდა, იმ პატარა ნოქარს, ხეირიანად ბარათებსაც რომ ვერ ყიდდა, ვერასოდეს დავივიწყებ. მოკლული ადამიანი რაღაც უფრო სხვაა, ვიდრე მკვდარი; იგი შემაძრწუნებელი იდუმალებითაა მოსილი. ვერაფრით გამეგო, რატომ უნდა მოეკლათ მაინცდამაინც ქალბატონი ტურკოვა, ასეთი ჩვეულებრივი და ყოვლად შეუმჩნეველი ადამიანი, რომელიც არასდროს არავის ანაღვლებდა; როგორ მოხდა, რომ ის ახლა აქ, ასე პათეტიკურად წევს და მის სხეულთან პოლიციელი დახრილა; გარეთ კი ამდენი ადამიანი იმიტომ ირევა, რომ ცალი თვალით მაინც შეხედონ ქალბატონ ტურკოვას თუნდაც ნაწილს. შეიძლება ითქვას, რომ საცოდავ ქალს არასოდეს ღირსებია ისეთი ყურადღება, როგორიც ახლა – შავ სისხლში პირწამხობილს; მას ერთბაშად საოცარი და საშინელი მნიშვნელობა შეეძინა. ადრე არასოდეს შემიმჩნევია, რა ეცვა ან, საერთოდ, როგორ გამოიყურებოდა; ახლა კი თითქოს უზარმაზარი გამადიდებელი შუშით ვუყურებდი. ცალ ფეხზე საშინაო ფაჩუჩი ეცვა; მეორე ფაჩუჩი გახდოდა და ქუსლთან დაკემსილი წინდა მოუჩანდა; მე ვხედავდი ყოველ ნაკემსს და ისე საზარლად მეჩვენებოდა, თითქოს ის უბადრუკი წინდაც მოკლული ყოფილიყო. ცალი ხელით იატაკს ჩაფრენოდა; ხელი ჩიტის ფეფივით ხმელი და უმწეო ჩანდა; მაგრამ ყველაზე საშინელი იყო მოკლულის კეფაზე შემოგრაგნილი ჭაღარა ნაწნავი, რადგან ასე საგულდაგულოდ იყო დაწნული და წნულებს შორის შედედებული სისხლი ძველი კალასავით ბზინავდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს არასოდეს არაფერი მენახა ისეთი გულისმომწყვლელი, როგორც სისხლში მოთხვრილი ქალის ეს ნაწნავი. სისხლის ერთი ნაკადი ყურთან შეხმობოდა და ზედ ლურჯთვლიანი ვერცხლის საყურე ბზინავდა. მეტის ატანა აღარ შემეძლო, ფეხები ამიცახცახდა. ღმერთო დიდებულო-მეთქი! – აღმომხდა.

პოლიციელი, რომელიც სამზარეულოში, იატაკზე რაღაცას ეძებდა, წელში გაიმართა და შემომხედა; ისეთი გაფითრებული იყო, გეგონებოდათ, სადაცაა გული წაუვაო.

– ომში არ ყოფილხართ? – წავიბლუყუნე.

– ვყოფილვარ, – ქშინავდა პოლიციელი, – მაგრამ ეს... ეს სულ სხვა რამაა. შეხედეთ, – უეცრად დასძინა და კარებისკენ, ფარდაზე მიმითითა; ფარდა დაჭმუჭნილი და დალაქული იყო – როგორც ჩანდა, მკვლელს ზედ ხელები შეეწმინდა. ღმერთო, – ამოვიქშინე; არ ვიცი, რა იყო ასე აუტანლად შემზარავი, სისხლში ამოსვრილი ხელების წარმოდგენა, თუ ის, რომ აქამდე სუფთა და კოპწია ფარდაც მკვლელობის მსხვერპლი გამხდარიყო; ღმერთმანი, არ ვიცი; მაგრამ ამ დროს სამზარეულოში იადონმა ჩაიჭიკჭიკა და გაბმულ სტვენას მოჰყვა. ამას კი ველარ გავუძელი; შეძრწუნებული გამოვვარდი ფარდულიდან – მგონი, იმ პოლიციელზე გაფითრებული მე ვიყავი.

მერე ეზოში ვიჯექი, ურიკის ძელზე, და ვცდილობდი, ფიქრებისთვის თავი მომეყარა. „შე ლაჩარო, ბრიყვო", – ვეუბნებოდი საკუთარ თავს, – „ეს ხომ ჩვეულებრივი მკვლელობაა! რაო, სისხლი არ გინახავს?! თუ საკუთარ სისხლში არ ყოფილხარ ამოსვრილი, როგორც ღორი ტალახში?! შენ არ იყავი, მებრძოლებს რომ უყვიროდი, დროზე ამოეთხარეთ ორმო ას ოცდაათი მკვდრისთვის? ას ოცდაათი, ერთმანეთის გვერდით ჩარიგებული მკვდარი უკვე გვარიანი მწკრივია – ამ მწკრივის გასწვრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადი-გამოდიოდი და ღრიალებდი: „მიდით, მიდით, მორჩით საქმესო! განა იმდენი მკვდარი არ გინახავს, იმდენი მკვდარი...“

– ჰო, საქმეც ეგაა! – ვეუბნებოდი საკუთარ თავს, – იმდენი მკვდარი მინახავს, მაგრამ არ მინახავს ერთი, ერთადერთი მკვდარი; არ დავხრილვარ მასთან, სახეში რომ ჩამეხედა და მის თმას შევხებოდი. მკვდარი საშინლად ჩუმია; მასთან მარტო უნდა იყო... არც კი უნდა ისუნთქო... რათა გაუგო. ერთი იმ ასოცდაათთაგან ძალას მოიკრებდა, რომ შენთვის ეთქვა: „ბატონო ლეიტენანტო, მათ მე მომკლეს; შეხედეთ ჩემს ხელებს, ეს ხომ ადამიანის ხელებია!“ – მაგრამ ჩვენ ყველამ ზურგი შევაქციეთ იმ მკვდრებს. თუკი უნდა გვეომა, მოკლულებს ვეღარ მოვუსმენდით. ღმერთო ჩემო, იქნებ ყოველ მოკლულთან, როგორც სკასთან ფუტკარი, ადამიანები – კაცები, ქალები, ბავშვები – რომ შეგროვილიყვნენ, რათა, აცახცახებულებს, ცალი თვალი მაინც მოეკრათ, თუნდაც ნანილისთვის, თუნდაც ჩექმიანი ფეხისთვის ან გასისხლიანებული თმისთვის, ასეთი რამ აღარ მომხდარიყო; ალბათ, მაშინ ასეთი რამ ვეღარც მოხდებოდა.

დედა დავასაფლავე; დიდებულად და მშვიდად გამოიყურებოდა ლამაზ კუბოში. უცნაური იყო, მაგრამ საშინელი – არა. ეს კი, ეს რაღაც უფრო სხვა იყო, ვიდრე სიკვდილი; მოკლული მკვდარი არაა; მოკლული მომჩივანია, იგი თითქოს უდიდესი და აუტანელი ტკივილისგან ღრიალებს. ჩვენ ეს ვიცით – მე და იმ პოლიციელმა; ჩვენ ვიცით, რომ იქ, იმ პატარა მაღაზიაში, აჩრდილი დაძრწოდა. ნელ-ნელა გონება გამინათდა. მე არ ვიცი, იქნებ სული არა გვაქვს; მაგრამ არის ჩვენში უკვდავი რაღაცეები, როგორიცაა თუნდაც სამართლიანობის ინსტინქტი. არაფრითა ვარ სხვებზე უკეთესი, მაგრამ არის ჩემში რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ მე არ მეკუთვნის – ერთგვარი განცდა მკაცრი და დიადი წესრიგისა. ვიცი, რომ რიგიანად ვერ გამოვთქვამ, მაგრამ იმ წუთას ვიცოდი, რა არის დანაშაული და რა არის ღმერთის შეურაცხყოფა. რომ იცოდეთ, მოკლული ადამიანი იგივეა, რაც შერყვნილი და გაპარტახებული ტაძარი“.

– მერე, – ჰკითხა ბატონმა დობეშმა, – დაიჭირეს იმ დედაბრის მკვლელი?

– დაიჭირეს, – განაგრძო ბატონმა ჰანაკმა, – მე თვითონ დავინახე, როცა ამ ამბიდან ორის დღის შემდეგ პოლიციელებს მოჰყავდათ იმ მაღაზიიდან, სადაც, როგორც იტყვიან, დანაშაულის ადგილზე იქნა დაკითხული. ხუთიოდე წამს თუ ვუყურე, მაგრამ თითქოს მასაც გამადიდებელი შუშით ვუცქერდი. ყმაწვილი კაცი იყო, ხელზე ბორკილი ედო და რატომღაც ისე მიიჩქაროდა, პოლიციელები ძლივს ეწეოდნენ. ცხვირი ოფლით დაცვაროდა, გადმოკარკლულ თვალებს კი ისე ახამხამებდა, ეტყობოდა, გვარიანად შეშინებულიყო – როგორც კურდღელი ვივისექციის წინ. ცხოვრებაში არ დამავიწყდება მისი სახე. ამ შეხვედრის შემდეგ როგორღაც გულდამძიმებული ვიყავი. ახლა გაასამართლებენ, ერთ-ორ თვეს აცოდვილებენ და ბოლოს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. ამ ფიქრში აღმოვაჩინე, რომ მეცოდებოდა იგი და გულზე უფრო მომეშვებოდა, თუკი თავს როგორმე დაიძვრენდა. ვერ ვიტყვი, სიმპათიური იყო-მეთქი, უფრო – პირიქით; მაგრამ მეტისმეტად ახლოდან დავინახე – დავინახე, თვალებს როგორ ახამხამებდა შეშინებული. ეშმაკმა დალახვროს, რომელი გულთმისანი მე ვარ, მაგრამ ასე ახლოდან დანახული, მკვლელი არ იყო, იყო უბრალოდ ადამიანი. მართალი გითხრათ, თავადაც ვერ გავრკვეულვარ. არ ვიცი, რას ვიზამდი, მისი მოსამართლე რომ ვყოფილიყავი, მაგრამ ყოველივე ამან ისე დამადარდიანა, თითქოს საქმე მე მქონოდა მოსანანიებლად.

ჩეხურიდან თარგმნა **თამარ ლეჟავამ**

Karel Čapek, Spisy, VI, Povídky z jedné a z druhé kapsy, Český spisovatel, Praha, 1993

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა თვარაძე

ნივთების სევდა

გაივლის დილა. დადგება ღამე.
ოთახს აავსებს ნივთების სევდა.
წიგნის კარადებს, მაგიდებს, სკამებს
ნივთების სევდა გააცლის სიქას.
და ყველაფერი იქნება ისე,
თითქოს კარადებს დაეცათ შიში –
ძველი კოშმარი, რაც მუდამ სდევდათ,
რაც სიზმარივით ჩამოჰყვათ ძილში.
ეს არის შიში – სინათლის შიში,
ეს არის სევდა – დაკარგვის სევდა.
შიში, რომელიც ცხოვრებას გიშლის,
გიშლის საგნების მარტივად ხედვას...
ვილაცა მიდის, ვილაცას სტოვებს,
ნივთების სისხლით ივსება სახლი.
რა მარტივია ეს სიმარტოვე
ამ ქვეყანაზე,
ამდენი ხალხის.
თვალს ავლებ ოთახს – ნივთების გროვებს,
კედლების სიბრტყეს, წრფეების კვეთას...
ვილაცა მიდის,
მიდის და გტოვებს
ამ ნივთადქცეულ სიზმრებთან ერთად,
ნივთებიც ისე გეკვრიან, თითქოს
ეცილებოდეთ ვილაცა შენს თავს,
თითქოს შენ მათი სიზმარი იყო
და დაკარგული სამოთხის ხედვა.

ეპიტაფია

ღამე ზღვა არის. დღე კი ქაფია.
ადამიანი რომ მოდის ამქვეყნად
თან მოაქვს თავის ეპიტაფია
ზედ რომ აწერია და თან დაჰყვება.
სხვამხრივ კი იგი სუფთა დაფას ჰგავს
და მისი სული – რაღაც ნისლეულს.
რასაც შეიძენს, იქვე დაკარგავს,
ვერაფერს ნახავს ნაცნობს, მისეულს.
მხოლოდ იმ გრძნობებში, რომლებიც ერთმანეთს
ხანდახან გვაყვარებს, მოსჭვივის სინათლე.
იქნებ ეს სინათლე მიგვიყვანს ღმერთამდე,
იქნებ ამ იმედსაც ტყუილად მივათრევთ.
ყოფნა ხომ ზღვა არის – გრძნობა კი ქაფია,
უბრალო ქაფია – ტალღებზე ტივტივებს.
მიდიან ზვირთები, შორს მიისწრაფიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც იგრძნობა სიცივე, სიცივე...
და ამ სიცივეში, ამ ქარში, ღამეში
სად უნდა ვეძებოთ ჩვენ ჩვენი შემქმნელი...
ეჰ, ძმაო, შევხედოთ ერთმანეთს თვალებში –
ვინ იცის, მეორედ როდისღა შევხვდებით.

ღუზა

მე შენ დაკეცილი გაზეთით გაგსრისე, როგორც ბუზი.
შენ კი მაინც ბზუოდი და ფეხებს იქნევდი.
მე შენ დაკეცილი გაზეთით გაგსრისე, როგორც ბუზი
და ზედ დაგაწყე მძიმე წიგნები.
მე შენ დაკეცილი გაზეთით გაგსრისე, როგორც ბუზი.
გაზეთში იყო კროსვორდი, სექსი, ინფორმაცია
და მე იმ უბრალო გაზეთით გაგსრისე, როგორც ბუზი –
პირდაპირ დაგკარი. სულ არ მითვალთმაქცია.
მე შენ დაკეცილი გაზეთით გაგსრისე, როგორც ბუზი –
მას მერე გახდი ჩემი უმძიმესი ნაწილი:
როგორც კოჭლს ამძიმებს კოჭი, კუზიანს კუზი,
როგორც გლახაკს რჩება მკვლელის შემონაწირი.
– შენ მე დაკეცილი გაზეთით გამსრისე, როგორც ბუზი,
მერე წახვედი და გამოთიშე სინათლე.
ახლა ზიხარ ბნელში, გაზეთებით ხელში, შენს მაგიდას
უზი,
არაფერს ნანობ, თავსაც აღარ იმართლებ.
.. ჩვენ თქვენ დაკეცილი გაზეთით გაგსრისეთ, როგორც
ბუზი,
მათ ჩვენ დაკეცილი გაზეთით დაგვისახსრეს გონება,
ის მე იმ უბრალო გაზეთით, როგორც გემი ღუზით,
გულში ჩამებეჭდა და სამუდამოდ მომება.

* * *

მთვარე ჩავიდა. ჩასცდა ღრუბლების კბოდეს.
ვიღაცა ყვირის, ღამეში აფრქვევს ბოდვებს.
ოთახის ლამპა იზიდავს ღამის პეპლებს,
ყველა პეპელას ჩემს ბედკრულ თავთან შეკრებს.
მათი ტრიალი მე მომაგონებს კეპლერს –
პეპლებს – პლანეტებს, შუქის უდღეურ მსხვერპლებს.
სადღაც იჩხავლებს წრეგადასული კატა.
ჭრიჭინების ხმა ქვების გულამდე ატანს.
მე ვზივარ მარტო. ვხრავ ჩემი ტვინის მადანს,
მიკვირს – რამ შემქმნა, რის მსგავსებად და ხატად...
მერე თენდება. მზე წამოაფრენს ბუზებს
და ეს სამყარო კვლავ საკუთარ თავს უძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნუქის ჯამბაზები

მთელ ღამეს ვიჯექი. სიტყვებით ვჯამბაზობდი.
და ზამთრის არეულ ქარების გუგუნი
ექოებით ავსებდა ჩემს დამზრალ სადარბაზოს,
ისედაც ავსებულს ყინვით და უკუნით.
სარდაფის ცხაურში, დაშლილ ფიცარნაგთან
მატლივით ზოზინებდა ავადმყოფი ძაღლი.
რაღაც ბედი, ბედი, სულ ხელს რომ მიცარავდა,
ჩემს ბედკრულ სადარბაზოს თანგავდა ნაღვლით.
სნეული სადარბაზო. უცნობი სართულები.
ანძები, ანტენები – თუნუქის ცაში.
ღამის ჭრელი ჯამბაზები დახტოდნენ მავთულებზე,
ისმოდა მძინარეთა ულონო ტაში, ტაში, ტაში...
...სადღაც, რომელიღაც სართულზე იღვიძებს ბავშვი.
სადღაც, რომელიღაც სართულზე ჩურჩულებს დედა:
„ჩუ, შვილო, დაიძინე, დაიძინე! რა არის საშიში“...
თუნუქის ჯამბაზები
საზარელი ღრეჭით ფანჯრებზე სხედან.

სამი ლარი

ლარად მოვა ერთი ბოთლი ღვინო,
კიდევ ლარად – ხინკალი და ხაში,
კიდევ ლარად – შენ არ გაგეცინოს –
მოვა ჟამი, როცა იყავ ბავშვი.
როცა შუქი ფანჯრებიდან ჭერზე
იღვრებოდა, როგორც ნათლის ტევრი
და უმზერდი – როგორც ოქროს თევზებს –
მზის სხივებში როგორ ფრენდა მტვერი.
ხოლო ღამით მოისმოდა სუნთქვა
ნეილონის ელექტრული ბინდის,
რაღაც მძიმედ გაწვებოდა გულთან
რაღაც ტკბილად გიტბორავდა სინდისს.
სიზმარში კი ჩანდა სწორი ტერფი
და ნაყშები გადაწეულ ფარდის –
ის, რისგანაც დარჩა მხოლოდ ფერფლი
გადამწვარი წიგნთსაცავის ფარდი.

წვიმა

სიზმრად მოვიდა წვიმა,
ჭადრებს წვეთები ება,
სიზმრად ვარსკვლავის სხივმა
გაჭრა ღრუბლების წყება.
სიზმრად ვიჯექი მარტო
გავცქერდი წვიმის ფარდას
და ჩემს მდუმარე სადგომს
რაღაც ნაღველი რთავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცა, როგორც წვიმა,
როგორც ნისლი და თოვლი.
ვგრძნობდი უცნაურ ხიფათს,
გარეშემომწერს ყოვლის.
სიზმრად ვიჯექი მარტო
და წვიმის უღრანს ვჭვრეტდი
და როგორც წყალი ნაფოტს,
მიმაქანებდა ბედი.
სიზმრად დიოდა წვიმა –
დაუსრულებლად, ღვარად.
სიზმრად – დიდი ხნის წინათ,
დიდი ხნის მერე... მარად.

გარეუმანში

ღამის სიჩუმეში კივილი მატარებლის –
სამყარო დიდია.
ამქვეყნად შორით-შორს გულები გადაებმის.
წუთები მიდიან.
წუთები მიდიან, როგორც ვაგონები
გრძელ ლიანდაგებით,
წუთები, რომლებიც წარსულს გაგონებენ
ტანჯვებით, დაგვებით.
ვის ელი, რას ელი, სადღა გეჩქარება,
გაჰყევი ამ წუთებს,
რომლებმაც არ მოგცეს ხსნა და შებრალება
და ასფად აგკუწეს.
აგკუწეს დანებით, ხანჯლებით, ლახვრებით,
დაგყარეს ქუჩაში.
მე წავალ, შენც წახვალ... და მე იქ დაგხვდები –
იქ, გარეუბანში.

* * *

რაც უსასრულო მოჩანს შიგნიდან,
არის მხოლოდ ერთი წრეხაზი,
რკინის წრეწირი, რომლის იქით
ნაბიჯისთვისაც
კი არ რჩება დრო და ადგილი.
მზე ამოვიდა. მკაცრად უსტვენს მეტალის ჩიტი.
ხეებიც მკაცრად შეარხევენ მეტალის ტოტებს
და ხედავ ქალაქს – როგორც ვილაც შეშლილის
სიზმარს,
რომელშიც უკვე არაფერია
ძველებურად სადა, ადვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამიზნე

უკვე გათენდა, გავიხედე – თურმე გათენდა
და მე მივხვდი, რომ კიდევ ერთხელ შემომათენდა.
ღამე გავიდა. ვერც გავიგე, იყო თუ არა.
მზემ დედამიწას სიზმარივით შემოუარა.
თვით დედამიწაც შემობრუნდა ღერძის გარშემო
და ვარსკვლავები გაიფანტნენ ჰორიზონტის იქით.
ყველა ვარსკვლავი – რაც კი არის, რაც კი არსებობს,
შემობრუნდა და გაიფანტა ჰორიზონტს იქით.
და ყველაფერი შეიცვალა ღამის მანძილზე,
რაღაც აინთო, რაღაც გაჩნდა – უხმოდ, უჩუმრად.
მზე მაღლა იწევს, ხის ფესვებში მწერებს აღვიძებს,
ათბობს კედელზე შემოხვეულ ველურ უსურვაზს.
ყველა საგანი აღორძინდა ღამის მანძილზე,
ყველა სულდგმული – მაცოცხლებელ ძილში წასული.
მხოლოდ მე დავრჩი – მშრალი, როგორც ფიცრის სამიზნე
და ისარივით ჩარჭობილი ჩემი წარსული.

მწვანე მუზეიმი

მოფრინდნენ ბუზები,
ჩაუშვეს ღუზები.
განწირვით ყვიროდნენ: „რაცია! რაცია!"
ქარი უბერავდა – სისინით, ზუზუნით,
ქარმა ყველაფერი მირაჟად აქცია.
ფრთებით გამჭვირვალე, როგორც მირაჟები,
როგორც დირიჟაბლის მსუბუქი ბადურა,
მოფრინდნენ ბუზები მეწამულ გარიჟრაჟზე,
როცა მზემ ღრუბლები გააუდაბურა.
როცა დედამიწას მძიმედ, უმძიმესად
უცვალეს გვერდი და გაწირეს ქარისკენ,
თითქოს ზღვაოსნებმა მწვანე მუნდირებით
გემის ქარიშხალში გაყვანა გარისკეს,
ფაქიზი ფრთებით და მწვანე მუნდირებით,
ზენიტზე მდგარი მზით, ცის დიდი აფრებით,
მოფრინდნენ ბუზები – ტეხილ პუნქტირებით,
ყვიროდნენ: „ვიცოცხლოთ, ვიდრემდე გავქრებით!
ვიდრემდის წინ მზე და სინათლე გვეგულება,
ვიდრემდის სულს დავლევთ ობობას ქსელებში,
დავაგდოთ სამსახური, ავიღოთ შვებულება
და ერთიც მოვულხინოთ საკუთარ ქელეხში!".

დურგლები, ხარაზები

ღამის ღადარში, ღამის უკმურ მდუმარებაში,
სადაც სნეული ძილით ძინავთ ალქიმიკოსებს,
მე ტუსაღივით გავაბიჯებ ყრუ დერეფანში –
თითქოს ბორკილით მივდიოდე, ხარკი მიმქონდეს.
თითქოს მძინარე ვადგე ქუჩას, მეგონოს – მძინავს,
როგორც ღრმად სძინავთ ქანცგაწყვეტილ დურგლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სამყოფელში ქარი ისევ ჩაწიხლავს მინას,
საკუთარ სხეულს
მოკლულ და გახრწნილ ვეშაპივით ჩემთან დაატევს.
მე კი ამ ღამეს ძველებურად მარტო გავათევ
ყველა მუდრეგის ჯინაზე და ჩემივ სატვირთად.
მარტო გავათევ, საკუთარ თავს სადმე გავათრევ,
სადმე, მდინარის დასილულ და დაბალ ნაპირთან.

* * *

პური. მარილი.
მაგიდაზე – სხივის არილი.
ფანჯრის მინების უცნაური სახსროვანება.
მე მაგიდასთან ჩამოვჯდები –
კუშტი, დაღლილი
და ცარიელი ექოების ახმოვანება.

იქ კი, სილრმეში, ვილაც ცხოვრობს – როსტევანივით,
ვილაც ცარიელ ზარდახშაში ბგერებს აქუჩებს.
სარკეზე სხივი დაეცემა, როგრც მტევანი
და სიბნელიდან ამოკრიფავს ხსოვნის ნაკუწებს.

ჩიტი კი გალობს – შავი, როგორც პტეროდაქტილი,
ცისკენ თავჩაღმა ასავსავებს სახსროვან ფეხებს.
სად არის ზეცა, სად არის მზე, მე რომ დაგპირდი?!
აქ არის ზეცა, აქ არის მზე –
აჰა, შეეხე!

მეტალის ჯარისკაცები

მაინც რამდენ ხანს უნდა იცხოვრო ამქვეყანაზე
რომ ვერ მოესწრო შენს საკუთარ გარდაცვალებას.
ეზოში თრთიან მავთულხლართები,
ცახცახებს ქვა –
მათ არ უწყიან, რა არის შიში, ანდა შეცდომა.
რეკავს მეტალი, როგორც ერთი ზესწრაფი ბგერა
და ნემსის წვერზე აგროვებს სულებს –
ადამიანთა და ანგელოზთა შეცდომილ სულებს,
რომლებმაც უკვე იწვნიეს მარცხი,
და მაინც ისევ
ახალ და ახალ ბრძოლებისთვის ემზადებიან.
მეტალი კი, როგორც სიზმრის მატარებელი,
დედამიწას გარშემო უვლის
და სიბნელისკენ
შეუწყვეტელ ჯაჭვად გროვდება.
თრთიან დაშლილი ატომები, ქრომოსომები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრთიან მეტალის ჯარისკაცები ფერწასულ ომში,
თრთის თვით მედროშე –
მან იცის:
ქვეყნად არაფერი განმეორდება.

გარემომცველი მუნჯი საგნები

გარემომცველი მუნჯი საგნები
თავწაჭრილ მამლებივით ყივიან.
თითქოს სივრცეში გზას ვერ აგნებენ,
თითქოს ვერ გრძნობენ – მათი არსება სიმარტივეა.
და მიჰყვებიან დისკრეტულ სივრცეს
ისევ უხმოდ და ისევ უმეცრად.
მე კი ვგრძნობ ჩემს სულს
და მეჩვენება –
სიცოცხლეც უნდა ამ საგნებს მივცე,
რომ მოსვენება მომცენ უეცრად
ამ კარადებმა, მუნჯმა საგნებმა,
ხომალდებივით რომ მიცურავენ შორეულ წყლებში,
იქ მხოლოდ ცაა,
ცა და სიცივე,
და კვლავ საგნები იელვებენ ჰორიზონტებზე
და იქცევიან იქ მირაჟებად,
რადგან არაფრად დაგიდევენ სიცარიელეს,
რადგან არაფრად ულირთ სიცოცხლე,
რომლის საზღვარი
დიდი ხანია გადაიარეს.
ამ საგნებს მისდევს ჩემი ფიქრები,
ამ საგნებს მისდევს ის ყველაფერი
რაც ეკუთვნოდათ ადამიანებს:
იმედი, ზრუნვა, „შენთან ვიქნები!"...
და ვხედავ:
ეს ყველაფერი მხოლოდ ჩრდილია
მოლანდებული ხომალდებისა.
მზე კვლავ ამოდის.
სხივებში იწვის ცივი ჰაერი,
სხივებში იწვის მეწამული ცა,
სხივებში იწვის მთელი ეს სივრცე,
სადაც საგნები
თავწაჭრილ მამლებივით ყივიან.

ლაშა ბულაძე

თერთმეტი წლის

და, როდესაც ეს ხალხი, - დედა და მამა, ბაბუა და ბებია, ძმა და ბიძაშვილი, მომავალი სიმამრი და კიდევ, ბევრი სხვა აქაური, დღევანდელი მოქალაქე, ტყესთან მივიდა, უკვე თორმეტის ოცი წუთი იყო და ეშინოდა ამ ხალხს, ვინ გამოვა... ვინ გამოვარდება ამ ბნელი ტყიდანო... მხეცი, ცეცხლოვანი ანგელოზი, თუ ის, საშინელი, საზარელი, ბოროტი, დამნაშავე... თერთმეტი წლის!

და ეს ხალხი, რომელიც ტყის გასწვრივ იდგა, ფიქრობდა: აი, ახლა... ახლა გამოვა და პასუხს მოგვთხოვს, გვეტყვის, - მე, რომ მციოდა სახლიდან გამომაგდეთო, მე, რომ მშიოდა, საჭმელი არ მომეცითო და წყალიც კი არ დამალევინეთ, როდესაც მწყუროდაო. და გამოვა ის, თერთმეტი წლის დამნაშავე და მაშინ, ვაი ჩვენს თავს!

ეს ზამთრის ამბავი კი ასე დაიწყო:

ამ ქალაქში უკვე თერთმეტი წელია ცხოვრობდა ერთი პატარა, გამხდარი ბიჭი, რომელსაც ღია ფერის თმა და მუქი, წაბლისფერი თვალები ჰქონდა. ამ თერთმეტი წლის ბიჭს, ჩვეულებრივი, თანამედროვე სახელი ერქვა. ეს ქალაქი კი აი ასე დაარსდა:

ძველი, ოლონდ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფე, ცხელ წყალში ხელებს იბანდა. და ეს ცხელი წყალი, რა თქმა უნდა, თავისით, ბუნებრივად მოედინებოდა ამ, ძველ, ჯერ კიდევ გაუკაფავ ხეებსა და მცენარეებს შორის.

და, როდესაც ახალგაზრდა მეფემ ხელები დაიბანა, მაშინ გადაწყვიტა, რომ ფეხებიც დაებანა, და მან აქ, ამ ცხელ, თავისით გაჩენილ წყალში, ფეხებიც დაიბანა. შემდეგ კი თქვა:

- დღეს ქათმის ხორცს არ შევჭამ, ხოხობი შემიწვით!

და მსახურმაც ხოხობი ხელით, (დაუბანელი ხელით!), დაიჭირა და შეწვა, ოლონდ არა ცეცხლში, არამედ ცხელ, თავისით, ბუნებრივად გაჩენილ წყალში! და მეფეს ძალიან, სიხარულით, მეფურად გაუკვირდა.

- ავაშენოთ აქ ქალაქი და დავარქვათ მას ძალიან თანამედროვე სახელი! - თქვა მან, ვიცხოვროთ ამ ცხელ წყალთან, ხელით დავიჭიროთ მხეცები და აქვე, ყველას თანდასწრებით შევწვათ, შემდეგ კი შევჭამოთ ხოლმე! და მან აქ, ქალაქი დიდი დააარსა.

გავიდა დრო. მოვიდა ზამთარი. ერთ დღესაც თერთმეტი წლის ბიჭმა, რომელსაც ლევანი (დიახ, ლევანი! ლევანი და მეტი არაფერი! ხო, უბრალოდ ლევანი!) ერქვა, თვალები გაახილა და საწოლიდან წამოდგა. მან გამოიარა ბნელი დერეფანი, გადააბიჯა ჭუჭყიან სარეცხს და სუნიან სამზარეულოს ჩაუარა. შემდეგ, სასტუმრო ოთახში შევიდა და დედ-მამას, დაღლილ და გამოუძინებელ დედ-მამას, წინ ჩამოუჯდა და დაიწყო:

- დედა, რომელი საათია? - ეკითხება პატარა ლევანი დედას. დედა კი მკაცრად პასუხობს:

- არ ვიცი.

ლევანს უკვირს, შემდეგ კი ამბობს:

- დედა იცი...

- დედას, ნუ მეძახი!

- რაა? - უკვირს და ეშინია ლევანს.

- ... რა და, აღარ ვარ-მეთქი, დედაშენი!

ლევანი ხმას არ იღებს, ნეტავი, რატომ ბრაზობსო, ფიქრობს იგი. ბებიას კი რაღაც, შავი, დამწვარი და ძალიან პატარა ნამცხვარი შემოაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნამცხვარს იგი მაგიდაზე დებს და ლევანს შეხედავს, შემდეგ ამოისუნთქავს, და თავსაც გააქნევს. ბებია გავა. ლევანი კი ლუკმას პირისაკენ წაილებს, და აი მამა, გაწითლდება, შემდეგ კი იტყვის:

- ფუი, ფუი! ამ ბავშვთან ერთად ჭამა შეუძლებელია... გული მერევა! ლევან, ადექი და წადი აქედან!

დედა კი მამას შეხედავს, შემდეგ კი ბავშვს მიუბრუნდება:

-... ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს! ჩვენ უკვე გვიჭირს! ლევან, მოაგროვე შენი ნივთები და წადი ამ სახლიდან!

- ნივთებს ხელი არ ახლო, ისე წადი! - ყვირის მამა და ლევანს კარებისაკენ მიათრევს. - ჩვენ აღარა ვართ შენი მშობლები!

- რა დავაშავე, რატომ მაგდებთ?...

- ძალიან კარგად იცი, რაც დააშავე! - სააბაზანოდან ყვირის ლევანის ბიძაშვილი. ლევანი კი ტირის, და ამ სახლში, საშინელი ხმაურია. ყოველი კუთხიდან, ყოველი ოთახიდან ეს ისმის:

- თავი დაგვანებე! წადი აქედან... წადი! ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე!

... და მამა კარებისაკენ მიათრევს ლევანს, დედა კი უკან მიჰყვება და შავ, დამწვარ ნამცხვარს ღეჭავს. ლევანს სადარბაზოში გააგდებენ და კარს ცხვირწინ მიუხურავენ. და ლევანიც აბრახუნებს ამ, სქელ კარებზე და ტირის.

- რატომ მაგდებთ... რა დავაშავე?...

მამა კი კედელს ეყრდნობა და ცოლს თვალებში უყურებს.

- ცოტაც... ცოტაც მოვითმინოთ...

... და მართლაც, ლევანი გაჩუმდა. მამა სააბაზანოში შევიდა. დედა სამზარეულოში. ბიძაშვილი კი სასტუმრო ოთახში. მან ჩაილაპარაკა, ოღონდ ისე, რომ ყველას გაეგო:

-ახლა კი ყველაფერი კარგად იქნება.

ლევანი სადარბაზოს ცივ კედელს მიეყრდნო. თორმეტი წუთი იტირა, შემდეგ კი, ჩაფიქრდა, - ახლა სადღა წავიდეო. და უეცრად ბებიამ გამოაღო რკინის კარები. გამოაღო და ლევანს, ამ პატარა, თერთმეტი წლის ბიჭს ჩანთა მიუგდო.

- აჰა, აიღე, სანამ მამაშენს დაუნახიხარ! -თქვა მან, - ჩანთაში პურიც ჩაგიდე, ლევან!

ლევანი კი კარებს ეცა:

- ბებიკო, რა დავაშავე?...

ბებია. (ტირილით გამოხურავს კარებს) დამნაშავე ხარ, შვილო, დამნაშავე!

... და ლევანმა კიდევ, თორმეტი წუთი იტირა. და აი, მეცამეტე წუთზე, კიბეზე ბაბუა გამოჩნდა.

- ლევან, შენ ჯერ კიდევ აქა ხარ?!... - გაუკვირდა ბაბუას - გამატარე, გამატარე...

- ბაბუა, რა დავაშავე, მითხარი!

და ბაბუამ თქვა:

- მე, დილით, სახლიდან გასულმა ბებერმა კაცმა, ქვას ფეხი წამოვკარი და დავეცი. დავეცი და, მე მგონი, ეს ჩემი, ისედაც დასუსტებული სახსრები, კიდევ უფრო დავიზიანე. წამოვდექი და კოჭლობით მივუახლოვდი ერთ-ერთ შენსავით პატარა სკამს. ჩამოვჯექი და ვიფიქრე, მოდი გაზეთს წავიკითხავ-მეთქი და ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე, შემდეგ გავშალე და, ჰოი, უბადრუკო სიბერეე! - ვერცერთი სიტყვა, ვერცერთი ასო ვერ გავარჩიე.... აი, სათვალე კი ცხვირს მატკიებს და კანს მიწითლებს... შემდეგ კი მიწვავს! და ვიჯექი ასე, სულელივით, ძირს დაცემული და გაზეთ-წაუკითხავი! კიბეზე ამოსვლას კი, ოცი წუთი, ხო! ოცი წუთი მოვანდომე, მაშინ როდესაც ახალგაზრდობაში, ორ წუთში ვახერხებდი თექვსმეტი სართულის არბენას!... ჰმ, შენ კი მეკითხები, რა დავაშავეო! ოჰ, ლევან, ლევან...

... და ბაბუა კოჭლობით შევიდა სახლში და ეს ყველაფერი, ახლა

ცოლს, სამზარეულოში გაუმეორა. და ცოლი მისი, ანუ ბებია ფიქრობდა: ვაიმე, მე მგონი, არ უნდა მიმეცა ლევანისთვის პურიო...

ლევანი კი ეზოში გამოვიდა და გაქცეული მშობლების ხმა გაიგონა, რომლებიც თავ-თავიანთ შვილებს სადარბაზოებისაკენ მიარბენინებდნენ.

- თავი დაგვანებე, ლევან! წადი აქედან! ბავშვები ვერ ერთობიან, საქანელებზე ვერ ჩერდებიან, საჭმელსაც ვერ ჭამენ... შენ კი არ მიდიხარ! წადი! წადი!

და თერთმეტი წლის ლევანი სკოლისაკენ გაემართა. ხალხი კი, სადარბაზოებსა და მაღაზიებს აფარებდა თავს, ამ თერთმეტისამ არ დაგვინახოსო! კლასში კი, ერთ-ერთი მოსწავლე შემოვარდა და მასწავლებელს, რაღაც უცნაური, ბავშვურად დაკაცებული ხმით დაუძახა:

- ვაიმე, უმე, ოჰიმე, მასწავლებელო! ლევანი... ის პატარა, ჩემხელა, დამნაშავე ჩვენი სკოლის კიბეებს უახლოვდება!

და მასწავლებელს შიშისაგან ქალურმა ოფლმა დაასხა. ბავშვებს კი თავები მერხებზე ჩამოედოთ და ეძინათ, დაღლილები იყვნენ. რაც სწავლა დაეწყოთ, ადგილს ვერ პოულობდნენ. არც სკოლა უნდოდათ და არც სახლი. ეს მასწავლებელი კი, ხანდახან ლამაზიც იყო. კლასში შემოვარდნილ დირექტორს მან პირდაპირ თვალებში შეხედა.

დირექტორი: ლევანი მოდის!

მასწავლებელი: ო, არა! მე ეს ვიცი!

დირექტორი: ბავშვებს ძინავთ, არა?...

მასწავლებელი: ხომ არ გავაღვიძო?...

დირექტორი: არა, არა... ერთი საათიც და, ახალი სემესტრი დაიწყება.

და კლასში მეორედ შემოვარდა ის პატარა, დავაუკაცებული მოსწავლე.

- ვაიმე, უმე, ოჰიმე, ლევანი ჩვენს კლასს უახლოვდება!

...და მართლაც, ლევანი კლასში შემოვიდა. თვალები ცრემლიანი ჰქონდა. მასწავლებელი კი სკამზე შეხტა და მელოდიურად შეჰყვირა. და აი, ბავშვებსაც გაეღვიძათ.

ბავშვები. ვაიმე, ჩვენ გაგვეღვიძა!

- ლევანო! - ყვირის დირექტორი, - აჰა, ბავშვებიც კი გამოგვიფხიზლე!

მასწავლებელი: ლევან, ხელში რა გიჭირავს?...

ლევანი: (ჩანთას აჩვენებს) აი, ეს.

დირექტორი: ჩანთაში რა გიდევს?...

ლევანი: (ჩანთიდან პურს ამოიღებს) აი, ეს.

დირექტორი: ჩანთა ძირს დადე! სკოლა უარს ამბობს შენს შეფარებაზე, და მეგობრებიც უარს ამბობენ შენთან მეგობრობაზე! დღეიდან შენ არავის თანაკლასელი ხარ!

ლევანი, ანუ თერთმეტი წლის ბიჭი: რატომ მაგდებთ, მე ხომ...

მასწავლებელი: ... მშვენივრად ხვდები რატომაც გაგდებთ!

მოსწავლე: თანაკლასელებო, მეგობრებო, ძმაკაცებო, დაქალებო! კარგად გამოფხიზლდით და თქვით, ვინ არის თერთმეტი წლის ლევანი!

თანაკლასელები, მეგობრები, ძმაკაცები, დაქალები. (კარგად ფხიზლდებიან) ლევანი - დამნაშავეა!

და ეს, რომ თქვეს, ლევანმა იფიქრა, აქ ტირილსაც არა აქვს აზრი. შეხედა ამ ბავშვებს და მხოლოდ ზიზღი დაინახა მათ თვალებში. ისინი ამბობდნენ:

- ჩვენი მშობლები ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებენ. ჩვენს სახლებში სიბნელე და სიცივეა. ჩვენ გვიჭირს წერა. ჩვენ გვიჭირს კითხვა. ჩვენ გვიჭირს ლაპარაკი და ფიქრი... შენ კი, არ მიდიხარ ლევან! თავი დაგვანებე, შენ აქ, არავის ჭირდები! დამნაშავე ხარ!

და ლევანი წავიდა. დირექტორის გულახდილობა კი ოთხ წუთს გაგრძელდა. აი, ასე:

დირექტორი: (დუმილის შემდეგ უყურებს მასწავლებელს) ძილის წინ დედა თანამედროვე სიმღერებს მიმღეროდა ხოლმე. მამა კი მცემდა. სულ ბოლოს ოცდაოთხი წლის ასაკში გამლახა. გამლახა და სახლიდან წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ცოლი მოიყვანა. ხო, ჩემს გამო გაშორდა დედაჩემს! მე კი, ქუჩაში ვიზრდებოდი. ქუჩა, -ჩემი მამა, ძმა, მამიდაშვილი, ბიძაშვილი, სიძე, რძალი, მაზლი, მული და მძახალი იყო! (აი, დედა, კი, ვერ შემიცვალა ქუჩამ!) ერთხელ, რვა ოქტომბერს, ძირს დამაგდეს და მაგრად, ძალიან მაგრად მცემეს!

დუმილი

... დაიმახსოვრეთ ბავშვებო! თუ კაცი გულახდილი არ არის, ის ცოლს, ვერასოდეს მოიყვანს. - და მან მასწავლებელს თვალი ჩაუკრა. მასწავლებელმა კი, თვალებითვე უპასუხა:

- დღეს დიდი საქმე გავაკეთეთ!

ორივე ერთად. დავსაჯეთ და გავაგდეთ დამნაშავე!

მოსწავლე: ახლა კი ყველაფერი კარგად იქნება.

* * *

მან კი თეთრი ფრთა მოხარა და ბნელ ქუჩას დაუყვა. ფრთებს იგი პერანგის ქვეშ მალავდა ხოლმე. მაგრამ ამ დროს, მას ვიღაც ძალიან მსუქანი და შეწუხებული მამაკაცი მიუახლოვდა.

- ბიჭი, შენ თერთმეტი წლის ლევანი ხომ არა ხარ?

და როცა გაიგო, ვინც იყო, შემზარავად დაიბღავლა და გაიქცა. იგი მირბოდა, ოხრავდა და მუცელი მარცხენა ხელით ეჭირა. ჭყლუპ-ჭყლაპ-ჭყლუპ-ჭყლაპ, - ისმოდა მისი მუცლიდან.

და ყვიროდა ეს კაცი:

- ლევანო, რას გვერჩი! თავი დაგვანებე! წადი აქედან!

ლევანმაც ველარ მოითმინა და ატირდა, შეეცოდა ეს კაცი.

* * *

და მას მაწანწალა ქალი მიუახლოვდა, რომელსაც საცვლებში გახვეული ბავშვი ეჭირა.

- ლევან, შეხედე ჩემს შვილს... ხედავ, როგორი გამხდარია?!... შიმშილისაგან მუცელი უსივდება. ღამე ტირის. ჩემი საწყალი, ახალგაზრდა ქმარი კი, შარშან, შარშანდელ ომში დაიღუპა. მე კი ობოლი ვარ. ფულს არავინ მაძლევს. მალე შიმშილით მოვკვდები. და ყველა, ყველა შიმშილით მოკვდება... შენ კი არ მიდიხარ ლევან! წადი! წადი!

... და ლევანს ძალიან შეეშინდა. თეთრი ფრთები გაშალა და გაიქცა. ქალს კი საცვლები გაეხსნა და იქიდან, ჭუჭყიანი მიწა და ნახმარი ქაღალდები გადმოეყარა.

- შენი გულისათვის ბავშვიც კი ვერ გავაჩინე, ლევან! - ყვიროდა ეს ქალი.

სკოლაში კი, ბავშვებს მერხებზე ეძინათ. მასწავლებელი კი ფანჯარასთან იდგა და ხმამაღლა ფიქრობდა:

- ძალიან მეცოდებიან ბავშვები, ძალიან მეცოდებიან მშობლები და, ასევე, მასწავლებლებიც! ო, ნეტავი, თავის დროზე გაგვეგდო ლევანი სკოლიდან, ახლა ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა!

და ამ დროს, კლასში დირექტორი შემოვიდა. დაყნოსა მასწავლებელი და მარცხენა ყურში უჩურჩულა:

- ქალთან, პირველად, ცამეტი წლის ასაკში ვიცხოვრე... მახსოვს, მაზლმა წამიყვანა.

მასწავლებელი: რატომ ხართ ასეთი გულახდილი?...

დირექტორი: ... იმიტომ, რომ შენი ცოლად მოყვანა მინდა!

მასწავლებელი: არა... ახლა, ნამდვილად ვერ გამოგყვებით ცოლად... იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან უჭირს, ბავშვებს მომავლის იმედი აღარა აქვთ... ერთ საათში კი, ახალი სემესტრი იწყება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

... და მან ბევრი ილაპარაკა, სულ ბოლოს კი თქვა:

- ... და თანაც...

დირექტორი: რა, რა?... მითხარი!

მასწავლებელი: ... რა და.... მე უკვე გათხოვილი ვარ. ჩემი ქმარი ძალიან ცნობილი ველოსიპედისტია. მისი გვარია...

... მაგრამ არ გაუგონია მისი ქმრის გვარი. მან მხოლოდ ჩაილაპარაკა:

- ე. ი. ვერ გამომყვები?

- ე. ი. ვერ გამოგყვებით!

და დირექტორმა გაიფიქრა: ო, ეს ყველაფერი ხომ იმ, თერთმეტი წლის ლანირაკის ბრალია!... როდის, როდის უნდა დაისაჯოს ეს საშინელება, ეს მხეცი, ჰა?

ამ დროს, ერთ-ერთ მოსწავლეს გაეღვიძა და თავისი სიზმარი მოჰყვა.

მოსწავლის სიზმარი

მოსწავლე: მე დამესიზმრა ლევანი!

სიზმრის დასასრული.

გარეთ კი ღამის სამი საათი იყო. ის ფრთამოკეცილი იჯდა ქვაფენილზე. სადარბაზოდან კი ქალის კივილი გამოდიოდა:

- გამქურდეს, გამასულელეს, გამათხოვეს, მომატყუეს, გამაუპატიურეს... შენ კი არ მიდიხარ! თავი დაგვანებე!

სულ ბოლოს კი:

- მე მგონი, ფეხმძიმედა ვარ!

... და ლევანი აქედანაც წავიდა.

აი, გულჩათხრობილი ყმაწვილი კი, რომელიც ძალიან ჭუჭყიანი იყო, დერეფანში რომ სკამი დგას, იქ ჩამოჯდა და მოხუც ქალს დაუძახა:

- დაიბანე?...

- არა! - უპასუხა მოხუცმა, - ონკანიდან ჭუჭყიანი წყალი მოდის!

- მეც დაუბანელი ვარ! - აგრძელებს გულჩათხრობილი ყმაწვილი, - ტანსაცმელი ტანზე მეკრობა!

მოხუცი კი დერეფანში გამოდის და ხმამაღლა ამბობს:

- სანამ ის ლანირაკი, ჩვენს ქუჩებში ივლის, არაფერი გვეშველება!

- ოჰ, ლევან, ლევან...

... და ლევანმაც გაიგო ეს საუბარი. ხეებთან ჩამოჯდა და მოიწყინა. თეთრი ფრთები მას ქვაფენილზე ჰქონდა გადაფენილი.

და ლევანს ვილაც მიუახლოვდა.

- ვინ ხარ?

- მე კეთილი ჯადოქარი ვარ. ისე, თუ ვინმე გამაბრაზებს, ბოროტიც ვხდები ხოლმე. მოკლედ, ერთი ჩვეულებრივი ჯადოქარი ვარ.

- ამას რით დამიმტკიცებ?

- მე ერთდროულად ქალიც შემიძლია რომ ვიყო და კაციც!

მერე კი თქვა:

- კაცი ასე გეტყოდა: ლევან, თავი დაანებე ამ ქალაქს, წადი!... (პაუზა) ქალი კი, ასე: ლევან, თავი დაგვანებე, წადი! ... (პაუზა) აი, მე კი გეტყვი: შენ სევდიანი, მაგრამ დიდი ხარ ლევან! ნუ გეშინია, ვერავინ დაგამარცხებს!

.... და ამ, ვილაცამ, რომელიც არც არავინ იყო, ლევანს, თერთმეტი წლის ბიჭს, ტყისკენ, გაუკაფავი, დაბურული ტყისკენ მიუთითა. და როდესაც ლევანი ფრთამოკეცილი გაუყვა ტყისკენ მიმავალ ბილიკს, დაჭრილი, დარბეული, საცოდავი, ბოროტი ხალხის ხმა გაიგო. ეს ხალხი ამბობდა:

- ჩვენ დაგვჭრიან!

- ჩვენ დაგვარბევენ!

- ჩვენ გაგვაუბედურებენ!

და ამ ხალხში, იყო ბევრი სამხედრო, რომელიც ხმამაღლა, მუშტისქნევით ითხოვდა, იმ თერთმეტისას დასჯას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მოვკლათ და საბოლოოდ მოვიშოროთ ეგ ცუდი!... ეგ ძალიან ცუდი, დამნაშავე!

...ამოვთხაროთ ფხიზელი თვალები და ნაგავში გადავყაროთ!

- მოვკლათ, მოვკლათ დამნაშავე! - ამბობდნენ ისინი, ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მისი სისხლი!

- ხო, ხო! ჩვენს შვილებზე იყოს ამ ბავშვის სისხლი!

... და ხალხი კოცონს, დიდ კოცონს ანთებდა ყველგან, სადაც კი ლევანს ჰქონდა გავლილი. ლევანი კი, როგორც გაყინული ბელურა, ისე მიუახლოვდა გაუკაფავ ტყეს. ერთხელ კიდევ გადმოხედა ქალაქს, ჩაისუნთქა და ბნელ ხეებს შორის გაუჩინარდა.

... და, რამდენიმე ადამიანმა დაინახა ეს ყველაფერი.

გავიდა დრო და ლევანის დედ-მამასთან ყველაფერი გაიყინა, ძალიან ციოდა! ბაბუა ეჩხუბებოდა ბებიას:

- ო, როგორი ბებერი ვარ... ო, როგორ მცივა!

და ბებიაც პასუხობდა:

- ო, როგორი ბებერი ხარ... ო, როგორ მცივა!

დედა კი ამბობდა:

- მე დაღლილი და მშიერი ვარ! ჩემი სახე ნაოჭებით იფარება! ო, უკანასკნელი ლამაზმანიც კი ბერდება! (ჩემს თავზე ვამბობ!)

და მამაც პასუხობდა:

- ეჰ... რომ, ჩვენ, ეჰ!, ეჰ!, ეჰ!, ეჰ!, რომ....

ბაბუამ კი გაზეთი გადაშალა და წაიკითხა:

- ვაი! მიწისძვრებმა ას ოცდახუთი სახლი გაანადგურეს! ვაი!... აქედან, ორას ოცი ბინა, უკვე გაქურდული იყო! ვაი, რომ დღეს გაუბედურდა თორმეტი...

და უეცრად, სახლში ბიძაშვილები, მძახლები, მულები, მაზლები, ქვისლები, მამიდაშვილები და მეზობლები შემოვიდნენ.

- ო, რატომ ხართ ასეთი ბედნიერები? - ეკითხება მათ ეს უკანასკნელი, დაბერებული ლამაზმანიც.

და ბაბუას გაზეთი, ბიძაშვილები, მძახლები, მულები, მაზლები, ქვისლები, მამიდაშვილები და მეზობლები პასუხობენ:

- დღეს, იმ დაბურულ, გაუკაფავ ტყეში თერთმეტი წლის ბიჭის გვამი უპოვნიათ!

... ნუთუ, ვერ ხვდებით, ვისი გვამია ეს?...

- ლევანის! ლევანის! - ფეხზე ხტება დედა. ახლა კი ისევ გავლამაზდები!... ნაოჭებიც გამიქრება!

- სახელმწიფო ვალებს გადაიხდის, მტრებს მოიცილებს!... დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს! დახლებზე კი საჭმელი გაჩნდება! - და მძახლებიც, ქვისლებიც, მულებიც, მაზლებიც, გაზეთებიც, მამიდაშვილებიც, ბაბუაც, ბებიაც, ბიძაშვილებიც, მამაც, მეზობლებიც იცინიან და ერთმანეთს ეხვევიან:

- ახლა კი დავიბანთ! ახლა კი ბავშვებს გავაჩენთ! ახლა კი გავთხოვდებით და ცოლებს მოვიყვანთ! ახლა კი, ორ წუთში ავირბენთ თექვსმეტ სართულს!

... და ამ, დღევანდელ, საზეიმო საღამოსვე, ხალხმა და ნათესავებმა, სამხედროებმა და არასამხედროებმა, მკერავებმა და, უბრალოდ, ქსოვის მოყვარულმა ადამიანებმა, ბევრი, ძალიან ბევრი იმღერეს, იცეკვეს, ჭამეს, კოცნეს, აჯილდოვეს და აცინეს ერთმანეთი! იმ სკოლის დირექტორმა კითქვა:

- მე ვერავინ მეტყვის, არაგულწრფელი ხარო! ... ხოდა, მეც ვამბობ, დღეს ჩვენ ძველი დიდება დავიბრუნეთ!

ბედნიერი გამვლელი. (ხმამაღლა) მილები დასუფთავებულია! სახლები გარემონტებულია! გარშემო კი, გამაძღარი და კმაყოფილი მოსახლეობაა!... აი, რამდენი სიხარული მოგვიტანა დამნაშავის, იმ ლაწირაკის, იმ... იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორებამ!

აქ კი, ლევანის დედასაც უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ მას ბოლომდე მაინც არ აცალეს:

- მე მიხარია, რომ ჩემი შვილის გვამი...

მოსწავლე: (ლევანის დედას) დეიდა, გაიწიე... (სიმღერით) ჩვენ სკოლაში ღამეებს აღარ ვათენებთ. მშობლებიც ერთმანეთს შეურიგდნენ! (თითქმის ყვირილით) დედები აღარ ღალატობენ მამებს!... მამებიც აღარ ლოთობენ!

- გაუმარჯოს თანამედროვე, მყარ, სავსე ოჯახებს! - ყვირის მასწავლებელიც.

- გილოცავთ! ვილოცავ! ვულოცავ! ვალოცავ ყველას!

და ამ სიმღერების, ამ ჭამის, ამ ბედნიერი სიცილის დროს, ვიღაც ადამიანმა, თუ გაზეთმა, თუ დირექტორმა, თუ მაზლმა, თუ ერთ-ერთმა შეშინებულმა მულმა, ცივი, ჩახლეჩილი ღრიალისმაგვარი ხმით, ამბავი მოიტანა. ორი, ორი სიტყვა თქვა მხოლოდ და ამის შემდეგ, დედებმა ბავშვებს ხელი გაუშვეს, ბაბუებს შიშისაგან გულები დაუსკდათ და გაახალგაზრდავებული მამებიც, სწრაფად დაბერდნენ. აი, დირექტორი კი, კიბიდან ჩამოვარდა და თავი გაიტეხა.

... იმ ვიღაცამ თქვა:

- ლევანი ბრუნდება!

და ეს ხალხი, - დედა და მამა, ბაბუა და ბებია, ძმა და ბიძაშვილი, მომავალი სიმამრი და კიდევ ბევრი სხვა აქაური, დღევანდელი მოქალაქე, იმ, გაუკაფავ ტყესთან მივიდა. უკვე თორმეტის ოცი წუთი იყო.

... და ფიქრობდა ეს ხალხი:

- აი, ახლა... ახლა გამოვა ის, - თერთმეტი წლის ლევანი და მაშინ... ვაი, ჩვენს თავს!

1997 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიგია

ედუარდ შური

იესო

(ქრისტეს მისია)[1]

ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჴსნად სჯულისა გინა წინაასწარმეტყველთა; არა მოვედ დაჴსნად, არამედ აღსრულებად.
მათე V.17

სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა.
იოანე I.10

რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.
მათე XXIV.27

სამყაროს მდგომარეობა ქრისტეს დაბადებამდე[2]

ბოანია მსოფლიოსთვის უდიდესმა საათმა. იმ დროისათვის ჩვენი პლანეტის ცა ბოროტი წინასწარმეტყველებით იყო მოქუფრული. ხელდასხმულთა მცდელობის მიუხედავად, აზიაში, აფრიკასა და ევროპაში გავრცელებულმა მრავალღმერთიანობამ მსოფლიო ცივილიზაცია დაცემამდე მიიყვანა, მაგრამ ეს დაცემა არ შეხებია ორფევსის უდიადეს კოსმოგონიას, რომელსაც ესოდენი დიდებულებით უმღერა ჰომეროსმა. ყოველივე ამის მიზეზი ადამიანის ბუნება იყო, რომელსაც ძალზე უჭირს ერთ ინტელექტუალურ დონეზე გაჩერება.

გარდასული საუკუნეების ბრძენთათვის ღმერთები სხვა არაფერი იყო, თუ არა ბუნების იერარქიულ ძალთა პოეტური გამოხატულება, მისი შინაგანი ყოფის სიტყვიერი ხატი და ეს ღმერთები, კოსმოსურ ძალთა სიმბოლოებად, მუდამ ცოცხლობდნენ ადამიანთა ცნობიერებაში. მაგრამ ხელდასხმულთათვის ღმერთთა თუ ბუნების ძალთა ამ მრავალფეროვნებას მუდამ განსაზღვრავდა ერთიანი ღმერთის ანუ სულიწმინდას იდეა.

ამიტომ მემფისის, დელფოს და ელევსინის[3] საკურთხეველთა მთავარი მიზანი იყო, ხალხისათვის ესწავლებინათ ეს ღვთიური ერთობა, ის თეოსოფიური იდეები და ზნეობრივი წესრიგი, რაც ერთიანობის აღსაქმელად არის აუცილებელი.

მაგრამ ორფევსის, პითაგორასა და პლატონის მოწაფეები წინ ვერ აღუდგნენ პოლიტიკოსების ეგოიზმს, სოფისტების ცინიზმსა და ბრბოს ვნებათაღელვებს. საბერძნეთის საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ხრწნამ, მისი რელიგიის, მორალისა და შეგნების ხრწნაც გამოიწვია. დადუმდა აპოლონი – ღვთიური სილამაზისა და არამიწიერი სამყაროს ეს ციური გამოხატულება. გაქრა შთაგონება, დადუმდნენ ორაკულები, გადაშენდნენ ჭეშმარიტი პოე-

ტები: ათენამ – სიბრძნემ და ბედისწერამ საბურველი ჩამოიფარა და იმ ხალხს დაემალა, ვინც ამახინჯებდა მისტერიებს, შეურაცხყოფდა ბრძენთ და ღმერთებს და ბაკქოსის თეატრში გათამაშებული არისტოფანეს საეჭვო გემოვნების ფარსებით ტკბებოდა. დაკნინდა მისტერიებიც და ელევსინის დღესასწაულებში სიკოფანტები და კურტიზანი ქალები მონაწილეობდნენ.

როცა სული ჩლუნგდება, რელიგიაც კერპთაყვანისმცემლური ხდება; როცა აზრი მატერიალიზმში იჭედება, ფილოსოფია სკეპტიციზმს უახლოვდება – აი, რატომ გაჩნდა ლუკიანე სამოსელი (სოფისტი, 125 წ. ქ.შ.-მდე), რომელიც წარმართობის სხეულზე გამრავლებულ მიკრობად შეიძლება მივიჩნიოთ. მან მასხარად აიგდო უძველესი მითები და კირნეადე კირენელის (215 წ. ქ.შ-მდე) მსგავსად ვერ გაიგო და ვერ ჩასწვდა მათ ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

ცრუმორწმუნე რელიგიით, აგნოსტიკური ფილოსოფიით, ეგოისტური პოლიტიკით და ანარქიით გაბრუებული ეყვანა – აი, რად იქცა ის საოცარი საბერძნეთი, რომელმაც უკვდავი მშვენიერების სახით გადმოგვცა ეგვიპტის მოძღვრებანი და აზიის მისტერიები.

ამ დროს მხოლოდ დიდმა ალექსანდრემ გააცნობიერა ანტიკური სამყაროს დაცემის მიზეზები და გმირულად შეეცადა, კვლავ ძველ სიმაღლეზე აეყვანა იგი. ეს ლეგენდარული დამპყრობი, საკუთარი მამის, ფილიპეს მსგავსად, სამოთრაკიული მისტერიების ხელდასხმული იყო, ორფევსის სულიერი შვილი და არისტოტელეს მოწაფე.

ცხადია, როცა ერთ მუჭა ბერძნებთან ერთად აზია დაიპყრო და ინდოეთის საზღვრებს მიაღწია, იგი მსოფლიო მონარქიაზე ოცნებობდა, მაგრამ არა ისეთ მონარქიაზე, რომელიც ხალხთა დამმონებელმა, რელიგიათა და თავისუფალ მეცნიერებათა მომსპობმა რომაელმა კეისრებმა დაამყარეს. ალექსანდრე შეპყრობილი იყო დიადი იდეით – აზია და ევროპა მეცნიერთა ავტორიტეტზე დამყარებული რელიგიური სინთეზით გაეერთიანებინა. იგი ერთგვარად ეთაყვანებოდა არისტოტელეს მეცნიერებას, ათენელ ათენას, ისრაელის იეღოვას, ეგვიპტელთა ოსირისს, ინდუსთა ბრაჰმას, რადგან, ყველა ჭეშმარიტი ხელდასხმულივით, ისიც აღიარებდა ერთიან ღვთიურ საწყისს და ერთიან ღვთიურ სიბრძნეს, რომელიც ამ სიმბოლოებში იყო დაფარული.

ალექსანდრეს ხმალი იყო ორფიკული საბერძნეთის უკანასკნელი გაელვება, რომელმაც გაანათა აღმოსავლეთი და დასავლეთი. ფილიპეს ძე საკუთარი გამარჯვებებითა და ოცნებებით მთვრალი მიიცვალა და თავისი დაქუცმაცებული იმპერია ხარბი მხედართმთავრების ამარა დააგდო. მაგრამ ალექსანდრეს იდეა მასთან ერთად არ მომკვდარა. მან დააარსა ალექსანდრია, სადაც აღმოსავლური ფილოსოფია, იუდეველობა და ელინთა სული შეერწყა ეგვიპტის ეზოტერიზმში, იმჟამამდე, ვიდრე მსოფლიო ქრისტეს ბაგეთაგან შეიტყობდა სიცოცხლით სიკვდილის დამარცხების მოძღვრებას.

და როცა საბერძნეთის ორმაგი თანავარსკვლავედი – აპოლონი და ათენა – გაფერმკრთალდა ჰორიზონტზე, კაცობრიობამ, ჭექა-ქუხილით დაღარულ ცაზე ამოსული ახალი ნიშანი დაინახა: რომაული ძუ მგელი.

რა იყო რომი? ძალთა რომელი შეხამებით შეიქმნა რომაული იმპერია? უხეში ძალის საკეთილდღეოდ შეთქმული ხარბი ოლიგარქია და ადამიანური გონის, რელიგიის, მეცნიერებისა და ხელოვნების შეზღუდვა გაღმერთებული პლიტიკური სიძლიერის მოსაპოვებლად – აი, რა შემადგენელი ნაწილებისაგან შეიქმნა რომის იმპერია, იგი არ ცნობდა იმ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც მმართველი ძალა მეცნიერების, სამართლიანობისა და ეკონომიკის საწყისს უნდა ემყარებოდეს.[4]

რომის მთელი ისტორია შედეგია იმ უკანონო შეთქმულებისა, რომლის მეშვეობითაც კონსქრიპტმა მამებმა ხუთი ომი გამოუცხადეს ჯერ იტალიას, შემდეგ კი მთელ კაცობრიობას. სიმბოლოც შესანიშნავი შეარჩიეს! ბალანაშლილი ბრინჯაოს ძუ მგელი, რომელსაც გველის თავი კაპიტოლიუმიდან ამოუყვია – ეს არის ამ მმართველობის ჭეშმარიტი სახე. ეს არის ბოროტი ძალა, რომის სულს რომ დაპატრონებია.

საბერძნეთში ბოლომდე პატივს სცემდნენ დელფოს და ელევსინის

საკურთხევლებს. რომში თავიდანვე მოსპეს მეცნიერება და ხელოვნება, რომაელ სენატორთა გაუმაძღრობისა და პატივმოყვარეობის წყალობით. ეტრუსკელი ხელდასხმულის, ბრძენი ნუმას ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მან რომში ჩამოიტანა სიბილას წიგნები, რომელშიც ჰერმეტული მეცნიერება იყო აღწერილი. მან შემოიღო მოსამართლეთა საჯარო არჩევნები, ხალხს მინა დაურიგა, იანუსს აუგო ტაძარი, წმინდა ჰეროლდებს დაუქვემდებარა სამხედრო კანონმდებლობა.

მეფე ნუმა, ვის ხსოვნასაც სათუთად ინახავდა ხალხი, წმინდა მეცნიერების ჩარევაა სრულიად განსხვავებულ სახელმწიფოებრივ წყობაში, მაგრამ მეფე ნუმა არ არის რომის პირმშო, იგი შექმნა ეტრუსკულმა ხელდასხმამ, რომელიც მემფისისა და დელფოს ნაკვალევს მიჰყვებოდა.

ნუმას სიკვდილის შემდეგ რომის სენატმა დაწვა სიბილას წიგნები, გაანადგურა რომაული ქურუმობა და მოსამართლეები და ისევ იმ სისტემას დაუბრუნდა, სადაც რელიგია მხოლოდ პოლიტიკური ბატონობის იარაღს წარმოადგენდა. რომი კვლავ იქცა იმ გველეშაპად, რომელიც ერებსა და მათ ღმერთებს ყლაპავდა. სხვადასხვა ერები ერთიმეორის მიყოლებით ემორჩილებოდნენ რომს და რომის სალაროებში ინთქმებოდა მათი სიმდიდრე. სახელმწიფო ციხე კი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეფეებით ივსებოდა. რომი, რომელსაც მონებისა და მლიქვნელების გარდა სხვა ქურუმები არ სჭირდებოდა, გალიაში, ეგვიპტეში, იუდეასა და სპარსეთში სპობდა ეზოტერული მოძღვრების უკანასკნელ წარმომადგენელთ. ხალხის დასანახად თითქოს ღმერთებს ეთაყვანებოდა, მაგრამ, სინამდვილეში, რომი მხოლოდ ძუ მგელს სცემდა პატივს.

და აი, სისხლიანი აისის ფონზე დამონებულ ხალხებს ძუ მგლის უკანასკნელი შთამომავალი ევლინება და მასში იყრის თავს რომის გენია: მოდის კეისარი! რომმა ჩაყლაპა ერები, კეისარმა – რომის ხატებამ – მთელი მმართველობაც შთანთქა. კეისრის პატივმოყვარეობას არ აკმაყოფილებს ყველა ერთა იმპერატორის წოდება. იმპერატორის გვირგვინს იგი ტიარასაც უერთებს და პირველქურუმს უწოდებს თავს.

ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ (ტაციტუსთან) მას გმირულ – ავერიუსს უწყობენ. მუნდთან ბრძოლის შემდეგ – ღვთიურ აპოთეოზს. შემდეგ მის ქანდაკებას კვირინუსის ტაძარში დგამენ და მისი სახელობის ქურუმთა კოლეგია არსდება – იულიანელნი. მაგრამ საგანთა უმაღლესი ლოგიკითა და ირონიით, ის კეისარი, რომელიც ღმერთად რაცხდა თავს, სენატის წინაშე უარყოფს სულის უკვდავებას.

კეისარი და ბაბილონის შთამომავალი – რომის იმპერია, მთელ მსოფლიოს ეპატრონება.

რად იქცა რომაული სახელმწიფო? მმართველი წრე ანადგურებს საზოგადოებრიობას. იტალიაში სამხედრო დიქტატურას ქმნის, პროვინციებში თავისი წარმომადგენლებისა და ვაჭართა თავაშვებულობას შობს; გამარჯვებული რომი სისხლისმსმელ ურჩხულად აწვება ანტიკური სამყაროს გვამს.

და თამაშდება რომაული ორგია, ბინიერების ვაკხანალიითა და დანაშაულებათა ზარ-ზეიმით. ეს ყოველივე კლეოპატრასა და ანტონიუსის ვნებიანი შეხვედრით იწყება და მესალინას გარყვნილებითა და ნერონის თავაშვებულობით მთავრდება, შემდეგ მისტერიების ბილწი პაროდიებით და რომის ცირკით გვირგვინდება, სადაც რწმენისთვის წამებულ შიშველ ქალწულებს ოციათასიანი ბრბოს აღტაცებული ხმამაღალი შეძახილებით გაღიზიანებული ველური ცხოველები ფლეთენ.

მაგრამ რომის მიერ დამონებულ ხალხთაგან ერთ-ერთი ღვთის რჩეულს უწოდებს თავს და რომაული გენიის საპირისპირო გენიალობას ამჟღავნებს.

რით აიხსნება, რომ ძმათა შორის ბრძოლებით ქანცგაწყვეტილმა, სამასწლიანი მონობით განადგურებულმა ისრაელმა მაინც ურყევად შემოინახა რწმენა? რატომ აღუდგა დაცემულ საბერძნეთსა და აღვირახსნილ რომს, წინასწარმეტყველივით თავზე ნაცარწაყრილი და აღშფოთებით თვალანთებული ეს დამონებული ხალხი? როგორ გაბედა მბრძანებლის დაცემა ეწინასწარმეტყველა, როცა თვითონ მის ფერხთით იყო გართხმული და თავისი საბოლოო გამარჯვება ვერც დაეჯერებინა? როგორ შეიძლო ეს ყოველივე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლო, რადგან დიადი იდეა, მოსეს მიერ სისხლსა და ხორცში ჩაკირული იდეა ცოცხლობდა მასში. იოსიას დროს ისრაელის თერთმეტმა ტომმა ქვა აღმართა ასეთი წარწერით: „დე, ჩვენს შორის ეს იყოს საბუთი, რომ იეღოვა ერთიანი ღმერთია".

მოსე იყო ისრაელის კანონმდებელი, რომელმაც მეცნიერების, საზოგადოებრივი კანონის და მსოფლიო რელიგიის ქვაკუთხედად ერთიანი ღმერთი აქცია და თავისი შთაგონებული გენიით მიხვდა, რომ მხოლოდ ამ იდეის გამარჯვებაში იყო კაცობრიობის მომავალი. მის გადასარჩენად იეროგლიფებით დაწერა თავისი წიგნი, ოქროს კიდობანი ჩამოასხა და უდაბნოს ქვიშაში ჩამოაყალიბა ერი.

სულიერი იდეის ამ ცოცხალ მოწმეთა თვალწინ მოსეს ნება-სურვილით ციდან ჩნდებოდა ცეცხლი და საშინელი ჭექა-ქუხილი გრგვინავდა. მაგრამ ყველაფერმა თითქოს პირი შეკრა მოსეს წინააღმდეგ. მას არა მხოლოდ მოაბელები, ფილისტიმელები, ამალექელები და პალესტინის ხალხები დაუპირისპირდნენ, არამედ თვით იუდეველნიც, თავიანთი ვნებებითა და ლტოლვებით. მისი წიგნი გაუგებარი გახდა სასულიერო პირთათვის, კიდობანი მტრებმა გაიტაცეს, ხალხს კი უკვე ათასგზის შეეძლო თავისი იდეის დავიწყება.

და მიუხედავად ამისა, რატომღა იცოცხლა მოსეს იდეამ, რატომ დარჩა ისრაელის სულსა და გულში ოქროს ასოებით ამოტვიფრული? რით აიხსნება ბობოქარი კატასტროფებით აღსავსე, მღელვარე ისტორიის ყველა ქარტეხილის მიუხედავად შენარჩუნებული ამ უჩვეულო ერთგულებისა და ურყევლობის საიდუმლო, ერთგულებისა, რომელიც ისრაელს სხვა ხალხებისაგან გამოარჩევს და ესოდენ მომხიბვლელობას ანიჭებს?

ეს სასწაული წინასწარმეტყველებმა და იმ ეზოტერულმა სკოლამ მოიმოქმედა, რომელიც ამ წინასწარმეტყველთ ზრდიდა. მოსედან მოყოლებული იუდეის სამეფოს განადგურებამდე, ისრაელს თავისი ისტორიის ყველა ეპოქაში ჰყავდა წინასწარმეტყველები (Nabi), რომლებიც ზეპირად ქადაგებდნენ მოძღვრებას. მაგრამ თვით წინასწარმეტყველთა ინსტიტუტი ორგანიზებული ფორმით, პირველად სამოელის დროს ჩნდება.

სამოელმა დააარსა ძმობა (Nabiim), წინასწარმეტყველთა სკოლები, რომლებიც ახლად ჩასახული სამეფოსა და უკვე გადაგვარების გზაზე დამდგარი ქურუმობის თვალწინ წარმოიშვა. მან შთააგონა თავის მოწაფეებს, დაეცვათ ეზოტერული მოძღვრება და მოსეს მსოფლიო რელიგიური იდეა გადაერჩინათ მეფეთა ხელყოფისაგან, რომელთათვისაც უპირველესი მნიშვნელობა პოლიტიკურ იდეასა და ნაციონალურ მიზანს ენიჭებოდა.

ამ ძმობებში მართლაც შემოინახეს მოსეს მოძღვრების გარკვეული ნაწილი, წმინდა მუსიკა თავისი ძლიერი რიტმით, ოკულტური მედიცინა და, ბოლოს, წინასწარმეტყველების ხელოვნება, რამაც დიად წინასწარმეტყველებში ესოდენ სიდიადესა და ძალას მიაღწია.

წინასწარმეტყველების ნიჭი სხვადასხვა ფორმით არსებობდა ძველი ციკლის ყველა ხალხში, მაგრამ არსად არ მიუღწევია სულზე იმგვარი ბატონობისთვის, როგორც ისრაელის მონოთეიზმში. წინასწარმეტყველება, რომელსაც თეოლოგები საკუთარ ღმერთთან უშუალო კავშირს უწოდებენ, ხოლო ნატურალისტური ფილოსოფია უარყოფს და წმინდა წყლის ცრურწმენას უწოდებს, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა ღვთიური გონის მსოფლიო კანონების გამჟღავნება.

„სამყაროს მმართველი საერთო კანონები, – წერდა ევალდი წინასწარმეტყველებაზე დაწერილ თავის შესანიშნავ წიგნში, – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვთის უცვლელი აზრია, რომელიც არ არის დამოკიდებული მატერიალური ცხოვრების, ადამიანის ნებასა თუ ადამიანის ქმედების ცვალებადობაზე. ადამიანი მოწოდებულია, მონაწილეობა მიიღოს ღვთის მარადიულ აზრში, ჩაწვდეს მას და განახორციელოს საკუთარ ცხოვრებაში. და მხოლოდ ამის წყალობით შეძლებს იგი მიაღწიოს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას.

მაგრამ იმისათვის, რომ სულის სიტყვამ შეაღწიოს ხორციელ ადამიანში, აუცილებელია, ადამიანი გულის სიღრმემდე იყოს შეძრული დიადი ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული გარდაქმნებით. და მხოლოდ ამგვარ პირობებში გამკრთალი შუქ-ივით გამომჟღავნდება ხოლმე მარადიული ჭეშმარიტება. სწორედ ამიტომ იეღოვა, ესოდენ ხშირად იხსენიება ძველ აღთქმაში ცოცხალ ღმერთად.

როცა ადამიანი ყურს უგდებს ღვთიურ მოწოდებას, მასში ახალი სიცოცხლე წარმოიშობა, სადაც იგი თავს უკვე მარტოსულად აღარ შეიგრძნობს, რამეთუ უკვე შეერწყა ღმერთს და მის ჭეშმარიტებას. ამ ახალ სიცოცხლეში მისი აზრი უთანაბრდება მსოფლიო ნებას. მას აწმყოს ნათელხილვისა და ღვთიური ჭეშმარიტების საბოლოო გამარჯვების სრული რწმენა ეძლევა. ამას გრძნობს ის წინასწარმეტყველი, ვინც ილტვის ღვთის მოციქულად გამომჟღავნდეს ხალხის წინაშე. მისი აზრი ხდება ხილვა და ეს უმთავრესი ძალა, რომელიც მისი სულიდან ჭეშმარიტებას ამოაფრქვევს, არის სწორედ წინასწარმეტყველების ნიჭი. წინასწარმეტყველებანი ისტორიაში ელვის გაკრთობასავით ჩნდებოდა და მოულოდნელად ანათებს ჭეშმარიტებას[6].

აი, სათავე, საიდანაც ელიას, იეზეკიელის და იერემიას დარი გიგანტები მოიპოვებენ ძალას. გამოქვაბულთა სიღრმეებში თუ მეფეთა სასახლეებში, ისინი მუდამ გვევლინებოდნენ მარადიულის ჭეშმარიტ მცველებად. ხშირად ზუსტად წინასწარმეტყველებდნენ მეფეთა სიკვდილს, სამეფოთა მოსპობას, ისრაელის ბედს. მაგრამ ხანდახან, თუმცა ღვთიური ნათლის ცეცხლით იყვნენ განათებულნი, ხალხის ვნებათა ღელვა უქრობდათ წინასწარმეტყველურ ჩირაღდანს. მაგრამ მორალურ ჭეშმარიტებათა, ან ისრაელის დანიშნულების და მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში სამართლიანობის საბოლოო გამარჯვების საკითხში კი არასოდეს შემცდარან.

როგორც ჭეშმარიტი ხელდასხმულნი, ისინი ქადაგებდნენ ერთი გარეგანი კულტის არასრულყოფილებას, მოითხოვდნენ სისხლიანი მსხვერპლთშენირვის აღკვეთას, სულის განწმენდასა და გულმოწყალებას. მათი ხილვები საოცარ სილამაზეს აღწევენ, როცა ერთღმერთიანობის საბოლოო გამარჯვებაზე, ყველა ხალხისათვის მის განმათავისუფ-ლებელ და შემრიგებლურ როლზე ლაპარაკობდნენ.

ვერანაირი უბედურება, უცხოტომელთა მიერ დაპყრობა და ბაბილონის შემოჭრაც კი ვერ ურყევდათ რწმენას. მოუსმინეთ ესაიას სენახერიმის შემოჭრის დროს: „იხარებდე, ურუსალიმ, და კრებაყავთ მას შინა ყოველთა მოყვარეთა მისთა და დამკვიდრებულთა მისთა, იხარეთ სიხარული ყოველთა, რავდენნი ჰგონებდეთ მის ზედა. რამეთუ ამად იტყვის უფალი: აჰა, მე მოვაქციო მათ ზედა, ვითარცა მდინარე მშვიდობისა“ და ვითარცა ღუარი წარმღუნელი დიდებასა წარმართთასა, ყრმანი მათნი მხართა ზედა აღიხუნენ და მუხლთა ზედა ნუგეშისმცემელ იქმნენ. ვითარ დედა“ ვინმე ნუგეშინისსცემნ, ეგრეთ მეცა ნუგეშინისგცე თქუენ და იერუსალიმს შინა ნუგეშისცემულ იქმნეთ. და მე საქმეთა მათთა და გულისსიტყვათა მათთა მეცნიერ ვარ და მივაგო მათ. აჰა, მოვალ შეკრებად ყოველ ნათესავთა და ენათა, და მოვიდენ და იხილონ დიდება“ ჩემი“[7].

მხოლოდ ჩვენს დროში – ქრისტეს საფლავთან – განხორციელდა ეს ხილვები. მაგრამ ვინ შეძლებს უარყოს მათი წინასწარმეტყველური ჭეშმარიტება, თუ დავუკვირდებით იმ როლს, რომელიც ისრაელმა შეასრულა ისტორიაში?

იერუსალიმის მომავალ დიდებაზე, მის მორალურ სიდიადესა და მის რელიგიურ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე არანაკლებ ურყევი რწმენა გააჩნდათ წინასწარმეტყველთ, მხსნელის ანუ მესიის შესახებ. ყველა წინასწარმეტყველი ლაპარაკობს მესიაზე. ესაია მას განსაკუთრებით ცხადად ხედავს და აგვიწერს კიდეც: „და გამოვიდეს კუერთი ძირისაგან იესესა და ყუავილი ძირისაგან აღმოხდეს. და განისვენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა, სულმან განზრახვისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღმრთისმსახურებისა. სულმან შიშისა ღმრთისამან აღავსოს იგი. არა დიდებისამებრ საჯოს, არცა ზრახვისაებრ ამხილოს. არამედ საჯოს სამართლისა მიერ მდაბალთა საშჯელითა და ამხილოს წარმართებულებით, დიდებულთა ქუეყნისათა და დასცეს ქუეყანა სიტყვითა პირისა მისისათა და სულითა ბაგეთა მიერ მოაკუდინოს უთნო“[8].

ამ ხილვისას წინასწარმეტყველის

ნალვლიანი სული მშვიდდება, საავდრო ღრუბლებგადაყრილ ცასავით, და გალილეველის ჭეშმარიტი ხატი უდგება თვალწინ: „მიუთხართ წინაშე მისსა, ვითარცა ყრმა“ და ვითარცა ძირი ქუეყანასა წყურიელსა, არა არს სახე მისი, არცა დიდება“, და ვიხილე იგი და არა აქუნდა სახე მისი, არცა სიკეთე. არამედ სახე მისი უპატივო და მოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა. კაცი მყოფი წყლულებასა შინა და მეცნიერი თავსდებად გუემულებასა, გარემოიქცა პირი მისი. უპატივო იქმნა და არაშეირაცხა. ესე გუემულებათა ჩვენთა იტვირთავს და ჩუენ ძლით ლმობილ არს, და ჩვენ შეჰვრაცხეთ იგი ყოფად ტკივილსა შინა და წყლულებასა შინა ღმერთისა მიერ და განბოროტებასა შინა. ხოლო იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათვის და გუემულ არს უსჯულოებათა ჩვენთათვის, წურთა მშვიდობისა მის ზედა წყლულებითა მისთა ჩუენ განვიკურნენით. და იგი განბოროტებისათვის არა აღაღებს პირსა თვისსა, ვითარცა ცხოვარი, კლვად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი, წინაშე მრისველისა თვისისა უხმო, ეგრეთ არა აღაღებს პირსა თვისსა“.[9]

წინასწარმეტყველთა შთაგონებული სიტყვით გამოხმობილი მესიის ხატი რვა საუკუნის, მისი მრავალჭირნახული ისტორიის მანძილზე მუდამ თავს დანათოდა ისრაელს, ხან, როგორც საზარელი შურისმაძიებელი, ხან კი – მოწყალე ანგელოსი.

ასურეთის და ბაბილონის ტყვეობაში ნალოლიავები, სპარსეთის ბატონობის ქვეშ აყვავებული მესიის იდეა უფრო გაიზარდა სელევკიდებისა და მაქაბელთა მმართველობის დროს. და როცა რომისა და ჰეროდეს ბატონობის ჟამი დადგა, მესია უკვე ადამიანთა გულებში ცოცხლობდა.

თუკი დიადი წინასწარმეტყველნი მასში უცოდველ ტანჯულსა და ღვთის ჭეშმარიტ ძეს ხედავდნენ, იუდეველთა სულს იგი დავითად ან სოლომონად წარმოედგინა, ან ახალ მაქაბელად, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო ის, ისრაელის ეს აღმდგენელი, ყველას სჯეროდა მისი, ყველა მას ელოდა და ყველა იხმობდა. ასეთია წინასწარმეტყველთა ჭეშმარიტი ძალა.

როგორც რომის ისტორია ბედის ულმობელი ლოგიკის გზით მივიდა კეისარამდე, ასევე ისრაელის ისტორია – განგების ღვთიური ლოგიკის გზით მივიდა ქრისტემდე. ბოროტება ბედითად მიემართება თვითუარყოფისა და ნგრევისაკენ, რამეთუ იგი არის სიცრუე. სიკეთე კი, ყველა წინააღმდეგობათა მიუხედავად, მომავალში შობს ნათელსა და ჰარმონიას, რამეთუ იგი ჭეშმარიტების ნაყოფია.

თავისი ზარ-ზეიმით რომმა მხოლოდ კეისრობა წარმოშვა. საკუთარ ტანჯვაში კი ისრაელმა ჩასახა მესია და ამით გაამართლა პოეტის სიტყვები: „საკუთარი ნგრევიდან იმედი ქმნის ჭვრეტის საგანს“.

გაურკვეველი მოლოდინი ჩამოწვა ადამიანთა თავზე. წამების უკიდურესობაში კაცობრიობა წინათგრძნობდა მხსნელის გამოჩენას.

საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა მითი ღვთიურ ყრმაზე, ტაძრებში მასზე იდუმალი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ასტროლოგები ანგარიშობდნენ მისი გამოჩენის დროს. სიბილები კრუნჩხვიანი ბოდვით წინასწარმეტყველებდნენ წარმართ ღმერთთა დაღუპვას. ხელდასხმულნი ამტკიცებდნენ, რომ მოაწევს ჟამი, როცა სამყაროს უწინამძღვრებს ძე ღვთისა.[10] მიწა ელოდა სულიერ მეუფეს, ტანჯულთა, გვემულთა და უპოვართა მხსნელს.

პოეტი ესქილე, ელევსინელი ქურუმის შვილი, ლამის მოკლეს ათენელებმა, როცა პრომეთეს ათქმევინა, რომ ზევსის (ბედისწერის) მეუფება დასრულდება. ხოლო ოთხი საუკუნის შემდეგ, რომაელი ავგუსტინეს ტახტის ჩრდილში, ვერგილიუსი ახალ ეპოქას იწინასწარმეტყველებს და ღვთიური ყრმის იდეას უგალობებს: „ახლოვდება უკანასკნელი ჟამი, ჯუმის სიბილას ნაწინასწარმეტყველევი, განძარცულ საუკუნეთა დიდებული რიგი კვლავ ცოცხლდება, უკვე ბრუნდება ქალწული და მასთან ერთად სატურნის მეუფება, უკვე ციდან ეშვება ახალი ნამი–მიიღე შენს საფარქვეშ, ო, ყოვლად გონიერო ლუცენა, ეს ყრმა, რომლის შობამაც უნდა განდევნოს რკინის ხანა და მთელ მსოფლიოს ოქროს ხანა დაუბრუნოს. უკვე მეუფეობს შენი ძმა აპოლონი, შეხედე როგორ თრთის თავის ღერძზე მთელი სამყარო. შეხედე, ეს თვალშეუდგამი მიწა და ზღვები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაღმაღალი ცა და მთელი ბუნება როგორ თრთის მომავალი საუკუნის იმედით".

მაგრამ სად უნდა იშვას ეს ყრმა? რომელი უმაღლესი საუფლოდან მოევლინება კაცობრიობას მისი სული? სიყვარულის რომელი ელვა ჩამოიყვანს მას მიწაზე? სიწმინდის რა სასწაულით, ენერგიის რა მიუღწეველი დაძაბვით შეინარჩუნებს მიტოვებული ციური საუფლოს ხსოვნას? რომელი გაუზომელი ძალისხმევით შეძლებს მისი სული, თავისი მიწიერი ცნობიერების სიღრმიდან ამაღლდეს ისევ ციურისკენ და თან წარიტაცოს კაცობრიობა?

ამ კითხვაზე ვერავინ შეძლებდა პასუხის გაცემას, მაგრამ ყველა ელოდა მესიას. კეისარ ავგუსტუსის მემკვიდრე, დიდი ჰეროდე ხურვებაშეყრილი იწვა თავის სასახლეში. დასასრულს უახლოვდებოდა მისი სისხლიანი მეფობა, რომელმაც იუდეა დიდებული სასახლეებითა და ადამიანთა ჰეკატომბებით დაფარა. ყველასაგან მოძულებული ჰეროდე საშინელი ავადმყოფობით კვდებოდა. გაბოროტება, და სიხლის ქენჯნა ტანჯავდა, დღე და ღამ ელანდებოდა უთვალავ მსხვერპლთა აჩრდილები, რომელთა შორისაც მოჩანდა მაქაბელთა შთამომავალი, მისი უცოდველი მეუღლე, კეთილშობილი მარიანა და სამი ვაჟიშვილი. ცოლებმა და მცველებმა მიატოვეს იგი, მხოლოდ მისი ბოროტი გენია მისივე და, სალომეა არ შორდებოდა გვერდიდან, რომელიც მუდამ უსაშინლესი დანაშაულებისაკენ უბიძგებდა. იდგა მოელვარე ქვების დიადემით დამშვენებული, გამომწვევი და დამცინავი სალომეა და ჰეროდეს უკანასკნელ ამოსუნთქვას ელოდა, თვითონ უნდა დაპატრონებოდა ტახტს.

ასე მიიცვალა იუდეველთა უკანასკნელი მეფე. ამავე დროს იშვა დედამიწაზე კაცობრიობის მომავალი სულიერი ბელადი, ხოლო ისრაელის ხელდასხმულნი – ისინი ბევრნი არ იყვნენ – უჩუმრად ამზადებდნენ მის მოახლოებულ მეუფებას.

მარიამი. იესოს სიყმაწვილე

იესო, ყველაზე სარწმუნო წყაროებით, ნაზარეთში 12 დაიბადა, გალილეის ამ მიყრუებულ მხარეში მიედინებოდა მისი ბავშვობა და სრულდებოდა ქრისტიანობის უდიდუმალესი საიდუმლო: ქრისტეს სულის აყვავება. ის იყო გალილეის კეთილშობილი გვარის შთამომავალი, ხურო იოსების ცოლის, მარიამის ძე.

ქრისტეს დაბადებას ლეგენდა ათასგვარი საოცრებებით მოსავს. თუკი ლეგენდაში ხანდახან ცრურწმენებიც გვხვდება, იგივე ცრურწმენები ფარავს ფსიქიკურ ჭეშმარიტებებს, რაც ნაკლებად არის ხალხისათვის ცნობილი, რადგანაც სცილდება ჩვეულებრივი წვდომის დონეს. მარიამის ლეგენდიდან შეიძლება მხოლოდ ის ფაქტი დავადგინოთ, რომ იესო, თავისი დედის უდიადესი ნდომით, დაბადებამდე იყო წინასწარმეტყველად ხელდასხმული.

იგივე მოვლენას ვხვდებით ძველი აღთქმის მრავალი გმირისა და წინასწარმეტყველის თავგადასავალში. დედების მიერ ამგვარად ხელდასხმულ ვაჟიშვილებს ნაზარეველებს უწოდებდნენ. ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა სამსონისა და სამოელის ამბავი. ანგელოსმა აუწყა სამსონის დედას: „რამეთუ შენ მუცლად იღო და ჰშვე ძე, და მახვილი თავსა მისსა ნუ შეეხებიან, რამეთუ წმიდაჲ ღმრთისაჲ იყოს ყრმაჲ იგი შობითგან მისით. და მან იწყო განრიდებად ისრაელისა ხელისაგან უცხოთესლთა, ფილისტიმელთასა".[13]

სამოელის დედამ ღმერთს გამოსთხოვა თავისი შვილი: ელკანის მეუღლე ანა უშვილო იყო და აღთქმა დადო: „უფალო ღმერთო, უკეთუ ხილვით მომხედო მწუხარებასა ამას მხევლის შენისასა და მცე მე მკვიდრი მამაკაცი, განგიკუთვნო იგი წინაშე შენსა და მსახურ აღთქუმისად დღემდე სიკვდილისა მისისა, ღვინო და მთვრალობისა გემო ვერ იხილოს, მახვილ ვარსამით არა აღვიდეს თავსა მისსა... და ჟამსა თვისსა შვა ძე და უწოდეს სახელი მისი სამოველ, რამეთუ თქუა: უფლისაგან ღმრთისა ძალთასა ვითხოვე ესე".[14]

თუ ძველ სემიტურ ფესვებს გავით-

ვალისწინებთ, სამუდ ნიშნავს ღვთის შინაგან ნათებას. დედა, რომელიც შინაგანად შეიგრძნობდა შვილის სიცოცხლის ნათელს, მასში ხედავდა თავად ღვთის არსს.

ეს ადგილები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველ აღთქმაში: ეს გვაძლევს საშუალებას, ჩავწვდეთ ეზოტერულ მოძღვრებას, რომელიც არასდროს გამქრალა ისრაელში, და აქედან გამომდინარე, ჩავწვდეთ ქრისტეს დაბადების ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ელკანამისი სხეულებრივი ქმარი – ჭეშმარიტი მამაა სამოელისა, მაგრამ სულიერად სამოელი ღვთის შვილია. აქ იუდეველთა მონოთეიზმის ხატოვანი ენა ფარავს სულის გარდასახეულების მოძღვრებას. ხელდასხმული ქალი მისტერიებში უხმობს უმაღლეს სულს და ეკედრება მუცლად იღოს, რათა მსოფლიოს მოუვლინოს წინასწარმეტყველი.

ებრაელობაში გულმოდგინედ დაფარული ეს იდეა, რომელიც თითქოს სრულიად არ შეიმჩნევა ოფიციალურ კულტში, იყო ხელდასხმულთა იდუმალი მოძღვრების ნაწილი. ეს ნათლად ჩანს წინასწარმეტყველთა წიგნებში. წინასწარმეტყველი იერემია ასე გამოთქვამს ამ აზრს: „და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი მეტყველი: პირველ ჩემგან აღზელამდე მუცლისა შინა გიცი შენ და პირველ გამოსვლისა შენისა საშოთ განწმინდე შენ, წინასწარმეტყუელად ნათესავისა მიმართ დაგდევ შენ".[15]

უფრო მოგვიანებით ქრისტე ფარისევლებს ეუბნება: „მართლიდ მართალსა გეტყუ თქვენ: წინაკე აბრაამისა ყოფადმდე ვიყავ მე".[16]

როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი მარიამს, იესოს დედას? ალბათ, პირველი ქრისტიანული ძმობები იესოს მარიამისა და იოსების შეილად თვლიდნენ, რაც შეიძლება იქიდან დავასკვნათ, რომ მათე სრულ გენიალოგიას გვაწვდის, რათა დავით მეფისაგან ქრისტეს წარმომავლობა დაამტკიცოს.

როგორც ზოგიერთი გნოსეოლოგი, ასევე პირველი ქრისტიანი ძმებიც იესოს იგივე აზრით მიიჩნევდნენ ღვთის შვილად, როგორც სამოელს. უფრო მოგვიანებით ლეგენდამ, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა ქრისტეს ზებუნებრივი წარმოშობა, მის დაბადებას ციური ლაჟვარდისაგან მოსულ-ვილი საბურველი გადააფარა: იოსებისა და მარიამის ამბავი, ხარება, მარიამის ბავშვობა ტაძარში.[17]

თუკი იუდეური თქმულებებისა და ქრისტიანული ლეგენდებიდან გამოვაცალკევებთ ეზოტერულ მნიშვნელობას, შეიძლება შემდეგი დავასკვნათ: სულიერი სამყაროს ზემოქმედება, რომელიც მონაწილეობს ყოველი ადამიანის დაბადებაში, განსაკუთრებით ძლიერად და საგრძნობლად ვლინდება დიადი გენიის დაბადებისას, რომლის წარმოშობაც შეუძლებელია შთამომავლობითი კანონით აიხსნას.

სულიერი სამყაროს ეს ზემოქმედება განსაკუთრებულ ძალას აღწევს, როცა საქმე ეხება ერთ-ერთ იმ ღვთიურ წინასწარმეტყველს, რომლის მოსვლაც ცვლის სამყაროს ბედს. ღვთიური მისიისათვის შერჩეული სული ღვთიური სამყაროდანვე მოდის. იგი დედამიწას თავისუფლად და შეგნებულად მოევლინება. მაგრამ მიწიერ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად რჩეული ჭურჭელია აუცილებელი–უმაღლესი სიწმინდის დედის მოწოდება, რომელიც თავისი არსების სრული განწყობით და სულის სრული ლტოლვით გრძნობს, იზიდავს, თავის სისხლსა და ხორცში ილებს გამომსყიდველ სულს, ადამიანურ სამყაროში რომ ჭეშმარიტ ღვთის შვილად მოქმედებს.

ასეთია ქალწული დედის უძველეს იდეაში დაფარული ღრმა აზრი. ინდოეთის გენიამ ეს კრიშნას ლეგენდაში ასახა, მათესა და ლუკას სახარებამ კი უფრო დახვეწილი და ამაღლებული, პოეტური ფორმით გადმოგვცა.

„ციდან დაშვებული სულისათვის დაბადება არის სიკვდილი", – თქვა ემპედოკლემ ქრისტეს დაბადებამდე 500 წლით ადრე. მაგრამ რაოდენ ღვთიურიც უნდა იყოს სული, ხორცშესხმის შემდეგ იგი დროებით ივიწყებს წარსულს. რადგან სხეულებრივი ცხოვრების ბორბალმა ჩაითრია იგი და მისი მიწიერი ცნობიერება იმ სამყაროს კანონებით ვითარდება, რომელსაც მოევლინა. იგი ექვემდებარება ელემენტთა ძალას და რაც უფრო მაღალია მისი წარმოშობა, მით მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა აღიდგინოს თავისი ღვთიური თვისებანი და შეიცნოს თავისი უმაღლესი მისია.

ღრმა და ნაზი სულები სიმყუდროეს საჭიროებენ, რათა გამუღავნდეს მათი დაფარული ძალა. იესო გალილეის მშვიდ სიმყუდროეში იზრდებოდა. მისი პირველი შთაბეჭდილებანი მშვიდი, წყნარი და მკაცრი იყო. იდეალური სილამაზით ჰყვაოდა მთებს შორის ჩაყუჟული ველი. ნაზარეთი თითქმის ვერ შეცვალა საუკუნეებმა,[18] კლდეში შეჭრილი სახლები ახლაც თეთრად ქათქათებენ ბრონეულის, ლეღვისა და ვაზის სიმწვანეში, ცაში კი მტრედები დაფრინავენ. მთიდან მონადენი სუფთა ჰაერი ეფინება სიცოცხლითა და სიმწვანით აღსავსე ამ მყუდრო ველს. გორაკებიდან მოჩანს გალილეის თავისუფალი და ნათელი ჰორიზონტი.

აი, აქ მიედინებოდა პატრიარქალური ოჯახის მკაცრი, ზომიერი და სულიერებით აღსავსე ცხოვრება. ებრაული აღზრდა ყოველ საუკუნეში ითვალისწინებდა კანონისა და რწმენის ერთობას, და ეროვნულ და რელიგიურ იდეას დაქვემდებარებული ოჯახის მკაცრ ორგანიზაციას. იესოს ბავშვობაში, მამისეული სახლი ტაძარი იყო.

მღიმარი ნიმფებისა და ფავნების ნაცვლად, რაც ბერძნულ სახლებს ამშვენებდა, ებრაელთა სახლებში კარის თავზე და კედლებზე ქალდეური დამწერლობის უმკაცრესი ხაზებით იყო ამოტვიფრული წინასწარმეტყველთა და მოსეს სჯულის გამონათქვამები. დედამამის ურთიერთობა სულიერი ნათებით ანათებდა და ათბობდა ამ მკაცრ გარემოს.

იქ მიილო იესომ პირველი განათლება, იქ, დედისა და მამის მეშვეობით წაიკითხა პირველად წმინდა წიგნები. ცხოვრების დასაწყისიდანვე ღვთის მიერ რჩეული ხალხის საუკუნოვანი ყოფა გადაეშალა თვალწინ. იგი ცხოვრებას ეცნობოდა დღესასწაულების დროს, რომელსაც ოჯახი ლოცვით, ჰიმნების გალობითა და წმინდა წიგნის კითხვით ხვდებოდა. სკინიის დღესასწაულის დროს მურტის და ზეთისხილის ტოტებით ამშვენებდნენ ხოლმე სახლის სახურავს და ეზოს, იმ საუკუნეთა მოსაგონებლად, როცა პატრიარქები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ანთებდნენ შვიდსანთლიან შანდლებს, პაპირუსის გრაგნილებს შლიდნენ და წმინდა წიგნს კითხულობდნენ.

ბავშვის სული მარადიულის სიახლოვეს არა მხოლოდ [illegible] მოჭედილ ცაში შეიგრძნობდა, [illegible] ცის დიდების ამსახველ ამ შვიდსანთლიან შანდალშიც, მამის დარიგებასა და დედის უტყვ სიყვარულში.

ასე უნანავებდა იესოს ბავშვობას ისრაელის სიხარულითა და ნაღველით, გამარჯვებებითა და დევნით, უთვალავი უბედურებითა და მარადიული იმედით აღსავსე წარსული. ბავშვის დაჟინებულ კითხვებს მამა არ პასუხობდა, დედა კი უმაღლესი იმედით გაცისკროვნებულ მზერას მიაპყრობდა და ეტყოდა ხოლმე: „ღვთის სიტყვას მისი წინასწარმეტყველები ინახავენ. ოდესმე ბრძენი ესეველები, კარმელის მთისა და მკვდარი ზღვის მეუდაბნოენი გიპასუხებენ ყველა კითხვაზე".

არც თავის თანატოლებში გარეული ყრმა იესოს წარმოდგენაა ძნელი და არც იმ გასაოცარი ზემოქმედებისა, რასაც ის ახდენდა ადამიანებზე. ეს უნარი ადამიანს ნაადრევი გონიერების, სამართლიანობისა და აქტიური სიკეთის გრძნობათა შერწყმით ენიჭება. ასევე აოცებდა სინაგოგაში შეკრებილთ, სადაც მწიგნობართა და ფარისეველთა კამათს ესწრებოდა და, მოგვიანებით, თავადაც ერეოდა კამათში. მას ბავშვობიდანვე აკრთობდა კანონის მიმდევართა სიცივე, რომელნიც, კანონს დამორჩილებულნი, თავადაც სპობდნენ ამ კანონის სულიერ საწყისს.

ამასთან ერთად ის კერპთაყვანისმცემლობას ეცნობოდა მდიდარ სეფორისში, ანტიპას რეზიდენციასა და გალილეის უმთავრეს ქალაქში ყოფნისას, რომლის თავზეც აღმართული იყო ჰეროდეს, თრაკიელებისა და მთელი ქვეყნის ბარბაროსთა დარაჯებით დაცული აკროპოლისი. ადვილი დასაშვებია, რომ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ზღვისპირა ფინიკიურ ქალაქში ჩასვლამაც მოუწია, სადაც იმხანად ჭიანჭველასავით ირეოდა ხალხი. მას შორიდან შეეძლო დაენახა დაბალთაღებიანი, ხეივნებით გარშემორტყმული ტაძრები, სადაც ფლეიტების ქვითინი და ასტარტას ქურუმ ქალთა ხმები ისმოდა. ამ ქვითინს მის გულში სიბრალული და სევდა უნდა აღეძრა. ამ შთაბეჭდილებების შემდეგ თავის მყუდრო მთებში, ალბათ, სიხარულით ბრუნდებოდა. ნაზარეთის მთაზე რომ ავიდოდა და იქიდან

გალილეისა და სამარიის თვალუწვდენ ჰორიზონტს გახედავდა, მისი მზერა სწვდებოდა კარმელის, თაბორისა და სიქემის მთებს, პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა ამ უძველეს ადგილებს.

მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო იესოსათვის გარე სამყაროს დიდებულება, ეს ყოველივე მაინც მკრთალდებოდა მისი შინაგანი სამყაროს უმაღლესი ჭეშმარიტების წინაშე. განმარტოებული, საკუთარ თავში ჩამყუდროებული იესოს სულში ეს ჭეშმარიტება მანათობელი ყვავილის დარად იფურჩქნებოდა და შინაგან სამყაროს უცისკროვნებდა, მაშინ ადამიანები და საგნები, ახლობლები და შორებლები თვალწინ როგორღაც გამჭვირვალედ, თავისი ჭეშმარიტი არსით აღებეჭდებოდა ხოლმე. ის აზრებს კითხულობდა, ხედავდა ადამიანთა სულებს. შემდეგ, როგორც ხელი საფარველის მიღმა, ხედავდა მშვენიერ და მანათობელ არსებებს, მას რომ გარს ეხვეოდნენ ან სულიერი ნათების წინაშე ქედის მოსახრელად მოეყარათ თავი. გასაოცარი ხილვები ჰქონდა სიზმრად, ეს ხილვები აშორებდა მიწიერ რეალობას და ცნობიერებას უორებდა. ამ ყოვლისმომცველ ექსტაზში ჩაძირული, თითქოს ერწყმოდა კიდეც დიად ნათელს. ეს საოცარი აღმაფრენა ხსოვნაში უტოვებდა ენით გამოუთქმელ სინაზეს და დიად შინაგან ძალას. ასეთ წუთებში გასაოცრად ელტვოდა ყოველივე ცოცხალს და მთელ სამყაროსთან ჰარმონიაში აღიქვამდა თავს.

რა უნდა რქმეოდა იმ იდუმალ ნათელს, რომელიც მის სულში არსებულ ნათელს ერწყმოდა და უხლავი თრთოლვით აკავშირებდა ყველა სულთან? ეს ხომ არ იყო თვით სულთა და სამყაროთა სათავე?

ის ამ ნათელს ზეციურ მამას უწოდებდა.[19]

ღმერთთან სიყვარულის ნათელში შერწყმის ეს გრძნობა – აი, ეს იყო იესოს პირველი ნათელხილვა. მან გაუნათა ცხოვრება, გახადა იესო მორჩილი და ქედუხრელი. მან აქცია მისი გონება მოელვარე ფარად, სიტყვა კი – ცეცხლოვან მახვილად.

ყმაწვილი იესოს ეს ღრმად დაფარული მისტიკური ცხოვრება თავისთავად ერწყმოდა ცხოვრებისეულ საკითხების ცხად გააზრებასა. ლუკა ამას თორმეტი წლის ასაკში აღწერს: „...და იესო წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა".[20] რელიგიური ცნობიერება თანდაყოლილი ჰქონდა იესოს და მოგვიანებით უფრო გაუღრმავდა განსაკუთრებული ხელდასხმითა და ხანგრძლივი შინაგანი მუშაობით. ამაზე მიუთითებენ სახარებასა და სხვა ნაწერებშიც ჩანს.

იესოსათვის პირველ ძლიერ ბიძგს წარმოადგენდა მშობლებთან ერთად მისი პირველი მოგზაურობა იერუსალიმში, რის შესახებაც ლუკა მოგვითხრობს. ისრაელთა ეს საამაყო ქალაქი იმხანად ებრაელთა ნაციონალური მისწრაფებების ცენტრი იყო. მისი წილხვედრი ტანჯვა მხოლოდ გონებას ანათებდა. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო იზრდებოდა იერუსალიმის სასაფლაო, მით მეტი იმედი უჩნდებოდათ ადამიანებს.

სელევკიდებისა და მაქაბელთა მმართველობით იერუსალიმი უსასტიკესი რბევის არენად ქცეულიყო. სისხლი მდინარეებად დიოდა: რომაელთა ლეგიონებმა სასაკლაოებად აქციეს იერუსალიმის ქუჩები, მასობრივი ჯვარცმები ბილწავდა ქალაქის გარშემო აღმართულ ბორცვებს და საშინელ სანახავს ხდიდა მის შემოგარენს. ამდენი საშინელების შემდეგ, რომის ბატონობის ამდენი შეურაცხყოფის, სინედრიონის დარბევისა და პირველქურუმის მონად ქცევის შემდეგ, ჰეროდემ, თითქოს ებრაელთა დასაცინად, აღადგინა იერუსალიმის ტაძარი და უფრო დიდებული გახადა, ვიდრე სოლომონის დროს იყო.

და მაინც, იერუსალიმი ძველებურად რჩებოდა წმინდა ქალაქად. აკი ნათქვამი აქვს ესაიას, რომელსაც იესო ხშირად კითხულობდა ხოლმე: „და ვიდოდიან მეფენი ნათელსა შენსა და წარმართნი ბრწყინვალებასა შენსა, და არა ისმეს ქუეყანასა შინა შენსა უსამართლობაᲘ, არცა შემუსრვაᲘ, არცა საარებაᲘ, საზღვართა შორის შენთა, არამედ ეწოდოს მაცხოვარება ზღუდეთა შენთა და ბჭეთა შენთა წახნაგებულ".[21]

იერუსალიმისა და იეღოვას ტაძრის ხილვა ყველა ებრაელის ოცნება იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იუდეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის პროვინციად იქცა. ებრაელები აქ პერეიდან, გალილეიდან, ალექსანდრიიდან და ბაბილონიდან მოდიოდნენ. უდაბნოში, ჭების გარშემო ისვენებდნენ, პალმების ჩრდილქვეშ, და ფსალმუნებს მღეროდნენ, ერთადერთი მარადიულისაკენ ისწრაფოდნენ და სიონის მთის მწვერვალისაკენ გაურბოდათ თვალი.

იესოს გული უნდა დამძიმებოდა, როცა პირველად იხილა მკაცრი, ციხესიმაგრესავით მთაზე აღმართული ქალაქი, როცა მის კარიბჭესთან დაინახა ჰეროდეს რომაული ამფითეატრი, ანტონიუსის კოშკი, თავზე რომ დასცქეროდა ტაძარს და შუბოსანი რომაელი ლეგიონერები, ქალაქის კედლებზე რომ დარაჯობდნენ მოქალაქეებს.

მან იხილა ამ ქალაქის მარმარილოს ტერასების დიდებულება, აქ დასეირნობდნენ მდიდრულად ჩაცმული ფარისევლები. იგი ბრბოსთან ერთად მიუახლოვდა ნიკონორის კარიბჭეს, საიდანაც იასამნისფერი და მეწამული, ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი საზეიმო ტანსაცმლით მოსილი სინაგოგის მსახურნი მოჩანდნენ. ისინი თხებსა და ხარებს სწირავდნენ ღმერთს, ხალხს სამსხვერპლო სისხლს ასხურებდნენ და ლოცავდნენ. რაოდენ არ ჰგავდა ეს ყოველივე მისი ოცნების ტაძარს, მის სანატრელ ცას...

შემდეგ ქვედა ქალაქის ღარიბთა კვარტალში ეშვებოდა, იქ ხვდებოდა შიმშილით დაოსებულ ღატაკებს, ხედავდა ტანჯვით დაღდასმულ სახეებს. ქალაქის ამა თუ იმ ჭიშკრიდან გადიოდა და ქვ-ღორღიან ველებზე დასეირნობდა. აქ ქვის სამტეხლოები იყო, იქვე მეთევზეებს გაეშალათ ბადეები, აქვე იყო მეფეთა საფლავებიც ქამარივით გარს რომ ეტყმოდა იერუსალიმს. კლდეში გაჭრილი გამოქვაბულებიდან დრო და დრო შეშლილები გამოდიოდნენ და წყევლა-კრულვით იკლებდნენ იქაურობას.

შემდეგ ფართო კიბით სოლომის ნაკადულთან ეშვებოდა, მის მოყვითალო ნაპირებთან კეთროვანებსა და დამბლადაცემულთ ხედავდა. ალბათ, დაუძლეველი ლტოლვა ეწეოდა მათკენ და გულის სიღრმემდე შეიგრძნობდა მათ ტანჯვას. ისინი დახმარებას სთხოვდნენ, ზოგი მათგანი კი სულაც დუმდა იმედდაკარგული.

„რა საჭიროა ეს ტაძარი და ეს მღვდელთმსახურნი, ეს ჰიმნები და მსხვერპლთშეწირვა, – ალბათ, ფიქრობდა იესო, – თუკი უნარი არ შესწევთ, ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ ამ უბედურებს ტანჯვა". იმ დროიდან ჩაებეჭდა გულში ტანჯვის, ამ განდეგილთა და ამ ქალაქის, ამ ხალხისა და მთელი კაცობრიობის ნაღველი და მიხვდა, რომ უნდა გასცლოდა იმ ნეტარებას, რომელსაც ვერავის გაუზიარებდა. ეს მავედრებელი, განწირულებით აღსავსე მზერა უკვე თვალიდან აღარ სცილდებოდა იესოს. უმკაცრესი თანამგზავრი ადამიანთა ტანჯვა მუდამ თან დასდევდა და ჩასჩურჩულებდა: მე შენ აღარასოდეს მიგატოვებ.

გულდამძიმებული და დანაღვლიანებული ბრუნდებოდა უკან და როცა გალილეის ნათელ მწვერვალებს უახლოვდებოდა, მისი გულიდან ვედრება ამოხეთქავდა ხოლმე: მამაო-ზეციერო!... მე მსურს ვიცოდე, მე მსურს ვკურნავდე, მსურს ვიხსნიდე!

ესეველნი – იოანე ნათლისმცემელი – ცდუნება

ცოდნა, რომლის შეძენაც ეწადა იესოს, იმხანად მხოლოდ ესეველებს ჰქონდათ.

სახარებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდა იესო, ვიდრე იოანე ნათლისმცემელს შეხვდებოდა და თავის უმაღლეს მსახურებას დაიწყებდა. ამის შემდეგ ჩადის იესო გალილეაში, უკვე ჩამოყალიბებული მოძღვრებით, წინასწარმეტყველის რწმენითა და მესიის ცნობიერებით. ყოველივე ამას კი, ალბათ, წინ უსწრებდა ხანგრძლივი სწავლა და უმაღლესი ხელდასხმა. ისიც უეჭველია, რომ მისი ხელდასხმა ისრაელში იმხანად შემორჩენილ ერთადერთ ძმობაში უნდა

მომხდარიყო.

ეს საკითხი მხოლოდ იმათ არ დააეჭვებთ, ვისაც უნარი შესწევს, ამაღლდეს ცრურწმენაზე და ჩასწვდეს სულისა და ჭეშმარიტების შინაგან არსს. ეს ყოველივე არა მარტო იესოსა და ესეველთა მოძღვრების შინაგანი სიახლოვით მტკიცდება, არამედ იმ დუმილითაც, რომელსაც ქრისტე და მისი ახლობლები იჩენდნენ ამ სექტის მიმართ. რატომ იყო, რომ იესო, რომელიც ასე თამამად და თავისუფ-ლად ესხმის თავს თავისი დროის ყველა რელიგიურ პარტიას, ერთხელაც არ ახსენებს ესეველთა სახელს? რატომ არც მახარობლები არაფერს ამბობენ ესეველებზე? ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ესეველებს ისინი თავისიანებად მიიჩნევენ, მათთან ხელდახმის ფიცით იყვნენ დაკავშირებულნი, და ალბათ, ამიტომაც, ეს ძმობა, ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანობას შეერწყა.

იესოს დროს ესეველთა ძმობა წინასწარმეტყველთა იმ სკოლის გამგრძელებელი იყო, რომელიც სამოელმა დააარსა. პალესტინის მმართველთა დესპოტიზმმა და პატივმოყვარე მღვდელთმსახურთა ეჭვიანობამ აიძულა ისინი, განცალკევებულიყვნენ და სრული დუმილი დაეცვათ. ისინი წინაპართა დარად აღარ იბრძოდნენ და მხოლოდ იმითღა კმაყოფილდებოდნენ, რომ შეურყვნელად ინახავდნენ მოძღვრებას.

ესეველებს ორი მთავარი ცენტრი ჰქონდათ. ერთი ეგვიპტეში, მაორისის ტბის ნაპირას, მეორე კი – პალესტინაში, ენგადში, მკვდარ ზღვასთან. მათი სახელწოდება მოდის სირიული სიტყვიდან, რაც თერაპევტს ნიშნავს, რადგან მათი დანიშნულება ხალხის ფიზიკური და მორალური სატკივარის მკურნალობა იყო. ისინი დიდი გულისყურით სწავლობდნენ სხვადასხვა სამედიცინო მონუსკრიპტებს, სადაც მცენარეთა და მინერალთა ოკულტური თვისებები იყო აღწერილი.

ზოგიერთი მათგანი ნათელხილვის უნარს ფლობდა, როგორც, მაგალითად, მენახემი, რომელმაც მეფობა უწინასწარმეტყველა ჰეროდეს. „ისინი უდიდესი რწმენით და საკუთარი სულის განწმენდით ემსახურებიან ღმერთს, – ამბობს ფილონი, – და არა მსხვერპლთშენირვით. ქალაქებს ერიდებიან და გულმოდგინედ ეძლევიან მშვიდობიან ხელოვნებას. მათ არ ჰყავთ არავ ერთ ერთ მონა, ყველა თავისუფალია და ერთმანეთისთვის იღვწიან“.[22]

ორდენს ძალზე მკაცრი წესები ჰქონდა. მასში შესასვლელად სულ მცირე ერთწლიანი გამოცდა იყო საჭირო. თუკი ადამიანს შესაბამისი თვისებები აღმოაჩნდებოდა, მას უფლება ეძლეოდა, დასწრებოდა განბანვის ცერემონიას, თუმცა ორდენის მოძღვრებთან სწავლა მხოლოდ ახალი, ორწლიანი გამოცდის შემდეგ შეიძლებოდა. ძმობაში მიღებისას ფიცს დებდნენ, ახალნაკურთხი ძმა იფიცებდა, რომ აღიარებდა ორდენის ყველა დებულებას და არასოდეს გასცემდა მის საიდუმლოს.

ამის შემდეგ რჩეული ესწრებოდა საერთო ტრაპეზს, რომელიც განსაკუთრებული ზარ-ზეიმით იყო აღბეჭდილი და ესეველების შინაგან კულტს წარმოადგენდა. ტრაპეზზე დასასწრები ტანსაცმელი განსაკუთრებით წმინდად ითვლებოდა და ჩვეულებრივი სამუშაოს შესრულებისას არ იცვამდნენ. ესეველთა ეს სერობები, იესოს თორმეტი მოციქულის სერობის პირველსახედ რომ გვევლინება, ლოცვით იწყებოდა და ლოცვითვე სრულდებოდა. აქვე განმარტავდნენ მოსესა და წინასწარმეტყველთა წმინდა წიგნებს. მაგრამ ტექსტის განმარტებას, ისევე, როგორც ხელდასხმას, სამი საფეხური ჰქონდა და სამი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძალზე მცირენი თუ აღწევდნენ უმაღლეს საფეხურს.

ეს ყოველივე ძალიან ჰგავს პითაგორელთა ორდენის სტრუქტურას,[23] მაგრამ ეს მსგავსება იმით არის გამოწვეული, რომ ყოველ ხელდასხმას ერთი და იგივე ორგანიზაცია გააჩნდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესეველები ორფევსისა და პითაგორას ძირითად დოგმას – სულის მარადიულობას ქადაგებდნენ. „სული, – ამბობდნენ ისინი, – ეშვება უდახვეწილესი ეთერიდან, გარკვეული ბუნებრივი ძალებით განსხეულდება და ისე იმყოფება სხეულში, როგორც ჯურღმულში. შემდეგ კი სხეულებრივი ჯაჭვის ხანგრძლივი მონობიდან თავდახსნილი, სიხარულით უბრუნდება ეთერს“.

ესეველთა ძმობაში მიღებული პირი მათთან ერთად ცხოვრობდა, საერთო ქონებას ინაწილებდა და დაუქორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებლობის ფიცს დებდა. საცხოვრებლად განმარტოებულ ადგილებს ირჩევდნენ, მიწას ამუშავებდნენ და უპატრონო ბავშვებს ზრდიდნენ. დაოჯახებული ესეველები მესამე საფეხურზე იმყოფებოდნენ, ისინი პირველ საფეხურზე მყოფთ ეხმარებოდნენ და მათვე ექვემდებარებოდნენ. ყველა მდუმარებით და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. უმეტესად მრთველები იყვნენ, ხუროები, მეზვრეები, მაგრამ არა ვაჭრები.

ესეველები მთელ პალესტინაში ცხოვრობდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად, შეხვედრისას ერთმანეთს ცნობდნენ და გულმხურვალედ ესალმებოდნენ. იესო და მისი მოწაფეებიც, ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისას, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველგან იპოვიდნენ გულთბილ მასპინძელს.

„ესეველნი, – ამბობს ჟოზეფი, – სამაგალითო ზნეობით გამოირჩეოდნენ: ისინი ახერხებდნენ აღმატებულიყვნენ თავიანთ ვნებებზე და ყოველგვარი ბოროტება დაეთრგუნათ. ყოველთვის კეთილმოსურნენი და მშვიდობისმოყვარულნი იყვნენ, მათი სიტყვა ფიცს აღემატებოდა. ჩვეულებრივ ყოფაში დაფიცებას ცოდვად მიიჩნევდნენ. მუდამ მზად იყვნენ ღიმილით აეტანათ ტანჯვა, ოღონდ არ დაერღვიათ საკუთარი ალთქმა“.

იესომ ესეველებში სულიერი ნათესაობა ჰპოვა, რადგან თვითონაც გულგრილად ეკიდებოდა იერუსალიმის კულტის გარეგნულ სიდიადეს, სადუკეველთა სიმკაცრეს და ფარისეველთა სიამაყეს, არც სინაგოგის სიცივე და პედანტიზმი იზიდავდა.

იოსების ნაადრევმა სიკვდილმა სრული თავისუფლება მიანიჭა მარიამის ძეს. მის ძმებს შეეძლოთ მამის საქმე განეგრძოთ და ოჯახზე ეზრუნათ. დედაც დაეთანხმა იესოს, ესეველებთან წასულიყო, ენგადში. იგი ძმასავით მიიღეს, რჩეულს შესაფერ პატივს მიაგებდნენ, რადგან ორდენის მასწავლებლებსაც კი ხიბლავდა თავისი მგზნებარე გულმოწყალებით და იმ ღვთიური ნიშნით, რომელიც მთელ მის არსებას აჩნდა.

და მაინც, მათგან შეითვისა იესომ ის, რისი მიცემაც მხოლოდ ესეველებს შეეძლოთ: წინასწარმეტყველთა ეზოტერული მოძღვრება და აქედან – ისტორიული და რელიგიური ევოლუციის ღრმა ცოდნა. მან შეიგრძნო ის უფსკრული, რაც აშორებდა ოფიციალურ ებრაულ დოქტრინას ხელმასხმულთა უძველესი სიბრძნისაგან, შეიგრძნო ის, რაც იყო ყველა რელიგიის დედა, რასაც მარადჟამს ებრძოდა „სატანა“, ესე იგი ბოროტი სული – პოლიტიკურ აბსოლუტიზმთან და ეკლესიის თვალთმაქცობასთან შერწყმული ეგოიზმი, ზიზღი და ყოვლის უარყოფა; მან შეიტყო, რომ შესაქმეს სიმბოლოებში თეოგონია და კოსმოგონია იყო დაფარული და ეს სიბრძნე ისე დაშორებოდა თავის ჭეშმარიტ არსს, როგორც შორდება უღრმესი მეცნიერება ბავშვურ ზღაპრებს. შექმნის დღეებში მან დაინახა მარადიული შემოქმედება, ელემენტთა ემანაციისა და სამყაროთა შექმნის გზით. მან შეიცნო სულთა წარმოშობის იდუმალება და თანამიმდევრულად სრულყოფილი არსებობით ან „ადამიანის თაობათა“ გზით სულის ღმერთთან დაბრუნების ჭეშმარიტება. იგი გაოცებული იყო მოსეს აზრის სიდიადით, ყველა ხალხის რელიგიური ერთობა რომ განჭვრიტა ერთიანი ღმერთის კულტის შექმნით და ისრაელში განახორციელა.

იქვე უნდა შეეტყო მოძღვრება ღვთის სიტყვაზე, რომელსაც ინდოეთში კრიშნა ქადაგებდა, ეგვიპტეში – ოზირისის ქურუმები, საბერძნეთში – ორფევსი და პითაგორა, და რომელსაც წინასწარმეტყველნი იცნობდნენ ძე კაცისა და ღვთის შვილის მისტერიებით.

ამ მოძღვრების თანახმად, ღვთის უმაღლესი გამოვლინება არის ადამიანი, რომელიც თავისი წყობით, ფორმით, ორგანიზაციით, თავისი გონებით არის ღვთის სახე და ხატი. მაგრამ ადამიანის მიწიერ ევოლუციაში ღმერთი თითქოს განბნეულია და განყოფილია მრავალ ადამიანში და მათ არასრულყოფილებაში. ის იტანჯება, ეძებს საკუთარ თავს, იბრძვის ადამიანის სულში, იგია – ძე კაცისა. სრულყოფილი ადამიანი, რომელიც ღვთის უმაღლესი აზრია და მარად იმყოფება მისი სურვილისა და მისი ნების წიაღში.

მაგრამ ცალკეულ ეპოქებში, როცა კაცობრიობის დაღუპვა გარდაუვალი იყო და აუცილებელი ხდებოდა მისი გადარჩენა ან ბიძგი ახალ საფეხურზე ასამაღლებლად, ღვთის რჩეული ღმერ-

თთან იგივდებოდა, ღმერთს იზიდავდა თავისი ძალით, სიბრძნით და სიყვარულით, რათა ღმერთი კვლავ აელორძინებინა ადამიანთა გონებაში. და მაშინ ღვთიური ბუნება, რომელიც სულის მეშვეობით შედის ადამიანში, კვლავ ხორციელდებოდა მასში: ძე კაცისა ღვთის ძედ და მის ცხოველ სიტყვად იქცეოდა.

სხვა საუკუნეებსა და სხვა ხალხებში უკვე იყვნენ მოსულნი ღვთის ძენი, მაგრამ ისრაელში მოსედან მოყოლებული, მხოლოდ ელოდნენ მომავალ მესიას. ნათელმხილველნი წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამჯერად მას მეუღლის ძეს უწოდებდნენ, რადგან სიყვარულის ნათელი ისე ძლიერად გაბრწყინდებოდა მესიაში, როგორიც ჯერ არავის ეხილა ამქვეყნად.

ეს საიდუმლოება, რასაც ესეველთა პატრიარქი მკვდარი ზღვის უკაცრიელ ნაპირზე, ენგადის სიმყუდროეში განუმარტავდა ყმაწვილ გალილეველს, იესოს საოცარიც ეჩვენებოდა და ნაცნობიც. ალბათ, უჩვეულო მღელვარება იპყრობდა, როცა პატრიარქი უხსნიდა იმ სიტყვებს, დღემდე რომ არის შემორჩენილი ენოქის წიგნში: უპირველეს ძე კაცისა იდუმალ იყო, უფალი თვის წიაღ ინახავდა მას და მხოლოდ რჩეულთ უმჟღავნებდა, მაგრამ ამა ქვეყნის მპყრობელთ თავზარი დაეცემათ და ძრწოლა აიტანთ, ოდეს ცოლის ძეს იხილავენ დიდების ტახტზე მჯდომარს.... და მაშინ რჩეული ყოველ წმინდანს და ღვთის ძალოვანებას იხმობს და იღაღადებენ ქერუბიმნი და ანგელოსნი ღვთისა.[25]

წინასწარმეტყველის ეს სიტყვები ახალი ძალით ცოცხლდებოდა იესოს სულში და ელვასავით ანათებდნენ უკუნს. ვინ უნდა ყოფილიყო ეს რჩეული და როდის მოევლინებოდა იგი ისრაელს?

იესომ რამდენიმე წელი დაჰყო ესეველებთან. ემორჩილებოდა ძმობის წესებს, მათთან ერთად სწვდებოდა ბუნების საიდუმლოებას და ოკულტურ თერაპიას. მან სძლია თავის მიწიერ ბუნებას და თავის უმაღლეს შემეცნებას მისწვდა. ფიქრობდა ადამიანის ბედზე და საკუთარ თავს შეიცნობდა. ესეველებთან მისი ყოფნის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ის ღამე, როცა იესომ უდიდესი საიდუმლოებით მიიღო მეოთხე საფეხურის უმაღლესი ხელდასხმა, ის ხელდასხმა, რასაც ამხოლოდ უმაღლესი წინასწარმეტყველური მისიისათვის გამზადებულნი იღებდნენ და რომელსაც ნებაყოფლობით იღებდა თავზე ხელდასხმული და ამტკიცებდნენ უხუცესნი.

შეკრება უზარმაზარ გამოქვაბულში მოხდა. მხოლოდ ორდენის წინამძღოლნი და უხუცესნი, იშვიათად, ერთი ან ორი ხელდასხმულიც ესწრებოდა ამ საიდუმლო ცერემონიას. მათ ჩირაღდნები და პალმის რტოები მოჰქონდათ, ტანთ სელის ტანსაცმელი ეცვათ, მქადაგებელი ქალები ესალმებოდნენ ახლად კურთხეულ ხელდასხმულს, როგორც „მეუღლესა და მეუფეს". შემდეგ ორდენის წინამძღოლი, ასი წლის მოხუცი (ეოზეფის მტკიცებით ესეველები ძალიან დიდხანს ცოცხლობდნენ) აწვდიდა მას ოქროს თასს – უმაღლესი ხელდასხმის სიმბოლოს, რომელშიც ღვთის ვენახის ღვინო ესხა – ღვთიური შთაგონების სიმბოლო.

შემონახულია ცნობა, რომ მოსემ ამგვარი თასიდან შესვა ღვინო სამოცდაათ უხუცესთან ერთად, უფრო ადრეკი აბრაამმა, რომელმაც მელიქსედეკისაგან მიიღო ამგვარი ხელდასხმა „პურით და ღვინით".[26] უხუცესი ამ თასს არასოდეს აწვდიდა იმ ადამიანს, ვისაც არ გააჩნდა წინასწარმეტყველური მისიის ნიშნები, მაგრამ თავად მისიის განსაზღვრა მხოლოდ წინასწარმეტყველს შეეძლო. მას უნდა ამოეცნო თავის თავში გზა, რადგან ასეთი იყო ხელდასხმის კანონი. არაფერი გარეგანი, ყოველივე შიგნიდან მოდის.

იმ წუთიდან იესო თავისუფალი ხდებოდა, სრული ბატონ-პატრონი იყო საკუთარი სიცოცხლისა და აღარ ემორჩილებოდა ორდენს. ამიერიდან თვითონ იყო ჰიეროფანტი, მინდობილი სულის ზემოქმედებას, რომელსაც შეეძლო უფსკრულში გადაეჩეხა იგი, ან ტანჯული და ცოდვილი კაცობრიობისთვის მიუღწეველ მწვერვალზე აემაღლებინა.

როცა ჰიმნების გალობის, ლოცვისა და უხუცესების მილოცვის შემდეგ იესო ნაზარეველმა თასი მიიღო, მთის ნაპრალში შემოჭრილი აისის სხივი გაკრთა ჩირაღდნებსა და ესეველ წინასწარმეტყველ ქალთა თეთრ სამოსელზე. ისინი შეკრთნენ, რადგან ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქზე ფერმიმქრალი გალილეველი ყმაწვილი დაინახეს, უდიდესი ნაღველი რომ დატყობოდა მშვენიერ სახეზე. ნეტა იმ წუთას ხომ არ გაიღვიძა მასში სოლომამის მოგონებამ და ამ დიადი ნაღველის საფარიდან ხომ არ განჭვრიტა თავისი გზა?

ამ დროს იოანე ნათლისმცემელი იორდანეს ნაპირებზე ქადაგებდა. იგი არ იყო ესეველთა ძმობის წევრი. მკაცრი ღვთისმსახურებით უდაბნოში დევნილი, იგი ხანგრძლივი მარხვითა და ლოცვით მსახურებდა უფალს, მზით გარუჯულ შიშველ ტანზე საკუთარი და თავისი ერის ცოდვათა მონანიების ნიშნად აქლემის ტყავი ემოსა, რადგან ღრმად შეიგრძნობდა ისრაელის უბედურებას და მის განთავისუფლებას ესწრაფოდა. მას სჯეროდა, რომ უცილობლად მოვიდოდა შურისმაძიებელი და სამართლიანობის აღმდგენელი მესია, მაქაბელის მსგავსად, ააჯანყებდა ხალხს, რომაელებს გააძევებდა, დამნაშავეებს სამაგიეროს მიუზღავდა და შემდეგ საზეიმოდ შემოვიდოდა იერუსალიმში, აღადგენდა იერუსალიმის სამეფოს და განადიდებდა მის სახელს.

ის მესიის მოსვლას უქადაგებდა ხალხს და არწმუნებდა, რომ მის მოსვლამდე ცოდვათა მონანიება და სულის განწმენდა იყო საჭირო. მას ესეველთაგან ჰქონდა მიღებული წმინდა განბანვის ცერემონია და იორდანეში განბანვას მთელი ერის სულიერ განწმენდად აღიქვამდა, ეს განათვლა და ცეცხლოვანი ქადაგებანი ურიცხვ ხალხს იზიდავდა.

იოანე ნათლისმცემლისკენ პალესტინის ყოველი კუთხიდან მოისწრაფოდნენ, რათა ყური მიეგდოთ წმინდა მეუდაბნოესათვის, მესიის მოვლენას რომ წინასწარმეტყველებდა. მისი ქადაგებით მოზიდული ხალხი რამდენიმე კვირას რჩებოდა იორდანეს სანაპიროზე, იქვე შლიდნენ კარვებს, რომ მესიის გამოჩენა არ გამოპარვოდათ. ზოგი იარაღსაც ისხამდა, რომ მესიის წინამძღოლობით დაეწყოთ წმინდა ომი. ჰეროდე ანტიპა და იერუსალიმის მღვდელმთავრები უკვე შეშფოთებული იყვნენ ხალხის მღელვარებით. დროც სახიფათო იყო. სამოცდათოთხმეტი წლის ტიბერიუსი კაპრეაში აღვირახსნილ ღრეობებს მართავდა. პონტოელი პილატე სულ უფრო და უფრო მკაცრად ეპყრობოდა ებრაელთ. ეგვიპტეში ქურუმები ქადაგებდნენ, რომ ფენიქსი ფერფლიდან აპირებდა აღდგომას. იესო იმხანად ჯერ ისევ გზას ეძებდა და იორდანეს უდაბნოში მივიდა რამდენიმე ესეველ ძმასთან ერთად, რომლებიც უკვე მაშინვე დაჰყვებოდნენ, როგორც მოძღვარს. მას სურდა, საკუთარი თვალით ეხილა ნათლისმცემელი, მოესმინა მისი ქადაგება და სახალხო ნათლობაში მიეღო მონაწილეობა. სურდა, ქედი მოეხარა და პატივი ეცა წინასწარმეტყველისთვის, რომელმაც გაბედა, ხმა აღემაღლებინა მმართველთა წინააღმდეგ და ისრაელ ლეთარგიული ძილიდან გამოეფხიზლებინა.

და მან იხილა სულთამხილავი ლომის ფაფრიანი მკაცრი ასკეტი, რომელიც თხის ტყავითა და ტოტებით შეკონწიწებული კარვის ქვეშ იდგა ხესთან. იქვე უდაბნოს მეჩხერ ბუჩქნარში, უამრავ ხალხს გაეშალა კარვები. აქ იყვნენ მეზვერეები, ჰეროდეს ჯარისკაცები, სამარიტელები, იერუსალიმელი ლტოლვილები, იდუმელები თავიანთი ცხვრის ფარებით და აქლემის ქარავნიანი არაბებიც კი, ხმობილნი „ხმით მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". მისი მქუხარე ხმა ბრბოს ეფინებოდა: „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ჰყუენით ალაგნი მისნი".[27] ფარისევლებსა და სადუკევლებს იგი იქედნეს შვილთ უწოდებდა. ამტკიცებდა, რომ „ანვე ესერა ცელი ძირსა ხეთასა ჰსმეს"[28] და ამბობდა: "მე ნათელ გცემ თქუენ წყლითა, მან ნათელი გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა"[29]

საღამოსპირზე, როცა მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა, იესო ხედავდა, როგორ მიემართებოდა ბრბო იორდანესაკენ, ჰეროდეს დაქირავებული ჯალათები და მკვლელები ქედს იდრეკდნენ ნათლისმცემლის წინაშე, წყალში ჩადიოდნენ და განბანებოდნენ.

იესო ნათლისმცემელს მიუახლოვდა. იოანეს ჯერ იესო არ ენახა, მაგრამ ესეველი მაშინვე შეიცნო სელის კაბით. ნათლისმცემლის მზერა იესოს თვალებს წააწყდა. მეუდაბნოე წინასწარმეტყველი შეაკრთო ამ მზერამ და მოულოდნელად აღმოხდა: „შენ ხარ მესია".[30] მაგრამ ესეველმა პასუხი არ გასცა, თავი დახარა და გულხელდაკრეფილმა სთხოვა იოანეს, დაელოცა. ნათლისმცემელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა სცოდნოდა, რომ ესეველ ხელდასხმულთათვის დუმილი ჩვეული მოვლენა იყო, მან ორივე ხელი გაიშვირა იესოსაკენ, რის შემდეგაც იესო და მისი თანმხლებნი წავიდნენ.

ნათლისმცემელმა თვალი გააყოლა იესოს. ეჭვი, დაფარული სიხარული და საოცარი ნაღველი ჩანდა მის მზერაში. რა ფასი ჰქონდა მის შთაგონებას და წინასწარმეტყველურ ძალას, იმ გაცისკროვნებულ ნათელთან შედარებით, რაც ამოიკითხა ამ უცნობის თვალებში? იმ დღიდან იგი ფარული მღელვარებით ქადაგებდა, რომ „ის უნდა განდიდდეს, მე კი დავიმცრო". ალბათ, უკვე გრძნობდა დაღლილობას და სიკვდილის მდუმარედ მომლოდინე ბებერი ლომის ნაღველს.

„შენ ხარ მესია?!" ნათლისმღებლის ეს სიტყვები ხმიანდებოდა იესოს გულში. გონიერი ცხოვრების დასაწყისიდანვე მან ღმერთი იპოვა საკუთარ თავში და ციური საუფლოს რწმენა მოელვარე ცეცხლით უნათებდა შინაგან ხილვებს.

მოგვიანებით, ადამიანურმა ტანჯვამ დაუსერა გული. ესეველმა ბრძენებმა ჩაახედეს რელიგიის საიდუმლოებაში და მისტერიის ცოდნა შესძინეს. მათ დაანახეს კაცობრიობის სულიერი დაცემა და მესიის მოლოდინი. მაგრამ სად უნდა ეძებნა ის ძალა, რომელიც ტანჯულ კაცობრიობას ჯოჯოხეთის უკუნიდან იხსნიდა? იოანე ნათლისმცემლის კითხვა ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში.

მას მარტოობა მოსურდა, ორმოც დღეს მარხულობდა, რასაც მათე სიმბოლური ლეგენდის ფორმით აგვიწერს. ცდუნება იესოსათვის ჭეშმარიტად დიდი განსაცდელი იყო, ამგვარ ცდუნებას აუცილებლად გადიან წინასწარმეტყველნი და რელიგიის განმაახლებელნი დიადი საქმის დასაწყისში.

ენგადის მაღლა, იქ, სადაც ესეველები ვენახებს ამუშავებდნენ, დაკლაკნილი ბილიკი მიემართებოდა გამოქვაბულისკენ, არწივის ბუდესავით რომ ეკიდა უფსკრულზე. ქვევით ადამიანთა ქოხები და ვენახები მოჩანდა, უფრო შორს – უძრავი და რუხი მკვდარი ზღვა და მოაბადის ჩამუქებული მთები. ესეველები ამ გამოქვაბულს იმ ძმებისთვის იყენებდნენ, რომელთაც მარტოობის გამოცდა უნდა გაევლოთ. ამ გამოქვაბულში ეწყო გრაგნილები, წინასწარმეტყველთა გამონათქვამებით, გამაჯანსაღებელი ნელსურნელებები, ლეღვის ჩირი და იქვე მოწანწკარე ნაკადული იყო მედიტაციების დროს ასკეტის ერთადერთი საზრდო. იესოც აქ განმარტოვდა.

უპირველესად მან სულიერად შეიმეცნა კაცობრიობის მთელი გზა და გაიცნობიერა მოწეული ჟამის სიმძიმე. სწორედ რომში მჟღავნდებოდა ის, რასაც სპარსი მოგვები არიმანს უწოდებდნენ, წინასწარმეტყველნი კი – სატანის მეუფებას, ბოროტების აპოთეოზს. უკუნი ჩამოსწოლოდა კაცობრიობას. ისრაელიტებმა მოსესაგან მიიღეს უწმინდესი მისია – მამის და სულიწმინდის რელიგია შეენახათ მსოფლიოსათვის, სხვა ხალხებისთვის გადაეცათ და მისი ამაღლებისათვის ეზრუნათ. შეძლეს კი ისრაელის მეფეებმა და მღვდელმსახურებმა ამ მისიის შესრულება?

მხოლოდ წინასწარმეტყველნი შეიგრძნობდნენ ებრაელი ხალხის წმინდა მისიას და პასუხობდნენ: არა! რომის მარწუხებში მოქცეული ისრაელი სულს ღაფავდა.

ღირდა კი კვლავ იარაღი აესხა ხალხს და კვლავ აღედგინა ისრაელის სამეფო? საჭირო იყო თუ არა დავითის შვილად გამოეცხადებინა თავი და ესაიასთან ერთად ეყვირა: „საწნახელი დავთრგუნე მარტომან და ნათესავთაგანი არა არს მამაკაცი ჩემ თანა, და დავთრგუნენ იგინი გულისწყრომისა მიერ, და დავთრგუნენ იგინი ვითარცა ქვეყანა და შთავიყვანე სისხლი მათი ქვეყანად მიმართ და შეისვარა სამოსელი ჩემი, რამეთუ დღე მისაგებელისა მოიწია მათ ზედა".[31] საჭირო იყო თუ არა მაქაბელად ქცეულიყო და მეფეპირველქურუმად გამოეცხადებინა თავი?

იესოს შეეძლო ამის აღსრულება. მან საკუთარი თვალით იხილა, რომ ხალხი მზად იყო იოანე ნათლისმცემლის მოწოდებას გაჰყოლოდა, ხოლო ის ძალა, რომელსაც საკუთარ თავში შეიგრძნობდა, უსაზღვროდ დიდი იყო. მაგრამ განა შესაძლებელია ძალმომრეობის ძალმომრეობით ძლევა? განა შესაძლებელია ხმალს აღესრულებინა ხმლის მეუფება? ეს ხომ ისევ შავ ძალას

აამოქმედებდა?

განა არ სჯობდა, ყველასათვის ემცნო ის ჭეშმარიტება, რაც მხოლოდ საკურთხევლებისა და ხელდასხმულთა საიდუმლოს წარმოადგენდა? იქნებ სჯობდა ადამიანთა გულებში ჩაესახა უმაღლესი ცოდნისა და შინაგანი ნათელხილვის იმედი? იქნებ აჯობებდა თავმდაბალთ და უცოდველთ ექადაგათ ცის საუფლო, კანონის საუფლო ნეტარების საუფლოთი შეეცვალათ, შინაგანად გარდაექმნათ ადამიანი, აღედგინათ მისი სულიერი დიდება?

რომელი გაიმარჯვებდა? სატანა თუ ღმერთი? ბოროტი სული, რომელიც მეუფებდა ამა ქვეყნის ძლიერებასთან ერთად, თუ ღვთიური სული, უხილავ, უმაღლეს სამყაროში რომ უფლობდა და ყოველი ადამიანის გულში იყო დავანებული? მაგრამ რა მოელოდა იმ წინასწარმეტყველს, რომელიც გაბედავდა ტაძართა საფარველის გარღვევას, ჰეროდესა და კეისრის წინ აღდგომას?

თუმცა ჟამმა მოაწია! შინაგანი ხმა წინასწარმეტყველი ესაიასავით არ ეუბნებოდა: „მიიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა დიდისა, და დაწერე მას ზედა საწერელითა კაცისათა მალად ქმნაი იავარსა ნატყუენავსა, რამეთუ მოწევნულ არს".[32] მას მარადიული ხმა უხმობდა: „აღდექ და სთქუ". უცილობელი იყო ცოცხალი სიტყვისთვის მიეგნო, მიეგნო იმ რწმენისათვის, რომელიც მთებს სძრავს, ძალისთვის, უძლეველ ციხე-სიმაგრეებს რომ იღებს.

იესო ლოცულობდა. ამ ლოცვის დროს რაღაც მღელვარება და შეშფოთება დაეუფლა. ის თანდათან კარგავდა საკუთარი ძალის შეგრძნებით მინჭებულ სიხარულს და სული უმძიმდებოდა. თითქოს შავი ღრუბელი შემოეჯანღა და ათასობით ლანდი რიალებდა ამ ღრუბლებში. მან თავისი ძმების – ესეველი მასწავლებლებისა და დედის სახეები შეიცნო. და ეს აჩრდილები ეუბნებოდნენ: „შენ შეუძლებელი გსურს! არ უწყი, რა მოჰყვება შენს სიგიჟეს! უარჰყავ!" მაგრამ დაუძლეველი შინაგანი ხმა ეწინააღმდეგებოდა: „ეს გარდაუვალია!" ამგვარად იბრძოდა რამდენიმე დღე, ხან კედელს მიყრდნობილი, ხან მუხლმოდრეკილი, ხანაც პირქვედამხობილი და სულ უფრო თვალნათლივ ხედავდა იმ უფსკრულს, უფრო შავდებოდა გარს [illegible] ღრუბელი, თითქოს რაღაც [illegible] და გამოუთქმელს უახლოვდებოდა.

შემდეგ იმ ნათელმხილავ ექსტაზში ჩაიძირა, როცა იღვიძებს ხოლმე ღრმად დაფარული უმაღლესი ცნობიერება, ყოველი საგანი ცოცხალ სულს უკავშირდება და წარსულისა და მომავლის ხატებს ამჭვირვალებს. გარე სამყარო ქრება, თვალი იხუჭება, ნათელმხილველი იმ ნათლის სხივებში ჭვრეტს ჭეშმარიტებას, რომელიც პირთამდე ავსებს ხოლმე მის არსებას და მისი ცნობიერებისგან ამ ნათლის საუფლოს ქმნის.

დაიქუხა, მთა შეზანზარდა. მოულოდნელმა ქარბუქმა ნათელმხილველი იერუსალიმის ტაძრის გუმბათზე აისროლა. ქვევით ბზინავდა ქალაქის სახურავები და კოშკები, წმინდა ჰიმნები ისმოდა ტაძართა საკურთხევლებიდან. ხალხით ივსებოდა ქუჩები. უმშვენიერესი ქალები ჰიმნებს გალობდნენ, ათასობით ხმა გაჰყვიროდა: „დიდება ისრაელის მეფეს".

–ეს მეფე შენ იქნები, თუ დამემორჩილები, – ჩაესმა ხმა.

– ვინ ხარ? – ჰკითხა იესომ.

და კვლავ აღდგა ქარიშხალი და მთის მწვერვალზე გადაისროლა იესო. მის ფერხთით განიხვნა ოქროს ბრწყინვალებით განათებული მინიერი საუფლო.

– მე ვარ სულთა მეუფე და მიწის თავადი, – ქვევიდან ისმა ხმა.

– ვიცი, ვინცა ხარ, – უთხრა იესომ, – შენ ათასი სახით ვლინდები და შენი სახელია სატანა. მეჩვენე შენი მიწიერი სახით.

ღრუბლებიდან გამოჩნდა ტახტზე მჯდარი, გვირგვინდადგმული მეუფის სახება. მკრთალი ნათელი გარს ერტყა მის მეფურ თავს. მუქი სილუეტი სისხლისფერ ნათებაში იკვეთებოდა, სახე ფერმკრთალი ჰქონდა და მზერა ხმალივით ბასრი. მან უთხრა: „მე ვარ კეისარი, ქედი მოხარე ჩემს წინაშე და მე გიბოძებ მიწიერ მეუფებას".

იესომ უპასუხა:

– განვედ, სატანავ! რამეთუ წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანისჰსცე, და მას მხოლოდ მსახურებდე".

და ჩვენებაც გაქრა.

ისევ ენგადის გამოქვაბულში აღმოჩნდა მარტო და იესომ იკითხა:

– რა ნიშნით ვძლევ მიწის მბრძანებელს?

– ძე კაცის ნიშნით, – ჩაესმა ხმა მაღლიდან.

და იმავ წამს მანათობელი თანავარსკვლავედი გამოჩნდა ჰორიზონტზე. ჯვრის ფორმისა იყო და ოთხი ვარსკვლავისაგან შედგებოდა. გალილეველმა იცნო ხელდასხმის უძველესი ნიშანი, ეგვიპტიდან რომ მოდიოდა და დღემდე ესეველებს შემოენახათ. კაცობრიობის დასაწყისში იაფეტის შთამომავალნი ჯვარს ეთაყვანებოდნენ, როგორც მიწიერი და ციური ცეცხლის სიმბოლოს, როგორც სიხარულისა და სიყვარულის მომნიჭებელ სიცოცხლის ნიშანს. მოგვიანებით კი ეგვიპტელი ხელდასხმულნი მასში ხედავდნენ მისტერიების, ერთიანში შერწყმული სამების სიმბოლოს, მსხვერპლის ხატებას, რომელიც ნაწევრდება, რომ შემდგომ სამყაროებში გამჟღავნდეს. სიცოცხლის, სიკვდილის და აღდგომის ეს ერთობლივი სიმბოლო ქვესკნელშიც არსებობდა, საფლავებზეც და ტაძართა გუმბათებზეც.

მანათობელი ჯვარი იზრდებოდა და ახლოვდებოდა. მისი ოთხი ვარსკვლავი ოთხ მზესავით ბრწყინავდა.

– შეხედე, სიცოცხლისა და უკვდავების მაგიურ ნიშანს, – უთხრა უხილავმა ხმამ, – ოდესღაც ადამიანები ფლობდნენ მას, შემდეგ კი დაკარგეს. გსურს, ისევ ადამიანებს დაუბრუნო ჯვარი?

– მსურს, – უპასუხა იესომ.

– თუ გსურს, უცქერე! ასეთია შენი ბედი.

უეცრად ჩაქრა ოთხი ვარსკვლავი, ჩამობნელდა. მიწა უჩვეულო გრიალმა შეაზანზარა, მკვდარი ზღვიდან მთა ამოიმართა, რომლის მწვერვალზეც შავი ჯვარი იყო აღმართული. ამ ჯვარზე სასიკვდილო ტანჯვით გათანგული ადამიანი იყო გაკრული. გააფთრებული ხალხი მთის ფერდობებს აწყდებოდა და ხმისჩახლეჩამდე ყვიროდა. „თუ მესია ხარ, იხსენი თავი!" ნათელმხილველმა ჯვარცმულში საკუთარი თავი შეიცნო...

ყველაფერს მიხვდა. მიწის მეუფის საძლევად იმ საზარელ ორეულს უნდა დამსგავსებოდა, რომელიც გაფრთხილებასავით დაუდგა თვალწინ. გულში ეჭვი შეეპარა, იგრძნო, უფსკრულის თავზე ეკიდა და ცხადლივ გაიცნობიერა ჯვარცმულის ტანჯვა, ადამიანთა მიერ შეურაცხყოფა, ცის უტყვი დუმილი.

– შენი ნებაა, მიიღებ ამ ბედისწერას, თუ უარყოფ, – უთხრა ხმამ.

ხილვა თანდათან იცრიცებოდა, ჯვარცმულის ხატება გაილია და უეცრად იესოს თვალწინ დაუდგა სოლოამის ემბაზთან თავმოყრილი დავრდომილნი, რომელნიც ევედრებოდნენ: „გვიხსენ ტანჯვისაგან, შენ, ვისაც სიყვარული ძალგიძს". იესო ნელა წამოდგა, ხელები გაშალა და მთელი ხმით იყვირა: „ვიღებ ჯვარს, დე, ხსნა ექნეთ მათ". იმავ წამს საზარი რყევა შეიგრძნო სხეულში, საშინელი ყვირილი აღმოხდა... შავი მთა ჩამოიქცა, ჯვარი გაქრა, სხივი დაადგა ნათელმხილველს, არამიწიერი ნეტარება ჩაელვარა სულში და უკიდეგანო სიმაღლეში გახმიანდა საზეიმო ხმა: „ეშმაკი იძლია! სიკვდილი დაითრგუნა! დიდება ძეს კაცისას! დიდება ძეს ღვთისას!"

როცა გონს მოეგო, მის ირგვლივ არაფერი შეცვლილიყო. ახლად ამოწვერილი მზე ანათებდა ენგადის გამოქვაბულს, თბილ ნამს დაენამა მისი გახევებული ფეხები. მთრთოლავი ნისლი დასდგომოდა მკვდარ ზღვას. არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ თვითონ იყო სხვა. ბედისწერის ზღვარი წაშლილიყო მისი ცნობიერების შეუღწეველ სიღრმეში. მან ამოიცნო თავისი ცხოვრების გამოცანა, მან დაიპყრო მსოფლიო და დიადი რწმენა ჩაესახა სულში. საკუთარი მიწიერი ბუნების დამარცხებით, გადატანილი სასიკვდილო აგონიიდან იშვა ციური სიხარულით აღსავსე ახალი ცხოვრება: მან უკვე იცოდა, რომ საკუთარი ნების ურყევობით მესიად იქცა.

ამის შემდეგ მალე დაბრუნდა ესეველთა დასახლებაში და შეიტყო, რომ იოანე ნათლისმცემელი ანტიპას შეეპყრო და მაკერუს ციხე-სიმაგრის ჯურღმულში ჩაეგდო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჟამმა მოაწია და დრო დადგა მოქმედებისა. მან აუწყა ესეველებს, რომ გალილეაში წავიდოდა „ცის საუფლოს სახარებლად".

ამ სიტყვებით ფარავდა თავის გადაწყვეტილებას, რათა უცოდველთა და უბრალოთათვის ხელმისაწვდომი გაეხადა დიადი მისტერიები და ყველასთვის გასაგებ ენაზე ექადაგა ხელდას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმულთა ცოდნა.

მსგავსი არაფერი მომხდარა მას შემდეგ, რაც საკია-მუნი – უკანასკნელი ბუდა – უსაზღვრო სიბრალულით აღვსილი ქადაგებდა განგის ნაპირებზე.

კაცობრიობისადმი იგივე ღვთიური სიბრალული ასულდგმულებდა იესოს, მაგრამ მან ისეთი სიყვარულით და რწმენით აღავსო სამყარო, ისეთი სიდიადე და შემოქმედი ენერგია მიანიჭა მას, რაც მხოლოდ იესოს ძალედვა. შემეცნებით გაზომილი და წინასწარ გადატანილი სიკვდილის წიაღიდან მან იმედი და მარადიული უკვდავება გამოიტანა ადამიანთათვის.

კომენტარები

1. „იესო" ედუარდ შიურეს „დიადი ხელდასხმულნის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავია; აქ მისი შემოკლებული ვარიანტი იბეჭდება. წიგნი „დიადი ხელდასხმულნი" რელიგიური აზროვნების ციკლს ასახავს უძველესი ხანიდან მოყოლებული – ქრისტემდე.

„ყველა დიდებულ რელიგიას, – ამბობს წინასიტყვაობაში ავტორი, – აქვს შინაგანი და გარეგანი ისტორია. ერთი – ხილული, მეორე – დაფარული. გარეგნულ ისტორიაში მე ვგულისხმობ დოგმებსა და მითებს, რაც ტაძრებსა და სკოლებში საჯაროდ ისწავლებოდა, კულტად იქცა და ხალხურ ცრურწმენებად გადაიზარდა. ხოლო შინაგან ისტორიაში ვგულისხმობ ღრმა მეცნიერებას, ფარულ ცოდნას – დიდებულ ხელდასხმულთა, წინასწარმეტყველთა და რეფორმატორთა ოკულტურ მოღვაწეობას, რომელთაც შექმნეს, ააღორძინეს და გაავრცელეს რელიგიის ცოცხალი სული. პირველი-ოფიციალური ისტორიაა, დღის სინათლეზე მიმდინარეობს და მის შესახებ ყველგან შეიძლება წაიკითხო. მეორეს შეიძლება ეზოტერული თქმულებები ან მისტერიული ცოდნა ვუწოდოთ. ეს ცოდნა ძნელად მისანვდომია, რადგან ტაძართა სიღრმეში ან შემოფარგლულ ძმობაში მიედინეობდა და მისი ყველაზე შემაძრწუნებელი დრამები დიად წინასწარმეტყველთა სულებში თამაშდებოდა. ისინი კი არანაირ პერგამენტს და არანაირ მოწაფეებს არ ანდობდნენ თავიანთ უმაღლეს განცდებს და ღვთიურ ექსტაზს. ამ ისტორიას შეიძლება ვუწოდოთ მარადიული, ერთიანი მსოფლიო რელიგიის ისტორია".

წიგნი რვა თავისაგან შედგება და ყოველ თავში ავტორი სხვადასხვა ეპოქის ხელდასხმულთა ცხოვრებასა და მათი მოღვაწეობის ღრმა ფილოსოფიურ, ეზოტერულ ასპექტს მიმოიხილავს. რამას(არიული ციკლი), კრიშნას(ინდოეთი და ბრაჰმანული ხელდასხმა), ჰერმესის(ეგვიპტის მისტერიები), მოსეს(ისრაელის მისია), ორფეევსის(დიონისეს მისტერიები), პითაგორას(დელფოს მისტერიები), პლატონის(ელევსინის მისტერიები) და იესოს(ქრისტეს მისია) განხილვისას ე. შიურე რელიგიასა და ფილოსოფიას ერთ მთლიანობაში განიხილავს.

უძველესი დროიდან გაუთქმელობისა და დუმილის ფიცით იყო დაცული და ტაძრების წიაღში მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილი რელიგიური ცოდნა სულის მარადიულობისა და ძე კაცის გამომსყიდველი მსხვერპლის შესახებ. ე. შიურეს რწმენით, საუკუნეების მანძილზე არსებული რელიგიური ცოდნა მხოლოდ კაცობრიობის ცნობიერების მზადება იყო იესოს მოსასვლელად.

შტრაუსის, რენანის და სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, შიურე არ აცალკევებს იესოს ორ საწყისს – ღვთიურსა და ადამიანურს. მისი ნაწარმოები კიდევ ერთი ცდაა, სულიერი და ფილოსოფიური კუთხით გაიაზროს იესოს გზა – დაბადებიდან ნათლისღებამდე და ნათლისღებიდან – ჯვარცმამდე.

მიწიერ ყოფაში გამოვლენილ ტრანსცენდენტულ ჭეშმარიტების ამოსავალ წერტილად ის მიიჩნევს იმ დაფარულ ცოდნას, რომელიც უძველესი რელიგიებიდან მოყოლებული იუდაიზმამდე და შემდეგ-იესომდე, ერთღმერთიანობის ცნებისა და ძე ღმერთის გამომსყიდველი მსხვერპლისათვის მზადება იყო.

2. ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე იესოს ცხოვრების შესახებ შექმნილი შრომების სრული სია შეიძლება მოინახოს მ. საბატიეს ნაშრომში. ამ წიგნში საკითხის მთელი ისტორიაა მოცემული. აქ მხოლოდ ორ უმთავრეს ფაზას გავიხსენებთ, რაშიც გამომჟღავნდა იესოს ცხოვრების შესწავლა და დაკავშირებულია შტრაუსისა და რენანის სახელებთან. გავიხსენებთ იმიტომ, რომ უკეთ დავადგინოთ ის ახალი თვალთახედვა, რასაც მე ვეყრდნობი. შტრაუსის ფილოსოფია ჰეგელიდან იღებს სათავეს, იგი მიეკუთვნებოდა ბაუერის ისტორიულ სკოლას და კი არ უარყოფდა ქრისტეს არსებობას, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სახარებაში აღწერილი მისი ცხოვრება მხოლოდ ქრისტიანობის ახალი მოთხოვნებით შექმნილი და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებებზე დაფუძნებული მითი და ლეგენდაა. მისი მთავარი დებულებები, რომელსაც არაჩვეულებრივი ხელოვნებითა და დიდი ერუდიციით იცავს და მხოლოდ წვრილმანებშია სწორი, მთლიანობაში აბსურდულად მცდარია. ამას გარდა შტრაუსი არ იკვლევს არც იესოს ხასიათს და არც ქრისტიანობის წარმოშობას. ამიტომაც შტრაუსის „იესოს ცხოვრება" მზის გარეშე დარჩენილ პლანეტარულ სისტემას გვახსენებს.

რენანის „იესოს ცხოვრებას" დიდი წარმატება ხვდა, მაღალ მხატვრული სტილისა და ავტორის სითამამის გამო, რადგან მან პირველმა სცადა იესოს ცხოვრება ადამიანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქოლოგიის თვალთახედვით გაერჩია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზულმა კრიტიკოსებმა უარყოფითად შეაფასეს ნამუშევარი, რადგან იესო თავდაპირველად ქედმოდრეკილ მეოცნებედ და მორალისტად გვეელინება, სიცოცხლის დასასრულს კი-უძლიერესი სასწაულმოქმედია, რომელსაც მთლიანად აქვს დაკარგული რეალობის შეგრძნება. „ისტორიკოსის ძალისხმევის მიუხედავად,-წერს საბატე, - რენანის იესოში ჩანს გონიერების შეცვლა უგუნურებით. ის ერთთავად ყოყმანობს პატივმოყვარეობის, ანგარებისა და ნათელმხილველ ოცნებებს შორის. ამ წიგნის მიხედვით, იესო მესიად ისე იქცა, არც კი სურდა მესიობა და არც კი ელოდა ამას. ამ წოდების მიღებაზე მხოლოდ მოციქულთა და ხალხის თხოვნით თანხმდება. ასეთი სუსტი რწმენით ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ შეძლებდა ახალი რელიგიის დაარსებას და სამყაროს სულის შეცვლას. რენანის „იესოს ცხოვრება" არის მაცოცხლებელი მაგნეტიზმითა და შემოქმედი ცეცხლით გაუნათებელი, მიმქრალი მზით მბუუტავი პლანეტარული სისტემა".

როგორ იქცა იესო მესიად-აი, ის უმთავრესი საკითხი, რაც აუცილებელია ქრისტეს სწორედ აღქმისათვის და სწორედ ამ საკითხს არიდებს თავს რენანი. ამას მიხვდა ფ. ვეიმი, რომლის „იესოს ცხოვრება" ყველაზე მნიშვნელოვანია რენანის წიგნის შემდეგ. ფ. ვეიმი ამ საკითხს ისტორიიდან მოტანილ და ეზოტერული წიგნების ნათლით აშუქებს, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია დიდი ინტუიციისა და ეზოტერული ცოდნის გარეშე.

მე ვცადე, ყველა რელიგიის შინაგანი სხივის და ყოველი ნაყოფიერი ფილოსოფიის ჭეშმარიტების ეზოტერული ნათლით განმეხილა იესოს ცხოვრება. ამ წიგნზე მუშაობისას სამ მოციქულს ვეყრდნობოდი: მათეს, მარკოზსა და ლუკას. იოანეს სახარება კი ქრისტეს ეზოტერული მოძღვრების განსახილველად გამოვიყენე.

ეს ოთხი სახარება, ერთმანეთს რომ უნდა აზუსტებდეს და ამოწმებდეს, ერთსახოვნად ზუსტი როდია. მათესა და მარკოზის სახარება მნიშვნელოვანია ფაქტების თვალსაზრისით. მათში ასახულია სახალხო მოძრაობები და სიტყვა. ლუკა ლეგენდის საფარქვეშ გვამზადებს მისტერიებისათვის. ეს არის სულიერი, ქალური საწყისისა და სიყვარულის სახარება. იოანე კი მისტერიების არსს ხსნის. მის სახარებაში ჩანს მოძღვრების შინაგანი სიღრმე. კლიმენტი ალექსანდრილი, ერთადერთი ქრისტიან ეპისკოპოსთაგან, რომელიც სამყაროული ეზოტერიზმის გასაღებს ფლობდა, სულის მოციქულს უწოდებდა იოანეს. იოანე ღრმად იყო ჩახედული მოძღვრის მიერ გადაშლილ მიღმიერ ჭეშმარიტებაში და უნარიც შესწევდა განეზოგადებინა ეს ჭეშმარიტებები.

3. მემფისის დელფოსის და ელევსინის მისტერიებში-ეგვიპტისა და საბერძნეთის დაფარულ მოძღვრებებში ისწავლებოდა უმაღლესი მეტაფიზიკა და სიმბოლური ფორმებით იქადაგებოდა ერთიანი, მარადიული ღმერთის, სულის უკვდავების და მკვდრეთით აღდგომის ცნებები.

4. ამ თვალთახედვას, დიამეტრალურად რომ უპირისპირდება არისტოტელესა და მონტესკიეს ემპირიულ სკოლათა თვალსაზრისს, იზიარებდა ყველა დიადი ხელდასხმული. მათ შორის პითაგორაც და მოსეც. იგივე იდეაა განვითარებული სენტ-ივის „ქრისტეს მისიაში".

5. სენატორი რესპუბლიკურ პერიოდში, დაბალი ფენებიდან რომ ირჩევდნენ.

6. ევალდი. წინასწარმეტყველებანი. შესავალი.

7. ესაიას წინასწარმეტყველება, თავი 60,10.12.13.18.

8. ესაია, თავი XI, 2-7.

9. ესაია. თავი I-III, 2,3,4,5,7.

10. ასეთია მოგვ-მეფეებზე შექმნილი ლეგენდის ეზოტერული აზრი, რომელნიც აღმოსავლეთიდან მოვიდნენ ბეთლემში ყრმა იესოსათვის პატივის მისაგებად.

11. ჰეროდე ჩვენი წელთაღრიცხვის დადგომამდე ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა. კრიტიკული გამოკითხვები ამ დროისათვის ასახელებენ ქრისტეს დაბადებასაც.

12. ისიც დასაშვებია, რომ იესო ბეთლემში დაბადებულიყო, მაგრამ ეს თქმულება უკვე გვიანდელ ლეგენდებს მიეკუთვნება.

13. მსაჯულთა XIII. 5.

14. მეფეთა პირველი I.II. 20.

15. იერემიას წინასწარმეტყველება. I. 4, 5.

16. იოანე. VIII. 58.

17. აპოკრიფული სახარება მარიამისა და მესიის ბავშვობის შესახებ, გამოცემული ტიშენდორფის მიერ.

18. ალბათ, ყველას ახსოვს რენანის „იესოს ცხოვრებაში" აღწერილი გალილეა, ასევე არანაკლებ მშვენივრად აღწერა ვოგუემ წიგნში „მოგზაურობა სირიასა და პალესტინაში".

19. ყოველი დროის მისტიურ ქრონიკებში ნათქვამია, რომ უმაღლეს სულიერ ჭეშმარიტებებს რჩეულნი გონით კი არა სწვდებოდნენ, არამედ შინაგანი წვდომის მეშვეობით, ხილვად რომ იქცეოდა. ამ სახის ფსიქიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენომენები ნაკლებად არის ცნობილი თანამედროვე მეცნიერებისათვის, მაგრამ მაინც უცილობელ ფაქტს წარმოადგენს. ეკატერინე სიენელს, ღარიბი მღებავის შვილს ოთხი წლის ასაკიდან ჰქონდა უცნაური ხილვები. მეცნიერ სვედენბორგს – ძალზე გაწონასწორებულ და ჭკვიან კაცს – ორმოცი წლის ასაკში, სრულიად ჯანმრთელს დაეწყო ხილვები. მე ამ მოვლენებს არ ვაიგივებ იმ ხილვებთან, იესოს რომ ჰქონდა, მხოლოდ მსურს დავამტკიცო შინაგანი აღქმის არსებობა, რაც შეგრძნებათა ფიზიკურ ორგანოებთან სულაც არ არის დაკავშირებული.

20. ლუკა II.52

21. ესაია LLX,3.18.

22. ფილონი, წვდომითი სიცოცხლის შესახებ.

23. საერთო ესეველებსა და პითაგორელებს შორის: ლოცვა მზის ამოსვლისას, სელის სამოსი, ძმობის სერობა, ერთწლიანი გამოცდა, ხელდასხმის სამი საფეხური, ორდენის ორგანიზაცია და საერთო ქონება, რომელსაც წარმართავდნენ რჩეული ზედამხედველნი, დუმილის აღთქმა, ფიცი, საიდუმლოდ შეენახათ მისტერიათა ცოდნა, მოძღვრების სამ ნაწილად გაყოფა: 1. სამყაროს პრინციპთა მოძღვრება ანუ თეოგონია – ის, რასაც ფილონი „ლოგიკას" უწოდებს; 2. ფიზიკა ანუ კოსმოგონია; 3. მორალი ეი. ყველაფერი, რაც ადამიანის ქცევას ეხება – მეცნიერება, რომელსაც საგანგებოდ შეისწავლიდნენ თერაპევტები.

24. ესეველთა მოძღვრებისა და იესოს მოძღვრების შემაკავშირებელი იდეები: მოყვასისადმი სიყვარული, როგორც უპირველესი მოვალეობა; აღთქმის დადება და ღვთის დაფიცება ჭეშმარიტების დასამტკიცებლად; ზიზღი ყოველგვარი სიცრუისადმი; მორჩილება; საიდუმლო სერობა, რომელიც ესეველთა ძმობის სერობას ემსგავსება, მაგრამ ახალი, მსხვერპლის ცნებით იმუხტება.

25. ენოქის წიგნი, თავი XLVIII, LXI. ეს ნაწყვეტი გვიჩვენებს, რომ სიტყვისა და სამების მოძღვრება, რომელსაც იოანეს სახარებაში ვხვდებით, ისრაელში ქრისტემდე დიდი ხნით ადრე არსებობდა და წინასწარმეტყველური ეზოტერიზმის სიღრმეებიდან იღებდა სათავეს. ენოქის წიგნში სულთა მეუფედ წარმოდგენილია მამა, რჩეულად – ძე, მეორე ძალად – სულიწმინდა.

26. შესაქმე, თავი XIV.18

27. მათე. 3. 3.

28. მათე. 3. 10.

29. მათე. 3. 11.

30. სახარების მიხედვით, იოანემ მაშინვე შეიცნო იესოში მესია და მონათლა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს წინააღმდეგობებიც. რადგან მოგვიანებით, ანტიპას მიერ დატყვევებული იოანე იესოს შეკითხვას უგზავნის: „შენა ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდეთ? (მათე XI.III). ეს დაგვიანებული ეჭვი გვიჩვენებს, რომ იოანე არ იყო დარწმუნებული იესოს მესიობაში, მაგრამ სახარების პირველი რედაქტორები ებრაელები იყვნენ და სურდათ, რომ ხელდასხმა იესოს იუდეველთა სახალხო წინასწარმეტყველისგან – იოანე ნათლისმცემლისგან მიეღო.

31. ესაია 63.3

32. ესაია, 8.1.

თარგმნა და კომენტარები დაურთო **მზია გელაშვილმა**

Эдвард Шюре "Великие посвященные" Репринтное воспроизведение издания 1914.
Совместное советско-канадское предприятие СП "КНИГА ПРИНТШОП"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ტერეზას „უბრალო გზა“

არასოდეს დაივიწყოთ ქრისტეს სიტყვები: „– ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ – ამბობს დედა ტერეზა.

დედა ტერეზას საქმიანობის მიზანს იმ ტანჯვის შემცირება წარმოადგენს, რომელსაც ის ღატაკთა და განწირულთა თვალებში ხედავს.

„მწყურია“ – ეს სიტყვები, მთელს მსოფლიოში მომსახურე მოწყალების დათა ოთახებშია გამოკრული, სიტყვები, რომლებიც ქრისტემ წარმოსთქვა სკვდილის წინ, სიტყვები, რომლებიც მოწყალების დებსა თუ ძმებს თავიანთი საქმიანობის არსს ახსენებს: „ჩვენი მიზანია დარწყულება ჯვარცმული ქრისტეს უსასრულო წყურვილისა სულიერი სიყვარულით. ჩვენ ვუვლით ქრისტეს, ვაპურებთ, ვასმევთ და ვაკითხავთ მას“ (ნაწყვეტი წესდებიდან).

„ჩემს მცირე ძმათაგანში“ – დედა ტერეზა გულისხმობს:
„მშივრებს და მარტოსულებს, რომელთაც არა მხოლოდ საკვები, არამედ ღვთის სიტყვა აკლიათ; მწყურვალებს, რომელთაც წყლის გარდა, ცოდნა, ჭეშმარიტება, სიმშვიდე, სამართლიანობა და სიყვარული აკლიათ; შიშვლებს და მოძულებულებს, რომელთაც არა მხოლოდ ტანსაცმელი, არამედ ადამიანური ღირსებაც აკლიათ; გარიყულ, არასასურველ ბავშვებს, რომლებიც თავიანთი რასის გამო დისკრიმინირებულნი არიან; უსახლკაროებსა და მიტოვებულებს, რომელთაც აგურის ჭერის გარდა, გამგები, მოყვარული გული აკლიათ; ავადმყოფებს, გატანჯულ მომაკვდავებსა და პატიმრებს, ასევე სულიერ პატიმრებს; ყველას, ვინც კი ცხოვრების რწმენა და იმედი დაკარგა; ლოთებს და ნარკომანებს და ყველას, ვინც ღმერთისა და სულიწმიდის იმედი დაკარგა“.

გარინდების ნაყოფი – ლოცვაა.
ლოცვის ნაყოფი – რწმენაა.
რწმენის ნაყოფი – სიყვარულია.
სიყვარულის ნაყოფი – მსახურება.
მსახურებისა კი – მშვიდობა.

ეს სტრიქონები, დაბეჭდილი პატარა ფურცლებზე, დედა ტერეზას სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა.

უბრალო გზა

გარინდების ნაყოფი ლოცვაა:

დედა ტერეზა: ჩვენ ყველამ უნდა გამოვნახოთ დრო გარინდებისა და ფიქრისთვის, ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც დიდ, ნიუ-იორკისა და ლონდონის მსგავს ქალაქებში ცხოვრობს, სადაც ყველაფერი ელვის სისწრაფით მიმდინარეობს. ლოცვას მე ყოველთვის გარინდებით ვიწყებ, რადგანაც გარინდულ გულში საუბრობს ღმერთი. ლოცვა სულს კვებავს – რაც სისხლია სხეულისათვის, ის არის ლოცვა სულისათვის და მას ჩვენ ღმერთთან ახლოს მივყავართ. მე ნახევარ საათსაც კი ვერ ვიმუშავებდი ლოცვის გარეშე. ძალას მე ღმერთისგან ვიღებ, ლოცვის საშუალებით. ბევრი მიყვება თუ როგორი ძნელია, საქმიან ცხოვრებაში ჩაფლულმა დრო გამონახო გარინდებისათვის.

დღევანდელ ცხოვრებაში ბევრი ხმაურია და ამის გამო, მრავალ ადამიანს ეშინია სიჩუმის. ხალხი ღმერთს დაეძებს, უფალი კი მხოლოდ სიჩუმეში გვესაუბრება, – უნდა ვეცადოთ დღის მანძილზე ხშირად გავიხსენოთ, რომ ლოცვა გვჭირდება და ვილოცოთ. ლოცვა გულს აფართოებს, იმ ზომამდე, რომ იგი უკვე ღვთის საჩუქრის დატევას შესძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვის ნაყოფი რწმენაა:

დედა ტერეზა: რწმენა ღვთის საჩუქარია. ღმერთი ყველგან და ყველაფერშია. ჩემი ცხოვრების მანძილზე არცერთი წუთით არ დავეჭვებულვარ მის არსებობაში. იესო ჩემთვის ერთადერთია. მე ყველაფერს მასთან ერთად ვაკეთებ, მისთვის ვაკეთებ და ამიტომ ამ საქმიანობის შედეგებს ჩემს დამსახურებად ვერ ჩავთვლი.

ადამიანმა ყველაფერი ისე უნდა მიიღო, როგორც არის. რწმენა ჩვენს საქმიანობას აადვილებს და ხალისით ავსებს.

კალკუტაში მოქმედ მომაკვდავთა თავშესაფრის კედელზე წერია: „ჩემი გზა ცისკენ მიდის".

დედა ტერეზა: ამ ქვეყანაზე ყველაფერს ღმერთი განაგებს. მის ხელთაა ჩვენი სიცოცხლე და გარდაცვალება. ჩვენ უნდა მივენდოთ მას და ჩვენი საქმეები განვაგრძოთ, იმ მომენტამდე, ვიდრე უფალი თავისთან მიგვიხმობდეს.

მოწყალების და, დოლორესი: „ყოველი დღე სიკვდილისათვის მზადებას წარმოადგენს. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ღმერთთან ერთიანობაში ცხოვრებას. სიკვდილი არაფერია გარდა უფალთან დაბრუნებისა".

„გარდაცვალება არ არის დასასრული, ის ცხოვრების გაგრძელებაა. ჩვენი სული ღმერთს უბრუნდება. სიკვდილის მერე სხეულს დავტოვებთ, ჩვენი სული და გული კი მარადიულობას შეურთდება".

რწმენის ნაყოფი სიყვარულია.

დედა ტერეზა: დღესდღეისობით, დასავლეთის უმძიმეს დაავადებებს ტუბერკულოზი და კეთრი კი არ წარმოადგენს, არამედ ის, რომ ადამიანები გრძნობენ: ისინი არ უნდათ, არ უყვართ, მარტოები არიან და არავინ ზრუნავს მათზე. სხეულის დაავადებათა განკურნება ნამლებით შეგვიძლია, ხოლო მარტოობის, სასოწარკვეთილებისა და უიმედობის ერთადერთი წამალი – სიყვარულია. დედამიწაზე მრავალი ადამიანია, სასოწარკვეთილი რომ ითხოვს ერთ ნაჭერ პურს, მაგრამ მათზე უფრო მეტია სასოწარკვეთილი, ცოტაოდენ სიყვარულს რომ ნატრობს.

იესომ გვითხრა: „გიყვარდეთ ერთმანეთი ისე, როგორც მე მიყვარხართ", იგი ასევე გვეუბნება: „მშიერი ვიყავ და დამაპურეთ, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ".

სიყვარულს აზრი არა აქვს, თუკი მას სხვას არ გავუნაწილებთ. სიყვარული საქმით უნდა გამოიხატოს. უნდა გიყვარდეს ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, უნდა აკეთო სუფთა სიყვარულით, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამისათვის რამე მიიღო სანაცვლოდ, ეს სიყვარული აღარ არის, რადგანაც სიყვარული უანგაროდ უნდა გაიცეს.

როდესაც საჭიროა, ღმერთი გვმართავს. მან მოგვცა ნიშანი, რომ შიდსიანებისათვის გვეპატრონა. ჩვენ არ განვსჯით ამ ადამიანებს, არასოდეს ვეკითხებით, რამ მიიყვანა ისინი ამ დაავადებამდე, ჩვენ უბრალოდ ვხედავთ მათ გაჭირვებას და ვზრუნავთ მათზე. მე მჯერა, რომ უფალი შიდსით რაღაცას გვეუბნება, რომ ის საშუალებას გვაძლევს გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული.

მოწყალების და, დოლორესი:

– შიდსიანი პაციენტები, რომლებიც ჩვენთან მოდიან, დასაწყისში ძალიან შეშინებულები არიან. მათვის ძნელია იმ ფაქტთან შეგუება, რომ უნდა დაიღუპონ. მაგრამ მერე, როდესაც ჩვენთან რჩებიან და როდესაც ხედავენ ჩვენს დამოკიდებულებას მომაკვდავებისადმი, ისინი იცვლებიან. ერთხელ ერთმა პაციენტმა მითხრა: „მე ვიცი, როდესაც მოვკვდები, თქვენ აქ იქნებით და ჩემი ხელი გეჭირებათ". მას უბრალოდ ნანახი ჰქონდა, როგორ კვდებოდნენ სხვები და როგორ გვეჭირა მათი ხელები და იცოდა, რომ იგი მარტოობაში არ მოკდებოდა. ჩვენ ამ ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებთ".

დედა ტერეზა: სიყვარულში უნდა ვიზრდებოდეთ, უნდა გავცეთ ჩვენი სიყვარული – უნდა გვიყვარდეს ძალიან, ძალიან – ტკივილამდე, ისე, როგორც იესოს უყვარდა. ჩვეულებრივი საქმიანობა არაჩვეულებრივი სიყვარულით უნდა აკეთო. იმიტომ რომ ის, რასაც გასცემ, შენთვის ფასეული უნდა იყოს. არ უნდა გასცე ისეთი რამ, რაზედაც ადვილად შეგიძლია უარის თქმა, არამედ ისეთი, რის გარეშეც სიცოცხლე არ შეგიძლია ან რის გარეშეც არ გინდა დარჩენა, ის რაც შენს გულშია ფესვგადგმული.

სიყვარულის ნაყოფი მსახურებაა.

კალკუტას უპატრონო ბავშვთა სახლის კედელზე დაფაა გამოკრული:

გამონახე დრო ფიქრისათვის –
ის ძალის სათავეა;
გამონახე დრო ლოცვისათვის –
ეს უდიდესი ძალა-უფლებაა დედამიწაზე;
გამონახე დრო სიცილისათვის –
სიცილი სულის მუსიკაა;
გამონახე დრო თამაშისათვის –
თამაში მარადი ახალგაზრდობის საიდუმლოა;
გამონახე დრო, რათა გიყვარდეს და შენც უყვარდე, –
სიყვარული ღვთის საჩუქარია;
გამონახე დრო გაცემისათვის –
დღე ხომ ძალზე მოკლეა ეგოიზმისთვის;
გამონახე დრო საკითხავად –
კითხვა სიბრძნის წყაროა;
გამონახე დრო, იყო მეგობრული –
მეგობრობა გზაა ბედნიერებისკენ;
გამონახე დრო სამუშაოდ –
ეს წარმატების საწინდარია;

გამონახე დრო ემსახურო მოყვასს შენსას –
ისინი არიან ცის გასაღები;

ლოცვა სიყვარულია; სიყვარული კი — მსახურება.

დედა ტერეზა: ეცადე, ადამიანს უანგაროდ მისცე ის, რაც მას იმ წუთში სჭირდება. დაანახო მას, რომ ის შენთვის რაღაცას ნიშნავს.

ჩვენ ყველანი ღვთის შვილები ვართ, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ერთმანეთს მის მოწყალებას ვუნაწილებდეთ. ნუ იდარდებ იმაზე ფიქრით, თუ რატომ არსებობს ამ ქვეყანაზე პრობლემები – შენ უბრალოდ, ადამიანების მოთხოვნილების შესაბამისად ირეაგირე ამ პრობლემებზე.

უფალი ასეთი მოწყალე იყო ჩვენდამი, ჩვენც მივუახლოვდეთ მას ჩვენი საქმიანობით. ქრისტემ თავისი ცხოვრება მხოლოდ კეთილ საქმეებში გაატარა. მე სულ ვახსენებ ჩვენს მოწყალების დებს, რომ ქრისტე თავისი ცხოვრების სამი წელიწადი ავადმყოფებს, ბავშვებს და მოხუცებს ემსახურებოდა... სწორედ ამას ვაკეთებთ ახლა ჩვენც... შეგეძლოს მსახურება – ეს ჩვენთვის დიდი პატივია და ჩვენც ვცდილობთ ვაკეთოთ სიკეთე მთელი გულით. ვიცით, რომ ჩვენი საქმიანობა მხოლოდ წვეთია ზღვაში, მაგრამ ამ წვეთის გარეშე ზღვა ხომ უფრო პატარა იქნებოდა?!

მსახურების ნაყოფი მშვიდობაა.

დედა ტერეზა: ყოველთვის, როდესაც სიყვარულს გასცემ – მშვიდობას იგრძნობ. იქ, სადაც მშვიდობაა, ღმერთიც არის. უფალი ჩვენს გულებს მშვიდობას და სიხარულს უგზავნის და ამით თავის სიყვარულს გვაჩვენებს.

ჩვენ გავქვს უფლება, ბედნიერებმა, მშვიდობით ვიცხოვროთ. ჩვენ იმისათვის ვართ შექმნილნი, რომ ვიყოთ ბედნიერნი. ჭეშმარიტ ბედნიერებასა და მშვიდობას მაშინ ვიპოვით, თუკი უფალი გვეყვარება, რადგანაც ღვთის სიყვარული სიხარულია, დიდი ბედნიერება დევს მის სიყვარულში. მრავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანს, განსაკუთრებით დასავლეთში, სჯერა რომ ფული მიანიჭებს ბედნიერებას. მე კი ვფიქრობ, რომ ძალიან ძნელია, იყო ბედნიერი, როდესაც მდიდარი ხარ, რადგანაც ამ დროს ძნელია უფლის დანახვა: მდიდარს იმდენი სხვა პრობლემა აქვს, რაზედაც ფიქრობს. მაგრამ თუკი ღმერთი მოგანიჭებს უნარს, იყო მდიდარი, მაშინ გამოიყენე შენი სიმდიდრე უფლის მიზნებისათვის, დაეხმარე სხვებს, დაეხმარე გაჭირვებულებს, შექმენი სამუშაო ადგილები, დაასაქმე ხალხი.

ნურასოდეს დაივიწყებთ იესოს სიტყვებს: **„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“.**

ინტერვიუდან

კითხვა: დედაო, როდესაც თქვენს განვლილ ცხოვრებას ადევნებთ თვალს, იტყოდით, რომ ეს ბედნიერი ცხოვრება იყო?

დედა ტერეზა: ეს იყო ბედნიერება, რომელსაც ვერავინ წამართმევს; მე არასოდეს მიორჭოფია და არასოდეს მიგრძვნია თავი უბედურად:

კითხვა: როგორ ხდება, რომ თქვენი მოწყალების დები, ყველანი ასეთი ბედნიერები ჩანან?

დედა ტერზა: ჩვენი მიზანია, გაჭირვებულები და ღარიბები ჩვენს სიყვარულს გრძნობდნენ. ჩვენ არ შეგვიძლია ამ ადამიანებს, მოწყენილი სახეებით ვენახოთ. უფალს ისინი უყვარს, ვინც სიხარულით გასცემს.

კითხვა: მიუხედავად ასეთი რწმენისა, თუ ჩნდება ხანდახან ეჭვი, ვთქვათ რაიმე დავალების შესრულებისას?

დედა ტერეზა: ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისთვის სრულდება დავალება. დედა არასოდეს ეჭვობს, როდესაც იგი თავის შვილებზე ზრუნავს, იმიტომ რომ მას უყვარს ისინი. ეს სიყვარული ყველაფერს ცვლის მის ცხოვრებაში. იგივე გვეხება ჩვენც. თუკი ჩვენ მართლა გვიყვარს ქრისტე, არასოდეს ვეჭვობთ და ვორჭოფობთ. შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნილება, რომ რაიმე უკეთესად გააკეთო, მაგრამ ჩვენ არასოდეს გვეპარება ეჭვი. ეჭვი ჩვენ ხელს შეგვიშლიდა.

კითხვა: როდესაც ხედავ ადამიანს, რომლის სხეულიც კეთრისგან არის შეჭმული ან დაჩირქებულია, ხომ შეიძლება გაგიჩნდეს ეჭვი: შეეხო თუ არა მას?

დედა ტერეზა: – ეს ეჭვი არ არის, ეს შიშია.

კითხვა: როგორ შეიძლება ამ შიშის დაძლევა?

დედა ტერეზა: პირველ რიგში – ლოცვით. იმას, ვისაც უფალი უყვარს, ადვილად შეუძლია ასეთი ადამიანის მიღება და თანაც სიყვარულით. ასეთი რამ შესაძლებლობაა, რომ უფლისადმი სიყვარული საქმედ ვაქციოთ.

კითხვა: თქვენ ყოველ დღე მსახურობთ. არა გაქვთ უქმი დღეები და დღესასწაულები?

დედა ტერეზა: ჩვენთვის ყოველი დღე დღესასწაულია!

გერმანულიდან თარგმნა **ანა მარგველაშვილმა**

* წიგნებიდან: "Mutter Teresa" Navin Chawla "Mutter Teresa - DER EINFACHE WEG"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამლეტ ზუკაკიშვილი

პაველ ფლორენსკი – გზა რელიგიისკენ

1997 წლის 21 იანვარს 115 წელი შესრულდა დიდი რუსი რელიგიური ფილოსოფოსის პაველ ფლორენსკის დაბადებიდან. წელსვე, 8 დეკემბერს სრულდება 60 წელი იმ დღიდან, როცა იგი ლენინგრადის შინსახკომის საგანგებო სამეულის განაჩენით დახვრიტეს.

ვ. ბელინსკი კავკასიას მიიჩნევდა პუშკინის, შემდგომ კი ლერმონტოვის პოეზიის აკვნად. „პუშკინის წყალობით, – წერდა იგი, – კავკასია იქცა არა მარტო სილაღისა და თავისუფლების, არამედ ამოუწურავი პოეზიის აღთქმულ ქვეყნად, მჩქეფარე ცხოვრებისა და გაბედული ოცნების ქვეყნად“.

პაველ ფლორენსკის მაგალითი მიუთითებს, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო, მარტო რუსეთის პოეზიის აკვანი არ ყოფილა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მეორე კლასიკური გიმნაზიის იმ კლასში, რომელშიც ფლორენსკი სწავლობდა, სწავლობდნენ აგრეთვე რუსული რელიგიური ფილოსოფიური რენესანსის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი ვლადიმერ ერნი, ცნობილი მხატვარი-ფუტურისტი დავიდ ბურლიუკი და სხვები. ამავე კლასში სწავლობდა როზენფელდიც (მომავალი კამენევი).

საქართველოში ფლორენსკების ოჯახის უკვე მესამე თაობა ცხოვრობდა. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან აქ მსახურობდა პაველ ფლორენსკის პაპა – სამხედრო ექიმი, მისი მამა კი უკვე თბილისში სწავლობდა, მან პირველი კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. მისი თანაკლასელი იყო ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი. პეტერბურგის საგზაო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი კვლავ საქართველოში ბრუნდება და აქტიურად მონაწილეობს საავტომობილო გზებისა და რკინიგზის მშენებლობაში.

ფლორენსკი გატაცებული იყო გენეალოგიის შესწავლით და დაადგინა თავისი წინაპრების ოთხ-ოთხი თაობა, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან. მისი ყველა წინაპარი (მამის მხრიდან) პაპამდე – ეკლესიის მსახური ყოფილა კოსტრომის გუბერნიაში. პაპაც სემინარიაში სწავლობდა, მას წარმატებულ სასულიერო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თავად გადაწყვიტა, ექიმი გამხდარიყო და სამხედრო-სამედიცინო აკადემია დაამთავრა. პაველ ფლორენსკი მიიჩნევდა, რომ ყველა ის უბედურება, რაც ფლორენსკების ოჯახს დაატყდა თავს, საოჯახო მოწოდებისადმი ღალატის საზღაური იყო.

პაველ ფლორენსკის დედა, რომელიც მამამისმა პეტერბურგში გაიცნო, იყო ცნობილი სომხურ-ქართული გვარების – საფაროვებისა და პაატაშვილების შთამომავალი, რომლებიც ჯერ სიღნაღში, შემდეგ კი თბილისში ცხოვრობდნენ. საფაროვები ყარაბაღიდან იყვნენ. პაველ ფლორენსკის საკუთარი მოსაზრება ჰქონდა ყარაბაღელი სომხების წარმომავლობაზე: იგი მიიჩნევდა, რომ ისინი არიან ამ ტერიტორიაზე ადრე მცხოვრებ ალბანელთა მემკვიდრენი, რომლებიც, თავის მხრივ, კართაგენიდან არიან გამოსულნი. ამ უძველესი ხალხის კვალად მას უდები მიაჩნდა.

პაველ ფლორენსკი ევლახში დაიბადა. იგი რამდენიმე თვის იყო, როდესაც მისი მშობლები თბილისში დასახლდნენ და მთელი ბავშვობა, აგრეთვე ყრმობის წლები, მან საქართველოში, ძირითადად ბათუმსა და თბილისში გაატარა.

პაველ ფლორენსკიმ თავისი ბავშვობა და ყრმობა 1916-1925 წლებში აღწერა წიგნში „ჩემს შვილებს... წარსული წლების მოგონებები“, რომელიც აღზრდის რომანის ბრწყინვალე ნიმუშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს.

მისი მამა, ალექსანდრე ფლორენსკი, თავისი დროის ტიპური წარმომადგენელი იყო და თაყვანს სცემდა მეცნიერებას, რომელსაც XIX საუკუნეში დიდი და შთამბეჭდავი მიღწევები ჰქონდა. ამიტომ თავის პირმშოს იგი განსაკუთრებულად ზრდიდა, უნერგავდა რა მას ბუნებისმეტყველების სიყვარულს. თვით პაველ ფლორენსკი თვლიდა, რომ კავკასიურ ფესვებს, კავკასიაში გატარებულ ბავშვობას, განსაკუთრებით კი კავკასიის ბუნებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი პიროვნებისა და ფილოსოფიური შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

პაველ ფლორენსკი ბავშვობიდანვე დაინტერესდა .გეოლოგიით, მინერალოგიით, ბოტანიკითა და ფიზიკით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ოჯახის დამოკიდებულება რელიგიისადმი. იმის გამო, რომ მშობლები სხვადასხვა კონფესიის აღმსარებლები იყვნენ (დედა – გრიგორიანულის, მამა კი – მართლმადიდებლურის), ისინი უფრთხილდებოდნენ ურთიერთის. რელიგიურ გრძნობებს და ოჯახში პრაქტიკულად არ იგრძნობოდა განსაკუთრებული რელიგიურობა. პატარა პაველს უღვივებდნენ თავისებურ პანთეიზმს, ბუნების თაყვანისცემას.

ბუნებისმეტყველებით აგრერიგად გატაცებული, იგი მოკრძალებას განიცდიდა ბუნებაში გამეფებული მიზანშეწონილობის, სულიერი და უსულო ბუნების კანონზომიერებათა მიმართ, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ბავშვობიდანვე მას კანონებზე მეტად აინტერესებდა გამონაკლისები ამავე კანონებიდან, ეი. მას არ მოსწონდა ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული მყარი დეტერმინირება. „ყველაფერი განსაკუთრებული და უჩვეულო მეჩვენებოდა სხვა სამყაროს მაუწყებლად და იპყრობდა ჩემს აზროვნებას, უფრო ზუსტად – ჩემს წარმოდგენებს". „იდუმალი კვებავდა ტვინს, ყველაფერი ის კი, რაც გაკვირვებას არ იწვევდა, მეჩვენებოდა მშრალ ბზედ, რომელიც არ შეიცავს მკვებავ ნივთიერებებს. თუმცა ძალიან ცოტა იყო ისეთი რამ, რაც არ მაკვირვებდა, რაც განსაკუთრებული არ იყო და უამრავი რამ, რასაც უფროსები გულგრილად უვლიდნენ გვერდს, აღფრთოვანებდა ჩემს გონებას და პირველსახით აღიბეჭდებოდა მასში. ეს Urphaenomenon შემდგომში ხდებოდა შემეცნების იარაღი, კატეგორია, ძირითადი ფილოსოფიური ცნება, რომლის გარშემოც ჯგუფდებოდა ყოველივე და ხდებოდა მთელი გამოცდილების დაკრისტალება. სწორედ ასე, ადრეული ბავშვობიდანვე ჩამოყალიბდა ჩემს გონებაში ცოდნის კატეგორიები და ძირითადი ფილოსოფიური ცნებები. შემდგომში, უფრო გვიანდელმა განსჯამ კი არ განამტკიცა და გააღრმავა, პირიქით, ფილოსოფიის შესწავლამ შეარყია და დააბნელა ისინი, სამაგიეროდ კი არაფერი მომცა, თუ არ ჩავთვლით მწარე გრძნობას. მაგრამ, ნელ-ნელა, ვუფიქრდებოდი რა საერთო მსოფლმხედველობის ძირითად ცნებებს და ვამუშავებდი მათ ლოგიკურად და ისტორიულად, მე მოვიპოვე მყარი ნიადაგი და როდესაც მიმოვიხედე ირგვლივ, აღმოჩნდა, რომ ეს მყარი ნიადაგი ის ნიადაგია, რომელზეც ადრეული ბავშვობიდან ვიდექ. აზრებში ხეტიალის შემდეგ შემოვხაზე წრე და ძველ ადგილზე აღვმოვჩნდი. ჭეშმარიტად, არაფერი ახალი არ გამიგია, მხოლოდ „გავიხსენე", დიახ, გავიხსენე ჩემი პიროვნების საფუძველი, რომელიც ბავშვობაში ჩამოყალიბდა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, რომელიც იყო ყველა სულიერი მეცნიერების თესლი, ცნობიერების სულ პირველი გაბრწყინებიდან".

თუ რამდენად სერიოზულად მუშაობდა ფიზიკაში, იქიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს პეტერბურგის სამეცნიერო ჟურნალმა – რუსეთის ასტრონომიული საზოგადოების მაცნემ გამოაქვეყნა მისი ნაშრომები: „დედამიწის ელექტრული და მაგნიტური მოვლენების შესახებ" და „ნისლოვანი ლაქების აღწერის ცდები".

მის მოგონებებში აღწერილია მოგზაურობა რაჭიდან სვანეთში, რომელიც ბრწყინვალედ ასახავს ბუნების სიმშვენიერეს და საქართველოს ამ მხარის გეოლოგიის ზუსტ მეცნიერულ სურათსაც იძლევა.

მაგრამ, უკვე გიმნაზიის უკანასკნელ კლასში მან განიცადა ძლიერი სულიერი ტრამვა, მიხვდა რა, რომ მეცნიერებას არ ძალუძს, გასცეს პასუხი უკანასკნელ კითხვებზე: „საიდან ვართ? ვინა ვართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით მივდივართ?" მოგვიანებით მან იმდენად შთამბეჭდავად აღწერა ამ პერიოდში განცდილი, რომ გადავნყვიტეთ, თავად მას დავუთმოთ სიტყვა:

„ხშირად მივუყვებოდი ოსეთის სამხედრო გზას ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისკენ, რიონის ხეობის წყლით დასერილი თეთრი კირქვის კლდეების ძირში, სადაც უამრავი გამოქვაბული იყო. მუქმწვანე, პრიალა ფოთლებიანი და მარჯნის ყვავილებიანი გარეული ბროწეულის ბუჩქები, მაღალ ხეებზე შემოხვეული გარეული ვაზები და უამრავი სხვა საოცარი ხე და ბუჩქი ჩემში ადრეული ბავშვობის მოგონებებს აღვიძებდა.

როდესაც მე, მარტო, არცთუ უშიშრად, ავდიოდი გუმბათჩამონგრეული უზარმაზარი ტაძრის კოლოსალურ ნანგრევებზე, დავეხეტებოდი დიდ ლოდებს შორის, რომლებითაც ტაძრის შიდა სივრცე იყო ჩახერგილი, დავხტოდი მისი სვეტების უზარმაზარ კაპიტელებზე, ვგრძნობდი ამ ყველაფრის შესატყვისობას ჩემს შინაგან ცხოვრებასთან. როცა მამაჩემთან ერთად მოვდიოდი, იგი არავითარ სურვილს არ ავლენდა, ჩემთან ერთად ეხტუნავა ქვის ქაოსში, ჯდებოდა შესასვლელთან და მაღლობიდან გასცქეროდა რიონის დინებას. ქვებზე ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა სხვადასხვა ორნამენტი და უცნაური გამოსახულება. ოთხწახნაგა კაპიტელების კუთხეებში ისხდნენ უზარმაზარი ჭოტისმაგვარი ფრინველები, თვით წახნაგებზე კი ამოკვეთილი იყო ცხოველების ან ნახევრადცხოველების კომპოზიციები. მიუხედავად იმისა, რომ არცთუ კარგად ვხატავდი, შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, ჩემს ალბომში ჩამეხატა სულიერი სამყაროს ეს გამოვლენები და, თუმცა ისინი ბოლომდე არ მესმოდა, მაინც მაღელვებდნენ, თითქოს რაღაც ახლობელს ვეხებოდი. ხანდახან ძალიან მაღლა ვძვრებოდი, გვერდითი ნავის აბსიდის ფანჯარაზე, და იქიდან დავცქეროდი მთელს ნაგებობას.

ჩემს პირდაპირ აღიმართებოდა კარგად შემონახული მეორე აბსიდა. მუქი სვია, რომელიც ამ ადგილებში ყველაფერს ფარავს, კედელს უკნიდან შემოხვეოდა და მთლიანად ავსებდა მის შიდა ჩაზნექილ მხარეს. ერთხელ სახურავის კეხზე ბალანსირებით, თუმცა ჩამოვარდნის საფრთხე მემუქრებოდა, გადავიღე ეს სვიის საფარი. ამ ნანგრევებში არაფერი არ მახსენებდა იმ მსოფლმხედველობას, რომელსაც შინაგანად ვებრძოდი: პირიქით, ამ დანგრეული კედლებიდან მოპქროდა სხვაგვარი კულტურის სულიერი მონაბერი, რომლისკენაც გაუცნობიერებლად, მთელი სულითა და გულით ვილტვოდი. ეს ქვები ცოცხლობდნენ, განაგრძობდნენ ცხოვრებას. შეუძლებელი იყო, არ გეგრძნო ის სულიერი ძალები, რომლებიც აქ არსებობდნენ და საკუთარ თავზე, ფიზიკის კანონთა საწინააღმდეგოდ, ნათლად ღაღადებდნენ გაცილებით მეტს, ვიდრე ნებისმიერი ფილოსოფიური თუ ღვთისმეტყველური განსჯა. ჩემმა საბუნებისმეტყველო აღზრდამ აქ, ისევე როგორც ხშირად შემდგომში, იმოქმედა იმ სამეცნიერო აზრის წინააღმდეგ, რომლის სამსახურშიც იგი უნდა ჩამდგარიყო: იგი მავალდებულებდა, უშუალოდ აღქმული ფაქტებისთვის უფრო მეტი ანგარიში გამეწია, ვიდრე განყენებული ცნებებისთვის. ასეთ ფაქტად ჩემს წინაშე აღმართულიყო ფიზიკასთან შეუთავსებადი ამ ნაგებობის უტყუარი სულიერი ცხოვრება, პარმონიულად შერწყმული ბუნების ცხოვრებასთან. თანაც აქ მე მამაჩემთან ერთად ვიყავი და ეს იწვევდა ბავშვობისდროინდელის მსგავს ურთიერთობას და სამყაროს ბავშვურ აღქმას აღვიძებდა.

...ერთხელ გავემგზავრეთ ციხესიმაგრით გარშემორტყმულ გელათის უძველეს მონასტერში, სადაც ესვენა ღვთისმშობლის ხატი. გელათი ქართული შუასაუკუნეების წარმტაცი კუთხეა და აღძრავს სხვა კულტურის განცდას იმ შემთხვევაშიც, თუ ამ განცდისთვის ცნებებიც კი არ გაგაჩნია. ჩემი არსება აღსავსე იყო შინაგანი ბრძოლით, ცნობიერება კი ფიზიკური ცნებებით, ამიტომ მე არ შემეძლო ამ ძეგლის ნამდვილი აღქმა. სათანადოდ ვერც ხახულის ღვთისმშობლის ბრწყინვალე ხატი აღვიქვი, რომელიც არქეოლოგთა გაკვირვებას იწვევს ტიხრული მინანქრითა და პატიოსანი თვლებით. ბავშვობიდანვე მქონდა არქეოლოგიისა და ხელოვნებისადმი მისწრაფება და შესაბამისი გემოვნება, ამიტომ, რასაკვირველია, დამაინტერესა ნანახმა, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ამ სიძველის სიცოცხლის უნატიფეს გამოსხივებას ვგრძნობდი, ყველაფერი დანარჩენი კი მსწრაფლ მავიწყდებოდა...

... ახლა მოგითხრობთ ჩემი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარდატეხაზე. ეს დრო დღესაც განსაკუთრებული სიცხადით წარმოიდგება, თითქოს იმ შინაგანი მოვლენების ანაბეჭდი გამოიწვა და სამუდამოდ უცვლელი დარჩა. სიამოვნება უკვალოდ ქრება მეხსიერებიდან, სიხარული გახსოვს როგორც მკრთალი, უსისხლო ჩრდილი, მხოლოდ ღრმა ტანჯვა აყალიბებს ნამდვილად ჩვენს პიროვნებას და ტოვებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც შემდგომში მუდამ აღიქმება როგორც უცვლელი „ახლა". ასეთი, უპირატესად, შინაგანი ტანჯვაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

... და მაინც, რომელილაც ულრმეს შრეებში მე ვწუხდი, თითქოს უსაქმური ვყოფილიყავი. კიდევ უფრო ღრმა შრეებში ტანჯვასაც კი განვიცდიდი. უწინდელზე დინჯ და, ბოლომდე გაუცნობიერებლობის გამო, გულუბრყვილო მუშაობას უკვე ახლდა თვითშეფასების მკვეთრი რყევები, და ეს მუშაობა სრულდებოდა ხან უფართოესი ჩანაფიქრების ნიშნით, ხან კი ისეთი გრძნობა მლრღნიდა, თითქოს არაფერი გამეკეთებინოს მნიშვნელოვანი. ამიტომ სათუო იყო, რომ ჩემი ჩანაფიქრი ოდესმე განხორციელდებოდა. ამ მკვეთრმა ცვლილებებმა თანდათან ჩამოაყალიბა თანაარსებული ორი სხვადასხვა თვითშეფასება და, შესაბამისად, თვითშეგრძნების გაორება. გაჩნდა რაღაც გაურკვეველი დაავადების შეგრძნება, რომელიც თითქმის არასოდეს არ ქრებოდა, თუმცა ამ დაავადების ხელშესახებ გამოვლინებას ვერ ვხედავდი და არც რაიმე ფიზიკურ სიმპტომებზე ჩივილის საფუძველი გამაჩნდა. ვცდილობდი, ეს ჩემი მძიმე თვითშეგრძნება დამეკავშირებინა გარეგან მიზეზებთან, მაგრამ მე თვითონ ვგრძნობდი, რომ ნამდვილი მიზეზი სხვა იყო და მით უფრო ძლიერ ვებლაუჭებოდი მეცნიერულ დაკვირვებებს, რომლებიც მაშინ ერთადერთ საიმედო და ძლიერ ნავსაყუდელს წარმოადგენდა ჩემთვის. მაგრამ ერთ დღეს, უფრო ზუსტად, ერთ წამში, ეს ნავსაყუდელი ხელიდან გამომეცალა.

კარგად მახსოვს, ერთ ცხელ შუადღეს მტკვრის გადაღმა, მთის ფერდობზე შეფენილ ტყეს შევაფარე თავი. ეს ფერდობი საკმაოდ დამრეცი იყო. ასე რომ, სულ ადვილად შეიძლებოდა მტკვარში აღმოვჩენილიყავი. აზრის მოკრებას ვცდილობდი, ერთი მეცნიერული საკითხი მაწუხებდა, მაგრამ ჩემი აზროვნება მოდუნებული იყო, აზრი მეფანტებოდა. უცებ აზროვნების ფატარი ზედაპირის ქვემოდან ხანჯლის პირივით გამობრწყინდა სხვა აზრი, სრულიად მოულოდნელი და უადგილო: „ეს სისულელეა. ეს საკითხი სისულელეა და სრულიად არ არის საჭირო". მაშინ გაკვირვებულმა და შეშინებულმა ვკითხე ჩემი აზრისაგან განსხვავებულ ამ უჩვეულო „სხვა აზრს", როგორ შეიძლება ეს იყოს სისულელე, თუკი იგი მჭიდროდ უკავშირდება ამა და ამ საკითხებს, რომლებიც უკვე აღიარებულია-მეთქი. რამდენიმე წამის შემდეგ მივიღე პასუხი: ეს უკანასკნელი საკითხებიც სისულელეა და არავისთვის არ არის საჭირო.

მაშინ მე კვლავ დავინტერესდი ყველა მსგავსი საკითხით, რომლებიც ურთიერთგადაჯაჭვულობითა და ურთიერთგანპირობებულობით ქმნიან მეცნიერული მსოფლმხედველობის ქსოვილს და კვლავ იგივე პასუხი მივიღე — მთელი მეცნიერული მსოფლმხედველობა ნავლი და პირობითობაა, რომელიც არაფრით არაა დაკავშირებული ჭეშმარიტებასთან, როგორც სიცოცხლესთან და სიცოცხლის საფუძველთან, და იგი სრულიად არ არის საჭირო. ამ სხვა აზრის პასუხები სულ უფრო მკაცრად, განსაზღვრულად და დაუნდობლად ეღერდა. კარგად მახსოვს მათი თითქმის ფიზიკური განცდა, თითქოს ცივი დანისპირი შედიოდა ჩემს სულიერ სხეულში და ჭრიდა მას, როგორც რაღაც ფხვიერს, რასაც არ ძალუძს რამენაირი წინააღმდეგობის გაწევა. რაც უფრო ფართოდ ვსვამდი კითხვებს, მით უფრო ნაკლებ ძალას ვგრძნობდი ჩემი ძველი ღირებულებების დასაცავად და ეს დანისპირი უფრო ღრმად შედიოდა ჩემს სულიერ სხეულში. და ბოლოს: უკანასკნელი კითხვა საერთოდ მთელი ცოდნის შესახებ. ისიც ძირშივე მოიკვეთა, როგორც აქამდე ყველა სხვა წინამორბედი. რაღაც ერთ წუთში ძირში მოიჭრა და გაუფერულდა ყველაფერი, რითაც აქამდე ვცოცხლობდი, ყოველ შემთხვევაში ის, რასაც სიცოცხლეს ვუწოდებდი ჩემს ცნობიერებაში. ყველა დაპირისპირება მეცნიერულ აზრთან, რომელიც ოდესმე გამეგონა ან წამეკითხა, უცბად გადატრიალდა ჩემს ცნობიერებაში და პირობითი, ხელოვნურად შეკოწიწებული, სულ ადვილად მოსაგერიებელი ახირების ნაცვლად უცებ გადაიქცა ამ სხვა, ახალი აზრის მრისხანე ციხე-კოშკად, შეიძინა მეცნიერული მსოფლაღქმის გულისგულში დარტყმის ძალა. რაღაც წამებში მეცნიერული აზროვნების დიდებული შენობა მიწისქვეშა დარტყმების მსგავსმა დარტყმებმა ნამსხვრევებად აქცია და აღმოჩნდა, რომ იგი ქვით კი არა, მუყაოთი და ნაფოტებით იყო ნაგები და მხოლოდ გარედან იყო შელესილი. როდესაც იმ ფერდობიდან ავდექი, აღმოჩნდა, რომ აღარაფერი დარჩენილიყო მეცნიერული აზრის მთელი ამ შენობის ნანგრევებში, რომელიც მე მწამდა, რომელშიც მეც ვშრომობდი ძალთა დაუზოგავად, რის თან წაღებასაც მოვისურვებდი. დაცარიელებული, უდიდესი ზიზღით გავექეცი ამ ნაგავს.

მომხდარი ნგრევის მომენტში, როდესაც მომეჩვენა, რომ გასკდა და ჩამოიქცა ცის კამარა, ჩემთვის რაიმე ახალი არ შემიტყვია. მაგრამ ძირეულად შემობრუნდა ჩემი ნებისყოფის მიმართულება. ყველა აზრობრივმა მახვილმა გადაინაცვლა იმ ცოდნაში, რომელიც ამ მოვლენამდე წუთით ადრე მქონდა. თუ ადრე წინ წამოვწევდი და ვაძლიერებდი მეცნიერული

მსოფლაღქმის pro-ს, ამ ცოდნის უკეთესი მომავლის იმედით, და, ჩემის ღრმა რწმენით, ვავსებდი დუნე ან სულაც არარსებული კავშირების ხაზებს, ხოლო contra-ს კი არ ვუსმენდი, მისი მომავლის უიმედობის გამო, — ახლა pro-მ და contra-მ, ჩემი სურვილისგან დამოუკიდებლად, ადგილები შეინაცვლა. ყველა pro, თითქოს ყინვადაკრული, დაჭკნა, ყველამ დაკარგა დამარწმუნებელი ულერადობა. ყველა contra-მ კი, პირიქით, უცბად წამოსწია თავი, ძლევამოსილი გახდა, თუმცა მე ადვილად არ დავთანხმებივარ მათ. ზოგმა მათგანს ვერც ვერასოდეს დავეთანხმე, ზოგს კი — საკმაოდ გვიან... მაგრამ, ვგრძნობდი, ისინი უკვე განაგებდნენ ვითარებას. მოხდა ნებისყოფის სილრმისეული ძვრა და ამ მომენტიდან გონითი მოღვაწეობის არსმა ნიშანი შეიცვალა.

დაიწყო ცოდნის, ჯერ მხოლოდ მეცნიერულის, შემდეგ კი საერთოდ ცოდნის მხილება. თავის დროზე ბევრს ვკითხულობდი მახს და თუმცა ცნობიერად არ ვეთანხმებოდი, რაღაც აზრით მაინც მისაღებად მეჩვენებოდა იგი. ახლა კი ადრე აღქმულმა დაიწყო ძლიერი გაფურჩქვნა. ცოდნის უარყოფა საფუძველშივე მგვრიდა სიხარულს, რომლისგან მოგვრილი სიამოვნება უღრმესი შინაგანი ტანჯვით იყო შობილი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ნაპრალში ვვარდებოდი და მსურდა, ეს ჩემი ახალი ადგილი როგორმე დამემკვიდრებინა, რათა რაიმე სიმყარე მაინც მეგრძნო.

განსაკუთრებით ფილოსოფიას ვკითხულობდი, მაგრამ წაკითხულიდან მაკმაყოფილებდა მხოლოდ ის, რაც ცოდნის შესაძლებლობას აყენებდა ეჭვქვეშ; და პირიქით, დადებით განსჯებს ვაფასებდი როგორც დოგმატურთ, სასაცილოთ, დაუსაბუთებელთ, მყარ ნიადაგს მოკლებულთ. უცნაურად მეჩვენებოდა არა ესა თუ ის მტკიცება, არამედ თვით ავტორის გაბედულება, ასე თავისუფლად, ნებისმიერად, გამოეთქვა იგი.

„ჭეშმარიტება მიუწვდომელია“ და „უჭეშმარიტებოდ შეუძლებელია სიცოცხლე“ — ეს ორი ერთნაირად ძლიერი რწმენა მიმღვრევდა სულს და იწვევდა ჩემში სულიერ აგონიას. დამეუფლა მომაკვდინებელი კაეშანი და სრული სასოწარკვეთა, თუმცა გარეგნულად შრომით აღსავსე ცხოვრებით ვცხოვრობდი. დადგენილი წესრიგით ვმეცადინეობდი გიმნაზიაში, მასწავლებლების თხოვნით ვამეცადინებდი ზოგ ჩემს ამხანაგს, სხვა გაკვეთილებსაც ვატარებდი... დაღამებამდე საქმით ვიყავი დაკავებული, მაგრამ ისევ ბევრს ვკითხულობდი, ვმეცადინეობდი მათემატიკაში, გეოლოგიაში, ვწერდი და განვაგრძობდი ჩემს ფიზიკურ ცდებს, თუმცა არა ისე ინტენსიურად, როგორც ადრე. მაშინ დროს სულ სხვა ტევადობა ჰქონდა, ვიდრე ახლა. დროში ბევრი რამ ეტეოდა, მაგრამ მაინც რჩებოდა დრო უფრო შინაგანი ცხოვრების გააზრებისა და შეგრძნებისათვის და სწორედ აქ ვგრძნობდი და ვაცნობიერებდი მეტაფიზიკურ სიცარიელეს საკუთარ თავში, და, მის შედეგად, სიკვდილსაც. კანტი და შოპენჰაუერი, თავიანთი უარყოფით, ესადაგებოდნენ მაშინდელ ჩემს გუნება-განწყობილებას, მაგრამ მათი დადებითი გააზრებები იაფფასიანი და ზედაპირული მეჩვენებოდა. ჩემთვის უფრო ახლოს იყო ტოლსტოის ტანჯვა, მის მორალურ და საზოგადოებრივ შეხედულებებზე მაშინ საერთოდ არ ვფიქრობდი. გავეცანი მეცნიერული მსოფლაღქმის კარპენტერისა და ტოლსტოისეულ კრიტიკას, როცა ვამზადებდი რეფერატს ჩემს მიერ გ. გეხტმანთან ერთად დაარსებული სამეცნიერო წრისთვის. გავეცანი, აგრეთვე, ტოლსტოის „აღსარების“ ხელნაწერს (იგი კიდევაც გადავწერე), ტოლსტოის მეშვეობით კი — „ეკლეზიასტეს“. ეს ორივე, ზოგიერთ ბუდისტურ ნაწარმოებთან ერთად, შეესატყვისებოდა ჩემს მაშინდელ განწყობილებას. ისინი აღრმავებდნენ და აფართოებდნენ ჩემს შინაგან ნაპრალს და საბოლოო სახეს აძლევდნენ იმას, რაც ჩემში ხდებოდა. ამ წიგნების გაცნობამდე მეცნიერული მსოფლაღქმისადმი ჩემს დამოკიდებულებაში თავს მარტოდ ვგრძნობდი. ზოგჯერ გარშემომყოფთა თვით დაეჭვებაც კი დაეჭვებას იწვევდა, მართალია, ზედაპირულს, მაგრამ ისიც ყურადღებას მოითხოვდა. ტოლსტოისთან, სოლომონთან და ბუდასთან ერთად მე განვიცდიდი ჩემი უიმედობის საიმედობას, ეს კი მაკმაყოფილებდა და ერთგვარად მაწყნარებდა.

მათთან ერთად მყოფისთვის სიცარიელით გამოწვეული ჭმუნვა ნამდვილად აღარ იყო ფსიქოლოგიზმი, იგი იყო შედეგი ჩემთვისვე უცნობი ყოფიერების კანონებისა. ამის გაცნობიერება იწვევდა უიმედობას, სამაგიეროდ თვით უიმედობას ახასიათებდა რაღაც ბნელით მოცული დამშვიდება, რადგან უფსკრულში უფრო ღრმად გადავარდნა შეუძლებელი იყო. ასეთი განცდა ზუსტადაა ასახული ტოლსტოის „აღსარებაში“, ამიტომაც ამაზე აღარ შევჩერდები.

მაგრამ ჩემს მიერ განცდილი სულიერი ტონალობით განსხვავდებოდა ტოლსტოის მიერ აღწერილისაგან. ტოლსტოიში

უპირატესი იყო გრძნობა, და იგი თითქოს კვდებოდა იმის გამო, რომ მასში დაიშრიტა სიცოცხლის წყაროები: სიცოცხლე კი ძალიან ახლოს იყო ორგანულ თვითშეგრძნებასთან, სხეულის ძალიან ღრმა, მაგრამ გარკვეული მიმართულების, ჰარმონიული მთლიანობის განცდასთან. შესაძლოა, ტოლსტოისთვის ეს, გარდა პირადი თავისებურებისა, დაკავშირებული იყო მის ასაკთან და ცხოვრების წესთან. ჩემი კვდომა კი უფრო ინტელექტუალური მიმართულებით ხდებოდა. მე ვიგუდებოდი ჭეშმარიტების უქონლობით. მთელ ადამიანურ შემეცნებაში არ მოიპოვებოდა არც ერთი სანდო დასაყრდენი, ხოლო ჭეშმარიტება და სიცოცხლის აზრი კი ჩემთვის გასაგები და იგივეობრივი იყო.

მაგრამ თანდათან, ნაწილობრივ ტოლსტოის დახმარებით, ჩემთვის ნათელი ხდებოდა, რომ ჭეშმარიტება, თუკი იგი არსებობს, არ შეიძლება ჩემს მიმართ რაღაც გარეგანი რამ იყოს, და რომ იგი სიცოცხლის წყაროა. თვით სიცოცხლე, თავის სიღრმეში, არის ჭეშმარიტება, და ეს სიღრმე მე არა ვარ და ჩემში არ არის, თუმცა მასთან შეხება შემიძლია. ჯერ გაურკვევლად, თითქოს სქელი კედლის საწინააღმდეგო მხრიდან, შემდეგ სულ უფრო და უფრო გარკვეულად, გამოჩნდა ამ სიღრმიდან რაღაც მონაბერის განცდა. მაგრამ ეს მაცოცხლებელი სიო, უტყუარი და ყველაფერზე მეტად ნამდვილი, ჩემს ცნობიერებაში დანაწევრებული და ყოველგვარ სიტყვიერ ლოგიკურ ფორმას მოკლებული იყო. მე ვგრძნობდი მის მაცოცხლებელ ძალას და ვაცნობიერებდი მას, როგორც ერთადერთ რეალურს; მაგრამ ამ რეალურობის შესახებ ვერაფერს ვიტყოდი გარდა იმისა, რომ იგი არსებობს. მე არ მყოფნდა სიტყვები მის დასასახელებლად. ის კი, რასაც ვასახელებდი, რისი დასახელებაც შემეძლო, ამ ცხოველმყოფელმა სიომ დააჭკნო, და იგი ჩემს ცნობიერებაში დარჩა როგორც დამჭკნარი ყოლოს ყვავილი. ეს იყო დამქანცველი, ჩამოკიდებული ყოფნა არსებულ ცოდნასა, რომელიც საჭირო არ არის, და არარსებულ საჭირო ცოდნას შორის. ხომ არ შეიძლებოდა, ჭეშმარიტების წყაროსთან გამოუთქვამი შეხებები შეგვეფასებინა როგორც ცოდნა; ამიტომ, რეალობიდან მოწყვეტილობის გამო, ისინი გამოუყენებადი იყო, თუმცა ბადებდნენ ცოდნის შესაძლებლობის მკრთალ იმედს; თუმცა ეს მხოლოდ იმედი იყო, რომელსაც საკუთარ თავსაც კი ვერ დავუდასტურებდი. მაგრამ ჩემი თვითშეგრძნება იცვლებოდა და უფრო ხალისიანი ხდებოდა: ჯერ კიდევ არ იყო ნათელი საკუთარი აზრის აგების შესაძლებლობა და, მითუმეტეს, ის, თუ როგორ უნდა ამეგო იგი, მაგრამ შინაგანი რწმენა უკვე მიკიჟინებდა ამ შესაძლებლობის შესახებ, და აზრის გამო ჭმუნვამ ქმედითი და ბრძოლისუნარიანი სახე მიიღო.

აზრის აგების აუცილებლობა ჩემთვის ნათელი იყო და ტოლსტოისეული ამორფულობა მესახებოდა სულ ახლახან გაკეთებული ჩანახატის საკუთარი სახელოთი წაშლად. მაგრამ დაახლოებითაც ვერ წარმომედგინა, რა მიმართულებით უნდა წარმარ.თულიყო მუშაობა, რით უნდა დამეწყო; მეჩვენებოდა, რომ ყველაფერს, ჩემთვის ცნობილს და არსებულს, ამ მუშაობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. და აი, ამ დროს გადაწყვეტილება იქიდან მოვიდა, საიდანაც არ ველოდი. მისი წყარო გახდა სკეპსისი ადამიანური მოძღვრებებისა და რწმენის მიმართ, რომლითაც მამაჩემი იყო გამსჭვალული, მე კი იგი ბავშვობიდან მქონდა შეწოვილი.

„ჭეშმარიტება სიცოცხლეა, — ვიმეორებდი რამდენჯერმე დღეში, ჭეშმარიტების გარეშე ცხოვრება არ შეიძლება. უჭეშმარიტებოდ ადამიანი არ არსებობს". ეს იმდენად ნათელი იყო, რომ ლამის მაბრმავებდა; მაგრამ ამ და მსგავს მტკიცებებზე აზრი ჩერდებოდა, რადგან ეჯახებოდა დაუძლეველ წინააღმდეგობას.

ერთ დღეს, უცბად, ჩემში თავისთავად დაიბადა კითხვა: „მაშ, ისინი, სხვები როგორ არსებობენ?" და ამ კითხვამ გაანგრია კედელი. "როგორ არსებობენ სხვები, ყველა, ვინც ახლა ცხოვრობს დედამიწაზე, როგორ არსებობდნენ, ვინც ჩემამდე ცხოვრობდა? ისინი — გლეხები, ველურები, ჩემი წინაპრები, საერთოდ მთელი კაცობრიობა — ნუთუ უჭეშმარიტებოდ არსებობდნენ და არსებობენ? გავბედავ *კი ვთქვა, რომ ადამიანებს არ გააჩნიათ ჭეშმარიტება, ე.ი. ცოცხლები და, საერთოდ, ადამიანები არ არიან?"..."*

მიუხედავად იმისა, რომ მასში გარდატეხა უკვე მოხდა, ალბათ ინერციით, ის მაინც მოსკოვის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მათემატიკის შესწავლას იწყებს. 1904 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს და გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. მას სურს ბერად აღკვეცა, მაგრამ მოძღვარი არ ლოცავს მის ამ არჩევანს. ამიტომ იგი შედის მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ქ. სერგიევ-პოსადში. ამ ქალაქსა და მის ლავრას იგი აღიქვამდა მოპოვებულ სულიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოდ. ამ მეორე სტუდენტობისას იგი ჩამოყალიბდა, როგორც რელიგიური ფილოსოფოსი, თუმცა პირველ პროფესიასაც – მათემატიკას არ ჩაუვლია ფუჭად; იგი ცდილობს, დანერგოს მათემატიკის, კერძოდ, სიმრავლეთა თეორიის, ცნებები ფილოსოფიაში. აკადემიაში სწავლის პერიოდში ჩამოყალიბდა მისი ძირითადი ნაშრომის „ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე" ჩანაფიქრი. აკადემია დაამთავრა 1908 წელს და იქვე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი ასწავლიდა ფილოსოფიურ დისციპლინებს; 1911 წელს იგი მღვდლად ეკურთხა. 1912 წლიდან აკადემიის ჟურნალის „საღვთისმეტყველო მოამბის" რედაქტორია. მისი პირველი ნაშრომის მიზანს ავტორის ფილოსოფიური და რელიგიური პოზიციის დაფიქსირება არ წარმოადგენდა. იგი მიზნად ისახავდა იმ გზის გაცნობიერებას და ასახვას, რომელმაც მიიყვანა ქრისტიანულ ჭვრეტამდე და მართლმადიდებლურ ეკლესიამდე.

პაველ ფლორენსკის ფილოსოფიური ნააზრევი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. პირველს იგი თეოდიცეას უწოდებს, მეორეს – ანთროპოდიცეას. „ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე" მთლიანად პირველს მიეკუთვნება. იპოვა რა საყრდენი ღმერთის რწმენასა და მართლმადიდებლურ ეკლესიაში, იგი ავითარებს მოძღვრებას სამყაროსა და ადამიანზე (ანთროპოდიცეა). თავის ამ მოძღვრებას იგი „კონკრეტულ მეტაფიზიკას" უწოდებს. ეს მოძღვრება წარმოდგენილია მის წიგნში „აზრის წყალგასაყართან", რომელიც შეიქმნა უკვე რევოლუციის არეულ წლებში, რომლებიც პ. ფლორენსკისთვის შემოქმედებითად განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ ნაშრომში, გარდა ფილოსოფიური საკითხებისა, განხილულია მეცნიერების, ენის ბუნება, ხელოვნების თეორია და სხვა.

ამ წერილის მიზანს პაველ ფლორენსკის ფილოსოფიური მოძღვრების ანალიზი არ წარმოადგენს, თუმცა მისი მიღწევები ენის ფილოსოფიაში სტრუქტურალიზმის წინამორბედად ითვლება, ხოლო მისი ესთეტიკური ნაშრომები – „უკუპერსპექტივა" და "კანდელი" წარმოადგენს ახალ სიტყვას სახვით ხელოვნებაში სივრცის პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით.

ჩვენ დაგვაინტერესა სულიერი ცხოვრების იმ ინტენსივობამ, რომლის შესახებაც ზემოთ თვით პაველ ფლორენსკის აღწერით მოგახსენეთ. ვფიქრობთ, რომ იგი საცნაური უნდა იყოს ყველასათვის, ვინც, მეცნიერების არნახული წარმატებების მიუხედავად, ვერ ჰპოვებს იმ სვეტს, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა უკანასკნელი კითხვების წინაშე.

წერილში ციტირებული მონაკვეთი ამოღებულია ფლორენსკის წიგნიდან „Детям моим... Воспоминания прошлых дней", Москва. 1994

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშინგტონ ირვინგი

ცხოვრება მუჰამადისა

ყურანი და ისლამის დებულებანი

ეს წიგნი მიზნად არ ისახავს მუსლიმური სწავლების ყველა წვრილმანის გადმოცემას, მაგრამ მუჰამადის ცხოვრების და მიღწევების სწორი შეფასებისთვის აუცილებელია, მკითხველს სათანადო წარმოდგენა ჰქონდეს ამ სწავლებასა და მის შემქმნელზე[1].

მუსლიმური სარწმუნოების სათავე ყურანი – უეცრად არ შექმნილა. ეს დიადი წიგნი, რომლის სახელწოდება წარმოსდგება არაბული სიტყვისგან „ყარაა", რაც კითხვას ან სწავლას ნიშნავს, იწერებოდა ნაწილ-ნაწილ, მაშინ, როდესაც მუჰამადს ღვთაებრივი შთაგონება ეწვეოდა ხოლმე. მასში უშუალოდ ღმერთის მეტყველებაა გადმოცემული: ამ წიგნის არაჩვეულებრივი ღირსებები, მისი პოეტურობა და სიბრძნე მოჰყავდა მუჰამადს საკუთარი ნაშრომის ღვთაებრივი წარმოშობის საბუთად და მიუთითებდა თვით ყურანზე, როგორც უდიდეს სასწაულზე[2].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელი ყურანი მაინც განსხვავდება იმ ყურანისგან, რომელსაც მუჰამადი თავის მდივნებს კარნახობდა. ყურანში მოცემული ზეშთაგონებანი ჩაწერილი იყო სხვადასხვა დროს და განსხვავებულ ვითარებებში მუჰამადის სხვადასხვა მოწაფეებისა თუ მდივნების მიერ, რომლებიც წინასწარმეტყველის ნაკარნახევს პერგამენტზე, პალმის ფურცლებზე და ცხვრის ძვლებზეც კი იწერდნენ ხოლმე. ეს ჩანაწერები დიდ ზანდუკში ინახებოდა, რომელსაც მუჰამადის ერთ-ერთი ცოლი ადევნებდა თვალყურს. მუჰამადის სიცოცხლეში არავის უცდია ერთ მწყობრ ნაშრომად გაემთლიანებინა ეს ჩანაწერები; მუჰამადის ნაქადაგარი მის მიმდევართა მეხსიერებაში ხშირად მხოლოდ დაქსაქსული ნაწყვეტების სახით იყო შემორჩენილი.

მუჰამადის სიკვდილის შემდეგ ხალიფა აბუ ბაქრი შეეცადა, შეეკრიბა და გააერთიანებინა ყურანის ნაწილები. ეს საქმე მუჰამადის ერთ-ერთ მდივანყოფილს, ზაიდ იბნ საბითს დაევალა, რომელმაც ზეპირად იცოდა ყურანი და ახსოვდა მისი ბევრი ჩაუწერელი ნაწილი. ამას დაემატა სხვადასხვა მოწმის ხელში არსებული ჩანაწერები და მუჰამადის მოწაფეთა მოგონებანი ყურანის იმ ნაწყვეტების შესახებ, რომლებიც, მათი თქმით, უშუალოდ მუჰამადისგან ჰქონდათ მოსმენილი[3].

იმის მაგალითად, თუ რა ცვლილებანი შეიძლებოდა განეცადა ამ დროს წინასწარმეტყველის გამონათქვამებს, გამოდგება მუჰამადის სხვა მდივნის, აბდ ალ-ლაჰ იბნ საადის საქციელი, რომელსაც, ჯერ კიდევ მუჰამადის სიცოცხლეში, თვითნებური და თამამი ცვლილებანი შეჰქონდა ყურანში. არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ თავისი ხალიფობის პირველ ხანებში, პოლიტიკური მოსაზრებით, ისლამის ბატონობის განსამტკიცებლად, თვით აბუ ბაქრმა შეიტანა ყურანში მცირე შესწორებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც მუჰამადისგან მოუსმენია.

აი, ამ გზით შეიქმნა წიგნი, რომელშიც, ყოველგვარი შედარების გარეშე და თანმიმდევრობის დაუცველად, შევიდა განურჩევლად ყველა მასალა, რისი მოძიებაც კი მოხერხდა. აბუ ბაქრის ხალიფობის ხანაში ეს კრებული მრავალგზის იქნა გადაწერილი სხვადასხვა გადამწერთა მიერ, გაჩნდა ბევრი სახეცვლილი ასლი, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა და ქალაქიდან ქალაქში ვრცელდებოდა. ამ ასლებში იმდენი შეცდომა და წინააღმდეგობა იყო შემჩნეული, რომ მესამე ხალიფამ, ოსმანმა, შეკრიბა ყურანის ყველა ხელნაწერი, შეადარა ერთმანეთს და ამის საფუძველზე შექმნა კრებული, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტ ყურანად გამოცხადდა. ყველა სხვა ასლი განადგურებულ იქნა[4].

მუჰამადის მიერ დაარსებულ რელიგიაში, ისლამში, გამოიყოფა ორი დიდი ნაწილი – სარწმუნოება და საღვთისმოსაო საქმიანობა. სარწმუნოება მოიცავს ღმერთის, მისი ანგელოზების, მისი წერილის ანუ ყურანის, მისი წინასწარმეტყველების, ღვთაებრივი განგების, აღდგომისა და განკითხვის დღის რწმენას. საღვთისმოსაო საქმენი ოთხგვარია: ლოცვა, მოწყალების გაღება, მარხვა და მომლოცველობა – წმინდა ადგილთა მოხილვა.

ერთიანი, ყოვლისმპყრობელი, მარადი ღმერთის რწმენა ყურანით წარმოდგენილი რელიგიის ქვაკუთხედი იყო. მუჰამადი ქადაგებდა, რომ იყო, არის და იქნება მხოლოდ ერთი, ყოვლისშემოქმედი ღმერთი – უცვლელი და ყოვლისშემძლე. აღმსარებლობის მიღებისას ისლამის ამ მთავარი დებულების აღიარება ერთი თითის აწევით გამოისახებოდა.

„არაა ღვთაება ღმერთის გარეშე და მუჰამადია ღვთის მოციქული" – აი, ასე ჟღერს ეს დოგმატი. მასთანაა დაკავშირებული სარწმუნოების არაბული სახელწოდებაც – „ისლამი", ანუ ღვთის მორჩილება, თუმცა ზოგიერთი ეტიმოლოგი მიიჩნევს, რომ სიტყვა „ისლამი" წარმოსდგება „სალემისა" თუ „ასლამისაგან", რაც გადარჩენას ნიშნავს (აქედან – სიტყვები: „მუსლიმი", „სალამი"). არსებობს მოსაზრება, რომ ეს სიტყვა არაბთა მამამთავრის, ისმაილის სახელიდან მომდინარეობს.

ისლამის მეორე დებულებას წარმოადგენს ანგელოზების რწმენა. ეს ჰაეროვანი არსებანი უწმინდესი ელემენტისგან, ცეცხლისგან არიან შექმნილნი. მათ არა აქვთ სქესი და, ვნებებისგან თავისუფალნი, არასოდეს არიან დავრდომილნი და სამარადისოდ ინარჩუნებენ ახალგაზრდობას. ანგელოზები განსხვავდებიან თავინთი ხასიათითა და მოვალეობებით: ერთნი ღმერთის ზეციური ტახტრევანის მსახურებაში არიან, სხვანი ღმერთს ადიდებენ და ხოტბას ასხამენ, ზოგიერთი მათგანი მოქმედებს, როგორც ფრთოსანი მაცნე და არიან ისეთებიც, რომლებიც თავდებში უდგებიან ადამის შთამომავლობას.

ანგელოზთა ციურ ლაშქარში ერთ-ერთი უსაჩინოესი იყო აზაზილი (იგივე ლიუციფერი), მაგრამ ის ქედმაღლობამ და სიამაყემ მოიცვა და უარი თქვა, თაყვანი ეცა ადამისთვის, ვერ დაიფარა იგი ცდუნებისგან, რის გამოც ღვთიური წყევლა დაიმსახურა, გაძევებულ იქნა სამოთხიდან და სახელი მისი გახდა იბლის – სასოწარკვეთილების სიმბოლო. მას შემდეგ ის ცდილობს, შური იძიოს ამ დამცირებისთვის, მოაქვს ადამიანებისთვის ბოროტება და ღვთის დაუმორჩილებლობისა და უწმინდურებისკენ უბიძგებს მათ.

მესამე დებულება გულისხმობს ყურანის, როგორც ღვთიურ გამოცხადებათა შემცველი წიგნის რწმენას. მუსლიმური სწავლების მიხედვით, მეშვიდე ცაზე მარადიულადაა დაცული წიგნი, რომელშიც ღვთიური ნების ყოველი გამოვლენაა ჩაწერილი – ყოველივე, რაც კი მომხდარა წარსულში, ან მოსახდენია მომავალში. ამ წიგნიდან ამოიღო მთავარანგელოზმა ჯაბრაილმა ღვთის ნების ამსახველი სჯულის ფიცრის

ასლები, გადაიტანა პირველ ცაზე და დროდადრო აწვდიდა მუჰამადს, — როდესაც საჭირო ხდებოდა მათი მისადაგება რომელიმე შემთხვევასა თუ გარემოებისადმი.

სარწმუნოების მეოთხე დებულება შეეხება წინასწარმეტყველთ, რომელთა რაოდენობა ორას ათასს აღწევს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ექვს მთავარს, რადგან მხოლოდ მათ მოჰქონდათ ახალი კანონები. ეს ექვსი წინასწარმეტყველია ადამი, ნოე, აბრამი, მოსე, იესო და მუჰამადი.

ისლამის სარწმუნოების მეხუთე დებულება ღვთიურ განგებას და ბედისწერას განიხილავს. მუჰამადის ქადაგების მიხედვით, ყველაფერი, რაც ხდება, ღმერთის მიერაა წინასწარ განსაზღვრული და მარადისობის წიგნში სამყაროს გაჩენამდეა შეტანილი; ყოველი ადამიანის ბედი, მისი სიკვდილის საათი წინასწარ დადგენილია და შეუცვლელი. სწორედ ამგვარი რწმენის გამო მორწმუნე მუსლიმისთვის ომში წასვლა სულაც არ წარმოადგენს მსხვერპლის გაღებას: მისი სარწმუნოების მიხედვით, ბრძოლაში სიკვდილი მოწამეობას უტოლდება, რაც მას პირდაპირ სამოთხისკენ უხსნის გზას.

სარწმუნოების მეექვსე დებულება აღდგომასა და განკითხვის დღეს შეეხება. გარდაცვალებასა და აღდგომას შორის შუალედში ადამიანის სხეული საფლავში იმყოფება, ზმანებებითა და ლანდებით გარემოცული სული კი თავისი ბედის გადაწყვეტას ელოდება. წინასწარმეტყველთა სულები უმალ სამოთხეში ხვდებიან, რწმენისთვის წამებულები კი ჩასახლდებიან იმ ფრინველთა ტანსა თუ ჩიჩახვში, რომლებიც სამოთხის ნაყოფით იკვებებიან და სამოთხის ნაკადულებით იკლავენ წყურვილს. მართლმორწმუნეთა სულები ანგელოზური უდრტვინველობით ფარფატებენ მათივე საფლავების გარშემო: აქედან მომდინარეობს მუსლიმთა სურვილი მოინახულონ თავიანთი ახლობლების საფლავები, რომ გარდაცვლილთა მადლიერება დაიმსახურონ. ზოგი მართლმორწმუნე მუსლიმი თეთრად მოქათქათე ფრინველად იქცევა და თვით ალაჰის ტახტის ქვეშ პოვებს თავშესაფარს, ხოლო ურწმუნოებს ანგელოზები მიწიდანაც დევნიან და ციდანაც და ისინი, ჩაცვივდებიან რა მიწისქვეშა გამოქვაბულებში, თრთოლვით ელოდებიან სამსჯავროს.

აღდგომის დღეს წინ უსწრებს მიწაზე და ზეცაში მომხდარი საოცრებანი. ადამიანებს საყოველთაო აღრეულობა მოიცავს, მოხდება რწმენის დაცემა, დაიწყება ომები, კვამლის ბოლქვები სქლად დაფარავენ მიწის ზედაპირს; მთვარე დაბნელდება, მზე იცვლის მოძრაობის მიმართულებას და აღმოსავლეთისკენ გაეშურება. მთავარანგელოზი ისრაფილი სამჯერ ჩაბერავს საყვირს და ამ საზარელ ხმებთან ერთად დაიწყება მიწისძვრები, განადგურდება ქალაქები და ციხესიმაგრენი, მოსწორდება მთა-გორი, ვარსკვლავები ჩაცვივა ზღვაში და ოკეანეები იწყებენ დუღილს; სულს განუტევებს ყოველი სულიერი და წამოვა წვიმა, რომელიც ორმოც წელიწადს გასტანს.

ყოველივე ამას მკვდრეთით აღდგომა მოჰყვება და ადამიანები პასუხს აგებენ თავიანთ ნამოქმედარზე. მთავარანგელოზი ჯაბრაილი შემართავს უზარმაზარ სასწორს, რომელზედაც მისხალ-მისხალ აწონის ადამიანების კეთილ და უკეთურ საქციელს და ყველას მოეკითხება მისი ტყუილისა და უსამართლობისთვის.

ამის შემდეგ მოხდება გამოცდა ალ-სირატის ხიდზე გადასვლისას, რომელიც მახვილის პირივით ბასრია და ჯოჯოხეთის თავზეა გადებული. ურწმუნონი და ცოდვილნი სიბნელეში შეაბიჯებენ ამ ხიდზე, ფეხს ვერ მოიკიდებენ მასზე და უფსკრულში, მართლმორწმუნენი კი სინათლეში, ფრინველის სისწრაფით გადაივლიან ხიდს და სამოთხეს მიაღწევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჰამადის პიროვნული თვისებები, მისი გარეგნობა და ხასიათი

ახლა რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ თვით მუჰამადი, თუ როგორ წარმოგვიდგება ის არაბულ გადმოცემათა მიხედვით: მუჰამადი იყო საშუალო სიმაღლის, მკვიდრი აღნაგობის კაცი, დაკუნთული სხეულითა და დიდი ხელ-ფეხით. სიყმაწვილეში არაჩვეულებრივი ძალით გამოირჩეოდა, სიცოცხლის ბოლოს კი სიმსუქნისკენ იყო მიდრეკილი. მშვენიერი მოყვანილობის დიდი თავი, მსხვილი კისერი, განიერი და ძლიერი მკერდი ჰქონდა. მაღალ და ფართო შუბლს ხშირი ძარღვები უფარავდა – ისინი განსაკუთრებით აღელვების ჟამს ეტყობოდა. ნაგრძელებულ სახეზე გამოირჩეოდა მორკალული, თითქმის გადაბმული წარბები, შავი თვალები და არწივისებრი ცხვირი. ლამაზი მოყვანილობის დიდი ტუჩ-პირი სიტყვის ფლობის უნარზე მიუთითებდა, თეთრი, თუმცა ოდნავ მეჩხერი, არასწორი ფორმის კბილები, და გრძელი ხშირი წვერი ჰქონდა; მისი შავი, დატალღული თმის ხვეული მხრებს ეფინებოდა.

ადამიანებთან ურთიერთობაში მუჰამადი ხასიათის თანაბრობას და სიმშვიდეს იჩენდა, ზოგჯერ ხუმრობდა კიდეც, მაგრამ, ჩვეულებრივ, დინჯი იყო და თავი ღირსეულად ეჭირა. როგორც ირწმუნებიან, უჩვეულოდ მომხიბლველი ღიმილი ჰქონდა. აღტაცებულს, ან რაიმეთი აღგზნებულს, სახე – უფრო ღაჟღაჟა, ვიდრე, ჩვეულებრივ, აქვთ არაბებს – გაუნათდებოდა და უბრწყინავდა, რასაც მისი მოწაფეები წინასწარმეტყველური ძალის ზებუნებრივი გამონათებით ხსნიდნენ.

მუჰამადის გონებრივი შესაძლებლობანი, უეჭველია, ძალზე დიდი იყო. ის გამოირჩეოდა სწრაფი აზროვნებით, კარგი მეხსიერებით, ცხოველი წარმოსახვითა და გენიალური შემოქმედებით. მან მრავალი დაკვირვებითა და ნაირგვარი ვარჯიშით განივითარა და გაიმდიდრა გონება; მუჰამადმა კარგად იცოდა ის რელიგიური სისტემები, რომლებიც მის დროს იყო გაბატონებული, ან რომელთა შესახებ ცნობები უძველესი დროიდან არსებობდა. მისი საუბარი გამოირჩეოდა თავდაჯერებული კილოთი, დარიგებების, აფორიზმებისა და შედარებების სიმრავლით, რაც საზოგადოდ ახასიათებდათ არაბებს. ძლიერი და სასიამოვნო ხმის მქონე მუჰამადი აღფრთოვან[illegible]ასას ნამდვილ მჭერმეტყველებას იჩენდა.

მუჰამადი დიდად არ ეტანებოდა საჭმელს და სულმუდამ ინახავდა მარხვას, მოკრძალებული, ის ვერ ეგუებოდა გარეგნულ ბრწყინვალებას – შეზღუდული გონების პატივმოყვრულ გამოვლინებას. ამასთან ერთად, ჩაცმაში სისადავე, რომელსაც ის იჩენდა, სრულებით ბუნებრივი იყო, რადგან ის მართლაც უგულებელყოფდა ამგვარ წვრილმანებს. მუჰამადი იცვამდა ზოგჯერ შალის, ზოგჯერ კი ბამბის, ზოლიან ტანსაცმელს (იემენში რომ ქსოვენ), რომელზეც ხშირად ნახავდით საკერებელს. თავზე ეხურა ჩალმა, რომლის დოლბანდის ერთი ბოლო მხრებს შორის ეკიდა – მუჰამადის თქმით, ასე ეხურათ ჩალმა ანგელოზებს. მუჰამადი კრძალავდა წმინდა აბრეშუმის ქსოვილისგან შეკერილ სამოსს, მაგრამ უფლებას რთავდა, ჩაეცვათ აბრეშუმისა და ბამბის ნარევი ქსოვილის ტანსაცმელი. ასევე კრძალავდა წითელი ფერის სამოსისა და ოქროს ბეჭდების ტარებას. თვით მუჰამადს ხელზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა; მის შიდა, ხელისგულისკენ მიმართულ მხარეს, ამოჭრილი იყო სიტყვები: „მუჰამადი, ღვთის მოციქული". მუჰამადი მას საბუთებზე დასასმელ ბეჭდად იყენებდა.

მუჰამადი დიდ ყურადღებას უთმობდა სისუფთავეს და ხშირად იბანდა. თმასა და წვერზე ნელსაცხებლებს და სუნამოს ხმარობდა. გადმოცემით, მას უთქვამს: „ამ სამყაროში ორ რამეს მოვყავარ აღტაცებაში – ესაა ქალები და კეთილსურნელება. ისინი სიამით მავსებენ და მმატებენ ძალას, კიდევ უფრო მეტად ღვთისმოსავი ვიყო". მუჰამადის ცოლების ზუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობა უცნობია. ასეა თუ ისე, სიკვდილის პირას მას ჰყავდა ცხრა ცოლი და თითოეულ მათგანს ცალკე სახლი ჰქონდა მედინაში, მეჩეთის მახლობლად.

მუჰამადი ყველას მიმართ იჩენდა სამართლიანობას და თანაბარი პატივისცემით ეპყრობოდა მტერს და მოყვარეს, სუსტსა და ძლიერს, მდიდარსა და ღარიბს; უბრალო ხალხს იგი უყვარდა, რადგანაც გულისხმიერად ღებულობდა ნებისმიერს და ყურადღებით ისმენდა ჩივილსა და საწუხარს, რომელსაც უზიარებდნენ.

ბუნებით ძალზე მგრძნობიარემ, მუჰამადმა თავშეკავება ისწავლა; შინ მუდამ კეთილგანწყობასა და სიკეთეს იჩენდა. „მე რვა წლის ასაკიდან ვემსახურებოდი მას, – ყვებოდა მისი მოახლე ანასა, – და არ მახსოვს, რომ დავეტუქსე, თუმცა საკმაოდ ხშირად გამიფუჭებია ესა თუ ის ნივთი“.

მუჰამადს სამომავლო გეგმა წარმატებათა კვალდაკვალ უჩნდებოდა და არა პირიქით. მას შემდეგ, რაც ორმოცი წლის ასაკში თავისი სწავლება გააცხადა, წლიდან წლამდე მას მხოლოდ თავის ოჯახში და ახლობლების წრეში ქადაგებდა. როდესაც მექა დასტოვა, მუჰამადის მიერ თავისი მისიის გამოცხადებიდან უკვე ცამეტი წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ის მდიდარი ვაჭრისგან გაღატაკებულ ლტოლვილად იქცა. მედინაში ჩასვლის შემდეგ ის არც კი ოცნებობდა ამქვეყნიურ ძალაუფლებაზე, რომელიც მომავალში ელოდა, და ერთადერთი მისი სურვილი მოკრძალებული მეჩეთის აშენება იყო.

ფანატიზმი, რომელსაც ის თავის მიმდევრებში აღძრავდა, გაცილებით უფრო მეტად უწყობდა ხელს მის წარმატებას, ვიდრე მისივე სამხედრო უნარ-ცოდნა. მუჰამადში საკუთარი სამხედრო წარმატებანი არ იწვევდა არც სიამაყეს, არც პატივმოყვარეობას; მან უდიდესი ძალაუფლების მიღწევის შემდეგაც შეინარჩუნა გარეგნობისა და საქციელის სისადავე; ის ერიდებოდა მეფის საკადრისი პატივისცემის მიღებას, და არც ის მოსწონდა, თუ ვინმე მასთან შესვლისას, ზედმეტად თუ არაჩვეულებრივად მიაგებდა პატივს. თუკი მას მსოფლიო ბატონობა სურდა, მხოლოდ სარწმუნოების გაბატონების მიზნით, ის სარგებლობდა მის ხელთ არსებული დროებითი ძალაუფლებით ყოველგვარი პატივმოყვარეობის გარეშე და მცირეოდენი მცდელობაც არ ჰქონია, ეს ძალაუფლება მემკვიდრეობითი გაეხადა. მუჰამადის შთამომავლებიდან მხოლოდ მისი ქალიშვილის, ფატიმას უფროსი ვაჟი, ჰასანი გახდა ხალიფა.

სიმდიდრე, რასაც ის ხარკისა თუ ნადავლის სახით ღებულობდა, ხმარდებოდა მის ღარიბ მიმდევრებს და რწმენის სამომავლო გამარჯვებას; მისი პირადი სალარო ზოგჯერ სულ მთლად დაცლილი იყო. ისტორიკოს ომარ იბნ ხარეტის მიხედვით, მუჰამადს სიკვდილის შემდეგ არ დარჩა არც ერთი ოქროს დინარი თუ ვერცხლის დრაჰმა, არც ერთი მონა: დარჩა მხოლოდ ჭაღარა ჯორი – დალდალი, იარაღ-საჭურველი და მიწა, რომელიც მან თავის ცოლებს უანდერძა. „ალაჰმა ყველა ამქვეყნიური სიმდიდრის გასაღები მისცა, – ამბობს ეს არაბი მწერალი, – მაგრამ მუჰამადმა არც ერთი მათგანი არ მიიღო.“

რაოდენი ჩვეულებრივი ადამიანური თვისებაც არ უნდა აღმოვაჩინოთ მუჰამადში, მისი სულიერი სწრაფვა ყოველთვის აამაღლებს მას ყოველივე მიწიერზე. მუჰამადი მკაცრად მისდევდა ლოცვას, სულიერი სიწმინდის ამ საწინდარს. გასაჭირის ჟამს ღვთის სასოება მუდამ იყო მისი მშველელი.

აი, რას ჰყვება მუჰამადის ცოლი, აიშა: ერთხელ მას ქმრისთვის უკითხავს:

– მითხარი, განა არავინ შედის სამოთხეში, თუ არა მხოლოდ ღვთის კურთხევით?

– არავინ, არავინ, არავინ, – ფიქრიანად და რაღაც განსაკუთრებული ხაზგასმით უპასუხია მუჰამადს.

– და შენც, წინასწარმეტყველი, ნუთუ შენც შეხვალ სამოთხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთი შეგიწყალებს?

მაშინ მუჰამადს თავზე ხელი დაუდია და საზეიმო გამომეტყველებით ზედიზედ სამჯერ უთქვამს:

– მეც არ მოვხვდები სამოთხეში, თუ ღმერთი არ იქნა მოწყალე ჩემს მიმართ!

მუჰამადი თავის ხილვებს ნათესავებსა და ახლობლებს უზიარებს. პირველი უსიამოვნებანი. ალის ერთგულება. ხალხი სასწაულს ითხოვს

თავდაპირველად მუჰამადი თავისი ზეშთაგონების შესახებ მხოლოდ შინაურებს უყვებოდა. ერთი პირველთაგანი, ვინც ეს ირწმუნა და მის მიმდევრად გამოაცხადა თავი, მუჰამადის მონა ზაიდი იყო: მეზობელი ტომის არაბი ყმაწვილი ყურეიშიანებმა ბავშვობაში გაიტაცეს, დაატყვევეს და შემდგომში ის მუჰამადის საკუთრებაში აღმოჩნდა. რამოდენიმე წლის შემდეგ ზაიდის მამამ შეიტყო, თუ სადა იმყოფებოდა მისი შვილი, ჩავიდა მექაში და დიდძალი ფული შეაძლია მუჰამადს ზაიდის გამოსასყიდად.

– თუ შენთან ერთად ყოფნა ურჩევნია, მაშინ შეუძლია უსასყიდლოდ გამოგყვეს, – უთქვამს მუჰამადს, – ხოლო თუ ჩემთან დარჩენას ამჯობინებს, როგორ უნდა ვუთხრა უარი?!

ზაიდმა გადაწყვიტა, დარჩენილიყო მუჰამადთან, რადგან ფიქრობდა, რომ მას ეპყრობოდნენ, როგორც შვილს, და არა როგორც მონას. მართლაც, მუჰამადმა საჯაროდ იშვილა იგი, ზაიდი მასთან დარჩა საცხოვრებლად და ერთგულად ემსახურებოდა. ახალი სარწმუნოების მიღებამ მას სრული თავისუფლება მოუტანა, მაგრამ მუჰამადის მიმართ მოწიწება და მადლიერება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა.

ახალი სარწმუნოების დამკვიდრების გზაზე მუჰამადი ჯერ კიდევ ფრთხილად და ფარულად მოქმედებდა. მას ყველა მხრიდან ემუქრებოდა საფრთხე, განსაკუთრებით, თავისი ნათესავებისგან – ჰაშიმიანებისგან, რომელთა გავლენა და კეთილდღეობა, ნაწილობრივ, კერპთაყვანისმცემლობაზე იყო დამოკიდებული. არანაკლებ სახიფათო იყო აბდ შიმის საგვარეულოც, რახანია შურით და ეჭვით რომ ეკიდებოდა ჰაშემიანთ და დიდის სიხარულით გამოაცხადებდა მთელ მათ მოდგმას კანონგარეშე მყოფ მწვალებლებად, რათა ქააბას მცველთა საპატიო წოდება წაერთმია. ჰაშემიანთა მოწინააღმდეგეებს სათავეში ედგა აბდ შიმის შვილთაშვილი აბუ სუფიანი – ნიჭიერი, მდიდარი და გავლენიანი, ძალაუფლების მოყვარული კაცი – შემდგომში მუჰამადის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და შეუპოვარი მოწინააღმდეგე.

ახალი რწმენა ნელა ვრცელდებოდა და პირველ სამ წელიწადს მოქცეულთა რაოდენობამ მხოლოდ ორმოცს მიაღწია; ეს უმთავრესად ახალგაზრდები, მონები ან უცხოელები იყვნენ. ისინი ერთად ლოცულობდნენ, მათი საიდუმლო კრებები იმართებოდა რომელიმე განდობილის სახლში ან სულაც ქალაქგარეთ, გამოქვაბულში მექას მახლობლად. ერთხელ ეს საიდუმლოც გაიხსნა და ერთი ამგვარი თავშეყრისას აღშფოთებულ მართლმორწმუნე კერპთაყვანისმცემელთა ჯგუფი გამოქვაბულში შეიჭრა; ამას დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომლის დროსაც მესაჭურვლე სუადმა თავში დაჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელი, ამით მან მუსლიმთა შორის გაითქვა სახელი, როგორც პირველმა, ვინც ისლამის სადიდებლად სისხლი დაღვარა.

მეორე შეურიგებელი მოწინააღმდეგე მუჰამადისა იყო ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ბიძათაგან – მდიდარი, ქედმაღალი და ფიცხელი აბუ ლაჰაბი, რომლის შვილს ცოლად ჰყავდა მუჰამადის ქალიშვილი რუკაია. აბუ ლაჰაბი ენათესავებოდა ყურეიშიანთა მეორე შტოსაც, რადგან მისი ცოლი უმ ჯემილი აბუ სუფიანის და იყო. ბიძა მტრულად ეკიდებოდა ძმისშვილის ქადაგებას, მისი აზრით, ჰაშიმიანთა ტომის შემარცხვენელს, და ეს ორმაგად ადარდებდა მუჰამადს, რადგან ჩრდილს აყენებდა ქალიშვილის ბედნიერებას, რომელიც მამის სწავლებას თანაუგრძნობდა.

მტანჯველი ცუდგუნებობა დასჩემდა მუჰამადს. დასუსტებული და ჰირქუში, ის ცდილობდა განმარტოებულიყო, მაგრამ მის უმზრახად ყოფნას მოწინააღმდეგენი მისივე გონების დასუსტებას მიაწერდნენ. სწორედ ამ დროს ეწვია მუჰამადს შთაგონება, რომ ის უნდა „აღმდგარიყო, ექადაგა და განედიდებინა უფალი“, გაბედულად და შეუპოვრად გაევრცელებინა თავისი სწავლება.

მუჰამადმა შეუთვალა ჰაშიმიანთ, რომ მათი კეთილდღეობისთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა უნდა შეეტყობინებინა და ყველანი მექას მახლობლად მდებარე საფას ბორცვზე მიიწვია. როდესაც დათქმულ ადგილას შეიკრიბნენ, მუჰამადმა დაიწყო მოყოლა თავისი ზეშთაგონებისა და ამქვეყნიური მოწოდების შესახებ, მაგრამ ბიძამისმა არ დააცალა; გულმოსული აბუ ლაჰაბი წამოიჭრა და გალანძღა მუჰამადი, რომ ამდენი ხალხი ასეთი წვრილმანისთვის შეაწუხა და ქვასაც კი წამოავლო ხელი, მაგრამ მუჰამადმა მრისხანე მზერით შეაჩერა და მუქარით მოღერებული ხელი დასწყევლა; მან უწინასწარმეტყველა ბიძამისს, რომ ის ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიღუპებოდა, რომელსაც შეშას თვით მისი ცოლი უმ ჯემილი შეუკეთებდა.

შეცბუნებული კრებული დაიშალა. ყოველივე მომხდარით აღშფოთებულმა და მოსმენილი წყევლით გაცხარებულმა აბუ ლაჰაბის ოჯახმა აიძულა თავისი შვილი, გაყროდა მუჰამადის ქალიშვილს: რუკაია ტირილით დაუბრუნდა მამამისს. მოგვიანებით ის მუჰამადის ერთგულ მოწაფეს გაჰყვა ცოლად.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, მუჰამადმა ხელმეორედ შეკრიბა ჰაშიმიანნი, ამჯერად უკვე საკუთარ სახლში, სადაც მათ გულუხვად გაუმასპინძლდა რძითა და ცხვრის ხორცით; მან დაწვრილებით მოუთხრო დამსწრეთ ღვთის ნება: გაენდო თავისი ახლო ნათესავებისთვის ცით მოვლენილი შთაგონების შესახებ.

– ო, აბდ ალ-მუტალიბის შთამომავალნო! – აღფრთოვანებით მიმართა მან დამსწრეთ, – ყველა სხვა ადამიანს შორის ალაჰმა სწორედ თქვენ დაგასაჩუქრათ ამ ძვირფასი ძღვენით! მისი სახელით მე თქვენ გთავაზობთ ნეტარებას ამქვეყნად და უსასრულო სიხარულს მომავალში. ვის უნდა, ჩემთან ერთად ზიდოს ეს ტვირთი? ვის უნდა, გახდეს ჩემი ძმა, ჩემი თანაშემწე, ჩემი ვაზირი?!

პასუხი არავინ გასცა. ზოგს უკვირდა, ზოგი უნდობლად და დაცინვით იღიმოდა. უეცრად ფიცხლად წამოიჭრა ალი, აბუ ტალების ძე, საკუთარი სინორჩისა და სისუსტის გამო მოკრძალებით მოიბოდიშა და ყმაწვილკაცური შემართებით შესთავაზა წინასწარმეტყველს თავისი სამსახური. მუჰამადმა ხელი მოჰხვია სულგრძელ ყმაწვილს და გულში ჩაიკრა იგი.

– შეხედეთ, აი, ჩემი ძმა, ჩემი ვეზირი და ჩემი ნაცვალი! – შესძახა მან, – დე, ყველამ უსმინოს მას და ყველა მორჩილებდეს!

ყურეიშიანებმა ზიზღნარევი სიცილი დააყარეს ალის, თანაც აქილიკებდნენ ახლადმოქცეულის მამას, აბუ ტალებს, რომ ამიერიდან ის საკუთარ შვილს ფეხებში უნდა ჩავარდნოდა და ყველაფერში მისთვის დაეჯერებინა.

ამ დღიდან მოყოლებული, მუჰამადი უკვე ნაკლები სიფრთხილით მოქმედებდა, სულ უფრო მზარდი აღფრთოვანებით აღიარებდა თავს წინასწარმეტყველად და ღვთის მოციქულად. სამაგიეროდ, უფრო მეტ

დაცინვასაც ღებულობდა. ყველა, ვინც კი ბავშვობაში იცნობდა, ვისაც ახსოვდა ყოველდღიური საზრუნავით დაკავებული მუჰამადი, ქირქილით ხვდებოდა მისი მოციქულობის ამბავს. თუ ქუჩაში დაინახავდნენ, გაიძახოდნენ: „შეხედეთ აბდ ალ-მუტალიბის შვილიშვილს, მან ყველაფერი იცის, რაც კი ცაში ხდება!" სხვები, მუჰამადის გახელებისა და ექსტაზის მომსწრენი, მას ჭკუაზე შეშლილად მიიჩნევდნენ. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ის ავი სულით იყო შეპყრობილი, ზოგი კი ჯადოქრობასა და თვალთმაქცობაში სდებდა ბრალს[5].

მექას ქუჩებში მიმავალს, მას ისეთი დაცინვა, საყვედური და შეურაცხყოფა ერგებოდა, როგორსაც ბრბო აწვნევს ხოლმე ადამიანს, ვინც მისგან გამოირჩევა თავისთავადი აზროვნებითა და ცხოვრების წესით. როდესაც მუჰამადი ქადაგებას იწყებდა, მის ხმას განზრახ ფარავდნენ ხმაურითა და უწმაწური სიმღერებით; და ტალახსაც ესროდნენ, მაშინაც კი, როდესაც ქააბასთან ლოცულობდა.

ვინც უფრო საბუთიანად ცდილობდა, დაპირისპირებოდა მუჰამადს, მისგან რაიმე ზებუნებრივ ქმედებას, სასწაულს ითხოვდა. „მოსე, ქრისტე და სხვა წინასწარმეტყველნი სასწაულებით ამტკიცებდნენ, რომ ღვთიური ნების აღმსრულებლები იყვნენ და თუ შენც მათნაირი ხარ, მსგავსი სასწაული უნდა მოახდინო", ეუბნებოდნენ ისინი.

– ყურანზე მეტი, გამოცხადების ამ წმინდა წიგნზე მეტი რაღა სასწაული გინდათ?! – პასუხობდა მათ მუჰამადი, – მისი ენა სწორუპოვარი და ამაღლებულია, საბუთები კი – უცილობელი. მისი სწორი რამ ადამიანთა და ეშმაკთა ერთიანი ძალისხმევითაც კი ვერ შეიქმნებოდა! რა საბუთია კიდევ საჭირო საიმისოდ, რომ ეს წიგნი ღვთისგანაა მოვლენილი?! თვით ყურანია ის სასწაული, თქვენ რომ მოელით!

მაგრამ მეტოქეებს უფრო ხელშესახები სასწაულის ხილვა სურდათ; მუჰამადს მუნჯი უნდა აემეტყველებინა, ბრმისთვის თვალი აეხილა და მკვდარი გაეცოცხლებინა; ბერწი მიწა პალმებიან, ნაკადულებიან და ვაზით სავსე ბაღნარად უნდა ექცია; უნდა აღემართა ოქროს სასახლე – მარგალიტებითა და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი; ან თუნდაც ცად ამაღლებულიყო ყველას თანდასწრებით; და თუ ყურანი მართლაც ციური წარმომავლობისა იყო, მათ სურდათ, თვალი შეევლოთ იმ ანგელოზისთვის, რომელსაც ეს წიგნი მიწაზე ჩამოჰქონდა.

– მე ვარ ადამიანი, ღვთის გამოგზავნილი და მისი მოციქული, – პასუხობდა მუჰამადი, – ანგელოზები ასე ჩვეულებრივად რომ ჩამოდიოდნენ დედამიწაზე, ალბათ ამ დავალების შესასრულებლადაც ანგელოზი იქნებოდა გამოგზავნილი – და რა შავ დღეში ჩავარდებოდნენ მაშინ ისინი, ვინც, როგორც ახლა, ყურს არ მიუგდებდა მათ სიტყვებს! ისინი ხომ ანგელოზთან კამათს და მსჯელობას ვერ მოახერხებდნენ, როგორც ამას ჩემთან სჩადიან! მათ დროც კი აღარ დარჩებოდათ იმისთვის, რაიმეში დარწმუნებულიყვნენ, რადგან მყისიერ იქნებოდნენ განადგურებულნი!

– ღმერთს არ სჭირდება ანგელოზები, რომ ჩემს დავალებას მეტი ძალა და მნიშვნელობა შესძინოს, – განმარტავდა მუჰამადი, – ვისაც იგი რწმენის უნარს შესძენს, ის გულრწფელად ირწმუნებს, ხოლო, ვისაც უმეცრებაში დარჩენის ნებას დართავს, ის ველარავის იპოვის, ვინც ურწმუნოებაში მყოფს შეეშველება.

არაბი მწერალი, ალ-მაალემი მოგვითხრობს, რომ სასწაულის მომთხოვნ ბრბოს ერთხელ მუჰამადის მოწაფეებიც შეუერთდნენ. ისინი მოითხოვდნენ მისგან, ერთხელ და სამუდამოდ დაემტკიცებინა, რომ ღვთის მიერ იყო გამოგზავნილი, და საფას ბორცვი ოქროდ ექცია. ასეთი დაჟინებული თხოვნის გაგონებისას, მუჰამადი ლოცვად შედგა; ლოცვა რომ დაასრულა, მუჰამადმა გამოუცხადა თავის მიმდევრებს: მას ანგელოზი ჯაბრაილი მოევლინა და აუწყა – ღმერთს რომ მისი ლოცვისთვის ესმინა და სასურველი სასწაული მოეხდინა, ყველა ურწმუნო უმალ დაიღუპებოდა, მაგრამ ღმერთს ებრალებოდა ეს ხალხი და გასანადგურებლად არ ემეტებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურეიშიანნი დევნიან მუჰამადს. პირველი ჰიჯრა. ჰამზა იცავს მუჰამადს და მას ემხრობა

ვეტევამ, რომელიც მუჰამადმა კერპთაყვანისმცემლობაზე მიიტანა, დიდად შეაშფოთა ყურეიშიანნი. ისინი დაბეჯითებით ითხოვდნენ აბუ ტალებისგან, როგორც ჰაშიმიანთა თავკაცისგან, ან გაეჩუმებინა თავის ძმისშვილი, ან დაპირისპირებოდა მას. როდესაც ვერაფერს გახდნენ და ვერ დაითანხმეს ბერიკაცი, აღუთქვეს: თუ ეს ცრუ წინასწარმეტყველი და მისი მიმდევრები არ დაოკდებოდნენ, სიცოცხლეს გამოასალმებდნენ მათ.

აბუ ტალებმა სასწრაფოდ შეატყობინა მუჰამადს ამ მუქარის შესახებ და ემუდარებოდა, არ განეწყო საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ ესოდენ მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტერი, მაგრამ მუჰამადმა უკან არ დაიხია.

– ბიძაჩემო! – წამოიძახა მან, – ჩემს წინააღმდეგ, მარჯვნიდან მზე და მარცხნიდან მთვარე რომ გამოეგზავნათ, მაშინაც არ ვიტყოდი უარს დასახულ მიზანზე, ვიდრე ღმერთი არ მიბრძანებდა ან თვითონვე არ მომაცილებდა აქაურობას!

დაღონებული მუჰამადი წასვლას აპირებდა, მაგრამ აბუ ტალებმა უკან გამოაბრუნა. მოხუცი აღტაცებაში მოიყვანა ძმისშვილის სიმტკიცემ და მან აღუთქვა: რამდენიც არ უნდა ექადაგა მუჰამადს, აბუ ტალები მას არ უღალატებდა და არ გასცემდა. ამის შემდეგ აბუ ტალებმა მიმართა ჰაშიმისა და აბდ ალ-მუტალიბის შთამომავალთ, დაეცვათ საკუთარი ნათესავი სხვა ყურეიშიანთა დევნისაგან; რადგან საგვარეულო კავშირები არაბებს შორის ძალზე ძლიერი იყო, და მიუხედავად იმისა, რომ თვით ჰაშიმიანნი არ იწონებდნენ მუჰამადის მოქმედებას, აბუ ლაჰაბის გარდა ყველამ თანხმობა განაცხადა.

ყურეიშიანთა გაბოროტება კი სულ უფრო ძლიერდებოდა, ვიდრე ერთხელაც ძალადობაში არ გადაიზარდა. ქააბასთან ლოცვად შემდგარ მუჰამადს თავს დაესხნენ და კინაღამ გაგუდეს; იქვე მყოფმა აბუ ტალებმა ძლივს გადაარჩინა იგი და თვითონაც დაზარალდა ამ შეტაკებაში. ამას ისიც დაემატა, რომ უკვე მუჰამადის ნათესავებიც იქცნენ მძულვარების საგნად, განსაკუთრებით კი მისი ქალიშვილი რუკაია ქმრითურთ; მუჰამადის იმ მოწაფეების სიცოცხლე, რომლებსაც ძლიერი მფარველი არ ჰყავდათ, საფრთხეში იყო.

შეშფოთებულმა მუჰამადმა ურჩია თავისი მიმდევრების ერთ ნაწილს, მორიდებოდნენ მექას და წითელი ზღვის გადაღმა, აბისინიაში ეძიათ თავშესაფარი, სადაც ნესტორიანი აბისინიელების ნაჯაში „ნეგუსი“ ანუ მეფე ცნობილი იყო თავისი სამართლიანობითა და რელიგიური შემწყნარებლობით; მუჰამადი იმედოვნებდა, რომ ხიზნები იქ უსაფრთხოდ იქნებოდნენ.

ლტოლვილ მუსლიმთა ამ პატარა რაზმმა, რომელიც თერთმეტი მამაკაცის, ოთხი ქალის და ბავშვებისგან შედგებოდა, მიაღწია ჯიდას ნავსაყუდელს, მექადან ორი დღის სავალზე, საიდანაც უკვე ორი აბისინიური გემით განაგრძო მგზავრობა. აბისინიაში ლტოლვილები კარგად მიიღეს, რის შემდეგ იქ კიდევ ოთხმოცდასამი მამაკაცი და თვრამეტი ქალი გადასახლდა, ბავშვებთან ერთად.

ეს ამბავი პირველი ჰიჯრის[6] სახელწოდებითაა ცნობილი; ის განსხვავდება მეორე ჰიჯრისაგან, როდესაც თვით მუჰამადმა დატოვა მექა და საცხოვრებლად იასრიბში ანუ მედინაში გადავიდა.

ყურეიშიანნი, რახან დარწმუნდნენ, რომ მუჰამადის გაჩუმება შეუძლებელი იყო, მის მიერ მოქცეულთა რიცხვი კი დღითი-დღე მატულობდა, გამოსცეს კანონი ახალი სარწმუნოების მიმდევართა გაძევების

შესახებ. მუჰამადმა საფას ბორცვზე მდებარე, ერთ-ერთი თავისი მეგობრის, ორკამის სახლს შეაფარა თავი. აქ მან მთელი თვე დაჰყო; აქ გრძელდებოდა მისი ხილვები, აქ იკრიბებოდნენ არაბეთის სხვადასხვა კუთხიდან მისი მიმდევრები, მაგრამ აქვე მტრების სიძულვილმაც შემოაღწია: ყურეიშიანმა აბუ ჯალმა მიაგნო მუჰამადის თავშესაფარს და არა მარტო გალანძღა და შეურაცხყოფა მიაყენა, ხელითაც შეეხო მას.

მომხდარის შესახებ აცნობეს მუჰამადის ბიძას, ბუმბერაზ ჰამზას, რომელიც ის იყო ნადირობის შემდეგ დაბრუნდა მექაში. ჰამზა მუჰამადის მიმდევარი არ იყო, მაგრამ მას სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ მფარველობას გაუწევდა ძმისწულს; განრისხებული ჰამზა გაემართა ყურეიშიანთა თავყრილობაზე, სადაც აბუ ჯალი სიამაყით აღწერდა თავის საქციელს. ამის გაგონებისას ჰამზამ ისე დაჰკრა მას თავში თავისი მშვილდი, რომ მძიმედ დაჭრა მკვეხარა. აბუ ჯალის ნათესავები მის დასახმარებლად წამოიშალნენ, მაგრამ ჰამზას შიშით ისინი თვით აბუ ჯალმა დააშოშმინა.

– გაანებეთ თავი! – უთხრა მან თავისიანებს, – მე მართლაც ძალიან უხეშად მოვექეცი მის ძმისშვილს!

თავისი საქციელის გასამართლებლად აბუ ჯალი იშველიებდა მამა-პაპათა სარწმუნოებისგან მუჰამადის განდგომის ამბავს, მაგრამ ვერც ამან დაამშვიდა ჰამზა.

– კეთილი! – მძვინვარედ, ზიზღით წამოიძახა მან, – თქვენი ქვის ღმერთებისა მეც აღარ მჯერა! განა შეგიძლიათ, მათი რწმენა დამაძალოთ?

გულისწყრომამ მის სულში ის გადატრიალება მოახდინა, რისი უნარიც მხოლოდ გონების ძალით ვერ შესწევდა. ჰამზამ უმალ აღუთქვა მუჰამადს ერთგულება და მომავალში ახალი სარწმუნოების ერთ-ერთ ყველაზე თავგამოდებულ და სახელოვან დამცველად იქცა, რომელსაც მეტსახელად „ისლამის ლომი“ შეარქვეს.

ომარის ცდა, შური იძიოს მუჰამადზე და მისი საოცარი მოქცევა

ჰამზას მიერ აბუ ჯალის დასჯამ კიდევ უფრო გააძლიერა ამ უკანასკნელის მძულვარება მუჰამადის მიმართ. აბუ ჯალს ჰყავდა ძმისწული, სახელად ომარ იბნ ალ-ხატაბი, ოცდაექვსი წლის ბუმბერაზი, გამორჩეულად ძლიერი და შეუპოვარი. მისი გარეგნობა რიდს ჰგვრიდა ყველაზე გამბედავებს, მისი ხელკეტი კი უფრო აკრთობდა მის მნახველთ, ვიდრე მახვილი სხვათა ხელში. ამას მოგვითხრობს არაბი ისტორიკოსი აბუ აბდალაჰ მუჰამად იბნ უმალ ალ-ვაკიდი; ომარის მიერ შემდგომში ჩადენილი გმირობანი ამტკიცებს, რომ ეს სიტყვები გაზვიადებული არ უნდა იყოს.

ბიძამისის მიერ წაქეზებულმა და შეგულიანებულმა ამ მრისხანე არაბმა გადაწყვიტა, შური ეძია: ის აპირებდა, შეჭრილიყო ურკამის სახლში და მუჰამადი ხანჯლით მოეკლა. ამ სისხლიან საქმეში ყურეიშიანნი ომარს ას აქლემსა და ათას ოქროს დაპირდნენ, მაგრამ შურისძიებას მოწყურებულ ვაჟკაცს მოსყიდვა სულაც არ სჭირდებოდა.

ომარი უკვე მიემართებოდა ურკამის სახლისკენ, როდესაც გზად ერთი ნაცნობი ყურეიშიანი შეხვდა; ომარმა გაანდო მას თავისი განზრახვა, მაგრამ ეს კაცი ისლამის ფარული მიმდევარი აღმოჩნდა და შეეცადა, სისხლის დაღვრა გადაეფიქრებინებინა ომარისთვის.

– ვიდრე მუჰამადს მოკლავდე და ამით მთელ მის ნათესაობას გადაიკიდებდე, უკეთესია, შენს საკუთარ ნათესაობაში მოიძიო, იქ ხომ არ მოიკიდა ფეხი ურწმუნოებამ! – უთხრა მან ომარს.

– განა ჩემს ახლობლებს შორის მოიძებნება ისეთი, ვინც რწმენას

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუდგა? – გაკვირვებით იკითხა ომარმა.

– დიახ, მოიძიება! ესაა შენი და – ამინა და ქმარი მისი, ზაიდი.

ომარი სასწრაფოდ გაემართა დის სახლისკენ და შიგ ისე შევიდა, რომ არავის დაუნახავს. – მან თავის დას და მის ქმარს სწორედ მაშინ შეუსწრო, როდესაც ისინი ყურანს კითხულობდნენ. ზაიდი წიგნის დამალვას შეეცადა; მისმა აღელვებამ დაარწმუნა ომარი ბრალდების სისწორეში და სულ მთლად გაახელა. მან ძირს დასცა ზაიდი, ფეხი დაადგა და აპირებდა, ხანჯლით მოეღო მისთვის ბოლო, მაგრამ დამ არ დააცალა: ომარის დარტყმისგან სახედასისხლიანებული, გოდებით მივარდა მას და შეჰკივლა:

– ღმერთის მტერო, ნუთუ ასე მიმეტებ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთიანი და ჭეშმარიტი ღმერთი მწამს?! – შეჰკივლა ამინამ, – მე არ დავკარგავ ჩემს რწმენას არც შენი გულისთვის და არც შენი ბოროტების გამო! - განაგრძო მან, ღვთისმოსაობის გზნებით ატაცებულმა, – დიახ, არაა ღვთაება გარდა ღმერთისა, და მუჰამადია მისი მოციქული! ახლა კი, ომარ, შეგიძლია შეასრულო შენი საქმნელი!

დის გაცხარებამ და მისმა სიტყვებმა შეაკრთო ომარი; ის შეჩერდა, შეიგრძნო თავისი საქციელის სისასტიკე და ზაიდს ხელი უშვა.

– მიჩვენე ყურანი, – თქვა მან, მაგრამ ამინამ, ვიდრე ხელი არ გადააბანინა, წმინდა გრაგნილის შეხების უფლება არ მისცა. ომარმა ყურანი ხელში აიღო და კითხვა დაიწყო (გადმოცემით, ეს მეოცე თავი იყო, წიგნის სიტყვებმა ომარის გულისკენ გზა გაიკვლიეს; რაც უფრო მეტს კითხულობდა ომარი, მით უფრო გულისყურით ეკიდებოდა წაკითხულს, და როდესაც იმ ადგილს მიაღწია, სადაც მკვდრეთით აღდგომა იყო ნახსენები, მისი მოქცევა უკვე დასრულდა.

ომარმა დატოვა ამინა და ურკამის სახლისაკენ განაგრძო გზა, მაგრამ მისი განწყობილება უკვე სულ სხვა იყო. სახლთან მისულმა, კარზე მოკრძალებით დააკაკუნა და შესვლის ნება ითხოვა.

– შემოდი, ალ-კატაბის ძევ, - უთხრა მუჰამადმა, – რისთვის მოსულხარ?

– მე მოვედი, რომ შევუერთდე იმათ, ვისაც სწამს ღმერთი და მისი მოციქული, - შესძახა ომარმა და მუსლიმური მრწამსი წარმოთქვა.

ამის შემდეგ ომარი მანამდე არ დამშვიდდა, ვიდრე საკუთარი მოქცევის ამბავი ყველას არ შეატყობინა. მისი თხოვნით მუჰამადი უმალ გაემართა მასთან ერთად სალოცავად ქააბასკენ. მუჰამადი რომ გაკილვისა და ლანძღვა-გინებისგან დაეფარათ, ომარი მარცხნიდან ამოუდგა მხარში, ჰამზა კი მარჯვნიდან; უკან ორმოციოდე მოწაფე მოჰყვებოდა. მათ, ყველას გასაკვირად, დღისით და მზისით ჩაიარეს მექას ქუჩები, ქააბასთან მისულებმა, შვიდჯერ შემოუარეს მას, ყოველ შემოვლაზე წმინდა შავ ქვას ეხებოდნენ და ყველაფერი დანარჩენიც აღასრულეს წესისამებრ. შეძრწუნებული ყურეიშიანნი გაოგნებულნი უმზერდნენ ამ მსვლელობას, მაგრამ ორი საშინელი მეომრის, ჰამზას და ომარის შემხედვარე, ვერ ბედავდნენ მიახლოებოდნენ მუჰამადს და რაიმენაირი შეურაცხყოფა მიეყენებინათ მისთვის.

შეუპოვარი და გამბედავი ომარი მეორე დღესაც ერთობ გამომწვევად მივიდა ქააბასთან სალოცავად, როგორც ეს მუსლიმს შეეფერებოდა, მაგრამ ყურეიშიანებმა იქვე მისულ მეორე მუსლიმს შეუშალეს ხელი ლოცვაში, ომარს კი აღარაფერი უთხრეს, რადგან ის აბუ ჯალის ნათესავი იყო.

ამის დანახვაზე, თავმოყვარე ომარი ბიძამისთან მივიდა. „მე არ მჭირდება შენი მფარველობა, – უთხრა მან აბუ ჯალს, – მე სულაც არ მინდა უკეთეს მდგომარეობაში ვიყო, ვიდრე ისინი, ვის რწმენასაც მე ვიზიარებ“.

მას შემდეგ ომარმა საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი მუჰამადს და მის ერთ-ერთ ყველაზე მხურვალე ქომაგად, ისლამის განთქმულ, მისთვის თავდადებულ მოღვაწედ იქცა.

ქართული ბიბლიოთეკა

ყურეიშიანთა კანონი მუსლიმთა წინააღმდეგ. მუჰამადის შეხვედრა ბრძენ ჰაბიბთან

ყურეიშელები ისე გაამწარა მუჰამადის ამ ახალმა წარმატებამ, რომ აბუ ტალიბი უკვე შიშობდა, ძალადობით იქნებოდა თუ ვერაგობით, რაიმე უბედურება არ შეემთხვიათ მისი ძმისშვილისთვის. ბიძამისის დაჟინებული თხოვნით, მუჰამადი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი ქალაქის შორიახლოს მდებარე გამაგრებულ ციხე-დარბაზში გადასახლდნენ, რომელიც აბუ ტალებს ეკუთვნოდა.

აბუ სუფიანმა და მისმა თანამზრახველებმა ისარგებლეს ამ ვითარებით, რომ ძველი გვაროვნული შუღლი გაეჩაღებინათ და ჰაშიმიანთა საგვარეულოს განსაკუთრებული მდგომარეობა შეერყიათ. მათ მიაღებინეს ყურეიშანთ კანონი, რომლის მიხედვით ყველა ყურეიშიანს ეკრძალებოდა ჰაშიმიანებთან ყოველგვარი – თუნდაც სავაჭრო – კავშირ-ურთიერთობა, ვიდრე ისინი მუჰამადის დაცვას არ შეწყვეტდნენ. ეს ბრძანება პერგამენტზე დაიწერა და გამოკრულ იქნა ქააბაში, რის შედეგად მუჰამადი და მისი მიმდევრები მძიმე დღეში აღმოჩნდნენ: ისინი თითქმის შიმშილობდნენ თავიანთ ციხე-დარბაზში, რომელსაც ყურეიშანნი დროდადრო თავს ესხმოდნენ, რომ მტრისთვის სანოვაგის შოვნაში ხელი შეეშალათ.

დროებითი შვება მუსლიმებს მხოლოდ მომლოცველობის სეზონის დადგომამ მოუტანა, როდესაც მექაში არაბეთის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული მლოცველები იკრიბებოდნენ და მთელი ამ დროის განმავლობაში ტომებს შორის ყოველგვარი ქიშპობა და შუღლი აკრძალული იყო. მხოლოდ ამ ხანებში ბედავდნენ მუსლიმები მექაში დაბრუნებას; მუჰამადი მომლოცველთა რიგებში გაერეოდა, ლოცულობდა და ქადაგებდა, ყვებოდა თავისი შთაგონების შესახებ და თავის სწავლებას ხსნიდა; ამ გზით პოულობდა მიმდევრებს, ქვეყნის სხვადასხვა შორეულ მხარეში. მოქცეულთა შორის ზოგჯერ ტომთა ბელადები და მეთაურები იყვნენ, რომლებიც შემდგომში თავის ქვეშევრდომებზეც ახდენდნენ გავლენას.

არსებობს არაბული ლეგენდა იმის თაობაზე, თუ როგორ მოაქცია მუჰამადმა თავის სარწმუნოებაზე გამოჩენილი არაბი მთავარი, რომელსაც ცოდნისა და სიბრძნის გამო ბრძენ ჰაბიბს უწოდებდნენ. ყველა სარწმუნოების მცოდნე ჰაბიბი მისნობაშიც ყოფილა გათვიცნობიერებული და ას ორმოცი წლის ასაკში გარდაცვლილა. ერთხელ ჰაბიბი უზარმაზარი ჯარის თანხლებით მექას სწვევია, რათა ქააბას ღვთაებებისთვის შეეგებინა თავისი დამბლადაცემული, ბრმა და ყრუ-მუნჯი ქალიშვილი სატიჰა. სწორედ ამ დროს შეხვედრია ბრძენი ჰაბიბი მუჰამადს.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ აბუ სუფიანმა და აბუ ჯალმა მოახსენეს ბრძენ ჰაბიბს გაუგონარი მწვალებლობის შესახებ და დაითანხმეს, გამოეძახა თავისთან მუჰამადი მისი სწავლების დასაცავად: ისინი იმედოვნებდნენ, რომ ეს შეხვედრა მუჰამადის გაძევებით ან სულაც სიკვდილით დამთავრდებოდა. მიუხედავად შინაურთა ხვეწნა-მუდარისა, მუჰამადი მაინც გაემართა კაჟის დაბლობად ცნობილ ადგილისკენ, მის დასაღუპად გამართულ საშინელ სამსჯავროზე. მდიდრულად გამოწყობილი ჰაბიბი მას ჩარდახის ქვეშ შეეგება, ოქროთი და სპილოს ძვლით მორთული შავი ხის სავარძელში მჯდომარე. სამაგიეროდ, მუჰამადს, რომელსაც მხოლოდ მისი ერთგული თანაშემწე, აბუ ბაქრი ახლდა, უბრალოდ ეცვა: შავი ჩალმა ეხურა და თეთრ ტანსაცმელზე პაპამისის, აბდ ალ-მუტალიბის მოსასხამი ჰქონდა მოხურული.

ჰაბიბმა მუჰამადს შესთავაზა თავისი წინასწარმეტყველობის დასამტკიცებლად, სასწაული მოეხდინა: მუჰამადს უნდა გამოეცნო, თუ რა იყო ჰაბიბის კარავში. მუჰამადმა არათუ გამოიცნო, რომ ეს ჰაბიბის უბედური ქალიშვილი იყო, არამედ განკურნა კიდეც იგი. ამის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაბიბი და იქ მყოფი ყურეიშანნი კიდევ უფრო საკვირველი სასწაულის მომსწრენი გახდნენ: მუჰამადის ნებით სინათლე ჩაქრა და სიბნელე ჩამოწვა, ამოსული მთვარე კი ცაზე გადაადგილდა და ზედ ქააბას თავზე გაჩერდა.

ალბათ, იმის აღნიშვნაც კი ზედმეტია, რომ ამ საოცრებათა მხილველი და ქალიშვილის გამოჯანმრთელებით ბედნიერი ჰაბიბი, ისევე როგორც იქ დამსწრე, მექას ოთხას სამოცდაათი მცხოვრები, შეუერთდა ახალ სარწმუნოებას და მხოლოდ გაბოროტებული აბუ ჯალი გაიძახოდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი, ჯადოქრობა და თვალთმაქცობა იყო.

აბუ ტალებისა და ხადიჯას სიკვდილი. ნიშნობა აიშასთან. გახიზვნა ტაიფაში და ნაკლახის დაბლობის ხილვები

ამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მუჰამადი თავის მოწაფეებთან ერთად აბუ-ტალების ციხე-დარბაზში გადასახლდა; ჯერ კიდევ მოქმედებდა კანონი, რომელიც კრძალავდა მათ ნებისმიერ კავშირს თანამემამულეებთან. დევნის პირობებში, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ახალი მოძღვრების მიმდევართა რაოდენობამ იმატა. ამან ყურეიშიანთა შორის მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ისინი უკმაყოფილონი იყვნენ მათ შორის ჩამოვარდნილი შუღლით, რომლის სულისჩამდგმელი აბუ სუფიანი იყო.

ამას შედეგად მოყვა ქააბაში გამოკრული საბუთის გაუქმება: ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ პერგამენტზე უკვე აღარაფერი ეწერა, გარდა სიტყვებისა: „სახელითა შენითა, ყოვლისშემძლე ღმერთო!". ამრიგად, ბრძანებულება გაუქმებულად იქნა მიჩნეული და მუჰამადს, მის მიმდევრებთან ერთად, მექაში მშვიდად დაბრუნების უფლება მიეცა. მუსლიმები ამაში ზებუნებრივი ძალის გამოვლენას ხედავდნენ, მაგრამ გამორიცხული არაა ისიც, რომ უკვე თვით აბუ სუფიანისთვის საზიანო ეს საბუთი ადამიანის ხელით განადგურებულიყო.

მუჰამადის მექაში დაბრუნებამ კიდევ ერთხელ გაზარდა მის თანამიმდევართა რიცხვი, როგორც თვით ქალაქის მაცხოვრებელთა, ისე ჩამოსულ მომლოცველთა შორის. ამის სამაგიეროდ, კერპთაყვანისმცემელ ყურეიშიანებს ახარებდათ სპარსელთა მიერ სირიისა და ეგვიპტის დაპყრობა და ქრისტიანი ბერძნების დამარცხება, რადგან მუჰამადის სწავლებას ბერძენთა სარწმუნოებას ამსგავსებდნენ. ამაზე პასუხი მუჰამადმა გასცა ყურანში, სადაც ამბობდა, რომ მიუხედავად ბერძნების დამარცხებისა, რამოდენიმე წელიწადში ისინი მაინც სძლევდნენ სპარსელებს. აბუ ბაქრი ათ აქლემსაც კი ჩამოვიდა იმის სანაძლეოდ, რომ ეს წინასწარმეტყველება სამ წელიწადში ასრულდებოდა. „გაზარდე სანაძლეო, მაგრამ გაზარდე ვადაც", უთქვამს მისთვის მუჰამადს. აბუ ბაქრმა სანაძლეო ას აქლემამდე, ვადა კი ცხრა წლამდე გაზარდა. წინასწართქმა შესრულდა და აბუ ბაქრმა სანაძლეო მოიგო, რაც მუსლიმების მიერ ყურანის ციური წარმოშობის კიდევ ერთ მინიშნებადაა მიჩნეული.

მექაში დაბრუნების შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ გარდაიცვალა მუჰამადის ბიძა, ოთხმოც წელს გადაცილებული აბუ ტალები, ვისაც ყველა დიდ პატივს სცემდა მისი ხასიათის გამო. მუჰამადი თავზე ადგა მომაკვდავს, და სთხოვდა, სიკვდილის წინ მაინც მიეღო ისლამი, რომ მომავალში თავისთვის ნეტარი აღდგომა უზრუნველეყო.

მომაკვდავ პატრიარქს სიკვდილის წინაც არ განელებია პიროვნული ღირსების შეგრძნება.

– ო, ჩემო ძმისშვილო, – უპასუხა მან მუჰამადს, – რომ წარმომეთქვა კიდეც საჭირო სიტყვები, ყურეიშიანნი იტყოდნენ, რომ ეს მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის შიშმა ჩამადენინა.

აბუ ტალების გარდაცვალებაზე სხვადასხვაგვარი გადმოცემა არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ალ-აბასმა, დაინახა რა მომაკვდავი ძმის ტუჩების მოძრაობა, დაიხარა, რომ მოესმინა მისთვის და სასურველი სიტყვები გაიგონა. სხვების გადმოცემით, აბუ ტალებს უთქვამს: „მე ვკვდები იმ რწმენით, რომელსაც იზიარებდა აბდ ალ-მუტალიბი". ისლამის ზოგი კომენტატორი კი ამტკიცებს, რომ აბდ ალ-მუტალიბმა სიკვდილის წინ კერპთაყვანისმცემლობა უარყო და ერთიანი ღმერთი აღიარა.

აბუ ტალების გარდაცვალების შემდეგ სამი დღეც არ გასულა, რომ სიკვდილმა წარტაცა მუჰამადს მისი ერთგული და თავდადებული მეუღლე, სამოცდასამი წლის ხადიჯა. მუჰამადმა მწარედ დაიტირა ცოლი და ძაძებით შეიმოსა. ის წელიწადი მუსლიმთა შორის გლოვის წელიწადად გამოცხადდა. ამ სევდიან ხანაში, – მოგვითხრობს არაბი მწერალი აბუ ხურაირა, – მუჰამადს ნაღველს მხოლოდ მთავარანგელოზ ჯაბრაილის გამოცხადება თუ უქარვებდა, რომელმაც ამცნო: რწმენისთვის და იმ დახმარებისთვის, რაც ხადიჯამ მუსლიმებს გაუწია, მან სამოთხეში ვერცხლის სასახლე მიიღო ჯილდოდ.

ხადიჯას სიცოცხლეში მუჰამადს არასოდეს უსარგებლია არაბთა წესით, რომელიც მრავალცოლიანობის ნებას რთავდა მამაკაცს. როდესაც ხანი გამოხდა და მწუხარების ცეცხლიც მიინავლა, მან ცხოვრების ამ მხარესაც მიაქცია ყურადღება და შემოიღო კანონი, რომელიც მუსლიმ მამაკაცს ნებას რთავდა ოთხი ცოლი ჰყოლოდა. თვით მუჰამადი ამ რიცხვით არ შემოიფარგლა, რადგან წინასწარმეტყველი უბრალო მოკვდავის სადარი არ უნდა ყოფილიყო.

ამ ხანებში, მუჰამადის ყურადღება მისი ერთგული მიმდევრის, აბუ ბაქრის მომხიბლავმა ქალიშვილმა, აიშამ მიიპყრო. ისიც შესაძლებელია, რომ ამ ქორწინებით, მას სურდა კიდევ უფრო განემტკიცებინა კავშირი აბუ ბაქრთან, მდიდარ ვაჭართან, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიროვნებასთან მის თანამემამულეთა შორის. ცხელ სარტყელში გოგონები ნაადრევად აღწევენ ქალური სიმწიფის ასაკს, მაგრამ შვიდი წლის აიშა ჯერ კიდევ მეტად ნორჩი იყო ცოლ-ქმრული ცხოვრებისათვის. ამიტომ მხოლოდ ნიშნობა შედგა, მუჰამადისა და აიშას ქორწილი კი ორი წლით გადაიდო და მთელი ამ დროის განმავლობაში მუჰამადი ცდილობდა, თავისი მომავალი ცოლისთვის ისეთი აღზრდა-განათლება მიეცა, მაღალი წოდების არაბ ქალიშვილს რომ შეშვენოდა.

მანამდე კი, ვიდრე აიშა წამოიზრდებოდა, მუჰამადმა ცოლად შეირთო ერთი თავისი მიმდევრის ქვრივი, სახელად სავდა – საკუთარი ქალიშვილის, ფატიმას ძიძა. სავდა იყო ერთი იმ ლტოლვილთაგანი, რომლებიც მექას მცხოვრებთა მხრიდან დევნა-შევიწროების შედეგად აბისინიაში გადასახლდნენ. იქ სავდას სიზმარი უნახავს, თითქოს მუჰამადს მის მკერდზე თავი ჩამოედოს. ეს სიზმარი სავდას ქმარმა საკუთარი მოახლოებული სიკვდილისა და მუჰამადთან სავდას ქორწინების წინასწართქმად მიიჩნია და არც შემცდარა. მართალია, მუჰამადს სხვა ცოლებთან შედარებით ნაკლებად უყვარდა სავდა, ერთხანს მასთან განქორწინებაც განუზრახავს, მაგრამ სავდამ სთხოვა, შეენარჩუნებინა მისთვის ცოლის წოდება და თავის მხრივ შესთავაზა, როდესაც მისი და მუჰამადის შეხვედრის ჯერი დადგებოდა ხოლმე, ყოველთვის დაეთმო მეუღლის სარეცელი აიშას სასარგებლოდ. მუჰამადი ამას დათანხმდა და თავისი სიცოცხლის ბოლომდე სავდა მის მეუღლედ იწოდებოდა.

აბუ ტალების სიკვდილის შემდეგ მუჰამადს აღარ ჰყავდა ძლევამოსილი მფარველი, ვინც მექას მაცხოვრებლებზე გავლენას იქონიებდა და შეანელებდა აბუ სუფიანისა და აბუ ჯალის მტრულ დამოკიდებულებას, რომლებმაც ყურეიშიანებში მუჰამადის მიმართ ისეთი სიძულვილი გააღვივეს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული იყო, კიდევ ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეტოვებინა მექა. თავის შვილობილთან, ზაიდთან ერთად, ის თავშესაფრის მოსაპოვებლად ტაიფაში გაემგზავრა კედლით შემოზღუდულ ქალაქში, სადაც ტაკიფას ტომის არაბები სახლობდნენ. არაბეთის ამ ერთ-ერთში საუცხოო კუთხეში: აქ ხარობდა ვაზი, ატამი და ქლიავი, ნესვი და ბროწეული, იშლებოდა ლოტოსის ყვავილი; ლელვის ხეები და ოქრო-მწვანე ნაყოფიანი პალმები კი ჩრდილს ფენდნენ არემარეს. ამ მხარის ხასხასა მწვანე ველები და მოსავლიანი მინდვრები ისე განსხვავდებოდა მეზობელი უნაყოფო უდაბნოებისაგან, რომ არაბებმა შეთხზეს იგავი, თითქოს ოდესღაც ეს ადგილი წარმოადგენდა სირიის ნაწილს, რომელიც მას წარღვნის დროს ჩამოსცილდა და არაბეთს შეუერთდა.

მუჰამადი ტაიფაში ჩავიდა თავისი ბიძის, ალ-აბასის იმედით, ვისაც იქ საკუთარი ადგილ-მამული ჰქონდა. მუჰამადმა ერთი თვე დაჰყო, მაგრამ მიმდევრები ვერ შეიძინა: ქალაქში ქადაგების უფლებას არ აძლევდნენ, მის ნათქვამს ხმაურითა და ყვირილით ახშობდნენ, ქვებს ესროდნენ; ამაოდ ცდილობდა ერთგული ზაიდი მის დაცვას. ერთხელაც იყო, ხალხის მძვინვარებამ იქამდე მიაღწია, რომ მუჰამადი გააძევეს ქალაქიდან, რომლის კედლებს გარეთ მონათა და ბავშვთა ბრბო მას კიდევ დიდხანს მიაცილებდა გინებ-გინებით.

გაძევებული მუჰამადი ვერც მშობლიურ ქალაქში ბედავდა დაბრუნებას, და ვიდრე ზაიდმა არ მოუძებნა მექაში თავისი მეგობრების ბინა, სადაც გაჩერება შეიძლებოდა, მუჰამადი უდაბნოში ცხოვრობდა. აქ შეემთხვა მას ერთგვარი ხილვა თუ ზებუნებრივი გამოცხადება, რომელიც სულიერი დაძაბულობისა და გონებრივი დაღლილობის ჟამს ეწვეოდა ხოლმე.

მუჰამადის სიტყვებით, ეს მოხდა მექასა და ტაიფას შორის, ნაკლახის დაბლობში, სალამოს ლოცვის შემდეგ, როდესაც იგი ყურანს კითხულობდა. მუჰამადის წაკითხული სიტყვები ჩაესმათ მაცდურთ და ალისულებს, რომლებმაც ადამიანის მსგავსად სამომავლოდ ჯილდო ან სასჯელი უნდა დაიმსახურონ.

– მოუსმინეთ და გაუგეთ! – უხმობდნენ ერთიმეორეს მაცდურნი და, გარინდებულნი, მუჰამადის კითხვას უყურადებდნენ, – საკვირველი მოძღვრება გვესმის, რომელსაც ჭეშმარიტ გზაზე გავყავართ! ამიერიდან ჩვენ მას ვირწმუნებთ!

არაბთა წარმოდგენებით, ყოველ დაბლობსა და უკაცრიელ, მიუვალ ადგილას ბინადრობს მაცთურთა, ანუ ქაჯთა ტომი, რომელიც ერთ უფროს სულს ემორჩილება. ღამ-ღამობით ეს იდუმალი არსებანი საჩინონი ხდებიან მომლოცველებისა და მოგზაურებისთვის, რომლებიც, მიაღწევენ რა გვიან საღამოხანს რომელიმე დაბლობს, შესთხოვენ ამ არემარის სულთა მეთაურს, დაიცვას ისინი მის გამგებლობაში მყოფ ბოროტ მაცთურთაგან. უდაბნოში სწრაფად ჩახვეულ ქარბორბალას, მტვრის ასვეტებულ კორიანტელს არაბები სწორედ ამგვარ ალისულებს – ჭინკათ და კორვიანტთ მიაწერენ. თუ ანგელოზები, არაბთა წარმოდგენებით, კაშკაშა ძვირფასი ქვებისგან არიან შექმნილნი, მაცთურნი უკვამლო ცეცხლისგან შედგებიან.

გადმოცემით, უძველეს ხანაში მაცთურთ ცად მიესვლებოდათ, მაგრამ ისინი იქიდან განიდევნენ, რადგან სხვის საქმეში უყვარდათ ჩარევა; მათ მაინც არ დაკარგეს ცნობისწადილი და ახლაც ცდილობენ ვარსკვლავებზე მოხვედრას, რომ უჩუმრად თვალი შეავლონ ზეცას, მოუსმინონ ციურ მაცხოვრებელთა საუბრებს და იქაური სიახლენი შეიტყონ, მაგრამ ანგელოზები ცეცხლოვანი ხმლებით დევნიან მათ და მოხეტიალე ვარდნილ ვარსკვლავებს ესვრიან.

სხვა ლეგენდის თანახმად, დედამიწა თავდაპირველად ამ არსებებით ყოფილა დასახლებული, მაგრამ ისინი აუჯანყდნენ უზენაესს და ორი ათასი წლის განმავლობაში უკანონოდ ბატონობდნენ დედამიწაზე. საბოლოოდ, მათ წინააღმდეგ გაიგზავნა აზაზილი (ლიუციფერი), რომელმაც დაამარცხა მაცთურთა ძლევამოსილი მეფე ჯიჯან ბენ ჯიჯანი –

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირამიდათა ამშენებელი, ვის გრძნეულ ფარ-თილისმას მისნური ძალა ჰქონდა. მოგვიანებით ეს ფარი სოლომონ ბრძენს ერგო და მიანიჭა მას გრძნეულებისა და ბოროტ სულთა ჯადოქრობის დაძლევის უნარი.

დამარცხებული და დამცირებული მაცთურნი აღშფოთდნენ, აჯანყდნენ, რის შედეგად სამყაროს ბნელ კიდეს იყვნენ განდევნილნი. აი, სწორედ ამ დროს შექმნა ღმერთმა ადამიანი და, მიანიჭა რა ნაკლებად სახიფათო უნარ-თვისებანი, საცხოვრებლად მთელი დედამიწა მიუჩინა მას.

მუჰამადის სასწაულებრივი მოგზაურობა მექადან იერუსალიმში და იქიდან — მეშვიდე ცაზე

ამას შემდეგ, რაც ტაიფადან მექაში დაბრუნდა და ზაიდის ახლობელი მუსლიმის სახლში დაბინავდა, მუჰამადს, ნაკლახის უდაბნოს ზმანებასთან შედარებით, გაცილებით უფრო საოცარი ხილვა შეემთხვა: ეს იყო მისი განთქმული მოგზაურობა იერუსალიმში, იქიდან კი – მეშვიდე ცაზე.

ღამე, როდესაც ეს მომხდარა, აღიწერება, როგორც ყველაზე მრუმე და ჩუმი ღამე, რომელიც კი ოდესმე ყოფილა. ძაღლები არ ყეფდნენ და არც მამლების ყივილი ისმოდა; ვერც ბუს შეკივლებასა თუ მტაცებლის ყმუილს გაიგონებდით; ჩადგა ნიავი, წყალნი დადუმდნენ, უსიცოცხლოდ გარინდულიყო მთელი ბუნება.

შუაღამისას, მძინარე მუჰამადს დაესიზმრა, რომ ქააბაში ეძინა. უეცრად ძახილი შემოესმა.

– გამოფხიზლდი, მძინარევ! – მუჰამადმა გამოიღვიძა წამოდგა. მის წინ ანგელოზი ჯაბრაილი იდგა: თოვლზე უთეთრესი სახე ჰქონდა, ფრთები კი თვალისმომჭრელად უელავდა; მისი ოქრომკედით მოქარგული ტანსაცმელი თვალ-მარგალიტით იყო მოფენილი.

ჯაბრაილის გვერდით გასაოცარი გარეგნობის ცხენი იდგა, რომელიც მან მუჰამადს მოჰგვარა. ის ყველა ცოცხალი არსებისგან განსხვავდებოდა: ადამიანის მსგავს სახეზე ჰიაცინტივით თვალები ვარსკვლავისებრ უელავდა, არწივისებრი ფრთები ნათელ სხივებად უკაშკაშებდა და მთელი სხეული ალმასისებრ უბზინავდა. ეს იყო ფაშატი, რომელსაც, მისი გასხივოსნებული სილამაზისა და გაუგონარი სისწრაფის გამო, ალ-ბურაკი ანუ ელვა ერქვა.

მუჰამადმა საოცარ ცხენზე ამხედრება განიზრახა, მაგრამ ალ-ბურაკი არ დაემორჩილა და ყალყზე შედგა.

– მშვიდად, ბურაკ! – უთხრა ჯაბრაილმა, – პატივი ეცი ღვთის მოვლენილ წინასწარმეტყველს! ის ყველაზე განთქმულია. იმ მოკვდავთა შორის, ვინც კი შენ გიტარებია.

– ო, ჯაბრაილ! – უპასუხა ალ-ბურაკმა, – განა ოდესღაც მე არ დამყავდა აბრამი მის შვილ ისმაილთან?! ო, ჯაბრაილ! იქნებ ეს კაციც რწმენის დიდი ქომაგი და ახალი მრწამსის დამამკვიდრებელია?!

– მართალია, ო, ბურაკ! ესაა მუჰამად იბნ აბდ ალ-ლაჰი, ბედნიერი არაბეთის ჭეშმარიტად მორწმუნე ძე, უდიადესი უკანასკნელ წინასწარმეტყველთა შორის. მისი შუამდგომლობის გარეშე ვერც ერთი არსება ვერ შევა სამოთხეში.

– ო, ჯაბრაილ! – შეეხვეწა ალ-ბურაკი, – თქვენი საერთო რწმენის სახელით, უთხარი მუჰამადს, რომ საყოველთაო აღდგომის დღეს გამომესარჩლოს!

– მშვიდად იყავი, ო, ბურაკ! – წამოიძახა მუჰამადმა, – შენ ჩემი შუამავლობით შეხვალ სამოთხეში.

ამ სიტყვების შემდეგ ბურაკი მიუახლოვდა მუჰამადს და ამხედრების საშუალება მისცა, შემდეგ მაღლა ცაში აიტაცა მხედარი, და მექას მთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან, შორს ჩამოიტოვა. ჯაბრაილიც მათ მიჰყვა.

ისინი ელვისებურად მიქროდნენ მიწასა და ზეცას შუა, რომ უეცრად ჯაბრაილმა დაიყვირა:

– შეჩერდი, მუჰამად! მიწაზე დაეშვი, ორჯერ თაყვანი ეცი წმინდა ალაგს და ლოცვა აღავლინე!

მას შემდეგ რაც მიწაზე დაეშვა და ილოცა, მუჰამადმა იკითხა:

– ო, ჩემის სულის უსაყვარლესო მეგობარო! ამ ადგილას ლოცვა რად მიბრძანე?

– იმიტომ, რომ ეს სინას მიწაა, სადაც მოსე ღმერთს ესაუბრა! – უპასუხა ჯაბრაილმა.

ისინი კვლავ ცაში აფრინდნენ, მაგრამ მალე ჯაბრაილმა ისევ დაიყვირა:

– შესდექ, მუჰამად! ძირს დაეშვი და ლოცვად შედექი, ორგზის თაყვანეცი წმინდა ადგილს!

ისინი მიწაზე დაეშვნენ, მუჰამადმა ილოცა და კვლავ იკითხა, ამ ადგილას ლოცვა რად მიბრძანეო.

– იმიტომ რომ ეს ბეთლემია, სადაც მარიამის ვაჟიშვილი, იესო იშვა! – მიუგო ჯიბრაილმა.

ფრენა განახლდა, მაგრამ მალე მარჯვნიდან ხმამაღალი ძახილი მოისმა.

– ო, მუჰამად, წუთით შეყოვნდი! უნდა გაგესაუბრო! ღვთის ყველა ქმნილებათა შორის მე ვარ შენი ყველაზე ერთგული!

მაგრამ ბურაკი წინ მიიწევდა და მუჰამადმაც შეჩერებისგან თავი შეიკავა, რადგანაც გრძნობდა, რომ ეს მასზე არ იყო დამოკიდებული. მალე მეორე ხმაც გაისმა, რომელმაც იგივე სიტყვები წარმოთქვა, მაგრამ მუჰამადი ისევ არ შეყოვნებულა. უეცრად მის წინ გამოჩნდა არნახული სილამაზის ქალიშვილი, – უჩვეულოდ და მდიდრულად ჩაცმულ-მორთული. ის მაცდურად იღიმოდა და ამბობდა:

– წუთით შეისვენე, მუჰამად, ნება დამრთე, გაგესაუბრო, რადგან ყველა სხვა ქმნილებას შორის შენი უერთგულესი მე ვარ!

არაჩვეულებრივი ცხენი კი მაინც წინ მიქროდა და მუჰამადმაც მოისაზრა, რომ მასზე კი არ იყო ეს ფრენა დამოკიდებული, არამედ თვით ყოვლად დიდებული ღმერთი მართავდა მას.

მუჰამადმა თხოვა ჯაბრაილს, აეხსნა, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე. ჯაბრაილის თქმით, ხმები ეკუთვნოდნენ ებრაელსა და ქრისტიანს; მათთვის რომ ესმინა, არაბობა ან ებრაული, ან ქრისტიანული რწმენისკენ გადაიხრებოდა. ქალიშვილი კი მთელ სამყაროს წარმოადგენდა, მისი სიმდიდრით, ცდუნებითა და პატივმოყვარეობით; მისთვის რომ მოესმინა, მუჰამადის მშობლიური ერი ამქვეყნიურ სიამეს აირჩევდა, მარადიულ ნეტარებას დაივიწყებდა და სამარადისო დაღუპვას დაიმსახურებდა.

ცად მოგზაურობა დასრულდა და მუჰამადმა იერუსალიმის ტაძრის კარიბჭეს მიაღწია[7]. შიგ შესულს დახვდნენ: აბრამი, მოსე, იესო და სხვა წინასწარმეტყველნი. მას შემდეგ, რაც მათთან ერთად ილოცა, მუჰამადმა შეამჩნია, რომ ციდან გასხივოსნებული კიბე ჩამოდიოდა: ჯაბრაილის დახმარებით მან სწრაფად იწყო ამ კიბეზე ასვლა.

პირველ ცას რომ მიაღწიეს, ჯაბრაილმა მის ბჭეკარს მიუკაკუნა.

– ვინაა? – იკითხეს შიგნიდან.

– ჯაბრაილი.

– ვინ გახლავს?

– მუჰამადი.

– მიიღო მან თავისი მისია?

– მიიღო.

– მაშ, ის სასურველი სტუმარია.

პირველი ცა სუფთა ვერცხლისა იყო, მის სხივმნათ კამარაზე ოქროს ჯაჭვებით ეკიდა ვარსკვლავები. ყოველ ვარსკვლავს ანგელოზი დარაჯობდა, რომ დემონებსა და მაცთურთ წმინდა სკნელში არ შეეღწიათ. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჰამადს ერთი მოხუცი მიუახლოვდა, და ჯაბრაილმა უთხრა: „ესაა შენი მამა, ადამი, ღირსეულად შეეგება მას“. ადამი მიესალმა მუჰამადს და თავის უდიადეს შვილად აღიარა იგი.

პირველ ცაზე უსასრულო რაოდენობის სხვადასხვა ცხოველი ირეოდა. ჯაბრაილის თქმით, ესენი იყვნენ ანგელოზები, რომლებმაც დედამიწაზე გავრცელებულ ცხოველთა სხვადასხვა ჯიშის სახე მიიღეს, ღვთის წინაშე მათთვის შუამდგომლობა რომ გაეწიათ. მათ შორის იყო უზარმაზარი, თვალისმომჭრელად თეთრი მამალი, რომლის ბიბილო მეორე ცას სწვდებოდა, იქამდე კი ხუთასი წლის ხანგრძლივობის მოგზაურობა იყო საჭირო. ეს განსაცვიფრებელი ფრინველი დილაობით ესალმება უფალს თავისი გასაოცარი სიმღერით, და ამ ხმაზე იღვიძებს დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცხოველი, ადამიანის გარდა; ამ მამლის მიბაძვით მღერიან მისივე ჯიშის ყველა სხვა ფრინველიც.

შემდეგ ჯაბრაილი და მუჰამადი მეორე ცაზე ავიდნენ. ჯაბრაილმა კვლავ უპასუხა დასმულ კითხვებზე, და ისინი კარიბჭეში გაატარეს. მეორე ცა გაპრიალებული ფოლადისა იყო და კაშკაშა სინათლეში ბზინვა გაუდიოდა. აქ მათ დახვდათ ნოე (ნუჰი), რომელიც მიესალმა მუჰამადს, როგორც უდიადეს წინასწარმეტყველს[8].

მესამე ცაზეც მსგავსადვე მოხვდნენ. ცა ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. აქ უშველებელი სიმაღლის ანგელოზი იჯდა: მის თვალებს შორის მანძილის დასაფარავად სამოცდაათი დღის მოგზაურობა იყო საჭირო. ანგელოზს შეიარაღებულ მეომართა ასი ათასი რაზმი ემორჩილებოდა, მის წინ კი უზარმაზარი წიგნი იდო, რომელშიც ის მუდამ რაღაცას წერდა ან შლიდა.

– ო, მუჰამად, ესაა აზრაილი, სიკვდილის ანგელოზი, – თქვა ჯ აბრაილმა, – ის უფლის ნებას აღასრულებს და შეაქვს წიგნში მათი სახელი, ვინც უნდა დაიბადოს და შლის მათ სახელს, ვინც მოკვდება.

მეოთხე ცა უწმინდესი ვერცხლისგან იყო ნაგები. აქაურ ანგელოზთა შორის ერთი გამოირჩეოდა, რომლის სიმაღლე ხუთასი დღის სავალი მანძილის ტოლი იყო. მის მწუხარე სახეს ღვარად სდიოდა ცრემლი.

– ეს ცრემლთა ანგელოზია, – თქვა ჯაბრაილმა, – ის დასტირის ადამიანთა მოდგმის ყველა ცოდვას და უწინასწარმეტყველებს მათ იმ მწუხარებას, რომელიც მომავალში მოელით.

მეხუთე ცა ბაჯაღლო ოქროსი იყო. აქ მუჰამადს დახვდა არონი, მიესალმა და გადაეხვია. ამ ცაზე შურისძიების ანგელოზი მოთავსებულიყო – ის ყველაზე მახინჯი და საზარელი იყო მუჰამადის მიერ ნანახ ანგელოზთა შორის. მეჭეჭებით და კოპებით დაფარულ სპილენძისფერი სახიდან თვალები ელვებს აფრქვევდნენ. ის აალებულ ტახტზე იჯდა, ხელში ცეცხლოვანი შუბი ჰქონდა ჩაბღუჯული, მის წინ კი გავარვარებული ჯ აჭვ-ბორკილის გროვა იდო. მას და მის ქვეშევრდომებს ცოდვილების და ურწმუნოთა მიმართ საღვთო შურისძიების საქმე ჰქონდათ დავალებული.

მოგზაურებმა დატოვეს ეს საშინელი ადგილი და მეექვსე ცაზე გადაინაცვლეს, რომელიც ქარვის გამჭვირვალე ქვისგან შედგებოდა. აქაური ანგელოზი სანახევროდ თოვლის, სანახევროდ კი უქრობელი ცეცხლისა იყო; მის გარშემო მცირე ანგელოზთა გუნდი ტრიალებდა და განუწყვეტლივ გაიძახოდა:

– ო, ღმერთო, ვინც თოვლი ცეცხლს შეუერთე, შეაკავშირე შენი ერთგული მსახურნიც, შენი კანონისადმი მორჩილებაში!

– ეს ცისა და მიწის დამცველი ანგელოზია, – თქვა ჯაბრაილმა, – ის შენს თანამემამულეებს უგზავნის სხვა ანგელოზებს, რომ მათ შენი მოწოდება აღიარონ და უხმობს მათ, ღმერთს ემსახურონ. თავის საქმეს ის აღდგომის დღემდე გააგრძელებს.

მუჰამადმა ამ ცაზე იხილა მოსე, რომელსაც მის დანახვაზე ცრემლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასკდა.

– რა გატირებს?, – იკითხა მუჰამადმა.

– მე იმას ვნაღვლობ, რომ გხედავ შენ, ჩემს მემკვიდრეს, - რომელმაც სამოთხეში ჩემზე მეტი ადამიანი უნდა შეიყვანოს – უპასუხა მოსემ.

. მეშვიდე ცაზე მუჰამადს აბრამი დახვდა. ეს სანეტარო ადგილი გამოუთქმელი ღვთაებრივი სინათლითა და სიკაშკაშით იყო სავსე. მის ერთ-ერთ მკვიდრს, ზომით დედამიწაზე უფრო დიდ ანგელოზს, სამოცდაათი ათასი თავი ჰქონდა. თითოეულ თავს სამოცდაათი ათასი პირი, თითოეულ პირს კი სამოცდაათი ათასი ენა; ყოველი ამ ენათაგანი სამოცდაათ ათას ენაზე ლაპარაკობდა.

ამ საოცარი არსების ხილვის შემდეგ, მუჰამადი უეცრად ლოტოსის იმ ხესთან იქნა გადატანილი, რომელიც უფლის უხილავი ტახტის მარჯვნივაა, მისი ტოტები კი დედამიწასა და მზეს შორის არსებულ მანძილზე უფრო ფართოდაა გაშლილი. ამ ხის ტოტებში, რომელსაც სიდრათი ჰქვია, ათასობით უკვდავი ჩიტი დაფარფატებდა და ყურანის დიად ლექსებს მღეროდა; ამ ხის ნაყოფი რძეზე სასიამოვნოა, თაფლზე უტკბესი და საკმარისია იმისათვის, რომ ყველა ცოცხალი არსება გამოკვებოს. ნაყოფის ყოველ თესლში თითო ჰურია ანუ ზეციური ქალწული იმყოფება, რომელიც ჭეშმარიტად მორწმუნის ნეტარებისთვისაა განკუთვნილი. ამ ხესთან იღებს სათავეს ოთხი მდინარე – ორი მათგანი სამოთხეში გადის, ორი დანარჩენი კი გვერდს უვლის მას; ესაა ნილოსი და ევფრატი.

ამის შემდეგ მუჰამადი და მისი ციური გამძღოლი ალ-მამურში ანუ თაყვანისცემის სახლისკენ გაემართნენ, რომელიც ალისფერი ბადახშით იყო ნაგები და ურიცხვი ჩაუქრობელი ლამპრით გარემოცული. შიგნით რომ შევიდნენ, მუჰამადს სამი ჭურჭელი შესთავაზეს: ერთში ღვინო ესხა, მეორეში რძე და მესამეში თაფლი. მუჰამადმა რძიანი ჭურჭლიდან მოსვა.

– სწორი არჩევანია! – თქვა ჯაბრაილმა, – ღვინოს თუ დალევდი, მთელი შენი ხალხი ჭეშმარიტ გზას აცდებოდა.

წმინდა სახლი მოყვანილობით ქააბას ჰგავდა და ზუსტად მის ასწვრივ, მეშვიდე ცაზე იდგა. ყოველდღიურად მას სამოცდაათი ათასი ანგელოზი მოინახულებდა ხოლმე. სწორედ მაშინ ისინი შენობას გარს უვლიდნენ და მუჰამადმაც მათთან ერთად შვიდჯერ შემოუარა მას.

ჯაბრაილს ამის იქით წასვლის უფლება არ ჰქონდა. მუჰამადმა ფიქრზე უსწრაფესად გადალახა უკიდეგანო სივრცე, გზად კაშკაშა სინათლის ორი და უკიდურესი სიბნელის ერთი მხარე გაიარა; როდესაც სიბნელიდან გამოვიდა, მოწიწებამ და შიშმა მოიცვა – მან უფლის სიახლოვე შეიგრძნო.

უფლის ღვთიური ხატი ოცი ათასი საბურველით იყო დაფარული, რადგანაც მის ხილვას ადამიანი ვერ გაუძლებდა და მყისვე განადგურდებოდა. უფალმა ერთი ხელი მკერდზე დაადო მუჰამადს, მეორე კი მხარზე, და მუჰამადმა იგრძნო, როგორ გაეყინა ძარღვებში სისხლი და თხემით ტერფამდე ურუანტელმა დაუარა; ეს გრძნობა აღფრთოვანებული ნეტარების განცდით შეიცვალა – ამის გაგება იმათ თუ ძალუძთ, ვინც ღმერთის სიახლოვესაა ნამყოფი.

მუჰამადმა მრავალი რამ ისწავლა უფლისგან, რაც შემდგომში ყურანში შეიტანა და მიიღო მისგან ორმოცდაათი საყოველდღეო ლოცვა, რომელიც ყველა ჭეშმარიტი მორწმუნესთვის იყო განკუთვნილი.

როდესაც მუჰამადი უკან ბრუნდებოდა, შეხვდა მოსეს, რომელმაც ურჩია შეემცირებინა ყოველდღიური აუცილებელი ლოცვების რაოდენობა, რადგანაც, მისი გამოცდილებით, ამის შესრულება გაუსაძლისი იყო ადამიანისთვის. მუჰამადი დაეთანხმა ამ აზრს, უფალთან დაბრუნდა და ლოცვათა რაოდენობა ორმოცამდე იქნა შემცირებული, მაგრამ როდესაც უკანა გზაზე ისევ შეხვდა მოსეს და მისგან იგივე შენიშვნა მოისმინა, კვლავ გაბრუნდა. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ, ვიდრე ლოცვათა რაოდენობა ხუთამდე არ დავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე გასხივოსნებული კიბით მუჰამადი დედამიწაზე დაბრუნდა, ამხედრდა ალ-ბურაკზე და ერთ წუთში უკვე მექაში იყო.

მედინელ მომლოცველთა მოქცევა. ყურეიშიანნი ცდილობენ მოკლან მუჰამადი. გაქცევა მექადან და მედინაში ჩასვლა

მუჰამადს სულ უფრო უჭირდა სამშობლოში, მექაში გაჩერება. ის უკვე მშობლიურ ქალაქშიც კი ნამდვილი ლტოლვილივით ცხოვრობდა, და იძულებული იყო, ესარგებლა არაბებში გავრცელებული სტუმართმოყვარეობის წესით და ახლობლებთან ეძია თავშესაფარი, რასაც ხშირად ამ უკანასკნელთათვის დიდი უსიამოვნება მოჰქონდა სხვა ყურეიშიანთა მხრიდან. მექაში ჩამოსული მომლოცველებიც ერიდებოდნენ სახელგატეხილ, მამა-პაპათა სარწმუნოების უარმყოფელ ქადაგს. მათ კი, ვინც უფრო ამქვეყნიურ სიამესა თუ ჭირ-ვარამს აქცევდა ყურადღებას, არ სურდათ, რაიმე საერთო ჰქონოდათ მშობლიური ქალაქიდან რამდენმეჯერ გაძევებულ კაცთან.

მიუხედავად ამისა, როდესაც ერთხელ მუჰამადი მექას ჩრდილოეთით ერთ-ერთ ბორცვზე ქადაგებადა, მას ყურადღება მიაქციეს ქალაქ იასრიბიდან ჩამოსულმა მომლოცველებმა. იასრიბი მექას ჩრდილოეთით, ოთხასიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა, მის მაცხოვრებლებს შორის ბევრი ებრაელი და ქრისტიანი მწვალებელი იყო. მექაში ჩამოსული მომლოცველები ეკუთვნოდნენ ხაზრაჯიანთა ძველთაძველ და მძლავრ, წმინდად არაბულ ტომს, და მეგობრობდნენ მექაში მოსახლე ორ ებრაულ ტომთან, რომლებსაც საკუთარი თავი არონის შთამომავლებად მიაჩნდათ. იასრიბელ მომლოცველებს ხშირად სმენიათ მათგან საუბრები მომავალი მესიის შესახებ, და როდესაც გაიგეს, რომ მუჰამადი თავს უწოდებდა ცით მოვლენილ წინასწარმეტყველს, ძველი და ჭეშმარიტი რწმენა რომ უნდა აღედგინა, ეჭვი გაუჩნდათ, რომ აღთქმული მესია სწორედ ეს კაცი იყო. რაც უფრო მეტ ხანს უსმენდნენ ისინი მუჰამადს, მით უფრო რწმუნდებოდნენ თავიანთი ეჭვის სისწორეში და, საბოლოოდ, ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულებად აღიარეს თავი და მუჰამადს მიემხრნენ. მომლოცველთა დაბრუნებისას მუჰამადი მათ უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ხაზრაჯიანნი სამტრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი მათ ქალაქში მცხოვრებ სხვა ტომთან, ავსიანებთან, და სთხოვეს მუჰამადს, გადაედო იასრიბში ჩასვლა მანამ, სანამ ისინი ავსიანებს არ შეურიგდებოდნენ. მუჰამადი ამას დათანხმდა, მაგრამ თან გააყოლა თავისი ხაზრაჯიანთ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და მეცნიერი მიმდევარი, მუზაბა იბნ უმაირა, რომელსაც დაავალა ახლადმოქცეულებში რწმენის განმტკიცება და იასრიბის სხვა მცხოვრებლებში მისი გავრცელება.

მუზაბამ კარგად გაართვა თავი დავალებას, და ქალაქის მთავარ მაცხოვრებლებში ბევრი თანმიმდევარი შეიძინა, მათ შორის ავსიანთა ტომის მეთაურიც. მექადან ლტოლვილი ბევრი სხვა მუსლიმიც ჩავიდა იასრიბში და მალე იქ ძნელად თუ მოიძებნებოდა ოჯახი, რომელშიც ვინმე არ ყოფილიყო მოქცეული. ახლა მუჰამადისთვის გაცილებით იოლი იყო იასრიბში ჩასვლა და როდესაც მომლოცველობის წმინდა თვე დადგა, მუზაბა უკვე წინ მოუძღოდა მექაში წამოსულ სამოცდაათ ახლადმოქცეულ იასრიბელს, რომლებსაც უნდა შეეთავაზებინათ წინასწარმეტყველისთვის, მათ ქალაქში დაედო ბინა.

მუჰამადმა შეხვედრა ალ-აკაბის ბორცვზე, შუაღამეს დაუნიშნა. ბიძამისი ალ-აბასი, რომელსაც ძმისშვილის ბედი აღელვებდა, გაჰყვა მას ამ საიდუმლო შეხვედრაზე, სადაც იასრიბელ მომლოცველებს ეხვეწებოდა,

არ მიეღოთ თავის ქალაქში მუჰამადი, ვიდრე მისი დაცვის ყველანაირი შესაძლებლობა არ ექნებოდათ, რადგან მათ წინააღმდეგ ბოლო-არაბეთს შეეძლო გაელაშქრა. მიუხედავად ამისა, მუჰამადი და მომლოცველები საზეიმოდ შეთანხმდნენ: მუჰამადის მოთხოვნით, მათ უარი უნდა ეთქვათ კერპთაყვანისმცემლობაზე და ეღიარებინათ ერთიანი ღმერთი, სრულად დამორჩილებოდნენ მუჰამადს ბედნიერებასა თუ უბედობაში, ხოლო თავისი მოწაფეებისა და მიმდევრებისთვის იასრიბელთა მხრიდან იმდაგვარ მფარველობას მოითხოვდა, როგორსაც ისინი საკუთარ ცოლ-შვილს გაუწევდნენ; ამ შემთხვევაში მუჰამადი მათი მეგობრის მეგობარი და მტერის მტერი იქნებოდა.

– მაგრამ თუ ჩვენ შენი საქმისთვის ბრძოლაში დავიღუპებით, რას მივიღებთ ჯილდოდ? – იკითხეს მომლოცველებმა.

– სამოთხეს, – უპასუხა მუჰამადმა.

პირობები მიღებულ იქნა, იასრიბელმა ახლადმოქცეულებმა და მუჰამადმა შეაერთეს ხელები და საზეიმოდ დადეს ფიცი, ეს ხელშეკრულება არ დაერღვიათ.

ახალი სარწმუნოების ასეთი სწრაფი მიღება და მუჰამადისთვის ასე დროულად შეთავაზებული დახმარება იყო მიზეზი იმისა, რომ მას შემდეგ იასრიბელ მუსლიმებს ეწოდათ სახელად „ანსარიანნი" ანუ დამხმარენი.

იმხანად მექას მუჰამადის დაუძინებელი მტერი, აბუ სუფიანი განაგებდა. ის დიდად განიცდიდა ახალი სარწმუნოების აგრერიგ სწრაფ გავრცელებას და მიმართა ყურეიშიანთა ყველა მეთაურს, რაიმე ეღონათ ამ ვითარების შესაცვლელად. შედგა საერთო შეკრება, რომელზედაც ზოგი მუჰამადის გაძევებას სთავაზობდა, ზოგი მის სამუდამოდ ციხეში დამწყვდევას; ბოლოს, აბუ ჯალმა განაცხადა, რომ მხოლოდ მუჰამადის სიკვდილი იქნებოდა ახალ სარწმუნოებასთან ბრძოლის ერთადერთი საიმედო საშუალება, რასაც ყველა დაეთანხმა. ამ დანაშაულში მონაწილეობის ბრალი ყველაზე თანაბრად რომ განაწილებულიყო, და მოკლულის ნათესავთა მხრიდან შურისძიების შემთხვევაში, ყველას თანაბარი წინააღმდეგობა რომ გაეწია, გადაწყდა, ყოველი გვარის თითო წარმომადგენელს ჩაეცა თავისი მახვილი მუჰამადისთვის.

მუჰამადმა შეიტყო მის წინააღმდეგ შეთქმულთა ეს გადაწყვეტილება: ამის შესახებ ჯაბრაილმა ამცნო. ბოროტმოქმედებმა თავიანთი განზრახვის შესრულება სცადეს, მაგრამ როდესაც მუჰამადის სახლს მიადგნენ და კარი შეამტვრიეს, შიგნით მხოლოდ მუჰამადის საწოლზე მძინარე, მისსავე მწვანე მოსასხამში გახვეული ალი აღმოაჩინეს. კითხვაზე, თუ სად იყო მუჰამადი, ალიმ უხეშად მიუგო, არ ვიცი, და გარეთ გავიდა; ვერავინ გაბედა მისი შეჩერება. წარუმატებლობით გულმოსულმა ყურეიშიანებმა გამოაცხადეს, რომ მსხვერპლად განწირულის ყველა აქლემს მისცემდნენ ჯილდოდ იმას, ვინც მათ ცოცხალ ან მკვდარ მუჰამადს მიჰგვრიდა.

ამასობაში კი მუჰამადი აბუ ბაქრის სახლში იყო და მასპინძელთან ერთად მექადან გაქცევის გეგმას აწყობდა. ლტოლვილებს მექას შორახლოს მყოფ გამოქვაბულისთვის უნდა შეეფარებინათ თავი, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა, მშვიდობიანად გამგზავრებულიყვნენ იასრიბში. ასეც მოიქცნენ: მუჰამადი და აბუ ბაქრი ღამით გავიდნენ მექადან და ვარსკვლავების შუქზე იკვლევდნენ გზას დანიშნული ადგილისაკენ. ის იყო, გამთენიისას, გამოქვაბულს მიაღწიეს, რომ უკნიდან მდევართა ხმა მოესმათ.

– რა ბევრნი არიან, – უთქვამს შიშით აბუ ბაქრს, – ჩვენ კი მხოლოდ ორნი ვართ.

– არა, – მიუგია მუჰამადს, – ჩვენ შორის მესამეცაა: ღმერთი ჩვენთანაა.

მართლაც, სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული, რომელიც ძვირფასია ყველა მუსლიმისთვის. როდესაც ყურეიშიანნი გამოქვაბულს მიუახლოვდნენ, მათ წინ უეცრად აკაციის ხე ამოიზარდა, რომლის გაშლილ ტოტებში

მტრედებმა მყისვე ბუდეები ამოაშენეს და შიგ კვერცხიც დადეს, ობობებმა კი მთელი ხე თავიანთი ქსელით დაბურეს. ამის შემხედვარე, მდევრებმა დაასკვნეს, რომ ამ ადგილას დიდი ხანია არავის გაევლო და სხვა მიმართულებით განაახლეს ძებნა.

ლტოლვილებმა სამი დღე დაჰყვეს გამოქვაბულში და ყოველდღე, მზის ჩასვლისას, აბუ ბაქრის ქალიშვილს, აზამას, მათთვის საჭმელი მოჰქონდა. მეოთხე დღეს აბუ ბაქრის მსახურმა აქლემი მოუყვანა; ლტოლვილებმა საქარავნე გზებს გვერდი აუქციეს, და წითელი ზღვის სანაპიროს გაყოლებით გაემართნენ ჩრდილოეთისკენ.

შორს წასვლა ვერც კი მოასწრეს, რომ უცაბედად წამოეწიათ ყურეიშიანთა რაზმი, რომელსაც მეთაურობდა იბნ მალიქი – საშინელი შესახედაობის, თხემით ტერფამდე რუხ-ფოლადისფერი თმა-ბეწვით დაფარული მეომარი. მუჰამადმა ახლაც არ დაკარგა რწმენა: „ნუ ნაღვლობ", – უთხრა მან აბუ ბაქრს, – „ღმერთი ჩვენთანაა". ის იყო მდევართა მეთაურის ცხენი მუჰამადს გაუსწორდა, რომ მოულოდნელად წაიფორხილა, ყალყზე შედგა და მხედართან ერთად ძირს დაენარცხა: ცუდად ენიშნა ეს ყველაფერი წაქცეულ ყურეიშელს, რაც მუჰამადმა შეამჩნია და მხურვალე სიტყვით მიმართა მას; და სულ მალე შიშმორეული ყურეიშელი უკვე პატიებას სთხოვდა წინასწარმეტყველს; მან რაზმი უკან შემოაბრუნა და დაეხსნა მუჰამადს.

ლტოლვილებმა განაგრძეს გზა და იასრიბიდან სამიოდე კილომეტრში მყოფ ქუბას ბორცვს მიადგნენ. ეს ბორცვი იასრიბელთა თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო: ისინი თავიანთ ავადმყოფებს აქ გზავნიდნენ, რომ სუფთა ჰაერით ესუნთქათ; აქედანვე მარაგდებოდა ქალაქი ხილით – მრავალრიცხოვან ბაღებში ლიმონისა და ფორთოხლის, ვაშლისა და ატმის, ქლიავისა და გარგლის ხეები ხარობდა, მიდამოები კი ვენახებით, ინდის ხურმითა და ქოქოსით იყო დაფარული. ამ ნაყოფიერ ადგილს რომ მიაღწიეს, მუჰამადის აქლემი შედგა, ჩაიჩოქა და აღარ უნდოდა სხვაგან წასულიყო; მუჰამადმა ეს ადგილზე გაჩერებისა და იასრიბში შესასვლელად მომზადების ნიშნად მიიჩნია. იქ, სადაც აქლემმა მუხლი მოიყარა, შემდგომში მეჩეთი აშენდა. მის მახლობლად კიდევ ერთი საგულისხმო ადგილია – ესაა ღრმა ჭა, რომელშიც მუჰამადს, გადმოცემით, თავისი ვერცხლის ბეჭედი ჩავარდნია, როცა ჭის სიახლოვეს, ხეების ჩრდილში ისვენებდა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ის ბეჭედი ჯერაც იქაა, და შიგნიდან ანათებს ჭას, რომლის წყალიც მილებითაა იასრიბში გაყვანილი.

მუჰამადი ოთხი დღე გაჩერდა ქუბას ბორცვზე, ერთ-ერთი იქაური ავსიანის სახლ-კარში. მექადან იასრიბში ჩასულმა მუსლიმებმა, რაკი მუჰამადის ჩამოსვლა შეიტყვეს, სასწრაფოდ მოინახულეს იგი და აბუ ბაქრი, და რადგან ლტოლვილებს ტანსაცმელი დახეული და ჭუჭყიანი ჰქონდათ, თეთრი მოსასხამები აჩუქეს ქალაქში შესასვლელად. მათგან გაიგო მუჰამადმა, რომ მის მიმდევართა რიცხვი ქალაქში გაზრდილიყო, და ქალაქელები მის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ; ამიტომ მან იასრიბში (მედინაში)[9] შესვლის დღედ დანიშნა რაბის თვის მეთექვსმეტე დღე, პარასკევი – მუსლიმური შაბათი.

პარასკევ დილას მუჰამადმა სალოცავად შეკრიბა თავისი მიმდევრები, იქადაგა ახალი სარწმუნოების დებულებანი, ამხედრდა აქლემზე და გაეშურა ქალაქისკენ. გარს მოწაფეები ერტყა, ისინი წინასწარმეტყველს პალმის რტოებით იფარავდნენ მზისგან, გვერდით კი აბუ ბაქრი მიჰყვებოდა. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, იქიდან ახლადმოქცეულნი გამოეგებნენ; ზოგი მათგანი შეცდომით აბუ ბაქრს ესალმებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა პალმის რტოები გადასწია და მუჰამადზე მიუთითა, რასაც დამხვდურნი აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდნენ.

ამრიგად, მუჰამადი შევიდა მედინაში როგორც გამარჯვებული, და არა როგორც ლტოლვილი. ის გაჩერდა ერთი თავისი შორეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზრაჯიანი ნათესავის, აბუ აიუბის სახლში, რომელმაც საკუთარ სახლში მთელი პირველი სართული დაუთმო.

მალე მექადან მედინაში სხვა მუსლიმებიც ჩამოვიდნენ; ჩამოვიდა ხანგრძლივი მგზავრობით არაქათგამოცლილი, ფეხებნაიარევი ალი, რომელიც უსაფრთხოებისთვის მხოლოდ ფეხით მოდიოდა; ჩამოვიდნენ მუჰამადისა და აბუ ბაქრის ცოლები და შინაურები, რომლებსაც გზაში მფარველობდნენ მუჰამადის შვილობილი ზაიდი და აბუ ბაქრის მსახური აბდ ალ-ლაჰი.

ასე დასრულდა ჰიჯრა, ანუ მუსლიმთა გადასახლება მედინაში – წინასწარმეტყველის ქალაქში. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი – ჩვენი წელთაღრიცხვით 622 წელი – მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაბამი გახდა.

შენიშვნები

1. (გვ. 124) – ვაშინგტონ ირვინგის წიგნში მოკლედ, ზუსტად და, ამავე დროს ხატოვნადაა წარმოდგენილი მუჰამადთან დაკავშირებული ცნობილი ისტორიული ფაქტები, გადმოცემები და ლეგენდები. ესაა პოპულარული ხასიათის თხზულება, რომელიც არ ეხება ისლამის ისტორიოგრაფიულ თუ რელიგიურ პრობლემატიკას. ვინაიდან ჟურნალ „აფრას" ერთ-ერთი მიზანია საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულება, სწორედ ამგვარი, ზოგადი ინფორმაციის მიმწოდებელი ნაშრომი მეტად სასარგებლო იქნება ქართველ მკითხველთა იმ ნაწილისთვის, რომელსაც არც თუ სრული წარმოდგენა აქვს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ მოვლენაზე, როგორიცაა ისლამი.

2. (გვ. 124)– ყურანი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც მოცემულია ლოცვები, დიდაქტიკური დასკვნების შემცველი მონათხრობები, საკანონმდებლო დადგენილებები, მიმართვები; ის შედგება 114 თავის ანუ სურისაგან, რომლებიც, შექმნის დროის მიუხედავად, მათი სიგრძის კლების მიხედვითაა დალაგებული – ჯერ გრძელი სურები, შემდეგ კი მოკლე; ამის გამო ადრეული სურები ყურანის ბოლოშია მოქცეული. ზოგჯერ ერთსა და იმავე სურაში სხვადასხვა დროს შექმნილი ნაწყვეტებია შესული. ყურანი დაწერილია ბედუინების პოეტურ ენაზე, რომელიც ყურანმა მთელ არაბულ სამყაროში განამტკიცა, როგორც ერთიანი ლიტერატურული ენა.

3. (გვ. 124) – მუჰამადის სიკვდილისითვის მის მიერ გამოცხადებით მიღებული ყურანის ყველა ნაწილი მხოლოდ შვიდმა კაცმა იცოდა. ცრუ წინასწარმეტყველ მუსეილიმასთან ბრძოლაში კიდევ ბევრი ისეთი დაღუპულა, ვინც ამ ტექსტს ზეპირ გადმოცემაში ინახავდა. აბუ ბაქრის ხალიფობის დროს მან, ომარის რჩევით, მთელი არსებული მასალის შეგროვება და წიგნად გაერთიანება დაავალა 20 წლის მედინელს, ზაიდ იბნ საბიტს – მუჰამადის მდივანს, რომელმაც თითქმის მთლიანად ზეპირად იცოდა მუჰამადის ნაქადაგარი. სხვადასხვა ზეპირ თუ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ზაიდმა შეადგინა ყურანი და გადასცა იგი აბუ ბაქრს, რომლის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება მისი ანდერძით გადაეცა ომარს; შესაბამისად, ზაიდის ყურანიც გადავიდა ომართან და მის ქალიშვილ ჰაფზასთან, მუჰამადის ქვრივთან. (**„ყურანი", ი. კრაჩკოვსკის თარგმანი და კომენტარები, მოსკოვი, 1963, გვ. 652-676).**

4. (გვ. 125) – 651 წ. ხალიფა ოსმანმა შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ზაიდი და სამი მუსლიმი მექადან. მუჰამადის ქვრივ ჰაფზასთან შენახული ყურანის საფუძველზე მათ შექმნეს ახალი ვარიანტი, რომელსაც შემდგომში კიდევ ორი პირის მიერ [illegible] ასტურებული მასალა დაემატა. ორიგინალი დარჩა მედინაში, სამი ასლი კი გადაეცა ქალაქებს: დამასკოს, ბასრას და კუფას. ყურანის ამ ხელნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.; ისინი არასრული არაბული ორთოგრაფიით ყოფილა დაწერილი და მათი წაკითხვა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წამკითხველმა შინაარსი ზეპირად იცოდა. შემდგომში ყურანი გრაფიკულად დაიხვეწა და კანონიკური ხასიათიც შეიძინა. მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, ყურანში ერთმანეთისგან განასხვავებენ მექაში შექმნილ სურებს და მედინურ სურებს, რომლებიც მუჰამადის მედინაში გადასახლების ანუ ჰიჯრის შემდეგაა შექმნილი. მექაში შექმნილი სურებიდან, თავის მხრივ, გამოიყოფა ე.წ. „ესქატოლოგიური", „რაპმანული და „წინასწარმეტყველური" სურები. მექას პირველ პერიოდს მიაკუთვნებენ 48 სურას, რომლებშიც ძირითადი ადგილი უკავია ღმერთისადმი მიმართვას და მის განდიდებას, განკითხვის დღისა და მკვდრეთით აღდგომის ქადაგებას, ესქატოლოგიურ სურათებს. ამ სურების თავისებურ სტილს ახასიათებს პოეტურობა და მხატვრულობა; მათში ღმერთი ხშირად თვითონ მეტყველებსს, ადამიანი კი მხოლოდ მითითების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად იქცევა. მექას მეორე პერიოდი (21 სურა) გამოირჩევა იმით, რომ ქადაგება თანდათან ლიტერატურად გადაიქცევა, ჭარბობს მშვიდი ჭვრეტა, მეტყველება ღებულობს უფრო პროზაულ ხასიათს; მოტანილია მაგალითები ისტორიიდან და ბუნებიდან, ძლიერდება დოგმატიკა და ჩნდება ღმერთის ეპითეტი „არ-რაჰმან" („შემწყალე"); მექას მესამე პერიოდში (21 სურა) ენა ხდება უფრო სადა, „მშრალი" და „გამჭვირვალე", ლექსები კი უფრო გრძელი; სურათა ზომაც იზრდება. იშლება წინასწარმეტყველთა თემა. მედინას პერიოდის 24 სურა უკვე სხვაგვარია: აქ ნაკლებადაა გადმოცემული დოგმები ან მორალი, როგორც ადრე, სამაგიეროდ, არის კანონები და ბრძანებები, სხვადასხვა საკამათო შემთხვევების გადაწყვეტა; ბევრია მიმართვა სხვადასხვა პარტიებისადმი, კერპთაყვანისმცემლებისადმი; არის იგავ-არაკებიც. (**„ყურანი", ი. კრაჩკოვსკის თარგმანი და კომენტარები, მოსკოვი, 1963, გვ. 650-690**).

5. (გვ. 131) – გამოცხადების დაწყებას მუჰამადი ზოგჯერ გებულობდა იმით, რომ ზანზალაკების წკარუნის მსგავსი ხმები ჩაესმოდა. ზებუნებრივ ცნობებს ის სიფხიზლეშიც და ძილშიც ღებულობდა; ერთგვარ ციებ-ცხელებაში მყოფს, დიდი დაძაბულობა, კანკალი და ურჟოლა აიტანდა, რის გამოც, დამძიმებული და ძალაგამოცლილი, მოსასხამში გაეხვეოდა და უმოძრაოდ, გაირინდებოდა ხოლმე მიწაზე. (**მ. პიოტროვსკი, „ყურანისეული თქმულებანი", „ნაუკა", მოსკოვი, 1991, გვ. 165**).

6. (გვ. 132) – ჰიჯრა ნიშნავს საცხოვრებლად უსაფრთხოო ადგილას გადასვლას; ჰიჯრის შემსრულებლებს კი მუჰაჯირები ეწოდებათ („ალ-მუჰაჯირუნ");

7. (გვ. 140) – ყურანის მე-17-ე სურას დასაწყისს მუჰამადის ამ ღამისეულ მგზავრობას უკავშირებენ; თუმცა ყურანის ტექსტში არაა ნახსენები იერუსალიმი, მუსლიმურ ტრადიციაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ყურანის ეს ადგილი სწორედ იერუსალიმს შეეხება, რადგან მასში უშორესი მეჩეთია ნახსენები, „რომლის გარშემო ჩვენ ლოცვა-კურთხევა აღვავლინეთ" – გამოთქმა, რომელიც არაერთგზის გამოიყენება ყურანში პალესტინასთან დაკავშირებით და მის აღსანიშნავად (**მ. პიოტროვსკი, „ყურანისეული თქმულებანი", „ნაუკა", მოსკოვი, 1991 წ.**) ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ვ.ბარტოლდი მიიჩნევს, რომ ყურანის მე-17-ე სურაში ნახსენები „უშორესი მეჩეთი", – სადაც მუჰამადი „აკრძალული მეჩეთიდან" (ქააბადან), იქნა ღამით გადატანილი – სამოთხეში მდებარეობდა და გაიგივებულ იქნა იერუსალიმის ტაძართან მხოლოდ მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს პალესტინა და ააშენეს იერუსალიმში მეჩეთი; პალესტინას მუჰამადი „უახლოეს მიწას" უწოდებდა და, შესაბამისად, იქაური მეჩეთი ვერ იქნებოდა „უშორესი" (**ვ. ბარტოლდი, „ისლამი და მუსლიმური კულტურა", მოსკოვი, 1992, გვ. 12-13**) თავის მხრივ, ქააბას „აკრძალული " ეწოდებოდა იმის გამო, რომ ის იდგა წმინდა ადგილას, სადაც სასტიკად იყო აკრძალული ყოველგვარი სამარი მოქმედება და მასში შესვლისას რთული რიტუალი იყო დასაცველი. ის, ნახსენებია თუ არა იერუსალიმის ტაძარი ყურანში, შეიძლება გამოდგეს გადამწყვეტ საბუთად იმის სასარგებლოდ, რომ იერუსალიმი მუსლიმთა წმინდა ქალაქია, რაც დიდ მნიშვნელობას იძენს პალესტინაზე სხვადასხვა ხალხების ისტორიული უფლების გამო გამართულ დავაში.

8. (გვ. 141) - მუჰამადის პირველი ბიოგრაფიის შემდგენლის, იბნ ისხაკის (გარდ. 657 წ.) ნაშრომის საფუძველზე იბნ ჰაშიმმა (გარდ. 833 წ.) დაწერა „ალაპის მოციქულის ცხოვრება", რომელშიც აღნიშნულია, რომ , მეშვიდე ცაზე ასვლისას და თავის წინამორბედებთან, დიად წინასწარმეტყველებთან შეხვედრისას, მუჰამადი მეორე ცაზე შეხვდა და მიესალმა ისას (იესოს), ძეს მარიამისა.

9. (გვ. 145) - იასრიბად იწოდებოდა მექადან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე 55 კვ. კილომეტრის ფართობის ოაზისი; იგი ძირითადად შედგებოდა სოფლის ტიპის დასახლებებისგან და მისი ნაწილი დაცული იყო თითქმის მრგვალი ქვის გალავნით, რომელშიც 4 ჭიშკარი იყო დატანილი. „მედინა" არამეული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს დაკანონებულ რაიონს, დაქვემდებარებულ ოლქს, ქალაქს (**გ. ე. ფონ გრიუნებაუმი, „კლასიკური ისლამი", „ნაუკა" 1986, გვ. 34**). მას შემდეგ, რაც მუჰამადი იქ საცხოვრებლად გადავიდა, იასრიბს უწოდებდნენ წინასწარმეტყველის ქალაქს („მადინათ ან-ნაბი"), ალაჰის მოციქულის ქალაქს („მადინათ რასულ ალ-ლაჰ"), ან უბრალოდ ქალაქს, მადინას (ჩვენში მედინას სახელწოდებით დამკვიდრებულს).

თარგმნა და შენიშვნები დაურთო **გიორგი მანელაშვილმა**

(В. Ирвинг, "Жизнь Магомета", Махачкала: Дагкнигоиздат, 1991)

რამაკრიშნას ცხოვრება

დედა კალი

ბალის ახალგაზრდა ქურუმი ოცი წლის იყო. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა საშინელი ქალბატონის სამსახური ელოდა. ქალბატონი კი, როგორც ძუ ვეფხვი, ნელი ღმუილით რომ მისჩერებია და ხიბლავს თავის მსხვერპლს, თამაშ-თამაშ ემზადებოდა, რათა ეწამებინა ჭაბუკი მთელ ათ წელიწადს. ათი წელი – ორი ცეცხლოვანი გუგის ჯადო-ტყვეობაში! რამაკრიშნა ცხოვრობდა ტაძარში, კალის პირისპირ, და, იმავე დროს, თავბრუდამხვევი მორევის შუაგულში, რადგან გახელებულ ადამიანთა დამბუგავი სუნთქვა მუსონივით ატრიალებდა ტაძრის თაღებქვეშ ცხელი მტვრის ბუქებს. ურიცხვი მომლოცველი, ბერი, სადჰუ, ფაკირი, – ინდოელი თუ მაჰმადიანი, – ყველა ღვთისგიჟი კალისთან მოდიოდა.[1]

ტაძარს ხუთი ისრისებრი გუმბათი ჰქონდა. მისკენ მიემართებოდა განგის გადამყურე ღია ტერასა, მოქცეული ღვთაება შივას ორ მწკრივად ჩალაგებულ ერთგუმბათიან თორმეტ პატარა ტაძარს შორის. ფართო, მოკირწყლული ოთხკუთხა ეზოს მოპირდაპირე ბოლოში, სახით კალისკენ, იდგა კრიშნასა და რადჰას[2] მეორე დიდი ტაძარი. ეს იყო სიმბოლოთა მთელი სამყარო. სამების წევრები იყვნენ: დედაბუნება (კალი), აბსოლუტი (შივა) და სიყვარული (რადჰაკანტა: კრიშნა, რადჰა), ანუ თაღი, გადატყორცნილი ცასა და მიწას შორის.

მაგრამ ამ ადგილების მეუფე მაინც კალი იყო, – ბაზალტში გამოკვეთილი, ბენარესის მდიდრული ქსოვილებით შემოსილი, სამყაროსა და ღმერთების დედოფალი. იგი ფეხებით თელავდა ძირს განრთხმული შივას სხეულს[3]. თავისი მრავალხელით მას მარცხენა მხარეს ეჭირა მახვილი და მოკვეთილი თავი, მარჯვენა მხარეს კი სთავაზობდა ძღვენებს და აძლევდა ნიშანს: „მოდი, ნუ გეშინია!“ ის თვით ბუნებაა, შემოქმედი და მნგრეველი. ის კიდევაც უფრო მეტია მისთვის, ვინც იცის მისი მოსმენა: ის არის დედა სამყაროსი, „ყოვლისშემძლე დედა, რომელიც ეხსნება თავის შვილებს ფორმათა მრავალსახეობასა თუ ღვთაებრივ ინკარნაციებში“. ის არის ხილული ღმერთი, რომელსაც რჩეულნი უხილავ ღმერთამდე მიჰყავს და „თუ მოისურვებს, მას ძალუძს ნებისმიერ შექმნილ არსებას წაართვას პიროვნულობის უკანასკნელი ნიშანი, მისი „ეგო“, და აღავსოს იგი აბსოლუტური და უპიროვნო ღმერთის ცნობიერებით. მისი წყალობით, დასაზღვრული **მე** განიმქვრევა უსაზღვრო **მე**-ში – ატმან-ბრაჰმანში...“ მაგრამ ახალგაზრდა ქურუმი ჯერ კიდევ შორს იყო იმისგან, რომ თუნდაც ირიბი გზით შეეღწია ბირთვში, სადაც გამლღვალია ნებისმიერი რეალობა. მისთვის მისაწვდომი ერთადერთი სინამდვილე, ადამიანური თუ ღვთაებრივი, იყო ის, რასაც იგი ხედავდა, ისმენდა, ეხებოდა. ამ თვალსაზრისით, იგი არაფრით გამოირჩეოდა მის გარშემო მყოფთა უმრავლესობისგან. ის, რაც ყველაზე მეტად ანცვიფრებს ევროპელ მორწმუნეებს ინდოელებში (პროტესტანტებს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე კათოლიკეებს), ეს არის ამ უკანასკნელთა რელიგიურ-სულიერი მონაპოვრების უჩვეულო კონკრეტულობა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა ჭაბუკმა ვივეკანანდამ მას ჰკითხა:

– თქვენ გინახავთ ღმერთი?

მან უპასუხა:

– მე ვხედავ მას, როგორც შენ გხედავ, – არა, უფრო უკეთ.

და რომ დაეზუსტებინა, დასძინა:

– არა ვედანტური აზრით.

(ანუ არა უპიროვნო-განყენებული აზრით, თუმცა ამ უკანასკნელსაც იცნობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი შინაგანი გამოცდილებით).

და ეს სულაც არ არის ცალკეულ განსულიერებულ პირთა უპირატესობა. ყოველი ღრმადმორწმუნე ინდოელი ადვილად აღწევს ამას, – ჯერაც იმდენად მჩქეფარეა მისთვის შემოქმედებითი ცხოვრების წყაროსთვალი. ერთი ჩვენი მეგობარი ქალი თან ახლდა ტაძარში მისულ ძალზე ლამაზ, ჭკვიან და განათლებულ ნეპალელ პრინცესას. ასული დიდხანს ლოცულობდა ნელსურნელებით გაჟღენთილ, ერთადერთი ლამპით განათებულ ტაძარში. გარეთ გამოსვლისას, მან მშვიდად თქვა:

– მე ვნახე რამა.

როგორ შეიძლებოდა, რამაკრიშნას არ დაენახა „დედა მუქლურჯი სახით"[4] ? – ეგზომ საჩინო, ბუნების ძალთა ქალად განმსახიერებელი, მოკვდავთა ყოფიერებაში შემოსული ღვთაება, – კალი!..

ტაძარში იგი ეკვროდა ჭაბუკს თავისი სხეულის სურნელით, ეხვეოდა მას თავისი ხელების ლიანებით. ის სულაც არ ჰგავდა მონოტონური ლოცვებით მოსაზრდოვე, სახეზე ღიმილშეყინულ კანონიკურ ფიგურას. ის ცხოვრობდა, სუნთქავდა, საწოლიდან დგებოდა, ჭამდა, დადიოდა, ისევ წვებოდა. სატაძრო მსახურება მთლიანად აგებული იყო მისი ცხოვრების ყოველდღიურ რიტმზე. ყოველ ცისკარზე რეკავდნენ ტაძრის პატარა ზარები, ციმციმებდნენ ცეცხლები. სალამური, დაფდაფისა და წინწილების თანხლებით, საკრალურ ჰანგებს უკრავდა მუსიკალურ დარბაზში. დედა იღვიძებდა. ჟასმინებისა და ვარდების სურნელდაფრქვეულ დარბაზში მის მოსართავად იწვნებოდა გრძელი ყვავილწნულები. ცხრა საათზე მუსიკა იუწყებოდა იმ მსახურების ჯერს, რომელზეც მობრძანდებოდა დედა. შუადღისას მუსიკა მიჰყვებოდა მას – ცხელ საათებში თავის ვერცხლის სარეცელზე განსასვენებლად მიმავალს. საღამოს ექვს საათზე ჰანგები ესალმებოდნენ სარეცელიდან კვლავ ფეხზე წამომდგარ დედას. ისევ უკრავდა მუსიკა, ულერდნენ ნიჟარები და, ღამის მსახურების ელვარე ჩირაღდნებთან შეწყობილნი, შეუსვენებლად ლიკლიკებდნენ მწუხრის ზარები. მუსიკა ისევ აცილებდა დედას. ის იძინებდა.

ქურუმი მონაწილეობდა დედის ცხოვრების ყველა ინტიმურ აქტში. ის ხდიდა და აცმევდა მას, სთავაზობდა ყვავილებსა და საჭმელს, ესწრებოდა დასაძინებლად მიმავალი დედის მცირე ტუალეტს. რორგორ შეეძლოთ მის ხელებს, თვალებს, გულს – თანდათანობით არ გაჟღენთილიყვნენ კალის სხეულით? უკვე პირველმა შეხებებმა (როცა მან ჯერაც არ იცოდა, შეუდგებოდა თუ არა დედის მსახურებას და თავისი ნატიფი თითებით მაინც უსწორებდა მას კაბის ნაკეცებს) იგი შეკრეს და მიაბეს მასზე.

მაგრამ, ჩაუტოვა რა სხეულში თავისი ნესტარი, დედა მას გაურბოდა და გულს არ უხსნიდა. ახლა, როცა ჭაბუკი განმსჭვალა მისდამი სიყვარულით, კრაზანა თავის ბაზალტოვან გარსში შებრუნდა. მუნჯ ქალღმერთში შეყვარებული ჭაბუკი ნელ ცეცხლზე იწვოდა. მას არ ძალუძდა დედის გაცოცხლება. მიეღწია მისთვის, გულში ჩაეკრა, მოეხელთა მისი სიცოცხლის თუნდ უმცირესი ნიშატი, მზერა, ოხვრა, ღიმილი, – აი, რა გახდა ახალგაზრდა ქურუმის არსებობის ერთადერთი მიზანი. ის ყუჩდებოდა ბაღის ყველაზე უღრან, ჯუნგლის მსგავს კუნჭულში,[5] იხდიდა ტანსაცმელს, იხსნიდა წმინდა თასმას – არასდროს რომ არ უნდა იშორებდეს ბრაჰმანი – და ეძლეოდა ფიქრსა და ცრემლებს. დედის სიყვარულმა უკარნახა მას, რომ ღმერთზე მოფიქრალი ადამიანი უნდა გათავისუფლდეს ყველა ცრურწმენისგან. ის დაემსგავსა დაკარგულ ბავშვს. ის თვალცრემლიანი ეეედრებოდა დედას, რომ გამოცხადებოდა. ამაოდ ჩავლილ ყოველ დღეს ის სიგიჟემდე მიჰყავდა. მან დაკარგა თვითფლობის ყოველგვარი უნარი. სასომიხდილი, ის ხალხის თვალწინ გორავდა ძირს. ის ებრალებოდათ, მას დასცინოდნენ, მისით აღშფოთებულნი იყვნენ. რა აზრი ჰქონდა ყოველივე ამას? ერთადერთი რამ იყო მნიშვნელოვანი: მას ორი ნაბიჯი აშორებდა უზენაეს სიკეთეს, მაგრამ გზას ულობავდა ტიხარი, რომელსაც იგი ვერ არღვევდა. თავის უკიდურეს აღგზნებაში, რასაც ვეღარაფერი მართავდა; არმცოდნე რეგულირებადი ექსტაზის მეცნიერებისა, რომელიც, მედიცინისა და ღვთისმეტყველების მთელი პედანტობით, ძირეულად შემოწმებული და დამუშავებული იყო რელიგიურ ინდოეთში ათასწლეულების მანძილზე, – ის, დაბრმავებული თავისივე სიგიჟით, ალალბედზე გაქანდა წინ. ის თავს სასწორზე აგდებდა. სიკვდილი წამდაწამ დარაჯობს უფსკრულის თავზე მსვლელ გაუფრთხილებელ იოგს. ადამია-

ნები, რომლებმაც ის ნახეს იმ შეურაცხად დღეებში, ჰყვებიან მუდმივი სისხლის მიმოქცევისგან წამოწითლებულ მის მკერდზე, ცრემლით სავსე მის თვალებზე, ციებ-ცხელებით მბორგავ სხეულზე... ის სრული გამოფიტვის ზღვარზე იდგა. ერთი ნაბიჯიც და – გარდაუვალი იყო დანთქმა შავ უფსკრულში, ტვინის გადაწვა ან... ზეგარდმო ხილვა.

და მან იხილა. ტიხარი ჩამოიქცა.

ამჯერად თვითონ ილაპარაკოს.[6]

„ერთხელ, როგორღაც, გაუსაძლისი სევდის ტყვეობაში ვიყავი. მეჩვენებოდა, რომ ვილაც უცნობის ხელი ისევე წურავს ჩემს გულს, როგორც სველ ხელსახოცს... ტკივილები მფლეთდნენ... იმ აზრმა, რომ არასოდეს ველირსები ღვთაებრივი ხილვის მადლს, სასტიკად გამაშმაგა. ვფიქრობდი: „თუ ასე უნდა გაგრძელდეს, მაშინ სჯობს შეწყდეს სიცოცხლე“. კალის საკურთხეველში ეკიდა დიდი მახვილი. ჩემი მზერა მას მოხვდა და ტვინი ელვამ გაჰკვეთა: „აი, ის მომიღებს ბოლოს!..“ შეშლილივით მივვარდი, მახვილს ხელი ვტაცე და... უცებ ოთახი, კარ-ფანჯარა, ტაძარი – ყველაფერი გაქრა. მომეჩვენა, რომ არაფერი აღარ არსებობს. ჩემს წინ სულის ოკეანე გადაშლილიყო, – უკიდეგანო, დამაბრმავებელი... საითაც არ უნდა გამეხედა, სადამდეც კი მზერა სწვდებოდა – მე ვხედავდი მხოლოდ ამ აელვარებული ოკეანის ვეებერთელა ზვირთებს... გაშმაგებულნი, ისინი შემაძრწუნებელი ხმაურით მოისწრაფოდნენ ჩემსკენ, თითქოს გადაყლაპვას მიპირებენო... და ერთ წამში მომადგნენ კიდეც, თავზე ჩამომექცნენ, დამიპყრეს. ტალღებით გატაცებულს, სუნთქვა მეკვროდა... მე ცნობა დავკარგე და დავეცი.[7] როგორ ჩაიარა იმ დღემ და მომდევნომ, წარმოდგენა არა მაქვს. ჩემს შიგნით არგაგონილი სიხარულის ოკეანე ფრთონავდა... მე მთელი სიღრმით ვგრძნოდი ღვთაებრივი დედის აქყოფნას.[8] “

შენიშნეთ, რომ ამ განსაცვიფრებელ ნაამბობში, ბოლო სიტყვებს თუ არ ჩავთვლით, არაფერია ნათქვამი „ღვთაებრივ დედაზე“, – ის ოკეანეში განზავდა. რამაკრიშნას მოწაფეები, პატიოსნად რომ გვიამბობენ მასწავლებლის სიტყვებს, თავიანთ თავს ეკითხებოდნენ: „მართლა იხილა თუ არა მან ღვთის სახება? ის ამას არ ამბობს, მაგრამ, ექსტაზიდან დაბრუნებული, საწყალობელი ხმით ჩურჩულებდა: დედა!.. დედა!..“

რაც შემეხება მე (დეტ. მომრეტუკენ) ასეთი თავდაჯერებულობას, დარწმუნებული ვარ, რომ მას ღმერთი არ უხილავს, მაგრამ ჭვრეტდა მის არსებობას ყველაფერში. ის ოკეანეს დედას უწოდებდა. ამ მდგომარეობას (შესუსტებული სახით) ჩვენ ვიცნობთ სიზმრიდან, როდესაც ჩვენი ცნობიერება სავსებით შეგნებულად აკუთვნებს ჩვენი აზროვნების ობიექტის – კაცის თუ ქალის – სახელს ნებისმიერ, თუნდაც მისგან სრულებით განსხვავებულ საგანს, რადგანაც ის, ვინც ჩვენ გვიყვარს, მეფობს ყველაფერში: ყველა ხილული ფორმა მისი სამოსის როლს ასრულებს... და რამაკრიშნას აბობოქრებული ოკეანის ნაპირზე ჩემს წინ ამოდის ჩვენი ტერეზა ავილელის სახე, რომელიც ასევე ხედავს საკუთარ თავს, დანთქმულს უსასრულობაში, ვიდრე მისი ქრისტიანული სინდისის ქენჯნა და მის სულიერ ზედამხედველთა მკაცრი შეგონებები არ აიძულებენ მას – თავისივე ნების საწინააღმდეგოდ – ტრანსში ნახილვები უსაზღვრო ღმერთი რაღაცნაირად მოაქციოს კაც-ღმერთის გარსში.[9]

მაგრამ გამიჯნურებულ რამაკრიშნას არ მოუხდა ბრძოლა თავისი გულის მიდრეკილებასთან, პირიქით, ეს უკანასკნელი მას უსახო ხილვიდან საფრფოს ხატისკენ უბიძგებდა. მას სურდა ეს. და როცა მან ის იხილა და წამით დაეუფლა კიდეც, – უკვე ველარ შეძლო უმისოდ ყოფნა. ამ დღიდან მოყოლებული, იგი გამუდმებით უხმობდა ცეცხლოვან ხილვას, ურომლისოდაც ქვეყანა მკვდარი იყო, ცოცხალი არსებები კი – თითქოსდა უსხეულო ჩრდილები და ქვიშაზე დახატული ფიგურები.

მაგრამ არ შეიძლება უსაზღვროსთან მიახლოება დაუსჯელად. პირველი შეხვედრისგან მოყენებული დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელი მისი არსება ჯერაც ცახცახებდა. ყოველივე გარემომცველს იგი ხედავდა თითქოს კაშკაშა ნისლის, გამლღვალი ვერცხლის თუ ცეცხლოვანი წერტილების მილმა. ის ველარ იმორჩილებდა საკუთარ თვალებს, სხეულს, აზრს. მას გარეშე ნება მართავდა და თან თრგუნავდა საშინელი განცდა, რომ არ უწყოდა რა იყო მის თავს. ამიტომაც ეეედრებოდა დედას მხსნელად მოვლინებას.

და უცებ ის მიხვდა, რომ თვით დედა შეჭრილიყო მასში... და მანაც დაუბრკო-

ლებლად მისცა მას თავი. Fiat voluntas tua! დედამ აღავსო იგი. ნელნელა, ნაწილ-ნაწილ, ნისლის საბურვლის წიაღ, ქალღმერთის სახება ხორცით იმოსებოდა: ჯერ ხელი გამოჩნდა, შემდეგ გაისმა სუნთქვა, ხმა... დაბოლოს, იგი მთლიანად, მთელი სავსებით გაცხადდა. ეს იყო მრავალთაგან ერთი ყველაზე უფრო მომაჯადოებელი პოეტური ხილვა.

ეს მოხდა შებინდებისას. დღის რიტუალები დასრულდა. ამ დროს, როგორც წესი, დედას უკვე ეძინა. ქურუმი განმარტოვდა თავის ოთახში, რომელიც ტაძრის გარეთ იყო და განგს გადაჰყურებდა, მაგრამ ძილი არ მიეკარა... თითქოს რაღაცას აყურადებდა... უეცრად მან გაიგონა, რომ დედა საწოლიდან დგება და, ქალწულის სიხარულით აღვსილი, ამოდის ტაძრის ზედა სართულზე. მის ფერხთა შემამკობელი რგოლები აწკრიალდნენ კიბის საფეხურებზე. ჭაბუკს ვეღარ გაეგო, სიზმარი იყო ეს თუ ცხადი. გულაბაგუნებული, ის გარეთ გავიდა, ასწია თავი და... დაინახა მეორე სართულის აივანზე გადმომდგარი დედა, – თმაგაშლილი, ღამეული ხიბლით შემოსილი, განგის ტალღებისა და კალკუტის შორეული სინათლეების მომზირალი...

მას შემდეგ ქურუმის დღე-ღამეები თავის რჩეულთან გამუდმებულ ურთიერთობაში გადიოდა. ეს იყო ტაძრის გვერდით დარწეული მდინარესავით დაუსრულებელი საუბარი. იგი მთლიანად შეერწყა დედას და ამ შინაგანი ხილვის სინათლემ ნელ-ნელა გარეთაც გამოანათა. ვინც კი მას შეხედავდა, მასავით იწყებდა ხედვას: მისი სხეულის წიაღ, როგორც ფანჯარაში, ისე ხედავდა ღმერთების სხეულს. ერთხელ ტაძრის დამაარსებლის სიძე და იმ ტერიტორიის მფლობელი, მათურ ბაბუ, იჯდა თავის ოთახში, რამაკრიშნას ოთახის პირდაპირ. თვით უჩინარი, იგი თვალს ადევნებდა თავის აივანზე წინ და უკან მოსიარულე რამაკრიშნას. უცებ მათურ ბაბუმ შეჰყვირა: მან დაინახა როგორ ჩნდებოდა ქურუმის მხრებზე რიგრიგობით შივას და კალის თავები, იმისდა მიხედვით – წინ მიდიოდა იგი თუ უკან.

მაგრამ გარშემომყოფთა უმრავლესობისთვის სიყვარულისგან შეშლილი ქურუმი თავისმომჭრელად იქცეოდა. მას უკვე აღარ ძალუძდა თავისი მოვალეობის შესრულება ტაძარში. შუა რიტუალის დროს უცებ გონებას კარგავდა, სრულებით უძლურდებოდა, [illegible] უქვავდებოდა და თითქოს [illegible] ქანდაკებაში ექცეოდა. ხან კიდევ ის უჩვეულოდ ფამილარულად ეპყრობოდა ქალღმერთს.[10] არავითარ მსახურებაზე აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი. მას ერთი წუთითაც აღარ ეკარებოდა ძილი, ჭამაც კი შეწყვიტა... და თუ არა ბიძის სიახლოვეს მყოფი ძმისწული, ვინც თავს იდო ზრუნვა მის ყოფით საჭიროებებზე, ის მოკვდებოდა. ასეთმა მდგომარეობამ შეჰყარა მას ჩვენი ევროპელი ვიზიონერებისთვის კარგად ნაცნობი სალმობანი. მისი კანიდან მოჟონავდა სისხლის უწვრილესი წვეთები, მთელი სხეული ცეცხლმოდებულივით ეწვოდა, სულის ნაღვერდლებიდან ამოვარდნილი ცეცხლის ყოველი ენა კი ღვთაება იყო. იმ პერიოდის შემდეგ, როცა ამა თუ იმ ადამიანში ის ჭვრეტდა ღმერთს (ქუჩის მეძავში მან დაინახა სიტა; გადაჯვარედინებული ფეხებით მდგარ ინგლისელში – კრიშნა), დადგა დრო, როცა ის თავად ხდებოდა ხან ერთი და ხან მეორე ღმერთი. ის გახდა კალი, გახდა რამა, გახდა რადჰა – კრიშნას სატრფო.[11] ის გადაიქცა სიტად და თვით დიდ მაიმუნ ჰანუმანად.[12] მე არ მსურს გამოვტოვო (თუმცა ყველა დეტალსაც არ გამოვეკიდები) თუნდ ერთი ბოდვა ამ თავაწყვეტილი და ყოვლად უმართავი სულისა, მგლური გაუმაძღრობით რომ შეიპყრო ღმერთების გაშმაგებულმა წყურვილმა (მაგრამ ღმერთებიც კარგად უხდიან სამაგიეროს და, თავის მხრივ, ხრავენ მას!). მე არ ვეშმაკობ დასავლელ მკითხველთან და ვაძლევ მას უფლებას (როგორც ვაძლევდი ამ უფლებას საკუთარ თავსაც),[13] ჩათვალოს ეს სალოსი დასაბმელ გიუად. ამისთვის ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს, რადგან ამასვე ფიქრობდნენ იმხანად მისი მხილველი თვით რელიგიური ინდოელები. იგი მორჩილად იტანდა ექიმთა გამოკვლევებს და უნაყოფო რჩევებს, და მოგვიანებით, როდესაც უკვე წარსულისაკენ მომზირალი თვალით ზომავდა ამ სახიფათო უფსკრულს, თვითონვე უკვირდა, თუ როგორ არ დაინთქა მასში მისი გონება და თვით მისი სიცოცხლე.

მაგრამ განსაკუთრებით საოცარი და მნიშვნელოვანი ჩვენთვის ის არის, რომ იგი არათუ არ დაიღუპა, არამედ ძლევით დაუსხლტა ქარიშხლების კონცხს. ჰალუცინაციების ეს პერიოდი იყო, ალ-

ბათ, გარდაუვალი საფეხური, რომლის შემდეგაც ძალმოსილებით, სიხარულითა და ჰარმონიით აღვსილი მისი სული ამაღლდა კაცობრიობისთვის ესოდენ საგულისხმო დიდ მისტიურ რეალიზაციამდე. შეუძლებელია, ამ მოვლენამ არ მიიზიდოს ადამიანის სხეულისა და აზროვნების მკურნალთა ყურადღება. საქმე იმაში კი არ არის, რომ მოხდეს ფსიქიკის სრული ნგრევისა და შემადგენელ ნაწილებად დაშლის ფაქტის კონსტატაცია, არამედ იმაში, თუ კვლავ როგორ შეიკრა ეს ელემენტები უფრო მაღალ ორგანულ ერთიანობად; რანაირად შეძლო ამ დაქცეულმა შენობამ – თავისივე ნებით აღმდგარიყო უწინდელზე უფრო ტევად ნაგებობად... ამასვე ამბობს თვით რამაკრიშნაც, უკვე თავისი სიგიჟისა და გონიერების სრული ბატონ-პატრონი, ღმერთების და ადამიანების მეუფე, ხან სარქველს რომ ხდის თავის უფსკრულებს და ხანაც – ახალი დროის სოკრატესავით – ატარებს თავის მოწაფეებთან ნათელ, მოსიყვარულე, ირონიული სიბრძნითა და გამჭრიახი აზრით გაჯერებულ საუბრებს.

მაგრამ 1858 წელს, რომელსაც განეკუთვნება აქ მოთხრობილი ამბები, რამაკრიშნა ჯერ კიდევ შორს იყო ამ ხარისხის თვითფლობისაგან. და თუ მე უკვე ვთქვი ცოტა რამ მისი ცხოვრების ბოლო პერიოდზე, ეს იმ მიზნით, რომ ევროპელი მკითხველი ნაჩქარევი განსჯისგან დამეცვა. მეც ასე განვსჯიდი ოდესღაც. მოთმინება! სულის გზები ხშირად განუსაზღვრელია. დავიცადოთ, ვიდრე ბოლოში არ გავალთ.

ღვთის მაწანწალა მართლაც უმეგზურო ბრმასავით მიდიოდა: ნაცვლად იმისა, რომ გზაზე ეარა, მავთულხლართებში ძვრებოდა, არხებში გორდებოდა... და მაინც წინ მიიწევდა, რადგან ყოველთვის დგებოდა ფეხზე და სიარულს განაგრძობდა.

არ იფიქროთ, რომ ჯიუტი და ამპარტავანი იყო! ძნელი წარმოსადგენია უფრო მორჩილი ადამიანი. თქვენ ეუბნებით, რომ მისი მდგომარეობა ავადმყოფურია? მაშ, შესთავაზეთ წამალიც! ის არ უარობს – იმკურნალოს და გამოჯანმრთელდეს...

მას დროებით გზავნიან შინ, კამარპუკურში. დედას სურს, დააქორწინოს იგი, რათა განარიდოს ღვთაებრივ საცთურს. ის სულაც არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ერთგვარ უმანკო სიხარულსაც კი განიცდის. ამას მოჰყვება უჩვეულო ქორწინება, ისევე „რეალური“, – სულისთვის კი უფრო ნაკლებიც, – როგორც მისი კავშირი ქალღმერთთან. მისი დანიშნული (ეს მოხდა 1859 წელს) ხუთი წლის ბავშვია. ამწუთას მე ვგრძნობ იმ შოკს, რომელსაც ამის გაგონებაზე ჯერ კიდევ განიცდის დასავლელი მკითხველი (არც ვაპირებ მის შებრალებას). ბავშვთა ქორწინება ერთი იმ ინდურ ადათთაგანია, ყველაზე მეტად რომ აღაშფოთებს ევროპას და ამერიკას. სათნო მის მაიო სულ ახლახანს აფრიალებდა ამ დროშას, თუმცა კი ცოტა არ იყოს დაჭმუჭნულს, რადგან უკვე დიდი ხანია, რაც ინდოეთის ელიტამ – ბრაჰმოსამაჯმა, თაგორმა, განდიმ[14] – უარყო ეს ინსტიტუტი, არსებითად, უფრო ფორმალური, ვიდრე ცოცხალი რეალობის გამომხატველი. ინდოელ ბავშვთა ქორწინება ხომ, ჩვენი დანიშვნის მსგავსად, გულისხმობს რელიგიურ აღთქმას და რეალობად იქცევა მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. რამაკრიშნას შემთხვევაში, ორმაგად აღმაშფოთებელში ვინმე მის მაიოსთვის, ქორწინების აქტი ხუთი წლის გოგონას ოცდასამი წლის მამაკაცთან აკავშირებდა... მაგრამ შეურაცხყოფილ სულებს ვთხოვთ, დამშვიდნენ! ეს იყო სულთა ისეთი კავშირი, რომელიც არასოდეს განხორციელებულა ფიზიკურად. ეს ქრისტიანული ქორწინება (მისი ადრეული აზრით), საბოლოოდ, განსაცვიფრებლად მშვენიერი აღმოჩნდა. ვიმსჯელოთ ხის შესახებ მისი ნაყოფით. ეს წმინდა, არახორციელი სიყვარულის ნაყოფი – ღვთისაა. პატარა სარადამანი[15] უნდა გამხდარიყო კეთილგონიერი და უფროსი ძმისა, რომელიც მუდმივ მოწიწებას განიცდიდა მის მიმართ. ის უნდა ყოფილიყო ქმრის უმწიკვლო თანამდგომი რწმენასა და ყოველგვარ სულიერ გამოცდაში. შემდგომში მოწაფეებმა ქალწულის მშვიდი და მტკიცე სული შეუწონეს მის სიწმინდეს და უწოდეს მას წმინდა დედა.[16]

ამჯერად კი ბავშვი, მიღებული წესის თანახმად, საქორწინო ცერემონიის შემდეგ მშობლების სახლში დაბრუნდა. იგი ქმარს მხოლოდ რვა-ცხრაწლიანი განშორების შემდეგ ნახავს. ქმარი კი, თითქოს უკვე დამშვიდებული თავის

მიწიერ დედასთან ყოფნით, ტაძარს უბრუნდება.

კალი ელოდება მას. როგორც კი აბიჯებს ტაძრის ზღურბლს, მას თავს ატყდება უწინდელზე უფრო ძლიერი ღვთაებრივი სიშმაგე. ნესუსის ტყავისგან ცეცხლშემონთებული ჰერაკლეს მსგავსად, ის ცოცხალ კოცონად იქცევა. ღმერთების ლეგიონები მას ქარიშხლებივით აცხრებიან, თავსა და კიდურებს ჰკვეთენ... მისი არსება ორად იხლიჩება, ნაფლეთებად იშლება... ის ხედავს თავისი წიაღიდან გამომავალ დემონურ და ღვთაებრივ არსებებს. პირველად გამოდის შავი ფიგურა, რომელიც განასახიერებს ცოდვას, შემდეგ გამოჩნდება სანიასინი, რომელიც, არქანგელოზთან — მსგავსად, კლავს ამ ცოდვას. — (ისევ ინდოეთში ვართ, თუ გადავინაცვლეთ ათასი წლის წინანდელი ევროპის ქრისტიანულ მონასტერში?) ის თვითონ არ იძვრის, მხოლოდ უყურებს მისგან გადმომსკდარ არსებათა ხროვას. შიშის ზარი აქვავებს მის სხეულს. კვლავ არ იხუჭება მისი თვალები თვეების მანძილზე.[17] სადღაც შორიახლოს სიგიუე ჩასაფრებულა. ზარდაცემული, ის ლოცვით მიმართავს კალის. დედის ხილვა — აი, ხსნის ერთადერთი გზა. კიდევ ორი წელი გაივლის სულის ორგიებსა და სასოწარკვეთაში.[18]

დაბოლოს, მოდის ხსნა.

შემეცნების ორი მასწავლებელი: ბრაჰმანი მონაზონი და ტოტაპური: „დედიშობილა კაცი“

ქამდე ის მიცურავდა მარტო, ალალბედზე, ყოველგვარი მომზადების გარეშე, მიცურავდა სულის მორევებში და ღვარცოფად ქცეულ უნაპირო ნაკადში. ძალები უკვე ილეოდნენ და მალე ის ფსკერისკენ დაეშვებოდა.

და აი, ამ დროს გამოჩნდა ორი ადამიანი, ვინც, აკავებდა რა მის თავს წყალზევით, ასწავლა მას დინებათა გამოყენებისა და სახიფათო გადაცურვათა ხელოვნება.

ინდოეთის სულიერი განვითარების მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორია არის უმაღლესი სინამდვილის მოსაპოვებლად თავგადადებული ხალხის მატიანე. მსოფლიოს ყველა ხალხს, არსებითად, ერთი და იგივე ცხადი თუ დაფარული მიზანი ამოძრავებს: ისინი არიან დამპყრობნი, საუკუნიდან საუკუნემდე მიმართულნი ამ სინამდვილის ასაღებად, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენენ; რომელსაც ხელს ავლებენ, ზედ აცოცდებიან; ხან, დაუძლურებულნი, ძირს ცვივიან, სულის მოთქმის შემდეგ კი კვლავ წინ მიიწევენ, წინ, ვიდრე დაეუფლებიან მას, ან — დაიღუპებიან. ოღონდ თითოეული მათგანი ხედავს ამ სინამდვილის ერთ რომელიმე მხარეს. ის თითქოს უზარმაზარი ციხე-სიმაგრეა, ყოველი მხრიდან მრავალრიცხოვანი და ერთმანეთისგან მოწყვეტილი რაზმებით შემოწყობილი, რომელთაგან თითოეული იგონებს შეტევისა და იერიშზე გადასვლის საკუთარ ხერხებს.

დასავლეთის რასები[19] უტევენ ძირითადად ბასტიონებსა და გარე ფორტიფიკაციებს: ბუნების ფიზიკური ძალების მთელ ბადეს, რომელსაც, სურთ, დაეუფლონ, რათა შეიცნონ მისი მამოძრავებელი კანონები და მიმართონ ეს უკანასკნელი შიდა ქალაქისკენ, რათა, ბოლოს და ბოლოს, ციხე-სიმაგრე დანებდეს.

ინდოეთი სხვა გზით მოქმედებს. ის პირდაპირ მიზნისკენ მიდის, პირდაპირ უტევს ყველაფრის ცენტრიდან მმართველ უხილავი გენერალური შტაბის უფროსს. რეალობა, რომელსაც იგი მიელტვის, ტრანსცენდენტურია. ოღონდ არც იფიქროთ და არ დაუპირისპიროთ დასავლეთის **რეალიზმი** ინდოეთის **იდეალიზმს**. ეს — ორი რეალიზმია. ინდოელები თავისი არსებით „რეალიზატორები“ არიან. მათ არ სურთ დაკმაყოფილდნენ აბსტრაქტული იდეით და მის შესაცნობად იყენებენ გრძნობადი დაუფლების ხერხებს. მათ გრძნობად აღქმათა სიმდიდრე, წარმოსახვის უჩვეულო ძალა და ინტუიციის ხილულ სახეებში ხორცშესხმის უნარი დიდად აღემატება დასავლეთის ამავე შესაძლებლობებს[20]. გვაქვს თუ არა უფლება, უარვყოთ ისინი ჩვენი აზროვნების სახელით? გონება ჩვენ გვესახება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველასათვის ღია უნივერსალურ გზად, უპიროვნოდ და ობიექტურად, მაგრამ მართლა ასეა ეს? მართლა ობიექტურია გონება? რამდენად მართალია ეს ამა თუ იმ ადამიანთან მიმართებაში? ხომ არ არის გონება დასაზღვრული თვით პიროვნებით? და განა ცხადი არ არის, რომ ინდური გონების „რეალიზაციები", ჩვენ რომ ზესუბიექტური გვგონია, სულაც არ ჩანან ასეთად თვით ინდოეთში, არამედ წარმოადგენენ მეცნიერულ მეთოდთა (ან ზუსტი ექსპერიმენტირების) ლოგიკურ შედეგს, საუკუნეებით შემონმებულსა და შეუცდომლად რეგისტრირებულს? ყოველი დიდი რელიგიური მოძღვარი უჩვენებს თავის მონაფეებს გზას, მუდამ ერთი და იგივე სინათლისკენ მიმავალს... განა მათი და ჩვენი მეთოდები ერთნაირად არ იმსახურებს ერთგვარ ბრძნულ სკეპტიციზმსაც და სიტყვაზე ნდობასაც?

ჩვენი დროის ჭეშმარიტად მეცნიერული გონებისთვის, თვით შეცდომა, თუ ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერია და ყველას მოსდის, არის უკვე შეფარდებითი ჭეშმარიტება. თუ ხედვა გამრუდებულია, მაშინ საჭიროა იმის გაგება, თუ რა მიმართულებით ხდება ეს გამრუდება, შემდეგ კი – მისი მიზეზების მოძებნა უფრო დაშორებულ და ამაღლებულ სინამდვილეში.

ინდოელთა საყოველთაო რწმენა – ხან ზუსტად განსაზღვრული და ხანაც ბუნდოვანი – მდგომარეობს იმაში, რომ ყოველივე არსებული არსებობს მხოლოდ უნივერსალური, ერთიანი და განუყოფელი სულის წყალობით, რომლის სახელია ბრაჰმანი[21]. მის წიაღში წარმოიშობა მრავალგვარი საგნის სხვადასხვა ფორმა, რაც ავსებს მთელ სამყაროს. სამყაროც თავის არსებობას ამ უნივერსალურ სულს უმადლის, რომელიც წარმოადგენს მის იდეას. ჩვენ, ინდივიდუალური გონებები, კოსმოსური სულის განუყოფელი ნაწილები, აღვიქვამთ ამ მრავალსახოვანი ცვლადი სამყაროს იდეას, მაგრამ მივაწერთ მას დამოუკიდებელ რეალურ არსებობას მანამ, ვიდრე არ ავმაღლდებით ერთიანი ბრაჰმანის შემეცნებამდე. ჩვენ ცდომილებაში შევყავართ მაიას – დაუსაბამო და უჟამო ილუზიას, რომელიც გვაიძულებს მარადიულ სინამდვილედ ჩავთვალოთ ის, რაც მხოლოდ უხილავი სათავიდან გამომდინარე მეტამორფოზულ სახეთა ნაკადია. ეს უხილავი სათავე არის ერთადერთი[22] სინამდვილე.

ჩვენი ამოცანაც, შესაბამისად, იმაში მდგომარეობს, რომ თავი დავაღწიოთ ჩვენი წარმტყვევნელი ილუზიების ნაკადს და, დინების აღმა აცურებულნი, ქვაკენჭებს გადავლებული კალმახის მსგავსად, მივწვდეთ სათავეს. ძნელი ამოცანაა! მაგრამ მას ხსნისკენ მივყავართ. ტანჯვითა და ჰეროიკული გადალახვით აღსავსე ამ დიად შერკინებას ჰქვია **სადჰანა**, ხოლო მის მონაწილეებს – **სადჰაკი**. მათი პატარა კოჰორტა თაობიდან თაობამდე ახლდება და ივსება უშიშარი გულებით, რომელთაც უნდა განვლონ საუკუნეებით დაცდილი მკაცრი დისციპლინისა და მოთმინების სკოლა. ორი გზა არსებობს მათთვის, იარაღის ორი სახეობა[23], ორივე მოითხოვს ხანგრძლივ და შეუპოვარ მზადებას. პირველია გზა შემეცნებისა, რომელიც გადის სრულ უარყოფაზე („არა ეს, არა ეს")[24]. ეს არის **ჯნანას** მეთოდი. შემეცნების მეორე გზა გადის თანდათანობით მტკიცებაზე („ეს, ეს"); ეს არის **ბჰაკტის** მეთოდი. პირველ გზას მიყოლილნი მთელ თავის იმედს ამყარებენ ინტელექტუალურ შემეცნებაზე და სრული ძალისხმევით, უმაღლესი მიზნისგან თვალის მოუშორებლად, უარს ამბობენ ყველაფერზე, რაც მის გარეთ დგას ან ჩანს ასეთად. მეორე გზა გულისხმობს შემეცნებას სიყვარულის წიაღ და მიჯნურისადმი ტრფობის სახელით (რომლის ფორმაც, სხვათა შორის, იცვლება შინაგანი განწმენდის კვალდაკვალ). ამ გზაზე დამდგარნი თანდათანობით თავისუფლდებიან ყველაფრისგან, რაც არ არის **ის**. ჯნანინი მიდის აბსოლუტის, უპიროვნო ღმერთის გზით. ბჰაკტი მიჰყვება პიროვნული ღმერთის გზას ან, ყოველ შემთხვევაში, რჩება ამ გზაზე, ვიდრე წამოეწეოდეს მიზნის კარიბჭესთან მისულ ჯნანას მომლოცველებს.

სწორედ ბჰაკტი იყო ის გზა, რომელსაც გაუცნობიერებლად, ბრმა ინსტინქტით მიჰყვა რამაკრიშნა. მან ჯერ არაფერი იცოდა იმ ზიგზაგებსა და ხაფანგებზე, გზად რომ ელოდა. დიდი ხანია, ღვთის მაძიებელთათვის არსებობდა თავისებური „გზამკვლევი პარიზიდან იერუსალიმამდე" – საწყისი პუნქტიდან დანიშნულების ადგილამდე, სადაც ზედმიწევნით იყო მითითებული ყველა სახიფათო ადგილი, აღმართ-

ARCHIVE

დაღმართი, წინასწარ იყო მინიშნებული და გონივრულად დანაწილებული გზის ყველა მონაკვეთი[25]. მაგრამ კამარპუკურელმა მწირმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და მიდიოდა იქით, საითაც მიჰყავდათ გაშმაგებულ გულსა და ფეხებს. ზეადამიანური ძალისხმევით არაქათგამოცლილი, მეგზურისა და მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი, სიმარტოვისგან შეშლილი, შუაგულ ტყეში მყოფი, – ის თავს დაღუპულად თვლიდა, როცა, სინამდვილეში, უკვე ამთავრებდა გზის ყველაზე რთულ ეტაპს.

ხსნა ქალისაგან მოვიდა.

ერთხელ, როდესაც თავისი აივნიდან გადაჰყურებდა განგს, რომელსაც ყველა მიმართულებით სერავდნენ ჭრელაფრიანი ნავები, მან შეამჩნია, რომ ერთი ნავი მისი ტერასისკენ მოცურავს. კიბის საფეხურებს ამოჰყვა მაღალი და ლამაზი ქალი, გაშლილი თმითა და ჟანგისფერწითელი კაბით, რომელსაც ატარებდნენ სანიასინები[26]. იქნებოდა ასე ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის, თუმცა უფრო ახალგაზრდა ჩანდა. ქალის შესახედაობამ რამაკრიშნა განაცვიფრა. მან იგი შინ შეიპატიჟა. ოთახში შესულმა ქალმა მასპინძელს შეხედა და ატირდა:

„შვილო ჩემო, თქვენ ის ხართ, ვისაც მე უკვე დიდი ხანია ვეძებ“.[27]

ის ეკუთვნოდა ბრაჰმანთა კასტას, ვაიშნავას კულტის[28] ერთგულ კეთილშობილ ბენგალიურ ოჯახს; დიდად განათლებული იყო და იცნობდა ბჰაკტის წმინდა ტექსტებს. მან აუწყა, რომ ეძებს ღვთით ბეჭედდასმულ ადამიანს, რომლის შესახებაც შეიტყო ღვთაებრივი სულისგან. მას დაკისრებული აქვს მისია – აუწყოს ამ ადამიანს დიადი ამბავი. ზედმეტი ლაპარაკის გარეშე (მას არც კი დაუსახელებია თავი და ბოლომდე დარჩა უცნობი ბჰაირავი ბრაჰმანის, ანუ „ბრაჰმანი მონაზონის“ სახელით). წმინდან ქალსა და კალის ქურუმს შორის უმალვე დამყარდა დედაშვილური კავშირი. რამაკრიშნამ ბავშვის სიწრფელით უამბო მას თავისი სადჰანის – ღმერთში ცხოვრების – მღელვარე ისტორია, უამბო მთელი გამოვლილი სიმწარე, სულიერი და სხეულებრივი ტანჯვა.... უთხრა ისიც, რომ ბევრი მას შეშლილად თვლიდა და თრთოლვით შეეკითხა, მართლა ასეა თუ არა ეს. აღსარების მოსმენის შემდეგ, ბჰაირავიმ ღრმა დედობრივი სინაზით დაამშვიდა ჭაბუკი და უთხრა, რომ ჭმუნვა კი არა, სიხარული მართებს, რადგან მან საკუთარი ძალებით შეძლო – მიეღწია სადჰანას ერთ-ერთ უმაღლესი მდგომარეობისთვის, რომელიც აღწერილია ბჰაკტის ტექსტებში, და რომ ეს ტანჯვები შეადგენს დიადი კიბის საფეხურებს. ქალმა გულს მოუფონა ჭაბუკს, შეუმსუბუქა ტკივილები, განკურნა მისი სხეული და გაუნათლა გონება. წყვდიადში ხელისცეცებით განვლილი გზაც, ქალის წყალობით, მან ხელახლა, მზის სინათლეზე განვლო. მან ხომ სულ რამდენიმე წელში მიაღწია იმას, რის მოსაპოვებლადაც მისტიურ მეცნიერებას საუკუნეები დასჭირდა (თუმცა ამ მონაპოვრის სრული ბატონპატრონი ის მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც მისი ცნობიერება გაციცკროვნდება საბოლოოდ მოპოვებული გამარჯვებით).

თავდაპირველად „სიყვარულით შემცნობელი“ ბჰაკტი იწყებს ღვთის რომელიმე სახის მიღება-აღიარებით, სახისა, რომელშიც ის ხედავს თავის რჩეულ იდეალს (როგორც რამაკრიშნა – ღვთაებრივ დედას). ის დიდხანს ინთქმება თავის ამ ეულ სიყვარულში. თავიდან მას არ ძალუძს მისწვდეს ამ სიყვარულის ობიექტს, მაგრამ თანდათანობით იგი იწყებს მის ხედვას, შეხებას, მასთან საუბარს. აქედან მოყოლებული, მისთვის საკმარისია უმცირესი კონცენტრაცია, რათა შეიგრძნოს თავისი უფლის ცოცხალი სუნთქვა. ვინაიდან მას სწამს, რომ მისი უფალი არის ყველაფერი და რომ ყოველი სახე მისეულია, ამიტომ ის აღიქვამს სხვადასხვა ემანაციებსა და ღმერთის სხვა სახე-ფორმებს, როგორც მისი ერთადერთი სატრფოს გამოსახვებას. მიჯნურის წარმოსახვაში მკვიდრდება ეს ღვთაებრივი პოლიმორფია და თანდათანობით იმდენად ავსებს მას თავისი მუსიკით, რომ აღარ რჩება ადგილი მატერიალური სამყაროსთვის: ეს უკანასკნელი ქრება. ეს არის **სავიკალპასამადჰი** – ზეცნობიერი ექსტაზის მდგომარეობა, როცა სული მაინც ინარჩუნებს კავშირს შინაგან სამყაროსთან, აზრთან: ის მაინც ნეტარებს ღმერთში თავისი არსებობის გაცნობიერებით. მაგრამ როდესაც სულს შეიპყრობს ერთადერთი იდეა, მაშინ ყველა სხვა იდეა ფერმკრთალდება და ქრება, და უკვე ახლოა საბოლოო მიზანი: **ნირვიკალპასამადჰი**, უმაღლესი შეხიდვა

ბრაჰმანთან. კიდევ ცოტაც და, შესაძლებელი ხდება აზროვნების გათიშვა, როცა, ბოლოს და ბოლოს, სრული თვითგანდგომის გზით, განხორციელდება აბსოლუტური შერწყმა.[29]

მთელი ამ სულიერი გზის სამი მეოთხედი რამაკრიშნამ განვლო ბრმად. ბჰაირავიმ, რომელიც მან თავის სულიერ დედად და გურუდ (მოძღვრად) მიიღო, გაუცხადა მას ამ გზის ყველა ასპექტი და საზრისი. რელიგიურ წვრთნათა საკუთარ თავზე გამომცდელმა და შემეცნების გზა-კვალთა მცოდნემ, მან ერთიმეორეს მიყოლებით, მეთოდურად და წმინდა წიგნებში მითითებული კანონების მიხედვით, შემოატარა რამაკრიშნას სადჰანას ყველა ბილიკი, თვით ყველაზე სახიფათო – ტანტრებისაც კი, რომელიც სულსა და გრძნობებს მოუვლენს ყველა ჯურის სხეულებრივ თუ წარმოსახვით განსაცდელს, რათა მოპოვებულ იქნას საბოლოო გამარჯვება მათზე. ეს გზა მიჰყვება დეგრადაციისა და სიგიჟის უფსკრულებს. მასზე დამდგარი არა ერთი და ორი კაცი ველარასოდეს დაბრუნებულა უკან. სუფთად წასული რამაკრიშნა უკანაც სუფთა დაბრუნდა, – სუფთა და ფოლადივით ნაწრთობი.

ამჯერად ის უკვე ფლობდა ღმერთთან სასიყვარულო კავშირის ყველანაირ ფორმას, – ცხრამეტი სახის მიმართებას ანუ თავის უფალთან მიახლოებული სულის სხვადასხვა ემოციას: მსახურის ურთიერთობას ბატონთან, ვაჟიშვილისა – დედასთან, მეგობრის, მიჯნურის, მეუღლისა და ა.შ. ის ყველა მხრიდან შემოადგა ღვთაებრივ ციხე-სიმაგრეს. ღვთის დამპყრობი უკვე წილნაყარი იყო მის ბუნებასთან.

რამაკრიშნას მზიარებელმა შეიცნო მასში ღვთაებრივი ინკარნაცია. დაკშინესვარში, სწავლულ პანდიტთა დისკუსიების შემდეგ საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე, ბჰაირავიმ აიძულა ავტორიტეტული თეოლოგები, ამოეცნოთ რამაკრიშნაში ახალი ავატარა.

ამიერიდან ის თანდათან უფრო ცნობილი ხდება. საიდან აღარ მოდიოდნენ, რათა ეხილათ საკვირველი კაცი, რომელმაც განვლო არა მხოლოდ ერთი, არამედ ყველა სადჰანა. ყველა მომლოცველი, ვინც კი ღმერთისკენ მიიღვწოდა ამა თუ იმ ბილიკით, – ბერი, ასკეტი, სწავლული, სადჰუ, გასხივოსნებული, – ყველა აქ მოდიოდა, რათა რჩევა ეკითხა ან შთაგონება მიეღო მისგან, ვინც, ან-გზა-გასაყარზე მდგარი, წარმართავდა-მათ. მათი ნაამბობი მეტყველებს იმ ადამიანისგან გამომავალ ხიბლზე, რომელიც მოდიოდა არა ჯოჯოხეთიდან, ვით დანტე, არამედ უძირო ზღვიდან, როგორც მარგალიტების მაძიებელი ადამიანი, რომლის ოქროსფრად მანათობელი სხეული ხანგრძლივ ექსტაზს გამოეწვა და გადაეტკიცა. თვითონ კი, მეტისმეტად მთვრალი თავისი ღმერთით და საკუთარი თავით, რჩებოდა იმად, რადაც ის დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, – ადამიანთაგან ყველაზე უბრალოდ, სიამაყის ნიშანწყლის გარეშე; მოფიქრალი არა იმაზე, რასაც მან უკვე მიაღწია, არამედ ახალ ლაჟვარდებზე, რომელთაც მომავალში უნდა ასწვდომოდა. თუმცა მას არ სიამოვნებდა ლაპარაკი მის „ავატარობაზე". და როდესაც ყველას და, მათ შორის, თვით მისი მეგზურის, ბჰაირავის, თვალში მას უკვე მიღწეული ჰქონდა მიზნისთვის, თვით რამაკრიშნა უმზერდა აღმართის დარჩენილ ნაწილს, ფრიალო კლდეს და საბოლოო მწვერვალს, რომლამდეც უნდა აცოცებულიყო.

მაგრამ აქ უკვე ძველი მეგზურები აღარ გამოადგებოდნენ და მის სულიერ დედასაც, ვინც რუდუნებით აბარტყა იგი სამი წლის მანძილზე, ყველა სხვა დედასავით უნდა ეწვნია ღრმა სიმწარე, როცა აქამდე საკუთარი ძუძუთი ნაკვებ-გამოზრდილი შვილი გაურბის მშობელს, რათა მისდიოს მასზე აღმატებულ, უფრო ვაჟკაცურ და მძლავრხმიან მოძღვარს.

* * *

1864 წლის დამლევს, სწორედ მაშინ, როდესაც რამაკრიშნა სრულად დაეუფლა პიროვნულ ღმერთს, დაკშინესვარში გამოჩნდა უპიროვნო ღმერთის მაცნე, ტოტაპური („დედიშობილა კაცი"), არაჩვეულებრივი ვედანტისტი ასკეტი, მოხეტიალე ბერი, რომელიც ორმოცი წლის წვრთნა-მომზადებამ უმაღლეს გამოცხადებამდე მიიყვანა. ეს გათავისუფლებული, ყველაფრისადმი გულგრილი სული თავისი უპიროვნო მზერით დაჰყურებდა ქვეყნიერების სიზმარს.

უკვე დიდი ხანია, რაც რამაკრიშნა არცთუ აუღელვებლად შეიგრძნობდა სიახლოვეში მორიალე უსახო და არაადამიანურ ღმერთს, მისეული Missi Dominici-ს ზეადამიანურ განურჩევლობას; მის მგუდავ პარამაჰამსებს, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერთან არაფერი არ აკავშირებთ; სულისა და სხეულისგან განმდგარ მის ასკეტებს, განძარცულთ თვით უკანასკნელი სიკეთის – გულის ამ მარგალიტის – ღვთაებისადმი სიყვარულისგან. დაკშინესვარში ყოფნის პირველ ხანებში რამაკრიშნას თავზარი დასცა ამ მკვდარცოცხალ არსებათა ხილვამ და ცრემლები აფრქვევინა იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა თვითონაც ასეთი გამხდარიყო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რად შეიძლება ღირებოდა ეს სიყვარულით შეშლილ ამ არსებას, როგორადაც მე უკვე აღგიწერეთ იგი, – ამ მიჯნურად შობილს, ამ არტისტს, რომელსაც აქვს მოთხოვნილება, დაინახოს, შეეხოს, იგემოს ყველაფერი, რაც უყვარს და არ ძალუძს ყოფნა ცოცხალი ფორმის გარეშე, ფორმის, რომელსაც შემოევლება, ნაკადულივით ზედ დაედინება და საკუთარი სხეულით შეუვსებს ღვთაებრივ ნაკვთებს!... და მას უნდა დაეგდო, გულის, სხეულისა და სულის ეს ბუდე, რათა უკვალოდ ჩამლღვალიყო უფორმოსა და აბსტრაქტულის ღველფში... აზრის ასეთი სვლა რამაკრიშნასთვის კიდევ უფრო გამგმირავი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვენი ევროპელი სწავლულისთვის.

მაგრამ მას არ ძალუძდა თავი დაეღწია ამისგან. თვით ეს ზაფრიც კი გველის თვალივით აჯადოებდა მას. თავბრუსხვევა ათრობს: ვისაც ის განუცდია ციცაბოებზე, მწვერვალებამდიც უნდა აფრინდეს. ღმერთების კონტინენტის მკვლევარს არა აქვს გაჩერების უფლება, ვიდრე არ მიაღწევდეს თვით იდუმალი ნილოსის სათავეს.

მე ზემოთ ვთქვი, რომ უსახო ღმერთი თავისი დამზაფრავი ხიბლით აჯადოებდა მას. რამაკრიშნა კი არ მისულა „დედიშობილა კაცთან", – ბერმა თვითონ მოძებნა კალის მიჯნური.

ტოტაპურიმ გზად ჩაიარა. ის არასოდეს რჩებოდა ერთ ადგილას სამ დღეზე მეტს. მან დაინახა რამაკრიშნა, რომელიც მას ვერ ხედავდა. ტაძრის კიბეზე ჩამომჯდარ ახალგაზრდა ქურუმს ფარული ხილვის ნეტარებით მზერა გაჰქვავებოდა. ამის მნახველი ტოტაპური გაოგნდა.

„შვილო ჩემო", უთხრა მან, „ვხედავ, რომ შორს წასულხარ ჭეშმარიტების გზაზე. თუ ისურვებ, მე შემიძლია დაგეხმარო შემდეგ საფეხურამდე მისვლაში. მე შეგასწავლი ვედანტას".

თავისი უზაკველი უბრალოებით, რომელმაც ღიმილი მოჰგვარა მკაცრ ასკეტს, რამაკრიშნამ მიუგო, რომ მან ჯერ ნებართვა უნდა მიიღოს დედისგან. კალი დათანხმდა. ამის შემდეგ ჭაბუკმა მორჩილად და მთელი არსებით მიანდო თავი ღვთაებრივ მეგზურს.

უწინარეს ყოვლისა, მას უნდა გაევლო ზიარების გამოცდა, რომლის პირველი პირობა იყო უარის თქმა ყოველგვარ პრივილეგიებსა და განმასხვავებელ ნიშნებზე: არად ღირებულ ბრაჰმანის თასმასა და ქურუმის წოდებაზე; იმედებზე, გრძნობებზე, ილუზიებზე, რომლითაც ის ცოცხლობდა: პიროვნულ ღმერთზე, ჭაბუკის სიყვარულისა და მსხვერპლის ყველა ნაყოფზე, – აქ და ყველგან, დღეს და სამარადისოდ. მთლად დედიშობილას, მას უნდა შეესრულებინა თავისი თავის სიმბოლური დასამარება. მან დამარხა თავისი მე-ს უკანასკნელი ნაშთები: საკუთარი გული.... მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა მას უფლება ჩაეცვა სანიასინის ჟანგმიწისფერი კვართი, რომელიც განასახიერებდა ახალ გზას. ტოტაპურიმ ასწავლა მას ადვაიტა ვედანტას[34] ძირითადი ჭეშმარიტებები: ერთი და განუმეორებელი ბრაჰმანი; უმაღლესი მე-ს ძიებაში დანთქმა, რათა განხორციელდეს სრული შეერთება ბრაჰმანთან და დამკვიდრება მასში სამადჰის (ექსტაზის) გზით.

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ექსტაზის ყველა სართულის მომვლელი კაცისთვის ადვილი საპოვნი იყო უკანასკნელი ვიწროკარიანი ოთახის გასაღები. უნდა მოვიხმოთ თვით მისი ნაამბობი, რომელიც არაორაზროვნად მიეკუთვნება ინდოეთის წმინდა ტექსტებს და წარმოადგენს ავთენტურ დოკუმენტს სულის მეცნიერების არქივებისთვის:

„... დედიშობილა კაცმა (ტოტაპურიმ) მიბრძანა მომეწყვიტა ჩემი გონება ყველა საგნისგან და დავნთქმულიყავი ატმანის წიაღში. მაგრამ მთელი ჩემი ძალისხმევის მიუხედავად, მე ვერ ვუსხლტებოდი სახელისა და ფორმის სამეფოს, რათა მომეყვანა სული „უპირობო" კონდიციაში. არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა ჩემთვის საგანთა სამყაროსგან მოწყვეტა, თუ არ ჩავთვლით ერთ გამონაკლისს: ეს იყო ნეტარსხივოსანი დედის[35] ეგზომ ნაცნობი სახე, წმინდა ცნობიერების განსახიერება, რომელიც აღიმართებოდა ჩემს წინ, როგორც ცოცხალი სინამდვილე. ის მე მიხერგავდა გზას გადალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცისკენ. არაერთგზის ვეცადე, მომეხდინა კონცენტრირება ადვაიტურ სწავლებაზე, მაგრამ ყოველ ჯერზე წინ მელობებოდა დედის სახება. სასონარკვეთილმა მივმართე ტოტაპურის: „ეს შეუძლებელია! მე არ ძალმიძს უპირობო მდგომარეობამდე მისვლა, რათა პირისპირ დავრჩე ატმანთან...“ მან მკაცრად მომიგო „როგორ თუ არ ძალგიძს? უნდა შეძლო“. მან მზერა ირგვლივ მოატარა, დასწვდა ძირს დაგდებულ შუშის ნატეხს, ზუსტად წარბსა და წარბს შუა ჩამირჭო და მითხრა: „მოახდინე შინაგანი კონცენტრაცია ამ წერტილზე!“ მე მთელი ძალისხმევით მივეცი თავი მედიტაციას... და როგორც კი კვლავ წამოიმართა ღვთაებრივი დედის გრაციოზული სახე, მე მახვილივით შევმართე ჩემი მზერა და – ორად გავაპე იგი. და მაშინ გაქრა უკანასკნელი წინააღმდეგობაც და ჩემი სული „პირობით“ საგანთა მილმა გაიჭრა. მე სამადჰიში დავინთქე...“

მას დაჭირდა ძალთა აბსოლუტური დაძაბვა და უსასრულო ტანჯვა, რათა შეენგრია მიუწვდომლის კარი. მაგრამ როგორც კი ეს კარი შეაღო, – ის ერთი ნახტომით მისწვდა უკანასკნელ საფეხურს, **ნირვიკალპასამადჰის,** სადაც აღარ არსებობს სუბიექტი და ობიექტი:

„სამყარო დაბნელდა. სივრცეც კი აღარ არსებობდა. თავდაპირველად აზრის აჩრდილები ჯერ კიდევ დარიალებდნენ სულის ბნელ ფსკერზე. მონოტონურად გაისმოდა მე-ს სუსტი ექო... შემდეგ ისიც შეწყდა. დარჩა მხოლოდ არსებობა. სული თვითობაში დაინთქა. ყოველგვარი დუალიზმი გაქრა. სივრცე დასაზღვრული და სივრცე უსაზღვრო ერთში გაითქვიფა. სიტყვისა და აზრის გადაღმა – სულში განხორციელდა ბრაჰმანი....“[37]

რამაკრიშნამ ერთ დღეში განახორციელა ის, რისთვისაც ტოტაპურის ორმოცი წელი დაჭირდა. საკუთარი ცდის შედეგით გაოგნებული ასკეტი ჭვრეტდა ამ სხეულს, გვამივით უმოძრაოს სამი დღე-ღამის მანძილზე, რომლიდანაც ასხივებდა შემეცნების ბოლო საფეხურს მიახლებული სულის დიადი სიმშვიდე.[38]

ტოტაპური არ აპირებდა დარჩენას სამ დღეზე მეტხანს, თუმცა თერთმეტ თვეს შეყოვნდა, რათა ესუბრა თავის მონაფესთან, რომელმაც თვალსა და ხელს შუა გაასწრო მასწავლებელს.

* * *

მდგომარეობა შეიცვალა. ნორჩი ფრინველი, გადაიხედა რა ბორცვების პირველი წრის იქით, დაბრუნდა უფრო მაღალი ციდან. მის გაფართოებულ გუგებში აღბეჭდილ იქნა უფრო ფართო სივრცეები, ვიდრე ძველი „ნაგას“[39] ვიწრო და მჭრელ გუგებში. ამჯერად უკვე არწივმა დაუწყო გველს შეგონება.

ეს არ მომხდარა წინააღმდეგობის გარეშე.

წარმოვიდგინოთ ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი განდობილი: რამაკრიშნა, პატარა შავტუხა კაცი, მოკლედ შეჭრილი წვერით, რომლის მშვენიერი თვალები – „გრძელი, მუქი, მანათობელი, ოდნავ ელამი და ნახევრად მოჭუტული“[40] – არასოდეს იღებოდნენ ბოლომდე, მაგრამ ამით უფრო უკეთესად ხედავდნენ შიგნით თუ გარეთ; ოდნავ გაპობილი ბაგე აჩენდა თეთრ კბილებს და მომაჯადოებელ ღიმილს[41], ეშმაკურსა და მოსიყვარულეს; სიმჭვლეევემდე გამხდარი და უაღრესად მყიფე საშუალო სიმაღლის ტანი[42]; უკიდურესად ნერვიული ტემპერამენტი, ზემგრძნობიარე სიხარულისა თუ ტკივილის – ფიზიკურის და სულიერის – უმცირეს დაბერვაზე, ცოცხალი სარკე-ანარეკლი ყველაფრისა, რაც კი გადიოდა მის ორმაგ – შინაგან-გარეგან მზერაში; განსაცვიფრებელი პლასტიურობა, თვალის ერთ დახამხამებაში რომ აქცევდა მის სულს ნებისმიერ არსებად და, იმავე დროს, არ ეკარგებოდა „fest Burg“ – განუწყვეტელი მოძრაობის ცენტრში მყოფი უძრავი და უსასრულო წერტილი. „სრულებით ჩვეულებრივ ბენგალიურ კილოზე მეტყველებისას მას ენა ოდნავ და საყვარლად ებმოდა და მეყსეულად გხიბლავდა თავისი სუფთა, მუსიკალური ტემბრით, სულიერი გამოცდილების სიმდიდრით, მეტაფორებისა და სახეების ამოუწურავი მარაგით, დაკვირვების სწორუპოვარი ძალით, მხიარული და დახვეწილი იუმორით, ყველაფრისადმი საოცარი კეთილგანწყობითა და სიბრძნის დაუშრეტელი მდინარებით...“[44]

და აი, ამ ადამიანი-განგის პირდაპირ, – საპირისპიროდ მისი სიღრმეებისა და ათინათ-ანარეკლების, მისი ზღვებისა და ნაკადების, აჭავლებისა და მიმოხვევების, მილიონობით არსების, რომელთაც ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაცურებს და კვებავს, — გიბლარტარივით წამომართულიყო მეორე ადამიანი: ტანადი, მძლავრი, ქარდაკრული, უდრეკი და შეურყეველი: კლდე ლომის პროფილით. სხეულიცა და სულიც მას რკინისა ჰქონდა, — მათ არასოდეს შეჰყრიათ ავადმყოფობა და ტანჯვა. ამ უკანასკნელთ ის ზიზღით დაჰყურებდა, ის: ადამიანთა ძალმორჭმული ბელადი. ვიდრე მოხეტიალე ცხოვრებას დაიწყებდა, ტოტაპური ერთპიროვნულად მართავდა შვიდასკაციან მონასტერს პენჯაბში; ფლობდა მეთოდურ დისციპლინებს, თიხასავით რომ ზილავენ და გამოსწვავენ ადამიანთა სულ-სხეულებს. არასოდეს მოსვლია თავში, რომ რაიმეს შეეძლო შეერყია მისი ფოლადის ნება: შემთხვევას, ვნებათაღელვას, სხეულებრივ ტანჯვას თუ ღვთაებრივი ილუზიის მაგიურ ძალას, ასე რომ აზვირთებს ცხოვრების ხმაურიან ტალღებს, რადგანაც მაია მისთვის იყო მხოლოდ არარსებობა, სიცარიელე, სიკვდილი, რომლის სამუდამოდ გასაცამტვერებლად საკმარისია მისი საბოლოო მხილება. რამაკრიშნასთვის მაიაც ღმერთი იყო, რადგან ყოველივე ღმერთია: მისთვის ის იყო ბრაჰმანის ერთ-ერთი სახე. მწვერვალზე ფეხშედგმულ რამაკრიშნას არ დავიწყებია უწინდელი შიშები, უგონობა, მთამსვლელის ყველა ფათერაკი. მოგზაურობის ყველა დეტალი ცოცხლობდა მის მზერაში. ის თავის ხსოვნაში აღბეჭდავდა ყველაფერს იერარქიის, დროისა და ადგილის მიხედვით, აღბეჭდავდა, როგორც მწვერვალთა განსაცვიფრებელ პანორამას. მაგრამ რისი აღბეჭდვა შეეძლო თავის ხსოვნაში „დედიშობილა კაცს"? მისი მეხსიერება ისეთივე შიშველი იყო, ისეთივე განძარცული ემოციების და სიყვარულისგან, როგორც თვით იგი — „პორფირისაგან შექმნილი ტვინი", როგორც ამბობდა ერთი იტალიელი უდიდესი უმბრიელი მხატვრის შესახებ. საჭირო იყო, რომ ეს მარმარილოს მაგიდა ნაყოფიერი ტკივილის ბრჭყალს დაეკაწრა... და დაკაწრა კიდეც.

ამ დიდ ინტელექტუალს არ ესმოდა, რომ სიყვარული შეიძლებოდა ყოფილიყო ღმერთისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა. იგი უარყოფდა რამაკრიშნას გამოცდილებას, სძაგდა ხმამაღლა წარმოთქმული ლოცვები, გარეგნული გამოვლინებები, მუსიკა, სიმღერები, რელიგიური ცეკვები. შელამებისას, როდესაც ის ხედავდა რამაკრიშნას, რომელიც იწყებდა უფლის სახელთა მონოტონურ წარმოთქმას ტაშის თანხლებით, დამცინავი ღიმილით ეკითხებოდა: „პურს ხომ არ აცხობ?"

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ის ნელნელა იხიბლებოდა. მუსიკალური მეგობრის ზოგიერთი სიმღერა მას უკვე აღელვებდა და მალულად ცრემლსაც აღვრევინებდა. ბენგალიის ვერაგი და მომთენთავი ჰავაც თავისებურად მოქმედებდა ამ პენჯაბელზე, რომელსაც არ სურდა ანგარიში გაეწია მისთვის. ერთგვარად დაძაბული მისი ენერგია უწინდებურად მკაცრად ვეღარ აკონტროლებდა გრძნობელობას. თვით უმტკიცეს გონებასაც აქვს თავისთვისვე შეუმჩნეველი წინააღმდეგობები. კულტებისა და კულტმსახურების აბუჩად ამგდებს, მას ჰქონდა სისუსტე — თაყვანი ეცა ცეცხლისთვის, როგორც სიმბოლოსთვის, და თავის სიახლოვეში მუდმივად ჰქონდა ცეცხლის კერა. ერთხელ მსახური შემოვიდა ნაკვერჩხლის ასაღებად. ტოტაპური განარისხა ამ უცერემონიობამ, რამაკრიშნამ კი გაიცინა თავისი მხიარული და ბავშვური სიცილით:

„ხედავთ, ხედავთ, თქვენზეც როგორი წინაღუდგომელი ძალით მოქმედებს მაია!"

ტოტაპური ჩაფიქრდა. მაშ, თვითონაც მორჩილებდა ილუზიის უღელს, ისე რომ არც კი უწყოდა ეს? სნეულებამაც არ დააყოვნა ეჩვენებინა მისთვის მისივე სულის მიჯნები. მე უკვე ვთქვი, რომ მას არასოდეს შეჰყრია სნება მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ბენგალიაში გატარებულმა რამდენიმე თვემ მას დიზინტერია დამართა. იქაურობას უნდა გასცლოდა... მაგრამ ეს ეს იქნებოდა გაქცევა ტკივილის და ბოროტებისგან. ის გაჯიუტდა... „მე არ დავემორჩილები სხეულს!".. სნება გაძლიერდა და გონება ვეღარ ახერხებდა აბსტრაქტულ განსჯას. მან ჩაიტარა სხვადასხვა სახის მკურნალობა, მაგრამ ამაოდ. სნეულება ძლიერდებოდა ყოველი ახალი დღის გათენებასთან ერთად, როგორც ჩრდილი, რომელიც ნელ-ნელა ფარავს დღის ნათელს, და ბოლოს ისეთი დამთრგუნველი გახდა, რომ ასკეტი ვეღარ ახდენდა კონცენტრაციას ბრაჰმანზე. ის გააცოფა თავისმა ხრწნადმა სხეულმა და განგს მიმართა, რომ ეს სხეული მსხვერპლად მიეცა მისთვის...

მაგრამ უხილავმა ხელმა შეაჩერა და, მდინარეში შესულს, მას აღარ დაჰყვანება და ძალა თავის დასახრჩობად. ტოტაპური გულმოკლული დაბრუნდა უკან. მაია მოქმედებდა. ღვთაებრივი დედა იქ იყო: ცხოვრებაში, სიკვდილში, ტკივილის გულისგულში, – ყველგან. მასზე მედიტაციაში ასკეტმა მარტომ გაათენა ღამე. დილას ის უკვე სხვა კაცი იყო. რამაკრიშნას წინაშე მან აღიარა, რომ ბრაჰმანი და შაკტი[46], ანუ მაია, არის ერთი და იგივე არსება. ღვთაებრივმა დედამ, ან დამცხრალმა, იგი გაათავისუფლა სნეულებისგან. ტოტაპური დაემშვიდობა უკვე მასწავლებლად ქცეულ თავის მოწაფეს და წავიდა, სულგანათებული.[47]

მოგვიანებით რამაკრიშნამ ამ სიტყვებით შეაჯამა ის ორმაგი გამოცდილება, რომელიც მასთან ყოფნის დროს მიიღო ტოტაპურმა:

„როდესაც მე ვფიქრობ უმაღლეს არსებაზე, როგორც უმოქმედოზე, არაშემოქმედზე, არაშემნახველზე, არამნგრეველზე, მე მას ვუწოდებ ბრაჰმანს ანუ პურუშას, უპიროვნო ღმერთს. როდესაც ვფიქრობ მასზე, როგორც აქტიურზე, შემოქმედზე, შემნახველსა თუ მნგრეველზე, მე მას ვუწოდებ შაკტის, ან მაიას ან პრაკრიტს[48], პიროვნულ ღმერთს. მაგრამ მათი გარჩევა არ გულისხმობს რაიმე სხვაობას. უპიროვნო და პიროვნული ერთი და იგივე არსებაა, როგორც რძე და მისი სითეთრე, მარგალიტი და მისი ნათება, გველი და მისი კლაკვნა. არ არსებობს ერთი მეორის გარეშე. ღვთაებრივი დედა და ბრაჰმანი – ერთია“.

ფრანგულიდან თარგმნა **დავით აკრიანმა**

წიგნიდან „La vie de Ramakrishna“. Stock, 1993

შენიშვნები

1. აქ იყვნენ გიუები საღვთო წიგნისა, რომელშიც მეფობდა ერთადერთი სიტყვა: „ომ“. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც როკავდნენ და, სიცილისგან დაგრეხილები, ყვიროდნენ "ბრავო!", დასცინოდნენ რა ამით ილუზია-ქვეყნიერებას. სხვები, მთლად შიშვლები, რომლებიც ძაღლების გვერდით ღატაკთა ნამუსრევით იკვებებოდნენ, არანაირად აღარ ასხვავებდნენ ერთ ფორმას მეორისაგან და ყველაფრისგან თავისუფლები იყვნენ. აქ იმართებოდა ტანტრისტების მისტიური და ბაკქური ფერხულები. ჭაბუკი რამაკრიშნა ყურადღებით და მღელვარებით ადევნებდა მათ თვალს, ხან მოხიბლული, ხან კი ზიზღით აღვსილი. მოგვიანებით, მან ცინცხალი იუმორით აღწერა ეს ყველაფერი.

2. ეს ტაძარი დღემდე არსებობს. რამაკრიშნას ოთახი, ეზოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, უშუალოდ შივას თორმეტი ტაძრის უკან, ნახევრადმრგვალი ვერანდითა და სახურავის დასაყრდენი სვეტებით, გადიოდა განგზე დასავლეთის მიმართულებით. დიდ ოთხკუთხა ეზოში იყო დარბაზი მუსიკისა და საკრალური წარმოდგენებისთვის. გვერდზე განლაგებული იყო სასტუმრო ოთახები, სამზარეულოები სტუმრებისა და ღმერთებისთვის. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ტაძარს ეკვროდა დიდებულად მოვლილი, ყვავილებით და ნელსურნელებით სავსე საუცხოო ბაღი ორი პატარა ტბორით. უფრო მოშორებით ამჟამად მოჩანს ხუთი წმინდა ხისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც დაირგა რამაკრიშნას სურვილით და ცნობილი გახდა პანშავატის სახელით. აქ ატარებდა იგი მთელ დღეებს, ფიქრობდა და ესაუბრებოდა კალის. იქვე მოდგაფუნობს განგი.

3. ამ სიმბოლურ გამოსახულებაში რამაკრიშნამ მოგვიანებით ჩადო გრანდიოზული აზრი: „კაცობრიობა უნდა მოკვდეს, რათა გამოვლინდეს ღვთაება. მაგრამ თავის დროზე ღვთაებაც უნდა მოკვდეს, რათა ადგილი დაუთმოს უმაღლეს მანიფესტაციას“, ანუ აბსოლუტის განხორციელებას. „და აი, მკვდარი ღვთაების სხეულზე ნეტარი დედა ცეკვავს თავის ზეციურ ცეკვას.“

4. კამალაკანტა.

5. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრთაში.

6. მე მოვიხმობ მის სამ ნაამბობს, მთლიანობაში ერთმანეთის მსგავსს და, გარკვეული შტრიხებით, ერთმანეთის შემვსებს.

7. ტექსტში სიტყვასიტყვით ასეა: „მე დავკარგე მთელი ჩემი ბუნებრივი ცნობიერება.“ ეს მნიშვნელოვანი დეტალია, რადგან შემდგომში ირკვევა, რომ სხვა – შინაგანი – ცნობიერება ამ დროს თავის უმაღლეს განვითარებას აღწევს.

8. ნაწყვეტი სვამი სარადანანდას წიგნიდან „შრი რამაკრიშნა, დიდი მოძღვარი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარადანანდა, რომელიც გარდაიცვალა 1927 წელს და დიდად დაახლოებული იყო რამაკრიშნასთან, რელიგიური და ფილოსოფიური ინდოეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი დაწერილი და, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი ბიოგრაფია არის ყველა სხვაზე უტყუარი და საინტერესო.

9. ტერეზაც, უკიდურესი დაქანცულობის წუთში, გრძნობს უხილავის მოახლოებას, როგორც უეცრად მოვარდნილ წყალდიდობას: თითქოს ზღვამ უნდა ჩაყლაპოსო. მხოლოდ გასპარ დაზისა და სალცედოს მკაცრი შეგონებები აიძულებენ მას — და რა ტანჯვის ფასად! — შეასახლოს უსაზღვრო ოკეანე ქრისტეს სხეულის საზღვრებში. ყველაფერ დანარჩენში რამაკრიშნას ექსტაზი ემთხვევა ყველა სხვა „გამოცხადებას". მისი ამოსავალი ბიძგი თითქმის ყოველთვის არის ქანცგამოცლის, ჭმუნვის მდგომარეობა. სასონარკვეთა, რომელიც ამსხვრევს უწინდელ მე-ს, არის ახალი მე-სკენ გამავალი კარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ექსტაზში მყოფ ადამიანს დიდი ხილვა ხშირად მოევლინება ფოტიზმის (სინათლისმიერი მოვლენების) და ოკეანის მოქცევის სახით. მდიდარი დოკუმენტაციით აღსავსე წიგნში, „რელიგიური გამოცდილების მრავალგვარობა", უილიამ ჯეიმსს მოჰყავს პრეზიდენტ ფინეის ხილვის შესანიშნავი ეპიზოდი: „...ერთიმეორეს მიყოლებით მეჯახებოდნენ სიყვარულის ტალღები... ეს ზვირთები, სულ უფრო და უფრო აქოჩრილნი, თავპირზე მევლებოდნენ... მე ვყვიროდი: „თუ ასე გაგრძელდება, მოვკვდები!" ... შემდეგ ვთქვი: „უფალო, მეტი აღარ შემიძლია..." თუმცა სიკვდილის სულ არ მეშინოდა. ისეთი ბედნიერი ვიყავი, — სიცოცხლე აღარ შემეძლო..."

იხ., აგრეთვე, დიდი მისტიკოსი ქალის მონათხრობი, რომელიც მოისმინა და გადმოგვცა თ. ფლურნუამ.

10. იგი არ ინდობდა თვით თავის მფარველებს, რომელთა უღალატო მეგობრობა იცავდა მას ყველა თავდასხმისგან. ერთხელ, როდესაც ტაძრის შეძლებული დამაარსებელი, ღვთისმოსავი რანი რასმანი, უყურადღებოდ წარმოთქვამდა ლოცვას, რამაკრიშნამ ამოიკითხა მის თავში მორიალე ფრივოლური აზრები და ყველას თვალწინ გააწნა მას სილა. ამას მოჰყვა საყოველთაო აღშფოთება. მაგრამ თვით რასმანი წყობიდან არ გამოსულა და კეთილშობილურად დათანხმდა, რომ სამართლიანად დაისაჯა ღვთაებრივი დედისგან.

11. უფრო გვიან, ექვსი თვის განმავლობაში, ის არის კრიშნაში შეყვარებული გოპი (მერძევე ქალი).

12 . გარდასახვათა ეს პროცესი მეტად საინტერესოა. ვიდრე რამად გადაიქცეოდეს, ის იწყებს მოსამზადებელ მუშაობას: იქცევა იმ არსებებად, რომლებიც ემსახურებიან რამას. ის იწყებს ყველაზე თავმდაბლით, პანუმანით. შემდეგ (რათა, როგორც თვით ფიქრობს, დაასაჩუქროს იგი) მას ევლინება სიტა. ეს არის მისი პირველი სრული ხილვა, რომელსაც იგი ხედავს გახელილი თვალებით. ყოველი მისი შემდეგი ხილვა გაივლის განვითარების იმავე საფეხურებს: თავდაპირველად იგი ხედავს ფიგურებს გარეთ, ცხადში; შემდეგ ისინი გაუზავდებიან მასში; დაბოლოს, თვით იქცევა ყოველ მათგანად. აქ ჩვენ უშუალოდ ვადევნებთ თვალს შემოქმედებით აქტს, ხორცშესხმის მისმიერი, ყოვლად გენიალური უნარის ბუნებრივ მოძრაობას. იგი მეყსეულად ავიზუალურებს თავის აზრს და დაუყოვნებლივ ასხამს ხორცს ამ გზით მიღებულ ხილვებს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ იმყოფებით შექსპირის შემოქმედებით ლაბორატორიაში და კინოფირზე ხედავთ — როგორ იქმნება მისი სახეები.

13. სულაც არ ვმალავ, რომ მასალების გაცნობის ამ მომენტში მე წიგნი დავხურე და, შესაძლოა, დიდხანს აღარც გადამეშალა, რომ უკვე არ მცოდნოდა — მისი შემდგომი ცხოვრების ზოგიერთი სხივოსანი სიტყვისა თუ ქმედების წყალობით — სიბრძნის იმ მწვერვალების შესახებ, რომელსაც მან მიაღწია. ახლა, როდესაც ავლილი მაქვს მთელი აღმართი, მე მესმის და ვიღებ იმ სახიფათო გზებს, რომლითაც მე მან მატარა.

14. განდი, რომელმაც კარგად უწყოდა ბავშვთა ამ ქორწინების შესახებ — რადგან თვით იყო ერთი მათგანი — და რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებდა ამ ნაადრევი ექსპერიმენტების მწველ და სამარცხვინო ხსოვნას, განსაკუთრებით ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. თუმცა ის აღიარებს, რომ იშვიათ შემთხვევაში, რჩეულ, კეთილსინდისიერ და რელიგიურ ადამიანთათვის, ადრეულ ბავშვობაში მიცემულ ამ ორმხრივ აღთქმას მოაქვს წმინდა და კეთილისმყოფელი შედეგები. ის მათი ფიქრიდან განდევნის სხვა ცდუნებებს, მოზარდთა არაჯანსაღ ჩვევებს და ადამიანთა ასეთ კავშირს ანიჭებს წმინდა და-ძმობის ხასიათს. ცნობილია, რა ერთგულებით გაიყო განდის მძიმე გზა მასთან ბედით დაკავშირებულმა პატარა გოგონამ.

15. მისი ქალიშვილობის გვარი იყო მუქოპადიაია. შემდგომში ცნობილი გახდა სარადადევის სახელით.

16. მკვიდრ ინდოელებს აქვთ საუცხოო ჩვეულება: უწოდონ დედა ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს, თუნდაც ის მათზე საგრძნობლად უფრო ახალგაზრდა იყო.

17. როგორც თვით ირწმუნება – ექვსი თვის მანძილზე.

18. 1861 წელს კვდება მისი მფარველი, რანი რასმანი. საბედნიეროდ, რამაკრიშნას სიძე, მათურ ბაბუ, მისი ერთგული რჩება.

19. თხრობის ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მე იძულებული ვარ მოვიყვანო ორაზროვანი ცნებები: დასავლეთი და აღმოსავლეთი. მაგრამ ვისურვებდი, რომ მკითხველს ჩემსავით გაერჩია ერთმანეთისგან დასავლეთის რამდენიმე კატეგორია. რაც შეეხება აღმოსავლეთს, რომელიც დამკვიდრებული აზრით აღნიშნავს ახლო, სემიტურ აღმოსავლეთს, მაშინ, ჩემის აზრით, ის გაცილებით შორს არის ინდოეთისგან თავისი სულით, ვიდრე სლავური, გერმანული და ჩრდილოეთის დასავლეთია ხანდახან. თხრობის ამ ნაწილში, სიტყვაში „დასავლეთი" მე ვგულისხმობ ევროპისა და ამერიკის იმ დიდ არიულ ტომებს, რომლებიც თავის გადაადგილებაში დასავლეთისკენ მოწყდნენ საერთო ინდოევროპულ შტოს.

20. აზრადაც არა მაქვს უარვყო აბსოლუტის შეცნობის სხვა მეთოდების არსებობა ინდოელ მოაზროვნეებში. მაგრამ მათ უსახო ადვაიტაშიც კი იგრძნობა ინტუიციის ცეცხლოვანი კვალი. თუ სახეს და ფორმას მოკლებული არსება თავისუფალია ყოველივე მხედველობითისგან, მაშინ შეიძლება იმის მტკიცება, რომ შეუძლებელია მისი იდუმალი შეხებაც კი? განა მისი გამოვლენა ელვისებური შეხების ხასიათს არ ატარებს?

21. „ყოველივე ბრაჰმანია. ყველანაირი საგანი, უხეში თუ ნატიფი, ყველაფერი – მხოლოდ ეს ბრაჰმანია, ერთი და განუყოფელი..." (შასტრები).

22. ამ მონაკვეთს ვსესხულობ სარადანანდას მშვენიერი წინასიტყვაობიდან მისივე წიგნისათვის „შრი რამაკრიშნა".

23. – სხვა მრავალთა შორის, რომლებზეც მე მივუთითებ ამ წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც ეძღვნება ვივეკანანდას ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებას. იქ მე მნიშვნელოვან ადგილს დავუთმობ ინდოეთის მთავარ იოგურ მიმართულებებს.

24. Neti („არა ეს") – ასეა განსაზღვრული ბრაჰმანი უპანიშადებში. იხ. ქრისტიანულ მისტიკაში წმ.დიონისე არეოპაგელის „ტრაქტატი მისტიურ ღვთისმეტყველებაზე", თავი V (იმის შესახებ, რომ შეცნობადი საგნების უზენაესი შემოქმედი არ წარმოადგენს რაიმე იმგვარს, რაც მიიწვდომება გონებით), სადაც სწავლული ღვთისმეტყველი ერთ გვერდზე ახვავებს ყოველგვარ უარყოფას ღმერთის განსასაზღვრავად. ამ წიგნის მეორე ტომში მე დავუბრუნდები ინდური და ევროპული მისტიკის ამ პარალელურობას.

25. დანართში ამ წიგნის ბოლოს და მეორე ტომის მეორე ნაწილში, მოძღვრებებსა და მეთოდებზე ლაპარაკისას, ჩვენ შევეცდებით ინდური ტექსტებისა და, განსაკუთრებით, რამაკრიშნასა და ვივეკანანდას ტექსტების მიხედვით შევაჯამოთ იოგების მისტიური „რეალიზაციის" ფსიქოფიზიოლოგიური კანონები.

26. სანიასინი ნიშნავს „იმას, ვინც ყველაფერი უარყო; ვინც უკუაგდო ყველა ამქვეყნიური სურვილი" (მაქს მიულერის განმარტება); „იმას, ვისაც არ უყვარს და არ სძულს" (ბჰაგავატგიტას განმარტება). როგორც ამას მკითხველი დაინახავს, ქალბატონს, ვისზეც აქ ლაპარაკია, ჯერ არ მიულწევია ამ ღვთაებრივი განურჩევლობისთვის.

27. „ათას ერთი ღამის" მიამიტ ხიბლში გახვეულმა ამ შეხვედრამ უნ-დობლობა აღძრა ევროპელ ისტორიკოსებში, რომლებიც, მაქს მიულერის მსგავსად, მიდრეკილნი არიან დაინახონ ბჰაირავის მთელ ეპიზოდში მხოლოდ რამაკრიშნას ფსიქოლოგიური ევოლუციის სიმბოლო. მაგრამ ამ სულიერი ხელმძღვანელი ქალის პიროვნება რამაკრიშნასთან გატარებული ექვსი წლის მანძილზე იმდენად რელიეფურად ავლენს თავს (და არა ყოველთვის მის სასარგებლოდ), რომ შეიძლებელია ეჭვის შეტანა ქალის ამ სახეში მთელი მისი სისუსტეებითურთ.

28. ვაიშნავას კულტი, უპირატესად, სიყვარულის კულტი იყო. რამაკრიშნაც ვაიშნავიტების ოჯახს ეკუთვნოდა. როგორც ცნობილია, ვიშნუმ, უწინდელმა მზის ღმერთმა, ქვეყანაზე მეუფება დააფუძნა თავისი ორი ინკარნაციის, კრიშნასა და რამას, მეშვეობით. სწორედ ამ ღვთაებასთან დგას რამაკრიშნა ყველაზე ახლოს. ამაზე მიანიშნებს მისი სახელიც. თვით რამაკრიშნაც შემდგომში თაყვანცემული იქნა, როგორც ვიშნუს ახალი ინკარნაცია, – როგორც ავა-ტარა, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი.

29. აქ მე ისევ ვეყრდნობი სარადანანდას ტექსტებს. იხ. რუისბრუკი: De ornatu spiritalium nuptiarum. „გამოდით!" – ამას ღმერთი ამბობს... ის მიმართავს ბნელში მყოფ სულს, რომელიც ლღვება და იღვრება... უნდა დაინთქა წმინდა სიბნელეში, სადაც სიხარული ათავისუფლებს ადამიანს საკუთარი თავისა და ადამიანური ყოფიერებისადმი მორჩილებისგან. იქ, წყდიადის ფსკერზე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული აღაგზნებს ცეცხლს სიკვდილისას, მე ვხედავ სამარადისო სიცოცხლის აისს... ამ დიადი სიყვარულის ძალით ჩვენ გვენიჭება მადლი – მოვკვდეთ ჩვენსავე თავში და გავთავისუფლდეთ ჩვენივე დილეგიდან, გაშლილიყვნენ სუბსტანციის ოკეანეში და აგიზგიზებულ უკუნეთში..."

30. მაგრამ საკუთარი ბუნება მას შეაჩერებს გზის ბოლო მონაკვეთზე, – სწორედ იქ, სადაც უნდა დაემშვიდობონ პიროვნულ ღმერთსა და მისდამი ტრფიალს. არც მისი სულიერი დედა, ბჰაირავი, არ უბიძგებდა მას იქით. ორივე ინსტინქტურად იბრუნებდა პირს უსახო ხილვის – უკანასკნელი უფსკრულის – **უპიროვნოსგან.**

31. დღევანდელობის უდიდესმა ინდოელმა მოაზროვნემ, აურობინდო გჰოზმა, ააღორძინა ტანტრას გზა, რომლისადმი გამოჩენილი უნდობლობა გამოინვია ზოგიერთი მისი მეთოდის შეუფერებელმა დამახინჯებამ. მათი აღმოფხვრის შემდეგ, მან აღადგინა მისი თავდაპირველი საზრისი და აჩვენა მისი სიდიადე.

სხვა ვედურ სწავლებათაგან განსხვავებით, სადაც უფალი არის პურუშა (თვითცნობიერი სული), მიზანი კი – შემეცნება-ცოდნა, ტანტრის უფალი არის პრაკრიტი (ენერგია, ბუნების სული), მიზანი კი – ფლობის სისავსე. იმის ნაცვლად, რომ გაექცეს, ტანტრა ჭვრეტს და იპყრობს მას. ეს არის დიონისური საწყისი, აპოლონურის საპირისპიროდ. არცთუ უმნიშვნელოა იმის ცოდნა, რომ რამაკრიშნა იყო ინდოეთის ერთადერთი იოგა, რომელმაც შეაერთა თავის არსებაში ეს ორი ურთიერთშემავსებელი საწყისი.

32. ინდოელ იოგთა დაკვირვებით, მუდმივად შეინიშნება დიდი ექსტაზის ამგვარი ეფექტი, რომელსაც იწვევს სისხლის ხანგრძლივი მოწოლა. შემდეგ ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ რწმუნდება რამაკრიშნა მკერდის არეზე თვალის ერთი შევლებით, რომ ერთმა რელიგიურმა კაცმა, რომელსაც იგი ესტუმრა, კარგად გაიარა ღვთიური ცეცხლით გამოცდა.

33. აღსანიშნავია, რომ პოეზიისა და ხელოვნების ნიჭით დიდად მომადლულ რამაკრიშნას სრულებით არ იზიდავდა მათემატიკა (სულ სხვაა ვივეკანანდა, რომელსაც – არანაკლებ არტისტულს – უყვარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).

34. ადვაიტა („მეორის არმყოლი") არის ვედანტას ყველაზე მკაცრი და აბსტრაქტული ფორმა. იგი სათავეს იღებს უპანიშადებისგან და უფრო ადრეული ხანიდან. მისი უდიდესი წარმომადგენელი, შანკარა, რომელზეც შემდგომში ვისაუბრებ, ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. ადვაიტას ღერძია აბსოლუტური არადუალობა. სულერთია რა ჰქვია მას: ღმერთი, უსასრულობა, აბსოლუტი, ბრაჰმანი, ატმანი თუ სხვა, რადგან ამ რეალობას არ გააჩნია არც ერთი თვისება, რომელიც დაგვეხმარებოდა მის განსაზღვრაში. განსაზღვრის ყველა ცდაზე შანკარას (ისევე, როგორც დიონისე არეოპაგელს) აქვს ერთადერთი პასუხი: „არა, არა". ყველაფერი, რაც თითქოს არსებობს, ანუ ჩვენი გრძნობა-გონების სამყარო, არაფერია თუ არა ეს ერთადერთი აბსოლუტი, ოღონდ ყალბად გაგებული არცოდნის მიერ (ავიდია). ავიდიას გავლენით, რომლის ნათლად ახსნა შანკარასა და მის სკოლას საკმაოდ უჭირს, ბრაჰმანი იღებს სახელებსა და ფორმებს, რომლებიც სხვა არაფერია, გარდა არარსებობისა. ფანტომური მე-ების ამ ნაკადის ქვეშ არსებობს ერთადერთი რეალურად არსებული მე, პარამატმანი, ერთი. კეთილი საქმეები ვერ მიგვაღწევინებენ მას. ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც მათ ძალუძთ, ესაა ხელშემწყობი გარემოს შექმნა, სადაც შეიძლება დაიბადოს ცოდნა. მაგრამ მარტოოდენ შემეცნებას – და თან უშუალოს – ძალუძს სულის გათავისუფლება და ხსნა (მუქტი). ასე უპირისპირდება ბერძენთა „შეიცან თავი შენი!" დიდ ვედანტისტ ინდოელთა სიტყვას „დაინახე მე და გახდი მე!" „Tat twam asi" (შენ ხარ ეს").

35. მარად საყვარელი, კალი.

36. აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა იმ ქათმის ბრიყვულ თვითპიპნოზზე, მზის შუქზე აელვარებული ცარცის ხაზი რომ ახევებს (მე ხომ ვკითხულობ ჩემი დასავლელი მკითხველის უპატივისცემო აზრებს!). რამაკრიშნას მიერ აღწერილი სულის ოპერაცია წარმოადგენს ღრმა კონცენტრაციას, რომელიც კი არ გამორიცხავს, არამედ მოიცავს კრიტიკულ ანალიზსა და მის ბასრ დანას.

37. აი, როგორ რეალიზდება ექსტაზის ამ პროცესში სულის ის მოძრაობა, რომელზეც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, როცა მოვახდინეთ რამაკრიშნას სიტყვების ციტირება შივას სხეულზე მოცეკვავე კალის შესახებ: „კაცობრიობა უნდა მოკვდეს... და, თავის მხრივ, უნდა მოკვდეს ღვთაებაც...", ვიდრე სული მიაღწევდეს აბსოლუტს. აღსანიშნავია, რომ უფორმო ხილვის გამოსახატავად რამაკრიშნას ეგზომ პლასტიურ ინდურ წარმოსახვას ჭირდება სკულპტურული სახე.

38. მოგვიანებით, ჭაბუკთა წრეში რამაკრიშნა ჰყვებოდა თავის ზეაღსვლას. დ.გ. მუკერჯიმ, რომელმაც შეაგროვა ეს ნაამბობი უშუალოდ რამაკრიშნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ყველაზე ადრეული მოწაფისაგან, შეკუმშულად გადმოსცა–ისარ ქეა შვიდი „კოშკის", არამედ ექსტაზისა და მედიტაციის შვიდი ხეობის აღწერაში, რომელიც მან მიაკუთვნა რამაკრიშნას ბაგეს და მოათავსა თავის მშვენიერ წიგნში „სიჩუმის სახე", 1962 წ. სამწუხაროდ, მწერლის არაჩვეულებრივმა მონაცემებმა, მისმა ენთუზიასტურმა ნარმოსახვამ, შეათხზვევინა მას ეს ქმნილება რამაკრიშნას გამოთქმის სტილისა და მისი აზრთწყობისაგან გადახვევით. ავთენტური და შემონმებული ტრადიციის მკაცრად დამცველმა რამაკრიშნას მისიამ უსაყვედურა მუკერჯის მისი დაუდევრობა. არ ვაჩუმათებ ამ შენიშვნებს და მაინც საჭიროდ ვთვლი, გავაცნო ევროპელ მკითხველს ეს არაჩვეულებრივი ტექსტი, რომელიც აუცილებლად მოჰფენს მას მისტიური ინდური გასხივოსნების ათინათს. ამიტომაც იმსახურებს ის თავის ადგილს სულის მოგზაურობათა წმინდა წიგნში, რომლის გმირი ავტორები არიან ჩვენი დიდი დასავლელი კათოლიკე ვიზიონერები. დ.მუკერჯის ტექსტს იხილავთ ამ წიგნის ბოლოს, II დანართში.

39. სახელი სექტისა, რომლის წევრიც იყო ტოტაპური. „ნაგა" არის გველის სახელიც.

40. მუკერჯი.

41. მაპენდრა ნათ გუპტა.

42. რამდენიმე მოგზაურობის დროს, რაც შემდგომ წლებში განხორციელდა მათურ ბაბუსთან ერთად, ის ძალზე სწრაფად იღლება, სიარული უჭირს და ხელით სატარებელი ხდება.

43. მე ვამბობ – მოყოლებული ამ დროიდან, როცა მან, ბოლოს და ბოლოს, ერთ ცენტრში, ბრაჰმანში, შეკრა ფორმებისა და ბედისწერის ყველა ძაფ-გორგალი. მანამდე იგი თავს სათითაოდ აძლევდა ყოველ მათგანს.

44. ამ პორტრეტის ბოლო შტრიხები გადმოტანილია ჯერაც ცოცხალი შესანიშნავი თვითმხილველის, ნაპენდრანათ გუპტას მოგონებებიდან.

45. ჩვენი დროის აღზრდის ფსიქოლოგიას დააინტერესებდა ეს მეთოდები, რომლებიც აჩვევდნენ მედიტაციას ჯერ მოსახერხებელ სკამებზე, შემდეგ – უფრო და უფრო უხეშზე, ბოლოს კი შიშველ მიწაზე. პარალელურად და თანდათანობით კლებულობდა სამოსელი და საჭმელი – სრულ განძარცვამდე და უპოვრობამდე. ზიარების ამ საფეხურის შემდეგ მოწაფეები იგზავნებოდნენ ქვეყანაზე სახეტიალოდ, ჯერ ამხანაგებთან ერთად, შემდეგ სულ მარტო, ვიდრე არ გაქრებოდა გარეგან სამყაროზე მიმბმელი უკანასკნელი კავშირები.

46. შაკტი აქ გაგებულია როგორც ღვთაებრივი ძალის ემანაცია, ბრაჰმანის ნათება.

47. ტოტაპური ბენგალიიდან წავიდა 1865 წლის ბოლოს. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ მან მისცა კუდირამას შვილს სადღეისოდ ცნობილი სახელი, რამაკრიშნა, როდესაც იგი სანიასასთან აზიარა.

48. პრაკრიტი არის „ენერგია, ბუნების სული, სამყაროსეული ქმნადობის მნებავი ძალა" (აურობინდო გაპოზის განსაზღვრება, რომელიც პრაკრიტს უპირისპირებს „მდუმარე და უმოქმედო პურუშას").

49. შეადარეთ ეს ტექსტი მეორე, ძირითად ტექსტს, უფრო ნაკლებად ცნობილს და კიდევ უფრო განსაცვიფრებელს, რომელიც გვიჩვენებს თუ რა უნდა ვიფიქროთ კალის რამაკრიშნასეულ მგზნებარე კულტზე და ერთიანობის ღრმა განცდაზე, რაც შეინიშნება აშკარა კერპთაყვანისმცემლობის საბურველს მიღმა: „კალი სხვა არავინაა, თუ არა ის, ვისაც თქვენ ბრაჰმანს უწოდებთ. კალი – პირველსაწყისი ენერგიაა (შაკტი). უმოქმედოში მყოფს, ჩვენ მას ბრაჰმანს ვუწოდებთ. მაგრამ, როდესაც ის ასრულებს შემოქმედ, შემნახველ, დამანგრეველ ფუნქციას, მაშინ ჩენ ვუწოდებთ მას შაკტის ანუ კალის. იმას, რასაც თქვენ ბრაჰმანს უწოდებთ, მე ვარქმევ კალის. ბრაჰმანი და კალი არ განირჩევიან ერთმანეთისგან, როგორც ცეცხლი არ განირჩევა მისი წვისგან. როცა ვფიქრობ ერთზი. გარდაუვლად ვფიქრობ მეორეზეც. მიიღო კალი ნიშნავს მიიღო ბრაჰმანი, ბრაჰმანის მიღება კი ნიშნავს კალის მიღებასაც. ბრაჰმანი და მისი ძალა იდენტურია. ეს არის ის, რასაც მე ვუწოდებ შაკტის, ანუ კალის" (რამაკრიშნას საუბრები ნარენთან და მაპენდრა ნათ გუპტასთან შანკარასა და რამანუჯის თეორიების შესახებ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილოსოფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან გოტლიბ ფიხტე

ადამიანის ღირსების შესახებ

დასკვნა საკუთარი ფილოსოფიური ლექციებისთვის 1794 წ.

ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვაში ერთად გატარებული ბედნიერი საათების სამახსოვროდ, თავის მფარველებს და მეგობრებს უძღვნის ავტორი ამ გვერდებს, არა როგორც გამოკვლევას, არამედ როგორც იმ წარმტაცი გრძნობის გამოხატვას, რომელიც მას კვლევის შემდეგ დაეუფლა.

ჩვენ მთლიანად გადავზომეთ ადამიანური გონი; ჩვენ მოვამზადეთ საფუძველი, რომელზედაც შეიძლება დაშენდეს მეცნიერული სისტემა, როგორც ადამიანის საწყისისეული სისტემების სწორი გადმოცემა. ლექციის ბოლოს ჩვენ მოკლედ გადავხედავთ მას, როგორც მთელს.

ფილოსოფია გვასწავლის ყველაფრის **მე**-ში ძებნას. პირველად **მე**-დან მოდის წესრიგი და ჰარმონია მკვდარ და უფორმო მასაში. მხოლოდ ადამიანიდან, მის გარშემო და მისი დაკვირვების საზღვრამდე ვრცელდება **წესრიგი**, და რამდენადაც ადამიანი წინ წაინევს, იმდენადვე გავრცელდება წესრიგი და ჰარმონია. ადამიანის დაკვირვება მიუჩენს უსასრულო განსხვავებულებს – ყველას – საკუთარ ადგილს ისე, რომ არც ერთი სხვას არ ავიწროვებს. მისით ერთიანდებიან ციური სხეულები და ქმნიან მხოლოდ **ერთ** ორგანიზებულ სხეულს. მისით ბრუნავენ მზენი მის მიერ მიჩენილ გზაზე. მისგანვეა უზარმაზარი საფეხურები უმდაბლესიდან უმაღლესამდე. მასშია გონის სამყაროს მთელი სისტემა, და ადამიანი სამართლიანად ელოდება, რომ კანონი, რომელიც მან თავის თავს და **მას** მისცა, მისთვისაც დაიწყებს მნიშვნელობას. სამართლიანად ელოდება, რომ ოდესმე ამ კანონს საყოველთაოდ აღიარებენ. **მე**-ში დევს გარანტია, რომ მისგან წესრიგი და ჰარმონია უსასრულოდ გავრცელდება იქაც, სადაც ჯერ მსგავსი არაფერია, რომ ადამიანის კულტურასთან ერთად მთლიანად სამყაროს კულტურაც წაიწევს წინ. ყველაფერი, რაც ახლა უფორმო და უწესრიგოა, მშვენიერ წესრიგად განლაგდება ადამიანის მიერ, და რაც ახლა უკვე ჰარმონიულია – ჯერ კიდევ გამოუყვანელი კანონების მიხედვით – სულ უფრო და უფრო ჰარმონიული გახდება. ადამიანს შეაქვს წესრიგი ქაოსში და გეგმა – საყოველთაო ნგრევაში. მისი საშუალებით წყდება ხრწნა, და სიკვდილი ახალ, დიდებულ ცხოვრებად იქცევა.

ეს არის ადამიანი, როდესაც მას მხოლოდ დამკვირვებელ გონებად განვიხილავთ, და რა იქნება ის, როდესაც ჩვენ მას გავიაზრებთ, როგორც პრაქტიკულ, მოქმედ უნარს!

მას არა მხოლოდ აუცილებელი წესი შეაქვს ნივთებში; ის ამყოფებს მათ აგრეთვე იმადაც, რასაც თვითნებურად ირჩევს: სადაც კი ის ფეხს შედგამს, იღვიძებს ბუნება, რომელსაც ის აკვირდება; ბუნება ემზადება, რომ მისგან ახალი მშვენიერი ქმნილება მიიღოს. მისი სხეულიც კი გაგონიერებულია იმდენად, რამდენადაც შეიძლება მისი გარემომცველი მატერიისგან გაფორმდეს. მის ატმოსფეროში კლიმატი უკეთესდება, ჰაერი ნაზდება, და ბუნება ადამიანის საცხოვრებელ ადგილად, ცოცხალი არსების მზრუნველად გადაქცევის მოლოდინში მხიარულობს. ადამიანი უბრძანებს ნედლ მატერიას, მისი საკუთარი იდეალის მიხედვით მოწესრიგდეს, და მას მისცეს ისეთი მასალა, როგორიც სჭირდება. ადამიანი მიისწრაფვის მასაზრდოებელ ვაზად, მაცოცხლებელ ყურძნად და გამაგრილებელ ნაყოფად გადააქციოს ის, რაც ადრე სიცივე და სიკვდილი იყო; მის გარშემო შინაურდებიან მხეცები, მათი შეშინებული თვალებიდან ქრება ველურობა, და მბრძანებლის ხელიდან

უფრო ჯანსაღ საკვებს იღებენ, რაც მათ ნებაყოფლობითი მორჩილებისთვის მიეცემათ.

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანის გარშემო სულებიც კეთილშობილდებიან. რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო ღრმად და ფართოდ განიცდიან მის გავლენას. და რაც ადამიანურობის ნამდვილ ნიშანს ატარებს, კაცობრიობისათვის არასოდეს არ დარჩება აუღიარებელი. ჰუმანურობის ყოველი ნამდვილი გამოვლენა ყოველი ადამიანის გულსა და გონებაში მოექცევა. უმაღლესი ადამიანების გარშემო იქმნება წრე, რომელშიც ცენტრთან უფრო ახლოსაა ის, ვისაც მეტი ჰუმანურობა ახასიათებს. მათი გონნი გაერთიანებისკენ მიისწრაფვიან, და იბრძვიან, რომ ყველა სხეულში ერთი გონი შეიქმნას. ყველანი არიან ერთი განსჯა და ერთი ნება, და არსებობენ, როგორც თანამშრომლები კაცობრიობის დიადი, ერთადერთი შესაძლებელი გეგმის შესრულებაში. უმაღლეს ადამიანს ძალით აყავს თავისი ეპოქა უფრო მაღალ საფეხურზე. ის უკან იხედება და უკვირს იმ ნაპრალის სიდიდე, რომელსაც გადაახტა. იგი თავისი გოლიათური ხელით გამოგლეჯს კაცობრიობის წელიწდეულს ყველაფერს, რასაც კი შეუძლია მიწვდეს.

უნდა დაინგრეს შეკონიწებული ქოხი, რომელშიც ის ცხოვრობს! იგი თავისი არსებით სავსებით დამოუკიდებელია ყველაფრისგან, რაც მის გარეთაა, და არის მთლიანად თავის თავში. ის უკვე ამ ქოხში შეიგრძნობს ამ ექსისტენცს, როცა თავისი ამაღლების წამს დრო და სივრცე, და ყველაფერი ის, რაც ის თავად არ არის, მისთვის ქრება; როდესაც მისი გონი მის სხეულს შორდება, და შემდეგ კვლავ, ნებაყოფლობით, მიზნის ძიებაში, რომელსაც ჯერ კიდევ ამ სხეულით უნდა მიაღწიოს, კვლავ უკან ბრუნდება – როდესაც შემორჩენილი მტვრის ორიოდე ნაწილაკს, რომლებიც მასშია, იცილებს, ის მაინც რჩება ყოფნად, და ის რჩება ყოფნად, რადგანაც მას ეს **უნდა**. იგი მარადიულია საკუთარი თავის და საკუთარი ძალის მეშვეობით.

აჰა, შეფერხდა მათი გეგმები! ამას შეუძლია მათი გაჩერება. მაგრამ განა რა არის ათასეული და კვლავ ათასეული წლები კაცობრიობის წელიწდეულში? – ის, რაც მსუბუქი წაძინებაა გამოღვიძებისას. ის გრძელობს და კვლავ **მოქმედებს**, და ის, რაც გაქრობა გვგონია – არის მხოლოდ მისი სფეროს გაფართოება: რაც თქვენ სიკვდილად გეჩვენებათ, არის მისი მომწიფება უმაღლესი ცხოვრებისათვის. მათი გეგმების **ფერები** და **გარეგნული ფორმები** შეიძლება გაჰქრნენ, მაგრამ გეგმა იგივე რჩება. და მისი არსებობის ყოველ მომენტში ის გამოგლეჯს რაღაც ახალს გარედან, რომ თავის წრეში შეიტანოს, და განაგრძობს მოპოვებას, სანამ ყველაფერს არ შეიწოვს: სანამ მთლიანად მატერია მისი ზემოქმედების ბეჭედს არ დაიჩნევს, და ყველა გონისმიერი მის გონთან ერთად ერთ გონს არ შექმნის.

ეს არის ადამიანი; არის ყოველი, ვისაც შეუძლია თქვას: **მე ვარ ადამიანი**. განა არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი თავისადმი მოწიწება, და განა არ უნდა იყოს ავსილი მონა, და არ უნდა ცახცახებდეს და ამაღლდეს იგი საკუთარი დიდებულების წინაშე? – ასეთია ყველა, ვისაც შეუძლია მითხრას: მე ვარ! – სადაც არ უნდა ცხოვრობდე, შენ, შენ, რომელიც მხოლოდ ადამიანის სახეს ატარებ, თუნდაც ისე ახლოს იდგე ცხოველთან, რომ პატრონის ჯოხის შიშით შაქრის ლერწამს რგავდე, ან თუნდა ცეცხლოვან მიწაზე, შენ რომ არ დაგინთია, იმ ცეცხლით თბებოდე მის ჩანაცრებამდე, და მწარედ ტიროდე, როდესაც ის თავისით აღარ ინთება; ანდა თუნდაც უსასტიკეს და უსაძაგლეს ბოროტებად წარმომიდგებოდე, შენ ხარ მაინც ის, რაც მე ვარ. რადგანაც შენ შეგიძლია, მე მითხრა: მე ვარ. ამიტომ ხარ ჩემი მეგობარი და ძმა. ო, მე უდავოდ ვიდექი კაცობრიობის სწორედ იმ საფეხურზე, რომელზედაც შენ ახლა დგეხარ, და ეს არის სწორედ მისი ერთი საფეხური, და ამ კიბეზე ნახტომი შეუძლებელია. შესაძლოა, იგი ნათელი ცნობიერების გარეშეა, შესაძლოა იგი ისე ჩქარა გავიარე, რომ დრო არ მქონდა, ჩემი მდგომარეობა გამეცნობიერებინა. მაგრამ მე ერთხელ ნამდვილად ვიდექი, და შენც ერთხელ უეჭველად დადგები იმ საფეხურზე, თუნდაც ამას მილიონი და მილიონჯერ მილიონი წელი დასჭირდეს, – განა რა არის დრო? – შენ უეჭველად დადგები იმ საფეხურზე, რომელზედაც მე ვდგევარ ახლა: მე შენზე, ხოლო შენ ჩემზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოქმედებას შევძლებთ. ერთხელაც შენც ჩაებმები ჩემს წრეში, ხოლო მე შენსაში. შენც გაღიარებ ჩემი დიდი გეგმების თანამშრომლად. ეს ვარ მე, ვისთვისაც მე **მე** ვარ, ყოველი, რომელიც, მე არის. განა მე არ უნდა ვკანკალებდე ადამიანის ხატის დიდებულების წინაშე, და იმ ღვთაებრიობის წინაშეც, რომელიც ალბათ, ცხოვრებისეულ სიბნელეში – მაგრამ ის ხომ მხოლოდ ტაძარშია, რომელიც მის ანაბეჭდს ატარებს – ცხოვრობს?

მიწა და ზეცა, დრო და სივრცე, გრძნობადობის ყველა ზღვარი ქრება როდესაც ასე ვაზროვნებ. განა არ უნდა გაჰქრეს ჩემთვის ინდივიდი? მე თქვენ იმავესთან არ გაბრუნებთ.

ყველა ინდივიდი წმინდა გონის ერთ დიდ ერთიანობაშია ჩართული*. დაე, ეს იყოს ბოლო სიტყვა, რითაც მე მსურს, დაგამახსოვრდეთ და რითაც მსურს, დამამახსოვრდეს საკუთარი თავი.

* თუკი ამ მცირე აზრთა მდინარებას მთლიანობაში განიხილავენ, ჩემი სისტემის ცოდნის გარეშეც შეუძლებელია ამ აზრის სპინოზისეულთან დაკავშირება. წმინდა გონის ერთიანობა ჩემთვის **მიუღწეველი იდეალია,** საბოლოო მიზანი, რომელიც არასდროს განამდვილდება.

გერმანულიდან თარგმნა **გიგი თევზაძემ**

ნიგნიდან Fichtes Werke, Band I, Walter de Gruwter & co, Berlin, 1971

მარტინ ბუბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონი და ესაია

პლატონი 70 წლის იქნებოდა, როცა მისი მოწაფისა და მეგობრის, სირაკუზის მთავრის დიონის მკვლელობამ ჩაუშალა რესპუბლიკის დაარსების ცდა, ფილოსოფოსის შეხედულებათა მიხედვით. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა პლატონი სიცილიელ მეგობრებს განთქმულ წერილებს სწერდა, სადაც გადმოსცემდა თავისი ცხოვრების ოცნებას – შეეცვალა სახელმწიფო წყობილება (რომელიც მისთვის სახელმწიფოს წყობას მოიცავდა), მცდელობებს ამ მიზნის განსახორციელებლად და მარცხს ამ მცდე-ლობებში; ის სწერდა მათ, რომ დაკვირვებამ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის სავალალო მდგომარეობაზე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ადამიანები ვერ გათავისუფლდებიან ამ ბოროტებისგან, სანამ ორთაგან ერთი არ მოხდება: ან ჭეშმარიტმა ფილოსოფოსებმა უნდა იტვირთონ ხელისუფალთა ფუნქციები, ან თავად ხელისუფლებმა უნდა იცხოვრონ და იმოქმედონ ფილოსოფოსთა მოძღვრების თანახმად. პლატონმა ეს თეზისი ოდნავ განსხვავებულად ჩამოაყალიბა ოციოდე წლით ადრე, „სახელმწიფოს" ერთ-ერთ ცენტრალურ თავში. ცენტრალური ადგილი, რომელიც მან ამ პასაჟს მიანიჭა, იმაზე მიუთითებს, რომ საბოლოოდ მას სწამდა, – პიროვნებებს, განსაკუთრებით კი, წინამძღოლებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე რომელიმე დაწესებულებას, რომლის თაობაზეც წიგნშია საუბარი. პლატონის მიხედვით, ორი გზა არსებობს იმისთვის, რომ პიროვნებამ წინამძღოლობის უფლება მოიპოვოს: ან თავად ფილოსოფოსი უნდა დადგეს ხელისუფლების სათავეში, ან მან უნდა აღზარდოს ისეთი ხელისუფალნი, ვინც თავიანთ ცხოვრებას ფილოსოფოსთა ყაიდაზე წარმართავენ.

კანტი თავის ღირსშესანიშნავ ტრაქტატში "Zum ewigen Frieden" („მარადიული მშვიდობისათვის") სახელის მოუხსენიებლივ დაუპირისპირდა პლატონის ამ თეზისს. ის წერდა: „რაკი მართვა-გამგეობა გარდაუვალად ანადგურებს გონების თავისუფალ განსჯას, არ არის მოსალოდნელი და არც სასურველი, რომ მეფემ იფილოსოფოსოს და ფილოსოფოსმა იმეფოს, მაგრამ ერთი რამ კი აუცილებელია როგორც ფილოსოფოსთა, ისე მეფეთათვის: რაკი უზენაესი ძალაუფლების ქონა გარდაუვალად რყვნის გონების თავისუფალ განსჯას, მეფეებმა არ უნდა უგულებელყონ ან არ უნდა ჩააჩუმონ ფილოსოფოსები, არამედ მისცენ მათ აზრის საჯაროდ გამოთქმის საშუალება". კანტი ადრე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს იმას კი არ ნიშნავს, სახელმწიფომ თავისი ძალაუფლების საფუძვლად იურისტის დებულებებს ფილოსოფოსის პრინციპები ამჯობინოს, არამედ – მხოლოდ იმას, რომ მოუსმინონ ფილოსოფოსს. აზრის ამგვარი მიმართუ-ლება არის ცხადი ნიშანი არა მხოლოდ თავად სულის (Geist) უარყოფისა, არამედ მისადმი იმედგაცრუებისა, რადგან კანტი იძულებული იყო, ხელი აეღო იმ რწმენაზე, რომ სულს შეუძლია, ძალაუფლების მიღწევის შემდეგ წმიდად შეინახოს თავი. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ კანტის იმედგაცრუება მოტივირებული იყო მისი ცოდნით ეკლესიის ისტორიისა, რომელიც პლატონსა და კანტს შორის ორი ათასზე

მეტი წლის მანძილზე, ნამდვილი ძალაუფლების სულის ისტორია აღმოჩნდა.

პლატონს სჯეროდა სულისაც და ძალაუფლებისაც, მას აგრეთვე სჯეროდა, რომ სული მოწოდებულია ძალაუფლების მოსაპოვებლად. ძალაუფლება, რომელსაც ის ხედავდა, დაცემული იყო, მაგრამ ფიქრობდა, რომ ის აღორძინდებოდა და სულით განიწმიდებოდა. ახალგაზრდა პლატონის ეპოქალური და მძიმე შეხვედრა „ისტორიასთან" მაშინ მოხდა, როცა ათენის ქალაქ-სახელმწიფომ შეაჩვენა და დასაჯა მისი მოძღვარი სოკრატე, რადგან ის არ დაემორჩილა ძალაუფლების ავტორიტეტს და დაემორჩილა მოწოდებას. და მაინც ყველა მათ შორის, ვისაც კი საქმე ჰქონია სახელმწიფოსთან, ერთადერთმა სოკრატემ იცოდა, როგორ უნდა აღზრდილიყო ყმაწვილი, რომ ჭეშმარიტი ცხოვრებით ეცხოვრა საზოგადოების სასიკეთოდ. ჰადესში მყოფ ტირეზიას მსგავსად, ის იყო ერთადერთი სულიერად ცოცხალი მოფარფატე აჩრდილთა შორის. პლატონს თავისი თავი სოკრატეს მემკვიდრედ და შემცვლელად მიაჩნდა და თავად იცოდა, რომ საკრალური კანონის გასაახლებლად და სამართლიანი, კანონის ერთგული სახელმწიფოს დასაფუძნებლად იყო მოწოდებული. ისიც იცოდა, რომ ამ მიზეზით მას ძალაუფლების უფლება ჰქონდა; მაგრამ რაკი სული მზად არის ღვთის ან კაცის ხელიდან ძალაუფლების მისაღებად, იგი არ მოინდომებს მის მიტაცებას. „სახელმწიფოში" სოკრატეს ეკითხებიან, თუ აქვს საერთოდ ფილოსოფოსს, როგორსაც სოკრატე აღწერს, სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვის უნარი. ამ კითხვაზე სოკრატე პასუხობს, რომ ფილოსოფოსი თავის სახელმწიფოში ნამდვილად დაინტერესდებოდა ასეთი საქმეებით, მაგრამ სახელმწიფო, რომელიც მან ჩაიფიქრა და მისი შესაფერისია, სხვანაირი იქნებოდა, ვიდრე მისი სამშობლო ქვეყანაა, „რაღაც ღვთიური ჩარევა რომ არ მომხდარიყო". მაგრამ ამ პასაჟის წინ ის ლაპარაკობს კაცზე, რომელიც სულით არის კურთხეული და მაინც გამძვინვარებული ბრბოს პირისპირ დგას, მათ პირისპირ დგას მხარდამჭერის გარეშე, ვინც დაეხმარებოდა მას სამართლის დაცვაში, და თავს ისე გრძნობს, თითქოს მხეცებით იყოს გარშემორტყმული. ასეთი კაცი, განაგრძობს სოკრატე, ამიერიდან ხმას აღარ [illegible] მხოლოდ თავის საკუთარ [illegible] იზრუნებს, მაყურებელი გახდება და ისე იცხოვრებს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ცუდს არაფერს ჩაიდენს, მაგრამ, როცა მსმენელებმა სოკრატეს შენიშნეს, ასეთ კაცს ხომ დასრულებული ექნება თავისი დიდი საქმე სიკვდილის დღისთვისო, სოკრატემ მიუგო: „მაგრამ არა უდიდესი, რაკი მან ვერ დააარსა თავისი შესაფერი სახელმწიფო". ეს არის პლატონის რეზინიაციის არსი. მას იწვევდნენ სირაკუზაში და ისიც მიდიოდა დროდადრო, თუმცა იქ ერთ იმედგაცრუებას მეორე მოსდევდა. ის იმიტომ მიდიოდა, რომ მოწოდებული იყო, და კიდევ იმიტომ, რადგან სჯეროდა, მუდამ რჩება იმის შესაძლებლობა, რომ ღვთიური ხმა ადამიანის ხმით დაილაპარაკებს. დიონის სიტყვების თანახმად, მაშინ, ვიდრე ოდესმე, იყო შესაძლებლობა, ეცადა, რომ ფილოსოფოსთა და დიდი სახელმწიფოების განმგებელთა შეკავშირების ოცნება ახდებოდა. პლატონმა გადაწყვიტა, „ცდილიყო". იგი გვამცნობს, რომ მას რცხვენოდა სირაკუზაში წაუსვლელობისა, რადგან არ უნდოდა ლიტონ „სიტყვებად" გამოჩენილიყო საკუთარ თვალში. „გამოვლენა" – ეს სიტყვა გამოიყენა მან ერთხელ დიონისადმი მიმართვაში: ჩვენ უნდა გამოვავლინოთ თავი იმით, რომ ნამდვილად ვიყოთ ის, რასაც სიტყვებით ვაღიარებთ. მან თქვა: „უნდა გამოვავლინოთ" და არა „იქნებ გამოგვევლინებინა". ის წავიდა და ხელი მოეცარა. შინ დაბრუნდა, ერთხელ კიდევ წავიდა და ისევ მოეცარა ხელი. როცა მესამე ხელმოცარვის შემდეგ დაბრუნდა, სამოცდაათ წელს იყო მიღწეული. მაშინღა მოვიდა ხელისუფლების სათავეში ის ადამიანი, რომელიც პლატონის აღზრდილი იყო. მაგრამ ვიდრე ხალხის ამბოხების ჩახშობას შეძლებდა, ის მოკვდა იმის ხელით, ვინც მასთან ერთად სწავლობდა პლატონის აკადემიაში.

პლატონს სწამდა, რომ კაცობრიობას შეუძლია თავის სნეულებათაგან განკურნება, თუკი ფილოსოფოსები, „რომელთაც ჩვენ უსარგებლო ხალხს ვუწოდებთ", მეფეები გახდებიან, ან მეფეები გაფილოსოფოსდებიან. თავად ჯერ პირველის, მერე კი მეორის იმედი ჰქონდა. სჯეროდა, რომ ეს „ღვთიური ჩარევის" შედეგად მოხდებოდა. მაგრამ ის არ აღზევებულა ბასილევსად საბერძნეთში და მთავარსაც,

რომელიც მან ფილოსოფოსად აღზარდა, არ მოუწესრიგებია ქაოსი სიცილიაში. შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობა, რომელიც ტიმოლეონ კორინთელმა დაამყარა სიცილიაში ამ მთავრის სიკვდილის შემდეგ, პლატონის სულის შეხებით იქნა მიღწეული; ხოლო ალექსანდრეს, რომელმაც მოგვიანებით თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელი ელადა გააერთიანა, ნამდვილად არ უსწავლია ფილოსოფია, თავისდა საზიანოდ, პლატონის უსახელგანთქმულეს მოწაფისგან, მაგრამ არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში პლატონის სახელმწიფოს იდეალი არ განხორციელებულა. პლატონს არ აღუდგენია ათენის დამხობილი დემოკრატია და არ დაუარსებია თეორიულად ჩამოყალიბებული რესპუბლიკა.

მაგრამ თუ მოწმობს ეს დიდებული ხელმოცარვა იმას, რომ სული მუდამ უმწეოა ისტორიის წინაშე?

პლატონი არის ყველაზე მაღალი ინსტანცია იმ სულისა, რომელიც რეალობასთან თავის ურთიერთობაში ამოდის საკუთარი თავის მიერ ჭეშმარიტების ფლობიდან. პლატონის მიხედვით, სრულყოფილი სული ის არის, რომელსაც ახსოვს სრულყოფილების ხილვა. ამ ქვეყნად ცხოვრებამდე სულს ნახილვები აქვს სიკეთის იდეა. იდეათა სამყაროში მან იხილა სამართალი თავისი წმიდა სახით და ახლა, სულიერ ზრდასთან ერთად, მას სურს გაიხსენოს, რაც წარსულში იხილა. ადამიანი არ კმაყოფილდება ამ იდეის ცოდნით და ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემით. მას სურს, სიცოცხლის სუნთქვა შთაბეროს სამართლის იდეას და დაამკვიდროს იგი კაცობრიულ სამყაროში სამართლიანი სახელმწიფოს ცოცხალი ფორმის სახით. სული ფლობს ჭეშმარიტებას; ის სთავაზობს ჭეშმარიტებას რეალობას: ჭეშმარიტება სულის წყალობით იქცევა რეალობად. ეს არის პლატონის მოძღვრების თავი და თავი. მაგრამ ეს მოძღვრება არ განხორციელებულა. სულმა ვერ მოახერხა რეალობისთვის იმ ჭეშმარიტების მინიჭება, რომელიც მას სურდა მიენიჭებინა. ნუთუ მხოლოდ რეალობას ედება ამაში ბრალი: განა თავად სულის ბრალიც არ არის: განა ჭეშმარიტებასთან თავად მისი ურთიერთობის ბრალი არ არის: აი, კითხვები, რომლებიც აუცილებლობით წამოიჭრებიან ჩვენს წინაშე პლატონის ხელმოცარვასთან დაკავშირებით.

მაგრამ სულს შეიძლება ხელი მოეცაროს სრულიად განსხვავებულ გზაზე. „მეფე ყუზიას სიკვდილის წელს" (ესაია, 6,1) ესაიას ჰქონდა ხილვა ზეციური ტაძრისა, სადაც უფალმა იგი წინასწარმეტყველად აირჩია. მთელი ეს ეპიზოდი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მეფე ყუზია ჯერ კიდევ ცოცხალია. მეფე კარგა ხანია კეთრისგან იტანჯებოდა. ცნობილია, რომ ბიბლიურ ხანაში კეთრი სხვა სენთა შორის უბრალო სნეულებად კი არა, ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის დარღვევის სიმპტომად ითვლებოდა. ხმა გავარდა, რომ მეფე კეთრით იმ მიზეზით დასნეულდა, რომ გაბედა იერუსალიმის ტაძარში საკრალური ფუნქციების შესრულება, რაც აღემატებოდა მის, როგორც ღვთის უბრალო პოლიტიკური ნაცვლის, უფლებებს. უფრო მეტიც, ესაია გრძნობდა, რომ ყუზიას კეთრი უფრო მეტი იყო, ვიდრე პირადი სენი, რომ იგი სიმბოლურად გამოხატავდა მთელი ერის უწმიდურებას და თავად ესაიას საკუთარ უწმიდურებასაც. მათ ყველას „უწმიდური ბაგეები" აქვთ (ესაია, 6,5). კეთროვანთა მსგავსად ისინი უნდა იფარავდნენ „თავიანთ ზედა ბაგეს" (ლევ. 13,45), რათა სუნთქვას ან სიტყვას მათი უწმიდურება არ გამოჰყვეს და არ წაბილწოს ქვეყანა. ყოველი მათგანი ურჩი და ორგულია ჭეშმარიტი მეფის მიმართ, მეფისა, რომლის დიდებას ახლა ესაიას თვალები ჭვრეტენ მის ზეციურ საწმიდარში. აქ ღმერთს ჰამელეხ (მეფე) ეწოდება და ეს არის პირველი შემთხვევა წმიდა წერილში, როცა უფალი ასე შიშვლად, ასე აშკარად იწოდება ისრაელის მეფედ. ის არის მეფე. კეთროვანი კი, რომელსაც ხალხი „მეფეს" უწოდებს, მხოლოდ მისი ურწმუნო ნაცვალია. და ახლა ჭეშმარიტი მეფე ესაიას მიავლენს მისიონით მთელ ხალხთან და იმასაც უცხადებს, რომ მისი მისიონი მარცხიანი იქნება, რომ მას ხელი მოეცარება, რადგან მისიონს ცუდად გაიგებენ, ცუდად განმარტავენ და ცუდად გამოიყენებენ, და ამგვარად განამტკიცებს ხალხს – მცირე „ნარჩომის" გამოკლებით – თავის ურწმუნოებაში და გულებს გაუქვავებს. თავისი გზის სათავეშივე ესაიას, სულის მატარებელს, ემცნო, რომ ხელი მოეცარებოდა. მას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუცდია იმედგაცრუება პლატონის მსგავსად, რადგან მის შემთხვევაში ხელმოცარვა განუყრელი ნაწილი იყო იმ გზისა, რომელსაც უნდა დადგომოდა.

ესაია არ გაიზიარებდა პლატონის რწმენას, რომ სული ადამიანის საკუთრებაა. სულის კაცი – ასეთი იყო უხსოვარი დროის ტრადიცია – არის ის, რომელშიც შეიჭრება სული და დაეუფლება; ის, ვისაც სული სამოსელივით იყენებს და არა ის, ვინც ისახლებს სულს. სული ხდომილებაა. ის ისეთი რამ არის, რაც ადამიანს ემართება. სულის ქარიშხალი წარიტაცებს კაცს, საითაც მოესურვება, მერე კი მთელ ქვეყანას მოედება.

ესაია პლატონის არც იმ რწმენას გაიზიარებდა, რომ ძალაუფლება ადამიანის საკუთრებაა. ძალაუფლება ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, შეასრულოს თავისი მოვალეობანი როგორც ღვთის ნაცვალმა. თუ ის ბოროტად გამოიყენებს ამ ძალაუფლებას, იგი გაანადგურებს მას და სულის ნაცვლად, რომელიც მასზეა გადმოსული, რათა გაამზადოს იგი ძალაუფლების აღსასრულებლად (მეფ. 16,14), „ბოროტი სული" გადმოვა მასზე. ძალაუფლებამოსილი კაცი პასუხისმგებელია იმის წინაშე, ვინც დუმილში ეკითხება მას და ვის წინაშეც პასუხისმგებელია, ან ყველაფერი დამთავრებულია მისთვის.

ესაიას არ სჯერა, რომ სულიერ კაცს ძალაუფლების მოწოდება აქვს. ის იცნობს თავს სულის კაცად ძალაუფლების გარეშე. წინასწარმეტყველად ყოფნა უძალაუფლებოდ ყოფნას ნიშნავს, უძალაუფლებო კი ძალაუფლებამოსილს უპირისპირდება და პასუხისმგებლობას შეახსენებს მას, როგორც ესაია შეახსენებს მეფე ახაზს „მრეცხავთა მინდვრის გზაზე" (ესაია, 8,3). უძალაუფლებოდ დგომა იმ ძალაუფლების წინაშე, რომელსაც ის მოუწოდებს პასუხსაგებად, წინასწარმეტყველის ხვედრის ნაწილია. თავად იგი არ მიილტვის ძალაუფლებისაკენ და მისი მოვალეობის განსაკუთრებული სოციოლოგიური მნიშვნელობა სწორედ ამ ფაქტს ემყარება.

პლატონს სჯეროდა, რომ მისი სული სრულყოფილი იყო. ესაიას – არა. ესაიას თავი უწმინდურად მიაჩნდა და აღიარებდა ამას. ის გრძნობდა, როგორ ამოიშანთა მისი სუნთქვისა და სიტყვების წამბილწველი უწმინდურება მის ბაგეთაგან, რათა ამ ბაგეებს ღვთიური მისიონის გამოცხადება შეძლებოდათ.

ესაიამ იხილა საყდარი და დიდება იმისი, ვინც მისიონი ანდო მას. ესაიას არ უხილავს სამართლიანი სახელმწიფო, რომელიც პლატონს ჰქონდა ნახილვები გონების თვალით, როგორც გახსენება. ესაიამ იცოდა და ამბობდა, რომ ადამიანებს ებრძანათ, სამართლიანები ყოფილიყვნენ ერთმანეთის მიმართ. მან იცოდა და ამბობდა, რომ უსამართლო იღუპება საკუთარი უსამართლობით. მან იცოდა და ამბობდა, რომ უნდა დადგეს სიმართლის სუფევა და მართალმა კაცმა, როგორც ღვთის ერთგულმა ნაცვალმა, უნდა იგანმგებლოს. მაგრამ მან არ იცოდა და არც უთქვამს, როგორი იქნება ამ მეუფების შინაგანი სტრუქტურა. მას არ ჰქონია იდეა, მას მხოლოდ მისიონი ჰქონდა. მას არაფერი ჰქონია დასაფუძნებელი, მას მხოლოდ უნდა გამოეცხადებინა. მისი გამოსაცხადებელი კი მხილებისა და მოთხოვნათა ბუნებისა იყო.

მისი მხილება და მოთხოვნები იქითკენ იყო მიმართული, რომ ხალხი და მისი მთავარი აეძულებინა, ეღიარებინათ უხილავი უზენაესი ხელისუფლების რეალობა. ესაიასთან სიტყვას „ჰა-მელეხ" აქვს არა თეოლოგიური მეტაფორის, არამედ პოლიტიკური კონსტიტუციური კონცეპტის მნიშვნელობა. მაგრამ ეს ღვთის უზენაესობა, რომელიც მან წამოაყენა, სამღვდელოების უზენაესობას უპირისპირდება, რასაც, ჩვეულებრივ, თეოკრატიას უწოდებენ და რაც ძალზედ ზუსტად იქნა დახასიათებული, როგორც „ყველაზე უფრო არათავისუფალი ფორმა საზოგადოებისა", რადგან ის „არათავისუფალია იმ უზენაესის ბოროტად გამოყენებით, რომელიც კი შეიძლება შეცნობადი იყოს ადამიანისთვის". მხოლოდ უძალაუფლებო კაცს შეუძლია, გამოთქვას ჭეშმარიტი მეფის ნება სახელმწიფოს მიმართ და შეახსენოს ხალხსაც და ხელისუფლებასაც მათი საერთო პასუხისმგებლობა ამ ნების წინაშე. უძალაუფლებო კაცს შეუძლია ეს გააკეთოს, რადგან ის არღვევს მიმდინარე ისტორიის ილუზიებს და აცნობიერებს პოტენციურ კრიზისებს.

ამიტომ არის, რომ მისი კრიტიციზმი და მოთხოვნები მიმართულია საზოგადოებისადმი, ცხოვრებასადმი, რომ-

ელსაც ადამიანები ერთად ეწევიან. ხალხი, რომელიც სერიოზულად რაცხს თავის მეფედ თავად ღმერთს, უნდა გახდეს ჭეშმარიტი ხალხი, საზოგადოება, რომლის ყველა წევრი უნდა მართოს პატიოსნებამ იძულების გარეშე, სიკეთემ – პირფერობის გარეშე და ძმობამ იმათ შორის, ვინც მხურვალედ ერთგულებენ თავიანთ ღვთიურ წინამძღოლს. როცა სოციალური უთანასწორობა, განსხვავება თავისუფალსა და არათავისუფალს შორის ხლეჩს საზოგადოებას და წარმოშობს განხეთქილებას მის წევრებში, მაშინ შეუძლებელი ხდება „ღვთის ერის" არსებობა. ამგვარად, მხილება და მოთხოვნები მიმართულია ყოველი ინდივიდისადმი, რომელზეც სხვა ინდივიდები არიან დამოკიდებულნი, ვის ხელშიც არის სხვათა ბედი; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ჩვენგანისადმი არის მიმართული. როცა ესაია სამართალზე ლაპარაკობს, ის არ გულისხმობს დაწესებულებებს, არამედ ჩვენ გვგულისხმობს – თქვენ და მე, რადგან თქვენსა და ჩემს გარეშე ყველაზე დიდებული დაწესებულებაც კი სიცრუედ იქცევა.

და ბოლოს, მხილება და მოთხოვნები მიმართულია ისრაელის სხვა ხალხებთან ურთიერთობისადმი. ისინი აფრთხილებენ ისრაელს, არ დაუდოს ხელშეკრულებები და არ დაენდოს ე.წ. მსოფლიო სახელმწიფოებს, არამედ „მშვიდად იყოს" (ესაია, 7,4; 30,15), რათა ჩვენი ხალხი ჭეშმარიტ ხალხად აქციოს, თავისი ღვთიური მეფის ერთგულ ხალხად, და მაშინ არაფრის შიში არ გვექნება. „დამასკოს თავი, – ეუბნება ესაია ახაზს მრეცხავთა მინდვრის გზაზე, – არის რეცინი, სამარიას თავი კი – ფეკახი", რაც ნიშნავს: „ხოლო შენ იცი, ვინ არის იერუსალიმის თავი, თუ გსურს, რომ იცოდე". ოღონდ „თუ რწმენა არ გექნებათ, ნამდვილად ვერ გაძლებთ" (ესაია, 7,9). ამასთან კავშირში ბევრი ლაპარაკი იყო „უტოპიურ პოლიტიკაზე", რომელსაც უნდა დაეკავშირებინა ესაიას ხელმოცარვა უტოპიური რესპუბლიკის ავტორის, პლატონის ხელმოცარვასთან. რაც ესაიამ ახაზს უთხრა, მიღებულ იქნა როგორც ამაღლებულად „რელიგიური", მაღალფარდოვნად გამოთქმული, მაგრამ პოლიტიკურად უფასური სიტყვა, რომელიც სრულიადაც არ მიესადაგებოდა რეალობას. მეტიც, ერთადერთი პოლიტიკური შანსი მცირე ხალხისა, რომელიც მსოფლიო სახელმწიფოთა შორის არის მოქცეული, მეტაპოლიტიკური შანსია, რაზედაც ესაია მიუთითებდა. ის აცხადებდა ჭეშმარიტებას, რომელიც, მართლაც, ვერ შემოწმებულა ისტორიაში დღემდე, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არავის უფიქრია მისი შემოწმება. ხალხების წაძღოლა მშვიდობისაკენ მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია, რომელმაც თავის წიაღში აქცია მშვიდობა სინამდვილედ. სულის რეალიზაცია ანდამატურად მოქმედებს კაცობრიობაზე, რომელსაც გაცრუებული აქვს სულის იმედი. ეს აზრი აქვს ჩვენთვის ესაიას მოძღვრებას. როცა უფლის სახლის მთა ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ცხოვრების რეალობაზე „დამყარდება", მაშინ და მხოლოდ მაშინ „იდინებენ" ხალხები მისკენ (ესაია, 2,2), რათა იქ ომის ნაცვლად მშვიდობა ისწავლონ. ესაიას ხელი მოეცარა, როგორც წინასწარ ეთქვა, როცა მოწოდებული იქნა ღვთიური მისიონის მისაღებად. ხალხი და მეფე დაუპირისპირდნენ მას. მომდევნო მეფემ კი, რომელიც ემხრობოდა ესაიას, გადამწყვეტ უამს დაიწყო ფიქრი ასირიის წინააღმდეგ ბაბილონელთა აჯანყებაში მონაწილეობაზე. მაგრამ ეს ხელმოცარვა სრულიად განსხვავდება პლატონის ხელმოცარვისაგან. თავად ჩვენი, როგორც ებრაელობის არსებობა, მოწმობს ამ განსხვავებას. ჩვენ ვცხოვრობთ იმ ფაქტის ძალით, რომ იყო ხალხი, რომელიც ესოდენ სერიოზულად უყურებდა ამ ჰა-მელეხს მთელ თავის სოციალურ და პოლიტიკურ რეალობასთან მიმართებაში. ეს არის მიზეზი, ჩვენი შემორჩენისა ამ ახალ შესაძლებლობამდე, რომ სული იმ რეალობაში გადავიტანოთ, რომლის წინათგრძნობაც გვაქვს. ჩვენ კიდევ შეგვიძლია, განვიცადოთ ისტორიის ერა, რომელიც „უარყოფს" ისტორიას. წინასწარმეტყველი ხელმოცარულია ისტორიის ერთ მონაკვეთში, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს შეეხოს მისი ხალხის მომავალს. რადგან მისი ხალხი ინახავს მის მისიონს როგორც ისეთ რამეს, რაც უნდა განხორციელდეს სხვა მონაკვეთში, სხვა პირობებში და სხვა სახით.

წინასწარმეტყველის სული, პლატონის სულისაგან განსხვავებით, არ ფიქრობს, რომ ის ფლობს ჭეშმარიტების აბსტრაქტულ და ზოგად, უდროოამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცეპტს. ის ერთი სიტუაციისათვის ყოველთვის ერთ მისიონს იღებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ათასი წლის შემდეგაც მისი სიტყვები კვლავ და კვლავ მიმართულია შეცვლილი სიტუაციებისადმი ისტორიაში. ის არ უპირისპირდება ადამიანს სრულყოფილების ზოგადქმედითი ხატით, პანტოპიით ან უტოპიით. ის არც არჩევანს აკეთებს თავის მშობლიურ მიწასა და სხვა ქვეყანას შორის, რომელიც შეიძლება „მისთვის უფრო შესაფერისი" იყოს. ამგვარი რეალიზაციისას ის დაკავშირებულია **ტოპოსთან,** ამ ადგილთან, ამ ხალხთან, რადგან ეს ის ხალხია, რომელმაც უნდა ქმნას **დასაწყისი**, მაგრამ როცა წინასწარმეტყველი გრძნობს, თითქოს გარეული მხეცებით არის გარსშემორტყმული, მას არ შეუძლია უკან დახევა, უბრალო მაყურებლად ყოფნა, როგორც პლატონი მოიქცა. მან უნდა გამოთქვას თავისი მისიონი. მისიონი შეიძლება ცუდად იქნას გაგებული, ცუდად იქნას განმარტებული, ცუდად იქნას გამოყენებული, შეიძლება განამტკიცოს და გააქვავოს კიდეც ხალხი თავის ურწმუნოებაში. მაგრამ მისი ნესტარი სამუდამოდ განმსჭვალავს მას.

ინგლისურიდან თარგმნა **ზურაბ კიკნაძემ**
წიგნიდან Israel and the World. New York. 1966

კახა კაკიტაძე

მარტინ ჰაიდეგერი თანამედროვეობის შესახებ

ფერმინში „თანამედროვეობა" ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მეოცე საუკუნის დასასრულს, არამედ მთელ ეპოქას, რომელშიც მეტნაკლები სიმკვეთრით მჟღავნდება ის პრინციპები, რომელნიც თავიანთ განსრულებას პოსტინდუსტრიულ ერაში ჰპოვებენ.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ, 1938 წელს, ხელოვნებათმცოდნეობის, ბუნებისმეტყველების და მედიცინის საზოგადოებამ ფრაიბურგში მოაწყო მოხსენებათა ციკლი, რომელიც ახალ დროში გაბატონებულ სამყაროს სურათს მიეძღვნა. ამ ციკლის ჩარჩოებში 9 ივნისს მარტინ ჰაიდეგერმა გააკეთა მოხსენება: „ახალი დროის სამყაროს სურათის დაფუძნება მეტაფიზიკით". განვრცობილი სახით მოხსენება პირველად გამოქვეყნდა 1950 წელს კრებულში „Holzwege". მოხსენებაში ჰაიდეგერი ცდილობს, გაიაზროს თანამედროვეობის არსი. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობის განმსაზღვრელი ბევრი მოვლენა მოხსენების წაკითხვისას ჯერ კიდევ არ იყო გაცხადებული (ვთქვათ, კომპიუტერები, ბიოტექნოლოგია), ჰაიდეგერისეულ ანალიზს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. წინამდებარე სტატიის ამოცანაა, წარმოადგინოს ჰაიდეგერის ამ მოხსენების ძირითადი პრინციპები.

ჰაიდეგერი ახალი დროის ხუთ ძირითად ნიშანს გამოყოფს. პირველი მათგანი ახალი დროის მეცნიერებაა. მეორე ძირითადი ნიშანი მანქანური ტექნიკაა. ეს უკანასკნელი არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც მხოლოდ მათემატიკური ბუნებისმეტყველების ცხოვრებაში გამოყენება. თვით მანქანური ტექნიკა არის ყოფიერების იმგვარი წესის გაბატონების შედეგი, რომელიც ამკვიდრებს ბუნებისმეტყველების პრაქტიკული გამოყენების მოთხოვნას. ახალი დროის მესამე არსებით ნიშანს წარმოადგენს ხელოვნების ჩართვა ესთეტიკის ჰორიზონტში. სახელდობრ, ხელოვნება განიხილება როგორც განცდის ობიექტი და ადამიანური მოღვაწეობა ყალიბდება და განიხილება როგორც კულტურა. ეს უკანასკნელი გაიაზრება როგორც უმაღლესი ღირებულებების რეალიზაცია ადამიანურ ღირსებათა კულტივირების გზით. კულტურის არსიდან გამომდინარეობს, რომ ამგვარი კულტივირებისას ის, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის კულტივირებაზე მიიმართება, და, ამდენად, კულტურულ პოლიტიკად იქცევა. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს მაინცადამაინც ათეიზმის გაბატონებას. რელიგიურობა შენარჩუნებულია, მაგრამ ისევ და ისევ განცდის სფეროში გადატანილი. ღმერთთან მიმართება გაიაზრება რელიგიური განცდის და არა, ვთქვათ, ღვთაებრივი გამოცხადების საფუძველზე.

ახალი დროის ამ ხუთ არსებით ტენდენციას ერთი არსებითი ძარღვი უნდა მსჭვალავდეს. ვარაუდობენ, რომ ასეთ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ადამიანი თავისუფლდება შუასაუკუნეებზე მიჯაჭვულობისგან. თავისუფლდება, რათა საკუთარ თავს მიენდოს. მაგრამ, ჰაიდეგერის მიხედვით, ეს თავისთავად სწორი დახასიათება საკმარისი არ არის. მართალია, ახალმა დრომ სუბიექტივიზმი და ინდივიდუალიზმი მოიტანა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არც ერთ სხვა ეპოქას არ წარმოუშვია ასეთი ძლიერი ობიექტივიზმი და არც ერთ სხვა ეპოქაში არ ყოფილა გაბატონებული ესოდენ არაინდივიდუალური საწყისი. ახალ დროში არსებითია სუბიექტივიზმის და ობიექტივიზმის გადაჯაჭვულობა. სწორედ ეს უკანასკნელი მიუთითებს ახალი დროის უფრო სიღრმისეულ საფუძველზე.

ასეთ საფუძვლად ჰაიდეგერს მიაჩნია არა ის, რომ იცვლება თვით ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობის წესი, იცვლება თვით ადამიანი. ადამიანის არსებით მახასიათებლად „სუბიექტურობა" იქცევა. სუბ-იექტი, ქვემდებარე ნიშნავს იმას, რაც საფუძვლად დევს. ადამიანის ქცევა სუბიექტად გულისხმობს მის წარმოდგენას ყოველივეს საფუძვლად. ადამიანი იქცევა ათვლის წერტილად მთლიანად ყოფიერების გასააზრებლად.

ამგვარ ცვლილებას ახასიათებენ ხოლმე როგორც სამყაროს ახალდროული სურათის გაბატონებას. მაგრამ რამდენად გამართლებულია გამოთქმები „სამყაროს ანტიკური სურათი" ან „სამყაროს შუასაუკუნეობრივი სურათი"? ჰაიდეგერის მიხედვით ასეთი გამოთქმები არაკორექტულია: სამყაროს წინა, შუასაუკუნეობრივი სურათი კი არ იცვლება ახალი დროის სურათით, არამედ ახალი დროის არსს ახასიათებს ის, რომ თავად სამყარო იღებს სურათის სახეს. სურათი გულისხმობს არა სამყარო გამომსახველ სურათს, არამედ სამყაროს, გაგებულს როგორც სურათს. არსებული იმდენად გაიაზრება არსებულად, რამდენადაც წარმომდგენი და დამდგენი ადამიანის ჰორიზონტშია ჩამოყალიბებული. არსებულის ყოფიერებას წარმოდგენილობაში ეძიებენ და ჰპოვებენ. ამაშია სამყაროს სურათის არსი.

ასეთი წარმოდგენა ტერმინოლოგიურად გამოიხატება სიტყვით repraesentatia, წარმოდგენა ნიშნავს რაიმეს დაყენებას ადამიანის წინაშე, ვითარცა დაპირისპირებულისა, მის შესაბამებას წარმომდგენთან და წარმოდგენილის „იძულებას" მიიმართოს სუბიექტის მიერ წინასწარ წარმოდგენილ პროექტზე.

ამ დროს არსებითია ის, რომ ადამიანი, იკავებს რა ამ მდგომარეობას, ცდილობს მის ნებისმიერ შენარჩუნებას, როგორც საფუძველს საკუთარი ადამიანობის განვითარებისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ისეთი ცნება, როგორიცაა ადამიანის სტატუსი (ჩვენის მხრივ, დავუმატებდით, რომ ადამიანის უფლებები, როგორც თანამედროვე ცხოვრების განმსაზღვრელი მომენტი. ემყარება ამგვარ სტატუსს, როგორც საკუთარ მეტაფიზიკურ წანამძღვარს). ამით იწყება ადამიანის არსებობის იმგვარი სახე, როდესაც ადამიანის ნებისმიერი უნარი განიხილება მთლიანად ყოფიერის პყრობისა და ათვისების თვალსაზრისით. ახალი დრო ახალია არა მხოლოდ ქრონოლოგიურ-ერეტიკულ პექტიული აზრით, არამედ არსებრივადაც.

რამდენადაც ადამიანი უკვე გააზრებულია სუბიექტად, შესაძლებელია დისკუსია იმის შესახებ, ინდივიდუალურად მოქმედი „მე" უნდა იყოს იგი, თუ საზოგადოებრივი „ჩვენ", რომელიც არის რა კოლექტიური ორგანიზაციის (სახელმწიფოს, ერის ან კაცობრიობის) წევრი, მის ფუნქციონირების წესებს უნდა დაექვემდებაროს.

ჰაიდეგერი ახალი დროის უმნიშვნელოვანეს განსაზღვრულობადობად მიიჩნევს ორი ტენდენციის ურთიერთგამსჭვალვას: ერთი მხრივ, ადამიანის ქცევას სუბიექტად და, მეორე მხრივ, სამყაროს ქცევას სურათად. ამასთან, რაც უფრო ფართოდ იპყრობს სამყაროს ადამიანი, ე.ი. რაც უფრო მეტად ობიექტური ხდება ობიექტი, მით უფრო სუბიექტური ხდება სუბიექტი. მოძღვრება სამყაროს შესახებ და მოძღვრება ადამიანის შესახებ ერთმანეთს ერწყმის.

სამყაროს სურათად ქცევას მოსდევს ჰუმანიზმის დამკვიდრება. ჰუმანიზმი, ჰაიდეგერის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა ზნეობრივ-ეთიკური ანთროპოლოგია. ეს სიტყვა არ გულისხმობს ადამიანის არც ბუნებისმეტყველურ განხილვას და არც ადამიანის შესახებ ქრისტიანულ განსჯას დაბადების, ცოდვაში ჩავარდნის და გამოსყიდვის თვალსაზრისით. ანთროპოლოგია არის ფილოსოფიური პოზიცია, რომელიც არსებულს ადამიანიდან ამოსვლით და ადამიანის მიხედვით ქმნის და აფასებს.

ჰუმანისტური და ანთროპოლოგისტური ტენდენცია რადიკალურ გამოხატულებას ჰპოვებს ადამიანის სამყაროსადმი მიმართების, როგორც მსოფლმხედველობის, განხილვაში. ეს სიტყვა XVIII საუკუნიდან მკვიდრდება. რამდენადაც სამყარო სურათად იქცევა, ადამიანის პოზიცია, გაიგება როგორც მსოფლმხედველობა. ეს არ ნიშნავს არსებულის გულგრილ განხილვას. ამიტომაც უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული აღნიშნავდნენ, რომ მსოფლმხედველობრივი პოზიცია უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისეულ პოზიციას ნიშნავს.

სამყაროს გადაქცევა სურათად გულისხმობს, რომ ადამიანმა თავისი თავი, როგორც სუბიექტი, გაბატონებულ მდგომარეობაში ჩააყენა და ათვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერტილად აქცია. არსებული მხოლოდ იმდენად განიხილება არსებულად, რამდენადაც ადამიანურ ცხოვრებაშია ჩართული და მასზეა მიმართული, ე.ი. განიცდება და განცდად გადაიქცევა.

ჰაიდეგერი თვლის, რომ ახალი დროის უმთავრესი პროცესია სურათად გაგებული სამყაროს დაპყრობა ადამიანის მიერ. ადამიანი იბრძვის იმგვარი პოზიციის მოპოვებისათვის, რომელიც საზომს დაუდგენს და ნორმას დაუწესებს მთლიანად არსებულს. რამდენადაც ეს პოზიცია უზრუნველიყოფა, არტიკულირდება და ვლინდება მსოფლმხედველობის მეშვეობით, არსებულისადმი ახალევროპული მიდგომის დამკვიდრება მსოფლმხედველობათა ჭიდილის სახეს იღებს. ამასთან, ამ ჭიდილში მონაწილეობს არა ნებისმიერი მსოფლმხედველობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მოახერხებს დაიკავოს ახალი დროის ადამიანისათვის ყველაზე პრინციპული და უკიდურესად რადიკალური პოზიცია.

მსოფლმხედველობათა ტიპებს ჰაიდეგერი არ ასახელებს, მაგრამ მთელი XX საუკუნე ადასტურებს ამგვარ მსოფლმხედველობათა გადამწყვეტ როლს ახალი დროის კაცობრიობისათვის. ერთი მხრივ, ერთმანეთთან რადიკალურად მებრძოლი და ამავე დროს საერთო საფუძველს დამყარებული ტოტალიტარული მიმართულებანი: კომუნიზმი და ფაშიზმი, ხოლო, მეორე მხრივ, გონივრულ ინდივიდუალიზმს დამყარებული (და უკვე ამიტომ ანთროპოლოგისტური) დემოკრატიული მსოფლგანცდა, რომელიც ეფუძნება პრაგმატიზმს, ე.ი. არსებულის განხილვას ადამიანისათვის მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით. ეს ორივე მსოფლმხედველობა სურათად გააზრებულ სამყაროს ეფუძნება. ამიტომ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ტოტალიტარიზმზე ძველ აღმოსავლეთში, ანტიკურ დემოკრატიაზე ანდა პრაგმატიზმის ანტიკურ ნაირსახეობებზე, ეს ლაპარაკი მხოლოდ ზედაპირული ანალოგიების ჩარჩოში დარჩება, ვინაიდან საქმე ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავებულ მოვლენებთან გვექნება.

ჰაიდეგერმა კარგად შეამჩნია ის, რომ მსოფლმხედველობათა ბრძოლა XX საუკუნეში მეტად სპეციფიკურ სახეს იღებს. ეს ჭიდილი არ ჰგავს, ვთქვათ, კათოლიციზმის და პროტესტანტიზმის ბრძოლას რეფორმაციის ხანაში. არ ჰგავს არა იმიტომ, რომ რეფორმაციის ხანა ნაკლებ სისხლიანი იყო, არამედ იმიტომ, რომ იმ ეპოქის მიმართ ვერ ვიტყვით იმასვე, რასაც ჰაიდეგერი ამბობს თანამედროვეობის მსოფლ-მხედველობრივი ბრძოლების შესახებ: „მსოფლმხედველობათა ამ ბრძოლისთვის და ამ ბრძოლის არსიდან გამომდინარე, ადამიანს მოქმედებაში მოჰყავს საყოველთაო გამოთვლის, დაგეგმვის და ორგანიზაციის განუზომელი ძალა". (Holzwege, 87)

ამ პროცესის ნიშანდობლივ სიმპტომს ჰაიდეგერი გიგანტიზმში ხედავს. ახალ დროში გაბატონებული გიგანტიზმი სრულიადაც არ არის, ვთქვათ, ძველეგვიპტური გიგანტიზმის მსგავსი მოვლენა. ახალი დროის გიგანტიზმი ვლინდება თითქოსდა მის საპირისპირო პროცესშიც, სახელდობრ, მინიმიზაციაში. ამის მაგალითს ატომური ფიზიკა წარმოადგენს. გიგანტიზმი ვლინდება დიდი მანძილების შთანთქმაში თვითმფრინავის საშუალებით ანდა იმაში, რომ რადიოს მეშვეობით სრულიად უცხო სამყარო შემოდის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაგრამ ჰაიდეგერი წინააღმდეგია იმისა, რომ გიგანტიზმი გავიგოთ როგორც შიშველი რაოდენობრიობის უსასრულოდ გაწელილი სიცარიელე. არ არის საკმარისი გიგანტიზმის გააზრება მხოლოდ პირველობისა და უპირატესობისაკენ ბნელი სწრაფვის პროდუქტად. საერთოდ, გიგანტიზმის არსს ვერ სწვდებიან, როდესაც მას ახასიათებენ, როგორც „ამერიკანიზმს".

ახალი დროის მსოფლმხედველობის თანახმად გააზრებული, გიგანტური ისაა, რისი მეშვეობითაც რაოდენობრიობა საკუთარ თვისობრიობად იქცევა. ყოველ ეპოქას თავისი წარმოდგენა აქვს ზომისა და რაოდენობრიობის შესახებ. ახალი დროის გიგანტიზმის სპეციფიკა ისაა, რომ დაგეგმვის, გამოანგარიშების, ორგანიზაციის და უზრუნველყოფის უზარმაზარი მასშტაბები რაოდენობრიობას თვისობრივ ხასიათს ანიჭებენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველმხრივ გამოთვლილი და გამოანგარიშებული გიგანტიზმი თავისი მასშტაბების გამო ისეთ რაიმედ იქცევა, რაც არავითარ გამოთვლას არ ექვემდებარება. ამიტომ ყველა მოვლენა იმ ეპოქაში, რომლის დროსაც ადამიანი სუბიექტად იქცევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სამყარო – სურათად, ირაციონალური განზომილებით არის აღბეჭდილი.

რამდენად გაამართლა დრომ ჰაიდეგერის მოსაზრებები თანამედროვეობის არსის შესახებ? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილოსოფოსის მოსაზრებათა უმრავლესობა გამართლდა. წარსულს ბარდება მეცნიერებათა დაყოფა საბუნებისმეტყველოდ და ჰუმანიტარულად. მეცნიერების თეორეტიკოსთა სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი იხრება იქითკენ, რომ ფიზიკა განხილულ უნდა იქნას არა როგორც საბუნებისმეტყველო, არამედ როგორც ტექნიკური დისციპლინა. მეცნიერებების ყველაზე უფრო ფორსირებულად განვითარებულ დარგებს ის მეცნიერებები შეადგენენ, რომელთა მიმართ აზრს კარგავს საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ჰუმანიტარული ცოდნის დიქოტომია. ინფორმატიკა, კიბერნეტიკა, სისტემური ანალიზის ან ორგანიზებულ სიმრავლეთა მართვის თეორიების მიღწეული შედეგები ცოდნის ორივე ტრადიციულ სახეს მიეყენება. ორგანიზებულ სიმრავლეთა და სისტემათა ანალიზი საჭიროა როგორც სახელმწიფოს მართვისთვის, ისე ურთულესი ექსპერიმენტების დაყენებისათვის, რომელთაც ტრადიციულად ბუნებისმეტყველებას მიაკუთვნებდნენ. სიტყვა „მართული" გამოიყენება არა მხოლოდ სოციალური პროცესების დასახასიათებლად, არამედ ისეთი ტიპიურ ბუნებისმეტყველური პროცესის განსასაზღვრავად, რომელსაც „მართულ თერმობირთვულ სინთეზს" უწოდებენ.

ახალი მეცნიერებანი ფაქტიურად ახორციელებენ ჰაიდეგერის მიერ ნაწინასწარმეტყველებ პროექტს. ისინი, ერთი მხრივ, მაქსიმალურად „ობიექტურნი" არიან, რამდენადაც, მათ მიერ შემუშავებული პრინციპის თანახმად, ნებისმიერი ობიექტი (მიკრო თუ მაკრო სამყაროდან, ტრადიციული გონისმეტყველებიდან თუ ბუნებისმეტყველებიდან) შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული, თანაც „ობიექტურად", ე.ი. ცალსახად და მათემატიკური სიზუსტით. მეორე მხრივ, ეს მეცნიერებანი უკიდურესად „სუბიექტურნი" არიან, რამდენადაც თავისი ფუნქციონირებისას ისინი საგნიდან კი არა, არამედ საგნის განხილვის სუბიექტისმიერი წესიდან გამოდიან. ისინი არსებულს განიხილავენ ადამიანის, ვითარცა სუბიექტის, ინტერესებიდან გამომდინარე და სუბიექტის მიერ აპრიორულად განსაზღვრულ კანონთა თანახმად.

„სამყაროს სურათის ხანა" ჰაიდეგერთან ნიშნავს ეპოქას, რომელიც სამყაროს განიხილავს როგორც სურათს. ეს ხანა ჰაიდეგერის სხვა გამოკვლევაში ხასიათდება როგორც „მწირი ჟამი". გამოთქმა „მწირი ჟამი" ჰიოლდერლინს ეკუთვნის. მის ელეგიაში „პური და ღვინო" ვკითხულობთ: „რისთვის არიან პოეტები ანკი მწირ დროში?" სამყაროს სურათის მწირი ჟამი ჰაიდეგერის მიერ ხასიათდება როგორც სამყაროს ღამე. თანამედროვეობის ჰაიდეგერისეულ დახასიათებას სამყაროს ღამის რაობის განსაზღვრით დავამთავრებთ. ჰაიდეგერი წერს: „გრძელია სამყაროს ღამის მწირი ჟამი. კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ იგი თავის მწვერვალს მიაღწევს. სამყაროს ღამის მწირობა თავის მწვერვალს შუაღამისთვის აღწევს. შუაღამისას, გაღატაკებულ დროს საკუთარი სიმწირის განცდაც კი აღარ ძალუძს. ეს უმწეობა, რომლის გამოც თვით სიმწირის უპოვარობაც უკუნეთს მოუცავს, სხვა არაფერია, თუ არ ამ ჟამის სრული სიღატაკე. ამით სიმწირე კიდევ უფრო ღრმავდება და იქამდე აღწევს, რომ სიდუხჭირე აღარც კი აღიქმება. ამასთან, სამყაროს ღამე სამყაროს ბედად იაზრება, რომელიც პესიმიზმისა და ოპტიმიზმის მიღმა დგას. იქნებ სამყაროს ღამე ახლა აღწევს მწვერვალს? იქნებ სამყაროს ღამე ახლა ხდება ყველაზე მწირი? მაგრამ იქნებ არა, ჯერ არა, ჯერ კიდევ არა? მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გაჭირვება სუფევს, ყოველგვარი ტანჯვის მიუხედავად, გამოუთქმელი სატანჯველის მიუხედავად, სიმშვიდის სულ უფრო მეტად დაკარგვის მიუხედავად" (Holzwege, გვ.255).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენე გენონი

თანამედროვე სამყაროს კრიზისი

შესავალი

რამდენიმე წლის წინ, როცა ჩვენ „აღმოსავლეთს და დასავლეთს“ ვწერდით, გვეგონა, რომ ვიძლეოდით ყველა საჭირო მითითებას იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც შეადგენენ წიგნის საგანს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მოვლენები სულ უფრო მზარდი სისწრაფით განვითარდნენ, ჩვენს მაშინდელ მოსაზრებებში დღეს ერთი სიტყვაც არ არის შესაცვლელი. სამაგიეროდ, შექმნილი ვითარება ითხოვს გარკვეულ დამატებით დაზუსტებებს და გვაიძულებს წარმოვადგინოთ ისეთი თვალსაზრისები, რომლებზეც ყურადღების შეჩერება იმხანად ნაადრევად ჩავთვალეთ. დაზუსტებები აუცილებელი ხდება იმის გამოც, რომ ამ ბოლო დროს საკმაოდ აგრესიული ფორმით კვლავ იჩინა თავი სწორედ ისეთი სახის აღრევებმა, რომელთა გაფანტვა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. შორს ვიჭერთ რა თავს რაიმე პოლემიკაში ჩაბმისგან, საჭიროდ ვთვლით, კიდევ ერთხელ მივუჩინოთ მოვლენებს თავთავისი ადგილი. განხილვის საგანთან დაკავშირებული ელემენტარული შეხედულებებიც კი სრულებით უცხოა თანამედროვეთა უმეტესობისთვის და, ამდენად, ძნელი გასაგებია მათთვის. ამ შეხედულებებს მრავალგზის უნდა მივუბრუნდეთ, რათა ყოველმხრივ გავაშუქოთ ისინი და თანდათანობით, რამდენადაც გარემოებები მოგვცემენ ამის საშუალებას, გავფანტოთ ის გაუგებრობები, რომელთა თავიდანვე გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

პირველ რიგში, მკითხველს უნდა მივცეთ რამდენიმე განმარტება წიგნის სათაურთან დაკავშირებით, რათა ზუსტად გავაგებინოთ, თუ რა აზრს ვდებთ მასში, და გამოვრიცხოთ ყოველგვარი გაუგებრობა. ბევრისთვის სადავო აღარ არის, რომ თანამედროვე სამყარო განიცდის კრიზისს, ამ სიტყვის ყველაზე ჩვეულებრივი გაგებით. ამ მხრივ საგრძნობი ცვლილება მოხდა: მიმდინარე მოვლენების გავლენით თანდათან გაიფანტა გარკვეული ილუზიები. ჩვენთვის ეს ერთობ სასიხარულოა, რადგან ამ ფაქტში, ყველაფრის მიუხედავად, ვხედავთ სასიკეთო სიმპტომს; ვხედავთ ნიშანს, რომელიც გვამცნობს თანამედროვე მენტალიტეტის აღდგენის შესაძლებლობას. ეს სიახლე ჰგავს მკრთალ გამონათებას არსებული ქაოსის შუაგულში. ამგვარად, დაუსრულებელი პროგრესის რწმენა, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ხელშეუხებელ და უდავო დოგმად ითვლებოდა, აღარ არის საყოველთაოდ მიღებული. ზოგიერთი ადამიანი უკვე ბუნდოვნად ხვდება, რომ დასავლური ცივილიზაცია მუდმივად ვერ განაგრძობს ერთი მიმართულებით სვლას და, ერთ მშვენიერ დღეს, იგი შეიძლება მიადგეს ბოლო წერტილს, ან მთლიანად დაინთქას რაიმე კატაკლიზმში. ეს ადამიანები, ალბათ, ნათლად ვერ ხედავენ, თუ რაში მდგომარეობს საფრთხე. ამასთან დაკავშირებით გამოხატული მათი ქმედული და ბავშვური შიშები მეტყველებს მათ სულში ჯერ კიდევ არსებულ მრავალ შეცდომაზე. მართალია, საფრთხეს უფრო გრძნობენ, მისი გააზრება კი უჭირთ, მაგრამ ისიც საქმეა, რომ ამ ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ ამ საფრთხის არსებობა. ისინი ხედავენ, რომ დასავლურ ცივილიზაციას, რომლითაც თანამედროვეებს თავი მოაქვთ, არცთუ პრივილეგირებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ისტორიაში და მან შეიძლება გაიზიაროს ადრეულ ეპოქებში გამქრალი ცივილიზაციების ბედი, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთმა თუ დატოვა უმნიშვნელო კვალი, ძლივს შესამჩნევი და ძნელად ამოსაცნობი ნაშთები.

ამრიგად, როცა თანამედროვე სამყაროს კრიზისზე საუბრობენ, ჩვეულებრივ, იმას გულისხმობენ, რომ მან კრიტიკულ წერტილს მიაღწია, ანუ, სხვა სიტყვებით – რომ მოახლოებულია გარდაქმნა; რომ მოკლე ხანში, ძალით თუ ნებით, გარდაუვალია გეზის მეტ-ნაკლებად მკვეთრი შეცვლა, რასაც შესაძლოა კატასტროფაც მოჰყვეს. კრიზისის ასეთი გაგება სავსებით

კანონზომიერია და ჩვენს შეხედულებებსაც ეთანხმება, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. ჩვენი თვალსაზრისით, რომელიც უფრო ზოგადია, სამყაროსთვის კრიზისის პერიოდს წარმოადგენს თანამედროვე ეპოქა მთლიანობაში განხილული. საყურადღებოა, რომ დღეს ყველაზე მეტად არის საგრძნობი, ვიდრე ოდესმე, იმ ვითარების ანომალური ხასიათი, რომელიც გრძელდება უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ამ ვითარების შედეგებიც არასოდეს ყოფილა ისეთი შესამჩნევი, როგორც ამჟამად. ეს ფაქტები თითქოს დასასრულის მოახლოებას მოასწავებს. მოვლენათა მზარდი სიჩქარით განვითარებაც ამაზე მიანიშნებს. შესაძლოა, დასასრულამდე კიდევ არის დრო, მაგრამ ეს დრო არ არის განუსაზღვრელი. ცხადია, ზუსტ ზღვარს ვერ დავადგენთ, მაგრამ იმას კი ვხედავთ, რომ ეს ვითარება დიდხანს ველარ გასტანს.

სიტყვა „კრიზისი" სხვა მნიშვნელობებსაც შეიცავს, რის გამოც ის კიდევ უფრო ზუსტად გამოხატავს ჩვენს სათქმელს. მხედველობაში გვაქვს მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც ყოველდღიური გამოყენებისას არ ჩანს. საერთოდ, როცა ამა თუ იმ სიტყვის სრული მნიშვნელობის და თავდაპირველი ღირებულების აღდგენა გვსურს, აუცილებელია მივმართოთ მის ეტიმოლოგიას. „კრიზისი" ეტიმოლოგიურად ერთგვარი სინონიმია სიტყვებისა „განსჯა", „გარჩევა". კრიტიკული „ნებისმიერ სფეროში" ეთქმის იმ ფაზას, რომლის დროსაც ხდება კრიზისის სასიკეთოდ ან არასასიკეთოდ გადაჭრა, მისი გადაწყვეტა ერთი ან მეორე მიმართულებით. სწორედ მაშინ ხდება შესაძლებელი მიღებული შედეგების განსჯა, მათი ერთგვარი დახარისხება პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებად, სასწორზე შეგდება და გარკვევა, თუ საბოლოოდ რომელი მხარე გადასწონის. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ არ გვაქვს შედეგების საბოლოო შეფასების პრეტენზია. ეს ნაადრევიც იქნებოდა, რაკი კრიზისი ჯერ არ დასრულებულა, და დაზუსტებით ვერც იმას ვიტყვით, თუ როდის და როგორ დასრულდება. თანაც ყოველთვის სასურველია თავის შეკავება წინასწარი ვარაუდებისგან, რადგან მოსაზრებები, რომელთაც ეს ვარაუდები ემყარება, არ არის ყველასთვის გასაგები. ამის გამოა, რომ დროთა განმავლობაში, ასეთი ვარაუდები მცდარ ინტერპრეტაციას ბადებენ და, რაიმეს გარკვევის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას მოაქვთ. ჩვენ მხოლოდ [illegible] ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით, უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი ზოგიერთი შედეგი აქედანვე დავანახოთ იმათ, ვისაც მათი გაცნობიერების უნარი აქვს და, ამგვარად, თუნდაც ნაწილობრივ და შემოვლითი გზით, ნიადაგი მოვუმზადოთ მომავალ „სამსჯავროს", - იმას, რომლის შემდეგაც მიწიერი კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა დადგება.

ზემოთქმული ზოგიერთ მკითხველში უეჭველად აღძრავს „განკითხვის დღის" იდეას – და სამართლიანადაც. იგი შეიძლება გავიგოთ პირდაპირი აზრითაც და სიმბოლურითაც, ან სულაც ორივეთი ერთდროულად, რადგან ეს ორი გაგება არ გამორიცხავს ერთმანეთს. მაგრამ აქ არა აქვს რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ რა აზრით გავიგებთ ამ იდეას და, ამჯერად, ვერ შევჩერდებით იმის ასახსნელად, თუ რატომ არის ეს ასე. ცხადია, საბოლოო შედეგების აწონ-დაწონა, პოზიტიურის და ნეგატიურის ერთმანეთისგან გარჩევა, რის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით, ძალზე ჰგავს კაცობრიობის გადარჩევას საბოლოოდ დადგენილ ორ ჯგუფად: „რჩეულებად" და „წყეულებად". თუკი აქ მხოლოდ ანალოგიაა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ანალოგია გამართლებული და საფუძვლიანია; იგი თანხმობაშია მოვლენათა ბუნებასთან. მაგრამ ეს საკითხი ითხოვს კიდევ რამდენიმე განმარტებას.

შემთხვევითი არ არის, რომ „სამყაროს დასასრულის" იდეით დღესდღეობით შეპყრობილია ამდენი გონება. გარკვეული აზრით, ეს სავალალოა, რადგან ის ახირებები, რომლებიც ამ ცუდად გაგებულმა იდეამ წარმოშვა, ის მესიანური ბოდვები, რომლებიც გარკვეულ წრეებში გაჩნდა მის შედეგად, - ჩვენი ეპოქის მენტალური წონასწორობის რღვევიდან გამომდინარე – ყველა ეს მოვლენა სულ უფრო მეტად ამწვავებს და არცთუ უმნიშვნელოდ ზრდის რღვევის ამ პროცესს. ასეა თუ ისე, ჩვენს წინაშეა ფაქტი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. როცა ვაწყდებით ასეთი სახის მოვლენებს, მათ შეიძლება მოვეკიდოთ როგორც შეცდომებს ან ფანტაზიის უაზრო ნაყოფს და თავიდან მოვიშოროთ ყოველგვარი გადასინჯვის გარეშე. მაგრამ ეს იოლი გამოსავალია. თუ მსგავსი გამოვლინებანი მართლაც

შეცდომაა, მაშინ, ჩვენის აზრით, სჯობს გამოვააშკარავოთ მათი სიმცდარე და გამოვიძიოთ, ერთის მხრივ, მათი გამომწვევი მიზეზები და, მეორეს მხრივ, დამახინჯებული ჭეშმარიტების ის წილი, რომელსაც ეს შეცდომები შეიცავს. მართლაც, შეცდომა მხოლოდ ნეგატიური მოდუსით არსებობს, აბსოლუტურ შეცდომას ვერსად შევხვდებით, – ეს სიტყვა დაცლილია რაიმე აზრისაგან.

თუკი მოვლენებს ამ კუთხით მივუდგებით, ადვილად მივხვდებით, რომ „სამყაროს დასასრულის" იდეით გატაცება მჭიდროდ არის დაკავშირებული შფოთვის გაურკვეველ განცდასთან, რომელსაც დღეს უმრავლესობა მოუცავს. ბუნდოვანი წინათგრძნობა რაღაც ისეთის, რაც მართლა უახლოვდება დასასრულს, უნებურად მოქმედებს ზოგიერთის წარმოსახვაზე და ბუნებრივად წარმოქმნის მასში უწესრიგო, ხშირად უხეშად მატერიალიზებულ სურათებს. ეს სურათები კი, თავის მხრივ, გარეგნულად გამოიხატება იმ ახირებებით, რომლებზეც ზემოთ მივანიშნეთ. ასეთი ახსნა სულაც არ ამართლებს ამ მოვლენებს. შეიძლება გავამართლოთ ადამიანები, რომლებიც უნებურად ცდებიან, რადგან ისინი მიდრეკილნი არიან ამისკენ თავიანთი მენტალური მდგომარეობით, რაზედაც პასუხს არც აგებენ, მაგრამ დაუშვებელია თავად შეცდომის გამართლება. რაც შეგვეხება ჩვენ – ნამდვილად ვერავინ დაგვწამებს მეტისმეტ ლმობიერებას თანამედროვე სამყაროს ფსევდო-რელიგიური გამოვლინებებისა და, საერთოდ, ყველა თანამედროვე ცდომილების მიმართ. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი საწინააღმდეგოს უფრო გვისაყვედურებდა. მაგრამ იქნებ აქ გამოთქმული შეხედულებების გაცნობის შემდეგ მათ უკეთ გაიგონ, თუ რა კუთხით განვიხილავთ მოვლენებს. ჩვენ ვცდილობთ ვიდგეთ ყოველთვის იმ ერთადერთ თვალსაზრისზე, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია: ეს არის მიუკერძოებელი და ობიექტური ჭეშმარიტების თვალსაზრისი.

სათქმელი ამით არ ამოიწურება. ზემოთ „სამყაროს დასასრულის" იდეა და მისი თანამედროვე გამოვლინებები ფსიქოლოგიური ფაქტორით ავხსენით. მაგრამ ფსიქოლოგიური ახსნა, რაც უნდა სწორი იყოს ის თავის სფეროში, ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება. ფსიქოლოგიით შემოფარგვლა ნიშნავს თანამედროვეობის ერთ-ერთი ილუზიის გაგლენის ქვეშ მოვექცეთ, რომლის ნინააღმდეგაც ვილაშქრებთ ყოველთვის, როცა კი ამის საშუალება გვეძლევა. როგორც შევნიშნეთ, ზოგიერთი გრძნობს რაღაცის მოახლოებულ დასასრულს, რომლის ბუნებას და მნიშვნელობას ზუსტად ვერც საზღვრავს. უნდა ვცნოთ, რომ მათი აღქმა, თუნდაც ბუნდოვანი და მცდარი ინტერპრეტაციების თუ წარმოსახვითი დეფორმაციების გამომწვევი, რეალურია, რადგან კრიზისი – „როგორიც უნდა იყოს ის დასასრული, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის" – საკმაოდ თვალშისაცემია. უკვე მრავალი არაორაზროვანი და ადვილად შესამჩნევი ნიშანი არსებობს, რომელსაც ყველა ერთ დასკვნამდე მიჰყავს. ეს დასასრული, ალბათ, არ იქნება „სამყაროს დასასრული" ყოვლისმომცველი აზრით, როგორც ეს ზოგიერთს ესმის, მაგრამ ის ერთი სამყაროს დასასრული მაინც იქნება. თუ დასავლური ცივილიზაცია თავისი ახლანდელი სახით არის ის, რაც უნდა დასრულდეს, მაშინ გასაგებია, რომ ის ადამიანები, რომელნიც ამ ცივილიზაციის გარეთ ვერაფერს ხედავენ და მხოლოდ მას მიიჩნევენ საკუთრივ „ცივილიზაციად", მის დასრულებას აღიქვამდნენ, როგორც სამყაროს აღსასრულს. ასეთები ადვილად იჯერებენ, რომ დასავლური ცივილიზაციის გაქრობა ნამდვილად „სამყაროს დასასრულს" ნიშნავს.

მოვლენები რომ თავის ზუსტ მნიშვნელობაზე დავიყვანოთ, ამგვარად შევაჯამებთ ზემოთქმულს: ყველა ნიშნით ჩვენ თითქოს მართლაც ვუახლოვდებით ერთი ეპოქის, ერთი ისტორიული ციკლის დასასრულს, რომელიც, ყველა ტრადიციული მოძღვრების მიხედვით, შეიძლება შეესაბამებოდეს მთელი კოსმიური ციკლის დასასრულს. ასეთი სახის ძვრები ბევრი ყოფილა წარსულში და მომავალშიც ბევრი იქნება. მათი მნიშვნელობა არათანაბარია, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განფენილობის პერიოდებს აბოლოებენ ისინი, და იმაზეც, მთელ მიწიერ კაცობრიობას ეხებიან თუ მხოლოდ მის ერთ ნაწილს, ერთ რასას ან ერთ განსაზღვრულ ერს. მსოფლიოს ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, სავარაუდოა, რომ მოსალოდნელი ცვლილება საყოველთაო მნიშვნელობის იქნება. ჩვენ არ ვიცით, რა ფორმით მოხდება ეს ცვლილება და არც ვაპირებთ მის განსაზღვრას. მაგრამ იმას კი ვფიქრობთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი მეტ-ნაკლებად მთელ დედამიწას შეეხება. ერთი რამ კი ფაქტია: ის კანონები, რომლებიც ასეთ მოვლენებს განაგებენ, ერთნაირად მიესადაგებიან ყველა სფეროს. ამიტომ ის, რაც ითქმის დასასრულზე, ამ სიტყვის ყველაზე ფართო აზრით (ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მიწიერი სამყარო იგულისხმება), ძალაში რჩება მაშინაც, ოღონდ პროპორციების დაცვით როცა საქმე ეხება ერთი რომელიმე სამყაროს დასასრულს, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით.

ეს წინასწარი შენიშვნები გააადვილებს მომდევნო შეხედულებათა გაგებას. სხვა ნაშრომებში ჩვენ ხშირად გვიწევდა „ციკლური კანონების" მოხმობა. ძალზე ძნელია ამ კანონების სრული მიმოხილვა დასავლური მენტალიტეტისთვის გასაგები ენით, მაგრამ აუცილებელია რამდენიმე მონაცემს მაინც გავეცნოთ. უამისოდ შეუძლებელია სწორი აზრი შევიქმნათ იმაზე, თუ რა არის ახლანდელი ეპოქა და რას წარმოადგენს იგი მსოფლიო ისტორიის მთლიანობაში. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენი ეპოქა სწორედ იმ ნიშან-თვისებების მატარებელია, რომლებზეც მიუთითებდნენ ტრადიციული მოძღვრებები ჩვენი ეპოქის შესატყვისი ციკლური პერიოდის აღწერისას. ამით ცხადი გახდება სხვა რამეც: ის, რაც კერძო თვალსაზრისით ანომალური და უწესრიგოა, შეადგენს გაცილებით უფრო მასშტაბური წესრიგის აუცილებელ ელემენტს და იმ კანონების გარდაუვალი შედეგია, რომლებიც განაგებენ მანიფესტაციის გაშლა-განვითარებას.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მოქმედებას არავითარი აზრი არ ჰქონდეს. ასე რომ იყოს, ჩვენც დუმილს ვარჩევდით. ახლა, როცა არაერთი ნიშანი აშკარად გვამცნობს მეტ-ნაკლებად მოახლოებულ ან იქნებ სულაც კარზე მომდგარ დასასრულს, პასიურად კი არ უნდა გადავიტანოთ ის აშლილობა და სიბნელე, რომელიც თითქოს მცირე ხნით იმარჯვებს, არამედ, პირიქით, მთელი ძალისხმევით უნდა ვიშრომოთ, რათა მოვემზადოთ „ბნელი ხანიდან" გამოსასვლელად. წესრიგი ასეთ მოქმედებასაც მოიცავს, რადგან წინასწორობა ორი დაპირისპირებული ტენდენციის ერთდროული მოქმედების შედეგია. ამ ტენდენციათაგან ერთ-ერთმა მთლიანად რომ შეწყვიტოს მოქმედება, წინასწორობა ველარასდროს აღდგება და თვით სამყაროც გაქრება. მაგრამ ეს ჰიპოთეზა განუხორციელებელია, რადგან დაპირისპირებულ წევრებს მხოლოდ ერთმანეთით ენიჭებათ აზრი და, როგორიც უნდა იყოს მოვლენათა გარეგნული მხარე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ წინასწორობის ყველა ნაწილობრივი და დროებითი დარღვევა, საბოლოოდ, ყოვლისმომცველი წესრიგის განხორციელებას ემსახურება.

ბნელი ხანა

ინდური მოძღვრება გვასწავლის, რომ ერთი კაცობრიული ციკლი, რომელსაც იგი მანვატარას უწოდებს, ოთხ ხანად იყოფა. ეს ოთხი ხანა შეესაბამება თავდაპირველი სულიერების ეტაპობრივი დაბნელების ოთხ ფაზას. დასავლურ ანტიკურ ტრადიციებში

ამ პერიოდზე მიუთითებს ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და რკინის ხანები. ამჟამად ჩვენ მეოთხე ხანაში ვართ. ესაა Kali-Yuga, ანუ ბნელი ხანა. როგორც ამბობენ, მისი დაწყებიდან 6.000 წელზე მეტია გასული. ასე რომ, იგი „კლასიკური" ისტორიისათვის ცნობილ ეპოქებზე ბევრად ადრეულ ეპოქაშია დაწყებული. ბნელ ხანაში თანდათანობით დაიფარა და ძნელად მოსაპოვებელი გახდა ოდესღაც ყველა ადამიანისთვის მისაწვდომი ჭეშმარიტებანი. სულ უფრო მეტად შემცირდა მათი რიცხვიც, ვინც ამ ჭეშმარიტებებს ფლობდა. შეუძლებელია, ოდესმე დაიკარგოს ყველა ხანაზე ადრეული, „არა-ადამიანური" სიბრძნის საგანძური, მაგრამ იგი სულ უფრო და უფრო შეუღწევადი საფარველებით იბურება. ასეთი საფარველების ქვეშ უკიდურესად ძნელია ჭეშმარიტების პოვნა. ამის გამოა, რომ ყველა ტრადიცია სხვადასხვა სიმბოლური ფორმით ლაპარაკობს რაღაცაზე, რაც დაიკარგა; რაც გარეგნულად, გარესამყაროსთან მიმართებაში გაქრა და რაც კვლავ უნდა მოიპოვონ მათ, ვინც ჭეშმარიტ ცოდნას ესწრაფვის. მაგრამ ნათქვამია ისიც, რომ ციკლის დასასრულს დაფარული კვლავ გამოჩნდება. თვით ეს დასასრული კი, ყველა მოვლენის ერთმა-

ნეთთან დამაკავშირებელი უწყვეტობის ძალით, იმავდროულად, ახალი ციკლის დასაწყისიც იქნება.

ზოგს, ალბათ, გაუჩნდება კითხვა, თუ რატომ უნდა მიმდინარეობდეს ციკლური განვითარება მაინცდამაინც დაღმავალი მიმართულებით, უმაღლესიდან უდაბლესისკენ, რაც აშკარად უარყოფს პროგრესის იდეას, როგორც ის თანამედროვეთ ესმით. საქმე ისაა, რომ ყოველგვარი მანიფესტაციის მსვლელობა თავისთავად გულისხმობს სულ უფრო მეტ დაშორებას იმ საწყისიდან, რომლიდანაც იგი მომდინარეობს. რაკი მანიფესტაცია იწყება ყველაზე მაღალი წერტილიდან, გაშლა-განვითარებისას იგი ძალაუნებურად მიემართება ქვემოთ, თანაც, მძიმე სხეულივით, სულ უფრო მზარდი სისწრაფით, ვიდრე საბოლოოდ არ მიადგება ბოლო წერტილს. რამდენადაც საწყისის გამოხატულება არის წმინდა სულიერება, ეს დაცემა შეიძლება დავახასიათოთ როგორც თანდათანობითი მატერიალიზაცია. ვამბობთ საწყისის გამოხატულებას და არა საწყისს, რადგანაც თავად საწყისი ყოველგვარი დაპირისპირებულობის მიღმა დგას და დაუშვებელია მისი აღნიშვნა ისეთი ტერმინით, რომელიც რაიმე დაპირისპირებულობაზე მიუთითებს. სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „სული" და „მატერია", ჩვენთვის მხოლოდ სიმბოლური ღირებულება აქვს; ჩვენ მათ დასავლური ენიდან ვსესხულობთ და ვიყენებთ აქ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სათქმელის გასამარტივებლად. ნაგულისხმევი სინამდვილის გამოსახატად ეს სიტყვები გამოდგება მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ ჩამოვაცილებთ თანამედროვე ფილოსოფიის ინტერპრეტაციებს. ამ უკანასკნელის „სპირიტუალიზმი" და „მატერიალიზმი" ჩვენთვის წარმოადგენს ორ ურთიერთ - შემავსებელ ფორმას, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ. ორივე ერთნაირად უგულებელსაყოფია მათთვის, ვისაც სურს პირობით თვალსაზრისებზე მაღლა დადგომა.

რამდენადაც ჩვენ აქ არ ვაპირებთ წმინდა მეტაფიზიკის განხილვას, შეიძლება თავს მივცეთ ამ ტერმინების გამოყენების უფლება, თუკი, ცხადია, მხედველობის არედან არც ერთი წუთით არ დავკარგავთ არსობრივ საწყისებს და, ამასთანავე, ყველა ზომას მივიღებთ ორაზროვნებათა თავიდან ასაცილებლად. მართალია, „სული" და „მატერია" არაადექვატური ტერმინებია, მაგრამ მაინც სასურველია ისინი აქ გამოვიყენოთ, რადგან მათი საშუალებით შეიძლება უფრო მარტივად გადმოვცეთ ის, რაც ისედაც ძნელი გასაგებია დასავლური მენტალიტეტისთვის. რა თქმა უნდა, ასეთი გამარტივება დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მოხერხდება საგანთა ბუნების დაუმახინჯებლად.

რაც ზემოთ ითქვა ამჟამინდელი მანიფესტაციის მსვლელობის შესახებ, წარმოადგენს სინამდვილის ერთობ გამარტივებულ და სქემატურ სურათს. ეს სურათი მთლიანობაში ზუსტია, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს გაშლა-განვითარება მიმდინარეობდეს მხოლოდ ერთი მიმართულებით, სწორხაზოვნად და რაიმე რხევების გარეშე. სინამდვილე გაცილებით უფრო რთულია. მართლაც, ყველა მოვლენაში, როგორც უკვე შევნიშნეთ, უნდა გავითვალისწინოთ ორი საპირისპირო ტენდენცია: აღმავალი და დაღმავალი. შეიძლება მივმართოთ გამოხატვის სხვა ფორმას და ვთქვათ, რომ ერთი ტენდენცია ცენტრიდანულია, მეორე – ცენტრისკენული. ამ ორიდან ერთ-ერთის უპირატესობა განაპირობებს მანიფესტაციის ორ ურთიერთშემავსებელ ფაზას, კერძოდ, საწყისიდან დაშორების და საწყისთან მიბრუნების ფაზებს, რომლებსაც ტრადიციული სიმბოლიზმი ხშირად გულის ფეთქვას ან სუნთქვის ორ ფაზას ადარებს. მართალია, ჩვეულებრივ, მათ აღწერენ როგორც თანმიმდევრულ ფაზებს, მაგრამ, სინამდვილეში, ის ორი ტენდენცია, რომელთაც ეს ორი ფაზა შეესატყვისება, ყოველთვის ერთდროულად, ოღონდ განსხვავებული თანაფარდობით მოქმედებს. ზოგ კრიტიკულ მომენტში, როცა სამყაროში თითქოს საბოლოოდ უნდა გაიმარჯვოს დაღმავალმა ტენდეციამ, შესაძლებელია მოხდეს განსაკუთრებული ჩარევა საპირისპირო ტენდენციის განსამტკიცებლად. ასეთი ჩარევის ძალით კვლავ დამყარდება ერთგვარი ფარდობითი წონასწორობა, – ისეთი, როგორსაც აიტანს შექმნილი ვითარება – და მოხდება ნაწილობრივი აღდგენა, რომელიც თითქოს შეაჩერებს ან დროებით გააუქმებს დაცემის პროცესს.[1]

ის ტრადიციული მონაცემები, რომლებიც აქ მოკლედ მოვხაზეთ, საკმარისია იმის დასანახად, თუ რამდენად განსხვავებულ, ფართო და ღრმა კონცეფციების

შესაძლებლობას იძლევიან ისინი „ისტორიის ფილოსოფიის“ თანამედროვე მცდელობებთან შედარებით. მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არ ვაპირებთ სათავემდე ავყვეთ ახლანდელ ციკლს, არც Kali-Yuga-ს პირველ ეპოქათა განხილვა განგვიზრახავს. ჩვენი მიზნები გაცილებით უფრო ვიწრო სფეროთი იფარგლება: ესაა Kali-Yuga-ს ბოლო ფაზები. მართლაც, ყოველი დიდი პერიოდის შიგნით შეიძლება გამოვარჩიოთ სხვადასხვა მეორადი ფაზები, რომლებიც წარმოადგენენ ციკლის ქვედანაყოფებს. რამდენადაც ნაწილი მთელის ანალოგიურია, ქვედანაყოფი პატარა მასშტაბით იმეორებს იმ დიდი ციკლის მსვლელობას, რომელშიც თვითონ არის ჩართული. მაგრამ ეს კანონი ყოველ კერძო შემთხვევას თავისებურად მიესადაგება და ამ თავისებურებათა სრული გამოკვლევა ერთობ დაგვაშორებს ჩვენს განსახილველ თემას. ამიტომაც ამ წინასწარ შენიშვნებს დავასრულებთ მხოლოდ იმ რამდენიმე განსაკუთრებულად კრიტიკული ეპოქის ჩამოთვლით, რომელიც კაცობრიობამ ბოლო ხანებში გამოიარა. ეს ეპოქები განეკუთვნება პერიოდს, რომელსაც, ჩვეულებრივ, „ისტორიულს“ უწოდებენ, რადგანაც ეს ერთადერთი მისაწვდომი პერიოდია რიგითი ანუ „პროფანული“ ისტორიისთვის. თვალის გადავლება ამ ეპოქებზე ბუნებრივად მიგვიყვანს ჩვენი კვლევის საგანთან, ანუ იმ უკანასკნელ კრიტიკულ ეპოქასთან, რომელსაც წარმოადგენს თანამედროვეობა.

არსებობს ერთი უცნაური ფაქტი, რომელსაც, ჩვენის აზრით, არ ექცევა სათანადო ყურადღება: საკუთრივ „ისტორიული“ პერიოდი ვერ სცილდება ძვ.წ. VI საუკუნეს, თითქოს იქ, იმ დროში, იყოს ბარიერი, რომლის გადალახვა შეუძლებელია რიგით მკვლევართა ხელთ არსებული საშუალებებით. მართლაც, VI საუკუნიდან მოკიდებული, ყველგან არსებობს ზუსტი და მკაფიოდ დადგენილი ქრონოლოგია, ამ ეპოქებზე უფრო ადრეულ მოვლენათა თარიღები კი რამდენიმე საუკუნის სიზუსტით თუ მოინიშნება. ეს თვალშისაცემია ისეთი ქვეყნების შემთხვევაშიც, სადაც უბრალო გადმონაშთებზე გაცილებით უფრო მეტი რამ არის შემონახული. ასეთია, მაგალითად, ეგვიპტის შემთხვევა. კიდევ უფრო მეტ გაოცებას იწვევს ისეთი უნიკალური შემთხვევა, როგორიც არის ჩინეთი. ჩინურ ანალებში წარსულის გაცილებით უფრო შორეული ეპოქები დათარიღებულია ისეთი ასტრონომიული დაკვირვებების საშუალებით, რომლებიც არავითარ ეჭვს არ ტოვებენ. მაგრამ თანამედროვენი ამ ეპოქებს მაინც „ლეგენდურად“ მიიჩნევენ, თითქოს საქმე ჰქონდეთ ისეთ სფეროსთან, სადაც რაიმეს დაჯერება დაუშვებელია, რაიმეს გარკვევა – აკრძალული. ასე რომ, ეგრეთწოდებული ანტიკურობა, სინამდვილეში, ერთობ ფარდობითია. იგი გაცილებით უფრო ახლოა თანამედროვეობასთან, ვიდრე ნამდვილ ანტიკურობასთან, რადგან Kali-Yuga-ს ნახევრამდიც კი ვერ ადის, Kali-Yuga კი, ინდური მოძღვრების თანახმად, კაცობრიული ციკლის, „მანვატარას“, მხოლოდ მეათედ ნაწილს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ადვილად განვსჯით, თუ რამდენად ფართოა ის ისტორიული ცოდნა, რომლითაც ამაყობენ ჩვენი თანამედროვენი. ალბათ, ისინი თავს მაინც იმით გაიმართლებდნენ, რომ ყველა ეს პერიოდი „ლეგენდურია“ და, ამდენად, საჭირო არ არის მათი მხედველობაში მიღება. მაგრამ მსგავსი პასუხი იქნება ჩვენს თანამედროვეთა უვიცობისა და მიუხვედრელობის აღიარება, რითაც აიხსნება კიდევაც მათი აგდებული დამოკიდებულება ტრადიციის მიმართ. მართლაც, სპეციფიურად თანამედროვე სული ხომ სხვა არაფერია, თუ არა ანტიტრადიციული სული.

ძვ.წ. VI საუკუნეში თითქმის ყველა ხალხში მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები. ამ ცვლილებათა ხასიათი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგან მოხდა ტრადიციის რეადაპტაცია მკაცრად ორთოდოქსული ხაზით, მისი მისადაგება უწინდელისგან განსხვავებულ პირობებთან. კერძოდ, ეს მოხდა ჩინეთში, სადაც ერთ მთლიანობად არსებული თავდაპირველი მოძღვრება გაიყო ორ მკვეთრად განსხვავებულ შტოდ: მხოლოდ ელიტისთვის განკუთვნილ დაოიზმად, რომელიც მოიცავს ტრადიციული მეცნიერების წმინდად სპეკულატიური რანგის დარგებს, და ყველასათვის განკუთვნილ კონფუციონიზმად, რომლის ფუნქცია არის საწყისთა პრაქტიკული გამოყენება, ძირითადად კი – მათი გატარება სოციალურ სფეროში. როგორც ჩანს, იმავე დროს მოხდა მაზდეანობის რეადაპტაცია სპარსეთში, რადგან VI საუკუნე – უკანასკნელი ზოროასტრის ეპოქაა.[2] ინდოეთში იმხანად წარმოიშვა ბუდიზმი, რომელიც, საბოლოოდ, ზოგი-

ერთ განშტოებაში მაინც, ტრადიციული სულის წინააღმდეგ ამხედრდა და, თავდაპირველი ხასიათის მიუხედავად, მივიდა ყოველგვარი ავტორიტეტის უარყოფამდე და ნამდვილ ანარქიამდე, – ამ სიტყვის ეტიმოლოგიური აზრით („საწყისის არყოფნა"), – როგორც ინტელექტუალურ, ისე სოციალურ სფეროში.[3] საყურადღებო ფაქტია, რომ ინდოეთში ვერსად შეხვდებით ამ ეპოქაზე უფრო ადრეული პერიოდის ძეგლებს. ორიენტალისტებმა, რომლებიც, რაღაც მიზეზით, ბუდიზმის მნიშვნელობას აზვიადებენ და ცდილობენ ყველა მომდევნო წამოწყებამას მიაწერონ, მოინდომეს ამ ფაქტის გამოყენება თავიანთი დებულების სასარგებლოდ. მაგრამ ეს სულ უბრალოდ აიხსნება: მანამდელი ნაგებობები, როგორც წესი, ხის იყო და, ბუნებრივია, უკვალოდ გაქრნენ.[4] ის კი მართალია, რომ ასეთი ცვლილება მშენებლობის წესში მიუთითებს უფრო ღრმა ცვლილებაზე, რომელიც უნდა განეცადა იმ ხალხის არსებობის საერთო პირობებს.

თუ გადავინაცვლებთ დასავლეთისკენ, დავინახავთ, რომ ებრაელებისთვის იგივე ეპოქა იყო ბაბილონის ტყვეობის ხანა. შევნიშნოთ ერთი საკვირველი ფაქტიც: 70 წლის მოკლე პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ებრაელებს საკუთარი დამწერლობაც კი დაეკარგათ: წმინდა წერილის აღდგენა მათ მოუხდათ მანამდე არსებულისაგან განსხვავებული ანბანით. შეიძლება დავასახელოთ კიდევ მრავალი მოვლენა, რომელიც უკავშირდება ამ თარიღს. რომისთვის VI საუკუნე საკუთრივ „ისტორიული" ეპოქის დასაწყისია, რომელიც მეფეთა ლეგენდურ ხანას მოჰყვა. ცნობილია ისიც, რომ ამ დროს მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა კელტ ხალხებში... მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით და საბერძნეთზე გადავალთ. იქაც VI საუკუნე ე.წ. „კლასიკური" ცივილიზაციის დასაწყისია, იმ ცივილიზაციისა, რომლის ისტორიულობასაც სცნობენ ჩვენი თანამედროვენი. ხოლო სხვა ყველაფერი, რაც უფრო ადრეულია, ცუდად არის ცნობილი და შერაცხულია „ლეგენდურად", მიუხედავად უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებისა, რომლებიც ეჭვს აღარ ტოვებენ იქ რეალურად არსებული ცივილიზაციის შესახებ. ჩვენ კი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველი ელინური ცივილიზაცია ინტელექტუალურად ამომდევნოზე საგრძნობლად უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო. ამ ორ ცივილიზაციას შორის არსებული ურთიერთობა ერთგვარ ანალოგიას ავლენს იმ ურთიერთობასთან, რომელიც არსებობს შუა საუკუნეების ევროპასა და თანამედროვე ევროპას შორის. თუმცა, საბერძნეთის შემთხვევაში, გახლეჩა ისეთი რადიკალური არ ყოფილა, რადგან ტრადიციის რეადაპტაცია, მისი მისადაგება ახალ პირობებთან, ნაწილობრივ მაინც განხორციელდა, ძირითადად მისტერიების სფეროში. ამასთან არის დაკავშირებული პითაგორიზმი, რომელშიც უნდა დავინახოთ ახალი ფორმით აღდგენილი ორფიზმი. მისი აშკარა კავშირი ჰიპერბორეელი აპოლონის დელფიურ კულტთან კი იმას მოწმობს, რომ პითაგორიზმი თანმიმდევრული და უწყვეტი ხაზით უკავშირდება კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ტრადიციას. მაგრამ, იმავდროულად, გაჩნდა ახალი, მანამდე უცნობი რამ, რასაც შემდგომში დამლუპველი ზეგავლენა უნდა მოეხდინა მთელ დასავლურ სამყაროზე. მხედველობაში გვაქვს აზროვნების ის სპეციფიური მოდალობა, რომელმაც მიიღო და დღემდე შეინარჩუნა „ფილოსოფიის" სახელი. ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და მასზე ყურადღების შეჩერებას ითხოვს.

თავისთავად, სიტყვა „ფილოსოფიას" თავისი კანონიერი მნიშვნელობა აქვს და თავდაპირველად, ალბათ, ამ მნიშვნელობით იქნა გამოყენებული, მით უმეტეს, თუ – როგორც ამას ირწმუნებიან – ეს სიტყვა მართლაც პითაგორამ შემოიღო პირველად. ეტიმოლოგიურად „ფილოსოფია" სხვა არაფერია, თუ არა „სიბრძნის სიყვარული". ასე რომ, უწინარეს ყოვლისა, იგი აღნიშნავს სიბრძნემდე მისაღწევად საჭირო განწყობას. ასეთი განწყობიდან იბადება ძიება და სიტყვა „ფილოსოფიამ" – თუ ძალდაუტანებლად განვავრცობთ მის მნიშვნელობას – შეიძლება აღნიშნოს ეს ძიებაც, ძიება, რომელსაც ადამიანი ცოდნისაკენ მიჰყავს. ამრიგად, „ფილოსოფია" აღნიშნავს მოსამზადებელ ეტაპს, სიბრძნისაკენ მიმავალ გზას, ანუ საფეხურს, რომელიც თვით სიბრძნეზე უფრო დაბალ მდგომარეობას შეესატყვისება.[5] მაგრამ შემდგომში ეს სიტყვა გადაცდა თავისი კანონიერი მნიშვნელობის ფარგლებს: გარდამავალი სტადია თვით მიზანს გაუთანაბრეს და სიბრძნე ფილოსოფიით

შეცვალეს, რაც სიბრძნის ნამდვილი ბუნების დავიწყებას ან უგულებელყოფას ნიშნავდა. ასე დაიბადა ის, რასაც შეიძლება „პროფანული ფილოსოფია" ვუწოდოთ. ეს არის წმინდა წყლის ადამიანური ანუ რაციონალური ფსევდო-სიბრძნე, რომელმაც დაიკავა ნამდვილი, ზერაციონალური, „არა-ადამიანური" სიბრძნის ადგილი. ეს უკანასკნელი, გარკვეულწილად, მაინც განაგრძობდა არსებობას ხანაში. ამას მოწმობს, ერთის მხრივ, მისტერიათა არსებობა, რომელთა არსებითად ინიციაციური ხასიათი სადავო არ არის და, მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ ფილოსოფოსთა სწავლებას ხშირად ორი მხარე ჰქონდა: ეგზოთერული და ეზოთერული. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია უფრო მაღლამდგომ თვალსაზრისთან, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ძალზე მკაფიოდ გამოვლინდა ალექსანდრიელებთან, თუმცა კი – ერთგვარი ხარვეზებით.

პროფანული ფილოსოფიის, როგორც ასეთის, ჩამოყალიბებისთვის საჭირო იყო ყოველგვარი ეზოთერიზმის უკუგდება და ეგზოთერიზმის შენარჩუნება. სწორედ ამით დასრულდა თანამედროვე ეპოქაში ოდესღაც ბერძენთა მიერ წამოწყებული მოძრაობა.

ტენდენცია, რომელიც პირველად მათ გამოამჟღავნეს, მიყვანილ იქნა უკიდურესობამდე, საზღვრამდე. ის გადაჭარბებული მნიშვნელობა, რაც ბერძნებმა მიანიჭეს რაციონალურ აზროვნებას, დროთა განმავლობაში სულ უფრო გაიზარდა და რაციონალიზმით დაბოლოვდა. რაციონალიზმი სპეციფიურად თანამედროვე მსოფლმხედველობაა, რომელიც არა მხოლოდ უგულებელყოფს, არამედ გადაჭრით უარყოფს ყველაფერს, რაც ზერაციონალურ სფეროს ეკუთვნის. მაგრამ სათქმელს წინ ნუ გავუსწრებთ. ამ ნაშრომის სხვა თავში ჩვენ კიდევ მოგვიწევს რაციონალიზმისა და მისი შედეგების განხილვა.

ზემოთქმულში ხაზგასასმელია ერთი განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტი: თანამედროვე სამყაროს ზოგიერთი სათავე კლასიკურ ანტიკურობაშია საძებნელი. ასე რომ, თანამედროვეობა მთლად არ ცდება, როდესაც იგი ბერძნულ-ლათინურ ცივილიზაციას იმოწმებს და თავს მის გამგრძელებლად აცხადებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ძალზე შორეული და არცთუ მაინცდამაინც ერთგული მემკვიდრეა, რადგან „კლასიკური" ხანის ინტელექტუალურ და სულიერ სფეროში, ყველაფრის მიუხედავად, ბევრია ისეთი რამ, რის ტოლფასსაც ვერსად შევხვდებით თანამედროვე ცივილიზაციაში. ასეა თუ ისე, ნამდვილი ცოდნის თანდათანობითი დაბნელების პროცესში ეს ორი ცივილიზაცია საკმაოდ განსხვავებულ ეტაპებს წარმოადგენს.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ანტიკური ცივილიზაციის თანდათანობითი და შეუჩერებელი დეკადანსი, საბოლოოდ, დღევანდელის მსგავს მდგომარეობას მოიტანდა. მაგრამ ასე არ მოხდა. დაცემის პროცესი შეყოვნდა და, შუალედში, დასავლეთს სხვა კრიტიკული ეპოქა დაუდგა. ამჯერად ეს იყო აღორძინების ხანა, - ისეთი, როგორზეც ზემოთ მივანიშნეთ.

ეს არის ქრისტიანობის დაბადების და გავრცელების ეპოქა, რომელიც დაემთხვა, ერთის მხრივ, ებრაელი ხალხის გაფანტვას და, მეორეს მხრივ, ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის უკანასკნელ ფაზას. მართალია, ეს მნიშვნელოვანი მოვლენებია, მაგრამ მათ მხოლოდ გაკვრით შევეხებით, რადგანაც ამ მოვლენებს, ჩვეულებრივ, უფრო უკეთ იცნობენ, ვიდრე აქამდე განხილულთ. ზემოთ დასახელებულ მოვლენათა სინქრონულობა არ გამოპარვიათ თვით ისეთ ისტორიკოსებსაც კი, რომელთაც უკიდურესად ზედაპირული თვალსაზრისები აქვთ. ასევე, ყველას აქვს შემჩნეული ის საერთო ნიშნები, რომლითაც ხასიათდება ანტიკური დეკადანსი და ახლანდელი ეპოქა. პარალელიზმი მეტისმეტადაც არ უნდა გავაზვიადოთ, თუმცა ამ ეპოქებს შორის მართლაც არსებობს რამდენიმე თვალშისაცემი მსგავსება. წმინდად პროფანულ ფილოსოფიას უპირატესობა მიენიჭა სწორედ „კლასიკურ" ანტიკურობაში. ერთის მხრივ, სკეპტიციზმის წარმოშობა და, მეორეს მხრივ, სტოიკური და ეპიკურეული „მორალიზმის" წარმატება საკმაოდ კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დაეცა ინტელექტუალობა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს უკვე აღარავის ესმოდა ძველი საკრალური მოძღვრებები, რამაც განაპირობა ამ უკანასკნელთა გადაგვარება პაგანიზმად, ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით. ამ მოძღვრებებმა, მას შემდეგ, რაც დაიკარგა მათი ღრმა მნიშვნელობა, არსებობა განაგრძეს მხოლოდ გარეგნულ გამოხატულებებში და „ცრუ-რწმენებად"

იქცნენ. ყოფილა მათი გადარჩენის მცდელობები. თვით ელინიზმმა ისესხა უცხო ელემენტები აღმოსავლური მოძღვრებებიდან, რომლებთანაც, ალბათ, კონტაქტში იყო, და სცადა აღორძინება მათი მეოხებით. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას სიცოცხლე აღარ ეწერა. აღდგენა სულ სხვა მხრიდან უნდა მოსულიყო და სხვა ფორმით უნდა განხორციელებულიყო: ეს გარდაქმნა ქრისტიანობას დაეკისრა. გაკვრით შევნიშნავთ, რომ მაშინდელ და ახლანდელ დროებათა შორის არსებული ზოგიერთი მსგავსება წარმოადგენს, ალბათ, ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს იმ უთავბოლო „მესიანიზმისა", რომელიც ამ ბოლო ხანებში გაჩნდა. ბარბაროსთა შემოსევებს საბოლოოდ უნდა დაემსხვრიათ ძველი ვითარება. ამ მღელვარე ეპოქის შემდეგ კი რამდენიმე საუკუნით აღდგა ნორმალური წესრიგი. ეს იყო შუა საუკუნეები, ესოდენ უგულებელყოფილი ჩვენს თანამედროვეთა მიერ, რომელთაც არ აღმოაჩნდათ მისი ინტელექტუალობის გაგების უნარი. ეს ეპოქა თანამედროვე ადამიანისთვის „კლასიკურ" ანტიკურობაზე გაცილებით უფრო უცხოა და შორეული.

ჩვენთვის შუა საუკუნეები მოიცავს პერიოდს კარლოს დიდის მეფობიდან XIV საუკუნის დამდეგამდე. ამ ეპოქიდან იწყება დაცემის ახალი პროცესი, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო გამოიკვეთება და, სხვადასხვა ეტაპების გავლით, ჩვენამდე მოატანს. თანამედროვე კრიზისი სწორედ ამ ეპოქაში იწყება. ეს ის დროა, როცა დაშლა დაიწყო საქრისტიანომ, რომელთანაც, არსებითად, გაიგივდა შუა საუკუნეების დასავლური ცივილიზაცია. ეს დრო ქრისტიანობასთან მჭიდროდ შერწყმული ფეოდალური წყობილების დასასრული და ეროვნებათა ჩამოყალიბების დასაბამია. ასე რომ, თანამედროვე ეპოქის სათავე გადასაწევია დადგენილი დროიდან ორი საუკუნით უკან. რაც შეეხება რენესანსს და რეფორმას, ისინი შედეგებს წარმოადგენენ. მათი წარმოშობა შესაძლებელი გახადა მანამდე დაწყებულმა დეკადანსმა. უნდა ითქვას, რომ რენესანსი და რეფორმა ნიშნავს არათუ რაიმე აღორძინებას, არამედ პირიქით – ღრმა დაცემას. მათ საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი ტრადიციულ სულთან: ერთმა მეცნირების და ხელოვნების სფეროში, მეორემ კი – თვით რელიგიის სფეროში, ანუ სწორედ იქ, სადაც ასეთი გახლეჩვა ყველაზე ძნელი წარმოსადგენი იყო. ის, რასაც რენესანსი დაერქვა, სინამდვილეში ბევრი რამის სიკვდილი იყო, რაც სხვა დროსაც არაერთგზის აღგვინიშნავს. აღორძინებამ მოინდომა მიბრუნებულიყო ბერძნულ-ლათინურ ცივილიზაციასთან, მაგრამ მან ამ ცივილიზაციის მხოლოდ გარეგნული მხარე გადაიღო, ანუ ის ერთადერთი მხარე, რომელიც ნათლად გამოიხატა წერილობით ძეგლებში. ცხადია, ასეთი ნაწილობრივი აღდგენა ერთობ ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, რადგანაც იგი განხორციელდა ისეთ ფორმებში, რომელთაც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ შეწყვიტეს თავიანთი ნამდვილი ცხოვრება.

რაც შეეხება შუა საუკუნეების ტრადიციული მეცნიერების დარგებს, XIV საუკუნეში აქა-იქ კიდევ ვაწყდებით მათ გამოვლინებებს. ამის შემდეგ კი საკრალური მეცნიერება ისევე უკვალოდ გაქრა, როგორც მანამდე გამქრალან ამა თუ იმ კატაკლიზმით განადგურებულ შორეულ ცივილიზაციათა მეცნიერებანი. მაგრამ, ამჯერად, მისი ადგილი არაფერს დაუკავებია. ამიერიდან დასავლური ცივილიზაცია დარჩა პროფანული ფილოსოფიის და ასეთივე მეცნიერების ამარა. ეს კი ნიშნავს ნამდვილი ინტელექტუალობის უკუგდებას, ცოდნის უკიდურეს შეზღუდვას, მისი უდაბლეს რანგზე დაყვანით; მოვლენათა ემპირიულ და ანალიტიკურ კვლევას, საწყისებისგან მოწყვეტით; განუსაზღვრელი სიმრავლის არაფრისმთქმელ წვრილმანებში გაფანტვას; ერთმანეთის გამანადგურებელი უსაფუძვლო ჰიპოთეზების და ისეთი ფრაგმენტული თვალსაზრისების თავმოყრას, რომლებსაც არსად არ მივყავართ. ეს თვალსაზრისები იძლევიან მხოლოდ პრაქტიკული გამოყენების საშუალებას, რაც თანამედროვე ცივილიზაციის ერთადერთ უპირატესობას შეადგენს, მაგრამ ეს უპირატესობა, რომლის განვითარებამ ლამის ყველა სხვა საქმიანობა მოსპოს, არცთუ იმდენად შესაშურია. სწორედ ამ უპირატესობამ მიანიჭა თანამედროვე ცივილიშზაციას წმინდად მატერიალური ხასიათი და ნამდვილ მონსტრად აქცია იგი.

გაოცებას იწვევს ის სისწრაფე, რომლითაც სრულ დავიწყებას მიეცა შუა საუკუნეების ცივილიზაცია. XVII საუკუნის ადამიანებს მის შესახებ ოდნავი წარმოდგენაც აღარ ჰქონდათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემორჩენილი ძეგლები მათში არც ინტელექტუალური და არც ესთეტიკური თვალსაზრისით არ იწვევდნენ რაიმე ინტერესს. აქედან შეგვიძლია განვსაჯოთ, თუ როგორი ცვლილება უნდა განეცადა დროის ამ მონაკვეთში ადამიანის მენტალიტეტს. აქ ჩვენ არ დავიწყებთ იმ კომპლექსურ ფაქტორთა გამოკვლევას, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ცვლილება. ისე კი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი რადიკალური ცვლილება მომხდარიყო სპონტანურად და აქ არ ჩარეულიყო რაღაც წარმმართველი ნება, რომლის ბუნება, თავისთავად ცხადია, ბნელით მოცული რჩება. ამ მხრივ შეინიშნება უცნაური გარემოებები. ასე მაგალითად, განსაზღვრულ დროს მოხდა ისეთი ფაქტების თუ მოვლენების საყოველთაოდ გამომზეურება და ახალ აღმოჩენებად გასაღება, რომლებიც ცნობილი იყო დიდი ხნით ადრე, მაგრამ მათ შესახებ ცოდნას სახალხოდ არ აქვეყნებდნენ, რადგან ამას შეიძლებოდა მოეტანა ისეთი ზიანი, რომელიც ბევრად გადაწონიდა მათსავე სიკეთეს.[6] დაუჯერებელია ისიც, რომ თავისით გაჩენილიყო და გავრცელებულიყო მითი, რომელმაც შუა საუკუნეების „სიბნელის", უვიცობის და ბარბაროსობის ეპოქად წარმოადგინა, და რომ ისტორიის ასეთი გაყალბება, რომელსაც ხელი მიჰყვეს ჩვენმა თანამედროვეებმა, წამოწყებულიყო რაიმე წინასწარი განზრახვის გარეშე. მაგრამ ამ საკითხს მეტად აღარ ჩავეძიებით. რა მიზნითაც არ უნდა შესრულებულიყო ეს სამუშაო, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შედეგების კონსტატირება.

რენესანსის ეპოქაში განსაკუთრებული პატივით შეიმოსა ერთი სიტყვა, რომელმაც წინდაწინ შეაჯამა თანამედროვე ცივილიზაციის მთელი პროგრამა: ეს არის სიტყვა „ჰუმანიზმი". მართლაც, ამ ეპოქაში ყველაფერი უნდა დაყვანილიყო ადამიანურ პროპორციებამდე; უნდა უკუგდებულიყო აღმატებული რანგის ყოველგვარი საწყისი; ადამიანი, სიმბოლურად რომ ვთქვათ, უნდა მოტრიალებულიყო ციდან მიწისკენ, ამ უკანასკნელის დაუფლების საბაბით. ბერძნები, რომელთა მაგალითს თითქოსდა მისდევდნენ თანამედროვე ცივილიზაციის წარმომადგენლები, არასოდეს წასულან ასე შორს ამ მიმართულებით, - თვით ყველაზე მწვავე ინტელექტუალური დეკადანსის დროსაც კი. მათ, ჩვენს თანამედროვეთაგან განსხვავებით, პირველ პლანზე [illegible] მოუნევიათ უტილიტარული საზრუნავი. ჰუმანიზმი წარმოსდგება როგორც თანამედროვე „ლაიციზმის" ერთგვარი პირველადი ფორმა. მას შემდეგ, რაც ადამიანი თვითმიზნად იქცა, მოისურვეს, რომ ყველაფერი ადამიანურ საზომზე დაეყვანათ... მაგრამ დაცემის პროცესი გაგრძელდა და ადამიანი სულ უფრო და უფრო ქვემოთ დაეშვა. იგი იქამდე მივიდა, რომ ძიების ერთადერთ საგნად ექცა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელიც მისი ბუნების მატერიალურ მხარეს ახასიათებს. მაგრამ ეს მცდელობა ილუზიურია, რადგანაც იგი გამუდმებით წარმოშობს ახალ-ახალ ხელოვნურ მოთხოვნილებებს, - იმაზე გაცილებით მეტს, რისი დაკმაყოფილებაც მას შეუძლია.

ბოლომდე დაეშვება თანამედროვე სამყარო ამ საბედინიერო დაღმართზე თუ - როგორც ბერძნულ-რომაული დეკადანსის დროს - ამჯერადაც მოხდება რაღაც აღდგენა მანამდე, სანამ იგი მიაღწევს იმ უფსკრულის ფსკერს, რომლისკენაც მიექანება? აშკარაა, რომ შეუძლებელია მისი შეჩერება ამ თავდაღმართზე. როგორც ტრადიციულ მოძღვრებათა მითითებებიდანაც ჩანს, ეტყობა, ჩვენ, მართლაც, შევაბიჯეთ Kali-Yuga-ს ფინალურ ფაზაში, ბნელი ხანის ყველაზე ბნელ პერიოდში, ანუ დაშლა-რღვევის ისეთ მდგომარეობაში, რომლიდანაც კატაკლიზმის მეტი ვერაფერი გამოგვიყვანს. ამ მდგომარეობის ნაწილობრივად გამოსწორება არ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ყოვლისმომცველი განახლება. ყველა სფეროში გაბატონებულია უწესრიგობა და ქაოსი, თანაც მათ ისეთ ხარისხს მიაღწიეს, რომელიც ბევრად აღემატება აქამდე ნანახს თუ გაგონილს. დასავლეთიდან წამოსული ანარქია ქვეყანას მოედო და ამჯერად უკვე ლამობს მთელი მსოფლიო მოიცვას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ანარქიის გამარჯვება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დროებითი და მოჩვენებითი, მაგრამ ახლანდელი ანარქია - იმ დონის მიხედვით, რომელაც მან სადღეისოდ მიაღწია - მიანიშნებს უმწვავეს კრიზისზე ყველა იმათგან, რომელიც კი გამოუვლია კაცობრიობას მიმდინარე ციკლის მანძილზე. განა ჩვენ არ მივადექით იმ შემზარავ ეპოქას, რომლის დროსაც, როგორც იუწყებიან ინდოეთის წმინდა წიგნები, „ერთმანეთში აირევა კასტები და თვით ოჯა-

ხიც აღარ იარსებებს". ირგვლივ თუ მიმოვიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მსოფლიოს ახლანდელი მდგომარეობა ნამდვილად ასეთია. ყველგან შეიმჩნევა ის ღრმა კრიზისი, რომელსაც სახარება „გატიალების სიბილწეს" უწოდებს. მდგომარეობა უაღრესად მძიმეა. მასზე თვალის დახუჭვა არაფერს მოგვიტანს. შექმნილი ვითარება უნდა დავინახოთ ისეთი, როგორიც ის არის, რაიმე ოპტიმიზმის და თუნდაც პესიმიზმის გარეშე, რადგან ძველი სამყაროს დასასრული, როგორც უკვე შევნიშნეთ, ახალი სამყაროს დასაწყისი იქნება.

ისმის კითხვა: რა არის მიზეზი ისეთი პერიოდის არსებობისა, როგორშიც ამჟამად ვიმყოფებით? მართალია, დღევანდელი პირობები, ცალკე თუ განვიხილავთ, ანომალურია, მაგრამ ისინი ჩართული არიან მოვლენათა საყოველთაო წესრიგში, იმ წესრიგში, რომელსაც ქმნის – აღმოსავლურ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ – ყველა უწესრიგობათა ჯამი. ამ ეპოქას, რაოდენ მძიმე და აშლილიც უნდა იყოს, თავისი ადგილი უჭირავს ადამიანური ციკლის განვითარების მთლიანობაში, – ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ეპოქას. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მის დადგომას წინასწარმეტყველებდნენ ტრადიციული მოძღვრებები. დღევანდელი მდგომარეობის უშუალო ახსნას წარმოადგენს ის, რაც ვთქვით მანიფესტაციის ციკლის ზოგად მსვლელობაზე, რომელიც მიმდინარეობს თანდათანობითი მატერიალიზაციის გზით. გარდა ამისა, ჩვენი ნათქვამი თვალსაჩინოს ხდის სხვა რამესაც: ის, რაც ანომალური და უწესრიგოა კერძო თვალსაზრისით, წარმოადგენს ისეთი კანონის შედეგს, რომელიც უკავშირდება უფრო მაღლამდგომ და ფართო თვალსაზრისს. ერთსაც დავამატებთ, მცირე შენიშვნის სახით: ერთი ციკლიდან მეორეზე გადასვლა ნიშნავს მდგომარეობის შეცვლას, მდგომარეობის ყოველგვარი ცვლილება კი ყოველთვის ბნელში მიმდინარეობს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს უაღრესად მნიშვნელოვან კანონთან, რომელსაც მრავალგვარი გამოვლინება თუ გამოყენება აქვს. თითოეულის დაწვრილებითი განხილვა მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა.[7]

გასაშუქებელია კიდევ ერთი საკითხი: ყველა ციკლი პოტენციურად შეიცავს თვისობრივად განსხვავებულ შესაძლებლობებს, რომლებიც მანიფესტაციის მსვლელობისას თანდათანობით გაიშლებიან ციკლის პოტენციის სრულ ამოწურვამდე. ბუნებრივია, თანამედროვე ეპოქა შეესაბამება გარკვეულ შესაძლებლობათა გაშლა-განვითარებას, რომლებიც იმთავითვე ჩართული იქნებოდნენ ამჟამინდელი ციკლის პოტენციაში. მართალია, ციკლის შესაძლებლობათა მთლიან იერარქიაში ისინი იკავებენ უდაბლეს საფეხურს, მაგრამ ეს შესაძლებლობებიც ხომ უნდა გამოვლენილიყვნენ თავისი რიგის მიხედვით, ისევე, როგორც ციკლის ყველა სხვა შესაძლებლობა. ტრადიციის მიხედვით, ციკლის ბოლო ფაზა ხასიათდება იმის ათვისებით, რაც უკუგდებულ ან უგულებელყოფილ იქნა წინა ფაზების დროს. თუ დავუკვირდებით თანამედროვე ცივილიზაციას, ვნახავთ, რომ ეს მართლაც ასეა. იგი, გარკვეულწილად, ცხოვრობს იმით, რაზედაც უარი თქვეს წინა ცივილიზაციებმა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ვნახოთ, თუ როგორ აფასებენ დასავლურ მეცნიერებას და მის ინდუსტრიულ მიღწევებს იმ ცივილიზაციათა ნამდვილი წარმომადგენლები, რომლებიც დღემდე შემორჩენილან აღმოსავლურ სამყაროში. მაგრამ ხომ უნდა რეალიზებულიყო დაბალი რანგის ეს ცოდნაც, ესოდენ ამაო იმათ თვალში, ვინც სულ სხვა რანგის ცოდნას ფლობს, - თუმცა ეს განხორციელდა ნამდვილი ინტელექტუალობის გაქრობის შემდეგ, – და ხომ უნდა ჩატარებულიყო მარტოოდენ მატერიალური მნიშვნელობის მქონე ძიებები... ეს კი შესაძლებელი გახდა თავდაპირველი სულიერების საპირისპირო პოლუსზე მდგომ, მატერიაში ჩაფლულ ადამიანთა მიერ, რომლებიც ამ მატერიის იქით ვერაფერს ხედავენ. რაც უფრო მეტად ცდილობენ ისინი ამ მატერიის გამოყენებას, მით მეტად ემონებიან მას. ამ მონობას კი მოაქვს სულ უფრო მეტი უაზრო და უმიზნო შფოთვა. ეს ადამიანები თანდათანობით იკარგებიან წმინდა წყლის რაოდენობრივობაში და საბოლოო დაშლისკენ მიემართებიან.

ასეთია, ზოგადად რომ მოვხაზოთ და არსებითზე დავიყვანოთ, თანამედროვე სამყაროს ახსნა. აქვე გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ახსნა-განმარტება არ უნდა მივიღოთ ამ სამყაროს გამართლებად. უბედურების გარდაუვალობა არანაირად არ ამცირებს ამ უბედურებას, ხოლო ის ფაქტი, რომ ბოროტებიდან შეიძლება წარმოიშვას სიკეთე, სულაც არ ასხვაფერებს თვით ბოროტების ხასი-

ათს. თავისთავად ცხადია, რომ ტერმინებს „ბოროტება“ და „სიკეთე“ ჩვენ ვიყენებთ არა რაიმე მორალური აზრით, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ სათქმელი უფრო გასაგებად გამოიხატოს. შეუძლებელია, არ არსებობდეს ნაწილობრივი უწესრიგობა, რადგან ის შეადგენს ყოვლისმომცველი წესრიგის აუცილებელ ელემენტს. არეული ეპოქა, თავისთავად, შეიძლება შევადაროთ მონსტრს: იგი, ერთის მხრივ, ბუნებრივ კანონთა შედეგია, მეორეს მხრივ კი – ერთგვარი შეცდომა და, ასე ვთქვათ, გადაცდენა. ასეთი ეპოქა შეიძლება შეედაროს, აგრეთვე, კატაკლიზმს, რადგან კატაკლიზმი, ერთის მხრივ, მოვლენათა ნორმალური მსვლელობის შედეგია, მეორეს მხრივ კი – ცალკე განხილული – წარმოადგენს სრულ აყირავებას და ანომალიას. როგორც ყველა მოვლენას, თანამედროვე ცივილიზაციასაც აქვს თავისი არსებობის მიზეზი და თუ ის მართლაც ის ცივილიზაციაა, რომელიც ციკლს დაასრულებს, მაშინ უნდა ითქვას, რომ იგი სწორედ იმას წარმოადგენს, რასაც უნდა წარმოადგენდეს და რომ იგი თავის დროზე მოვიდა და თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, ის უნდა განისაჯოს სახარების სიტყვებით, - იმ სიტყვებით, რომელიც უმეტესობას მცდარად ესმის: „შეუძლებელია, არ მოვიდეს ცდუნებები, მაგრამ ვაი მას, ვისი მეშვეობითაც მოვა.“ (ლუკა, 17.1).

ფრანგულიდან თარგმნა **თამარ ჯაყელმა**

წიგნიდან La crise du monde moderne, Gallimard, 1979

შენიშვნები

1. ეს უკავშირდება „ღვთაებრივი შენახვის“ ფუნქციას, რასაც ინდურ ტრადიციაში ვიშნუ წარმოადგენს. უფრო ზუსტად კი, ეს საკითხი დაკავშირებულია „ავატარათა“, ანუ გამოვლენილ სამყაროში ღვთაებრივი სანყისის „ჩამოსვლის“ მოძღვრებასთან, რომლის აქ განხილვა, ცხადია, წარმოუდგენელია.
2. უნდა ითქვას, რომ სახელი „ზოროასტრი“ სინამდვილეში აღნიშნავს არა კერძო პირს, არამედ ფუნქციას, რომელიც წინასწარმეტყველურიც არის და საკანონმდებლოც. ყოფილა რამდენიმე ზოროასტრი და მათ სულ სხვადასხვა ეპოქებში უცხოვრიათ. ადვილი შესაძლებელია, ამ ფუნქციას ჰქონოდა ისეთივე კოლექტიური ხასიათი, როგორიც ინდოეთში ჰქონდა „ვიასას“. აგრეთვე, ის, რაც ეგვიპტეში მიეწერა თოთს ანუ ჰერმესს, წარმოადგენს მთელი საეკლესიო კასტის შემოქმედებას.
3. ბუდიზმის საკითხი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე შეიძლება გვაფიქრებინოს ამ მოკლე მიმოხილვამ. საგულისხმოა, რომ ინდოელები, საკუთარი ტრადიციის თვალსაზრისიდან გამომდინარე, გმობდნენ ბუდისტებს, მაგრამ უდიდეს პატივს მიაგებდნენ თვით ბუდას. ზოგი მასში ხედავდა მე-9 ავატარას. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბუდას ქრისტესთან აიგივებდნენ. რაც შეეხება ისეთ ბუდიზმს, როგორსაც დღეს იცნობენ, აუცილებელია გავარჩიოთ მისი ორი ფორმა: Mahayana და Hiyana აპაყანა და იყანა, ანუ „დიდი გზა“ და „პატარა გზა“. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთის ფარგლებს გარეთ გავრცელებული ბუდიზმი დიდად განსხვავდება მისი თავდაპირველი ფორმისგან.
4. ასეთი შემთხვევა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ინდოეთისთვის. ის დასავლეთშიც გვხვდება. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენამდე არ შემონახულა გალთა ქალაქების ნაშთები. არადა, მათი არსებობა უდავოა, რაკი ეს იმდროინდელი საბუთებით არის დადასტურებული. ძეგლების არარსებობა, ცხადია, თანამედროვე მეცნიერებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს და გალები ტყეებში მცხოვრებ ველურებად წარმოგვიდგინეს.
5. ამ ორ მდგომარეობას შორის დაახლოებით ისეთივე კავშირია, როგორიც, დაოისტური მოძღვრების მიხედვით, არის „ნეჭიერი კაცისა“ და „ტრანსცენდენტური კაცის“ მდგომარეობებს შორის.
6. მსგავსი ფაქტებიდან, რომელთაც სავალალო შედეგები გამოიღეს, დავასახელებთ მხოლოდ ორს: ესაა თითქოსდა სტამბის გამოგონება, მაშინ, როცა ჩინელები იცნობდნენ მას ქრისტიანულ ხანამდე, და ამერიკის „ოფიციალური“ აღმოჩენა, რომელთანაც გაცილებით უფრო თანმიმდევრული ურთიერთობები არსებობდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ.
7. ეს კანონი ელევსინის მისტერიებში ხორბლის მარცვლით იყო წარმოდგენილი. ალქიმიკოსები მას გამოსახავდნენ „ხრწნით“ და შავი ფერით, რომელიც აღნიშნავს დიდი შემოქმედების დასაწყისს. ის, რასაც ქრისტიანი მისტიკოსები უწოდებენ „სულის ბნელ ღამეს“, წარმოადგენს ამ კანონის თავისებურ მისადაგებას იმ არსების სულიერ განვითარებასთან, რომელიც მაღალი მდგომარეობებისკენ მიიწევს. შეიძლებოდა კიდევ მრავალი შესაბამისობა დაგვესახელებინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგორი პომერანცი

XXI საუკუნის არჩევანი

ეართებული არ იქნება, თუ კავკასიასა და იუგოსლავიაში, აფრიკასა და ინდოეთში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს ისე განვიხილავთ, როგორც წმინდად ადგილობრივ აფეთქებებს. ფეთქდება დასავლეთიდან შემოტანილი ან დასავლეთთან შეხვედრის შემდეგ გაჩენილი იდეები.

როცა კარამზინმა სიტყვა развитие (ფრანგული dévelopement-ის კალკი) შემოიღო, შიშკოვი შეესიტყვა, რომ განვითარება – ესაა დაშლა, დაცარვა თოკისა, და არაფერი სასიკეთო მასში არ არისო. ნაწილობრივ ის მართალია. განვითარება გულისხმობს დიფერენციაციას მთლიანობის დაურღვევლად, მაგალითად, ბავშვი ვითარდება მამაკაცად ან ქალად; იგი იძენს ახალ ფიზიკურ ნაკვთებს, სხვადასხვაგვარ ცოდნასა და უნარს, მაგრამ თავისთავადი რჩება. ასეთია ნორმა. სამწუხაროდ, საზოგადოება არაა დაზღვეული რღვევისგან. პრიმიტიული საზოგადოებები არაჩვეულებრივად მდგრადნი არიან; ცივილიზაციები ერთიმეორის მიყოლებით ინგრეოდა. მათგან ძალზე ცოტამ შეძლო, ეპოვა გამოსავალი ძველი დროის დიდი კრიზისიდან. დღესაც ახალი დიდი კრიზისი გვემუქრება.

კრიზისის მარცვალს უკვე დამწერლობა შეიცავდა. მან საშუალება მისცა კულტურას, ათასობით კერძო გზით წასულიყო, და ამ გზებზე მოხეტიალე ადამიანი კარგავდა ერთიანს, კარგავდა მთავარს. დამწერლობამ მისცა საშუალება იმპერიული ადმინისტრაციის შექმნასა და ათეულობით ტომისა და ხალხის ერთ მმართველობაში მოქცევას. იმპერიულ ცენტრებსა და სავაჭრო ქალაქებში ერთმანეთს ერეოდა ყველა ტომის ხალხი და ირყეოდა ტომობრივი ნორმები. სავაჭრო, ადმინისტრაციული და (ინდოეთში) ქურუმთა გონება ისეთ კითხვებამდე ამაღლდა, რომელთაც ადრე მხოლოდ მითი პასუხობდა, და შეეცადა, ლოგიკაზე დამყარებული სისტემები შეექმნა. ასეთი ფილოსოფიური სისტემა ათეულობით აღმოჩნდა; ამის საერთო შედეგი იყო სკეპტიციზმი. ჭეშმარიტება ჭეშმარიტებათა სიმრავლეში ჩაიკარგა. საზოგადოება ემყარებოდა ფილოსოფიამდე, იმპერიულ სამართლამდე, დამწერლობის გავრცელებამდე ჩამოყალიბებულ ჩვევებს, მაგრამ ზნე-ჩვეულებები თანდათან კნინდებოდა.

მაშინ რელიგიურმა პროცესმა უარი თქვა ტომობრივ კულტებზე და მოიტანა თითოეულისადმი, ცალკეული ადამიანისადმი, პიროვნებისადმი მიმართული გამოცხადება. არც ელინია ქრისტეში და არც იუდეველი. არც ტომებია ბუდიზმსა და ისლამში. გამოცხადების საფუძველზე გაჩნდა მთავარი წიგნი, წმინდა წერილი. შეიძლებოდა, ადამიანი არ ჩაკვირვებოდა ფილოსოფოსთა კამათებს და მხოლოდ **წერილი** ეკითხა, მხოლოდ მისი მცნებები შეესრულებინა. ძველი დროის კრიზისიდან გამოსული კულტურათა ყველა დიდი კოალიცია ასეთ მთავარ წიგნს ეყრდნობა. მუსლიმები ქრისტიანებსა და იუდეველთ მართებულად უწოდებენ წიგნის ხალხს (**წიგნის** და არა წიგნების. წიგნები ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ცივილიზაციები, რომლებიც ძველი დროიდან შუა საუკუნეებში გადავიდნენ, **წიგნს** ეყრდნობოდნენ).

განვითარება არასოდეს არაა უბრალო მოძრაობა ცუდიდან კარგისკენ. ახალ სიკეთესთან ერთად ახალი ბოროტებაც ჩნდება. სულ მუდამ უნდა ვეძებდეთ, რით შეიძლება გაწონასწორდეს ახალი ბოროტება. რომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

~~წორდეს ახალი ბოროტება. რომის~~ დაცემას ძველი დროის ადამიანთა გამბედაობა, სიბრძნე და სამართლიანობა ვერ შეაჩერებდა; საჭირო იყო კიდევ რაღაც: რწმენა, იმედი და სიყვარული. არ შეიძლებოდა იმპერიის შენარჩუნება მუციუს სცევოლას[1] ზნეკეთილობის იმედზე. საჭირო გახდა, შექმნილიყო სექტა იმ ებრაელთა შორის, რომლებიც, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, სახედრის თავს სცემდნენ თაყვანს. კრიზისიდან გამოსავალს ვერც ახლა ვიპოვით, თუკი უბრალოდ შუასაუკუნეობრივ რწმენას მივუბრუნდებით; მაგრამ რამენაირი – და არცთუ მარტივი – მიბრუნება აუცილებელია.

ცივილიზაციები მდგრადნი არიან, თუ დროულად ამჩნევენ ახალ ბოროტებას და ისტორიის მიერ შექმნილ შხამთა საწინააღმდეგო საშუალებას პოულობენ. გარეთ მიმართულ ექსპანსიას, ცოდნის გაფართოებას პერიოდულად რწმენის აღდგენის ეპოქები ცვლიდა. ახალი დროის სწრაფი დინება დასავლეთში რამდენჯერმე დამუხრუჭდა. აღორძინებას მოჰყვა რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია, განმანათლებლობას – რომანტიზმი. განვითარების ეს ზიგზაგები გვაგონებენ გზას, სერპანტინად რომ ეშვება მთიდან (ან მთისკენ მიემართება). განვითარებას აყოლილი არადასავლური ქვეყნები იმ მგზავრის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელიც იძულებულია, კედელზე აცოცდეს ან ფლატეზე გადახტეს. ასეთ პირობებში იდეებმა, შედარებით მშვიდობიანად რომ ღვიოდა დასავლეთში, ფეთქება იწყო.

დასავლეთში უტოპიის იდეამ ბიძგი მისცა სოციალურ რეფორმებს და ძალა დაკარგა. აქ არ ყოფილა უტოპიის სერიოზულად განხორციელების ცდები (როგორც რუსეთში, ჩინეთში, კამბოჯაში). არ ყოფილა იმიტომ, რომ თავბრუსხვევა არც ისე ძლიერი იყო, იმიტომ, რომ საჭირო არ იყო ნახტომი მეჩვიდმეტე საუკუნიდან პირდაპირ მეოცეში და ერთი კულტურიდან მეორეში – დასავლურში (დასავლეთში იგი საკუთარი იყო, აღმოსავლეთში – უცხო).

დასავლეთში ერის იდეა გაჩნდა უკვე თავის საზღვრებში ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში, თავიანთი დამკვიდრებული ენითა და კულტურით. სიტყვა „ერმა" აქ მეფისადმი ერთგულებიდან ხალხის სუვერენიტეტისკენ გადასვლა აღნიშნა. ერი – ესაა მეფის ქვეშევრდომები, რომლებიც თავს სუვერენად შეიცნობენ. საზღვრების შესახებ საკითხი აქ არ დასმულა (ან თითქმის არ დასმულა). ცენტრალურ ევროპაში სხვაგვარი მდგომარეობა იყო. ერის იდეა აქ ომისაკენ მოწოდებად იქცა. გერმანიის გაერთიანებამ გამოაცალკევა (თავისი იმპერიისგან განუყოფელი) ავსტრია და ყველა ჩრდილოგერმანელი საომრად განწყობილ პრუსიას დაუქვემდებარა. გაურკვევლობამ საზღვრებისა, რომლის მიღმაც გერმანია მთავრდებოდა, შვა პანგერმანიზმი. მისმა აგრესიულმა გეგმებმა პირველი და მეორე მსოფლიო ომების წინ იჩინა თავი.

აღმოსავლეთ ევროპაში ერის იდეა მრავალი ტომისგან შემდგარ იმპერიებს შეეჩეხა და ააფეთქა ისინი. არ არსებობს მკვეთრი განსხვავება ჩაგრულ, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოს აშენების შემძლე ერსა და ნაკლებად განვითარებულ, მცირერიცხოვან თუ სხვა ეროვნებებს შერეულ ეროვნებას შორის. ერის იდეამ თურქეთისა და ავსტრიის იმპერიები „ბალკანიზაციამდე" მიიყვანა. საზღვრები ირკვეოდა წესისამებრ: ვინც ღონიერია, ის ქონიერია, და ომებმა დღემდე მოუშუშებელი ჭრილობები დაგვიტოვა. ბალკანეთიდან დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. იქ დღესაც გრძელდება გაბერილი გოლიათების მებრძოლ ქონდრისკაცებად დაშლა, რომლებიც ეთნიკურ ერთიანობას ეთნიკური წმენდის საშუალებით აღწევენ. ეროვნული აქ გადაგვარებულია ტომობრივად და ნაციონალიზმი ტრიბალიზმად. ბევრი ნოსტალგიურად იხსენებს ომამდელ ავსტრიაში გატარებულ ეროვნული ავტონომიის პოლიტიკას.

დაეჭვებულობისა და შიშის მდგომარეობა ახდენს ეროვნული იდეით შეპყრობის პროვოცირებას (ეროვნული ინტერესებით ისეთი შეპყრობისა, რომელიც სხვის ინტერესებს ვერ ითვალისწინებს). ერი იქცევა მოლოქად[2], რომელსაც ადამიანური მსხვერპლი ეწირება, მათ შორის – გაბატონებული ერის წარმომადგენელ იმ ცალკეულ ადამიანთა ინტერესებიც, ვინც განდიდების მანიისკენ არაა მიდრეკილი.

უკიდურეს შემთხვევებში ეს მსხვერპლი პირდაპირი მნიშვნელობით

სისხლიან ხასიათს ღებულობს. ეროვნული შეპყრობილება ეთნოპარანოიაში გადაიზრდება. რჩეული ხალხის მდგომარეობა მტკიცდება ყოველგვარი იურიდიული ხრიკის გარეშე – ავტომატით ხელში.

არავინ აიძულებდა ლენინს, სოციალ-დემოკრატიიდან ბოლშევიზმში გადასულიყო. არავინ აიძულებდა ჰიტლერს, მთელი ერები გაენადგურებინა. და არც არავინ აიძულებს სერბებს, ხორვატებსა და მუსლიმებს, დახოცონ ერთმანეთი. თავად ისინი მოიცვა სიგიჟემ. დასავლეთში დაწყებული ისტორიული პროცესი – აღმოსავლეთში გადასვლისას – ახდენს ბოლშევიზმის, ნაციზმის და ა. შ. პროვოცირებას. მაგრამ დასავლეთს ამაში პირდაპირ არ უძღვის ბრალი. ერთი და იგივე მარქსი შვედეთსა და რუსეთში სხვადასხვაგვარად იქნა წაკითხული. ჩინეთი ლენინის გზას დაადგა, ინდოეთი – ლევ ტოლსტოისას. პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ, ვინც არჩევანი გააკეთა.

მაგრამ თანამედროვე დასავლეთს მხოლოდ საკუთარი განვითარებით გამართლებული და შესაძლო შედეგების მიხედვით საჭიროებანი იდეები არ მოაქვს მსოფლიოსთვის. მონარქიის მარცხი ირანში ანტიდასავლური და ანტიპორნოგრაფიული რევოლუცია იყო. დასავლეთი იქცა სულიერი იერარქიის რღვევის, სიწმინდეთა ერთ დონეზე მდებარე „ფასეულობებად" გადაქცევის სიმბოლოდ. „შენ გიყვარს ქმია, მე მიყვარს ვაშლი", – თქვა ნიჰილისტმა, ტურგენევის რომანის გმირმა. ბოროტება და სიკეთე ერთნაირ სიამოვნებას ანიჭებს სტავროგინს, დოსტოევსკის რომანში „ეშმაკნი". შინაგანი თავისუფლების სივრცეს იკავებს ხორციელი ტკბობის თავისუფლება და ახირების თავისუფლება. შინაგანი თავისუფლებისთვის, სულის თავისუფლებისთვის საჭიროა სხეულის გარკვეული თავშეკავება, გარკვეული თავდაჭერა გარეგანი (პოლიტიკისა თუ რეკლამის) გამოწვევის მიმართ. ისლამური ქვეყნების რეაქციაც თავად დასავლეთის არაკეთილდღეობის ნიშანია.

რიგ მიზეზთა გამო ისლამი მტკივნეულად მგრძნობიარე აღმოჩნდა დასავლური პლურალიზმის უკიდურესობებისადმი. აქ ბევრი რამაა მნიშვნელოვანი: მკაცრი კავშირიც ჭეშმარიტებისა სიტყვასთან, მუჰამადის მიერ გაგონილ, არაბულ სიტყვასთან, სქესის ცდუნებათა დაძაბული განცდაც. შორეული აღმოსავლეთი, თავისი ბუნდოვანი, გამოუთქმელი **გზის** ხატითა და სექსისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულებით, უფრო ადვილად შედის თანამედროვეობაში. ისლამის ფუნდამენტალიზმი მტკივნეული რეაქციაა თანამედროვე დასავლეთის გამოწვევაზე; მაგრამ ესაა რეაქცია არსებულ ბოროტებაზე.

დასავლეთის კეთილდღეობა ემყარება XX საუკუნემდე ჩამოყალიბებულ კარგ ჩვევებს – შრომის დისციპლინის, პასუხისმგებლობისა და კანონისადმი პატივისცემის ჩვევებს. თუმცა ჩვენი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ჩვევის შერყევა ისტორიულად მოკლე დროში, რამდენიმე ათეულ წელიწადში შეიძლება. ამბობენ, რომ სულიერმა კრიზისმა მხოლოდ უმცირესობა მოიცვა; მასას იგი შედარებით სუსტად შეეხო. მაგრამ უმნიშვნელო ბზარიც – თუკი ბზარის განვითარება არ შეჩერდება – შეიძლება დაღუპვის დასაწყისი იყოს კრისტალისთვის.

დაბოლოს, უკანასკნელი – რიგით, და არა მნიშვნელობით: ეკოლოგიურმა კრიზისმა საფრთხეში ჩააგდო ბიოსფერო. ასეთი კრიზისი ჯერ არ ყოფილა. საშუალო ადამიანს ვერ გაუცნობიერებია საფრთხის სერიოზულობა, მაგრამ მოვლენები აიძულებენ მას, შეიგნოს ცივილიზაციის სრული შეცვლის აუცილებლობა; არა მხოლოდ კეთილდღეობას მოკლებულ აღმოსავლეთსა და სამხრეთში, არამედ კეთილდღეობაში მყოფ, სვებედნიერ დასავლეთშიც. თუ დასავლეთი ამას ვერ მიხვდება, კრიზისი სულ უფრო გაიზრდება და შეიძლება, შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. ამის შეგრძნება ძნელია, როცა მომავალს მოხერხებული სავარძლიდან გასცქერი, და მაინც ეს სიმართლეა.

ეკოლოგიური დაძაბულობის წმინდად ტექნიკური საშუალებებით დაძლევა შეუძლებელია. დასავლეთი ყოველთვის ძლიერი იყო ტექნიკურ გამოგონებათა სფეროში, და ამ თვალსაზრისით მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მაგრამ მრეწველობის ნებისმიერი ზრდა, რამდენიც გინდა ასუფთავე, მაინც აბინძურებს ბუნებას. საჭიროა განწყობის რადიკალური შეცვლა. ჩვენ

უარი უნდა ვთქვათ აზრზე, რომ ერის ღირსება მისი მრეწველობისა და ტრანსპორტის რაოდენობრივი ზრდით გამოიხატება. XXI საუკუნეში ცივილიზებული და მოწინავე ერები აკრძალავენ წარმოების თუნდაც ზოგიერთ სახეობას, შეზღუდავენ მოსახლეობის ზრდას და ადამიანს მხოლოდ ერთ შეუზღუდავ საშუალებას – სულიერი ზრდის საშუალებას დაუტოვებენ.

ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ღმერთმა ადამიანს განაყოფიერება, გამრავლება და დედამიწაზე დასახლება უბრძანა. არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ ადამიანს ბუნების დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება. მაშინ ასეთი გაფრთხილება გაუგებარი იქნებოდა. ბუნება ამოუწურავი ჩანდა. ახლა დედამიწისთვის მიყენებული ჭრილობები გვიჩვენებს, რომ ბიოსფერო ჩვენი დიდი სხეულია. ადამიანის გონება – მისი ტვინი, და ეს ტვინი ხელებს თავისი სხეულის დანგრევას არ უნდა უბრძანებდეს. ბუნებისგან კაცობრიობის დამოუკიდებლობა ისეთივე ილუზიაა, როგორიც უკაცრიელ კუნძულზე რობინზონის განცალკევება. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ცივილიზაცია კოსმოსში გავრცელდება და ახალ პლანეტებს დაიპყრობს, მაგრამ რეალობაში ჩვენ დედამიწა მოგვეცა და დედამიწაზე არსებობს კანონები, რომელთაც საუკეთესო ტექნიკაც კი ვერ გადააბიჯებს. ამას თუ გავიგებთ, გავიგებთ შემდეგსაც: ჩვენი სული სამყაროს სულის მხოლოდ ნაწილი ან, იქნებ, ანარეკლია, ყურეა სულიერი ოკეანისა (არც ერთ მეტაფორას არ ვიუინებ: ამის ზუსტად გამოთქმა შეუძლებელია).

ეკოლოგიური კრიზისი და სულიერი კრიზისი ორი მხარეა ერთი კრიზისისა, „ერთიანობის შეგნების" (კირეევსკი), **მთლიანის** განცდის დაკარგვისა. სულის მეუფება ნაწილებად გაიბნა, ყოველი ძალა სიმსივნესავით იზრდება, და ხილულ ზრდასთან ერთად ხდება უხილავი რღვევაც. მსოფლიო ცივილიზაცია, რომელიც დასავლეთში XVII საუკუნეში დაიწყო, მართას ცივილიზაციაა. მან ბევრ რამეზე იზრუნა და ბევრსაც მიაღწია, მაგრამ დაავიწყდა, როგორ განეჭვრიტა **სიტყვა** (მხედველობაში მაქვს სახარებისეული იგავი მარიამისა და მართას შესახებ). ფაუსტი მართალი არაა: თავდაპირველად მაინც იყო **სიტყვა,** მისი უფართოესი გაგებით, ვკითხულობთ რა, როგორც სიტყვას ღვთიური სამყაროს სილამაზესაც, ვჭვრეტთ რა მას როგორც **მამის** სახეს, როგორც **მისი** შემოქმედების კვალს, როგორც ჩვენთვის მოცემულ მაგალითს. კეთილი საქმე **სიტყვის** ჭვრეტის შემდეგ იწყება, **სიტყვიდან** მომდინარეობს.

წმინდა ჭვრეტითი ცივილიზაცია წარმოუდგენელია. მაგრამ თანამედროვეობა მკვეთრადაა გადახრილი მართასკენ, და ამ გადახრის გამოსწორება შესაძლებელია. მისი გამოსწორება აუცილებელია. ამის თაობაზე წერდნენ მარტინ ბუბერი და მარტინ ჰაიდეგერი, გაბრიელ მარსელი და ერიხ ფრომი. ისინი კრიზისს სხვადასხვანაირად აღწერდნენ, მაგრამ ერთი და იგივე საფიქრალი ამოძრავებდათ.

ჭვრეტისაკენ შემობრუნება თავად განვითარების ლოგიკიდან გამომდინარეობს. XVIII ს. ფიზიოკრატებს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჰგონებოდათ, რომ რეალურ ფასეულობებს მხოლოდ გლეხისა და მაღაროელის შრომა ქმნის. XIX ს. მარქსს მიაჩნდა, რომ ძირითადი უნდა ყოფილიყო სამრეწველო შრომა (და ვარაუდობდა, რომ კომუნიზმის დროს მევიოლინე ოთხი საათის განმავლობაში დაზგასთან იდგებოდა და ხემს მერელა აიღებდა ხელში). ახლა მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაზე, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის წარმოებაზე ვლაპარაკობთ. მერე რაღა იქნება?

დიურენმატის პიესაში ფიზიკოსებმა ყველა მომავალი აღმოჩენის ფორმულას მიაგნეს. ეს ფანტასტიკაა, მაგრამ მის მიღმა შემოქმედებითი მდგომარეობის რეალობა დგას. XXI ს. ერთი შესაძლებლობათაგანია ცივილიზაცია, რომელშიც ჭვრეტა, გაათმაგებს რა მორალურ, ინტელექტუალურ ძალებს, არა მხოლოდ მეცნიერების მიერ იქნება აღიარებული კულტურის მწვერვალად. ჭვრეტასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნებისმიერი შრომა ახალ აზრს იძენს.

რა საკვირველია, რა საოცრებაა!
მე წყალს ვეზიდები, მე მომაქვს შეშა!

წერდა შუა საუკუნეების ჩინელი პოეტი პან იუნი. ჭვრეტა უსასრულოდ აფართოებს აზრისა და მოქმედების შესაძლებლობებს. ჭვრეტაში იძირება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიძულვილი. ჭვრეტისას ქრება მიჯაჭვულობა რელიგიის სიტყვასიტყვითობასთან, მრწამსის სიტყვასიტყვითობასთან, იხსნება სიტყვებზე გაცილებით ღრმა ჭეშმარიტების გრძნობა. ჭვრეტაში იბადება დიალოგის სულისკვეთება, საერთო სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ, რომლის გარშემოც ვტრიალებთ და რომელსაც სიტყვებში ვერასოდეს ვწვდებით. ჭვრეტა დაგვეხმარება, გადავიდეთ ეკონომიკური წონასწორობის, ჰარმონიისა და სულიერი ზრდის ცივილიზაციაში.

სარწმუნოა კი ეს? რა თქმა უნდა, არა. გაცილებით სარწმუნოა ეკოლოგიური კატასტროფა. ვიდრე ადამიანები – ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნებში – საკუთარ ბედნიერებას ახალი ლამაზი ნივთების დაგროვებაში ხედავენ, მრეწველობა გაიზრდება, სული შეიკუმშება და აღარსად იქნება ენერგია ჩიხიდან გამოსასვლელად. ჩვენ ნაკლებ დასაჯერებლის იმედი გვაქვს. თუ კარგად ჩავუკვირდებით ისტორიას, დავინახავთ, რომ მისი ყველა საკვანძო მომენტი, ყველა გადამწყვეტი ძვრა ნაკლებ დასაჯერებელი იყო. ფიზიკოსები ამბობენ, რომ სამყაროს ევოლუციაც ასე მიმდინარეობდა. ისინი ამას ბოთლის ყელის ეფექტს უწოდებენ. სითხე ვიწრო ყელში ჩაედინება და შიგნით მერელა ისხმება.

როცა რუსეთის გლეხთა განთავისუფლების საკითხი იდგა, სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობა პროექტის წინააღმდეგი იყო. მაგრამ მეფე უმცირესობას შეუერთდა და გლეხები განთავისუფლდნენ. ასე მოქმედებს განგებაც. იგი შესამჩნევ სასწაულებს არ ახდენს, მაგრამ ხელს უწყობს ფლუქტუაციებს, ინერციიდან იმგვარ გადახრებს, რომლებიც მას ესაჭიროება. უხილავი ძალა უერთდება უმცირესობას, სუსტ წინააღმდეგობას, და იგი ძალას იძენს. მაგრამ ღმერთს უნდა დავეხმაროთ. უნდა შეიქმნას თუნდაც უმნიშვნელო უმცირესობა, თუნდაც სუსტი საპირისპირო დინება. ეს აზრი გამოთქვა პასკალმ, იგი გაიშეორა ბიოლმა და მეც ამასვე ვიმეორებ. ზოგიერთი აზრი უნდა ვიმეოროთ. მაშინ ისინი ახირებულობისა და უცნაურობის იერს დაკარგავენ და ნორმად იქცევიან. აზრი ჯვარზე გაკრული ღმერთის შესახებ ერთ დროს „იუდეველთათვის ცდუნება, ელინთათვის სიგიჟე“ იყო. შემდეგ იგი ცივილიზაციის სასინჯ ქვად იქცა.

ვის შეეძლო განეჭვრიტა, რომ მუჰამადის გაქცევა მექადან სხვა, კიდევ უფრო ნაკლებად ცნობილ, ქალაქ იასრიბში ახალი წელთაღრიცხვის დასაბამი გახდებოდა? ყოველივე დიადი ერთ დროს დაუჯერებელი იყო. ასე მხოლოდ მსოფლიო რელიგიები არ იბადებოდა. შეუძლებელია, ზუსტად ავხსნათ სხვა მრავალიც: ფილოსოფიის გაჩენა, გაჩენა ცივილიზაციისა (დასავლეთის ცივილიზაციისა), რომელმაც მდგრადობას იმპერიული ცენტრის გარეშე მიაღწია. ახალი რამდენჯერმე იყო განწირული დასაღუპად, მაგრამ არ დაიღუპა. მე არა მგონია, რომ იესო ნავინმა ფიზიკურად გააჩერა მზე, მაგრამ ღმერთი მის მხარეს იყო. ის ჩვენი სოლიდარობის სუსტ ცდებს, სიძულვილიდან გამოსვლის, შეურიგებელი მტრების დიალოგის, მასობრივი სიგიჟის მიზეზების გაგების ცდებსაც დაუჭერს მხარს.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის **გაგება**, თუ რა იწვევს შიშს, რა იწვევს მტრის ხატში შიშის მოქცევის მოთხოვნილებას, და მოთხოვნილებას ბელადისა, რომელიც განტევების ვაცს დაკლავს. პირველი მიზეზია საერთო დაურწმუნებლობა მომავალში, განგაში, ყოველი მხრიდან მოსალოდნელი გაურკვეველი საფრთხის შეგრძნება. ამ დაურწმუნებლობას ბევრი საფუძველი აქვს; საკმარისია ატომური ბომბის გახსენებაც. მაგრამ რწმენით აღვსილი ადამიანი თავისთავადობას ინარჩუნებს, რაც არ უნდა ელოდეს მას. სულის საყრდენი მარადისობაშია. მორწმუნესთვის სულერთია, რამდენი წელი დარჩა ჩვენს ცივილიზაციას: 30, 30.000.000 თუ უფრო მეტი. სულერთია, თუკი სიცოცხლეს მარადიული აზრი არა აქვს, მაშინ ყოველგვარი ხანგრძლივობა მხოლოდ გაჭიანურებული კოშმარია. თანამედროვე ცივილიზაციის ზეიმი არასულიერების ზეიმად გვევლინება. ცივილიზაციის შემოტევისადმი წინააღმდეგობაც შეიძლება, ნაწილობრივ აიხსნას როგორც წინააღმდეგობა არასულიერებისადმი.

რაღაც ამგვარი ხდება ყველგან, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. საქმიანი ადამიანები გაერთიანების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, რადგან გაერთიანება ეკონომიკურად ხელსაყ-

რაციონალურად მოწყობილი მსოფლიოს სულიერი ნაკლულოვნების წინააღმდეგ. ვფიქრობ, ეს ევროპული ინტეგრაციის მიმართ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის წინააღმდეგობაშიც ვლინდება. გრძნობა ისე იქცევა, როგორც დოსტოევსკის იატაკქვეშა ადამიანი, რომელსაც სურს, წიხლი ჰკრას ბროლის შენობას, შერჩეს თავის სულელურ სურვილებს, და არ უნდა გონივრულად მოწყობილი მანქანის ჭანჭიკად გადაქცევა. და ქვეყნების გაერთიანების, მსოფლიო მთავრობისა და ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის ცენტრალიზებული რეგულირების შესახებ მოსაზრებათა ზრდასთან ერთად იზრდება გააფთრებული ეთნიკური წინააღმდეგობაც, გააფთრებული წინააღმდეგობა ისლამისა, რუსული მართმადიდებლობის წინააღმდეგობა თანამედროვეობის სულისკვეთების მიმართ.

როცა მატულობს მანკიერება და უთანხმოება, როცა ინგრევა მოვალეობის გრძნობა, მე მაშინ ავლორძინდებიო, ამბობს კრიშნა. სწორედ ახლა დადგა ღმერთის ხელახალი დაბადების, რელიგიური პროცესის ახალი, შემდგომი ნაბიჯის დრო. მან შექმნა ტომობრივი რელიგიები ოდესღაც, შექმნა მსოფლიო რელიგიები, რომლებიც იმპერიის საყრდენად იქცნენ; იგი მზადაა შემდგომი ნაბიჯისთვის. ეს ნაბიჯი არ შეიძლება იყოს ახალი გამოცხადება, ახალი მთავარი წიგნის შექმნა. მსოფლიო რელიგიებმა ისეთ სიღრმეებს მიაღწიეს, რომელთა აღმატებაც შეუძლებელია, მათ ელინთა თუ რომაელთა რწმენასავით ვერ უკუაგდებ. მარტინ ბუბერმა თავის „ღმერთის დაბნელებაში" დაწერა, რომ ღვთის ახალ მოვლინებას დიალოგში ხედავს. დიალოგის ფილოსოფია გახდა თანამედროვე აზრის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. მე ვფიქრობ, ეს სწორი მიმართულებაა. შუა საუკუნეებში შიიტებში გაჩნდა ლეგენდა დაფარული იმამის შესახებ. ალის (მუჰამადის ძმისწულის) მემკვიდრეები დახოცეს, მაგრამ ლეგენდამ იმამი მიუდგომელ მთებში გადამალა, საიდანაც იგი ოდესმე გამოვა; და აი, ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, სამალავიდან გამოსული იმამი ახალ გამოცხადებას არ მოიტანს; მაგრამ ის ისე განმარტავს ძველ წინასწარმეტყველებებს, რომ წიგნის ხალხს შორის მტრობა გაქრება. მე ამის შესახებ წავიკითხე კორბენთან და შუა საუკუნეების შიიტურ სამოსში მაშინვე ღრმად თანამედროვე აზრი შევნიშნე.

უნდა შევიგნოთ, რომ მსოფლიო რელიგიათაგან არც ერთს არა აქვს აბსოლუტური უპირატესობა დანარჩენთა წინაშე. განვითარების ყოველ ნაბიჯს რაღაც მოაქვს და რაღაც მიაქვს. ისტორია შეიძლება აღიწეროს როგორც შეძენისა და კარგვის ისტორია. პავლე ვერ გადასცემდა ელინებს ქრისტეს წერილს ერთი კულტურის ენიდან მეორეს ენაზე გადათარგმნის გარეშე, და ამ თარგმანშიც, როგორც ნებისმიერ თარგმანში, რაღაც დაიკარგა: ხილულმა **ძემ** დაფარა უხილავი **მამა** (ეს ერთი შეხედვითვე ჩანს სარწმუნოების სიმბოლოში, სადაც **ძეს** იმხელა ტექსტი ეძღვნება, რამხელაც **მამასა** და **სულიწმინდას** ერთად აღებულს). ამიტომ ისეთი განმტკიცებული მოსაზრებაც კი, რომ ახალი აღთქმა ძველ აღთქმაზე მაღლა დგას, მთლად მართებული არაა. ითვლება, რომ, ნიშან-თვისებათა ერთობლიობით, ქრისტიანობა იუდაიზმზე მნიშვნელოვანია; მაგრამ ეკლესიის ჩამოყალიბებისას რაღაც დაიკარგა, და სახარების გაგება იმ რელიგიასთან დიალოგის გარეშე, რომლიდანაც ის აღმოცენდა, შეუძლებელია.

პრინციპულად ამგვარივე ვითარებაა იმ რელიგიების დიალოგთან დაკავშირებითაც, ერთმანეთის გვერდით რომ ვითარდებიან და ერთმანეთის შესახებ არაფერი იციან. ყველა ისინი საერთო სიღრმიდან აღმოცენდნენ, და ყველა თავისი დროის ენაზე გამოითქვა. გაგების წინაპირობაა სულის სიმბოლოთა გადატანა ერთი ენიდან მეორეზე და ყოველი რელიგიის სვლა სიღრმისკენ, სიტყვიდან სულისკენ. სიღრმეში ისინი ღვიძლნი არიან.

მთავარი წიგნის ირგვლივ წარმოქმნილ კულტურათა დიდი კოალიციები პრინციპულად თანასწორუფლებიანნი არიან. ისლამის სამყარო, სამხრეთ აზიის ინდუისტურ-ბუდისტური სამყარო და შორეული აღმოსავლეთის კონფუციურ-ბუდისტური სამყარო არ შეიძლება, მთლიანად ვესტერნიზებულ იყვნენ. ვესტერნიზაციის, თავდაპირველად ცალმხრივი, პროცესი დიდი ხანია, დიალოგში გადაიზარდა. დიალოგი დაიწყო XIX საუკუნეში, როცა

ტოლსტოიმ და დოსტოევსკიმ, აითვისეს რა რომანის დასავლური ფორმა, შეძლეს, გარდაექმნათ იგი და ეთქვათ ევროპისთვის ის, რაც ამ უკანასკნელმა ადრე არ იცოდა. დიალოგი გრძელდებოდა XX საუკუნეშიც, როცა ევროპულად განათლებულმა ინდოელებმა, იაპონელებმა, მუსლიმებმა მისიონერული მოღვაწეობა იწყეს დასავლეთში. თანამედროვე დიალოგში დასავლელი ინტელექტუალი, როგორც წესი, თავის ოპონენტებზე დაბლა დგას. განათლებული ინდოელი იცნობს ევროპას; განათლებულ ევროპელს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს აღმოსავლეთზე და აღმოსავლეთის ცნებაში სრულიად განსხვავებულ სამყაროებს ურევს. ევროპოცენტრისტული თვალთახედვით გაუგებარია, რატომ უსწრებენ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები დინამიურ დასავლეთს თავისი დინამიზმით, ან რატომ აზვირთდა კონტრმოდერნიზაციის ტალღა ისლამის სამყაროში. დასავლეთში განათლების მთელი სისტემა საჭიროებს რეფორმას. ვატიკანის II კრებაზე უკვე ითქვა დიალოგზე გადასვლის შესახებ, მაგრამ დასავლეთი ჯერაც არ არის მზად საამისოდ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გულითადი მზადყოფნა დიალოგისთვის, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყური მივუგდოთ სულს, რომელიც სიტყვებზე ღრმაა, და ჩვენი „დიდი სხეულით" ვიგრძნოთ არა მარტო საკუთარი ხალხი, არამედ სხვა ხალხიც, არა მარტო ადამიანები, არამედ ყოველივე ცოცხალი. ხელახალი მორალური შეიარაღება ესაჭიროება არა მხოლოდ სერბ სნაიპერს, არამედ მშვიდობიან, კანონის მორჩილ მოქალაქესაც, რომელსაც დიდი ხანია, დავიწყებია, რა არის სული. სხვაგვარად იგი, პირველსავე მკვეთრ შემობრუნებაზე, ისევე გამხეცდება, როგორც ქრისტეს მოყვარული რუსი გლეხები სამი წლით სანგრებში ყოფნის შემდეგ და წესრიგის მოყვარული გერმანელი მშრომელები – სამწლიანი უმუშევრობისა და უიმედობის შემდეგ. ყოფილი იუგოსლავიის სახით ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ ჩვენს გუშინდელ დღეს, არამედ, შესაძლოა, ხვალინდელსაც.

მე მწამს მსოფლიო ცივილიზაციის შესაძლებლობისა, სადაც ერთა დიალოგის („ერების კონცერტის") ევროპული პრინციპი შეივსება დიდი კულტურული კოალიციების დიალოგით, ერთიან ღმერთთან მისასვლელ გზათა დიალოგით. მაგრამ იმისათვის, რომ სულმა გაიმარჯვოს, დიადი განახლებაა საჭირო. და ზოგჯერ მკვლელი (დოსტოევსკის რასკოლნიკოვის მსგავსად) უფრო ახლოსაა მონანიებასა და ხსნასთან, ვიდრე შეზღუდული და პატარა კომერსანტი (დოსტოევსკის იმავე რომანში – პეტრე ლუჟინი). ჩვენ ყველანი დამნაშავე ვართ ერთმანეთთან – თქვა დოსტოევსკისავე ერთმა პერსონაჟმა (რომანში „ძმები კარამაზოვები"). და ყოველ ჩვენგანში განხეთქილებისა და დაღუპვის სულს სიყვარულის სული ებრძვის. მომავლის საკითხი ყოველთვის ღიაა.

რუსულიდან თარგმნა **ლია ჯაყელმა**

„Выход из транса". Юрист. Москва, 1995

1. **მუციუს სცევოლა (140–82 ჩვენს ერამდე)** – რომაელი იურისტი და საზოგადო მოღვაწე. მისმა თხზულებებმა კერძო სამართლის შესახებ საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო სამართლის მეცნიერულ შემუშავებას.

2. **მოლოქი** – მზის, ცეცხლისა და ომის ღვთაება, რომელსაც სწირავდნენ ადამიანებს, უმეტესად ბავშვებს; მოლოქის კულტი გავრცელებული იყო პალესტინასა და კართაგენში ძვ. წ. I-II ათასწლეულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა შათირიშვილი

ზედაპირის ტოპოლოგია

წერილში განხილულია თანამედროვე კულტურის ბოლოვადობის პრობლემა. „ზედაპირის კონცეპტი", რომელიც შემოიტანეს ჟ. დელოიზმა, მ. ფუკომ, ჟ. დერიდამ და სხვებმა, ჩვენის აზრით, წარმოადგენს „დასასრულის" ალეგორიას. პოსტმოდერნიზმი, თავისი ამ წარმომადგენლების სახით, ცდილობს დამალოს საკუთარი ამონურულობა, უფრო ზუსტად, ცდილობს შინაგანი დამთავრებულობის გახანგრძლივებას. **წერილი წარმოადგენს ცდას, აჩვენოს, რომ პოსტმოდერნიზმი თავიდანვე ამონურული ფენომენი იყო,** ამიტომაც, ამ კულტურული სტადიის რეალური დამთავრება მოხდა მისი არა უარყოფით, არამედ უგულებელყოფით.

სტატია წარმოადგენს მცირე ფრაგმენტს სადოქტორო დისერტაციისა, რომელიც მომზადებულია ავტორის მიერ ფილოსოფიური მეცნიერებათა შესაბამისი ხარისხის დასაცავად. ნაშრომის სრული სათაურია „ცნობიერებისა და ტექსტის დისპოზიცია ფილოსოფიურსა და რელიგიურ დისკურსულ პრაქტიკაში". „ზედაპირის ტოპოლოგია" ამოღებულია პარაგრაფიდან, რომელსაც ეწოდება „ტექსტი-ლანდშაფტი-მორტუალური ეკონომიკა" და რომელიც სრული სახით იბეჭდება ინტერდისციპლინარული კვლევითი სემინარის პერიოდულ გამოცემა „ლექტონში".

ავტორი

პოსტსტრუქტურალისტურ დისკურსში შინაგანი - გარეგანის ოპოზიციის მოშლამ განაპირობა ის, რომ ტექსტში საზრისის „შეტანა" აღარ ხდება „დანაწილებისა და შეგროვების" ოპერაციის მეშვეობით, გარეშე დამკვირვებლის სიმაღლიდან"; მაგრამ ამავე დროს, საზრისის არც სიღრმიდან „ამოტანას" აქვს ადგილი, სიღრმისეული წაკითხვისა და შელწევის მეშვეობით. არც სიღრმეს და არც სიმაღლეს საზრისი არ ახასიათებთ, რადგანაც იგი ზედაპირის ეფექტი აღმოჩნდა. ზედაპირი, დელიოზის იდიოლექტს თუ გამოვიყენებთ, სხვა არაფერია, თუ არა უპიროვნო სინგულარობათა ლანდშაფტი - უსუბიექტო, ტრანსცენდენტალური ველი, სადაც ადგილი არ რჩება ცნობიერების არც ერთი ვარიანტისთვის (ე.ი. ცნობიერება უარყოფილია, როგორც კოგიტალური სტრუქტურა, როგორც მე და როგორც ცნობიერების სფერო). ტრანსცენდენტალური რეფლექსია ველარ მუშაობს, რადგანაც საზრისი-ხდომილება არადაბრუნებადია, მისი რეფლექსიური დუბლირება შეუძლებელი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალია, „ადგილი აქვს" ტრანსცენდენტალურ ველს, მაგრამ ეს უკანასკნელი ცნობიერების კი არა, არამედ საზრისის ველია, რომელიც ყოველ წამს „სხლტება", ყოველ წამს იცვლის ადგილს. ლაპარაკია საზრისზე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ზედაპირული ნონსენსის ემანაცია და „დეცენტრირებული ექსცენტრული ცენტრი"; იგი თავისი თავიდან „ბადებს" უპიროვნო და ინდივიდუალობამდელ სინგულარობებს, რომელთა ლოკალიზება შეუძლებელია. ეს სინგულარობები კი, წართქმითი სერიების დაშორიშორების მეშვეობით, კოსმოსის ნაცვლად „ქაოსმოსს" ქმნიან[1].

ზედაპირზე ადგილი არ რჩება არც უპიროვნო და ქაოტური სიღრმისათვის და, არც ლოკალიზებადი და „მკვიდრი" ინდივიდუალობისა თუ პიროვნებისთვის (ე.ი. სიმაღლისათვის); არც განწმენდა და აღმასვლა

ხდება პლატონური ეიდოსის სიმაღლისაკენ, მაგრამ არც ემპედოკლესეულ ჩავარდნა და გაუჩინარება უფსკრულის, ავადმყოფობისა თუ უგონობის (შეშლილობის) სიღრმეში.[2] ზედაპირზე ხდება სხვა რამ - სიღრმეცა და სიმაღლეც, ჯანმრთელობაცა და ავადმყოფობაც ზედაპირამდე დაიყვანება (ან ზედაპირზე აიყვანება), რის შემდეგაც ისინი იწყებენ ერთიმეორესთან „ტყუპობანას თამაშს", ე.ი. ამყარებენ „გაცვლით" ურთიერთობებს. მაშასადამე, ზედაპირზე ადგილი აქვს „გაცვლით" პროცედურებს კოსმოსსა და ქაოსს, ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის (როგორც ნიცშე აღნიშნავს, საჭიროა ჯანმრთელობის განხილვა ავადმყოფობის პერსპექტივაში და პირიქით).

ამგვარად გაგებული ზედაპირი შეიძლება აღიწეროს არა მხოლოდ როგორც ლანდშაფტი ანუ კანის ზედაპირი ტანი-სიღრმის-გარეშე (მაგრამ არა როგორც ტანი-ორგანოების-გარეშე), არამედ როგორც უდაბნოს ლანდშაფტი, რომლის კარტოგრაფირება წინასწარ არ ხდება. ესაა ნომადური სივრცე, სადაც არც კვერთხი თუ ხელ-ჯოხი გვაქვს გზამდე და არც გზა ხელჯოხამდე, როცა A პუნქტი ჩნდება მაშინ, თუ B-ს მიმართულებით გადავადგილდებით, ხოლო B – C-კენ გადაადგილებისას და ა.შ. ესაა ნომადურ სინგულარობათა უდაბური ლანდშაფტი, მომთაბარე აბელის და არა მიწათმოქმედ კაენის ლოკალიზებადი (ქალაქი) ლანდშაფტი ფიქსირებული ცენტრით. თუმცა შესაძლოა, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ნომადური ადამის (ადამურ) სინგულარობათა" სამოთხის ლანდშაფტიც. რაც შეეხება ნომადურ ადამს, იგი განსხვავდება როგორც ინდივიდუალური ადამის, ისე ტოტალური ადამ კადმონისაგან.

ნომადური ადამის სამოთხის ლანდშაფტი წარმოადგენს „მუდმივად გაყოფად წმინდა სინგულარობათა მარადიული დაბრუნების ლაბირინთს, რომელიც არაა ციკლური და მონოცენტრული ქრონოსის ლაბირინთი"[3] ნომადურ სინგულარობათა ლაბირინთი შეიძლება აღიწეროს, როგორც დაშორიშორებადი ბილიკების ლაბირინთი-ბაღი, სადაც ყველგან პერიფერიაა, ხოლო ცენტრი აღარსად არ ჩანს, რადგანაც იგი (ცენტრი) მუდმივ გადაადგილებაშია, როგორც კიდობნის კარავი, განსხვავებით ფიქსირებული ტაძრისაგან.

ტექსტი და ტექსტუალური წარმონაქმნები წარმოადგენენ „ზედაპირულ ფენომენებს". სიმაღლესა და სიღრმეს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი დისკურსი, მაგრამ ეს ისეთი დისკურსი (თუ დისკურსიული პრაქტიკებია), რომელთაც „პოზიტიურობის ზღურბლი" (ფუკოს იდიოლექტს თუ დავესესხებით) არ გადაულახავთ, რის გამოც შეუძლებელია მათი განხილვა დისკურსიული ფორმაციების ზედაპირზე, რადგანაც ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ დისკურსიულ პრაქტიკათა გამონათქვამების, ობიექტების, კონცეპტების, სტრატეგიების დაჯგუფებას, გადაჯგუფებასა თუ აღწერას. ტექსტუალობა, როგორც საზრისის საკუთარი „ველი", სიმაღლისა და სიღრმის პოზიციებზე არ გვხვდება. უფრო ზუსტად, სიმაღლესა და სიღრმეს (ცნობიერებასა და არაცნობიერს")„საკუთარი" ტექსტუალობა და ტექსტები არ გააჩნიათ, ე.ი. შესაძლებელია საუბარი მხოლოდ სიმაღლისა და სიღრმის გარკვეულ პროექტებსა და ეფექტებზე, რომლებიც „ჩაწერილია" ტექსტში, როგორც ზედაპირულ წარმონაქმნში.

კერძოდ, როდესაც ლაპარაკია „კლასიკურ ტექსტზე", კლასიკური ნიშნავს იმას, რომ ტექსტში „ჩაწერილია" კლასიკური რეფლექსიის „მუშაობის" გარკვეული კვალი; კერძოდ, კლასიკური პროცედურა, რომელსაც დელიოზი აღწერს, როგორც განწმენდისა და აღმასვლის გარკვეულ ტექნეს, გულისხმობს ტანის როგორც არარეფლექსიური ზონის წაშლას. საქმე ისაა, რომ კლასიკურმა რეფლექსიამ „იცის" ტანის მხოლოდ ერთადერთი ვარიანტი, ე.წ. „ტანი-საპყრობილე" - „სიღრმის ტანი". ამას რამოდენიმე მიზეზი აქვს:

1. ჯერ ერთი ის, რომ სიმაღლის ლოგიკა (კლასიკური რეფლექსიის მუშაობის ზონა) სიმაღლეს არ განიხილავს, როგორც ლანდშაფტურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიციას, რადგანაც მას, ვინც ახორციელებს კლასიკურ რეფლექსიურ აქტებს, „ტანი" (ფსიქო-ფიზიოლოგიური სუბსტრატი) არ გააჩნია, ე.ი. თავის მსჯელობებში არაა დამოკიდებული არანაირ „გარეშე" ფსიქო-ფიზიოლოგიურ ფენებზე. სიმაღლე, როგორც აბსოლუტური დამკვირვებლის პოზიცია, „გატანილია" ტანობრივი ფენის გარეთ, რის გამოც ტანი, ლანდშაფტი გაგებულია როგორც უპიროვნო ქაოსის ზონა, რომლის მოწყობასაც ახორციელებს გარეშე დამკვირვებელი (ე.ი. უწყვეტი ცნობიერების ყველა ვარიანტი - იქნება ეს დემიურგი, უძრავი მამოძრავებელი, კოგიტალური თუ ტრანსცენდენტალური მე);

2. მეორეც, სიმაღლის ლოგიკიდან გამომდინარე, სიღრმეს არა აქვს არანაირი პოზიტიურობა (ლაპარაკია მის საკუთარ პოზიტიურობაზე) - რის გამოც სიღრმე აღინიშნება, როგორც ქაოსი, რომლის ერთადერთი პოზიტიურობა ისაა, რომ „გახსნილია" გარეშე დამკვირვებლის კოსმოკრატორულ-მოწყობითი ოპერაციებისადმი;

3. სიღრმეს, ამავე დროს, არ გააჩნია (ისევ სიმაღლის ლოგიკიდან გამომდინარე) არანაირი საკუთარი ტექნე - „უფსკრულში ჩაშვება და გაუჩინარება" არ წარმოადგენს ოპერაციას, რომელსაც ძალისხმევა სჭირდება. სიმაღლის ლოგიკის თანახმად, ძალისხმევა სჭირდება „მღვიმიდან გამოსვლას" და აღმასვლას, რის გამოც შესაძლებელია „აღმასვლის" სწავლება (გადაცემა მასწავლებლიდან მოწაფემდე), მაშინ როდესაც დაცემას (ვთქვათ, „ცოდვაში ჩავარდნას") არანაირი ტექნიკა არ სჭირდება - იგი ავტომატურია. (არ არსებობს დავიწყების ტექნიკა, განსხვავებით ანამნესისის „მნემოტექნიკისაგან"). არადა, გნოსტიციზმისა თუ სხვა ე.წ. პოსტელინისტურ რელიგიებში არსებობდა საკმაოდ დამუშავებული „დავიწყებისა" თუ „ცოდვის ტექნიკები" (თავი რომ დავანებოთ სოკრატემდელთა „ექსტატიკურ" ტექნიკებს, რომლის ნიმუშია ემპედოკლეს „ჩავარდნა"). „სიღრმის ტექნიკის" სრული რეაბილიტაცია მოახდინა ნიცშემ, როდესაც იგი, როგორც „დიონისური" სტრატეგია, სიმაღლის „აპოლონურ" პოზიციას დაუპირისპირა.

მაშასადამე, სიმაღლე (კლასიკური რეფლექსია) ცდილობს, წაშალოს არარეფლექსიური ზონა (სიღრმის ტანი), სხეულებრივი აფექტები, მაგრამ საინტერესოა ის, რომ წაშლილი სხეულებრივი აფექტების „ჩაწერა" ხდება ტექსტში „ტექსტუალური დეფექტების" (წყვეტების, ლაკუნების, ე.წ. წინააღმდეგობების) სახით. ტექსტი „აჩვენებს" იმას, რასაც კლასიკური რეფლექსია „მალავს" - ძალადობის კვალს ტანზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კლასიკური ტექსტი მალავს, რომ რეფლექსიასა და ტექსტს (მეტყველებასა და დამწერლობას) შორის არის უფრო „ახლო" ურთიერთობა, ვინემ სასურველია; კლასიკური ტექსტი მალავს, რომ ტექსტს უკან „მილმა" არავინ იმალება, რომ ავტორის ინტენცია ჩაწერილია ტექსტში, როგორც ერთ-ერთი ტექსტუალური ნაკადი, რომელიც ცდილობს, მიანიჭოს ტექსტს ჰ ომოგენურობა და ერთი მთავარი მიმართულება მისცეს. ამ ნაკადს შეიძლება თეოლოგიური ვუწოდოთ.

მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ „ფარმაკონის ეფექტი", რომელიც აღწერილია დერიდას მიერ. კერძოდ, პლატონი თავის დიალოგში „ფედროსი" აღწერს დამწერლობას, როგორც ისეთ საშუალებას, წამალს (ფარმაკონს), რომელიც სრულიად ზედმეტია, ე.ი. დამწერლობა წარმოადგენს ინფორმაციის ჩაწერისა და გაცემის მხოლოდ გარეგნულ არხს, მაშინ როცა მთავარია ინფორმაციის „შიგნიდან" დაბადება გახსენების (ანამნესისის) ტექნეს მეშვეობით, რადგანაც ცოდნა უკვე ჩაწერილია სულში, როგორც შინაგან წიგნში - ეს ერთის მხრივ; ხოლო, მეორეს მხრივ, დამწერლობა „ფედროსშივე" ხასიათდება, როგორც ისეთი საშუალება, რომელიც უფრო დავიწყებას უწყობს ხელს, ვიდრე გახსენებას, ე.ი. აქვს ჰიპნოტური ზემოქმედების ძალა (მომწამვლელი ძალა", რადგანაც ფარმაკონს ძველ ბერძნულში აქვს როგორც წამლის, ასევე საწამლავის მნიშვნელობა); მაგრამ ეს ნიშნავს, რომ იგი შეუძლებელია აღიწეროს, როგორც მხოლოდ გარეგნული და ზედმეტი. როგორც დერიდა აღნიშნავს, პლატონური ტექსტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ, ფროიდმა დააფიქსირა.[4] ამგვარი „წინააღმდეგობები" აჩვენებენ ტექსტის ჰეტეროგენულობას, რომ ავტორი არის ისეთი ფუნქცია, ტექსტების დაჯგუფებისა თუ მათი მიკუთვნების იმგვარი საშუალება, რომელიც ყველა ეპოქაში და ყველა ტიპის ტექსტებთან არ მუშაობს. ავტორი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ხმას ტექსტში, მაგრამ არა ერთადერთს. და ბოლოს: როგორც მეტყველება-გახსენება არის „დაპყრობილი" დამწერლობის მიერ, ისე რეფლექსიური აქტებიც „დაპყრობილია" ტექსტუალურ-დამწერლობითი ფიგურაციების მიერ, რის გამოც „წმინდა, ტრანსცენდენტალური აქტი" სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი რიტორიკული ტროპი.

ეს, რაც შეეხება სიმაღლეს. მაგრამ, თავის მხრივ, არც სიღრმე ლაპარაკობს უშუალოდ და პირდაპირ, გაშუალებებისა და ზედაპირული ზღურბლის გარეშე. ამ აზრით, ზედაპირი სხვა არაფერია, თუ არა გაშუალებებისა და პროეცირების ეკრანი, რომელიც კი არ აერთიანებს, არამედ აშორიშორებს სიმაღლეს, ლოგოსს, ცნობიერებას, ხმას – სიღრმისაგან, არაცნობიერისაგან, ტანისაგან. იმავე დერიდამ აჩვენა, რომ არაცნობიერი უკვე ფროიდის ტექსტებში ხასიათდება, როგორც წერითი ბუნების მქონე, რომელსაც იეროგლიფურ-დამწერლობითი ფიგურაციულობა ახასიათებს,[5] ე.ი. ტექსტუალურ დონეზე არაცნობიერი, სიღრმე, ტანი არ წარმოადგენს უპიროვნო ქაოსს, უსაზღვრო ბგერების გროვას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სტრუქტურაციასა თუ „დაბრუნებადობას". მაშასადამე, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, სიმაღლესა და სიღრმეს არ გააჩნიათ „საკუთარი" ტექსტუალობა; როგორც ზედაპირული პროექციები, ისინი ტექსტუალობის ველში ქმნიან გარკვეულ ნაკადებსა და სერიებს, ზედაპირის „საკუთარ" სერიულ მწკრივებთან ერთად.

1. Ж. Делез. Логика смысла. перевод Я. Свирского М. 1995. გვ. 212
2. იქვე, გვ. 158-165.
3. იქვე, გვ. 212
4. J. Derrida. Dissemination. Transl. by B. Johnson. The University of Chicago Press. 1984. გვ. 109-111.
5. J. Derrida. Freud et la scene de l'écriture, Tel Quel, №26, გვ. 10-37.

ფილოსოფიური ცხოვრების ქრონიკა

თბილისის საკმაოდ მოდუნებულ ინტელექტუალურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა გერმანელი ფილოსოფოსის **ვილჰელმ შმიდის** ლექციების კურსი, 22 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე რომ მიმდინარეობდა უნივერსიტეტსა და „კავკასიურ სახლში".

ვილჰელმ შმიდმა გამოავლინა არა მხოლოდ ღრმა და ფართო პროფესიული ცოდნა, არამედ ნამდვილი პედაგოგიური ტალანტი და გამოცდილებაც: მან ურთულესი ფილოსოფიური საკითხები მაქსიმალური სიცხადით გადმოსცა და თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს დაუკავშირა. მერაბ მამარდაშვილის მსგავსად ვილჰელმ შმიდიც თვლის, რომ – ფილოსოფია არ შეიძლება „კაბინეტურ", განყენებულ დარგად რჩებოდეს. ფილოსოფია აზრის ცოცხალი ქმნადობაა და სწორედ იგი უნდა იყოს ჩართული სიცოცხლის, ადამიანური ყოფიერების მღელვარე სიღრმეში. **„დღეს კაცობრიობა ისეთი არჩევანის წინაშე დგას, როგორის წინაშეც არასდროს მდგარა: გონიერება ან სიკვდილი"**. მას მხედველობაში აქვს გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის გარდაუვალობა, თუკი ადამიანი არსებითად არ შეიცვალა. ვილჰელმ შმიდის მოძღვრება: **„ფილოსოფია როგორც ცხოვრების ხელოვნება"** გულისხმობს ფილოსოფიის ისტორიიდან იმ მონაპოვრის აქტიურ ათვისებას, რომელშიც ერთიანდება ეთიკა, აზროვნება და ადამიანურ ურთიერთობათა სიბრძნე. მხოლოდ ამ ერთიანობას შეიძლება დაეფუძნოს ყოველი ცოცხალი არსების, სიცოცხლის, დედამიწის წინაშე მაქსიმალური პასუხისმგებლობის სწორი განხორციელება, რის გარეშეც კაცობრიობის გზა სიკვდილისკენ წარიმართება.

ვ. შმიდის ლექციებზე აუდიტორია სავსე იყო. განსაკუთრებით ახარებდა გულს ახალგაზრდების სიმრავლე და ცხოველი დისკუსია, რამაც გერმანელი ფილოსოფოსი სასიამოვნოდ განაცვიფრა. მან გადაწყვიტა გაისადაც გვეწვიოს და წაიკითხოს ლექციები გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ.

ვილჰელმ შმიდი დაიბადა 1953 წელს. სწავლობდა ფილოსოფიასა და ისტორიას ბერლინში, პარიზსა და თიუბინგენში. კითხულობდა ლექციებს ჯერ ლაიპციგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში; ახლა კი ერფურტის უმაღლეს სასწავლებელში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამავე დროს პერიოდულად კითხულობს ლექსებს რიგის უნივერსიტეტში. გამოცემული აქვს: **„ფილოსოფიის დაბადება სიამეთა ბაღში"** (1994 წ.); **„ახალი ცხოვრების ხელოვნების ძიებაში"** (1991); **„რა გვეხება ჩვენ, გერმანიას?"** (1993). 1998 წლის მარტში გამოვა **„ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფია"**.

ბ-ნი შმიდი თბილისში იმყოფებოდა „კავკასიური სახლისა" და უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის მოწვევით.

ვილჰელმ შმიდის მიერ ჩატარებული ლექციების ქრონიკა:

22.09. – **XX საუკუნის გერმანია: კულტურული სივრცე.**
23.09. – **XX საუკუნის გერმანული ფილოსოფია: ჰაიდეგერი.**
24.09. – **XX საუკუნის გერმანული და ფრანგული ფილოსოფია: ფენომენოლოგია ჰუსერლი, მერლოპონტი. ვალდენფელსი.**
26.09. – **XX საუკუნის ფრანგული ფილოსოფია: ფუკო.**
27.09. – **სიცოცხლის ხელოვნების ფილოსოფია ფილოსოფიის ისტორიაში და დღეს.**
29.09. – **XX საუკუნის გერმანია. 1968 წელი.**
30.09. – **XX საუკუნის ფრანგული ფილოსოფია: ლევინასი.**
01.10. – **XX საუკუნის გერმანია: ნაციონალ-სოციალიზმის პრობლემა.**
02.10. – **დისკუსია დასავლეთში ეთიკის, განსაკუთრებით კი ეკოლოგიური ეთიკის შესახებ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამოქალაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარეს პროფ. დოქტორ მერი ჭელიძეს და საბჭოს წევრებს

ღრმად პატივცემულო მეგობრებო!

პატივი გვაქვს მოგმართოთ იმ რწმენით, რომ თქვენს კეთილ ნებას ემთხვევა და თქვენი უფლებამოსილების ფარგლებშია ყველა ჩვენგანისთვის საამაყო პიროვნების, თქვენი კოლეგის, მწერალ და ფილოსოფოს გივი მარგველაშვილისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება, რაც ძალზე დაგვიანებული სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრებას მოემსახურება და შესაბამისად, გაზრდის ყველა ჩვენგანის ღირსების განცდას.

ნება მოგვეცით, თქვენთან ერთად გავიხსენოთ ბატონ გივის დიდი ფილოსოფიური ნაღვაწის ზოგი შედეგი, რაც კარგადაა ცნობილი თქვენთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის, ავრეთვე მოგახსენოთ მისი გერმანულენოვანი ლიტერატურული შემოქმედების შესახებ, ახლა ინტენსიურად რომ გამოიცემა გერმანიაში და იქ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს.

შემოვიფარგლებით გ. მარგველაშვილის მხოლოდ სამი მონოგრაფიის დასახელებით, რაც მისი უმდიდრესი ფილოსოფიური შემოქმედების მეათედს თუ შეადგენს:

1. Сюжетное время и время эксистенции, Тбилиси, 1976 г.
2. Аксиологическое значение различия между экзистенциальним и категориальным в хайдегеровском онтологическом учении, Тбилиси,1979 г.
3. ფინალობის პრობლემა ნიკოლაი ჰარტმანის და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიებში, „მეცნიერება", თბილისი, 1983 წ.

ეს უკანასკნელი, როგორც პროფესორმა **გურამ თევზაძემ** აღნიშნა ქ. მინსკში გამართულ გ. ჰაიდეგერისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, – **წარმოადგენს ფუნდამენტურ გამოკვლევას, რომლითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა.** რაც შეეხება მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, გერმანიაში უკანასკნელ წლებში გამოიცა **გ. მარგველაშვილის** ოთხი სქელტანიანი რომანი და ხუთი წიგნი, რომლებშიც შესულია მისი პოეტური, დრამატული და თეორიული ხასიათის ნაწარმოებები. გივი მარგველაშვილის ლიტერატურული შემოქმედება გერმანიაში შეფასებულია როგორც ღრმად ფილოსოფიური პროზა და პოეზია. ჩამოვთვლით მხოლოდ ნაწილს:

1. Muzal – Ein georgischer Roman
მუცალი – ქართული რომანი, 1991, მაინის ფრანკფურტი.
2. Das böse Kapitel
წიგნის ავბედითი თავი (I წიგნი რომანების ციკლისა „დიდი კორექტურა"), 1991, ბერლინი.
3. Kapitän Wakusch (in Deuxiland)
კაპიტანი ვაკუში (დიოქსილანდში), რომანი, I ტომი, 1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. Kapitän Wakusch (Sachsenhäuschen).
კაპიტანი ვაკუში (ზაქსენჰოისხენი), 2 ტომი, 1992, კონსტანცი.
5. Der ungeworfene Handschuh
არნასროლი ხელთათმანი, ლექსები და ლექსები პროზად. 1992, ბერლინი.
6. Zuschauerräume
მაყურებელთა დარბაზები, პიესა, 1992, ბერლინი.
7. Leben im Ontotext
ცხოვრება ონტოტექსტში. პოეზია, პოეტიკა, ფილოსოფია. ნოიბრანდერბურგი. 1993.

ფილოსოფიური, ენათმეცნიერული, ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი თხზულებების სრულ ბიბლიოგრაფიას წარმოგიდგენთ დანართის სახით.

რა თქმა უნდა, ბატონ გივი მარგველაშვილისთვის ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება ვერ გადასწონის ყველა იმ ტკივილსა და უსამართლობას, რაც მას დაატყდა თავს ჩვენს სასტიკ პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში, მაგრამ, უეჭველია, ეს დიდი სიხარულის მომტანი იქნება ღვაწლმოსილი შემოქმედისათვის მისი დაბადებიდან 70 წლის თავზე. ამავე დროს იგი გააწონასწორებს მისი დაფასება-აღიარების პინას, რაც ჯერ მთლიანად გერმანიისაკენ არის გადახრილი, რადგან საქართველოში მისი არაოფიციალური აღიარება ვერ შეენაცვლება ოფიციალურს.

პატივისცემით:

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი";
რაინერ მარია რილკეს საერთაშორისო საზოგადოება;
გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის ადგილობრივი განყოფილება;
პუშკინის საერთაშორისო საზოგადოება;
ჟურნალი „აფრა".

1 დეკემბერი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდევნილნი და უარყოფილნი —

ანუ მაჰმადიან მესხთა დაუსრულებელი ტრაგედია

„ჩვენის ფიქრით,... არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა... ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ისმალეთის საქართველო... ვარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია...

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო ეხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ისმალეთის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსანნი“ მოქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთაველის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ ეხსენებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღეკვეთულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უნქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისთვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის ოქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს... ეკრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა ვანგვაშორა ჩვენი ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხენენი...

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შეკუეერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ ოკი არ ერჩის ადამიანის სინდისს... და ლმობიერს ვულზედ ძმას ძმურადვე მიეკრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული... “.

ილია ჭავჭავაძე

პროგლემის ისტორია

მესხები – ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია. XVII საუკუნემდე ისინი ისევე, როგორც დანარჩენი ქართველობა, მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. XVI საუკუნეში, ისარგებლა რა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური დასუსტებით, თურქეთმა მიიტაცა მესხეთი და დაარქვა **„გურჯისტანის ვილაიეთი“**, სხვაგვარად **„ახალციხის საფაშო“**. 1578 წლიდან ორნახევარი საუკუნის განმავლობაში მესხები თურქეთის უღელქვეშ იმყოფებოდნენ.

თურქები მესხებს **„გურჯი ოღლის“ („ქართველის შვილს“)** უწოდებდნენ (სხვათა შორის ეს მეტსახელი შემონახული იყო გვიანობამდე. ასპინძის რ-ის სოფ. ზემო ოშორაში 1839 და 1842 წლების აღწერებში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი ალი გურჯი ოღლი, ხოლო სოფ. აბის მხვნელ-მთესველთა შორის 1847 წ. ირიცხება ისმაილ გურზინ-ოღლი).

დაპყრობილ ტერიტორიაზე თურქები ატარებდნენ პოლიტიკას, რომლის მიხედვით მიწაზე საკუთრების უფლება ჰქონდა მხოლოდ სამხედრო ვალდებულს, რომელიც, თავის მხრივ მხოლოდ მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. მოსახლეობა იძულებული ხდებოდა მაჰმადიანობა მიეღო. ამავე პერიოდში ვატიკანის მისიონერები თურქეთის ხელისუფალთა ნებართვით მესხეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის ნაწილს კათოლიკეებად ნათლავდნენ. ისლამიზაციის შედეგად მესხები ივიწყებდნენ ქართულ ენას, რადგანაც სავალდებულო სალაპარაკო ენად თურქული ითვლებოდა. ქრისტიანული კულტურა თანდათანობით ადგილს უთმობდა მაჰმადიანურს (მესხებს აეკრძალათ ყურძნის მოვლა, რადგანაც ყურძნისაგან ღვინოს ამზადებდნენ. ყურანი კი ღვინის სმას კრძალავს).

მხოლოდ 1829 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი უერთდება რუსეთის იმპერიას. 1870 წ. გამოცემული „თბილისის გუბერნიის აღწერების კრებულში" მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩაწერილია, როგორც **„ქართველი-სუნიტი"**. მათ გარდა მესხეთის ტერიტორიაზე მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ მომთაბარე ტომები – „თარაქამა" და ქურთები.

XX ს. დასაწყისში, ატარებდა რა ქართველი ხალხის გათიშვის პოლიტიკას, მეფის ხელისუფლებამ მესხეთში თურქული სკოლები გახსნა. ამ დროისათვის მაჰმადიანი მესხები თავს აღარ თვლიდნენ ქართველებად, იმიტომ რომ „ქართველი" მათთვის გაიგივებული იყო „ქრისტიანთან". ადგილობრივ კათოლიკეებს უწოდებდნენ **„ფერენგს"** (**„ფრანგი"**, ვინაიდან მათ კათოლიკობა ფრანგებისგან მიიღეს). მაჰმადიანი მესხები თავს არც თურქებად თვლიდნენ, არამედ **„იერლი მისლიმან"**-ად (**„ადგილობრივი, მკვიდრი მაჰმადიანი"**), ამით ისინი ქურთებსა და თარაქამებს ემიჯნებოდნენ. XIX–XX ს.ს. მიჯნაზე მაჰმადიან მესხებში შეინიშნება ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ გამოდგება 1886 წლის „თბილისის გუბერნიის, ახალციხის მაზრის ოჯახების აღწერა". ამ დოკუმენტებში ადგილობრივი მოსახლეობის 60% „ქართული ეროვნების მაჰმადიან-სუნიტებად" იწერებიან და მათში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ქართული გვარი. აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც: ადიგენის რ-ის სოფ. უდეს კათოლიკურ ეკლესიაზე შემონახულია წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ მის მშენებლობაზე ქრისტიანებთან ერთად „ქართული ტომის მაჰმადიანებმაც" გაიღეს შემოწირულობა.

მაჰმადიანი მესხები ლაპარაკობენ თურქული ენის აღმოსავლეთანატოლიურ დიალექტზე, ოღონდაც ისეთი ბგერითი თავისებურებებით, რომელიც მხოლოდ ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი. უფრო მეტიც – ამ ენაში მოიპოვება ქართული სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიის ფართო შრე.

ყველაზე დიდი ზიანი მესხთა ქართულ ცნობიერებას საბჭოთა ხელისუფლებამ მიაყენა. ჯერ იყო და ისინი, ეთნიკურად ქართველები, 1923 წ. ჩაწერეს „აზერბაიჯანელებად", მასობრივად გადაუკეთეს ქართული გვარები აზერბაიჯანულად და მესხეთი გადააქციეს აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად (იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირს საკუთარი ინტერესები ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში, იგი ბევრ დათმობაზე მიდიოდა თურქეთთან).

1944 წ. 31 ივლისს სტალინმა ხელი მოაწერა სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის №6279 ბრძანებას სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის შუა აზიაში გადასახლების თაობაზე, რაც სისრულეში მოიყვანეს იმავე წლის 15-17 ნოემბერს. გასახლების საბაბი იყო თურქეთთან საზღვრისპირა რაიონებში მათი „არასაიმედობა". გადასახლებულთა ძირითადი ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, უმეტესად ქალები, ბავშვები და მოხუცები (მამაკაცები ომში იბრძოდნენ...). დაახლოებით 90.000 ადამიანი შეყარეს სატვირთო მატარებლებში. მგზავრობა თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. გზაში მრავალი ათსი ადამიანი დაიღუპა, უმეტესად ბავშვები, რომელთა გვამებს თანმხლები სამხედრო პირები ვაგონებიდან ყრიდნენ. იმ დღეებში, როცა დეპორტირებულები ჯერ კიდევ ვაგონებში იყვნენ, **პავლე ინგოროყვამ** და **სიმონ ჯანაშიამ** მიმართა **სტალინსა** და **ბერიას** მათი უკან დაბრუნების თხოვნით. 1946 წ. **სიმონ ჯანაშიამ** სტალინთან პირადი შეხვედრის დროს იგივე თხოვნა გაუმეორა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 წლის განმავლობაში დეპორტირებული მესხები იმყოფებოდნენ საკომენდატო რეჟიმის პირობებში და მხოლოდ **1956 წ.** გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული ზედამხედველობისგან. მაგრამ მათ არ მიეცათ უფლება დაბრუნებოდნენ მშობლიურ ადგილებს. დეპორტირებული მესხები იწყებენ ბრძოლას სამშობლოში დაბრუნებისთვის. უგზავნიან მიმართვებს როგორც ცენტრალურ, ასევე რესპუბლიკის ხელისუფალთ. 1966 წ. ამ მოძრაობის ლიდერები **ლ. ბარათაშვილი, ხ. გოზალიშვილი** ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ცდილობდნენ აღედგინათ და განემტკიცებინათ დეპორტირებულებში ქართული ეროვნული ცნობიერება. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა გაანადგურა ისტორიკოს **ხალილ გოზალიშვილის** არალეგალურად გამოცემული ისტორიული ნარკვევი **„მესხების ტრაგედია“**, სადაც ნაჩვენები იყო დეპორტირებულთა ქართული წარმომავლობა, მოხერხდა ხელნაწერის გადარჩენა. მოგვიანებით, 1995 წელს იგი წიგნად გამოსცა ვ. რცხილაძემ. ამ დროისთვის ხ. გოზალიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო.

1966 წელს ხ. გოზალიშვილი აყალიბებს იატაკქვეშა **„ქართველ მესხთა წრეს“**, რომლის წევრებიც ბილეთს, კონსპირაციის მიზნით, კომკავშირის ბილეთის ყდაში ინახავდნენ.

1968 წლის აგვისტოში მათ თბილისში, კომუნარების ბაღში მოაწყვეს მიტინგი. მაგრამ, საქართველოს მაშინდელი მთავრობის მითითებით მიტინგი დაარბიეს, ხოლო სამშობლოს კარი „საგულდაგულოდ“ ჩაკეტეს. გასახლებულები მაინც ცდილობდნენ უკან დაბრუნებას. იშვიათ შემთხვევაში ახერხებდნენ არალეგალურად შემოსვლას საქართველოში და აქ დამკვიდრებას. ძირითადად კი რესპუბლიკის მიმდებარე ტერიტორიებზე სახლდებოდნენ. ასე გაჩნდა 1956 წლის შემდეგ მესხთა დასახლებები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (მუღანის ველი, საათლის რაიონი, მინგეჩაურის რაიონი), ჩრდილოეთ კავკასიაში (ყაბარდო-ბალყარეთი).

საბჭოთა რეჟიმის შედარებითი „დათბობის“ პერიოდში, შესაძლებელი გახდა კონტაქტები მესხთა მოძრაობის ლიდერებსა და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის, თუმცა ეს გარკვეულ რისკს უკავშირდებოდა, ვინაიდან „მესხთა საკითხი“ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

ქართველი ინტელიგენცია (**გიორგი ჩიტაია, სერგი ჯიქია, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე, პავლე ხუჭუა, შოთა ლომსაძე, ვახტანგ ჯაფარიძე** და სხვები) არაერთხელ მიმართავდა საქართველოს მთავრობას დეპორტირებულთა უკან დაბრუნების თხოვნით.

1976 წ. გამოვიდა დისიდენტური ჟურნალები „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მოამბე“, რომლებიც ძირითადად ქართველი მაჰმადიანების უფლებების დაცვის პრობლემებს შეეხებოდა. აქ სამართალდამცველებიმერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ვიქტორ რცხილაძე და სხვები დეპორტირებულთა დაბრუნებას უჭერდნენ მხარს.

1978 წ. მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებული სამოქმედო პროგრამის უმნიშვნელოვანესი მუხლი ითვალისწინებდა დეპორტირებული მესხების უკან დაბრუნებას.

1979 წ. 13 მარტს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომელთა შორისაც იყვნენ **სერგი ჯიქია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩიტაია, აკაკი შანიძე, ვერიკო ანჯაფარიძე** და სხვ. მიმართეს **ედუარდ შევარდნაძეს** პეტიციით, რომელშიც ითხოვდნენ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნებას. ამ პერიოდიდან იდგმება პირველი რეალური ნაბიჯები პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველო იწყებს დეპორტირებულთა ეტაპობრივ დაბრუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გარდაქმნის“ ეპოქაში

1989 წ. ივნისში მასიურად დაარბიეს უზბეკეთში, ფერგანის ოლქში მცხოვრები დეპორტირებული მესხები. 16.000-ზე მეტი მესხი ევაკუირებული იქნა რუსეთის ტერიტორიაზე და განსახლებული ბელგოროდის, ვორონეჟის, კურსკის, ორიოლის, სმოლენსკისა და ტვერის ოლქებში.

1989 წლის აღწერების მონაცემთა მიხედვით უზბეკეთში ცხოვრობდა დაახლოებით 100.000 დეპორტირებული მესხი. ფერგანის მოვლენების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში უზბეკეთი დატოვა 90.000 მესხმა. ახალი სისხლიანი დარბევის შიშით და ადგილობრივი მოსახლეობის შოვინისტურად განწყობილი ნაწილის მუქარით ადამიანები გარბოდნენ სხვა რესპუბლიკებში. ამ პროცესს ხელს უწყობდა ადგილობრივი ხელისუფლებაც. ზოგ რაიონში ასეთი ზეწოლა იძულებითი ევაკუირებით მთავრდებოდა.

უზბეკეთიდან დეპორტირებული მესხები მიდიოდნენ ძირითადად რუსეთსა და აზერბაიჯანში, მცირე ნაწილი უკრაინასა და ყაზახეთში. დღეისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობს 300.000-მდე მესხი: ყაზახეთში – 80.000, აზერბაიჯანში – 110.000, რუსეთში – 70.000, ყირგიზეთში – 30.000, უზბეკეთში – 15.000, უკრაინაში 10.000. ეს მიახლოებითი მონაცემებია, რადგან დეპორტაციის შემდეგ მათი აღწერა აღარ ჩატარებულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპორტაციის შემდეგ გასახლებულთა მასაში თანდათანობით ყალიბდება ორი, ერთმანეთის საპირისპირო ორიენტაცია – **პროქართული** და **პროთურქული**. პირველზე ზემოთ ვისაუბრეთ; რაც შეეხება პროთურქული ორიენტაციის წარმომადგენლებს, ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ დეპორტირებულთა დღევანდელ მდგომარეობას – მუსულმანურ რელიგიას, თურქულ ენას, დოკუმენტებში ჩაწერილ აზერბაიჯანულ გვარებსა და ეროვნებას; ეწევიან ისტორიის ფალსიფიცირებას და ამკვიდრებენ აზრს, რომ მესხეთი ისტორიულად თურქული ტომებით იყო დასახლებული და თვითონ კი ამ ტომების შთამომავალნი არიან. მათ მიერ შექმნილი ორგანიზაცია **ვატანი,** როგორც ჩანს, დიდ მხარდაჭერას პოულობდა და პოულობს რუსეთის სპეცსამსახურებისგან. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ სისტემატურად ფინანსდება მათი ყოველთვიური გაზეთი „ვატან ეშხი“, რომელიც მათი იდეოლოგიური ტრიბუნაა. ასეთივე მხარდაჭერით სარგებლობს „ვატანი“ აზერბაიჯანშიც. აზერბაიჯანის მთავრობამ იზრუნა იმაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება წარემართა იქ ჩასახლებულ მესხთა პრობლემებისკენ, რათა ფინანსურად დახმარებოდნენ მათ.

ქართული ორიენტაციის დეპორტირებული მესხები, რომლებზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, საბოლოოდ ერთიანდებიან საზოგადოებაში **„ხსნა“** (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 1992 წლის მაისში). ხოლო დეპორტირებულთა შთამომავლებმა, მესხმა სტუდენტებმა, რომლებიც თბილისში სწავლობენ, 1996 წელს შექმნეს ახალგაზრდული საერთაშორისო ორგანიზაცია **„მესხეთი“**.

რა მდგომარეობაში იმყოფება დეპორტირებულთა ძირითადი მასა მათი განსახლების ადგილებში?

დეპორტირებული მესხების უფლებებთან დაკავშირებული თანამედროვე სიტუაცია კარგად აისახა კრასნოდარის მხარის მაგალითზე (კრასნოდარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეში მცხოვრები მესხების უფლებების დარღვევის მონაცემები ადამიანთა უფლებების დაცვის ცენტრ „მემორიალიდან" 1994-95 წწ. ექსცესების დროს შეგროვილი მასალების საფუძველზე).

კრასნოდარის მხარეში განსახლდა **15-16 ათასი** მესხი. ამ მხარის ხელისუფალნი ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით ატარებენ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მიგრაციული რეჟიმის გამკაცრებისა და მიგრირებულთა მიმართ მაქსიმალურად მძიმე პირობების შექმნისკენ. მესხების **95%-ს** არა აქვს ჩაწერა. ამის თაობაზე ხელისუფლებისადმი მრავალჯერად მიმართვას შედეგი არ გამოულია. მაჰმადიან მესხებს არა აქვთ არც მოქალაქეობა და არც ლტოლვილის სტატუსი, არა აქვთ ქორწინების, დაბადების, სახლის შეძენისა და საერთოდ, არანაირი რეგისტრაციის უფლება. მათ არ იღებენ მუდმივ სამუშაოზე, არ აძლევენ პენსიებს, მათ შვილებს არა აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება. დიდ ზეწოლას განიცდიან მესხები ადგილობრივი კაზაკების მხრიდანაც, რომლებიც შოვინისტურ პროპაგანდასა და სხვადასხვა დისკრიმინაციულ აქციებს ატარებენ „არასლავურ ეროვნებათა მიმართ".

დეპორტირებულთა უმრავლესობას სურს სამშობლოში დაბრუნება, რაც შეუძლებელი ხდება საქართველოს ხელისუფალთა წინააღმდეგობის გამო. ამავე დროს, **1992-94 წწ-ში.** წარმოებული მოლაპარაკებები ჩრდილო კავკასიის სამხარეო ადმინისტრაციასა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა შორის, ქართული მხარის აბსტრაქტული დაპირებანი **„მესხების პრობლემის ეტაპობრივი გადაწყვეტის"** შესახებ, რაც არავითარი გარანტიებით არ იყო გამაგრებული, სამხარეო ხელისუფლების მიერ გამოყენებული იქნა, როგორც მიზეზი მესხებზე უფრო მეტი ზეწოლისა, რათა აიძულონ ისინი, დატოვონ ეს ტერიტორიები.

ასევე, დაახლოებით ათასი მესხი უუფლებოდ ცხოვრობს ყაბარდო-ბალყარეთში, **700-მდე** როსტოვის ოლქში, **200** — სტავროპოლის მხარეში, ყველა ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ მესხებთან დაკავშირებით არის დამატებითი პრობლემები. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ყაბარდოს ექსტრემისტულად განწყობილი ძალები აიძულებდნენ მესხებს, მონაწილეობა მიეღოთ ამ ომში ქართველების წინააღმდეგ. უარის შემთხვევაში ემუქრებოდნენ ყაბარდოდან გაძევებას. დაახლოებით ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ჩეჩნეთის ომის დროსაც.

მაგრამ მთავარი, რასაკვირველია, **დეპორტირებულთა უფლებების დარღვევაა საქართველოში.**

1989 წ. ფერგანაში მესხების ბარბაროსული დარბევის შემდეგ ეროვნული მოძრაობის ლიდერები საჯაროდ გამოდიან დეპორტირებულთა უკან დაბრუნების მხარდასაჭერად. მათ შორისაა **ზვიად გამსახურდიაც.**

1989 წ. ივნისს შუა რიცხვებში ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **აკაკი ბაქრაძე** საქართველოს ტელევიზიით მიმართავს მთელ ქართველ ხალხს, არ შემოუშვან არცერთი გამაჰმადიანებული მესხი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს დაღუპვა ელის („თუნდაც ერთი ლტოლვილის მიღება საქართველოს ისტორიის სამუდამოდ შეწყვეტას ნიშნავს"). იწყება ანტიმესხური კამპანია, რომელიც სულ უფრო აგრესიულ და სასტიკ ხასიათს იძენს. ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერი (**ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი** და სხვ.) რადიკალურად იცვლიან პოზიციას მაჰმადიან მესხებთან დაკავშირებით.

1990 წელს იწყება რეპატრირებული მესხების ხელახალი განდევნა სამეგრელოს რეგიონიდან.

1990 წ. 24 ივლისს ბარბაროსულად დაარბიეს და საცხოვრებელი ადგილიდან აყარეს დვალიძეების ათი ოჯახი, სამოცდაორი სულიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარზე მეტი — ბავშვები.

1991 წ. ნოემბერში გახშირებული ბანდიტური თავდასხმებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად იძულებული გახდნენ ხონის რაიონის სოფ. ახალშენიდან აყრილიყვნენ და საქართველოდან წასულიყვნენ ჩიტაძეები, ნადირაძეები, ლომიძეები და სხვ.

ამჟამად საქართველოში **500-მდე** მესხი რეპატრიანტი ცხოვრობს. **300-ზე** ცოტა მეტი ამ ოცი წლის წინათ ჩამოსახლებულნი არიან. დანარჩენები – საქართველოში მყოფი სტუდენტი ახალგაზრდები. ბუნებრივია, სწავლის დამთავრების შემდეგ მათ სურთ ოჯახებთან ერთად საქართველოში ხელახლა დამკვიდრება. მაგრამ დღემდე არ არსებობს მათი დაბრუნებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზა. 1993 წლიდან მოკიდებული საქართველოს ხელისუფლების მიერ უხვად არის მიღებული სხვადასხვა დადგენილება, რომელიც მესხთა პრობლემის მოგვარებას ეხება,მაგრამ არც ერთი მათგანი არ ხორციელდება. ასე, მაგალითად, მინისტრთა კაბინეტის **1995 წლის 7 სექტემბრის №641 დადგენილებით** პაქსაძეების ოჯახი უნდა ჩამოსახლებულიყო ადიგენის რაიონის სოფელ უთხისუბანში, ჩხეიძეების რამდენიმე ოჯახს ეძლეოდა უფლება შეესყიდათ სახლები ახალციხის რაიონში. მინისტრთა კაბინეტი აღარ არსებობს, ხოლო პაქსაძეები და ჩხეიძეები დღემდე ელიან დანაპირების შესრულებას.

გასულ ზაფხულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსელი მესხი ახალგაზრდები **ანვარ პაპიძე** და **სადიარ ხოზრევანიძე** პრაქტიკაზე ადიგენის რაიონში გააგზავნეს. გამგებელმა **გ. კაჭკაჭიშვილმა** განუცხადა, რომ მათი გასაკეთებელი საქმე რაიონში არ არსებობს, ხოლო მას პირადად არავითარი სურვილი არა აქვს, დატოვოს ისინი თუნდაც ერთი თვით იქ სამუშაოდ. მიზეზად მათ მამა-პაპათა მიერ „ჩადენილი დანაშაულობები" მოიტანა და შეურაცხყოფილი ბიჭები თითქმის მუქარის ძალით უკან გამოაბრუნა.

სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება საქართველოში მაჰმადიანი მესხების მიმართ მმართველი აპარატის მუშაკებისა და უფრო მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მხრივ პროვოკაციული გამოსვლები.

მაგალითისთვის პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის **გ. შარაძის** არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია და სატელევიზიო გამოსვლა კმარა. მოგვყავს რამდენიმე ეგზოტიკური ციტატა მისი გამონათქვამებიდან:

„1944 წლამდე, ვიდრე გაასახლებდნენ, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიმართ მათ მრავალი დანაშაული ჩაიდინეს, რაც მესხეთის მოსახლეობას დღემდე ახსოვს. ე.წ. თურქ-მესხთა უმრავლესობა არაქართველი იყო, მცირე ნაწილი კი გათურქებული ქართველები გახლდნენ. ეს კონგლომერატი თავისი ანტიქართული ქმედებებით დიდ შუღლს იწვევდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს მათი აბსოლუტური უმრავლესობა თურქეთს უჭერდა მხარს, რომელიც ფაშისტური გერმანიის მოკავშირე იყო. მათი „წყალობით" თურქეთის საზღვართან საშიშროება შეიქმნა... შვილები ქართველებისადმი ზიზღით გაზარდეს. თან თუ მათი გამრავლების ტემპსაც გავითვალისწინებთ, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველოს სახსენებელიც აღრ იქნება... მარტო ქართული გვარი და დაბრუნების სურვილი არ კმარა, არანაირი ქართული ცნობიერება არ გააჩნიათ. მათი აყვავებული საქართველოსი კი მე არ მჯერა... ეს კიდევ ერთი სამოქალაქო და ყველაზე საშინელი, სისხლისმღვრელი ომის მომასწავებელია. აფხაზეთი და სამაჩაბლო სანატრელი გაუხდება საქართველოს... სანამ პირში სული მიდგას, მე ამ აქციის წინააღმდეგი ვიქნები." და ა.შ. და ა.შ.

გარდა იმისა, რომ ციტატებში გამოთქმულ აზრებს არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან და მხოლოდ ცილისწამებად გვევლინება, ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტისამართლებრივ, ანტიკანონიერ სულისკვეთებას ამკვიდრებენ ჩვენს ქვეყანაში, რომლის გადარჩენაც საერთოდ იმაზე ჰკიდია, გადაიქცევა თუ არა იგი სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ. **განა საგანგაშო არ არის, რომ ეს ფაშისტური ნიშნით აღბეჭდილი ქადაგება საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან ხდება? ბ-ნ გ. შარაძე** ხომ ხელახლა აღვიძებს ამ რამდენიმე წლის წინ ულტრანაციონალისტების მიერ დათესილ ბრმა აგრესიას ამ მრავალტანჯული ხალხის მიმართ. **საგანგაშო კია, მაგრამ სამწუხაროდ, არაა გასაკვირი, ბ-ნი შარაძე ფაქტობრივად რომ ამართლებს სტალინის ხელისუფლების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ ყველაზე შემზარავ ბარბაროსულ დანაშაულს — ხალხის დეპორტაციას!**

დღემდე საქართველოს არ მიუცია ეთნოციდის კვალიფიკაცია მაჰმადიანი მესხების გასახლებისათვის.

მესხ რეპატრიანტებს არა აქვთ უფლება აღიდგინონ გვარი და ეროვნება. იუსტიციის სამინისტრო უარს ეუბნება მათ შესაბამისი კანონის უქონლობის მიზეზით.

ახალგაზრდა მესხი სტუდენტები, რომლებიც უკვე ოთხი წელია ცხოვრობენ საქართველოში, დღემდე ყოველგვარი კანონის გარეშე იმყოფებიან აქ. არა აქვთ ჩაწერა, არა აქვთ მოქალაქეობა, არა აქვთ გვარისა და ეროვნების აღდგენის უფლება. რაც მთავარია, არ არის კანონი – 53 წლის წინ უდანაშაულოდ დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციისა და რეპატრაციის შესახებ.

1996 წლის 26 იანვარს საზოგადოება **„ხსნა“**-მ მიმართვა გაუგზავნა ქვეყნის პრეზიდენტს დეპორტირებული მესხების უფლებათა დარღვევის თაობაზე. წერილი ადრესატამდე არ მისულა. მან იტრიალა კანცელარიის კედლებში და ბოლოს დაუბრუნდა რეპატრაციის სამსახურს. ასეთი რამ ემართება პრეზიდენტისადმი ნებისმიერ წერილობით მიმართვას დეპორტირებული მესხების მხრიდან.

დსთ-ს ქვეყნებში ლტოლვილთა პრობლემებისადმი მიძღვნილი ჟენევის კონფერენციის (1996 წ. მაისი) დებულებების მიხედვით **„პიროვნებას, რომელიც ეკუთვნის ადრე დეპორტირებულ ხალხს, უფლება აქვს ისტორიულ სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებისა“**. საქართველო მონაწილეობას იღებდა ამ კონფერენციის მუშაობაში და ხელი მოაწერა მის რეზოლუციებს. მაგრამ იგი დღემდე არ შეუერთდა ბიშკეკის 1992 წლის შეთანხმებას დეპორტირებული ხალხების შესახებ, რის გამოც ხდება ფაქტიურად მესხთა რეპატრიაციის ბლოკირება.

დეპორტირებული მესხების ყველა მცდელობა, ინდივიდუალურად დაბრუნდეს საქართველოში, როგორც წესი, მთავრდება უშედეგოდ. ადგილობრივი ხელისუფლება ყველანაირი საშუალებებით ცდილობს ხელი შეუშალოს მათ კანონიერ სურვილს. ხდება სახლის გაყიდვის მსურველ პირთა დაშინება, რათა მან არ მიყიდოს თავისი სახლი მაჰმადიან მესხებს.

ერთი რამ ნათელია: სანამ საქართველოში არ იქნება მიღებული დეპორტირებული მესხების რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის კანონი, ყოველთვის შელახული იქნება მათი უფლებები, ხოლო საქართველო ვერ გახდება სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო.

დღესდღეობით **მაჰმადიანი მესხები ერთადერთი უსამშობლო ხალხია** – გაფანტული ყოფილი საბჭოეთის მთელ ტერიტორიაზე – **უარყოფილი და დამცირებული საკუთარი სამშობლოს მიერ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდევნილ მესხ ქალებს სჯერათ ქრისტიანი ქართველი ქალების გულმოწყალების

მესხი დედების მიმართვა

ჩვენო სისხლისმიერო დებო, ქართველო დედებო!

ჩვენ, დედებს, ყველაზე უფრო ახლოს მიგვაქვს გულთან ჩვენი შვილების ტკივილი და ტანჯვა. ჩვენთვის მათი ბედნიერება ყველაფერზე ძვირფასია. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ქალები შვილებს საშობლოს უსაზღვრო სიყვარულს უნერგავდნენ და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ლოცვა-კურთხევით გზავნიდნენ.

ბედის უკუღმართობის გამო ყველაზე მეტად საქართველოს უძველესი მიწა, მესხეთი, დაზარალდა. თითქმის ოთხასი წელია, ჩვენ, მესხეთის შვილებს, ვადაჯიშებისაკენ გვბიძგებდნენ, რათა აღმოეფხვრათ ჩვენში ქართული ცნობიერება. ამ ულმობელ სამყაროში არსებობისთვის ბრძოლაში დავკარგეთ მშობლიური ენა და სარწმუნოება. მიუხედავად ამისა, ჩვენ, მესხი ქალები, ჩვენი დაჩეხილი ფესვების ამოძირკვის უფლებას არავის მივცემთ. თვითშენარჩუნების ინსტინქტი გვკარნახობდა, თავი აგვერიდებინა შერეული ქორწინებებისათვის.

ძვირფასო ქალებო, ჩვენ ვერ ვერკვევით ჩვენი დროის რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, მაგრამ მოგმართავთ ვედრებით, გამხიაროთ ჩვენი სულიერი ტანჯვა.

აქ არ მოვყვებით, ამ ოთხასი წლის მანძილზე რა ტანჯვა-წამება გამოიარეს მესხებმა, ან ახლა რა ვადაიტანა ჩვენმა თაობამ, რომელიც 1944 წელს მოწყვიტეს მშობლიურ მიწას და გადაასახლეს (ეს ფაქტი ქართველ მეცნიერთათვის და ინტელიგენციისათვის კარგადაა ცნობილი).

გადასახლებაში ბამბის პლანტაციებზე მუშაობისას ჩვენ ვიწამლებოდით დეფოლიანტით, რომელსაც თავის დროზე ვიეტნამის ომში ჯუნგლების მწვანე საფარველის ვასანადგურებლად იყენებდნენ.

უცხოეთში უსამართლობა, უკანონობა, დისკრიმინაცია იყო ჩვენი ხვედრი.

1989 წელს ფერგანის გასმაურებული მოვლენებისას გენოციდის მსხვერპლნიც გავხდით. არ დავიმძიმებთ გულს იმ საშინელი სასაკლაოს აღწერით, არ გიამბობთ როგორ გვაწამებდნენ, გვხოცავდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ ჩვენს ადამიანურ ღირსებას. რა ბარბაროსულად უსწორდებოდნენ ჩვენს უცოდველ ბავშვებს.

ფერგანის ტრაგედიამ უფრო დაგვქარა და დაგვანაწევრა ყოფილი საბჭოთის ტერიტორიაზე.

ახლა, როცა ყველა ხალხი თავისი ნაციონალური ტრადიციების აღდგენისათვის იღვწის, როცა ყველა თავის ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს, უფრო გვიჭირს ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნება და, ამიტომაც, ჩვენი გადაჯიშების საფრთხე მატულობს. ჩვენ უსაშშობლონი და მიუსაფარნი ვართ.

ჩვენ, მესხეთის განდევნილ შვილებს, ჩვენს მრავალტანჯულ მიწაზე მცხოვრებთა დარად გვსურს ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, გვსურს მშვიდობასა და თანხმობაში აღვზარდოთ ჩვენი შვილები.

ძვირფასო ქართველო დედებო და დებო! ღვთის გულისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვიგეთ და გაიზიარეთ ჩვენი სატკივარი, გამოგვიწოდეთ დახმარების ხელი, აღსდექით უსამართლობის წინააღმდეგ. ჩვენ, ქალებს, შეგვიძლია ეს, რადგანაც სამყარო ქალთა ურთიერთგაგებასა და სიყვარულს ემყარება. თქვენ შეგწევთ ამის უნარი, რადგანაც უფლის მიერ ნაბოძებ ჩვენს წინაპართა მიწაზე დგახართ.

მიმართვა მიღებულია აზერბაიჯანში, 1997 წლის 10 ივლისს მესხი დედების საერთო კრებაზე. კრებას ესწრებოდა 500 დელეგატი დსთ-ს სხვადასხვა რეგიონიდან.

ეს მიმართვა აზერბაიჯანში მცხოვრებმა რამდენიმე მესხმა დედამ 1997 წლის აგვისტოში ჩამოიტანა თბილისში და გადასცა „კავკასიურ სახლს". „კავკასიურმა სახლმა" იგი გაამრავლა და დაუგზავნა ქალთა ორგანიზაციებსა და პარლამენტარ ქალებს, ამავე დროს, მოიწვია ისინი მიმართვისა და მესხთა პრობლემის განსახილველად. ამ უკანასკნელთაგან აღნიშნულ ღონისძიებაზე არცერთი არ გამოცხადდა.

დეპორტირებულ მესხებს სჯერათ საქართველოს *პრეზიდენტის* სამართლიანობის

მიმართვა

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო. ჩვენი ერთობლივი მიმართვის მიზეზია პრეზიდენტის 1996 წ. 9 დეკემბრის №802 ბრძანებულებისა და ამ ბრძანებულებით დამტკიცებული იმ პროგრამის შეუსრულებლობა, რომელიც ეხება დეპორტირებული და საქართველოში რეპატრირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემებს.

ბატონო პრეზიდენტო, 70-იანი წლების დასაწყისში, მოხვედით რა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების სათავეში, თქვენ როგორც მოაზროვნე პოლიტიკოსმა და მამულიშვილმა, გულგრილად ვერ აუარეთ გვერდი დეპორტირებული მესხების პრობლემას. თქვენი წყალობით პირველად მიექცა ყურადღება ამ პრობლემის გადაწყვეტას და მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციის შესაძლებლობის ფარგლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები მესხების საშობლოში დასაბრუნებლად. სამწუხაროდ, ეს კარგად დაწყებული პროცესი შეწყდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად.

დღეს საქართველო სუფენერული, დემოკრატიზაციის გზაზე მდგარი სახელმწიფოა და მის სათავეში დგას მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. არც ამჯერად აღმოჩნდა, ბატონო პრეზიდენტო, მაჰმადიან მესხთა პრობლემა თქვენი ყურადღების მიღმა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, გარდა თქვენი ადამიანური თანადგომისა, არის მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც — საქართველოს სურს დაიმკვიდროს ადგილი ევროპულ თანამეგობრობასა და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებში, როგორც დემოკრატიულმა, ცივილიზებულმა სახელმწიფომ;

თქვენი ძალისხმევით მიღებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა სახელმწიფოს მეთაურის 1993 წ. 18 მაისის

№106 ბრძანებულება და მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 23 აგვისტოს №589 დადგენილება. ორივე ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა ფუნდამენტური ღონისძიებების გატარებას მაჰმადიან მესხთა პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ მის რეალიზაციას წინ აღუდგა ჩინოვნიკური აპარატის ბიუროკრატიული კედელი, რომლის გარღვევა ვერაფრით ვერ მოხერხდა.

და, აი, 1996 წ. 9 დეკემბერს თქვენ ხელს აწერთ №802 ბრძანებულებას — მტკიცდება სახელმწიფო პროგრამა დეპორტირებულთა პრობლემების მოსაგვარებლად. დოკუმენტი სრულყოფილადაა შედგენილი: კარგად ითვალისწინებს როგორც საქართველოში არსებულ რეალიებს, ასევე პრობლემის მოგვარების უმწვავეს და გადაუდებელ მომენტებს. მაგრამ გავიდა უკვე ერთი წელიწადი და ისევ ივივე ბიუროკრატიული კედელი ხელს უშლის მის შესრულებას, ნულამდე დაყავს დოკუმენტის უფლებამოსილება.

აღმასრულებელ სტრუქტურების მოხელეები, რომელთაც ევალებათ ამ ბრძანებულების შესრულება, არა მარტო სათანადოდ არ იცნობენ საკითხს, სურვილიც კი არა აქვთ ჩასწვდნენ საქმის არსს. მათ არ იციან მესხეთის ისტორია, არ ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დეპორტირებულთა პრობლემის მოგვარებას როგორც სამცხე-ჯავახეთისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის.

საშუალოდ ასეთივე გაუცნობიერებელ მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ისინი ჯერ კიდევ იმ ანტიმესხური აგიტაციის გავლენის ქვეშ არიან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ იყო გაჩაღებული საქართველოში. არც სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებს აინტერესებთ გაათვითცნობიერონ მოსახლეობა ამ საკითხში.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ კარგად გვესმის, რამდენი საწუხარი აქვს საქართველოს: მოუგვარებელია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის პრობლემა, ეკონომიკური კრიზისის გამო მძიმე სოციალური ვითარებაა შექმნილი საქართველოში. ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ ყოველივე ამას. ჩვენ გულით თანავუგრძნობთ ამ მდგომარეობაში მყოფ ჩვენს თანამოძმეებს. ჩვენი საშობლოს გასაჭირი ყოველთვის გვაიძულებდა, რომ ჩვენ საძართლიან განცხადებებს ჰქონოდა თხოვნის და არა მოთხოვნის ხასიათი. ჩვენ გვწამს, რომ მაჰმადიან მესხთა პრობლემა საქართველოს საშინაო საქმეა და სურვილისა და მონდომების შემთხვევაში მას შეუძლია ღირსეულად მოაგვაროს ეს მტკივნეული საკითხი. არც ჩვენ გვინდა პრობლემა საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიტანოთ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოვუხმოთ დასახმარებლად — არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ ქართული დემოკრატიზაციის პროცესს მსოფლიოს თვალში.

ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტი თანაგრძნობითა და თანადგომით მოეკიდოს თავისი სისხლისმიერი ძმების უბედურებას და, რომ ეს საჭირბოროტო საკითხი არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ, სახოგადოების გადასაწყვეტი გახდეს.

მაგრამ, მანამდე ადამიანებმა უნდა გაიგონ ჩვენი წარსული და აწმყო, ჩვენი ტრაგედია, მისი ისტორიული ფესვები. ამის გარეშე ურთიერთგაგების ხიდი ვერ გაიდება ჩვენს შორის.

ამიტომ, ბატონო პრეზიდენტო, გთავაზობთ შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით:

1. პირველ რიგში აუცილებელია რეაბილიტაციის კანონის მიღება. ამასთანავე უნდა შეიქმნას ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი რეპატრიანტთა გვარების, ეროვნებისა და მოქალაქეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგენისათვის.

2. მიღებული პროგრამის რეალიზაციაზე საჭირო დაწესდეს პირადად თქვენი კონტროლი, ხოლო პროგრამის შესრულებისას სხვა საკითხების გადაჭრასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მესხების პრობლემის შესახებ სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს.

3. განათლების სამინისტრომ უნდა გააგრძელოს და არსებითად გააუმჯობესოს ის პოზიტიური საქმიანობა, რომელიც დაწყებული აქვს მესხებთან დაკავშირებით. ამასთანავე საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანილი უნდა იქნას მესხეთის ისტორიისადმი მიძღვნილი ცალკე განყოფილება.

ჩვენ კარგად გვესმის ჩვენი პრობლემის გადაწყვეტის სირთულე. ის, რომ ეს არ არის ერთჯერადი აქტი და პროცესი წლების განმავლობაში გაგრძელდება. მაგრამ, მთავარია, დაიწყოს რეპატრიაციის პროცესი, უფრო სწორედ, გაგრძელდეს ის პროცესი, რომელიც დაიწყო საქართველოში თქვენი ხელმძღვანელობით.

საქართველოს ისტორიამ ყველას თვალნათლივ დაანახა, თუ რა თავგანწირვა შეუძლია საშობლოისათვის მესხებს; მათი დიდი ნაწილი ხომ სწორედ საშობლოს ემსხვერპლა. დაგვიტოვეს ზარზმა და ოშკი, ვარძია და „ვეფხისტყაოსანი", ვმირობის ბევრი მაგალითი. ისტორიამ ისიც დაადასტურა, რა წარმოუდგენლად მომომენნი არიან მესხები. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ როგორც ქართველსა და საქართველოს პრეზიდენტს, იქნებ დრო დამთავრდეს ჩვენს სულებზე ექსპერიმენტების ჩატარება, რაც თითქმის 4 საუკუნის წინ ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო, გააგრძელა მეფის რუსეთმა და კომუნისტურმა რუსეთმა დააგვირგვინა.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ გვწამს, რომ არც ამჯერად დატოვებთ უყურადღებოდ ჩვენს თხოვნას და წინადადებებს.

1944 წ. სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ მაჰმადიან მესხთა და მათ შთამომავალთა საზოგადოება „ხსნის" წევრები:

ნოვი (კიკნაძე), ჯამშიდ ტატიძე, მუსტაფა ტატიძე, ბახადირ გაფუროვი (იმნაძე), ახმედ საფაროვი (დემეტრაძე), მეხტი საფაროვი (ბესაშვილი), ზულფიყარ ფაშალიევი (ყურაძე), ისო ახმედოვი (მოლიძე), შოთა მამუკაშვილი, რავშან ლატიპოვი (ხოზრევანიძე), ტელმან ჩახალოვი (შამანიძე), ნურადინ ბახრიევი (ჩხეიძე), ბახადირ შახბაზოვი (ყაყუნაშვილი), რავშან ფეიტულაევი (დემეტრაძე),რამის ფაზლიევი (ხოზრევანიძე), მურსალ აშრაპოვი (თავაძე), ილგარ ასადოვი (სარალიძე), ალიშან ფაშალიევი (კიკნაძე), მურსალ მამედოვი (ემინაძე), ტელმან შაბანოვი (თავდგირიძე), ილხამ ბარათოვი (ბარათაშვილი), ალიმ ბარათოვი (ბარათაშვილი), რავშან ცაცანიძე, ნაზირა კუშჩიევა (ცაცანიძე), ბექთაშ ომაროვი (აბაშიძე), მამედ გეიდაროვი (ხოზრევანიძე), ანსარ ასლანოვი (სააკაძე), აბიდა კულაევა (არევაძე), ხალილ კოჩალიევი (კოჩალიძე), რუსტამ კოჩალიევი (კოჩალიძე), მაჯიდ კოჩალიევი (კოჩალიძე), ნარიმან ხასანოვი (ვარსკნელიძე), რაშიდ მავლუდოვი (ქიტუნაშვილი), ანვარ მაჰამადიევი (ბაბიძე), ჯალილ მურსალოვი (შაგანიძე), იაშარ აშრაფოვი (თავაძე), მეხრალ დადაევი (ვაჩნაძე), ისა აშრაპოვი (თავაძე), ქამალ იბრაგიმოვი (ჩხეიძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მესხები სამართალს პარლამენტის თავმჯდომარესთან ეძებენ

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **ზ. ჟვანიას**
საქართველოს პარლამენტის ადამიანის
უფლებათა დაცვის კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ **კ. კოკოევს**

ბატონებო,

მოგახსენებთ, რომ დეპორტირებულ მესხთა პრობლემა შედის პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტში.

კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა გ. შარაძემ როგორც საგაზეთო პუბლიკაციებში, ასევე რადიოთი თუ ტელევიზიით გამოსვლისას არაერთგზის გამოხატა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება როგორც გასახლებულთა მიმართ, ასევე მათი პრობლემების გადაწყვეტისადმიც. ასეთ ვითარებაში ჩვენ არ გვრჩება არავითარი იმედი. ვხედავთ, რომ ვიდრე ჩვენი პრობლემა დაექვემდებარება ზემოაღნიშნულ კომიტეტს, მისი გადაწყვეტის საკითხი ადგილიდან არ დაიძვრება.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, გადატანილ იქნას დეპორტირებულ მესხთა საკითხი მიგრაციის კომიტეტიდან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში.

პატივისცემით, ახალგაზრდული კავშირის „მესხეთი" წევრები.

პარლამენტის პასუხი

ანუ დემოკრატია ქართულად

საქართველოს პარლამენტში მომზადდა კანონპროექტი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ".

კანონპროექტის ავტორია საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტი.

მომხსენებელი გახლდათ **მიხეილ სააკაშვილი.**

კანონპროექტის I თავის, I მუხლის, III პარაგრაფი გვაუწყებს:

„ეს კანონი არ ვრცელდება 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებზე მიკუთვნებულ პირებზე, რომელთა რეაბილიტაციის წესიც ცალკე განისაზღვრება".

ჩემის აზრით, ეს დებულება კანონპროექტს მთლიანად აცლის სამართლებრივ და ზნეობრივ შინაარსს – რადგან არ ვრცელდება სტალინური რეპრესიების ყველაზე დიდ დანაშაულზე – დანაშაულზე კაცობრიობის წინააღმდეგ – მთელი ხალხის დასჯაზე – ხალხის დეპორტაციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალის" საარქივო კვლევათა კომისიის თავმჯდომარე **გურამ სოსელია:**

„ხალხთა დეპორტაცია უმძაფრესი, ყველაზე საშინელი სახეა რეპრესიებისა. სწორედ ხალხთა რეპრესიების, დეპორტაციის გამო იმსახურებდა საბჭოთა კავშირი ყველაზე მეტად „ხალხთა საპყრობილის, „ბოროტების იმპერიის" სახელს.

თუ ქვეყნის პარლამენტი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად არ სცნობს დეპორტირებულ ხალხებს — ეს საგანგაშოა! ეს არის რეგრესი ქვეყნის სამართლებრიობისა და დემოკრატიზაციის გზაზე. ეს არის საკუთარი ქვეყნის გადაცდენა უძირითადესი გზიდან".

მწერალი **ნაირა გელაშვილი:**

„ხალხის ფიზიკურ გაძარცვაზე უფრო საშინელი, საბედისწერო დანაშაულია მისი ზნეობრივი გაძარცვა, მისი გადაჩეხვა ზნეობრივ სიბნელეში.

1989 წელს „ლიდერების" მიერ თავგზააბნეულმა საქართველომ, განსხვავებით სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისგან, არ შეიწყნარა უზბეკეთში ბარბაროსულად დარბეული, მისკენ ხელებგამოწვდილი არცერთი ლტოლვილი: არცერთი მოხუცი და ბავშვი! ბედისწერის მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგვემ-ნაწამები ხალხი, და თან: თავისი ღვიძლი ნაწილი! და არც დააყოვნა სასჯელმა: ცოტა ხანში საქართველო თვითონ იქცა ლტოლვილების ქვეყნად.

თუ საქართველოს საზოგადოება და პარლამენტი არ მისცემს ზნეობრივ შეფასებას სტალინის მიერ ხალხთა დეპორტაციას საქართველოდან, თუ საქართველოს პარლამენტი გადადგამს ამ ანტისამართლებრივ, ანტიჰუმანურ ნაბიჯს ერთ-ერთი ყველაზე უბედური, უსამართლოდ დასჯილი ხალხის მიმართ, რაზეც მიგვანიშნებს ზემოაღნიშნული პარაგრაფი, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდი ხნით დარჩება მორალური ქაოსისა და აღვირახსნილობის კლასიკურ ქვეყნად.

ჩემის აზრით, ეს საკითხი უნდა იქცეს ადამიანის უფლებათა დამცველი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მსჯელობის საგნად".

„კავკასიური სახლი" ცდილობს წინ აღუდგეს მაჰმადიან მესხთა პრობლემისადმი ანტისამართლებრივ და ანტიზნეობრივ დამოკიდებულებას, რასაც ნერგავენ ხელისუფლების წარმომადგენელნი და მათი გავლენის ქვეშ მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

„კავკასიურ სახლში" მოქმედებს **„მაჰმადიან მესხთა პრობლემის შემსწავლელი განყოფილება"**. აქ გროვდება ყველა სახის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რეგულარულად იმართება პრესკონფერენციები და სემინარები, მიმდინარეობს მაჰმადიან მესხთა ფოლკლორის შეგროვება და შესწავლა. ამ სამუშაოს ახორციელებენ „კავკასიური სახლის" თანამშრომლები, მაჰმადიანი მესხები: **კლარა ბარათაშვილი** და **ნაზირა ვაჩნაძე**.

1997 წელს გამოიცა ჟურნალისტ **კლარა ბარათაშვილის** წიგნი **„მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები"**. წიგნი დააფინანსა **ფრიდრიხ ებერტის ფონდმა**. აქ საარქივო მასალებზე დაყრდნობით დადგენილია გასახლებულთა ქართული გვარები.

„კავკასიური სახლი" არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც **1994**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 15 ნოემბერს აღნიშნა მესხთა დეპორტაციის 50 წლისთავი, როგორც **ტრაგიკული თარიღი ქართველი ხალხის ისტორიაში.**

„ჩვენს ისტორიაში, ჩვენს გარშემო — მოსკოვში, თბილისში, პეტერბურგში არსებობას განაგრძობს ის, რისი მიზეზითაც მოხდა, ვთქვათ, 1937 წელი. ის ფსიქიური ძალები, რომლებმაც ამუშავებისას ოცდაჩვიდმეტი წელი მოახდინეს, ლატენტური სახით დღესაც მუშაობს ჩვენს სულებში. ეს თავს იჩენს, კერძოდ, იმ ფსიქიურ კვანძში, რაც საშუალებას გვაძლევს არ დავინახოთ არა მარტო სიმართლე, არაშედ სხვისი ტანჯვაც. ქართველს შეუძლია არ დაინახოს მესხის ტანჯვა და დაარქვას მას „თურქი მესხი“ იმიტომ, რომ ორმოცდათხუთმეტ საკუთარი თავის პატივისცემის შესანარჩუნებლად იმით ახსნა საკუთარი გადარჩენა, თითქოს მეზობელი მესხი მართლა დამნაშავე იყო და ამიტომ გაესახლებინოთ. რაკი ასეა, მე შემიძლია რეალურად არ დავინახო, არ შევიგრძნო მათი ტანჯვა და წუხილი, არ შევაშჩნიო, რომ ყოველი მათგანი დედაა, მამაა, უბრალოდ ადამიანია, უსახლკარიდაა დარჩენილი და ა.შ. ასე რომ, ის ფსიქიური მექანიზმები, რის გამოც ჩვენ, თუმცა თვითონ არ ვაგვისახლებია მესხები 1944-ში, მაგრამ მივიღეთ მათი გასახლება, დღესაც არსებობს, როგორც მიზეზი მათი გასახლებისა. **მესხების გასახლება დღეს ხდება**“.

მერაბ მამარდაშვილი

1990 წელი, უკანასკნელი ლექცია

1990 წლის 23 ივლისს ქართველმა „პატრიოტებმა“ დაარბიეს ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში მცხოვრები დვალიძეების ათი ოჯახი, რომლებიც ფეოდანის სასხლისიღვრის შემდეგ საქართველოს შეეფარნენ. დარბეული და საქართველოდან ხელახლა განდევნილი დვალიძეების ოჯახის ორი წევრი: ნაირა და ლიზიკო.

მესხი ბავშვები კომენტარის ქართული სკოლის მოწაფეები. ნეტავ რა ბედი ელით? ამათაც განდევნიან თუ ბოლოს და ბოლოს აღიარებენ საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად?

ალექსანდრა თევზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკასიური სახლის“ დანიშნულება, სტრუქტურა და კონკრეტული საქმიანობა

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — „კავკასიური სახლი“ არის: კულტურულ-საგანმანათლებლო, საინფორმაციო და კვლევითი დაწესებულება.

ამავე დროს „კავკასიური სახლი“ შიდა-კავკასიური სამშვიდობო ორგანიზაციაა, რომელიც მოქმედებს კულტურ-პოლიტიკის საკუთარი კონცეფციის საფუძველზე. ეს კონცეფცია შემუშავებულია მულტიეთნიკური და მულტირელიგიური კავკასიისა და საქართველოსათვის.

„კავკასიური სახლი“ თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს: საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვა-გადარჩენას; იმ სულიერ-ინტელექტუალური საფუძვლების შექმნას, რაც აუცილებელია საქართველოსა და კავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და დემოკრატიული ალმშენებლობისათვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, კავკასიური ინტეგრაციისთვის.

„კავკასიური სახლი“ ზრუნავს ახალგაზრდების განათლებაზე, საზოგადოებრივი ცნობიერების ჰუმანიზაციასა და დემოკრატიზაციაზე და ამ გზით ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, საერთო პროგრესს.

„კავკასიური სახლის“ განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ადამიანის უფლებების დაცვა, რელიგიურ-ეთნიკური შემწყნარებლობა, საერთოდ, განსხვავებულ ფენომენთა თანაარსებობის კულტურის დანერგვა. „კავკასიური სახლი“ იღვწის 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებულ მაჰმადიან მესხთა მიმართ სამართლებრივი და ზნეობრივი პოზიციის დამკვიდრებისთვის.

„კავკასიური სახლი“ ღია საზოგადოებაა: მისი კარი ღიაა დემოკრატიული საზოგადოების ყველა წევრისთვის, შემოქმედებითი ჯგუფების, მეცნიერების თუ ჟურნალისტებისათვის, რომელთაც სურთ ამ „სახლში“ და ამ „სახლიდან“ მიმართონ საზოგადოებას.

„კავკასიურ სახლს“ სურს მუდამ იყოს ტრიბუნა და თავშესაფარი კონსტრუქციული ალტერნატიული აზრისა და მოქალაქეობრივი სათქმელისათვის.

*
* *

„კავკასიური სახლი“ შეიქმნა 1993 წელს „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის“ ბაზაზე, (რომელიც 1974 წლიდან ფუნქციონირებდა) და არის მისი უფლებამონაცვლე.

ცენტრში მუშაობს კავკასიური, ევროპული, სლავური, აღმოსავლური ენებისა და კულტურის ოცდაათამდე მეცნიერ-სპეციალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიურ სახლში მოქმედებს შემდეგი განყოფილებები:

1. **კავკასიური** (ადიღური, აფხაზური, ყარაჩაი-ჩერქეზული, დაღესტნური, ჩეჩნურ-ინგუშური, ოსური, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა. სექტორები).
2. **სლავური.**
3. **ევროპულ-ამერიკული.**
4. **აღმოსავლური.**
5. **კულტურის პოლიტიკისა და ეკოლოგიის.**
6. **საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული.**
7. **ა.ს. პუშკინის მემორიალი** — სმირნოვების საგვარეულო მუზეუმი
8. **კავკასიური ეთნოგრაფიული ექსპოზიცია** – კავკასიის მხატვართა ნამუშევრების მუდმივი გამოფენა-გაყიდვა.
9. **ქართული, (კავკასიური) ხალხური რეწვის სახელოსნო.**
10. **გამომცემლობა „კავკასიური სახლი".**

„კავკასიურ სახლს" ჰყავს თავისი სამეცნიერო-პოლიტიკური საბჭო, რომელიც შედგება სახლის თანამშრომლებისა და მოწვეული პიროვნებებისაგან. საჭიროების შემთხვევაში საბჭო აძლევს შეფასებას კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და საჯაროდ აფიქსირებს თავის პოზიციას.

* * *

„კავკასიური სახლი" ნახევრად სახელმწიფო (საბიუჯეტო), ნახევრად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა.

„სახლის" მთელი საქმიანობა ხორციელდება როგორც მის ოფიციალურ (შტატიან) თანამშრომელთა და მათ მიერ დაარსებული დამოუკიდებელი საზოგადოებების, ასევე მოწვეულ სპეციალისტთა მიერ (სახელშეკრულებო წესით).

კავკასიური სახლის თანამშრომელთა მიერ დაარსებული საზოგადოებია:

1. **პუშკინის საერთაშორისო საზოგადოება** თანამშრომლობს სლავურ განყოფილებასთან და სმირნოვების მუზეუმთან.

2. **რაინერ მარია რილკეს საერთაშორისო საზოგადოება.** თანამშრომლობს „კავკასიური სახლის" ევროპულ-ამერიკულ განყოფილებასთან.

3. **კავკასიის ხელოვანთა გილდია.** თანამშრომლობს „კავკასიური სახლის" კავკასიურ განყოფილებასთან. „გილდიის" განკარგულებაშია „კავკასიური სახლის" გალერეა **„სოლოლაკი"**.

4. **კავკასიის ხალხთა სოლიდარობის ფონდი** თანამშრომლობს „კავკსიური სახლის" კავკასიურ განყოფილებასთან.

5. **კავკასიის ეკოლოგიური საბჭო**

6. **გავშვთა კლუბი „მაუგლი"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიური სახლი და მის მიერ დაარსებული ორგანიზაციები არსებობენ შემოწირულობებით და გრანტებით, რომლებსაც სხვადასხვა პროექტებში იღებენ.

კონკრეტული საქმიანობა

კავკასიური განყოფილება:

ა) ამზადებს „მცირე კავკასიურ ლექსიკონს", „კავკასიურ ენციკლოპედიას", ქართულ-კავკასიური ენების ლექსიკონებს, სასაუბროებს, იწყებს „კავკასიის საინფორმაციო ცენტრის" შექმნას.

ბ) სცემს საკუთარი ძალებით 18 კავკასიურ ენაზე შეგროვებულ და ქართულად, რუსულად და ხშირად სხვა ენებზეც თარგმნილ კავკასიის ხალხთა ფოლკლორის მრავალტომეულს. თითოეული ტომი სამენოვანია (ორიგინალის ენა, ქართული და რუსული ენები) და თან ერთვის ვრცელი კომენტარები, მაგრამ, რადგანაც არ არსებობს ფინანსური საშუალებები ასეთი აკადემიური გამოცემისა, გამოდის ე.წ. ანონსური სერია თხელტანიანი ბროშურების სახით. გამოიცა ოთხი წიგნი: „ადიღური ფოლკლორი", „უბიხური ფოლკლორი", „ყარაჩაი-ბალყარული ფოლკლორი" და „ჩეჩნური ფოლკლორი".

გ) იღვწის გაქრობის პირას მისული, არქაული კავკასიური ენების გადარჩენისთვის. ცენტრის თანამშრომლები უფასოდ ასწავლიან ბავშვებსა და სტუდენტებს კავკასიურ ენებს: აფხაზურს, ჩეჩნურს, ადიღურს, ასევე სომხურს, აზერბაიჯანულსა და თურქულს. ამზადებს ამ ენათა თანამედროვე ტიპის პირველდაწყებით სახელმძღვანელოებს.

დ) ჩართავს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ე) ემსახურება მსოფლიო კულტურის ისტორიაში ქართული და კავკასიური კულტურის ადგილისა და მნიშვნელობის წარმოჩენას.

ვ) შეისწავლის კავკასიის ხალხთა თანამედროვე ისტორიას, მათ ეთნოფსიქოლოგიას, პოლიტიკურ აზროვნებას და ეთნიკური კონფლიქტების ბუნებას.

ზ) აწვდის ინფორმაციას ამ რეგიონების შესახებ კავკასიით დაინტერესებულ კერძო პირებსა და ორგანიზაციებს.

თ) მასპინძლობს კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს, ეხმარება მათ პროფესიული პრობლემების მოგვარებაში.

ევროპულ-ამერიკული განყოფილება:

ა) მუშაობას ეწევა საქართველოში ევროპისა და ამერიკის, კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. აქ ფუნქციონირებს დიდი გერმანულენოვანი პოეტის და მოაზროვნის **რაინერ მარია რილკეს საერთაშორისო საზოგადოება**. ეს საზოგადოება შეისწავლის XX საუკუნის დასავლურ ლიტერატურას, თარგმნის მის საუკეთესო ნიმუშებს ქართულად და ეწევა მათ პოპულარიზაციას. ყოველ ოთხშაბათს ფილოსოფოსი **გურამ ლებანიძე** ატარებს ლექციას რ. მ. რილკეს შემოქმედებისა და XX საუკუნის ევროპული სულიერი სამყაროს შესახებ. ახალგაზრდებს, რომლებიც რამდენამდე უკვე ფლობენ გერმანულ ენას, რ.მ. რილკეს კაბინეტში უფასოდ ასწავლიან მხატვრული ტექსტის ანალიზსა და ინტერპრეტაციას.

აღმოსავლური განყოფილება:

ეწევა აღმოსავლეთის ქვეყნების პირველ რიგში თურქეთის, ირანის, ინდოეთის და სხვა ქვეყანათა კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამყარებს კონაქტებს კავკასიურ დიასპორასთან თურქეთში, ირანსა და არაბეთის ქვეყნებში.

„კავკასიის ხალხთა ფოლკლორის" მრავალტომეულს თარგმნის თურქულად და არაბულად. აპირებს მათ გამოცემას თურქეთსა და იორდანიაში იქაური კავკასიური დიასპორების წარმომადგენლებთან ერთად.

სლავური განყოფილება:

განამტკიცებს საქართველო-რუსეთის კულტურულ ტრადიციებს. აქ ფუნქციონირებს ა.ს. პუშკინის მემორიალური მუზეუმი, სადაც დაცულია რუსული ისტორიისა და კულტურის ძვირფასი ექსპონატები. ცენტრში მუშაობს ა.ს. პუშკინის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც აერთიანებს ქართულ და რუსულენოვან ინტელიგენციას. საზოგადოება ემსახურება რუსული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში.

რეგულარული ღონისძიებანი

1. „მსოფლიო კულტურის კალენდარი"

კავკასიური სახლის აღმოსავლური, კავკასიური, სლავური და ევროპულ-ამერიკული განყოფილებანი ყოველი წლის ბოლოს წარმოადგენენ (შესაბამისი ქვეყნების) კულტურის უმნიშვნელოვანეს თარიღებს დიდ ხელოვანთა, მწერალთა, მეცნიერთა, ფილოსოფოსთა თუ საზოგადო მოღვაწეთა დაბადების ან გარდაცვალების დღეებს, რის საფუძველზეც დგება მომავალი წლის გეგმა. ყოველი განყოფილება ვალდებულია თავადვე მოამზადოს მის მიერვე წარმოდგენილი მნიშვნელოვანი კულტურული თარიღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, დისკუსია თუ სხვა სახის ღონისძიება.

რათა „კულტურული კალენდარი" არ აღმოჩნდეს იზოლაციაში და არ ჩაიკეტოს მსმენელთა ვიწრო წრეში, - ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება პრესის ფურცლებზე და შეძლებისდაგვარად გადაიცემა ტელევიზიით (თუკი მოხერხდა ტელევიზიის მუშაკთა დარწმუნება საზოგადოებისათვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაში).

გარდა ამისა, დაწვრილებითი ინფორმაცია ღონისძიებათა შესახებ შედის „კავკასიური სახლის" „ცნობის ფურცელში" და „მატიანეში".

„მსოფლიო კულტურის კალენდრის" წყალობით ხდება ერთგვარი დათვალიერება საქართველოში არსებული პროფესიული, სამეცნიერო ცოდნისა, ცხადი ხდება როგორ, რა სიღრმით არის ათვისებული ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა. მომხსენებელნი არიან ან თავად კავკასიური სახლის სპეციალისტები, ან მოწვეული მეცნიერები;

„კალენდარი" იძლევა მიზეზსა და საშუალებას მოწვეულ იქნენ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლები და ამ გზით უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა საერთო კულტურულ ცხოვრებაში.

„მსოფლიო კულტურის კალენდარს" სხვაგვარად „სულის წელიწადს" უწოდებენ კავკასიურ სახლში: იგი უზრუნველყოფს მუდმივ ცოცხალ კავშირს მსოფლიოს სულიერ პროცესებთან.

2. ალტერნატიული აზრის მუდმივი სემინარი

უკვე ერთი წელია კავკასიურ სახლში ყოველ ოთხშაბათს იმართება დისკუსია, საუბარი, პრესკონფერენცია ან იკითხება მოხსენება ჩვენი სინამდვილის ყველაზე უფრო აქტუალურ პრომლემათა თაობაზე.

ეს სემინარი ცოცხალი, ანალიტიკური (ჩვეულებრივ ალტერნატიული) აზრის მცირერიცხოვან კერათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა დღევანდელ საქართველოში.

მას ესწრებიან: ფსიქოლოგები, სოციოლოგები, მწერლები, პოლიტოლოგები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტები, ბოლო ხანებში გახშირდა საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდების დასწრება.

იქმნება სემინარის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, ფოტო-ქრონიკა და ბიულეტენი.

ანალიტიკური ინფორმაცია სემინარის შესახებ შეძლებისდაგვარად მიეწოდება პრესას და რადიო-ტელევიზიას.

უმთავრეს დაბრკოლებას აქაც ქმნის ტელევიზიის დაუინტერესებლობა აზრობრივი პროცესებით საქართველოში, რის გამოც სემინარის ორგანიზატორთა სურვილი - რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას შეეხოს რაიმე ახალი და პროფესიული აზრი, - მიზანს ვერ აღწევს.

ზოგჯერ, თემებისა და პრობლემების მოზღვავების გამო, სემინარი ორჯერ ან სამჯერაც ტარდება კვირაში.

დღემდე ჩატარებულია ოცდათორმეტამდე ღონისძიება.

სემინარი ააშკარავებს პროფესიული ცოდნისა და აზროვნების დონეს, საზოგადოებრივი აქტივობისა და ინტერესის ხარისხს, აცოცხლებს მოდუნებულ სულიერ გარემოს, ჰონორარით მცირე დახმარებას უწევს საზოგადოების წევრთ და ახდენს ახალი აზროვნების სტიმულირებას.

მისი მიმართვა ასე გამოიყურება:

ალტერნატიული აზრი. მუდმივი სემინარი დევიზით:

3. **რაინერ მარია რილკე და XX საუკუნის ევროპის სულიერი**

„მე ვცხოვრობ მაშინ, საუკუნე რომცა ილოვა“ (რაინერ მარია რილკე)

საქართველო და მე საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო კონტექსტში
ყოველ **ოთხშაბათს 15 საათზე**

პოეტებო, მწერლებო, კრიტიკოსებო, პოლიტიკოსებო, ფილოსოფოსებო, მხატვრებო, მეცნიერებო... ადამიანებო თქვით! რა მოხდა? რა ხდება? რა შეიძლებოდა მომხდარიყო? რა შეიძ-ლება მოხდეს? *შინ (შიგნით) და გარეთ, ანუ: დრო! დრო აღნიშნეთ!* ოლონდ ილაპარაკეთ *ზუსტი და ახალი სიტყვებით.* ე.ი. საჭიროა იყოთ თანამედროვე (და არა მედროვე), მაგრამ გმართებთ არა მხოლოდ დროითობა, არამედ დროულობაც! ანუ გთხოვთ, დროულად მოხვიდეთ და დროულად დაასრულოთ თქვენი გამოსვლა (60 მიწიერი წუთი). გახსოვდეთ, რომ ყველაფერი, ე.ი. ჩვენი სემინარიც დროებითია! *დაკვანახეთ, რას ხედავთ. დაინახეთ, როგორ ვხედავენ!* მაშ, ასე, ყოველ ოთხშაბათს, 4 საათზე,

„კავკასიურ სახლში“, გალაკტიონის ქ. №20

სამყარო. ასეთია მუდმივმოქმედი სემინარის თემა, რომელიც მიჰყავს ფილოსოფოს გურამ ლებანიძეს, ყოველ ოთხშაბათს 1 საათზე. ლექციების ეს კურსი გამოიცემა წიგნად. ეს კავკასიური სახლისა და რ. მ. რილკეს საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ღონისძიებაა (გურამ ლებანიძე რ. მ. რილკეს საზოგადოების თანაპრეზიდენტია).

4. **გალერეა „სოლოლაკი“** „კავკასიის ხელოვანთა გილდია“ კავკასიურ სახლთან ერთად რეგულარულად მართავს გამოფენებს ამ პატარა, ძველებურ, თაღოვან დარბაზში.

განსხვავებით სხვა გალერეათაგან, - გალერეა „სოლოლაკი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უსამართლოდ დავიწყებულ, დაუფასებელ, ჩრდილში მდგომ მხატვრებს, წინ წამოსწევს კავკასიელ და საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ხელოვანთა შემოქმედებას და მათ დამსახურებას საქართველოს კულტურულ-სულიერი სამყაროს გამდიდრებაში.

ჩატარებულია 33 გამოფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობა უცხოეთში

„კავკასიური სახლის“ ინიციატივით ბერლინში დაარსდა „კავკასიურ-გერმანული საზოგადოება“ რომელიც წარმოადგენს კავკასიური სახლის ფილიალს. მისი თავმჯდომარეა კავკასიური სახლის წარმომადგენელი ბერლინში ეკეჰარდ მაასი. საზოგადოება ცდილობს გააერთიანოს გერმანიაში მცხოვრები კავკასიური დიასპორა, დანერგოს მათში კავკასიური ერთიანობის იდეა და ჩააყენოს ეს საზოგადოება კავკასიური ინტეგრაციის სამსახურში.

იგივე პროექტი მზადდება თურქეთში.

საერთოდ, დაგეგმილია „კავკასიური სახლების“ ქსელის შექმნა მთელს კავკასიასა და უცხოეთის კავკასიურ დიასპორებში.

თარგმნის რა „კავკასიის ხალხთა ფოლკლორის“ სერიას თურქულ, გერმანულ, ინგლისურ და არაბულ ენებზე – „კავკასიური სახლი“ ხელს უწყობს კავკასიური თვითშეგნების შენარჩუნებასა და აღორძინებას უცხოეთის კავკასიურ დიასპორებში, ცდილობს ყველგან განამტკიცოს „კავკასიური სახლის“ იდეა.

„კავკასიურ სახლს“ ჰყავს თავისი წარმომადგენლები გერმანიაში, თურქეთში, შვეიცარიაში.....

საქველმოქმედო საქმიანობა

მიუხედავად იმისა, რომ „კავკასიური სახლი“ თავად შემოწირულობებისა და გრანტების საშუალებით არსებობს, მაინც ახერხებს საქველმოქმედო საქმიანობას:

ა. ამ სახლის თანამშრომლები უფასოდ ასწავლიან კავკასიურ ენებს და ძალიან იაფად ევროპულ ენებს.

ბ. ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელიც ეგზავნება „კავკასიურ სახლს“, უნაწილებს შემოქმედებითი და სამეცნიერო წრეების მრავალ წარმომადგენელს.

გ. „კავკასიური სახლის“ გალერეა „სოლოლაკი“ უფასოდ მართავს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ მხატვართა ნამუშევრების გამოფენებს და უმზადებს მათ გამოფენის კატალოგს შესაძლებლობის ფარგლებში.

კულტურა როგორც ცხოვრების წესი და განვითარების ფაქტორი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის – „კავკასიური სახლის“ მრავალმხრივი საქმიანობა შეესაბამება კულტურის, როგორც უნივერსალური ფენომენის გაგებას.

მას საფუძვლად უდევს „კულტურის ტოტალობის“ ცნება (თ.მანი, ა.შვაიცერი და სხვები), რომლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ადამიანური აქტივობის ყველა სფერო (პოლიტიკა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, სპორტი და ა.შ.) და არა მხოლოდ გონებრივ-სულიერი მოღვაწეობა.

კულტურა მარადიულად თვითგანახლებადი, მუდამ თანამედროვე, პროგრესის შინაგანად მატარებელი ფასეულობაა, რომელიც აფუძნებს და ავლენს ეპოქის ახალ, სასიცოცხლო მნიშვნელობის აქცენტებს: დღეს კულტურის მრავალსაუკუნოვანი „მუშაობის“ ცოცხალი შედეგი ვლინდება სწორედ ეკოლოგიურ თვითშეგნებაში ანუ ზრუნვაში სიცოცხლის, დედამიწის გადარჩენისათვის, ადამიანთა უფლებების დაცვაში, სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებაში, შინაგან თავისუფლებაში.

შინაგანი თავისუფლება კი ნიშნავს, არ შეზღუდო სხვა ადამიანთა თავისუფლება, მაქსიმალურად დაიცვა ცოცხალ არსებათა სასიცოცხლო სივრცის ხელშეუხებლობა, გამოიჩინო შემწყნარებლობა განსხვავებულის მიმართ და ალიარო და პატივი მიაგო ყველაფერს, რაც ღმერთისა და ადამიანის შემოქმედების ნაყოფია.

იქ, სადაც არ არსებობს ადამიანის უფლებები, აზრისა და სინდისის თავისუფლება, დემოკრატია, ბუნების გადარჩენისათვის ზრუნვა – შებრალება ყოველი ცოცხალი არსებისა, სამართლის შინაგანი მოთხოვნილება, სამართლიანობა და პასუხისმგებლობა, – იქ არც კულტურაა. ასეთი ქვეყნის კულტურა მკვდარი საგნებისა და დარგების აკლდამაა.

ყოველი დღე, რომელიც ამ პრინციპების შესაბამისად, ამ ფასეულობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურში ჩაივლის, - „კავკასიური სახლისთვის" - კულტურულ ურთიერთობათა დღეა.

მშვიდობიანი კავკასიის ცოცხალი მოდელი

„კავკასიური სახლის" მომსახურე კონტინგენტი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართველების გვერდით აქ მსახურობენ აფხაზი, ჩერქეზი, ჩეჩენი, რუსი, უკრაინელი, ოსი ეროვნების წარმომადგენლები. თითოეული მათგანი საკუთარი ენის და კულტურის სპეციალისტია. ამავე დროს სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას და შესწავლილი აქვს ქართული კულტურა და ისტორია.

მშვიდობიანი კავკასია, „კავკასიური სახლი", უპირველეს ყოვლისა, განსხვავებულთა ასეთი მშვიდობიანი თანაარსებობაა, იგი, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ეროვნებების, სარწმუნოების ადამიანთა შემოქმედებით თანაარსებობას ნიშნავს.

უცხოელი ექსპერტები კავკასიურ სახლს საუბარში „კავკასიის პატარა გაეროს" უწოდებენ.

უმწვავესი პრობლემები

რომელთა გადაუჭრელობაც როგორც „კავკასიურ სახლს" ასევე „სმირნოვების სახლს" აღსასრულს უქადის.

სამწუხაროდ განგაშის ხმებით ვამთავრებთ ჩვენი ორგანიზაციის „პორტრეტს":

ორგანიზაცია „კავკასიური სახლი" განთავსებულია „სმირნოვების სახლში".

ამ ძველი, რუსული არისტოკრატული გვარის უკანასკნელმა შთამომავალმა მ.გ სმირნოვმა (1918 - 1983) ორსართულიანი შენობა თავისი ძვირფასი მუზეუმით ამ ორგანიზაციას უანდერძა. მუზეუმში დაცულია რუსული ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ექსპონატები.

სახლი XIX საუკუნიდან მოკიდებული დღემდე წარმოადგენს კულტურის, სულიერი ცხოვრების ნამდვილ კერას. ამ სახლში თავის დროზე სტუმრობდნენ თუ იღვწოდნენ: **ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, პ. მელიქიშვილი, მ. ზიჩი, პ. ჩაიკოვსკი, გ. რადე, ივ. ჯავახიშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. მეუნარგია, გ. ლეონიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე** და ა. შ. ჯერ ის ფაქტი რად ღირს, რომ **ნ. ბარათაშვილის** პოეზიის პირველი აკადემიური გამოცემა აქ მომზადდა (1922).

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს შენობა - თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი სახლი - ინგრევა. 70-იან წლებიდან მოკიდებული საქართველოს ყველა ხელისუფლება იძლევა დაპირებას, რომ დახმარებას აღმოუჩენენ ამ დიდი ტრადიციების სახლს, მაგრამ როგორც უმაღლესი ხელისუფლება, ისე ქალაქის მერია, დღემდე უსასრულო დაპირებებით კმაყოფილდება.

რუსეთის კულტურის სამინისტრომ, საქართველოში რუსეთის საელჩოს აქტივობის შედეგად განაცხადა მზადყოფნა, გაემაგრებინა შენობის ფუნდამენტი და აღედგინა მთელი შენობის თავდაპირველი სახე, მაგრამ თბილისის მერიამ შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელი შეუშალა ამ სურვილის განხორციელებას.

თუ დავუმატებთ იმასაც, რომ „კავკასიური სახლი" არავითარ დახმარებას არ იღებს საქართველოსაგან თავისი მრავალმხრივი საქმიანობის განხორციელებისათვის, ცხადი გახდება, ამ ორგანიზაციის და „სმირნოვების სახლის" უმძიმესი მდგომარეობა.

„კავკასიური სახლის" პრესსამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცირესსა და უდიდეს ბოროტებას შორის

საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება **„ლომისამ“** ISAR – საქართველოს ფონდში წარადგინა პროექტი: **„შინაურ ცხოველთა სამართლებრივი დაცვა“** (კანონპროექტის მომზადება შინაურ ცხოველთა დაცვის შესახებ). პროექტის კოორდინატორია ცხოველთ დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი **მზია ლოლიშვილი.** პროექტმა მიიღო გრანტი 2840 $.

1997 წლის 13 დეკემბერს ტელეკომპანია რუსთავი-2-ის არხით გადაიცა დოკუმენტური ფილმი „ხმა“. (რეჟისორი ირაკლი ფანიაშვილი). ფილმი გვიჩვენებს ქუჩის ძაღლების ბარბაროსული ულეტის პროცესს. საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება საერთაშორისო საზოგადოებათა მხარდაჭერით რამდენიმე წელია იბრძვის ქალაქში მომრავლებული მაწანწალა ძაღლების პრობლემის ცივილიზებული მეთოდით გადაჭრისთვის, მიუხედავად ამისა, საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები ირჩევენ სისასტიკის გზას, ნერგავენ ულმობლობასა და სადიზმს.

საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება კიდევ ერთხელ გამოთქვამს პროტესტს ამ ველურობის წინააღმდეგ, ატყობინებს ცხოველთა დაცვის საერთაშორისო საზოგადოებებს ხსენებული ფაქტის შესახებ და იწყებს აქციას: საერთაშორისო ხელმონერების შეგროვებას.

ცხოველთა დაცვის საზოგადოება „ლომისას“ პრესსამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

საქართველო

ფესტივალზე ფესტივალის შემდეგ

12-იდან 28 ოქტომბრამდე თბილისში მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელოვნების პირველი საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. პირვანდელი კონცეფციის თანახმად, „საჩუქარი" თეატრალური ხელოვნების ფესტივალად იყო ჩაფიქრებული (Georgian International Festival of Theatre). აბრევიატურამ (GIFT – ანუ ინგლისურად საჩუქარი) ფესტივალის დასახელებაც შეცვალა და, აქედან გამომდინარე, შინაარსიც. „საჩუქრად" მხოლოდ თეატრალური წარმოდგენები აღარ ვიკმარეთ და ჩვენთვის ჩვეული გულუხვობით ვუმასპინძლეთ (?!) ზოგადად ხელოვნებას.

ქალაქის თითქმის ყველა სცენაზე, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ პოდიუმსა თუ საგამოფენო დარბაზში იმართებოდა წარმოდგენები, ეწყობოდა გამოფენები, ჟღერდა მუსიკა... ვარსკვლავებსაც ველოდით, ზოგს ამაოდ (**პიტერ ბრუკი, ალ პაჩინო, ოლბრიხსკი**), ზოგიც ვიხილეთ – მაგალითად, **ვანესა რედგრეივი**, და დღემდე პროფესიონალებისთვისაც კი უცნობი დიდი პოლონელი რეჟისორი **ადამ ხანუშკევიჩი**; არც ბრიტანეთის დრამატული ხელოვნების აკადემიის უორკშოფი მოვიკელით და არც რუსეთის თეატრალურ ბომონდთან შეხვედრა. ქარვასლის კაფეში პრესკლუბიც მოვიწყვეთ, სადაც, მართალია, შეხვედრები ნაკლებად იმართებოდა, სამაგიეროდ, ხელოვნების ჩრდილში მოტრიალე ახალგაზრდობა იყრიდა თავს და „თბილისურად" ერთობოდა...

ორი კვირის განმავლობაში მუშაობდა საფესტივალო სცენა, ბობოქრობდა პრესა, სანახაობას დანატრებული მაყურებელი ერთი დარბაზიდან მეორეში გადადიოდა, ჩამოსული ვარსკვლავები ცაშივე ქრებოდნენ, აქაურები ასეთ გარემოცვაში ახლებურად ბრწყინავდნენ; ფესტივალის დირექცია ტელეეკრანით, გალა-კონცერტებითა და საგანგებო წვეულებებით მართავდა საფესტივალო ორბიტას და ართობდა რჩეულთ. ერთი სიტყვით, ფესტივალმა იფესტივალა... ხელოვნება – იკითხავთ თქვენ – თეატრი, კონცერტი, გამოფენა, კინო?! მთელ მსოფლიოდან ჩამოტანილი ჩანდა ყველაფერი, მაგრამ ფილმების უმრავლესობა „კონტრაბანდით" შემოტანილი და ტელეეკრანზე ნანახი აღმოჩნდა. გამოფენები, ჩვენი მხატვრებისა და ერთი-ორი დიზაინერის გამოკლებით, ძირითადად ფოტოგამოფენად მოგვევლინა (კარგია, მაგრამ არ კმარა!). კონცერტების პროგრამა კი ისე იყო აწყობილი, რომ თეატრში თუ წახვიდოდი, კონცერტს ვერ მოისმენდი. და მაინც, აქაც ისევ ჩვენი მუსიკოსების (სახელმწიფო კვარტეტი, ძველი თბილისელი **ლიზა ლეონსკაია**, თბილისის საკონცერტო ორკესტრი), ნანატრი **ფლამენკოსა** და ამერიკელი მუსიკოსის **გუნტერ შულერის** მოსმენამ გამოასწორა მდგომარეობა. საცეკვაო პროგრამა უფრო მრავალფეროვანი აღმოჩნდა: **შერონ განზის** მოცეკვავეთა დასი და დიდი ცეკვის კომპანია შეერთებული შტატებიდან, თანამედროვე ცეკვის ანსამბლი პოლონეთიდან და თანამედროვე ცეკვის ატელიე საფრანგეთიდან.

რვა ქვეყნიდან ჩამოსულმა თეატრალურმა დასმა, ქართული თეატრის ჩათვლით, ოცდაათამდე სპექტაკლი წარუდგინა მაყურებელს. **ვანესა რედგრეივმა** 70-იანი წლების მომღერლის **დინ რიდის** სტილში პათეტურად ჩაატარა თავისი საღამო (რაც ვნახეთ, იმას სპექტაკლს ვერ ვუწოდებთ),

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟისორ **ჰილარი ვუდის** (დიდი ბრიტანეთი) სპექტაკლი „ძლიერი გრძნობები“ ახალგაზრდების ტრივიალური ურთიერთობების ტრივიალური ინტერპრეტაცია გახლდათ, ადამ ხანუშკევიჩის „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტექსტიდან ამოგლეჯილი, საშუალო დონეზე დადგმული, კომენტირებული და გათამაშებული ნაწყვეტები. ხანუშკევიჩის „რომეო და ჯულიეტას“ სულ ადვილად მოუგო ორთაბრძოლა ერევნის დრამატული თეატრის სპექტაკლმა (რეჟისორი **არმენ ხანდიკიანი**), სადაც სიყვარულისა და, მასთან ერთად, სამყაროს დალუპვის თემა საკმაოდ თანამედროვედ ეღერდა. უცხოურ სპექტაკლებში ორი სასიამოვნო გამონაკლისი მაინც აღმოვაჩინე – **დენის რაფერტის** არაჩვეულებრივი ირლანდიურ-ბრიტანული one man show „ო'შექსპირი“ და ბულგარული თეატრ-კრედოს ორი შესანიშნავი მსახიობის მიერ წარმოდგენილი გოგოლის თავბრუდამხვევი „შინელი“. თითოსაათიან სპექტაკლებს, ორივე შემთხვევაში, დარბაზი სულგანაბული უყურებდა. როგორც კი ნათელი გახდა, რომ, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ფესტივალზე არც ერთი საინტერესო დასი არ ჩამოსულა, ისევ ქართულ თეატრებს მივაშურე, მით უფრო, რომ სპექტაკლები საქართველოს ყველა კუთხემ წარმოადგინა: ოზურგეთის თეატრის „კონკისტადორი“ (რეჟისორი **იგორ საბო**) და სოხუმის თეატრის „სრბოლა“ (რეჟისორი **დავით ხინიკაძე**), მარნეულის თეატრის „სიყვარული თელებ ქვეშ“ (რეჟისორი **კოტე აბაშიძე**) და **ალექსანდრე ქანთარიას** „ხედი ხიდიდან“, **ცოტნე ნაკაშიძის** „ვირის ჩრდილი“ და **გიორგი სიხარულიძის** „მარიანა პინედა“.

ფესტივალის ორგანიზატორებმა, მართლაც, საჭირო საქმე გააკეთეს და უცხოეთში დადგმული ქართველი რეჟისორების სპექტაკლებიც ჩამოიტანეს: **თემურ ჩხეიძის** „მაკბეტი“ (სანკტ-პეტერბურგი), **გოგი ქავთარაძის** „მეფე ლირი“ (როსტოვის თეატრი), ახალგაზრდა რეჟისორის **გოჩა კაპანაძის** მიერ ინგლისში დადგმული „ჩემოდანი“ შესანიშნავი მსახიობი ქალის მონაწილეობით. სპექტაკლების ნახვისას ერთ უცნაურ ფაქტსაც წავაწყდი: ქართულ წარმოდგენებს (ზოგიერთის გამოკლებით) უცხოელი სტუმრები ნაკლებად ესწრებოდნენ, რაც ან ცუდი ინფორმაციის, ან მოუხერხებლად აწყობილი პროგრამის გამო მოხდა.

იმედი მაქვს, ფარული აზრის მაძიებელი მკითხველი არ გაისარჯება და სტრიქონებს შორის ფესტივალის „ჩაძირვის“ მცდელობას არ ამოიკითხავს. ფესტივალმა უნდა იარსებოს, უფრო მეტიც, უნდა დამკვიდრდეს ყოველწლიურად თუ არა, ბიენალედ მაინც. ფესტივალი გვჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ ამიერკავკასიის რეგიონში მისი მსგავსი ჯერ არ არსებობს და „ცარიელ სივრცეს“ ჩვენივე მეზობლები ოპერატიულად ამოავსებენო (სომხეთში ჩაატარეს კიდეც GIFT-ის მერე საერთაშორისო ფესტივალი „ანტიკური სამყარო და ჩვენ“!). ფესტივალმა უნდა იმუშაოს, მაგრამ იქნებ ყველა ღონე ვიხმაროთ და „საჩუქრების“ რაოდენობა ხარისხითა და გემოვნებით შევცვალოთ, ხოლო ვარსკვლავთძებნაში დახარჯული ენერგია ისევ ხელოვნებას მოვახმაროთ; იქნებ მოვახერხოთ და საინფორმაციო ბიულეტენები სამარცხვინო შეცდომების გარეშე გამოვცეთ, ხოლო პრესცენტრში საინტერესო დისკუსიები გავმართოთ; იქნებ შევძლოთ და მოძველებული კონცერტებისა და პროტოკოლით დაგეგმილი ღონისძიებების გარეშე შევქმნათ მსუბუქი, ლაღი და მაღალპროფესიული ატმოსფერო, იქნებ არც პირადი დავივიწყოთ, მაგრამ არც საერთო დავჩაგროთ...

მახსენდება ბატონი მიშას მიერ ერთ-ერთი უკანასკნელი სპექტაკლის დადგმისას სარეპეტიციოში გამოკრული ანტონენ არტოს სიტყვები: „მე, შენ, ჩვენ, ახლა, აქ ერთმანეთში, ხელოვნების ყოვლისმომცველ ალში ჩავიფერფლებით“.

ამას, ალბათ, დრო და გამოცდილება მოიტანს, მანამდე კი ნუ დავივიწყებთ, რომ „საჩუქარი“ დიდი ხელოვანის, ჭეშმარიტი პროფესიონალის და თავმდაბალი ადამიანის სახელს ატარებს.

ირინა ღოღობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთი

ამერიკული პოეზიისა და პროზის გზები

უილიამ უილიამსი
„გზები, რომლებსაც მივყვებით", ლექსების კრებული, 1997 წელი.

1997 წლის იანვრიდან **უილიამ უილიამსი** მეოთხე ამერიკელი პოეტია **რობერტ ფროსტის, ჯეიმს დიკის** და **მეია ეინჯელოს** შემდეგ, რომელსაც წილად ხვდა პატივი, წაეკითხა საგანგებოდ შეთხზული მისასალმებელი ლექსი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიალზე. მის ახალ კრებულში წარმოდგენილია ინოუგურაციისთვის დაწერილი აღნიშნული ლექსიც. უ. უილიამსი 1995 წელს დაჯილდოვდა ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის პრიზით ლიტერატურის დარგში. ამასთანავე, იგი გახლავთ **ემი ლოუელის** ფულადი ჯილდოს მფლობელი პოეზიაში; ამერიკის ხელოვნებისა და ხელნაწერთა აკადემიის „Prix de Rome"-ის (რომის პრიზის) მფლობელი, რომელიც მიენიჭა ლიტერატურაში მიღწეული წარმატებებისთვის, და სხვა საპატიო ლიტერატურული კონკურსების ლაურეატი. „სერიოზული და გასართობი, ექსპანსიური და აფორისტული, რელიგიური და სატრფიალო – ასეთია უილიამსის ლირიკა, რომელიც გიპყრობს..." – დეივ სმიტი.

დეივ სმიტი
„მარტოობაში ჩაძირული", ლექსების კრებული 3 ტომად, 1996 წელი.

„დიდებული და ყოვლისმომცველი მიღწევა" უწოდა **რობერტ პენ უორენმა** დეივ სმიტის პოეზიას. დეივ სმიტმა ამერიკის ყველაზე თანამედროვე პოეტის სახელი დაიმკვიდრა. მას ორჯერ მიენიჭა პულიცერის პრემია და ვირჯინიის პრიზის მფლობელიც გახდა.

ამ სამტომეულში შედის მისი ადრე გამოქვეყნებულ ლექსთა კრებულები: „ანტილოპა", „ოცნებებში ფრენა", და „კუმბერლენდის სადგური".

„არც კი ვიცი, საიდან დავიწყო სმიტის მდიდრული პოეზიის აღწერა. მისი პოეზიის ფონზე სხვა ლექსები უფერული და დაუმთავრებელი გვეჩვენება", – **ელენ ვენდლერი.**

„მისი პოეტური ენის სიდიადე, ზმნის მოქნილობა მის პოეზიას უფრო დინამიურს ხდის", – **სტივენ სენდი.**

მარკ დოუთი
„ჩემი ალექსანდრია". 1996 წელი.

მარკ დოუთი – **თომას ელიოტის** პრემიის ლაურეატი (ბრიტანული გამოცემა **ფილიპ ლევინის** წინასიტყვაობით), ეროვნული წიგნის კრიტიკოსთა კავშირის პრიზის მფლობელი, ეროვნული წიგნის კონკურსის ლაურეატი, Times Book-ის ჯილდოს მფლობელი პოეზიაში.

„მე რომ შემეძლოს შევქმნა ისეთი პოეტი, რომელიც დაასრულებდა უილიამ კარლოს უილიამსისა და უილეს სტივენის დიდებულ საუკუნეს, შევქმნიდი მარკ დოუთის, სწორედ ისეთს, როგორიც იგი გახლავთ – დიდებული, გაბედული და ყოვლისმომცველი ლექსების ავტორი, რომელშიც ჩვეულებრივი ადამიანური გამოცდილება მუსიკად იქცევა", – ამბობს წიგნის შემდგენელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ვრიგლი
„მთვარე მეისონის სინჯარაში" და „ის, რაც მამაჩემს სწამდა". ლექსების კრებული, გამოიცა 1997 წლის შემოდგომაზე.

ამ ტომში შესულია ილინოისის პერიოდის ადრე გამოცემული კრებული.

სტივენ ბეჰრენდტი: „მთვარე მეისონის სინჯარაში" – „ეს მეტად შთამბეჭდავი ტომი წარმოგვიდგენს ვრიგლის, როგორც მთხრობელი პოეტის დიდებულ შესაძლებლობებს. თხრობითი პოეზია – ეს არის გამოწვევის ფორმა, რომელიც პოეტისგან როგორც თხრობის ნიჭს, ასევე ენის მძაფრი შეგრძნებისა და წარმოსახვის უნარს მოითხოვს".

ედვარდ ჰირში: „ის, რაც მამაჩემს სწამდა" – „ეს არის ბრწყინვალე ანატომია კაცობაში შესული ამერიკელი მამაკაცისა... ვრიგლის ფიქრიანი ლექსები, მოგონებებს რომ აღძრავს, ნათლით მოსავს ამერიკელის ფსიქიკის წყვდიადით მოცულ ჰორიზონტს".

(ილინოისის უნივერსიტეტის მიერ 25 წლის მანძილზე გამოცემული პოეზიის კრებულების მიმოხილვიდან)

ინგლისურიდან თარგმნა **ცისანა პაიჭაძემ**

ჰემინგუეის შემდგომ

რიჩარდ ფორდის მოთხრობების კრებულის სათაური „ქალები მამაკაცებთან ერთად" საოცრად მოგვაგონებს **ჰემინგუეის** ერთ-ერთი პირველი წიგნის სახელწოდებას „მამაკაცები ქალების გარეშე". როგორც ეტყობა, ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის: ფორდის პარიზული გარემოცვა მაშინვე ჰემინგუეის ასოციაციას იწვევს მკითხველში; მისი მოთხრობების მოქმედი გმირებიც ჰემინგუეისეულ მარტოსულებს ჰგვანან, რომელნიც მოგზაურობითა და გაქცევით ცდილობენ თავიანთი სიმარტოვის დავიწყებას. მაგრამ თუ ჰემინგუეის პერსონაჟები ყველაფერთან ერთად ქალების გავლენასაც ემალებიან, ფორდის გმირები, პირიქით, შვებას მხოლოდ მანდილოსანთა გარემოცვაში ეძებენ.

ფორდის ნაწარმოებების მსგავსება ჰემინგუეის შემოქმედებასთან კრებულის სუსტ და, ძლიერ მხარეებზე ერთნაირად მეტყველებს. როგორც მის ორ დიდ რომანში, „დამოუკიდებლობის დღე" და „სპორტკომენტატორი", ფორდი აქაც ამტკიცებს, რომ თავისი წინამორბედის მსგავსად, ეშინია დიდ ამერიკულ პრობლემებთან შეთამაშებისა. ის რომ ,კრებულის სამივე პროტაგონისტი – ცვლილებების წინაშე მდგარი მამაკაცები არ გაურბიან ქალების გარემოცვას, სულაც არ ამსუბუქებს გმირების მარტოობას.

თუმცა, ფორდის სხვა რომანებით განებივრებულ მკითხველს ახალი კრებულის წაკითხვისას, ალბათ, ისეთივე გრძნობა დაეუფლება, როგორიც მოგზაურს, რომელმაც დიდი ქალაქი მკვდარი სეზონის დროს მოინახულა.

თაგვი, რომელმაც დაიღრიალა

მათიუ სმითი იმედისმომცემი ახალგაზრდა არ გახლდათ. პარიზის ხელოვნების კოლეჯში ორწლიანი სწავლის დროს მას არაფერი მნიშვნელოვანი არ შეუქმნია. ერთმა პიროვნებამ, რომელიც სმითს საფრანგეთის დედაქალაქში 1914 წელს შეხვდა, ისიც კი თქვა, რომ მათიუს ნამუშევრები იმდენად უინტერესოა, იგი ალბათ, ჯაშუში იქნება, რომელიც მის მეზობელ დელიუსს მიუჩინესო.

ბოლოს და ბოლოს, სმითმა მოულოდნელად იპოვა თავისი გზა. მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიცნო ვერა ქანინგემი, მასზე 18 წლით უმცროსი, მომხიბლავი, და შეარული ახალგაზრდა ქალი, რომელიც შეუყვარდა და რომლის შიშველმა პორტრეტმა მას დიდება მოუტანა. **იორკმა** ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სმითის უთავგადასავლო ცხოვრება საინტერესოდ აღეწერა. მისი წიგნი „მათიუ სმითი: ცხოვრება და რეპუტაცია" არაჰეროიკული და არარომანტიკული კაცის თანაგრძნობით დახატული პორტრეტია.

დაშორებული შეყვარებულები

სამოქალაქო ომი, ალბათ, ყველაზე საშინელია კონფლიქტებიდან, რადგანაც იგი ბრძოლების სისასტიკესთან ერთად ძმათა მკვლელობებსა და მეზობელთა შულლსაც გულისხმობს. სამოქალაქო ომი ამერიკაში შეიძლება ზემოთქმულის ყველაზე სასტიკ მაგალითად ჩაითვალოს: ახლად შობილმა მდიდარმა ერმა მთელი თავისი პოტენცია და რესურსები უპრეცედენტო ნგრევასა და მკვლელობებში საკუთარი თავის გასანადგურებლად გამოიყენა.

ჩარლზ ფრაიზერის პირველი რომანი „ცივი მთა" მთლიანად აღწერს ამ ეპიკურ უაზრობას. ახალგაზრდა კონფედერატი ინმანი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საშინელებათა სამი წელი მისთვის სავსებით საკმარისი იყო, გარბის ვირჯინიის ჰოსპიტლიდან, რათა კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი იდას – ქალს, რომელიც მას ომის დაწყებამდე შეუყვარდა, და თავის სახლს ცივ მთაზე. ინმანის ოდისეის ფონზე ავტორი იდას ისტორიასაც მოგვითხრობს.

ორი პარალელურად განვითარებული სიუჟეტი საოცრად ოსტატურად ქმნის ისტორიას, რომელიც საშინელია, მაგრამ არა სისხლიანი; რომანტიკულია, მაგრამ არა სენტიმენტალური. ორი შეყვარებულის ლტოლვა ერთიმეორისადმი საშინელებათა ფონზე დროდადრო მითიურ სიმაღლეებს აღწევს. ღრმა სილამაზითა და განმგმირავი სევდით აღსავსე მათი შეხვედრა გვახსენებს, რომ ომის ყველა მსხვერპლს ისტორიკოსის თვალი ვერ გაწვდება. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ მწერლის ფანტაზიამ შეიძლება წარმოსახოს.

გზის მიმანიშნებლის მაგალითი

ეს არის წიგნი, რომლის წაკითხვისთანავე მოგინდებათ, მეგობრებს მოუყვეთ მისი შინაარსი, თუმცა, ეს ადვილი საქმე როდია; ყველაზე ახლო მეგობარიც კი ვერ გადმოგცემთ რომანის მთელ ხიბლს. ეს არის წიგნი, რომელიც, თუმცა დეტექტიურ ლიტერატურას განეკუთვნება, ამ ჟანრის ორ უმთავრეს კანონს არღვევს: იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და ხშირად უხვევს ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან მოქმედება ვითარდება რესტავრაციის შემდგომი პერიოდის ოქსფორდში, მე-17-ე საუკუნის პოლიტიკური და სამეცნიერო ინტრიგების აკვანში. დეტექტიური მოთხრობები, ისტორიულ ფონზე რომ ვითარდება, არც ახალი ხილია და არც ძველმოდური. ეს არის წიგნი, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ისტორიულ რომანთა ჟანრს განეკუთვნება: მისი პერსონაჟები ნებისმიერ ენციკლოპედიაში შეგიძლიათ მოიძიოთ.

ოქსფორდის დონი – დოქტორ **რობერტ გროუვი** – უცნაურად გარდაიცვალა. სამედიცინო ექსპერტიზამ ბრენდიში, რომელსაც იგი სიკვდილის ღამეს სვამდა, დარიშხანი აღმოაჩინა. გროუვს მტრები ჰყავდა პოლიტიკაში, მტრები ჰყავდა მეცნიერებაში, უცნაური კავშირი ჰქონდა ახალგაზრდა ლამაზ ქალთან, რომელიც ჯადოქრობაშია ეჭვმიტანილი.

წიგნში „გზის მიმანიშნებლის მაგალითი" ავტორი **იან პირსი** ოთხ რომანისტელა ჩვენებას უყრის თავს, რომელნიც გროუვის სიკვდილიდან ოცი წლის შემდეგ შეგროვდა. არც ერთ მათგანს არ შეიძლება ვენდოთ, მაგრამ ოთხივე ერთად აღებული სიმართლეს გამოააშკარავებს ან, იქნებ, არც გამოაშკარაოს.

ეს არის წიგნი, რომელიც **აგატა კრისთის** უბრალო სიამოვნებასა და **უმბერტო ეკოს** ინტელექტუალურ დახვეწილობას აერთიანებს.

თარგმნა **ნატა თვალჭრელიძემ**

1997 წ. გაზეთ „Books and arts"-ის ნომრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინ ვალსერი 70 წლისაა

1996 წელს გამოქვეყნებულ ჩანაწერებში „მწერლის დილა" მარტინ ვალსერი წერს ჩოგბურთით თავისი გატაცების შესახებ. ეს სპორტი, მისი აზრით, ერთდროულად მოითხოვს სიმტკიცესაც და სილაღესაც, დიდ კონცენტრირებას და, ამავე დროს, შინაგან მოდუნებას. „მაგიურ-დრამატული მოტივი აქეთ-იქით მოფარფატე ბურთისა. ორი სახის, ორი სხეულის, ორი დამრტყმელის დიალოგი". სწორედ ეს ესახება მწერალს ჩოგბურთის პირველ მიზნად. გამარჯვება მისთვის მეორეხარისხოვანია. ამ დიალოგის წარმატებას, ე. ი. თამაშის ხარისხს განაპირობებს მოთამაშეთა მიმართება ბურთისადმი, რადგან დიალოგის საგანი სწორედ ის გახლავთ. „სასიამოვნოა, მას შეესაბამებოდე".

„შეესაბამებოდე ჰოლდერლინს", – ასე ეწოდება მარტინ ვალსერის მიერ 1970 წელს გამოქვეყნებულ ესეის. „ჰიპერიონისა" და „ემპედოკლეს", ელეგიებისა და ჰიმნების ავტორი აქ იმ ადამიანთა ტიპს მიეკუთვნება, ვინც საკუთარი თავით უკმაყოფილონი და „აქედან გამომდინარე, წარუმატებელნი" არიან. ამასთანავე, შინაგანი უკმაყოფილება აქცევს ჰოლდერლინს „მამოძრავებელ და გაშუალებულ ფიგურად". ის ხდება შუამავალი მონაწილე მხარეთა შორის, პირველ რიგში კი, შუამავლობს წარსულსა და მომავალს შორის, მიუთითებს რა აწმყოს გამოფიტულობაზე. შეესაბამებოდე ჰოლდერლინს, პირველ რიგში, ნიშნავს, არ შეჩერდე საკუთარ თავთან, როგორც საბოლოო მიზანთან.

ზემოხსენებულ ორ ტექსტს შორის დროის შუალედში მარტინ ვალსერმა რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია, რის გამოც ხშირად საყვედურობენ. თუკი ადრე მემარცხენე იყო, გმობდა კაპიტალის ძალაუფლებასა და ვიეტნამის ომს, ახლა, როგორც ჩანს, ნამდვილი ნაციონალისტი გახდა, ამართლებს ნეონაცისტების თარეშს, თუმცა თავს პროფკავშირებთან ხანგრძლივი თანამშრომლობით იმართლებს.

უაღრესად ორიგინალურია მისი თვითშეგრძნება, თითქოს ის სრულებითაც არ შეცვლილა. ეს მნიშვნელოვნად შეესაბამება სიმართლეს. თუ შევადარებთ ერთმანეთს დროითა და თემატიკით სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებებს ჰოლდერლინისა და ჩოგბურთის, ეი. უმაღლესი ღირებულებებისა და უტკბესი ჩვევების შესახებ, ნათლად დავინახავთ ვალსერისთვის დამახასიათებელ თვისებებს, რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდეს ადამიანებსა თუ საგნებს. გარდა ამისა, აქ ჩნდება ვალსერის კიდევ ერთი თავისებურება – შინაგანი ჭიდილით შეპყრობილ ჰოლდერლინს ის გვერდით უყენებს დამარცხებულ, ეჭვებით აღვსილ ბორის ბეკერს: „მხოლოდ მაშინ ვგებულობთ რაღაცას მასზე, მისგან, მისი მეშვეობით, როდესაც რაღაც სტანჯავს. როდესაც ტურნირში მარცხდება, მაყურებელთა თვალში მაინც არ არის დამარცხებული". ვალსერს სპორტის ვარსკვლავშიც ის მომენტები აინტერესებს, როდესაც მას რაიმე აკლია ან რაიმე უმტყუნებს. ერთადერთი ჭეშმარიტება, რაშიც ვალსერი არასოდეს დაეჭვებულა, ესაა: „მხოლოდ მას აქვს რაღაც სათქმელი, ვისაც რაიმე აწუხებს". თავად ვალსერის მდიდარი შემოქმედებაც მრავალი დამარცხების ფონზე შედგა.

თავისი თანამედროვე მწერლებისგან განსხვავებით, ვალსერმა მტკიცედ ჩამოაყალიბა და წარუდგინა საზოგადოებას თავისი პოლიტიკური შეცდომების სია. სწორედ ნაკლოვანების შეგრძნებამ და არა ნაციონალისტურმა თავნებობამ ათქმევინა ვალსერს 1978 წ. გამოსვლაში: „ჩემთვის აუტანელია ის, რომ გერმანიის ისტორია, – რაგინდ ცუდად არ უნდა წარმართულიყო ის ბოლო პერიოდში – კატასტროფით დამთავრდება და გერმანია გდრ-ად და გფრ-ად დაყოფილი დარჩება".

ავტორები, როგორც წესი, სხვა ავტორებს მხოლოდ ზედაპირულად უყურებენ ან საერთოდ უყურადღებოდ ტოვებენ. მარტინ ვალსერი ამ წესის გამონაკლისს წარმოადგენს. არ არსებობს მეორე მწერალი ჩვენს თანამედროვეობაში, ვინც მასავით ღრმად და ემფატიურად განიცდის წარსულის პოეტურ მემკვიდრეობას და, რაც კიდევ უფრო იშვიათია, თანამედროვე ავტორების შემოქმედებას. 1983 წელს გამოვიდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი – ჩანახატების, მოხსენებების, წერილებისა და ფელეტონების კრებული „სიყვარულში გამოტყდომანი". სულერთია, ვისზეა ლაპარაკი, შილერზე, ჰაინეზე, ბიუხნერზე, კაფკაზე, ბრეხტზე, პრუსტზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ვალსერზე, თომას ჰურლიმანსა თუ არნოლდ შტადლერზე. ვალსერს მათი შემოქმედება ყოველთვის გაწაფული ფილოლოგის აკურატულობითა და აღფრთოვანებული კოლეგის შემართებით მიაქვს მკითხველამდე. ხშირად ასეთი პოპულარიზაციის გზით გამოხმაურებას პოულობს და თანამედროვეებს მკითხველებად აქცევს.

ესეც ვალსერის თვითდაეჭვების შედეგია: სხვისი შემოქმედების სარკეში ის საკუთარი თავის დასტურს ხედავს. სხვა ავტორებთან საკუთარი ხედვის გაფართოებასა და თვითგანკურნებას ეძებს. სწორედ ამიტომ კითხვა ვალსერისთვის ყოველთვის დასტურს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ცხადია, მისი დამოკიდებულება კრიტიკისადმი ბევრად სცილდება მწერლებისთვის ჩვეული უნდობლობის ზღვარს.

კრიტიკის წინაშე მისი დაუცველობა ღრმა ეგზისტენციური შრეებიდან მოდის, თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველდღიური ლიტერატურული ცხოვრების ზედაპირზე ვალსერი, ალბათ, კრიტიკას სხვა ავტორებზე მეტად ჰყავს მიზანში ამოღებული, რადგანაც ის დღევანდელ გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ავტორია.

მისი პროზის ზოგიერთი ნიმუში ფეხს მოიკიდებს მსოფლიო ლიტერატურაში. ეს ეხება თუნდაც მის პირველ რომანს **„ქორწინებანი ფილიპსბურგში"** (1957), სადაც წინარე ფორმაში წარმოდგენილია მისი ეპიკის ძირითადი თემები, მოტივები და პერსონაჟები. 1985 წელს გამოქვეყნებულ რომანში **„მოქცევა"**, სადაც მოქმედება ამერიკაში ხდება, ავტორი თითქოს თავისუფლდება თავისი გარემოს ჩარჩოებისგან. მნიშვნელოვანია ასევე ვალსერის ეპიკური დრამა **„ერთურთის გარეშე"** (1985), სადაც პერსონაჟები თავიანთი ცხოვრებისეული ილუზიებით ლამის კომიკურ სახეებად იქცევიან და ამით სრულ რეალისტურ აბსურდს აღწევენ.

დაინტერესებულთა მცირე, მაგრამ ყურადსაღები ნაწილი ვალსერის საუკეთესო ნაშრომად თვლის შესანიშნავი აფორიზმებისაგან შემდგარ კოლაჟს **„მესმერის ფიქრები"** (1985).

მაქს ფრიშის დაბადების 70-ე წელთან დაკავშირებით 1981 წ. ვალსერმა თქვა: „ფიზიკოსი ახდენს ძალების ტრანსფორმაციას, მწერალი კი სისუსტისას". ახლა კი თავად მარტინ ვალსერი ხდება 70 წლის. მას არასოდეს დაემუქრება საკუთარ თავთან, როგორც საბოლოო მიზანთან, დარჩენის საშიშროება. ის განაგრძობს მოძრაობას თავისი აღიარების სიმაღლეზე და აღარაფერი აქვს დასამალი.

იოხენ ჰიბერი

ჰანს მაიერი - სახელმწიფოს მოძალადე და მწერალი

ჰანს მაიერმა განაცხადა, თავისთავად არაფრით გამორჩეული ეპოქები გარდუვალად ბადებენ ღრმად გააზრებულ ხელოვნების თეორიებს. პირველივე შეხვედრისას, ტელეეკრანის მეშვეობით, მან შთამაგონა, რომ ლიტერატურა დაკავშირებულია ცხოვრებისეულ სინამდვილესთან და ისტორიულ გამოცდილებასთან. ლიტერატურა, ამ სიტყვის მაიერისეული გაგებით, მკითხველისაგან მოითხოვს ცხოვრებასთან შეკავშირებას ისე, რომ არ მოხდეს ცხოვრებისა და ლიტერატურის ერთურთში აღრევა.

მაიერის მაშინდელი გამოსვლის მოსმენისას ჯერ არ ვიცოდი, რომ ის ნაცისტების მიერ იყო დევნილი მისი ებრაული წარმოშობისა და სექსუალური კონსტიტუციის გამო.

„ბიურგერული ტრადიციების დისიდენტი და ამავე დროს, ბურჟუაზიის მოწინააღმდეგეთა დისიდენტი" – წერს მაიერი ბრეხტის შესახებ. როგორც ბრეხტზე გამოთქმული მისი სხვა აზრები, ესეც გდრ-ის მიერ მარქსისტად შერაცხული წითელი მებრძოლის შენიღბული თვითგამოხატვაა.

რაღაც ძველმოდურად ბიურგერული გამოჰყვა მას მშობლიური სახლიდან ნოიერეფელდში (კიოლნი). მაიერის მიერ ბრეხტის გვერდით მისი ანტიპოდის – თომას მანის, აღიარება მიგვანიშნებს არა მარტო ორმაგი ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილებაზე, არამედ ბიურგერული განმანათლებლობის აღიარებაზეც, რომლის ერთი ნაწილია მარქსისტული ისტორიის ანალიზი.

ჰანს მაიერის, როგორც განმანათლებლის მეცნიერული პრაქტიკა გაპირობებულია ფაშიზმისა და ომისშემდგომი გარემოს განცდით. გარემოსი, რომელსაც „არ სურს იცოდეს რა იყო". ლიტერატურა მაიერისთვის წარმოადგენს ისტორიის გრძნობად პრაქტიკულ ათვისების შემოქმედებითი სუბიექტურობის მეშვეობით.

შვეიცარიიდან 1945 წელს დაბრუნებულმა მაიერმა ომის შემდგომ გერმანელებს ჩამოუტანა თავისი ესეი „ბიუხნერი და მისი დრო", რომელშიც ის მიუთითებს წერისა და კითხვის ფენომენებზე, როგორც ადამიანის მიერ ისტორიის აქტიური ათვისების შესაძლებლობებზე.

მაიერის შედარებით ლიტერატურულ ანალიზს, რომელშიც ჭარბობს აქვს საერთო „გერმანისტ პროფესორთა საპროფესორო გერმანისტიკასთან". ხელოვნების ნიმუში, მაიერის სიტყვებით, მძინარე მზეთუნახავს როდი ჰგავს, რომელიც „გვირგვინოსანი თეორეტიკოსის გამომაფხიზლებელ კოცნას ელის".

მაიერი განმანათლებელია თავისი თხრობითი ფორმებითაც. მისი ნაწარმოებები ღია ესეებია, ესეი კი ყოველთვის დიალოგი და დისკუსია, შეთავაზება და პაექრობაა.

მაიერი, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა, თავის თავს ასე წარმოადგენს: „სახელმწიფოს მოქალაქე, გადამდგარი პროფესორი, მწერალი". სწორედ ეს თვითწარდგენა უდევს საფუძვლად ახალ მრავალშრიან ნაწარმოებს, რომელიც მისი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, ლაიფციგში, ჰანოვერსა და თიუბინგერში ცხოვრების დროს შეიქმნა და ამჟამად „ზურქამპის" მიერ მზადდება გამოსაცემად.

დერეკ ლინდ

გერმანულიდან თარგმნა **თამარ კოტრიკაძემ**

სიახლენი ესპანურ ლიტერატურაში

გამომცემლობა „ალფაგერამ" გამოსცა **ხუან ბენეტის** ნაწარმოებთა სრული კრებული **მანუელ დე ლოპეს** წინასიტყვაობითა და მის მიერვე შერჩეული 52 მოთხრობით.

ხუან ბენეტის სახელი 60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და შემდეგ მისი მოთხრობები და სტატიები სისტემატურად იბეჭდებოდა „დასავლეთის ჟურნალსა" და „ესპანოამერიკულ რვეულებში".

1967 წელს გამომცემელ ხუან ბენეტის მოთხრობის „დაბრუნდები წრეში" შესახებ კრიტიკამ აღნიშნა მისი უმნიშვნელოვანესი წვლილი ომისშემდგომი ესპანური მოთხრობის განახლებაში.

1982 წელს გამომცემლობა „არიელმა" გამოაქვეყნა მისი 30 მოთხრობის კრებული სათაურით „ეჭვების შესახებ".

გამოქვეყნდა **მარინო გარსია ტორესის** რომანი „დამთხვეული სიჩუმე", რომელმაც მის ავტორს სევილიას ათენას პრემია მოუტანა. კრიტიკოსი **ბლანკა ავარესი** ამ წიგნთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ეს წიგნი ერთ-ერთი იმ იშვიათ ნაწარმოებთაგანია, საუკუნეში ხუთზე მეტი რომ არ იქმნება და ეპოქის ლიტერატურის ბედს წარმართავს. ეს რომანი ევროპული რომანის ღრმა ტრადიციებს აგრძელებს".

ნაწარმოებში, გარდა ტკივილისა და სიკვდილის დასაბამითი მოგზაურობისა, არის ყველაფერი, რათა იგრძნო უდიდესი სიმძიმე სულში: „ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი ვიცხოვრე, განვიცადე, ვითმინე და ვზიდე, ვზიდე სულში ასე უსარგებლოდ". მასში არის ძებდელობა პასუხის პოვნისა ამ უნივერსალურ და მტკივნეულ კითხვაზე: საიდან მოდის ყოველი ჩვენთაგანი ამ მოჩვენებითსა და ილუზორულ სამყაროში.

გამოიცა პოეტისა და მწერლის, **ფელიპე ბენიტეს რეიესის** პოეზიის კრებული „გახსნილი ბარგი". 1996 წელს რეიესს მიენიჭა ლიტერატურისა და კრიტიკის ეროვნული პრემიები.

მწერალი და კრიტიკოსი **ვისენტე გალეგო** წერს: „გამოქვეყნდა ლექსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებული, – ჭეშმარიტად დიდი წიგნი პოეზიისა. „გახსნილი ბარგი" არის მკაცრი, რთული, უკომპრომისო ლექსების ციკლი. მასში გადმოცემულია ავტორის დამოკიდებულება სამყაროსთან და მოგონებებთან, ადამიანის კრთომა მისი წარსულისა და მომავლის წინაშე, მისი ღრმა სულიერი წინააღმდეგობანი, მუდმივი შეგრძნება სიცარიელისა, რაც ზოგჯერ სწორედ მოგონებებია".

კრიტიკოსი **მარტინ ლოპეს-ვეგა**: „ის, რომ რეიესის სახელი XX საუკუნის ესპანურ პოეზიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, ყველასთვის უკვე ნათელია. ეს წიგნი იწერებოდა მაშინ, როდესაც ყველაზე ჭეშმარიტი დრო დაიწრიტა". **ფილოპე ბენიტეს რეიესი** გვაჩვენებს ჩაძირული ხომალდის გადარჩენილ ბარგს, აბსურდულ ბარგს, რომლის სიცარიელე გვაოცებს, რადგან იგი გადარჩა, როგორც ერთადერთი ჯილდო. ცარიელი ზანდუკები, რომლებშიც ვაპირებდით განძის შეგროვებას, „მომავლის ყალბი განძია". „გახსნილი ბარგი" არის რაიმე საშუალებით გადარჩენის ცდა გადაურჩენელისა".

ის ვინც ჯერ არ შეხებია ამ პოეზიას, ახლა გააკეთოს ეს".

ჯორჯ ლიგეტი — მუსიკის გარსია მარკესი

კომპოზიტორის **ჯორჯ ლიგეტის** შემოქმედების მნიშვნელობა მატულობს. კომპანია SONY-მ ბაზარზე გაიტანა პირველი ექვსი ჩანაწერი მისი ცამეტი სერიიდან, სადაც თავმოყრილია ამ უდიდესი ცენტრალურევროპელი კომპოზიტორის ნამუშევრები. პარიზი, ლონდონი, ამსტერდამი, ბრიუსელი, ფრანკფურტი, ჩიკაგო, სან-ფრანცისკო, ტოკიო და სხვა ქალაქები 1998 წ. მაისისთვის ამზადებენ საორკესტრო კონცერტების ციკლს, მისი 75-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ივლისში, ზალცბურგის ფესტივალზე ფეშტსფლეილჰაუერის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა **ლიგეტის** ოპერა „დიდებული სამგლოვიაროს" პრემიერა **ესსა-პეკკა სალონენის** დირიჟორობით.

ლიგეტი იქცა ყველაზე სიმბოლურ კომპოზიტორად მის თანამედროვეთა შორის, თავისებურ **გარსია მარკესად** მუსიკაში. მისი მშვენიერი, დახვეწილი მუსიკა – რექვიემი ულერს **სტენლი კუბრიკის** ფილმში „2001".

ესპანურიდან თარგმნა **ლალი ძადაგიძემ**
ჟურნალი „Clarin" (1997წლის მარტი-აპრილი, მაისი-ივნისი).

ცურტაველი ჩეხურად

პრაღის წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის მართლმადიდებლურ კათედრალურ ტაძართან არსებული საგანმანათლებლო ცენტრი – „Orthodoxia" – გამოსცემს თეოლოგიურ ჟურნალს – ORTHODOX REVUE. ჟურნალი გამოდის წელიწადში ორჯერ და წარმოადგენს ქრისტიანული ტექსტების კრებულს. მასში ღირსეულადაა წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება", რომელიც თარგმნა და კომენტარები დაურთო კავკასიოლოგმა დოქტორ **ვაცლავ ჩერნიმ**.

ვინ არის მილან კუნდერა?

ვკითხულობთ ჩეხურ ჟურნალ TYDEN-ის გარეკანის პირველ გვერდზე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობენ მწერალი **იან ტრეფულკა** და **კრიტიკოსები იან ლუკეში** და **მილან იუნგმანი.**

ჟურნალის მესვეურნი კი „დიდი უცნობის" – მილან კუნდერას შესახებ წერენ: „პარადოქსია, მაგრამ ჩვენს უდიდეს ავტორს ყველაზე ნაკლებად სამშობლოში იცნობენ, რადგან უცხოეთში გამოცემული, მისი უმნიშვნელოვანესი, უკანასკნელი ნაწარმოებები ჩეხეთის რესპუბლიკაში ჯერაც არ გამოსულა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე ისაა, რომ 70-იანი წლებიდან უცხოეთში მცხოვრებ კუნდერას რთული და ლამის იდუმალებით მოცული ურთიერთობა აქვს სამშობლოსთან (სხვათაშორის, ბოლო წლებში იგი ფრანგულად წერს და ფრანგ მწერლადაც ითვლება). კუნდერას, როგორც ავტორის, გაჭიანურებული დაბრუნება ჩეხეთში მკითხველის დიდ მოუთმენლობას იწვევს, რის პასუხადაც მწერალი ამბობს: „დროს უნდა ვადროოთ"; თუმცა წელს, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, მწერლის ოთხი წიგნი გამოდის სამშობლოში. მათ რიცხვში არ შედის ფრანგულ ენაზე დაწერილი რომანი „სინელე", შესაძლოა იმ მიზეზით, რომ მილან კუნდერა უკიდურესად ფხიზლად ეკიდება თავისი ნაწარმოებების რომელიმე ენაზე თარგმნის საკითხს და, თუმცა (თუ სწორედ იმიტომ, რომ) მთარგმნელებს არ სწყალობს, საგანგებოდ მათთვის საკუთარი საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების განმარტებითი ლექსიკონიც კი შეადგინა.

პოეტი, დრამატურგი, სცენარისტი, ესეისტი, რომანისტი მილან კუნდერა (დაიბადა 1929 წელს):

„ერთადერთი, რის ხელახლა გამოცემის უფლებასაც დავრთავ, ჩემი რომანებია". „რომანისტი არც ისტორიკოსია, არც წინასწარმეტყველი: ის ყოფნის შესაძლებლობაა".

კუნდერას რომანების გრძელ სიას („**ხუმრობა**", 1967 წ.; „**ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე**", 1985 წ.; „**უკვდავება**", 1990 წ") 1995 წელს მიემატა ფრანგულ ენაზე დაწერილი კიდევ ერთი რომანი la Lenteur („**სინელე**").

კუნდერას რომანების მიხედვით შექმნილია ფილმები: „**არავინ გაიცინებს**" (1965), „**ხუმრობა**" (1968), „**მე, მწუხარე ღმერთი**" (1969), „**ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე**" (1987).

ლია ჯაყელი

გრძელდება ფრიდრიხ ნიცშეს ლექსის სიეონეფონსი თარგმანების მიღება 1 აპრილამდე

(იხ. „ოგმა" №1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოგრაფიები

მარტინ ბუბერი (1878-1965) – ცნობილი ებრაელი ფილოსოფოსი; მის შემოქმედებაში გაერთიანდა იუდაური ტრადიციის საფუძვლების კვლევა, რელიგიური ცხოვრების გამოცდილება და თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნება. დაიბადა ვენაში, სწავლობდა ვენაში, ლაიფციგში, ციურიხში და ბერლინში. 1923 წ. დაიკავა ებრაული რელიგიის და ეთიკის კათედრა ფრანკფურტის უნივერსიტეტში. 1936 წელს გადასახლდა შვეიცარიაში. 1938 წლიდან იერუსალიმის უნივერსიტეტის სოციალური ფილოსოფიის პროფესორი 1960–1962 წწ. ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ძირითადი ნაშრომები: „მე და შენ" (1923); „ხასიდური ლეგენდები" (1946); „ადამიანის პრობლემა" (1947); „სიკეთის და ბოროტების სახეები" (1952); „ღმერთის დაბნელება. განსჯა რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთობის შესახებ" (1952); „რწმენის ორი სახე" (1957); „ხასიდიზმის წარმოშობა და არსი" (1960);

ლაშა ბულაძე. დაიბადა – 1977 წლის 16 ნოემბერს, თბილისში. 1995 წელს დDაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. ამჟამად სტუდენტია.1996 წელს გაზეთ „არილში" გამოქვეყნდა მისი მოთხრობები: „ამბავი 29 მაისისა", „განათლებული ადამიანი" და „ქვრივი" (პირველი პუბლიკაცია), 1997 წელს ჟურნალ „სტუდია №2-ში – მოთხრობა კურდღლის სიკვდილი"; მისი ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო: 1994 წელს თბილისში, გალერეა „ორიენტში", 1995 წელს ბაზელში, კრისტოფ მერიმეს ფონდში.

ზაზა თვარაძე – მწერალი, ლიტერატურული გაერთიანება „არილის" წევრი. დაიბადა 1957 წლის 18 მაისს თბილისში. 1974 წელს .დაამთავრა 62-ე საშუალო სკოლა, 1979 წელს – თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს ჟურნალ „ბალავარში". მისი ლექსები და მოთხრობები 1991 წლიდან ქვეყნდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

კახა კაციტაძე – დაიბადა .1959 წელს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „სუბიექტის აქტივობის პრობლემა XVII–XVIII საუკუნეების ევროპულ ფილოსოფიაში" (1996).

გრიგორი პომერანცი – ფილოსოფოსი, კულტუროლოგი, მწერალი. აქვს მრავალი გამოკვლევა რუსული (მე-19-ე და მე-20-ე ს.ს.) და აღმოსავლური კულტურის ისტორიაში, ფილოსოფიური ნაშრომები რელიგიის, ისტორიის, კულტურის შესახებ. გრიგორი პომერანცი დაიბადა ვილნოში 1918 წელს, არის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე; 1949 წელს დაპატიმრებული იყო და 1953 წლამდე სასჯელს „გულაგის" სისტემაში იხდიდა. განთავისუფლების შემდეგ იცავდა ადამიანის უფლებებს, იყო სხვადასხვა არაფორმალურ სამეცნიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებათა ხელმძღვანელი და ლექტორი, მაგრამ ფსევდონიმს არასდროს ამოფარებია. მისი იდეებისა და პიროვნული პოზიციის გავლენას აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლების ცნობილი დამცველები – სახაროვი და გრიგორენკო. 1976–1987 წლების საბჭოთა გამოცემებში იკრძალებოდა პომერანცის ნაშრომების გამოქვეყნება, ამიტომ მათი უმრავლესობა რუსეთის ფარგლებს გარეთაა გამოცემული, პომერანცი ითვლება მე-20-ე საუკუნეში ფილოსოფიური თვითშემეცნების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814) – გერმანელი ფილოსოფოსი. 1780-84 წლებში სწავლობდა ევანგელისტურ თეოლოგიას იენის უნივერსიტეტში. შემდგომი ცხრა წელიწადი მუშაობდა კერძო აღმზრდელად. მისი ფილოსოფიური შტუდიების პირველი შედეგი იყო ნაშრომი ი. კანტის ფილოსფიის შესახებ: „ყველანაირი გამოცხადების კრიტიკის ცდა" (1792). ნაშრომი კანტისავე დახმარებით 1792 წ. კიონისბერგში ანონიმურად გამოიცა, ისე რომ, წამყვანმა ლიტერატურულმა ჟურნალებმა კანტის ნაშრომად ჩათვალეს და აღფრთოვანებული რეცენზიები უძღვნეს. კანტის მიერ ავტორის ვინაობის გაცხადების შემდეგ ფიხტემ დიდი სახელი და აღიარება მოიპოვა, რამაც განსაზღვრა 1794 წელს მისი ფილოსოფიის პროფესორად მიწვევა იენის უნივერსიტეტში. ამ დროს გამოდის მისი თხზულება „ზოგადი მეცნიერებათმოძღვრების საფუძველი" (1794). მისი შემდგომი თხზულება „ღვთაებრივი მსოფლიო რელიგიის ჩვენეული რწმენის საფუძვლის შესახებ" (1798) კურსაქსონიის საეკლესიო წრეებმა როგორც ათეისტური ნაწარმოები აკრძალეს და ამის შედეგად ლ. ფიხტე უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. შემდგომი ნაშრომებია: „მეცნიერებათმოძღვრება" (1804), „ნეტარი ცხოვრების სწავლება ანუ აგრეთვე რელიგიის მოძღვრება" (1806). 1799-1805 წლებში ლ. ფ. ბერლინში ცხოვრობდა და კერძო ლექციებით ირჩენდა თავს. 1805 წელს იგი მიიწვიეს ქ. ერლანგენის (პრუსიულ) უნივერსიტეტში ფილოსოფიის პროფესორად. 1809 წ. იგი არის ახლად დაარსებული ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანი და 1810 წლიდან ამ უნივერსიტეტის პირველი არჩეული რექტორი.

ზაზა შათირიშვილი – დაიბადა 1966 წელს ქ. თბილისში. 1983 წ. დაამთავრა, ქ. თბილისის I საშუალო სკოლა, 1988 წ. – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით. 1988-91 წწ. იყო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი, 1992-97 წწ. მუშაობდა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც 1995 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გრიგოლ ნაზიანელი და პლატონური ტრადიცია ქრისტიანულ თეოლოგიაში".

1992-96 წწ. გამოქვეყნდა მისი რამდენიმე სტატია ფილოსოფიის, სემიოლოგიის, რელიგიისა და თანამედროვე პოლიტიკის საკითხებზე. 1997 წლიდან მუშაობს რიტორიკის, ტროპოლოგიისა და ნარატოლოგიის პრობლემებზე. მის ბოლოდროინდელ ნაშრომებში მოცემულია პოეტური ტექსტების ტოპოლოგიური წაკითხვის ცდები, სადაც გაანალიზებულია მ. კუზმინის, გ. ტაბიძის, ო. მანდელშტამის, ნ. ბარათაშვილის და ვ. ხლებნიკოვის ნაწარმოებთა რიტორიკული თავისებურებანი.

კარელ ჩაპეკი – (1890–1938) ჩეხი მწერალი, ჟურნალისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, 1925–1933 წწ. ჩეხოსლოვაკიის პენკლუბის თავმჯდომარე. ავტორი წიგნებისა: „კრაკატიტი", „სიტყვის კრიტიკა", „მარსიასი", „საუბრები ტ.გ.მასარიკთან", „ომი სალამანდრებთან", „თეთრი ავადმყოფობა", „დედა", „აპოკრიფების წიგნი", „მოთხრობები ერთი ჯიბიდან და მოთხრობები მეორე ჯიბიდან"; ტრილოგია – „ჰორდუბალი", „მეტეორი", „ჩვეულებრივი ცხოვრება" და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოძერიზე მუშაობდნენ:
ნაირა გელაშვილი, ლია ჯაფარიძე, დათო აფრიანი,
ეთერი მანგლაშვილი, ეკა ყობახიძე, ლელა
სიხარულიძე, ჰაძლეტ ზაკარაიშვილი

ფურნალი აინტერესა და დაბეჭდილია
„კავკასიურ სახლში"

დაბეჭდილია საქართველოს საზოგადოებაში „ფარნავაზი".
ბოლქვაძის ქუჩაზე №4

სალიტერატურო, ფილოსოფიური-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ფურნალი „ავრორა"
დაფუძნდა 1994 წელს

გამოდის ორ თვეში ერთხელ

Our deep gratitude for the help
to the foundation STICHTING HORIZON.

23